თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

აპოლონ მახარაძე

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1984

83. 3Гр 1
899.962.1.092[ჭავჭავაძე ი.]
მ 443

წიგნში გაშუქებულია ილია ჭავჭავაძის ცხოვრება, საზოგადოებრივი მოღვაწეობა და ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ნაშრომი განკუთვნილია სტუდენტებისა და დიდი ქართველი მწერლის შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი რ. მიშველაძე
რეცენზენტები: ს. ხუციშვილი
ი. ევგენიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984

4603000000
M———————
M 608 (06) 84

წინასიტყვაობა

ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობით წარმოგვიდგება. იგი საყოველთაოდ აღიარებული მეთაური იყო სამოციანელთა თაობისა, რომელმაც ქართული მწერლობა განვითარების ახალ გზაზე გამოიყვანა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში ჩააყენა და ამით იგი იდეურად კიდევ უფრო აამაღლა.

იაკობ გოგებაშვილმა წიწამურის ტრაგედიის მძიმე ღღეებში ვერაგულად მოკლულ მწერალს საქართველოს მნათობი უწოდა და მისი სამარადისო უკვდავება იწინასწარმეტყველა. წერილში „შურისძიება ისტორიისა“ იგი დაჯერებული ამბობდა:

„რაც ილიას დიდებას აკლდა სიცოცხლის ჟამსა, მისი მკვლელობის შემდეგ უკლებლად შეივსება, და იგი იწყებს ბრწყინვას, როგორც უდიდესი მნათობი საქართველოსი. მოკლე სნის განმავლობაში მთელს საქართველოში აღარ დარჩება არც ერთი ოჯახი, რომელსაც არ ამშვენებდეს ილიას სურათი, როგორც უძვირფასესი და სათაყვანო ხატი“.

ბრძენი პედაგოგის წინასწარმეტყველება უკვე დიდი ხანია ახდა. წიწამურის ტრაგედია მწერლის მეორე სიცოცხლის დასაწყისად იქცა. იქიდან მოყოლებული ილია ჭავჭავაძის, როგორც სწორუპოვარი ეროვნული მოღვაწის პიროვნება, მშობლიურ ხალხში დღენიადაგ მაღლდებოდა. შესაძლებელია დარწმუნებული ვიყოთ, რომ მას მომავალი კვლავ ახალ-ახალი დიდებით შემოსავს.

ამგვარ ვითარებაში სავსებით ბუნებრივია, რომ ილია ჭავჭავაძეზე მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა, მაგრამ გასაკეთებელიც ჯერ კიდევ რჩება. სწორედ ამით არის გაპირობებული ის ფაქტი, როპ წინამდებარე ნაშრომის უმეტესი ნაწილი მწერლის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესწავლას ეთმობა.

ნაშრომში ილიას ცხოვრებაზე თხრობა ქრონოლოგიურ პრინციპზეა აგებული. ეს პრინციპი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ირღვევა. როცა ლიტერატურულ-ისტორიული მოვლენის სივრცე ერთი ეპოქის ფარგლებში ვერ თავსდება, ავტორი საკითხთა თემა-

ტიკური განხილვის გზას მიმართავს. აქ წარმოდგენილი ილიას ცხოვრების მატიანე დღემდე არსებულ ბიოგრაფიებთან შედარებით ვრცელია, მაგრამ ამომწურავი მაინც არაა.

წიგნის ბოლო ნაწილში ილიას მხატვრული მემკვიდრეობის საერთო დახასიათებაა მოწოდებული.

წინამდებარე ნაშრომი ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემულ კრებულებში ქვეყნდებოდა. იგი ცალკე წიგნის სახით პირველად იბეჭდება და გაცილებით ვრცელია, ვიდრე აქამდე იყო. დაინტერესებული მკითხველი იმასაც შენიშნავს, რომ წიგნის სრულყოფისათვის მისი მთელი რიგი ადგილები შევსებული და შესწორებულია.

აპ. მახარაძე

თბილისი
1983 წლის 25 მაისი

ილია ჭავჭავაძის სამშობლო, ოჯახი და სკოლა

ჭავჭავაძეთა გვარის საძვიდროა კახეთი, რომლის ბუნებრივ სილამაზეს ბევრი ქართველი და უცხოელი მწერალი მოუხიბლავს. კახეთის ბუნებით მოჯადოებული იყო ილია ჭავჭავაძის მეგობარი გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი. იგი კახეთს ასე მიმართავდა:

„ნათელო კახეთო! ტყიანი მთების გვირგვინი შემოვლებია შენს მწვანე ველ-მინდორს! მზე და მთვარე შენი მეგობრებია, მათი სინათლე და ბრწყინვალება მომხიბლავად ამკობს შენს სურათს. ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან კახეთში მზის ამოსვლას უნდა უცქიროს, როდესაც ოქროს სხივი ეხვევა მთელს ველს და ალაზანი ვერცხლისფერი ზონარივით ბრწყინავს. ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან საღამე მთვარიან ღამეში თელავიდან აღმოსავლეთით ალაზნის ველს უნდა უყუროს“[1].

ილია ჭავჭავაძის სამშობლოა ყვარელი, რომელსაც გრიგოლ ორბელიანმა „კახეთის თვალი“ უწოდა.

ილიას მამა გრიგოლ ჭავჭავაძე ხელმოკლე თავადი იყო. იგი ერთ დროს ოფიცრად მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. სამხედრო სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ გრიგოლი საბოლოოდ მშობლიურ ყვარელში დაბრუნდა. იგი თავისი დროისათვის კულტურულ, გონებაგახსნილ და მოსწრებული სიტყვა-პასუხის ადამიანად ითვლებოდა.

ილიას დედა მარიამი წარმოშობით თბილისელი ბებურიშვილის ქალი, ქმარ-შვილისა და ოჯახის უსაზღვროდ მოსიყვარულე. შესანიშნავი აღმზრდელი და ლიტერატურულად განვითარებული მანდილოსანი იყო. თვითონ მწერალი ავტობიოგრაფიაში მოგვითხრობს:

„დედაჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა. სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლული თითქმის ყველა ლექსი, ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი და ან ხელნაწერი“.

ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წლის 27 ოქტომბერს. მომავალი

---

[1] არტურ ლაისტი, საქართველოს გული, 1963 წ., გვ. 225.

წერილის პირველი შთამაგონებელი და მასწავლებელი მისივე დედა მარიამი ყოფილა. მწერალი ავტობიოგრაფიაში მოგვითხრობს:

„საღამოობით დაგვსხავდა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს; წაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე დღის საღამოზე გვკითხავდა: აბა, ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გაიგონეთო. ვინც კარგად ვუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვაფასებდით“.

ილიას ბავშვობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის მისი ოჯახის გამზდელი სალომე ლოლაძე. იგი ამბობს:

„პატარაობიდანვე ლექსებს გამოსთქვამდა ხოლმე. მახსოვს, ძალიან კარგი ლექსები გამოსთქვა კოშკზე, მარანზე... ხშირად მოიხმობდა ხოლმე ბავშვი ილია ბიჭ-მოსამსახურეებს და ლექსებს ათქმევინებდა. ერთხელ ერთმა რაღაც ბინძური ლექსი უთხრა, ილიას არ ეჭაშნიკა და მოლექსე გააგდო: „შენ კარგი ლექსები არა გცოდნიაო“.

„მეტის მეტი ხათრიანი ბავშვი იყო. ხმას არ აუმაღლებდა თავის დღეში მოსამსახურეს. ხშირად გაგზავნიდა ხოლმე მისი მამიდა მუშების დასათვალიერებლად და სამუშაოდ დასაძახებლად. ილია მალე დაბრუნდებოდა, მარტო და კი არავის მოიყვანდა. მამიდა გაუჯავრდებოდა ხოლმე. ილია კი უპასუხებდა: „ოჰ, მამიდაო, ისე ტკბილად სძინავთ ჩრდილოში, რომ ვერ გავაღვიძე, შემეცოდნენო“[1].

ილია რვა წლისა იქნებოდა, როდესაც სწავლა დააწყებინეს. იგი მიაბარეს სოფლის მთავარს, რომელთანაც სხვა რამდენიმე ბავშვიც სწავლობდა. მთავარს ერთგვარი გავლენა მოუხდენია მომავალ მწერალზე. იგი ბავშვებს მოუთხრობდა ეპიზოდებს საქართველოს ისტორიიდან, უყვებოდა გამოჩენილ მეფეებსა და გმირებზე, რომელთაც თავი გაუწირავთ სამშობლოსა და ხალხისათვის. იმავე ავტობიოგრაფიაში მწერალი მოგვითხრობს:

„ბევრი ამ ამბავთაგანი ღრმად ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის „დიმიტრი თავდადებული“ — თემად გამოვიყენე მრავალის წლის შემდეგ. ერთი კიდევ პატარა საშობაო მოთხრობად დავწერე. ჩემს „გლახის ნაამბობში“ ზოგიერთს ადგილს ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისა. მთავართან ვსწავლობდი ამავე ჩემ საშობლო სოფლის გლეხკაცების შვილებთან. რამდენადაც მახსოვს, ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ. ყველანი შინიდან დავდიოდით მთავართან დილ-დილით და სწავლა გვქონდა მხოლოდ შუადღემ-

---

[1] ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1935 წ., გვ. 557.

დე. წერა-კითხვას, როგორც მახსოვს, სულ ერთ საათს ვანდომებდით ხოლმე, დანარჩენი დრო შუადღემდე იმაში გაღიოდა, რომ ვთამაშობდით თვით მთავრის ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით, და უმთავრესად უფრო იმაში, რომ ვისხედით და ვისმენდით იმის გასატაცებელ ნაამბობს"[1].

1848 წლის დამდეგს მომავალი მწერალი თბილისში ჩამოიყვანეს და აქ ცნობილ ჰაკეს პანსიონში მიაბარეს.

იმავე წლის მაისში გარდაიცვალა ილიას დედა მარიამი, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ოცდაათი წლის ქალი იქნებოდა. მარიამის გარდაცვალების შემდეგ გრიგოლ ჭავჭავაძემ თავის ქვრივ დას მაკრინეს სთხოვა მასთან გადასულიყო, რათა ობლად დარჩენილი ბავშვებისათვის პატრონობა გაეწია. მაკრინემ ძმის თხოვნა შეიწყნარა, ყვარელს დაუბრუნდა, გრიგოლის ოჯახში დაბინავდა და ძმისწულების აღზრდას მშობლიური მზრუნველობით შეუდგა.

აქედან მოყოლებული მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავმა მთელი ცხოვრება გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახში გაატარა. იგი გრიგოლის გარდაცვალების შემდეგაც იმავე ოჯახში ძმისწულებთან დარჩა.

მაკრინეს პიროვნებაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ილიას ერთ-ერთი პირველთაგანი კრიტიკოსი მიხეილ ნასიძე (მეგახლავარი). იგი თავის ბიოგრაფიულ-კრიტიკულ ეტიუდში ჩვენი მწერლის მშობლიური ოჯახის დასახასიათებლად წერდა:

„ყველაზედ გამოჩენილ პირად პოეტის ოჯახში უნდა ჩაითვალოს მამიდამისი, ერისთავის მეუღლე. ისა ბრძანდებოდა დიდი მწიგნობარი, დიდი განათლებული და ნაკითხი თავის დროის შესაფერად. ქართული წერა-კითხვაც და პირველი სიყვარულიც წიგნებისადმი მან ჩაუნერგა პატარა ილიკოს"[2].

მოტანილი ამონაწერი ერთგვარად აფართოებს ჩვენს წარმოდგენას ილიას ოჯახურ ატმოსფეროზე დედის გარდაცვალების შემდეგ. ჩანს, მგრძნობიარე მგოსანმა მზრუნველი მამიდა ყრმობიდანვე დედაშვილურად შეიტკბო და ეს ამაღლებული მშობლიური სიყვარული მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა. დამახასიათებელია მისი ერთი პირადი ბარათი მამიდასადმი იმ დროს, როდესაც ჩვენი ავტორი უკვე საყოველთაოდ აღიარებული მწერალი იყო.

ილია ერთ წერილში მაკრინეს სწერდა:

---

[1] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. IX, 1957 წ., გვ. 308.

[2] ილია ჭავჭავაძე. ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი. წერილი პირველი. მეგახლავრისა, 1898 წ., გვ. 6.

„სიკეთე, მამიდაჯან, დაუვიწყარია და რაც თქვენ ჩემთვის სიკეთე გიქნიათ, ეგ უფრო განსაკუთრებით უკვდავი არის ჩემთვის. მე რომ მინდა მაინდ გადმოსვლა, იმიტომ უფრო, მამიდაჯან, რომ თქვენ თან გახლდე და ჩემი დღენი თქვენს პატივისცემაში, სიამოვნებაში დავლიო, ღვთის წინაშე მოგახსენებ მართალსა“[1].

ჰაკეს პანსიონი, რომელშიც მომავალი მწერალი 1848 წელს ჩაირიცხა, იმდროინდელ თბილისში ერთ-ერთი პოპულარული დაწყებითი ტიპის სასწავლებელი იყო. ილია ჭავჭავაძე ავტობიოგრაფიაში საგანგებოდ ეხება ჰაკეს პანსიონის საალმზრდელო წესრიგს და თვით აღმზრდელსაც გულთბილად ახასიათებს. იგი ამბობს:

„ჰაკე გერმანელი იყო, ყოველმხრივ განათლებული კაცი. გერმანიიდან დაიბარა მაშინდელმა კავკასიის ცალკე კორპუსის კომანდირმა ნეიტგარტმა თავის შვილების აღსაზრდელად, ხოლო ნეიტგარტის შემდეგაც თბილისში დარჩა და პედაგოგ რაევსკისთან ერთად პანსიონი დააარსა. ჰაკე სასტიკი კაცი იყო. მაგრამ თან იმდენად მამობრივს მზრუნველობას იჩენდა შეგირდების მიმართ, იმოდენას სცდილობდა ყურს უგდებდა მათს ზნეობრივსა და გონებრივ განვითარებას, რომ თითქმის მთელს თავისუფალ დროს, კლასში მეცადინეობის შემდეგ, იმათ ანდომებდა, ხან ემუსაიფებოდა, ხან ართობდა მუსიკით და მართავდა ხელდახელ კონცერტს როიალზედ, რომლის დაკვრაც საუცხოოდ იცოდა“.

პანსიონში და გიმნაზიაში ილია ჭავჭავაძის მოსწავლეობის პერიოდზე მასალები ძალზე მცირეა ჩვენამდე მოღწეული. ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობებს ისევ და ისევ მწერლის ავტობიოგრაფია გვაწვდის.

ჰაკეს პანსიონიდან თბილისის გიმნაზიაში გადასვლის თაობაზე ილია იმავე ავტობიოგრაფიაში ამბობს: „15 წლისა ვიყავი, როცა ამ პანსიონიდან თბილისის გიმნაზიაში შევედი; მეოთხე კლასში ძიმიღეს და ბინით კი ისევ პანსიონში ვიყავიო“. 1852 წელს ილია გიმნაზიის მეხუთე კლასში იყო.

ილია ჭავჭავაძის მოსწავლეობის დროს თბილისის გიმნაზიაში მკაცრი რეჟიმი იყო გაბატონებული. იდევნებოდა მოსწავლეთა თვითმოქმედი წრეები და ახალგაზრდობის აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა. მომავალმა მწერალმა გიმნაზიაში თავისი ჭაბუკობის ექვსი წელი გაატარა.

ილიას გიმნაზიელობის პერიოდიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი საგულისხმო შემთხვევა, რომელმაც მომავალი მწერ-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 21.

ლის შემოქმედებას ურთგვარი კვალი დაჰკნია. საქმე ასე იყო: 1852 წელს გრიგოლ ჭავჭავაძემ მეორედ იქორწინა. როგორც ჩანს, ჭაბუკმა პოეტმა მამის საქციელი მწვავედ განიცადა და ამის გამო მას სატირული ლექსიც დაუწერა. გრიგოლ ჭავჭავაძის მეორე ქორწინების ფაქტი საკმარისად ვრცლადაა გაღმოცემული ერთ მოგონებაში, რომელიც 1913 წელს გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა. მოგონების ავტორია ეკატერინე კრიჟანოვსკისა, ხოლო გამოაქვეყნა იგი ალ. მირიანაშვილმა.

ეკატერინე კრიჟანოვსკისა, ალ. მირიანაშვილის გადმოცემით, თბილისში აღზრდილი ქალი ყოფილა, რომელიც გათხოვების შემდეგ მუდმივ საცხოვრებლად ერევნის გუბერნიაში გადასახლებულა. ეკატერინე კრიჟანოვსკისა ილია ჭავჭავაძესთან თავის ურთიერთობაზე შთამბეჭდავად ამბობს:

„მე და ილიას ბევრი დღენი გაგვიტარებია ყმაწვილობაში ერთად, მისსა და ჩემს მშობლებს დიდი ერთობა და მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთმანეთში. მშობლების მეგობრულ განწყობილებას ბუნებრივად მოჰყვა ჩვენი დაახლოება და დამეგობრებაც, მით უმეტეს, რომ წლოვანობითაც ჩვენ ტოლნი ვიყავით.

„ორივენი ვსწავლობდით ტფილისში: ილია ვაჟების გიმნაზიაში და მე ქალებისაში. შეხვედრა, რასაკვირველია, ხშირად გვიხდებოდა და ამ დროს ურთმანეთს ვკითხავდით საჭირო რჩევას, ვუზიარებდით ჭირ-ვარამს, გულისნადებს, ნანახს და გაგონილს“.

გასაგებია, რომ ილიასთან ესოდენ დაახლოებულ ადამიანს დიდი მწერლის ყრმობისდროინდელი ცხოვრების ბევრი საინტერესო ეპიზოდი უნდა სცოდნოდა. იგი გრიგოლ ჭავჭავაძის მიერ მეორე ცოლის შერთვის ისტორიას მოგვითხრობს. ეკატერინე კრიჟანოვსკისა წერს:

„ერთი შემთხვევა ილიას ცხოვრებიდან მეტად ჩამრჩა გულში და დღესაც ისე ნათლად, ცოცხლად მიდგა თვალწინ, თითქოს ეს მომხდარიყოს გუშინ და არა 55-60 წლის წინათ.

„ილიას საყვარელი დედა მოუკვდა და მისმა მამამ, გრიგოლმა, მეორე ცოლის შერთვა განიზრახა. საპატარძლო საკმაოდ ხანგადასული ქალი გახლდათ; მაგრამ თავად გრიგოლს, თურმე, ფულსა და ბზითევს დაჰპირდნენ და ქორწინებაზედ დაიყოლიეს.

„ჯვრის წერა ქაშვეთის ეკლესიაში უნდა მომხდარიყო. ჩვენიანები ყველანი მიპატიჟებულნი იყვნენ და მეც საცქერლად გავეშურე ეკლესიისაკენ, მით უმეტეს, რომ ილია იქ მეგულებოდა და მისი შეხვედრა მწყუროდა. მაშინ ილია გიმნაზიის მე-5 კლასში

სწავლობდა. მე უკვე ვიცოდი, რომ ილია დიდი წინააღმდეგი იყო მამის მეორედ ქორწინებისა.

„როცა ეკლესიის ვალავანში შევედი, იქ საკმაოდ მოგროვილი ხალხი დაშხვდა, რომელსაც უმეტესად კახელი თავადაზნაურობა შეადგენდა. ყველანი გაიცქირებოდნენ ალაყაფის კარებისაკენ, საიდანაც მოელოდნენ მეფე-დედოფლის შემოსვლას. აგერ კიდეც გაჩერდა ეტლი, გადმოვიდნენ იქიდან მეფე-დედოფალი და ხელგაყრილი შემოვიდნენ ეკლესიის ეზოში.

„ამ დროს მოულოდნელად იჩინა თავი უცნაურმა სანახაობამ. ვიდრე მეფე-დედოფალი ეკლესიაში შესვლას მოასწრებდნენ, უეცრად გაჩნდნენ ხალხში ქუჩის ბიჭები, რომელთაც ხელში ნაცრით სავსე კალათები ეკავათ. ეს ბიჭები ამ კალათების ქნევით ხალხში დარბოდნენ, საშინელ მტვერს და კორიანტელს აყენებდნენ და თან ამ ლექსს გაიძახოდნენ:

„გოდორი და კალათა, ბებერს ჰრთავენ ქალათა;
გრიგოლ ჭაჭავაძესა ჯვარსა სწერენ ძალათა!

„ამ ამბით გაბრაზებულმა [გრიგოლმა] ეკლესიაში თვალების ბრიალით მიიხედ-მოიხედა და რა დაინახა ერთ კუნჭულში განმარტოებით ატუზული გულ-ხელ-დაკრეფილი თავისი შვილი, მცირე ხანს პატარძალი მიატოვა, მარდის ნაბიჯით მისკენ გაემართა და მრისხანედ თითის ქნევით უთხრა: „ეს სულ შენი ოინბაზობაა, დამაცადე, რა გიყო!“

„ცოტა ხანს უკან მეც მივედი ილიასთან და ვკითხე, ვისი მოხერხებული იყო ეს საქმე, რაზედაც მომიგო: „ჩუმად, არავის უთხრა. მაწის ყურამდის არ მივიდეს; ჩემი საქმეა; რაც უნდა, ისა ჰქნას!“

„აი მეც ავასრულე იმის თხოვნა: დღემდის ეს ამბავი არავისთვის მიამბნია. ეხლა-კი თავი ვეღარ შემიკავებია: დრო და ხანი ამის უფლებას მაძლევს“[1].

გრიგოლ ჭაჭავაძის მეორე ქორწინება საბუდნიერო ვერ გამოდგა. ჯვრისწერიდან ორიოდე თვის შემდეგ იგი უკვე გარდაიცვალა. ინტერესს მოკლებული არაა ის ფაქტი, რომ ილიას ზეპირმოტანილი სატირული ლექსი სწრაფად გავრცელდა და გახალხურდა. იგი მეოცე საუკუნის დამდეგს მწერლის მშობლიურ რაიონში ჩაიწერეს როგორც ხალხური ლექსი სათაურით „სიმღერა ილიას მამაზედ“[2].

---

[1] გაზეთი „თემი“, 1913 წ., № 122.

[2] ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1935 წ., გვ. 547.

* * *

ილია ჭავჭავაძე გიმნაზიაში სწავლას მისთვის ჩვეული მონდომებით შეუდგა. იგი ძალიან ბევრს კითხულობდა, მაგრამ იმდროინდელი სკოლა, ჩანს, მომავალ მწერალს ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომაც აღნიშნავენ ილიას თანაკლასელები, რომ იგი გიმნაზიის სავალდებულო საგნებს მხოლოდ გამოცდების პერიოდში ამზადებდა და აბარებდა, ხოლო დანარჩენ დროს სკოლის გარეშე ლიტერატურის კითხვას და თვითგანვითარებას ანდომებდაო. სხვა საყურადღებო მასალა მომავალი მწერლის გიმნაზიელობაზე არ მოგვეპოვება.

1852 წლის დეკემბერში, დედის გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ, ილია ჭავჭავაძეს მამაც გარდაეცვალა. მოულოდნელი არაა, რომ მგრძნობიარე ჭაბუკმა პოეტმა მამის დაკარგვა მწვავედ განიცადა. ამ მოვლენასთან არის დაკავშირებული ილიას ლექსი „მოთქმა საწყლისა“, რომელიც ერთ-ერთი ნიმუშია მისი ყრმობისდროინდელი პოეტური შემოქმედებისა.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ მომავალ მწერალზე ზრუნვა მთლიანად მამიდაზე და დებზე გადავიდა. 1856 წელს ილიამ თბილისის გიმნაზია დაასრულა.

ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში

ილია ჭავჭავაძე უმაღლესი განათლების მისაღებად 1857 წლის ზაფხულში პეტერბურგს გაემგზავრა.

უნივერსიტეტში შესასვლელად მზადების პერიოდიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მომავალი მწერლის ხელიდან გამოსული ორი დოკუმენტი: I. ილიას პირადი ბარათი მიწერილი დისადმი და II. მისი ცნობილი ლექსი „ყვარლის მთებს“. დისადმი მიწერილი ბარათი მკითხველს აგრძნობინებს თუ რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა ავტორის შინაგანი განცდა და მღელვარება კონკრეტულ მომენტში.

ჭაბუკი პოეტი გულღიად ამბობს, რომ მას უსაზღვროდ უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი და მშობლიური კუთხე: უყვარს ის ადგილები, სადაც ბავშვობა გაუტარებია, მაგრამ მაინც იგი ამ ადგილებს დროებით უნდა გაეყაროს. პეტერბურგს გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ილია თავის დას ნინოს სწერდა:

„ვაპირობ წასვლას რუსეთში, მარამ, შენმა გაზრდამ, ისე მეძნელება დატევება ამ ჩვენ ყვარლისა, ნამეტნავათ ამ ჩვენ სახლისა.

სადაც ყოველი ნაწილი ალაგისა მომაგონებს ხოლმე ჩემს დაუღევნელ ყმაწვილობის დროს, სადაც ყოველი ხე არის ძვირფასი ჩემთვის სასიამოვნო მოგონებებითა. ერთის სიტყვით, ეესალმები ყოველ ფერს, რაიც არის ჩემის გულიდამ დაუვიწყარი, და მივდივარ ერთს უცხოს ქვეყანას, სადაც ერთი ტკბილი ნათესავური სიტყვა, სავსე სიყვარულითა, ეღირება ჩემთვის ნეტარებათ, სადაც უბედურობაში არავინ მეყოლება ნუგეშიმცემელი და სიამოვნებაში ჩემთან მოხარული. მაგრამ ყოველი ჩემებრი, რომელსაც მომავალ დროჲას შავ ღრუბელში აღუპრწყინდება ბედნიერების ვარსკვლავი და რომელსაც სურს შეეყაროს იმ ბედის ვარსკვლავს, ყოველთვის ტკბილს მდგომარეობას დაუტევებს და სიმწარით განვლის გზას მისთვის, რომ უფრო უტკბილესად შეხვდეს თავის ბედნიერებას. შენ თვითონ იცი. ვარდსა წინ მიუძღვის ეკალი, ვისაც სურს ვარდის მოწყვეტა, არ უნდა შიშობდეს უკლისგან"[1].

იგივე შინაგანი ადამიანური წვა და მღელვარებაა გადმოცემული ლექსში „ყვარლის მთებს". აქ გამოსახულია მისი გამოთხოვება მშობლიურ მიწა-წყალთან. წინ გრძელი გზა მოჩანს შორეული ჩრდილოეთისაკენ მიმავალი, ხოლო უკან რჩება გონებისაგან განუშორებელი მშობლიური ქვეყანა, ავტორისათვის ახლა განსაკუთრებით ძვირფასია სამშობლოს ყოველი კუთხე-კუნჭული—მთა, ველი, მინდორი, ნაცნობი ტყე და მდინარე. მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი მტკიცედ აცხადებს, რომ „მომავლის ბედი გაყრას ითხოვს" და ისიც ასეთი მსხვერპლის გასაღებად მზად არის.

ლექსში „ყვარლის მთებს" მომავალი დიდი მწერალი მშობლიურ ყვარელს და მის მთებს ასე გამოეთხოვა:

მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა...
უცხოეთიდან კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა;
კვლავ გაგიღიმებთ შორ ქვეყნიდამ თქვენ ჩემი სული,
და დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქვასა გული.

ასეთი განცდებით გაეყარა სამშობლოს ჭაბუკი პოეტი. 1857 წელს იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ილიამ პეტერბურგის უნივერსიტეტში ოთხი წელი დაჰყო. ამ ოთხმა წელმა უდიდესი როლი შეასრულა მომავალი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრებაში. სწორედ ამ დროიდან იგი დაეწაფა რუსულ მწერლობას, ევროპის კლასიკურ ლიტერატურას და ფილოსოფიას.

---

[1] ილია ჭავჭავაძე, ტ. X, 1961, გვ. 7.

პეტერბურგში ილიასთან ერთად რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა. ისინი გულმოდგინედ აღევნებდნენ თვალყურს პეტერბურგის მოწინავე ინტელიგენციის საქმიანობას, საერთოდ საზოგადოებრივი აზრის მოძრაობას. ახალგაზრდა პოეტი მალე ჩაება ქართველ სტუდენტთა წრეში და მისი ერთ-ერთი მეთაური გახდა.

ილია უნივერსიტეტში სწავლას დიდი მონდომებით შეუდგა. იგი სტუდენტობის დროს მარტო სავალდებულო საგნებით არ კმაყოფილდებოდა; ძალიან ბევრს კითხულობდა როგორც მხატვრულს, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ლიტერატურას. იმავე დროს ახალგაზრდა პოეტი კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად ეუფლებოდა ძველ ქართულ მწერლობასა და საქართველოს ისტორიას. კოსტა აფხაზი თავის მოგონებებში მოგვითხრობს:

„უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა. აქაც იგივე ჩვეულება ჰქონდა, მთელი წელიწადი სამოსწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული. კითხულობდა სხვათა შორის ბევრს ძველ ქართულ წიგნებს. მოახლოვდებოდა ეგზამენები და ილია სწავლას შეუდგებოდა. დღე-ღამეში ხშირად 18-20 საათს მუშაობდა და რამდენჯერ მინახავს, რომ წიგნებთან მჯდომარეს ჩასძინებია“[1].

ილია ჭავჭავაძე, როგორც ქართველ სტუდენტთა წრის მეთაური, მნიშვნელოვან ორგანიზატორულ მუშაობასაც ეწეოდა. მისი ხელმძღვანელობით ქართველმა ახალგაზრდებმა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა შექმნეს. ნიკო ნიკოლაძე თავის მოგონებებში სამოციან წლებზე ამბობს: „ქართველ სტუდენტობას, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავზე ევლებოდნენ მას“[2].

ილიას ლექსში „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ პოეტურად ამეტყველებულია ფიქრი და გატაცებანი, რომლებიც ავტორთან ერთად, საერთო იყო იმდროინდელი ყველა ქართველი სტუდენტისათვის. ლექსისათვის დამახასიათებელია ადამიანის ღირსების დასაცავად არსებული სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ შეუ-

---

[1] ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1935 წ., გვ. 563.

[2] ნიკო ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ს. ხუნდაძის რედაქციით, ტ. I, 1931 წ., გვ. 95.

პოეტი ბრძოლის იდეა. იმავე სტრიქონებიდან სრულიად გარკვეით ისმის კეთილშობილური პატრიოტიზმის მოტივი. ახალგაზრდა პოეტი ამბობს:

დიდს არ გავექელვინებით
და მხარს მიესცემთ პატარასა;
ძალას გულდაგულ გავხვდებით
და თაყვანს ვსცემთ სამართალსა...

მამულისა შვილნი ჩვენც ვართ
და მიტომ ვზრდით ჭაბუკს სულსა,
რომ ოდესმე გამოვადგეთ
დაობლებულს ჩვენს მამულსა.

მოტანილი ნაწყვეტებიდან კარგად იგრძნობა მომავალი დიდი მოღვაწის ფიქრი და ზრუნვა დაობლებული მამულის საკეთილდღეოდ.

* * *

1859 წლის ზაფხულში, ავადმყოფობის გამო, ახალგაზრდა პოეტი პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოდის რამდენიმე თვით. ამ პერიოდიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია იმდროინდელ ჩვენს საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებას. ეს ფაქტია 1859 წელს ილიას მიერ ცოცხალი სურათების მოწყობა.

ორმოცდაათიანი წლების ქართული თეატრის დახურვა უდიდესი დანაკლისი იყო ეროვნული კულტურისათვის. მუდმივი ქართული თეატრი მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში განახლდა. თბილისის გიმნაზიის დარბაზში, სადაც 1850 წლის 2(14) იანვარს პირველი ქართული წარმოდგენა გაიმართა, 1859 წლის ზაფხულში ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით მოეწყო ცოცხალი სურათები შექსპირის „მეფე ლირიდან". საღამო დიდი წარმატებით ჩატარდა. პეტრე უმიკაშვილის გადმოცემით, „ცოცხალ სურათებს თბილისის საზოგადოება ინტერესით მოაწყდა და დიდად კმაყოფილიც დარჩა".

სამშობლოდან მეორედ გამგზავრების შემდეგ ილია კიდევ მეტი მონდომებით განაგრძობდა სწავლას. იმავე დროს იგი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობასაც ეწეოდა.

სტუდენტობის პერიოდიდან საჭიროა ცალკე გამოიყოს რამდენიმე ეპიზოდი, რომელიც წარმოდგენას მოგვცემს მომავალი მწერლის იმდროინდელ პირად ცხოვრებაზე. ეს ფაქტები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენდნენ ახალგაზრდა ილიას შემდგომ იდეურ ზრდასა და ამაღლებაზე.

1860 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში გარდაიცვალა ილიას ძმა

თეიმურაზი, რომელიც კადეტთა კორპუსში სწავლობდა. ბუნებრივია, რომ ჩვენმა პოეტმა მძიმედ განიცადა საყვარელი ძმის დაკარგვა. წერილში მამიდისადმი, რომელიც იმავე წლის 14 მაისითაა დათარიღებული, ილია იწერებოდა:

„თქვენი წიგნი მომივიდა ფულით და, როგორც ჩანს, მაშინ არა გცოდნიათ ჩემი უბედურობა. მაშიდაჯან! რა დაუშავეთ ეგრეთ ღმერთსა, რომ ეგრე უწყალოდ და შეუბრალებლათ გვიწამლავს დღეებს ამთვენ ტანჯვით. ჩემი პატარა თემური სადღა არის, მამიდაჯან! დაეკარგე საუკუნოთ პირველი და უკანასკნელი ძმა. მერე რა ძმა?!. ვეღარა გნახავთ ის საწყალი და უბედური; ნეტავი თავის ქვეყანაში, გარშემორტყმული ნათესავებით მაინც მიცვალებულიყო. ვაიმე ჩემო პატარა ძმაო, ჩემო კარგო და ჭკვიანო თემურა, რაზედ გამაობლე და დამაგდე, შენ წახვედი, მოგვშორდი და შენ მაგიერ დაგვიგდე ნუგეშათ ცრემლი და წუხილი.

„მაგრამ რაღას უშველით, მამიდაჯან! ღვთის ნება და ღვთის რისხვა აღსრულდა ჩვენზედ! რა ვქნათ? რაც გამოვზრდილვარ, სულ სიკვდილი მესმის გარეშემოდამ. სიკვდილის მეტი ბედი არ დაგვყოლია ჩვენ, მადლობა ღმერთს ამგვარ ბედისათვის, ნუ იწუხებთ მაშიდაჯან, ამ ცხოვრების ღელვისაგან ბევრი მოგითმენიათ და უსეც მოითმინეთ.

„მე ვერა ვარ კარგად. ჩემი სიმრთელეც ძალიან დაშლილია. თუ ღმერთმა ბოლო არ მამიღო, კვლავ ამ დროს დავბრუნდები შინ კურს გათავებული. მაგრამ მარტო მე მოვალ შინ, მამიდაჯან, და თქვენი პატარა თემურა საუკუნოდ დარჩება აქ“[1].

პოეტი მწარედ დასტირის ძმის სამარეს აგრეთვე ლექსში „ძმის სიკვდილზედ“, რომელიც იმავე 1860 წელს დაიწერა. ჩვენი ავტორი უდროოდ დაღუპული ძმის მისამართით ამბობს:

შენთან დავმარხე, ჩემო თემურ, ყოველიფერი!..
ქვეყნად ნუგეშად დამშთა მხოლოდ მე ცრემლი მწარე,
სალოცავადა, ძმაო, შენი ობოლი მტვერი
და უცხო ქვეყნად მდგომი შენი წმინდა სამარე!..

* * *

1860 წლის ზაფხულში ილია ცარსკოე სელოში უკატერინე დადიანის ოჯახს ესტუმრა. ეკატერინემ ილიას წააკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ხელნაწერთა კრებული. იმავე ოჯახში ილია

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 19.

ნ. ბარათაშვილის ცხოვრების ზოვიერთ ეპიზოდსაც გაეცნო. მართალია, დღეს ჩვენ არ მოგვეპოვება დაწვრილებით მითითებანი იმაზე, თუ სახელდობრ რა ცნობები მიიღო ილიამ ეკატერინე ჭავჭავაძისაგან, მაგრამ უდავოა, რომ ისინი ამ საუბრებში ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების თემას გვერდს ვერ აუვლიდნენ. ეკატერინე დადიანის ოჯახში სტუმრობაზე ილიას მეგობარი კოხტა აფხაზი მოგვითხრობს:

„ზაფხულობით ჩვენი ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა დროს და ჩვენც, მე და ილია, ზაფხულობით იქ ვიმყოფებოდით ხოლმე. მახსოვს, ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბატონ დადიანისას... ქალბატონმა დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს, ბარათაშვილის საკუთარი ხელნაწერი. ეს ლექსები იყო: „ქ ა რ თ ლ ი ს ბ ე დ ი“ და „მ ე რ ა ნ ი“. ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“[1].

მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოტანილი სტრიქონების ავტორი სიტყვაძუნწობს. როგორც არ უნდა იყოს, ამ მშვენიერ მოგონებას ერთგვარად ავსებს და აფართოებს თვითონ ილიას მგრძნობიარე ლექსები ალექსანდრე ჭავჭავაძესა და ნიკოლოზ ბარათაშვილზე, რომელნიც ამ შემთხვევით გამოწვეული უშუალო განცდებითაა შექმნილი. 1860 წლის ივლისში დაიწერა ილიას აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილი ლექსი „ალექსანდრე ჭავჭავაძე“. ლექსის ერთი ნაწილი ასე იკითხება:

მისი ლექსი შვებით, ლხენით
ხან ღონდება ნაზ ქალსავით
ხან მეჯლისში მოჰფრინდება.
უიმედო სიყვარულით,
გულს ჩაგეკვრის, ჰლაღობს, ჰხარობს,
ხან იფეთქებს ჭაბუკსავით
გამღერებს და ამღერდება;
და განდევნის სევდას გულით.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი გულთბილი დამოკიდებულება ილიამ ბოლომდე შეინარჩუნა. მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში იგი აქტიურად მონაწილეობდა პირველი ქართველი რომანტიკოსის თხზულებათა შეკრებისა და გამოცემის საქმეში. მანვე ალექსანდრე ჭავჭავაძეს დიდი ადგილი დაუთმო თავის ცნობილ წერილებში მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე.

[1] ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1935 წ., გვ. 564.

კოხტა აფხაზის გადმოცემით, დადიანის ოჯახში სტუმრობის შემდეგ ილია მთელი ერთი კვირის განმავლობაში „ჰბოდავდა ბარათაშვილით". სწორედ ამ „ბოდვის დღეებში" დაიწერა მისი მგრძნობიარე სტრიქონები ნიკოლოზ ბარათაშვილზე:

ხალხო ობოლო, შენ მებრალები,
რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა
და განგაშორა თვისი სხივები!..
როს წარვიკითხე მისი ლექსები,
აღმოვიკვნესე დაობლებულმა!

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ილიას ლექსი „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ". მან უდროოდ და უთვისტომოდ დაღუპულ მგოსანს „მკვდრეთით აღდგომა" და სამარადისო დიდება უწინასწარმეტყველა:

ვაი ჩვენ, თვარემ შენ მით მაინც ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც აღგადგენს შენა.

ასეთია ილიას ერთადერთი სტუმრობა ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ოჯახში.

* * *

ილია ჭავჭავაძე სტუდენტობის პერიოდში ინტერესით ადევნებდა თვალყურს საერთო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენებს. განსაკუთრებით საინტერესოა მისი დამოკიდებულება იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი. ქართველი მწერალი სიმპათიურად იყო განწყობილი იტალიის გამაერთიანებელი და განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურისადმი, ცნობილი გარიბალდისადმი.

გარიბალდისადმი გულითადი დამოკიდებულება შემთხვევითი მოვლენა სრულიადაც არაა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მომავალი მედროშე თაყვანს სცემდა სხვა ქვეყნების ანალოგიურ ბრძოლებსა და მათ გმირებს. სწორედ სტუდენტობის დროს (1860 წ.) შეიქმნა ილიას ლექსი „მესმის, მესმის სანატრელი". ახალგაზრდა პოეტმა იტალიელი ხალხის ეროვნულ ბრძოლას ხალხთა დამმონებელი ბორკილების მტვრევა უწოდა და თანაც ინატრა, რომ ასეთივე მტვრევის ხმა საკუთარ სამშობლოშიც გაეგონა. იგი წერდა:

ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!

ილია იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და მის სახელოვან მეთაურებს არაერთგზის იხსენიებს მომდევნო პერიოდში გამოქვეყნებულ წერილებშიც. 1882 წლის სექტემბრის შინაურ მიმოხილვაში მწერალმა მსოფლიოში ყველაზე გამოჩენილ ადამიანთა შორის პირველ რიგში გარიბალდი დაასახელა. იგი ამბობდა:

„განათლებულმა ევროპამ დიდი ხანია ჩვეულებად მიიღო ამისთანა კაცების მიმართ პატივისცემისა და სიყვარულის გამოცხადება საჯაროდ, საქვეყნოდ. ვის არ ახსოვს გარიბალდის სადღესასწაულო მსვლელობა იტალიაში, მინამ ცოცხალი იყო; ვის არ ახსოვს საქვეყნო გლოვა იტალიისა, როცა იგი დიდებული გმირი იტალიისა მიიცვალა?“[1].

1886 წლის 19 თებერვლის მოწინავე წერილში ილია კვლავ ეხებოდა იტალიის გაერთიანების ისტორიას და იგი განსაკუთრებული სიმპათიით იხსენიებდა კაეურისა და გარიბალდის. მისი სიტყვით, კავური იყო ჭკუა, ხოლო გარიბალდი — ხმალი იტალიისა. იტალიის ეროვნული გაერთიანებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა დასახასიათებლად იგი წერდა:

„იმოდენა მაგალითი ახოვანებისა, დიდსულოვნებისა, თავდადებისა, რამოდენაც იტალიის გმირი გამოიჩინეს თავისის ქვეყნის გაერთიანებისთვის, ბევრს სხვა ერს არ გამოუჩენია, მრავალმა გამოჩენილმა კაცმა იტალიისამ თავი შეაკლა, მრავალმა თავისი საკუთარი ბედნიერება მტლად დაუდო ამ დიდს საქმეს შეერთებისას, და მათმა ღვაწლმა და თავის სამშობლოსთვის დაჭცეულმა სისხლმა ამაოდ არ ჩაუარათ. დღეს იტალია გაერთებულია და კარგა მოზრდილს სახელმწიფოს შეადგენს, თვით იტალიელთა თავმოსაწონებელსა და ევროპის სახელმწიფოთა შორის ხმის მქონებელსა. ამ შეერთების მახლობელი განმახორციელებელი ორი კაცი იყო: ერთი კავური და მეორე გარიბალდი. პირველი იყო ჭკუა და მეორე — ხმალი იტალიისა“[2].

იტალიის მდგომარეობისა და მისი გმირების მოტანილი დახასიათება მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში იწერებოდა. ამ დროს ილია უკვე საყოველთაოდ აღიარებულია როგორც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური. ამდე-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1955 წ., გვ. 183.

[2] გაზეთი „ივერია“, 1886 წ., № 40. იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, 1957 წ., გვ. 89.

ნად იტალიის ამბებზე მსჯელობა ბუნებრივი გამომხატველია ჩვენი მწერლის საერთო პოლიტიკური მრწამსისა.

* * *

პეტერბურგის უნივერსიტეტში გატარებულ წლებს ილიასათვის, როგორც მომავალი მოღვაწისათვის, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო, ერთი მხრივ, განათლების, იდეური ზრდის, ამაღლებისა და ჩამოყალიბების, ხოლო მეორე მხრივ — პირად ცხოვრებაში მთელი რიგი სიძნელეების, ადამიანური სასოწარკვეთილების, ხან კიდევ ჭაბუკური სილაღისა და გატაცების პერიოდი.

ინტერესს მოკლებული არაა აქ გავიხსენოთ ილიას ერთი რომანი, რომელიც მან სტუდენტობის პერიოდში განიცადა. ამ დროს ჩვენს ავტორს შეყვარებია გენერალ ჩაიკოვსკის ქალიშვილი სოფიო. კოხტა აფხაზი მოგვითხრობს:

„პეტერბურგში ილია მეტად აღტაცებული იყო გენერალ ჩაიკოვსკის ქალით. ამ ოჯახში ხშირად დავიარებოდით და კარგადაც გვიღებდნენ და გვექცეოდნენ. მახსოვს, როდესაც პირველად მოვემზადეთ ამათთან სადარბაზოდ წასასვლელად, დიდ გაჭირვებაში ვიყავით. ერთი მუნდირი გვქონდა, და მარტოკა არც მე მინდოდა წასვლა, არც ილიას. გადავწყვიტეთ, დავიჭიროთ კარეტა. ერთად წავიდეთ და სახლთან რომ მივალთ, ჯერ ერთი შევიდეს მუნდირით, მეორემ კი კარეტაში მოუცადოს. როდესაც პირველი დაბრუნდება კარეტაში, გადასცემს მუნდირს ამხანაგს, ახლა ეს ჩაიცვამს და წავა სადარბაზოდ. ამგვარად დავაღწიეთ თავი უხერხულ მდგომარეობას“[1].

ამ სატრფიალო გატაცების სისრულით გათვალისწინებისათვის საინტერესოა მომავალი დიდი მგოსნის ერთი პირადი ბარათი დისადმი. ილია თავის დას ნინოს სწერდა:

„ერთი რამა მაქვს შენთვის სათხოვარი და თუ გიყვარდე. თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს, ამისრულე. ერთმა ქალმა ქალური ვერცხლისა ქამარი მთხოვა ხანჯლითა და დავპირდი. შენი პირიმე. ნინუცი, ნუ გამატყუნებ იმ ქალთან, მერე უნდა იცოდე. რა ქალია! იმათ ოჯახში, როგორც შვილი ისე ვარ მიღებული. ასეთი დედ-მამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარეს. თუ შეიძლება. შენი სულის პირიმე ნინო, საალდგომოდ გამომიგზავნე: ვიცი რომ გიყვარვარ, თუმცა

[1] ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1935 წ., გვ. 565.

ცოტა ხელის მოჭერა გიყვარს, მაგრამ ჩემი სიყვარული გაგაბედინებს"[1].

ამ რომანის შემდგომ განვითარებაზე აღარაფერი ვიცით. ფაქტი ისაა, რომ ახალგაზრდა მწერალი პეტერბურგიდან სამშობლოში უცოლოდ დაბრუნდა. სტუდენტ ილიას სასიყვარულო გატაცებამ თავისი კვალი დატოვა მის პოეტურ შემოქმედებაში. ამ შემთხვევის გამოა დაწერილი ლექსები: „ს...ჩ... სას (სატრფოვ! ხშირად ლაღი ფიქრი)" და „ჩ...სას (უცხო თემის ყარიბ მთქმელსა)". პოეტი ოცნებით თავს ევლება ჩრდილოეთის ლამაზ ასულს, რომელმაცაო, — ამბობს ავტორი: —

ერთხელ მითხრა: „ცხოველს ქვეყნის „მე ჩრდილეთის ველზედ ვყვავი,
ივერიის შობილი ხარ; ზამთრის სუსხით დაჩაგრული;
მაღალ მთების ქარიშხალით, შენს მხურვალს გულს ვითა გასცემს
ელკით, ჰქონით გაზრდილი ხარ. პასუხს ჩემი ცივი გული?!

ძნელი სათქმელია რუსი ქალიშვილის ასეთი პასუხი რომანის დასაწყისია თუ დასასრული; პირველი გაუბედაობა თუ საბოლოო განაჩენი გულის ტოლისა. ყოველ შემთხვევაში, ამ პირადი წერილის გამოგზავნის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ჩვენი პოეტი კვლავ პეტერბურგში ცხოვრობდა.

ილია ჭავჭავაძის სტუდენტობის პერიოდიდან ინტერესს მოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ იგი ამ დროს მატერიალურად ურთგვარ ხელმოკლეობას განიცდიდა. პოეტი თავის იმდროინდელ პირად წერილებში ხშირად უჩივის უფულობას. ერთ შემთხვევაში დისადმი გამოგზავნილ პირად ბარათში იგი იწერება: „კუტრობაზედ ნურას მომწერთ, თითონ მე კარგად ვიცნობ, რა წითელი კოჭიცა ბრძანდება. ჩემ ჯიბეში ნეტავი ჩამოგახედა, რა ამბავია, რუსეთულ თაგვებს ისეთი ჯირითა გააქვსთ, რომ მეტი არ იქნება. ღმერთმანი, ჭრელ-ჭრელ მანეთებს წამოჰკრავენ ფეხს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს! ისეთი მოწმენდილია იქაურობა, რომ ყაბახის მოედანზედ არ იქნება ისე"[2].

* * *

პეტერბურგის უნივერსიტეტში გატარებული წლები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ილია ჭავჭავაძის იდეური ზრდისა და ჩამოყალიბების თვალსაზრისით. მომავალი დიდი მწერალი სწორედ

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 9.
[2] იქვე, გვ. 8.

სტუდენტობის დროიდან უშუალო მხილველი გახდა იმ ბრძოლისა, რომელსაც რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები ბატონყმობისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აწარმოებდნენ. მან სამშობლოში დაბრუნებამდე უკვე ბატონყმური მონობის გაუქმებაც ნახა.

ილია ჭავჭავაძე სტუდენტობის პირველი დღეებიდანვე დაწაფებული იყო ცნობილი რევოლუციონერ-დემოკრატების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა და ნეკრასოვის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

შემთხვევითი არც ისაა, რომ ჩვენი ავტორი დადებითად აფასებდა რუსული ლიტერატურისა და მოწინავე საზოგადოებრივი აზრის გავლენას საქართველოს კულტურულ ცხოვრებაზე. ერთ წერილში, რომელიც 1889 წელს გამოქვეყნდა, იგი ამბობდა:

„თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზეგავლენისაგან“.

ილია ჭავჭავაძე იმავე წერილში სავსებით ნათლად ამბობდა, რომ ქართველ მწერლებს სხვათა ნააზრევი საკუთარ ქვეყანაში ბრმად და განუკითხავად არასოდეს არ გადმოუტანიათ. ისინი რუსული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის მონაპოვარს კრიტიკულად აფასებდნენ, მრავალგზის ამოწმებდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ იღებდნენ მშობლიურ ქვეყანაში დასანერგავად. იგი წერდა:

„ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი ჩვენში, რუსულ ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწურთნილნი, ასე ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზედმოქმედებას. ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ამას არ დასჯერებიან: იმავ კრიტიკით და გამოძიებით მხარდამხარ ასდევნებიან ამ ლიტერატურის წინსვლასა, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანაზედ“[1].

რუსეთის გზით საქართველო დასავლეთ ევროპის მოწინავე მწერლობას ეზიარა. ქართველი მწერლები ევროპულ ლიტერატურას არა

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 369-370.

მხოლოდ ეცნობოდნენ, არამედ მის საუკეთესო ნიმუშებს თარგმნიდნენ და აქართულებდნენ კიდეც. რუსულ და ევროპულ ლიტერატურასთან დაახლოებას ქართული მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

* * *

ილია ჭავჭავაძის პირველი ლიტერატურული ცდები, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ ბავშვობის ხანას ეკუთვნის. სტუდენტობის პერიოდში იგი საბოლოოდ ყალიბდება როგორც მწერალი. ლიტერატურული პროდუქციის თვალსაზრისით სტუდენტობის წლები მდიდარი და მრავალფეროვანია. იმ დროს ახალგაზრდა პოეტს უკვე დაწერილი ჰქონდა ორმოცდაათზე მეტი ლექსი. იმავე პერიოდშია შექმნილი პოემა „კაკო ყაჩაღი" და პირველი ვარიანტები „აჩრდილისა" და „ქართვლის დედისა". იმავე ხანებში მუშავდებოდა ვარიანტები, რომელთაგან მწერალმა შემდეგში ორი დიდი მოთხრობა — „კაცია. ადამიანი" და „გლახის ნაამბობი" ჩამოაყალიბა.

ილიამ სტუდენტობის პერიოდში ერთგვარი ხარკი მისცა სატრფიალო-რომანტიკულ პოეზიას. ამ ნიშნის მატარებელია მისი ლექსები: „გაზაფხული", „სიმღერა", „მეც შავს თვალებს", „ერთხელ ჯდა ჩემთან ქალი ლამაზი", „დაკარგული ედემი" და სხვები. მალე, იმავე სტუდენტობის პერიოდში, მისი შემოქმედების საგნად ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენები იქცევა.

1860 წელს ილიამ დაასრულა პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ". ნაწარმოებში გულში ჩამწვდომი სიმართლით არის გადმოცემული ბატონყმური ურთიერთობის მთელი სიმძიმე. ყმის ადამიანური გულისთქმის, მისი კაცობრიული მისწრაფებებისა და ბრძოლის ეს დიადი ეპოპეა სწრაფად ვრცელდებოდა გლეხთა ფართო მასებში; ვრცელდებოდა იმდენად, რომ ბოლოს და ბოლოს ხალხმა თხზულებას სათაურიც შეუცვალა, მისი ერთი გმირის სახელი უწოდა („კაკო ყაჩაღი") და მას ხალხური „არსენას ლექსის" მსგავსად იზეპირებდა.

იმავე 1860 წელს დაიწერა ილიას ლექსი „მუშა". ამ ლექსით ჩვენი ავტორი პირველი გამოეხმაურა ყოფა-ცხოვრებას ქართველი გლეხისა, რომელიც ბატონის მათრახს გამოქცეული ბედის საძიებლად ქალაქს მიეშურებოდა. ამ ლექსმა ქართულ ლიტერატურას ახალი თემა მისცა, თემა ახალი ტიპის მუშაკაცის უნუგეშო ყოფისა. იმავე სტუდენტობის პერიოდში ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში ფეხს იკიდებს და ვითარდება ეროვნული თავისუფლების

მოტივი. ამ დროს იწერება მისი ცნობილი ლექსები: „ქართვლის დედას", „ჩემი თარიალალი", „ელეგია", „ნანა", „მესმის, მესმის სანატრელი..." და სხვები.

ლექსს „ქართვლის დედას" ავტორმა ეპიგრაფად წაუმძღვარა ცნობილი ფილოსოფოსის ლაიბნიცის სიტყვები: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა". პოეტმა ქართველი დედის უმაღლეს მოვალეობად დასახა აღზრდა ისეთი შვილისა, რომელსაც შეეძლება „სახელისათვის ამაყი თრთოლა, მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა". აქ, ამ ლექსშია მოცემული ის საპროგრამო სტრიქონები, რომელნიც შემდეგში მოქმედების დევიზად იქცა როგორც ილიასათვის, ისე საზოგადოდ მთელი იმდროინდელი მწერლობისათვის:

მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

ლექსში „ნანა" ქართველი დედა შვილს აკვანშივე უმღერის მამულისათვის თავდადების ჰიმნს:

ჩემის მამულისათვის მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
მისი სიკეთისათვის გაგწირავ და გაბრძოლებ.

მოტანილი სტრიქონები და, საზოგადოდ, ეს ლექსი მთლიანად ერთგვარი წინასიტყვაობაა იმ კეთილშობილური პატრიოტიზმისა, რომელიც მწერალმა გაშალა თავის აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილ დრამატულ პოემაში „ქართვლის დედა".

1860 წელს არის დაწერილი ილია ჭავჭავაძის ლექსი „იანიჩარი". ამ ლექსის გამო მკვლევარი პავლე ინგოროყვა თავის მეცნიერულ კომენტარებში წერს:

„ილიას სტუდენტობის ხანაში, პეტერბურგში ყოფნის დროს, ჩანს. უნახავს ქართველი კანვოელების ვარჯიშობა, და ამას შთაუგონებია ილია დაეწერა ეს ლექსი, რომელიც თავდაპირველად ატარებდა ასეთ სახელწოდებას: „კანვოელი"[1].

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1951 წ., გვ. 386. როგორც ჩანს, ილიასათვის კანვოელთა ცხოვრება კარგად ცნობილი უნდა ყოფილიყო. იგი 1873 წელს თავის მეუღლეს პეტერბურგიდან სწერდა: „წარსულ ორშაბათს კანვოელებმა დამპატიჟეს, ქართული სადილი გამიკეთეს, მშვენიერის სიმღერით, თარით და ჭიანურით შემაქციეს, ქებაც შემასხეს, მაგრამ ჩვეულებრივ ეს ქება უფრო მეწყინა, ვიდრე მიამა. მეჯავრება მე მაგისთანაები, მაგრამ რას უზამ ჩვეულებას, რომელიც რჯულთ უმტკიცესიაო" (იხ. ტ. X, 1961 წ., გვ. 313).

„იანიჩარი“ მკითხველს დასაწყისიდანვე იპყრობს და თავის ორბიტაში აქცევს. ლექსის პირველი სტრიქონიდან უკვე ვხედავთ ყარაბაღულ მერანს, რომელიც „მიჰქრის, მიფრინავს, მიჭექავს...“ იქვე ნათქვამია, რომ „მასზედ ჰზის ივერიელი ჭაბუკი ვინმე ჩაუქი“. შემდეგი სტრიქონებიდან ჯერ ვხედავთ, რომ რაღაც საგანმა უეცრად „ჰაერში გაიკრიალა“ და შემდეგ კი ვიგებთ: თურმე ჰაერში იმავე ჭაბუკმა მხედარმა „თოფი თავისი შეაგდო, შეატრიალა“.

ქართველი ჭაბუკის სანაქებო მხნეობა და შემართება ერთგვარად დასრულებულ სახეს ღებულობს ლექსის მომდევნო ნაწილში. იქ ვკითხულობთ:

მერე ლამაზად ხან მარცხნივ, ხან ზედვე შეჰფრინდებოდა.
ხან მარჯვნივ გადმოწვებოდა, შეენოდა იგი ჭაბუკი
ხან ცხენიდამა ხტებოდა, ცხენზედა ვით ალვა რგული.

ლექსის დასასრულ სტრიქონებში გამოსახულია ავტორის მიმართება იმავე იანიჩარისადმი. პოეტი სავსებით აშკარად გვაგრძნობინებს, რომ მას ქართველი ჭაბუკი მხედრის სიჩაუქე არავითარ სიამოვნებას არ ჰგვრის. პირიქით, ივერიელი მხედრის სიმხნევე-სიკისკასე ჩვენს ავტორს გულს უკლავს მხოლოდ. იგი ყოველგვარი შეფარვის გარეშე ამბობს: „მე მის მჭვრეტელს ნაღვლით ამერია სული, გული“. დაბოლოს ჩვენი პოეტი იმავე იანიჩარს მიმართავს:

ვსთქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, შენი რაა, რომ ამშვენებ
ვისთვის იჩენ სიმარდესა? შენს დამღუპველს ოსმალეთსა?

ასეთია ილიას ლექსი „იანიჩარი“.

ილიას სტუდენტობისდროინდელი მხატვრული შემოქმედების ერთგვარ გვირგვინს წარმოადგენს მისი ცნობილი ლექსი „პოეტი“. ამ თხზულებაში ჩაქსოვილია მთელი შეგნება, მოქმედების მთელი პროგრამა მომავალი დიდი მოღვაწისა, რომელსაც ერის წყლული საკუთარ წყლულად მიაჩნია და რომელმაც მშობლიურ ხალხს ტანჯვის ცრემლი უნდა მოწმინდოს.

1861 წლის გაზაფხულზე ახალგაზრდა პოეტი სამშობლოში ბრუნდება, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა გამოსვლები ხდება. ილია თავის ავტობიოგრაფიაში მოგვითხრობს: „1861 წელს უკვე მეოთხე კურსზე ვიყავ, მაგრამ გავანებე თავი უნივერსიტეტს მაშინდელ საუნივერსიტეტო არეულობის მიზეზით“.

მწერალს მხედველობაში აქვს სტუდენტთა მოძრაობა, საპროტესტო კრებები და დემონსტრაცია, რომელსაც 1861 წელს ადგილი ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. ჩვენს ავტორს სტუ-

დენტთა გამოსვლებში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, რაღგან იმ დროს საქართველოში იმყოფებოდა.

თავისთავად იგულისხმება, რომ ილია ამ მოძრაობის ჩასახვის პირველი დღეებიდანვე მისი მონაწილე იყო. ბუნებრივია ისიც, რომ სტუდენტთა მოძრაობის ჩახშობის შემდეგ მწერალი უნივერსიტეტში აღარ დაბრუნებულა, რაც თავისთავად იქ დამყარებული ახალი რეჟიმისადმი პროტესტის აშკარა გამოხატულება იყო. ამგვარი პროტესტის გამო უნივერსიტეტის მმართველობამ ილია სტუდენტთა სიიდან ამორიცხა.

ილია ჭავჭავაძე სამოციან წლებში

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლები დიდი გარდატეხის ეპოქაა ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. ამ დროიდან ასპარეზზე გამოდის ახალი ლიტერატურული თაობა, საბოლოოდ მკვიდრდება კრიტიკული რეალიზმი. ეს გარდატეხა სრულიად კანონზომიერი შედეგია იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარებისა. სამოციანი წლებიდან ძლიერდება ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლა. იმავე დროს კიდევ უფრო მწყობრი და თანამიმდევრული ხდება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელთანაც დაკავშირებულია ყველა მოწინავე მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ახალი მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებული მეთაური, მისი იდეური ხელმძღვანელი და დიდი პრაქტიკული მოღვაწე ილია იყო.

ეროვნული თავისუფლების იდეით შთაგონებული ქართული მწერლობა გაბედულად გამოდიოდა აგრეთვე სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ამდენად, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურისათვის ძირითადი და განმსაზღვრელია ეროვნული თავისუფლების იდეა, რომელსაც ავსებს, აღრმავებს და აფართოებს სოციალური, კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივი.

პეტერბურგიდან საქართველოში მომავალი მწერლის შინაგანი განცდების, მაღალი მისწრაფებებისა და გულისთქმის გამომხატველია მისი ცნობილი თხზულება „მგზავრის წერილები“, რომელიც სამართლიანად არის აღიარებული როგორც ახალი ქართული ლიტერატურის საპროგრამო ნაწარმოები.

„ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი

წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა. ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული".

„მგზავრის წერილების" წერის მომენტში, ავტორის მდგომარეობა, მისი შინაგანი ადამიანური განცდები უფრო ღრმა და სერიოზულია, ვიდრე მაშინ, როცა იწერებოდა „ყვარლის მთებს". შეგნება მოვალეობისა ახლა მეტია. მწერალი მთელი პასუხისმგებლობით ითვალისწინებს მშობლიური ერის წინაშე მოვალეობას და თავის თავს უსვამს კითხვას:

„შევძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო: რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი, და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვას მამულისშვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზე ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია, შენმა ქვეყანამ საქმე. რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ? — ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდეც. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი".

მკითხველზე მომხიბვლელ შთაბეჭდილებას ახდენს „მგზავრის წერილების" ის ადგილი, რომელშიც მთა მყინვარისა და მდინარე თერგის შედარება-დაპირისპირებაა გადმოცემული. იგი ადამიანს სულის სიღრმეში წვდება და ყველაზე კეთილშობილურ გრძნობებს აღუძრავს. მწერალი შთამბეჭდავად მოგვითხრობს საკუთარ ფიქრებსა და განცდებზე იმ მომენტში, როცა იგი, უცხოეთში ოთხი წლის ყოფნის შემდეგ, მშობლიურ ქვეყანას უბრუნდება.

სტეფანწმინდას მოსული მწერალი გატაცებით ათვალიერებს გარემო ბუნებას და ტკბება მისი მშვენიერებით. იგი ბუნებაში თავის ფიქრთა თანამოზიარეს პოულობს. „არიან ადამიანის ცხოვრე-

ბაში იმისთანა წუთნი მარტოობისა, — ამბობს ილია, — როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ".

დიდი ხნის განმავლობაში უნახავი სამშობლოს კვლავ ხილვით აღტაცებული მწერალი გრძნობით იმეორებს გრიგოლ ორბელიანის ცნობილ სტრიქონებს:

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა.

ამ ლამაზი ქვეყნის ბედზე დაფიქრებულ მგზავრ მწერალს თვალწინ წარმოუდგება ორი დიადი სანახაობა: ერთია ბუმბერაზი მყინვარი, ხოლო მეორე — მქუხარე თერგი. იგი ჯერ მათ პოეტურ აღწერა-დასურათებას გვაწვდის, ხოლო შემდეგ შედარება-დაპირისპირებას ახდენს. სწორედ მეორე, მყინვარისა და თერგის ურთიერთდაპირისპირება, არის განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანი, რადგან ამ დაპირისპირებაშია გამოხატული ავტორის მაღალი საკაცობრიო იდეალები.

დიდებულია მყინვარი. მის მაღალ შუბლს ხშირად ღრუბელიც ვერ ფარავს და იგი „თეთრად და აუმღვრევლად" გამოიყურება. „აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედამიწა ქალამნადაო. ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრევლად. ერთის მუჭის ოდენი ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალს შუბლს, მის ყინვით შეეერცხლილს თავსა. ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათიდა, ერთს ალაგს გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულს სახეს განუცვიფრებიაო".

მგზავრი ავტორის ყურადღებას იქცევს ბუმბერაზი მთა, რომელსაც ძირი დედამიწაზე უდგას და თავი ცისათვის მიუბჯენია. მას სამართლიანად აოცებს თმაშეეერცხლილი გოლიათი, მაგრამ ეს დიდებული სანახაობა მწერალში მხოლოდ გაკვირვებას იწვევს და არა სიყვარულს, ილია პირდაპირ ამბობს, რომ მყინვარი მთელი თავისი დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი.

მყინვარის დიდებულს, მაგრამ ცივსა და მიუკარებელ სახეს მწერალმა გიჟი და მოუსვენარი თერგი დაუპირისპირა. იგი ამბობს, რომ მას არ უყვარს „არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ განდგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი".

ილია შთამბეჭდავად ამბობდა, რომ მყინვარი მის არსებაში გაკ-

ვირვებას იწვევდა, ხოლო თერგი — სიყვარულს. რითი იმსახურებს თერგი ამ სიყვარულს? — რაღა თქმა უნდა, მხოლოდ იმით, რომ მწერალი მასში გაღვიძებული ცხოვრების სახეს ხედავს. თერგის შღვრიე ტალღებში ავტორი ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებას წარმოიდგენს. სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენს მწერალს ცხოვრებისაგან განდგომილ მყინვარს ცხოვრებასავით მღელვარე თერგი ურჩევნია. იგი პირდაპირ ამბობს:

„მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს, არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარ ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა, პატარა ხანს დადეგ. თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“.

თერგის ჩივილში, გაღვიძებული ადამიანის ჩივილი ისმის და მწერლის გულისთქმა მდინარის მოუსვენარ ხმაურს უერთდება. „ამ ღამეს ვგრძნობ, — ამბობს იგი, — რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა. გული მიტოკს და მკლავი მითრთის“.

ამ სიტყვებიდან ნათლად ისმის ხმა ადამიანისა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე გამოდის და ამ ძლიერი ხმით თავისი ძილსმიცემული ქვეყნის გამოღვიძება სწადია. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1859 წელს დაწერილ ლექსში „ელეგია“ ახალგაზრდა პოეტი თავისი მიძინებული ქვეყნის მდგომარეობას ასე ახასიათებდა:

არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!..
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
ზოგჯერ-კი ტანჯვით ამოძახილი
ქართველის ძილშია კვნესა ისმოდა!

ამ ძილის წინააღმდეგაა მიმართული მწერლის შეგნება და იგი ყოველთვის უპირატესობას მოძრაობას ანიჭებს. მოძრაობისა და ადამიანის აქტიური ცხოვრების იდეა შემდგომ გაღრმავებას პოულობს თხზულების იმ ნაწილში, რომელშიც მოცემულია დღისა და ღამის დაპირისპირება. ბნელს, მშვიდობიანსა და უშფოთველ ღამეს მწერალმა ტანჯვით, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახით აღსავსე დღე დაუპირისპირა.

„დაღამდა, — ამბობს მწერალი, — მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა“. ღამემ ქვეყანას ბნელი ფარდა დაჰხურა. ამ ფარდის ქვეშ ამოქმედდებიან ბოროტი ძალები. დგება ჟამი კუდიანების სერობისა, სადაც მარტოოდენ უვიცობისა და სიბნელის სადღეგრძელოები ისმის. ამ ბნელი ფარდის ქვეშ ქვეყნის მტარვალი ბორკილებს ჭედავს ადამიანის დასამონებლად. ამიტომაც მწერალს, როგორც ქვეყნის შვილს, შიშისა და უსიამოვნების გრძნობას ჰგვრის ბნელი ღამე. გულის სიღრმიდან მოდის მისი ჭეშმარიტად ადამიანური ღაღადისი:

„არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსებულიყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურებაც ადამიანსა ქვეყანაზედ არ იქნებოდა. შენთა მოვლენათა დასცეს პირველად თავზარი ადამიანის გონებასა და დააფრთხეს იგი. მას აქეთ შეშინებულსა გზა თვისი ვერ უპოვნია, — და აჰა, იბრძვის ადამიანი ჯერ დღევანდლამდე ათასში ერთსა თავისი ერთხელ დამფრთხალი გონება ფრთხოლას ვერ გადაუჩევია. აი მიზეზი ქვეყნის უბედურობისა“.

ილია ჭავჭავაძემ მშვიდობიანსა და უშფოთველ ღამეს ნათელი დღე და ადამიანური სიცოცხლე დაუპირისპირა. „გათენდა. რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიჟრაჟო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ! მე მგონია, რომ, ამ დღეს ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაყუჩებულიყოს, მაგრამ თერგი მაინც ჰბღავის და იბრძვის“, — აღტაცებით ამბობს მწერალი.

ცოცხალი და შემოქმედი ადამიანია ყველაზე ძვირფასი და ყველაზე მიმზიდველი ჩვენი მწერლისათვის. მისი ფიქრი სწორედ ასეთ ადამიანს დასტრიალებს; იგია მისი შეუნელებელი ზრუნვის საგანი. მაშინ, როდესაც ღამის წყვდიადით იყო გარემოცული, პოეტი ამბობდა: „ადამიანი აღარა ჩანს ჩემს გარემოში. ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა, უადამიანოდო“, ახლა კი როცა გათენდა და ადამიანმა გამოიღვიძა, მწერლის სიხარულს საზღვარი არა აქვს. მისი გულითადი სურვილი ახლა მხოლოდ ისაა, რომ ადამიანი ამის შემდეგ არასოდეს აღარ მიეცეს დამღუპველ ძილს; ცხოვრებას თვალი არ მოუხუჭოს და ქვეყნის ვარამს მისდიოს.

მოძრაობისა და უმოძრაობის, დღისა და ღამის დაპირისპირებაში მოცემულია მწერლის სოციალური და პოლიტიკური შეხედულებანი.

მწერალმა საკუთარი თვალით ნახა რუს სამოციანელთა ბრძოლა ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ. იგი მოწმე იყო რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა და ნეკრასოვის მიერ გაჩაღებული ბრძოლისა მეცნიერებისა და ხელოვნების ცხოვრებასთან დაახლოებისათვის, საზოგადოებრივი წყობის დემოკრატიზაციისათვის.

ილიას წილად ხვდა სათავეში ჩადგომოდა მოძრაობას, რომელსაც ბატონყმური მონობისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი ქართველი ერი უნდა გამოეღვიძებინა. ხალხის მასების გამოფხიზლება იყო უმთავრესი საქმე ეპოქის მიერ ნაკარნახევი. სწორედ ამ მიზანს უმსახურება მისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სამოციანი წლების დამდეგიდანვე.

* * *

1860 წლის მიწურულს დაიწერა, ხოლო 1861 წლის აპრილში ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ურისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“. ეს სტატია იდეურად უშუალო კავშირშია „მგზავრის წერილებთან“. თუ „მგზავრის წერილებში“ ავტორი ბრძოლას უცხადებდა მშვიდობიან ძილსა და უსაქმურობას საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აპრილის სტატიით იგი ილაშქრებს იმავე ძილისა და უდარდელობის წინააღმდეგ კონკრეტულად მაშინდელ ქართულ მწერლობაში.

ილიას აზრით ლიტერატურა უნდა აღვიძებდეს და აფხიზლებდეს ხალხის მასებს. ერთი ქართველი კაცის ხსენებაზე იგი პირდაპირ ამბობს: „აი, მაგალითებრ, ყველაზე უმდარესი მწერალი უფალი ბერიევი, რომელიც გუთნისდედას აძინებს ხოლმე და ანუგეშებს, რომ ძილზედ უკეთესი არა არის ქვეყანაშიო, — ის კი არ აგონდება უფალ ბერიევს, რომ სულ მაგ ტკბილმა მამაპაპურმა ძილმა დაგვღუპა ჩვენ“.

ილია ჭავჭავაძემ ბრძოლა გამოუცხადა უსაგნო და ძილის მომგვრელ პოეზიას; გააკრიტიკა მისი შეზღუდულობა, ვიწრო სალონური კარჩაკეტილობა და მხატვრულ ლიტერატურას დაუსახა გზა ფართო საზოგადოებრივი სარბიელისაკენ. მან პოეზია აღიარა როგორც „განსახოვნება ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისა“.

ილიამ მწერლობის არსებით ამოცანად დასახა მხილება ცხოვ-

რების სიმრუდისა და ბოროტებისა. მისი აზრით, ამგვარი მსჯელება აუცილებელია თვითონ ცხოვრების გარდაქმნისათვის.

„მაშ, როგორ გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქმიანი მამულისმოყვარე, და არა ის, ვინც მეტისმეტად დამჟავებული სიყვარულის გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების ღვიარება ნახევარი გასწორებაა“, — ამბობდა იგი.

ილია ჭავჭავაძე 1861 წლიდან უკვე იწყებს ზრუნვას საკუთარი ჟურნალის დაარსებისათვის. 1862 წელს იგი, გრიგოლ ორბელიანის ხელშეწყობით, ახალი ჟურნალის გამოცემის ნებართვას იღებს. 1862 წლის ბოლოს ივანე კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნდა განცხადება „საქართველოს მოამბის“ დაარსებაზე. მომავალი რედაქტორი საზოგადოებას აცნობდა ჟურნალის მიზნებსა და ამოცანებს. იგი თავის განცხადებაში წერდა:

„მომავალ 1863 წ. იანვრის თვიდამ გამოიცემა თბილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. ამ ჟურნალში მთელი წლის განმავლობაში შემოვლენ შემდგომნი ნაწილები:

1. წმინდა სალიტერატურო: ლექსები, მოთხრობები, დრამები, კომედიები; ნამდვილი და ნათარგმნები.

2. ისტორიული: საზოგადო ისტორია. განსაკუთრებით ყურადღება მიიქცევა საქართველოს და ერთობ კავკასიის ისტორიაზე.

3. საპოლიტიკო და სოფლური ეკონომია: აქ ვეცდებით გავაცნოთ ჩვენს საზოგადოებას ეს საგნები იმოდენად, რამდენადაც დრო და საჭიროება მოითხოვს.

4. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია: აქ განირჩევიან უცხო ენებზედ დაწერილი თხზულებები და ქართული წიგნები.

5. სხვადასხვა ამბები.

6. დამატება: ამ ნაწილში დაიბეჭდებიან ძველი ქართული თხზულებები, ანუ გამოჩენილნი უცხო ენებიდამ თარგმნილი რომანები.

„ამ პროგრამას ამჟამად აღარაფერს არ ვუმატებთ; რაც შეეხება ჟურნალის ხასიათსა და მიმართულებასა, იმაზედ არაფერს ვიტყვით. ჩვენ ვარჩიეთ, რომ თითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა. ეს ემჯობინება ყოველ წინასიტყვაობას. ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ; ამისთვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა. სურვილი ჩვენი გულწრფელია და ვეშ-

მარიტი, და, თუ ღონე შეგვეწევა და ცოტათი მაინც აღვასრულეთ ჩვენი სურვილი, ამისიც კმაყოფილი ვიქნებით, ჩვენის მხრით, რასაც კი შევძლებთ, არას დავზოგავთ, დანარჩენი თვით საზოგადოებაზედ ჰკიდია“[1].

1863 წლის დამდეგს „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი უკვე გამოდის. ამ ორგანოს დაარსებით საბოლოოდ ფორმდება ახალი ლიტერატურული მიმართულება, რომელიც გადამწყვეტ ბრძოლას უცხადებს დრომოჭმულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ახალი ჟურნალის გარშემო ირაზმება მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია.

„საქართველოს მოამბე“ ილიას ხელმძღვანელობით მოწინავე, დემოკრატიული იდეების მქადაგებლად იქცევა. იმავე ჟურნალმა გაბედულად აღმართა კრიტიკული რეალიზმის დროშა და მწერლობის ერთადერთ მიზნად ხალხისადმი სამსახური დასახა. „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო წერილში ჟურნალის დამაარსებელი მტკიცედ აცხადებდა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილიაო“.

მოტანილ სიტყვებში გამოთქმული აზრი ავტორმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა „საქართველოს მოამბის“ იმავე ნომერში გამოქვეყნებულ ლექსში „ჩემო კალამო...“ მგზნებარე მამულიშვილური გრძნობით შთაგონებული პოეტი თავის კალამს შთამბეჭდავად მიმართავდა:

აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა
და დაე გვძრახონ — ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი.

საშოციანელთა თაობამ მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება დასახა ისეთ საშუალებად, რომელიც უნდა „ყველგან მისწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკვის ძვირფასი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად. რომ მრავალთათვის მისაწვდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა“.

ჩვენი საქმე ქართველი ხალხის ცხოვრება არისო, ამბობდა პოეტი. ეს განცხადება უბრალო დაპირება არ ყოფილა; მას თან ახლდა პრაქტიკული საქმე. იქვე ილიასავე მეთაურობით ბატონყმობის წინააღმდეგ თანამიმდევრული ბრძოლა გაჩაღდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საპროგრამო წერილი „საქართველოს მოამბეზედ“ და მოთხრობა „გლახის ნაამბობი“ ჟურნალის ერთსა და იმავე ნომერში გამოქვეყნდა.

[1] ჟურნალი „ცისკარი“, 1862 წ., № 10.

ილია ბეჭდვითი სიტყვის დანიშნულებას ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ხედავდა. მისი აზრით ისე როგორც მეცნიერება და ხელოვნება, ჟურნალი კვალდაკვალ უნდა მისდევდეს ყოველდღიურ ცხოვრებას. მას მხედველობიდან არ უნდა გამოეპაროს ცხოვრებაში მომხდარი არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. ჟურნალმა ყველაფერი უნდა შენიშნოს, ყველაფერს პასუხი გასცეს და ამით ხელი შეუწყოს ცხოვრების წინსვლა-განვითარებას.

ილია ჭავჭავაძის წერილი „საქართველოს მოამბეზედ“, რომელიც პირველ ნომერში დაიბეჭდა, არის ლიტერატურული მანიფესტი მთელი თაობისა, რომელიც მისი ჟურნალის ირგვლივ ირაზმება. ამ წერილში აღძრულ საკითხებს აღრმავებენ და ავითარებენ აგრეთვე ცნობილი ქართველი სამოციანელები — აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. ილიას წერილი არის პირველი ლიტერატურული დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია გაშლილი თეორიული მსჯელობა რეალისტური ხელოვნების სასარგებლოდ. მასში პირველად პოულობს ღრმა თეორიულ დასაბუთებას კრიტიკული რეალიზმი, რომელიც აქამდე ცალკეული მონაცემების სახით არსებობდა, ხოლო სამოციანი წლებიდან გაბატონებულ ლიტერატურულ მიმართულებად იქცევა.

მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემიო, — ამბობდა ილია „მგზავრის წერილებში“. იგივე აზრი განავითარა მან წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდან „შეშლილის“ თარგმნაზედა“. მოძრაობისა და განვითარების იგივე თვალსაზრისი მოიმარჯვა ილიამ წერილში „საქართველოს მოამბეზედ“.

ყოველი გონიერი ადამიანი ხედავსო, — წერდა ილია. — „რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება. მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა“. ცხოვრების იდუმალი ხმა ყოველთვის ჩასძახის ადამიანს, რომ იგი წინ წავიდეს და „ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეს იმედი განახლებისა და არ დაჰკრობია უკეთესობის ნდომა“!.. მეცნიერებისა და ხელოვნების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გზა გაუნათოს ადამიანის აბობოქრებულ ცხოვრებას. ცოდნა, რომელიც ცხოვრების ხეზე აღმოცენდება, არის გზის მაჩვენებელი ჩირაღდანი იმავე ცხოვრებისა. „რა აახლებს, რა სცვლის და — თუ ცხოვრება ჯანსართელია — რას მიჰყავს წინ? ცოდნასა და მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან“.

მოძრაობის, განვითარებისა და წინსვლის კანონი მწერალმა თავისი სამშობლო ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის წინსვლისათვის მოიმარჯვა, რადგან „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან“ და „ეს ორნივ ერთ და იგივეს მსახურობენ: აზრის მოძრაობას; ერთ და იგივეს გამოსთქვამდნენ: ხალხის აზრსა“. წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ ილია ამბობდა:

„დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“, „ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა“. მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემ საყვარელს უთხარიო: ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენგამო „ოხვრის კვამლი“ თვალებსა სწვავს და ცრემლს ადენსო; დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მამივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა“[1].

ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ 1861 წლის აპრილის სტატიით დაიწყო ბრძოლა სანტიმენტალიზმის წინააღმდეგ. ჩვენი მწერალი გადაჭრით ამბობდა, რომ იმ დროისათვის სანტიმენტალიზმი ლიტერატურის ისტორიისათვის უკვე განვლილ საფეხურს წარმოადგენდა; რომ ეს ლიტერატურული მიმართულება სამოციანი წლების ქართული მწერლობისათვის დაგვიანებული და შეუფერებელი იყო. იგი ამბობდა:

„რა საჭიროა ეხლა ან ჩვენ ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სენტიმენტალურ სხოლის მწერლების გაცნობა? რამდენიმე წლის წინათ სარდიონ ალექსი-მესხიშვილმა გადმოთარგმნა სენტიმენტალურ სხოლის მწერალი მარმონტელი და ეხლა იმავე სხოლის მწერალი კაზლოვი გადუთარგმნია თავად ერისთავს. იქნება ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილება?! თუ ამას ფიქრობენ, მაშ ისტორიას აღარ აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა“[2].

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 68.

[2] იქვე, გვ. 12.

წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ ილია ჭავჭავაძე თანამიმდევრულად აგრძელებდა ბრძოლას ქართულ მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის. იგი ახალ ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრების აუცილებლობას კვლავ და კვლავ თანამიმდევრულად ასაბუთებდა.

„ჩვენ, — ამბობდა იგი, — მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა“[1].

ჩვენმა მწერალმა მთელი სიმკვეთრით დააყენა ამოცანა დამღუპველი ძალისაგან მთელი ქართველი ერის გამოფხიზლებისა. ამიტომაც ბუნებრივია, რომ წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ იგი დიდ ადგილს უთმობდა ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებათა მხილებისა და კრიტიკის საქმეს. ილია წერდა:

„როდი უნდა იწყინოს ქართველმა, როცა ჩვენი „მოამბე“ სხვათა შორის ხელოვნების შემწეობით დაუნდობელად გამოჰფენს ჩვენის ცხოვრების ჭუჭყსაცა. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი“[2].

როგორც უკვე ითქვა, მწერალმა ჯერ კიდევ „მგზავრის წერილებში“ და „ორიოდე სიტყვაში“ ცხადყო ამგვარი კრიტიკის საჭიროება. 1863 წელს სტატიაში „საქართველოს მოამბეზედ“ ილია ამ საკითხს კვლავ ამახვილებს. ახლა იგი პირდაპირ ამბობს, რომ ხალხის, ერის ცხოვრების ნაკლოვანებათა დაფარვა ბოროტებაა იმავე ხალხისა და ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილი. მან საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული ჭუჭყისა და ლაფის გამოაშკარავება მეცნიერებისა და ხელოვნების არსებით საქმედ დასახა. თავის მხრივ ამგვარი გამოაშკარავება იმ მიზანს უნდა ემსახურებოდესო, რომ „ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ“ და ცხოვრება მიმზიდველად ვაქციოთ. მწერალი ამბობდა:

„ოღონდ ხელოვნება არ გადასცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება-ჭეშმარიტებასა, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი. დაე ორივემ იაროს ცხოვრების მდინარეში,

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 68.

[2] იქვე, გვ. 69.

შონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლექი თან ამოჰყვება, რა უყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ".

ასეთი ამოცანები დააყენა ილია ჭავჭავაძემ მეცნიერების და ხელოვნების წინაშე. ეს მოთხოვნილება საერთო იყო მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების პროგრესული აზროვნებისათვის. ეს იყო სამოქმედო პროგრამა მთელი თაობისათვის, რომელმაც გაბედულად აღმართა ბატონყმობისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა.

„საქართველოს მოამბის" უახლოესი თანამშრომლები იყვნენ გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, ვახტანგ თულაშვილი, პეტრე უმიკაშვილი, დავით ყიფიანი, პეტრე ნაკაშიძე, სულხან ბარათაშვილი, მიხეილ ყიფიანი, ლევან ჯანდიერი და სხვები.

ჟურნალმა, მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, მთელი ეპოქა შექმნა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. მის ფურცლებზე გაიშალა სისტემური ბრძოლა ბატონყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ. „საქართველოს მოამბეში" იბეჭდებოდა, გარდა ორიგინალური თხზულებებისა, თარგმანები რუსული და ევროპული მწერლობიდან. აქ გამოქვეყნდა პირველად ვიქტორ ჰიუგოს რომანი „საბრალონი" და მიხეილ ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი". ილიას ჟურნალში გაეცნო პირველად ქართველი მკითხველი მსოფლიო ლიტერატურის ამ ნიმუშებს. შეუძლებელია განსაკუთრებულ ინტერესს არ იწვევდეს ის ფაქტი, რომ აქ გამოქვეყნდა აგრეთვე გამოჩენილი რუსი მოაზროვნეების ბესარიონ ბელინსკისა და ნიკოლოზ დობროლუბოვის ნაწერები. დაბოლოს, „საქართველოს მოამბეში" დაიბეჭდა თვითონ ილია ჭავჭავაძის ნაწერები, რომლებშიც მზის სინათლეზეა გამოტანილი ბატონყმობის მთელი საშინელებანი — „კაცია, ადამიანი" მთლიანად, „გლახის ნაამბობის" პირველი ექვსი თავი, „კაკო ყაჩაღის" დიდი ნაწილი, ნაწყვეტები პოემა „აჩრდილიდან" და სხვები.

„საქართველოს მოამბის" გამოცემაზე უნდა ითქვას, რომ ჟურნალი დიდ დაბრკოლებას ხვდებოდა მეფის ცენზურისაგან. მისი სულშემხუთავი ძალა ილიას არაერთგზის უგრძვნია როგორც „საქართველოს მოამბის" გამოცემისას, ისე საკუთარი ნაწერების ბეჭდვის დროს.

დამახასიათებელია ილია ჭავჭავაძის ერთი წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი, რომელმაც პეტერბურგში გამოსცა ქართველ პოეტთა ლექსების კრებული „ჩონგურის" სახელწოდებით. წერილ-

ში ლაპარაკია პოემა „კაკო ყაჩაღზე“, რომელსაც ცენზურა ჩვეულებრივ ემტერებოდა. ილია კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა:

„რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდ მანდ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო, აქ მთელ წიგნს აგიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს“[1].

ანალოგიურ წინააღმდეგობას ხვდებოდა ილია იმ დროსაც, როდესაც აქვეყნებდა „კაცია, ადამიანს“, „აჩრდილსა“ და „გლახის ნაამბობს“. ცხადია, წინააღმდეგობა არანაკლები იქნებოდა, როცა „საქართველოს მოამბეში“ იბეჭდებოდა დავით ყიფიანისა და ვახტანგ თულაშვილის წერილები ბატონყმობაზე, ან კიდევ მაშინ, როდესაც ჩვენს მწერალს „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე გადმოჰქონდა ბესარიონ ბელინსკისა და ნიკოლოზ დობროლუბოვის ნაწერები.

ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ არსებობის მთელს მანძილზე ცენზურისაგან მკაცრად შეზღუდული იყო. ჟურნალის ყოველი ნომრის გამოცემაზე, როგორც ჩანს, რედაქტორს ერთგვარი ბრძოლის გადატანა უხდებოდა. ბრძოლა ხშირად მისი გამარჯვებით მთავრდებოდა, მაგრამ ზოგჯერ ცენზურის წინააღმდეგობა გადაულახავი კედელივით აღიმართებოდა და მასთან ვერავითარი ძალა და ხერხი ვეღარ ჭრიდა.

1863 წლის ნოემბერში „საქართველოს მოამბის“ რედაქტორი აცხადებდა, რომ ჟურნალი ვერ ახერხებს შესრულებას იმ დაპირებისა, რომელიც მან მკითხველს თავიდან აღუთქვა.იგი თავის მიმართვაში სამართლიანად აღნიშნავდა, რომ რედაქცია ძალ-ღონეს არ ზოგავს, მაგრამ „დრონი მეფობენ“ და არის ისეთი დაბრკოლება, რომელთანაც ყოველი ღონისძიება უშედეგოა. იგი ამბობდა:

„თუმცა გზა გახიდული გვქონდა, მაგრამ გულწრფელად და გაბედვით ვიტყვით, რომ სხვის მოსაწონად არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისათვის არ გვიღალატნია, სხვის მისაფერებლად არც ერთი გრძნობა არ გაგვიყიდნია, რომელიმე ანგარიშისათვის ყალბი ვერცხლად არ გაგვიყვანია. ჩვენ დავჩუმებულვართ და სვინდისისათვის კი არ გვიღალატნია. როგორც გონება ჰსჭრიდა, როგორც გული გვითხრობდა — ისე ვლაპარაკობდით, როცა კი შეგვეძლო და

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961, გვ. 20.

აქლაკაც ისე მოვიქცევით — თუნდ რომ ამით ჩვენს ჟურნალს ბოლოც მოელოს»[1].

როგორც ვხედავთ, „საქართველოს მოამბე“ თავისი არსებობის პირველ ნაბიჯზე მთელ რიგ წინააღმდეგობებს ხვდებოდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, მისი დახურვა მაინცდამაინც ცენზურის მიზეზით არ მომხდარა. სავსებით მართალი იყო პროფესორი ალ. ხახანაშვილი, რომელიც თვლიდა, რომ ილიას ჟურნალი „უსახსრობის გამო დაიკეტა“[2].

* * *

1863 წელი მნიშვნელოვანი თარიღია ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ამ წელს გამოდიოდა მისი „საქართველოს მოამბე“. იგივე თარიღი მნიშვნელოვანია აგრეთვე მწერლის პირად ცხოვრებაშიც. იმავე წელს ჩვენი მწერალი ოჯახსაც მოეკიდა. მან ცოლად შეირთო ოლღა თადეოზის ასული გურამიშვილი.

ილიასა და ოლღას შეუღლების თაობაზე მწერლის პირველი ვრცელი ბიოგრაფიის ავტორი გრიგოლ ყიფშიძე წერდა:

„ილიას გული ეძებდა თანამგრძნობს, ცხოვრების მეგობარს, მეუღლეს. თბილისში სცხოვრობდა ამ ხანად თავის ნათესავებთან ინსტიტუტიდან ახლად გამოსული, დედით ობოლი, ასული თადეოზ გურამიშვილისა, ოლღა. მისი უფროსი და ეკატერინე შეირთო ცნობილმა დიმ. სტაროსელსკიმ, რომელიც მაშინ ხელმწიფის მოადგილის კანცელარიაში მსახურობდა. ხოლო ოლღა, მისი მომდევნო, მოეწონა ილიას და შეირთო კიდეც ცოლად.

„საეკლესიო საბუთებში ასეთი ცნობა აღმოჩნდა:

„1863 წ., № 10, 21 აპრილს.

„სასიძო თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, მართლმადიდებელ სარწმუნოების მჭონებელმა იქორწინა პირველი ქორწინებითა, 25 წლისა.

„სასძლო თავად თადეოზ გურამიშვილის ქალი ოლღა, მართლმადიდებელ სარწმუნოების მჭონებელმა იქორწინა პირველი ქორწინებითა, 20 წლისა.

„თავსმდებნი (პორუჩიტლები): 1 ვაჟის მხრივ დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი და ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე; 2. ქალის

---

[1] ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, 1863, № 11.

[2] ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე), 1913 წ., გვ. 86.

მხრივ ფლიგელ-ადიუტანტი პოლკოვნიკი ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილი და კოლეჟსკი ასესორი თავადი სულხან ნიკოლოზის ძე თუმანიშვილი.

„ჯვარი დასწერა ნიკოლოზ არდაზიანმა“.

გრიგოლ ყიფშიძე განაგრძობს: „ჯვარის წერის წესი შეუსრულებიათ სამების ეკლესიაში ყოვლის ცერემონიის გარეშე. სულ ორის ეტლით მისულან მეფე-დედოფალი და მეჯვარენი. ნათესაობა თითქმის სულ არავინ ყოფილა, არც ქალისა და არც ვაჟის მხრივ. ეტყობა თადეოზ გურამიშვილს, დიდ და გოროზ მემამულეს, სასიამოვნოდ არ დარჩენია, რომ მისი ქალი შეირთო მცირე მამულდედულის პატრონმა ჭავჭავაძემ“[1].

ოლღა ჭავჭავაძე ღირსეული მეუღლე და მეგობარი იყო დიდი მწერლისა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კეთილშობილი ქართველი მანდილოსანი თავისებური საზოგადო მოღვაწეც იყო. იგი მთელ რიგ საზოგადოებრივ და კულტურულ საქმიანობაში მონაწილეობდა. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც ილიას ოჯახთან საერთო საქმიანობით დაახლოებული იყო, ოლღა ჭავჭავაძის პიროვნებაზე ამბობს:

„ოლღა ზედმიწევნით პატიოსანი და კაცთმოყვარე ადამიანი იყო: ზრდილი, სათნოიანი, თავდაჭერილი, თავმდაბალი და თავდადებული საზოგადო საქმისათვის. ის აწყობდა ლატარიებს, საღამოებს და ფულს აგროვებდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებებისათვის. მზრუნველად იყო ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტში და იქ ბევრ ქართველ ქალს ათავსებდა სასწავლებლად. ამასთანავე თავის წვლილს ხშირად ურიგებდა გაჭირვებულებს. ჩვენი სათავადაზნაურო სკოლის პანსიონისათვის საგურამოდან ბევრ სანოვაგეს, ხილსა და ღვინოს გვიგზავნიდა ყოველწლივ“[2].

ოლღა ჭავჭავაძეს ასევე გულთბილად ახასიათებს არტურ ლაისტი. თავისი მოგონების იმ ნაწილში, რომელშიც საქართველოში პირველად ჩამოსვლაზე და ილიას ოჯახთან დაახლოებაზე მოგვითხრობს, იგი წერს:

„ილია მაშინ შედარებით ახალგაზრდა და ხალისიანი იყო. ასეთივე გახლდათ ილიას მეუღლე ოლღაც. ოლღა ყოველ წელიწადს სახლში სხვადასხვა ნივთებს ამზადებდა ალეგრისათვის. ალეგრი წე-

[1] გრ. ყიფშიძე, ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია, იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, მიხეილ გედეონიშვილის გამოცემა, 1914 წ., გვ. XXX—XXXI.

[2] ლიტერატურის მატიანე, წიგნი VI, ნაკეთი პირველი, 1952 წ., გვ. 14.

რა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ იმართებოდა"[1].

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ ლატარია-ალეგრის საღამოები ყოველწლიურად იმართებოდა და მისი ხელმძღვანელი ოლღა ჭავჭავაძე იყო. დამახასიათებელია „ივერიაში" შემონახული ერთი ცნობა, რომელიც ამგვარი საღამოს მზადებაზე მოგვითხრობს. ილიას გაზეთი 1893 წლის 23 თებერვლის ახალ ამბებში საზოგადოებრიობას ატყობინებდა:

„ჩვეულებრივი ლატარია-ალეგრი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ წელსაც გამართება აპრილის გასულს, ან მაისის დამდეგს, თხოვნა ნებართვის ასაღებად უკვე მიურთმევიათ ტფილისის გუბერნატორისათვის. სალატარიო ნივთების შეწირულებანი მიიღება ოლღა თადეოზის ასულის ჭავჭავაძის მიერ. შემომწირველთა გვარი და სახელი შემოწირულებითურთ თავის დროზე გამოცხადდება გაზეთში. ამ ყოველწლიურმა ლატარია-ალეგრიმ უკვე დაიმსახურა ყურადღება საზოგადოებისა და, იმედია, დამსწრენი წელსაც ისეთს სიამოვნებასა ჰნახავენ, როგორც წინათ, და მით საზოგადო საქმესაც დაეხმარებიან"[2].

ოლღა ჭავჭავაძის საზოგადოებრივ საქმიანობაზე განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის მწერალი ეკატერინე გაბაშვილი, რომელიც ოლღასთან სხვებზე მეტად დაახლოებული იყო. ეკატერინეს მოგონება შემოკლებით ასე იკითხება:.

„ოლღა, ილიას მეუღლე, ხშირად მპატიჟობდა მას შემდეგ, როცა მე ამორჩეული ვიყავ წერა-კითხვის საზოგადოების მართველობაში წევრად და ერთად გვიხდებოდა მე და იმას ამ საზოგადოებისათვის მუშაობა, იმის შეძლების გაძლიერებისათვის საქველმოქმედო ბაზრობა, რომელიც პირველ ხანებში, ძლიერ დიდ შემოსავალს იძლეოდა და დიდი შრომა და დიდი დროც სჭირდებოდა იმის მოწყობას, ხელმძღვანელობას.

„შემდეგში ხომ უფრო დავახლოვდით მე და ოლღა, როდესაც ჩემ სახლში და ჩემი ზედამხედველობით, დაწესდა ქალთა პროფესიანური სკოლა — „ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების" სახელობით და რომლის თავმჯდომარეთაც იყო ოლღა ჭავჭავაძე არჩეული. ეს ნაცნობობა საერთო ინტერესებით და საქმით

---

[1] არტურ ლაისტი, საქართველოს გული, 1933 წ., გვ. 6.

[2] გაზეთი „ივერია", 1893 წ., № 39.

შეერთებული თითქმის მეგობრობად იქცა ჩვენ შორის. მთელი 15 წელიწადი, თუ 12 სწორედ არ მახსოვს, ვიყავ წერა-კითხვის საზოგადოების წევრად და ამ დროის განმავლობაში, ყოველ წლიურად ვაწყობდით მე და ოლღა „ბაზრობას“. შემდეგ, თუ მეხსიერება არ მტყუანობს, არა ნაკლებ 15 წლისა, ასევე ვმუშაობდით საქველმოქმედო პროფესიულ სკოლისათვის... ხშირად მთხოვდა ოლღა, ვწეოდი საგურამოში, მაგრამ მე იმოდენა გამბედაობა არა მქონდა რომ ხშირად შემეწუხებინა ჩემის სტუმრობით და არც თუ მოცალება მქონდა, რადგან საზოგადო საქმის გარდა, ოჯახი და წვრილშვილობა ხელს არ მიწყობდა სეირნობისათვის. ასე რომ, ჩვენი ნაცნობობა ოფიციალური დამოკიდებულებით სწარმოებდა. ი ლ ი ა ო ბ ა ს კი რამდენჯერმე დავესწარი, რადგან მიღებული იყო, ამ შესანიშნავ დღეს ყველა ქართველისათვის, მისულიყო და პატივი და თაყვანისცემა მიეძღვნა დიდებულ კაცისათვის“[1].

* * *

1895 წლის დამლევს ოლღა ჭავჭავაძე ახალდაარსებულ ქართველ ქალთა ამხანაგობის თავმჯდომარედ აირჩიეს. ამხანაგობა, რომელიც მოღვაწე ქალთა ერთი ჯგუფის ინიციატივით ჩამოყალიბდა, მიზნად ისახავდა შემდეგი განვითარება მიეცა სასოფლო დეპოებისათვის, რომელიც საქართველოს ზოგიერთ რაიონში უკვე არსებობდა. ახალორგანიზებული საზოგადოების მიზანდასახულებაზე გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი წერდა: „ქალებს განზრახული აქვთო, რომ „თბილისში გახსნან სავაჭრო სახლი „ქართველ ქალთა ამხანაგობისა“, რომელსაც აზრადა აქვს თავისს წევრებს ცხოვრებისათვის უსაჭიროესის საგნების შეძენა გაუადვილოს იაფფასიან და კარგი თვისებების საქონლის ვაჭრობით“[2].

„ივერიის“ იგივე კორესპონდენტი აღტაცებით ლაპარაკობდა იმაზე, რომ ქართველ ქალთა ამხანაგობა საქმიანობას თავიდანვე დიდი მონდომებით შეუდგა. იგი დაჯერებული წერდა:

„სულ ოთხი თვეა, რაც საქმე დაიწყეს ქალებმა და დღემდის მაო იმოდენი გააკეთეს, რამოდენიც სხვებს ასეთ საქმეში ორისა და სამის წლის განმავლობაში ვერ მოუხერხებიათ. დღეს „ქართველ ქალთა ამხანაგობას“ ასოცზე მეტი წევრი ჰყავს და რამდენსაც დღე მიდის, იმდენი უფრო და უფრო სწრაფადი ხდება წინ მიდის საქმე“.

---

[1] ლიტერატურის მატიანე, I-II, 1940 წ., გვ. 101.

[2] გაზეთი „ივერია“, 1896 წ., გვ. 58.

ქართველ ქალთა ამხანაგობას, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩამოყალიბებისთანავე წესდების შედგენა დაუწყია, მაგრამ იგი ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი მხოლოდ 1896 წლის მარტში გამხდარა. გაზეთი „ივერია“ 15 მარტს თავის მკითხველს ატყობინებდა: „ჩვენ მოგვივიდა ქართველ ქალთა ამხანაგობის წესდება, რომლიდამაც გვთხოვენ გადავბეჭდოთ ზოგიერთი საყურადღებო მუხლი“. ამის შემდეგ იქვე დაბეჭდილი იყო საზოგადოების წესდების შემოკლებული ტექსტი.

ქართველ ქალთა ამხანაგობა თავის აქტიურ საქმიანობას არსებითად ამ დროიდან იწყებს. იმავე დღეებში, 14 მარტის საზოგადო კრებამ ახალდაარსებული ამხანაგობის მფარველობაში მოაქცია ეკატერინე გაბაშვილის ჭრა-კერვისა და ხელსაქმის სკოლა, რომელიც მწერალ ქალს საკუთარ ბინაზე ჰყავდა შეფარებული. ამ სკოლის შესვლა ქალთა ამხანაგობის სისტემაში ოლღა ჭავჭავაძისა და ეკატერინე გაბაშვილის საერთო მონდომებით უნდა მომხდარიყო. ზემოგანხილულ წერილში, იქ, სადაც ლაპარაკია ქართველ ქალთა ამხანაგობის წესდებაზე, ნათქვამია:

„სხვათა შორის ამხანაგობას ერთი ფრიად სიმპატიური საგანი კიდევ აქვს განზრახული: აღადგინოს ძველი ქართული ქარგვა ოქრომკედზედა და ძვირფას ფარჩეულობაზე, რომელიც დღეს თითქმის მივიწყებულია და მისცეს საშუალება მსურველთ ამხანაგობის სახელოსნო-სკოლაში... შეეძლოთ ისწავლონ ჭრა-კერვა და სხვანი, რაიცა დღეს ასე ნაკლებად არის ჩვენს ოჯახებში გავრცელებული“.

სწორედ წესდების ამ მუხლის შესაბამისად ქართველ ქალთა ამხანაგობამ 14 მარტის კრებაზე ეკატერინე გაბაშვილის სკოლის საკითხი საგანგებოდ განიხილა. 1896 წლის 16 მარტის „ივერია“ თავის ახალ ამბებში ამაზე იტყობინებოდა:

„გუშინ-წინდელს „ქართველ ქალთა ამხანაგობის“ საზოგადო კრებაზე ფირმის თავად არჩეული იქნა ეკ. გაბაშვილისა, ხოლო ხაზინადრად ნ. გიჟიმყრელისა“[1].

ეს უბრალო მნიშვნელობის ფაქტი არ ყოფილა. ამიერიდან ქალთა სკოლის საქმეებზე ზრუნვაში ეკატერინე გაბაშვილს მხარში ედგა ოლღა ჭავჭავაძე. სწორედ ამ საქმიანობას გულისხმობს ეკ. გაბაშვილი, როდესაც ზემომოტანილ მოგონებაში ამბობს, ოლღას უფრო მეტად დავუახლოვდიო.

ქართველ ქალთა ამხანაგობა თავის დროისათვის მნიშვნელოვან დაწესებულებად წარმოგვიდგება. იგი, ქართველთა შორის წერა-კი-

[1] გაზეთი „ივერია“, 1896 წ., № 61.

თხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან ერთად, წლების მანძილზე ერის საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატების საქმეს ემსახურებოდა. შემთხვევითი არც ისაა, რომ ქართველმა ინტელიგენციამ ამგვარი ჟეშმარიტად ეროვნული ამხანაგობის ხელმძღვანელობა ოლღა ჭავჭავაძეს მიანდო. იმდროინდელი მოწინავე ქართველობის საერთო აზრის გამომხატველად მოჩანს ის მოკლე, მაგრამ მრავალმეტყველი დახასიათება ოლღას პიროვნებისა, რომელიც 1896 წლის მარტში ქალთა ამხანაგობის გამო „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილშია მოწოდებული. იქ ნათქვამია:

„ერთი საუკეთესო და ღრმად-პატივცემული ადამიანი, როგორიც ბრძანდება ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა, ამხანაგობის საპატიო თავმჯდომარედ ითვლება და ეს კი იმედს გვაძლევს ამხანაგობის საქმე სამაგალითოდ კარგად წავიდეს, მალე გაფართოვდეს და სოფლის დეპოებს, მისით გამხნევებულთ, ცენტრალურ დეპოდ გარდაექცეს. ამით, მხოლოდ ამგვარ ამხანაგობებით შეიძლება დღევანდელი ქართველთა უკან დაწეული ცხოვრება როგორმე გამობრუნდეს“[1].

ინტერესს მოკლებული არაა ვიცოდეთ, რომ ქართველ ქალთა ამხანაგობის საქმიანობას ხუთიოდე წლის შემდეგ ანტონ ფურცელაძეც გამოეხმაურა. მისი წერილი „ქალთა ამხანაგობა“ 1901 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა.

სტატია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის როლის საერთო დახასიათებით იწყება. ამ ნაწილში ავტორი მკითხველს ესაუბრება ზოგიერთ ქვეყანაში, ქალთა მძიმე ყოფაზე, მათ შევიწროებულ მდგომარეობაზე. შემდეგ მწერალი ქართველი ქალის ყოფა-ცხოვრებაზე მსჯელობს. იგი კმაყოფილებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საქართველოში ქალი პატივსა და დიდებას მოკლებული არასოდეს არ ყოფილა.

„ჩვენდა საბედნიეროდ, — ამბობს ა. ფურცელაძე, — ქართველი ქალი არ იყო მონა მამაკაცისა, ქართველი ქალი არ იყო მოკლებული ქვეყნის პატივსა და დიდებას, არა ჰქონდა შეკრული ხელ-ფეხი“.

ეს ზოგადი მიმოხილვა ავტორს იმისათვის ესაჭიროება, რომ საუბარი თავისი ეპოქის ქართველ ქალთა საქმიანობაზე გადაიტანოს. იგი ქება-დიდებით იხსენიებს ახალი დროის ქართველ ქალებს, რომელნიც მშობლიური ერის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ. სწორედ აქ, სტატიის ძირითად ნაწილში, ანტ. ფურცელაძე ქართველთა შორის წერა-კითხვის გა-

[1] გაზეთი „ივერია“, 1896 წ., № 58.

მავრცელებელი საზოგადოებისა და ქართველ ქალთა ამხანაგობაში მოღვაწე მანდილოსნებს გულითადად ახასიათებს. შემთხვევითი არც ისაა, რომ იგი ყოვლის უწინარეს ოლღა ჭავჭავაძეს იხსენიებს. ფურცელაძე წერს:

„არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება მას, რომ დღეს წერა-კითხვის საზოგადოება თუ ინახავს თავს, ეს მხოლოდ განსაკუთრებით ჩვენთა ქალთა მეცადინეობით, სადაც პირველი ალაგი უჭირავს დაუზარელს და დაუშრომელს პატივცემულს ოლღა ჭავჭავაძისას"[1].

ა. ფურცელაძე წერილში გულთბილად ლაპარაკობს აგრეთვე ჭრა-კერვის სასწავლებელზე, რომელსაც ამ დროს უკვე ოლღა ჭავჭავაძე და ეკატერინე გაბაშვილი ერთად ხელმძღვანელობენ.

იგივე ავტორი სტატიის ბოლო ნაწილში საგანგებოდ ლაპარაკობს რაფიელ ერისთავის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ დილაზე, რომელიც იმავე ჭრა-კერვის სკოლის მოსწავლეებმა ჩაატარეს.

„უნდა გენახათ, — წერდა ანტონი, — რა აღტაცებით შეჰყურებდენ ამ თავის ნაყოფს, თავისი შრომის, თავის შვილებად ნაკისრ ბავშვებს ამ საქმის მოთავე ქალები, რომელთა შორის არიან იგივე ოლღა ჭავჭავაძისა და ჩვენი ნიჭიერი მწერალი ეკატერინე გაბაშვილისა და სხვა ჩვენი დიდი ხნის მოღვაწე ქალნი".

ასე ახასიათებდნენ ოლღა ჭავჭავაძეს იმ დროს, როდესაც იგი ქართველ ქალთა ამხანაგობაში საქმიანობდა. ახლა, როდესაც ოლღასა და მის თანამოაზრეთა ნამოქმედარი უკვე ისტორიის საგნადაა ქცეული, გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ქალთა ამხანაგობაში გაწეული შრომა სახელოვანი მანდილოსნის მრავალფეროვანი მოღვაწეობის ერთგვარ გვირგვინს წარმოადგენს.

სწორედ ამ ხანგრძლივი, მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1895 წლის ხუთ მარტს, საერთო კრების გადაწყვეტილებით, ოლღა ჭავჭავაძე თავის საპატიო წევრად აირჩია[2].

ოლღა ჭავჭავაძე თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში იყო უახლოესი მეგობარი, უშუალო მზრუნველი და უსაზღვროდ თაყვანისმცემელი სახელოვანი მეუღლისა. თვითონ ილია დიდად აფასებდა ოლღას, მის უანგარო მეგობრობას, ჰეშმარიტად მაღალადამიანურ თვისებებს. ამიტომაც სავსებით ბუნებრივი მოჩანს ის ფაქტი, რომ დიდმა მწერალმა ღირსეულ მეუღლეს და ცხოვრების თა-

[1] გაზეთი „ივერია", 1901 წ., № 110.

[2] გაზეთი „ივერია", 1895 წ., № 50, 53.

ნამგზავრს საკუთარი მხატვრული შემოქმედების თვალმარგალიტი პოემა „განდეგილი“ მიუძღვნა.

* * *

1866 წელს დაიწერა ილიას აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილი სტატია „ზოგიერთი რამ“. ამ წერილს საინტერესო ისტორია აქვს. იგი გამიზნული ყოფილა „დროების“ პირველი ნომრებისათვის, მაგრამ ცენზურას მისი დაბეჭდვის ნებართვა არ გაუცია. იგივე ცენზურა დიდი ხნის განმავლობაში აბრკოლებდა წერილის დაბეჭდვას და იგი მხოლოდ ათი წლის შემდეგ, 1876 წელს, გამოქვეყნდა[1].

ილიას „ზოგიერთი რამ“ ეროვნულ მოტივზე იშლება. ავტორის მიზანია ამხილოს ქართველი ერის ცხოვრებაში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარება. წერილის ძირითად შინაარსზე, მის მიზანდასახულებაზე წინასწარ ერთგვარ წარმოდგენას იძლევა ეპიგრაფად წამძღვარებული გრიგოლ ორბელიანის სიტყვები: „თქმით ჰმუნვა მაინც შემცირდებისა“.

მწერალს თავისდროინდელი საქართველოს მდგომარეობა ძალზე მძიმედ აქვს წარმოდგენილი. როგორც თვითონ ამბობს, მას სამშობლო ქვეყნის უბედურებაზე საუბარი სიცოცხლის ფასად უღირს. იგი წერილის დასაწყისში მკითხველს გულახდილად მიმართავს: „იქნებ ის არ იცოდე, რომ თითო სიტყვას, რასაც ეს წერილი ქვევით მოგახსენებს, იქნება თითო კოშტი სისხლიც თან ამოყოლოდეს“. მიუხედავად მწვავე შინაგანი ადამიანური ტკივილებისა, ავტორი თავისი ქვეყნის დაბეჩავებულ მდგომარეობაზე მაინც ხმამაღლა ლაპარაკობდა იმ შეგნებით, რომ „თქმით ჰმუნვა მაინც შემცირდებისა“.

კონკრეტულ შემთხვევაში მწერალს განზრახული ჰქონდა მკაცრად ემხილებინა მის სამშობლო ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარება და მკითხველს წინასწარ აფრთხილებდა: „უსეც უნდა იცოდე, რომ ბალღამში ამოვლებულს ჰეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა“. ილიამ იმდროინდელი საქართველოსა და ქართველი ერის საზოგადოებრივი მდგომარეობა მოკლე, სამსიტყვიან წინადადებაში ასე ჩამოაყალიბა: „ჩვენ უბედურნი ვართ!..“

მწერლის მტკიცე რწმენით ქართველი ერის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ურთიანობა დარღვეულია; ერთი და მთლი-

---

[1] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 483-485, სარედაქციო შენიშვნები.

ანი საქართველო აღარ არსებობს. გაშრა „დედის ძუძუ“, რომელიც ქვეყნის ყველა კუთხეში ერთისა და იგივე ხორცისა და სულის ქართველს ზრდიდა. „არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი ჩინიანნი და უჩინონი — ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა თავადი, გლეხსა — ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი?“

„ის საერთო ნიშანი მაჩვენეთ, — ამბობდა ილია, — საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის მეთქი“.

ამ სიტყვებში ერთხელ კიდევ განმეორებულია დედააზრი ჩვენი ავტორის ცნობილი სტრიქონებისა პოემა „აჩრდილიდან“: „აქ არვის — დიდსა, თუ პატარასა, — ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული“. იქვე, ქართველი ერის ერთიანობის მოშლილობის ცხადსაყოფად ილია წერდა:

„აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართლელის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი მსხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო“[1].

წინანდელი ერთიანობისა და ერთსულოვნების ნაცვლად ახლანდელი საქართველო დანაწევრებული და დაქუცმაცებულიაო, — ამბობდა ავტორი. მისი აზრით, ქართველის საერთო ცნებაც დანაწევრდა: ქართლელი — ქართლელია, კახელი — კახელია, იმერელი — იმერელია, მეგრელი — მეგრელია და ასე შემდეგ, მაგრამ „სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან“.

„განვთვითეულდით, — ამბობს მწერალი, — ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით, და მაგ განთვითვეულებამ, ცალ-ცალკობამ ყოველგან და ყოველს-ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპრებში თვითეულს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტვრევს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა, და აკი აღარ შეგვრჩა“.

ილია ჭავჭავაძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ამგვარი განმაყოფელი, კერძოობითად მიღებული სახელები სხვა ხალხებშიც

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 75.

მოიპოვება, მაგრამ იქ „მაგისთანა სახელები შინაურობაში იხმარება ურთიერთის გასარჩევად და არა საქვეყნოდ, საგარეოდ". ჩვენი მწერალი მაგალითისათვის მაინცდამაინც ფრანგებს ასახელებდა. იგი ამბობდა:

„მარსელში მცხოვრები ფრანციელი, რასაკვირველია, ფრანციელსვე ეტყვის, მარსელელი ვარო, მაგრამ უცხო ქვეყნელს კი ეტყვის, ფრანციელი ვარო. ეგ იმას ნიშნავს, რომ იგი შინაურობაში მარსელელია და გარეობაში — ფრანციელი... ჩვენში? ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსათვის". იმავე წერილში სიტყვა „მამულის" მნიშვნელობაზე ნათქვამია:

„მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება — ეგ ჭირთაჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზე თვითეულსა — მთელის ხალხისა და მთელს ხალხს — თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზე დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღვლითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა — დღესასწაულობს"[1].

მოტანილ ამონაწერში სიტყვა „მამული" ჭეშმარიტად მაღალი და ყოველმხრივი მნიშვნელობით არის გააზრებული. ისტორიულად ქართველი კაცის შეგნებაში მამული (სამშობლო) უმაღლესი, ღვთაებრიობამდე ამაღლებული ცნება იყო. საყოველთაოდ ცნობილია რაფიელ ერისთავის ლექსის „სამშობლო ხევსურისა" სტრიქონები:

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...

თვითონ ილია თავის პირველ საპოლემიკო წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის" თარგმანზედა" ამბობდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?"

ასე წერდა ილია 1861 წელს, ხოლო 1876 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ზოგიერთი რამ" იგი მამულის (სამშობლოს) პრობლემა-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 77.

ზე უფრო ვრცლად და საფუძვლიანად მსჯელობს იმდენად, რამდენადაც ამ პუბლიცისტური წერილის ძირითადი თემა სწორედ ესაა. როგორც ვნახეთ, წერილის პირველ ნაწილებში ილია ლაპარაკობდა იმაზე, რომ ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში საქართველო დანაწილდა, დაქუცმაცდა; მისი ეროვნული მთლიანობა მოიშალა, ხალხი ცალ-ცალკე კუთხეებში ჩაიკეტა, განთვითეულდა.

მომდევნო ნაწილებში ავტორი თხრობას ავითარებს იმ მავნე შედეგებზე, რომელიც ჟამთა ვითარების გამო ერის დანაწევრებას ბუნებრივად მოჰყვა. ეს არის ის მწარე სინამდვილე, რომელმაც ილიას წერილის დასაწყისში ათქმევინა: „ჩვენ უბედურნი ვართო“.

მწერლის თქმით, ქართველი ხალხის უბედურების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი ისაა, რომ ეროვნული აზრი და მეტყველება გადასხვაფერდა. ისე როგორც ერთიანი ეროვნული ცხოვრება ვიწრო კუთხური კარჩაკეტილობით შეიცვალა, აზრისა და ენის ასპარეზიც შევიწროვდა, რადგანაც „ლაპარაკი აზრის აღებ-მიცემობაა“.

ბუნებრივია, რომ ილიასათვის თავიდათავი სიტყვა „მამულის“ მნიშვნელობაა. მისი მთავარი საწუხარი ისაა, რომ ახალი დროის ქართველთა მეტყველებაში მამულის ცნება იმდენად დაქვეითდა, რომ იგი „გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, — ბინასა, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია“.

ილია იქვე გულისტკივილით ამბობდა:

„მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა — მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვანად შემოწმებული“.

მოტანილ ამონაწერებში მწერლის აზრი საქართველოში შექმნილ საზოგადოებრივ ვითარებაზე იმდენად ნათელია, რომ იგი კომენტარს აღარ საჭიროებს. მაგრამ ყველაფერი არც ამით მთავრდება. როგორც უკვე აღინიშნა, ილიას აზრით, ქართველი ხალხის ამგვარმა დაძაბუნებამ საერთო ეროვნული აზრისა და მეტყველების შეფერხებაც გამოიწვია. წერილის დასასრულ ნაწილში სწორედ ამაზეა ლაპარაკი.

მწერალი თავის მკითხველს მიმართავს: „რაკი შენ იმერლობა დაირქვი და მე კახელობა, მე შენთან ს ა ლ ა პ ა რ ა კ ო აღარა მაქვს-რა, და შენ — ჩემთან; რაკი შენ შენს სახნავს მიწას და ერთობ შენს უძრავს ქონებას შენი მამული დაარქვი და მე ჩემ-

სას — ჩემი, მე შენთან ს ა ე რ თ ო მ ო ს ა ფ ი ქ რ ე ბ ე ლ ი აღარა მაქვს-რა, და შენ — ჩემთანა". იქვე, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, იგი ამბობს: „მეტყველების ნიჭს ისეთი ვარჯიშობა უნდა, როგორც ყველაფერს სხვას. მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრებაა. ჩვენ განკერძოვების შემდეგ გონებითად აღარ გვიცხოვრია"[1].

ასეთია ამ წერილის უმთავრესი შინაარსი.

როგორც ვნახეთ, წერილში მსჯელობის საგნად ქცეულია ქართველი ხალხის ეროვნული ცხოვრებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი საკითხები. მწერალი გვევლინება როგორც პირუთვნელი მამხილებელი მშობლიური ერის წინსვლა-განვითარების შემაფერხებელი მოვლენებისა. იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ვითარების მკაცრი კრიტიკული დახასიათებანი, რაც ილიას ამ წერილშია, სრულიად ბუნებრივად, ქართველი ხალხის ეროვნული ცხოვრების მოწესრიგებისათვის საბრძოლო მოწოდებასაც გულისხმობდა.

ილია ჭავჭავაძე თავის ცნობილ წერილებში ქართულ ლიტერატურაზე ამბობს: „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული" მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა".

მოტანილი სტრიქონები ოთხმოცდაათიან წლებში დაიწერა. ილია, რომელმაც თავისი დიდი მოღვაწეობა სწორედ სამოციანი წლებიდან დაიწყო, გვეუბნება, რომ იმდროინდელი ქართული მწერლობისათვის წამყვანი ეროვნული თავისუფლების იდეა იყო. ქართველი ხალხის ეროვნული ერთობისა და თავისუფლების იდეამ თავის ორბიტაში ჩააყენა მთელი ქართული ლიტერატურა. ყველა, „ვისაც-კი რაიმე ნიშანწყალი ჰქონდა ღმერთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა".

ეროვნული ურთობისა და თავისუფლების იდეამ შემოიკრიბა ყველა მოწინავე ქართველი მწერალი როგორც ახალი, ისე ძველი თაობისა, და საკმაოდ მდიდარი ლიტერატურაც შეიქმნა. მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში დაწერილ ეროვნული ერთობისა და თავისუფლების იდეით შთაგონებულ თხზულებათა შორის ილიას „ზოგიერთი რამ" ერთი უბრწყინვალესია.

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 80-81. ხაზი ჩვენია. — ა. მ.

* * *

ილია ჭავჭავაძის პირადი ცხოვრებიდან მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი დამახასიათებელი ფაქტი.

ილიამ სტუდენტობის პერიოდშივე აიმაღლა ხმა ბატონყმური მონობის წინააღმდეგ. ჩვენი მწერლისათვის ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ პოეტური გატაცება კი არ ყოფილა, არამედ იგი აქტიურად ებრძოდა ამ სოციალურ უკუღმართობას როგორც მხატვრული სიტყვით, ისე პრაქტიკული საქმიანობით. ცნობილია, რომ ილია ბატონყმობის გაუქმებამდე რამდენჯერმე გამოსულა თავადაზნაურობის რეფორმის წინა კრებებზე. ეს გამოსვლები საგლეხო რეფორმისათვის მზადების პერიოდში შუქს ფენს მწერლის სოციალურ მისწრაფებებს და მის პიროვნებას საზოგადოდ.

ილია თავის გამოსვლებში გადაჭრით მოითხოვდა ბატონყმობის გაუქმებას და ყმა გლეხობის მიწიანად განთავისუფლებას. მოულოდნელი არაა, რომ ამ ნიადაგზე მწერალს ხშირად მკაცრი შეხლა-შემოხლა ჰქონდა რეაქციულ თავადაზნაურობასთან. ქრისტეფორე მამაცაშვილს გადმოცემული აქვს ორი ასეთი შემთხვევა. იგი მოგვითხრობს:

„ოქმების წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, და ხმამაღლა განაცხადა, რომ გლეხს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა ააშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ლანძღვა-გინებით ილიასაკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით! ეხლავე უნდა მოვკლაო“. გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივს-ძლივობით გაიყვანეს კრებიდან. მე გომბორში ვმსახურობდი. ზემოხსენებული ამბავი შემატყობინა ილია წინამძღვრიშვილმა, რომელიც მწერდა: ჩქარა ტფილისში ჩამოდი, რომ ახალგაზრდობა ილიას გარსშემოვერტყათ და ბატონ-ყმობის მოსპობის საქმე დავიცვათო. მეც ჩამოვედი. რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ან. ფურცელაძე და წერილის ავტორიც მუდმივ შორი-ახლოს მივსდევდით ილიას და მზათ ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი. მეორე კრებაზე გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგ ილაპარაკა გენერალ ლეიტენანტმა ივ. მუხრანსკიმ. მან განაცხადა, რომ უმიწოთ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავადაზნაურობა მიემხრობაო, მიწიანად კი — მხოლოდ ორიოდე კაცუნაო. ილია ჭავჭავაძემ ორატორს ხელი სტაცა, მოაბრუნა თავისკენ და ჰკითხა: „ვინ არიან ეგ

კაცუნები?“ მუხრანსკიმ მიუგო, რომ ის შესცდა და „რამდენიმე კაცუნას“ მაგივრად უნდა ეთქვა „რამდენიმე კაცი“[1].

მოტანილი ამონაწერი ჭეშმარიტად საინტერესო მოვლენებზე მიუთითებს, მაგრამ ყველაფერი არც ამით მთავრდება. ბატონყმობის მოსპობის საკითხი უშუალოდ თვითონ ილიასაც ეხებოდა. ცნობილია, რომ მასაც ჰქონდა საკუთარი მამული და ჰყავდა რამდენიმე ყმა სოფელ ყვარელში. ბატონყმობის გაუქმების პირველსავე დღეებში მწერალმა თავის მამულში მცხოვრები ყველა გლეხი გაათავისუფლა და მათვე ხელშეუხებელ საკუთრებად დაუმტკიცა მიწები და ვენახები. ამ საკითხებზე თვითონ ილია თავის ცნობილ წერილში „ნუთუ“ ამბობდა:

„მე და ჩემი მეუღლე მემამულენი ვართ, არც მე და არც ჩემს მეუღლეს არც ერთი ნაყმევი, არც ერთი ხიზანი არა გვყავს, არამცთუ საგურამოს, არამედ მთელს დედამიწის ზურგზე. მართალია, მე საკუთრივ ცოტა თუ ბევრი ყმები მყავდა კახეთში, მაგრამ ყმათა განთავისუფლების პირველ ხანებშივე მთელი მათ მიერ ხმარებული საკომლო, სახლ-კარის მიდამო, მათი ხვედრი ვენახები უსასყიდლოდ დავუთმე და ხელშეუხლებელ საკუთრებად დავუმტკიცე და ამით მოვსპე ყოველივე ბატონ-ყმური ნაშთი ჩემსა და ჩემთა ნაყმევთა შორის. ხიზნებიცა მყავდა თიანეთის მაზრაში. ხაზინა გამომევაჭრა მათ მიერ ხმარებულ მამულს და მე მარტო მაშინ მივყიდე, როცა ჩემი ხიზნები სხვა, მათ მიერ არჩეულ და მოწონებულ სახელმწიფო მამულში გადავიყვანე და დავაბინავე თავად ლევან ჯანდიერის შემწეობით, რომელიც მაშინ მაზრის უფროსად იყო. ჩემმა შეუღლემაც გაყოფის დროს ისე გამოიწილადა მონაწილეთაგან მამული, რომ არც ერთი ხიზანი, არც ერთი ნაყმევი არ ირგუნა.

„ამ სახით, ჩვენ ორს რაც მამულები გვაქვს, სულ თავისუფალი და დამოუკიდებელია სხვისაგან. მაშასადამე, მამულის გამო ჩვენ ვერაკაცი ვერც ნაყმეობით, ვერც ხიზნობით ვერას წაგვედავება, ვერას დაგვემდურება, თუ სადმე გაჩხრეკა და ლამართალია“[2].

ერთ სარწმუნო მოგონებაში, რომელიც ილიას თანამედროვეს ეკუთვნის, ამაზე ვკითხულობთ: „ისინი (ე. ი. ილია ჭავჭავაძის ნაყმევი გლეხები — ა. მ.) დღიდან ბატონყმობის გადავარდნისა, უკვე მესაკუთრე გლეხები არიან და დროებით ვალდებულ გლეხებთან არაფერი საერთო არა აქვთ: რომ მაშინ ილია ჯერ სრულიად ახალგაზრდა მოსულა ჩვენ მამებთან და უთქვამს: „ძმებო, ბატონყმო-

---

[1] კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 67.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, 1957 წ., გვ. 279.

ბის გადავარდნა, თქვენი განთავისუფლება, მე თქვენზე მეტად გამიხარდა; ნიშნად ჩემი სიხარულისა ეს მამულები თქვენთვის საკუთრებად გადმომიცია, არავითარი ღალა თუ ხარჯი მე არ მინდა. იცხოვრეთ, იბედნიერეთ და შვილებს ასწავლეთ". — გახარებულმა ბევრი გველაპარაკა და თანაც საბუთი მოგვცა და წავიდა"[1].

ზემოჩამოთვლილი ფაქტები სრულიად საკმარისია იმისათვის, რათა წარმოდგენა ვიქონიოთ ილიაზე, როგორც ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ მწერალსა და ადამიანზე. იგი თავის ცნობილ თხზულებაში „ცხოვრება და კანონი" ამბობდა: „1864 წელს მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება. მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარეა ამ სახელოვანის ცვლილებისა. აქ ყოველივე დამოკიდებულების კავშირი სამუდამოდ გაწყდა; ერთს ჩამოაცალეს ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეულ ჰქონდა"[2].

ბატონყმობის უღლიდან გლეხობის განთავისუფლება ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად მოხდა. ილიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოში ამ ბრძოლის მეთაური პირადად იგი იყო. მისი სახით ჩვენ გვყავს მწერალი და დიდი საზოგადო მოღვაწე, რომელიც სათავეში ედგა ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლას როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ისე პრაქტიკულ ცხოვრებაში.

* * *

1864 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა ქართველ პოეტთა ლექსების კრებული „ჩონგურის" სახელწოდებით. წიგნის თავფურცელი ასე იკითხება: „ჩონგური. ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა მწერლების ლექსების კრება, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან".

თავფურცელზე დასახელებულ მწერალთა თხზულებებს გარდა, წიგნში გრიგოლ ორბელიანისა და რაფიელ ერისთავის ორიოდე ლექსიც იყო დაბეჭდილი. „ჩონგურის" გამოცემა იმ დროისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იმდენად, რამდენადაც იგი ახალი ქართული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა თხზულებებს მოიცავდა.

„ჩონგურში" დაბეჭდილი იყო ილიას ლექსები: „პოეტი", „ქარ-

[1] ლიტერატურის მატიანე, წიგნი I-II, 1940 წ., გვ. 173.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, 1956 წ., გვ. 9.

თვლის დედას“, „ხმა სამარიდამ“, „ელეგია“, „გაზაფხული“, „გუთნისდედა“, „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“, „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, „მუშა“, „ნანა“, „იანიჩარი“, „არაგვი“ (პოემიდან „აჩრდილი“). იქვე მოთავსებული იყო პოემის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ ერთი დიდი ნაწილი (ნახევარზე მეტი).

„ჩონგურის“ გამოცემას გამოეხმაურა აკაკი წერეთელი. ამ შემთხვევის გამო არის დაწერილი მისი ვრცელი სტატია „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“, რომელიც 1865 წელს ივანე კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნდა.

წერილის დასაწყის სტრიქონებში აკაკი დაუფარავად გვაგრძნობინებს აღნიშნული წიგნის გამოცემით თავის პირად კმაყოფილებას. მისი სიტყვით „ეს „ჩანგური“ არის პირველი წიგნი, რომელსაც ასხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული; სტირის და ჰკვნესის ქართველების კვნესით და მაშ რაღა საეჭვოა, რომ ყოველ რიგიან ქართველთ ნათესავისათვის სასიხარულო იქნება?..“

აკაკი თავის კრიტიკულ წერილში მეტწილად ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე ლაპარაკობს. მისი აზრით მეცხრამეტე საუკუნეში ბარათაშვილი პირველი მწერალი იყო, რომელმაც შემოქმედების საგნად მშობლიური ხალხის ცხოვრება გაიხადა. კრიტიკოსის ღრმა რწმენით, ბარათაშვილის საქმის ღირსეული განმგრძობი, მისი მოკარნახე ილია ჭავჭავაძეა. აკაკი წერილის შესავალშივე გვთავაზობს სავსებით ჩამოყალიბებულ დებულებას ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილიას შემოქმედებით ურთიერთობაზე. იგი წერს:

„ბარათაშვილი და ჭავჭავაძე სწორეთ ერთს ტახტზედ სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქვსთ ჩვენს ლიტერატურაში, ერთ გვარათ დაუვიწყარები არიან, ერთის გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ; ერთის უმეორისოთ გაგება ძნელია! ერთის სიტყვით, ეგენი არიან მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა“[1].

ასეთია აკაკი წერეთლის ძირითადი დებულება. ამ დებულების დასაბუთების მიზანს ემსახურება მისი სტატიის უმთავრესი ნაწილი. იგი ცალ-ცალკე თანამიმდევრულად განიხილავს როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის, ისე ილია ჭავჭავაძის პოეზიის ნიმუშებს, რათა ამ გზით აჩვენოს, რომ ისინი ურთი მეორეზე „გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები“ არიან.

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. XI, 1960 წ., გვ. 21.

წერილში დახასიათებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის იდეურ-თემატიკური არე, ხაზგასმულია მისი პოეზიის აშკარად გამოხატული ხალხური ტენდენციები. აკაკის აზრით „ბედი ქართლისას“ ავტორმა შემოქმედების საგნად გაიხადა ქართველი ერის მთელი ცხოვრება, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. ამით მან ქართული ლიტერატურა იდეურად აამაღლა.

აკაკის ამ წერილს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის შემდგომი პოპულარობისათვის მკითხველთა წრეებში. ეს ფაქტი შემთხვევითი არაა. სამოციანი წლებიდან ილია და აკაკი სათავეში უდგანან ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებთა შეკრების, გამოცემისა და ფართო მასებში გავრცელების საქმეს.

აკაკის სიტყვით ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში „მის კვალზედ წასული არავინ გვინახავს“. აკაკი გადაჭრით ამბობდა, რომ ილია პირველი პოეტი იყო, რომელიც „შეუდგა ბარათაშვილის კვალს და, რადგანაც დროც ხელს უმართავდა, უფრო თამამათ, ტირილით დაუწყო ხალხს შეჩივლა: აი რა უნდა ეთქო თქვენთვის ბარათაშვილსაო!.. ერთის სიტყვით, ჭავჭავაძე არის ბარათაშვილის მოკანანახე და მისი დიდი ღირსებაც ამაზედ არის დაფუძნებული. ყოველს მის ლექსებში ვხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას, მაგრამ რა საგანიც უნდა აიღოს ტანჯვის გამოსახატავად, მოქმედ პირად მაინც თვითონ არის“[1].

აკაკი გულთბილად ახასიათებდა „ჩონგურში“ დაბეჭდილ ილიას ლექსებს „გუთნისდედა“ და „ხმა სამარიდან“. იგი მოხიბლული იყო ილიას „პოეტით“. აკაკი მკითხველს მოაგონებდა ამ ლექსის რამდენიმე სტრიქონს და იქვე წერდა: „ჭავჭავაძის გარდა უთქვამს ვისმეს ეს აზრი? აი რას ნიშნავს კაცობა და არა ბულბულობა“. სახელოვანი მგოსანი იმავე წერილში ქებით იხსენიებდა ილიას „კაცია, ადამიანს“ და „გლახის ნაამბობს“. იგი ამ თხზულებებს ობოლ მარგალიტებს უწოდებდა, მაგრამ ეს თხზულებები აკაკის არ განუხილავს, რადგან მისი სტატიის თემა მხოლოდ პოეზიით იფარგლებოდა.

ილია და ლიტერატურულ თაობათა პაექრობა

ილიას საზოგადოებრივი მოღვაწეობის სისრულით გათვალისწინებისათვის საჭიროა მოკლედ მაინც აღვადგინოთ სამოცი-სამოცდაათიანი წლებიდან ცნობილი ლიტერატურული პაექრობა.

[1] აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. XI, 1960 წ., გვ. 30.

ილიას კრიტიკულ წერილს, რომელიც ჟურნალ „ცისკრის“ 1861 წლის აპრილის ნომერში დაიბეჭდა, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. იმავე ჟურნალის მომდევნო მეხუთე ნომერში მის წინააღმდეგ გაილაშქრეს ბარბარე ჯორჯაძემ, გიორგი ბარათაშვილმა და რევაზ ერისთავმა. სამოციანი წლების ლიტერატურულმა პაექრობამ მკაცრი პოლემიკის ხასიათი მიიღო.

ტრადიციული გაგებით 1861—1863 წლებში ქართულ მწერლობაში ორი ურთიერთდაპირისპირებული ბანაკი ჩამოყალიბდა. ერთი იყო კონსერვატორული („მამების“) ბანაკი, და მეორე — პროგრესული („შვილების“) ბანაკი. ტრადიციული გაგების მიხედვით, ეს ბანაკები წლების მანძილზე ერთმანეთს ებრძოდნენ. ცნობილი კრიტიკოსი არჩილ ჯორჯაძე წერდა:

„ჭავჭავაძის გამოლაშქრების შემდეგ ჩვენებური სამწერლო ატმოსფერა აღარ დამშვიდებულა. კამათს კამათი მოჰყვა, თავდასხმას თავდასხმა. ყველანი, ვინც კი იყვნენ გულნატკენნი, ერთ ბანაკში შეჯგუფდნენ. გაჩაღდა პროტესტი ჭავჭავაძის და ახალთაობის წინააღმდეგ“[1].

არჩილ ჯორჯაძის აზრით, „საქართველოს მოამბის“ დაარსების შემდეგ „მამათა“ და „შვილთა“ ბანაკები საბოლოოდ გაფორმებული იყო. კრიტიკოსი წერდა:

„ნიშნები თაობათა უთანხმოებისა და შეტაკებისა აღმოჩნდნენ ჩვენში 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში“. 1863 წელს კი ორი ბანაკი თავ თავის ორგანოებშია უკვე დარაზმული“[2].

არჩილ ჯორჯაძემ ჟურნალი „ცისკარი“ კონსერვატორ „მამათა“ ბანაკის მისწრაფებათა გამომხატველად აღიარა. მისი აზრით კერესელიძის „ცისკარი“ ჯეროვნად ვერ ეხმაურებოდა აქტუალურ სოციალურ პრობლემებს. იგი, საზოგადოდ, იდეურად ჩამორჩენილი ჟურნალი იყო. ჯორჯაძე ამბობდა:

„საზოგადოებრივი ჟურნალი ან უნდა მოკვდეს, ან უნდა ჰქონდეს რაიმე კავშირი საზოგადოების მოთხოვნილებასთან. „ცისკარმა“ ვერ გაჰბედა და ვერ დაიჭირა ხელში პროგრესული დროშა. იგი მებრძოლი არ იყო“[3].

მოტანილი ამონაწერებით არჩილ ჯორჯაძის აზრი კერესელიძის „ცისკრის“ მოღვაწეობის ხასიათზე სავსებით ნათელია. კრიტიკოსი იმავე აზრს ერთხელ კიდევ თავისი ნაშრომის დასკვნით ნაწილშიც იმეორებს. იგი წერს:

---

[1] არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი V, 1914 წ., გვ. 64.

[2] იქვე, გვ. 68.

[3] იქვე, გვ. 31.

„ჟურნალისტიკის ისტორიაში აუცილებელია ისტორიული თვალსაზრისი. ამ თვალსაზრისით კი რომ შევეხოთ საგანს, აშკარად დავრწმუნდებით, „ცისკარმა“ დააჩქარა ახალ ძალთა მომწიფება და მათ სამოქმედოთ გამოსვლა; იმითი კი არ დააშურა, რომ ხეირიან საზრდოს აძლევდა ახალგაზრდობას, არამედ სწორედ იმითი, რომ გონებრივ შიმშილით შეპყრობილ ახალგაზრდობას ვერ აკმაყოფილებდა, საღერღელს უშლიდა, მოქმედებისათვის აქეზებდა. ისტორიაში ყურადღების ღირსი მარტო ცხოვრების დადებითი მხარე არ არის. საჭიროა გათვალისწინება მიზეზთა და შედეგთა სინთეზისა. და ხშირად მნიშვნელობა ამა თუ იმ უარყოფითი მოვლენისა ის არის, რომ იგი ჰქმნის და ჰბადავს მის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას“[1].

არჩილ ჯორჯაძის მიერ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ლიტერატურულ თაობათა პოლემიკაზე დღემდე მეორდება „ცისკრის“ გარშემო დაწერილ ბევრ ნაშრომში.

ლიტერატურათმცოდნეობის დღევანდელ საფეხურზე „ცისკრის“ საქმიანობის ამგვარი შეფასება მხარდაჭერას ვერ იმსახურებს. მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში, „საქართველოს მოამბის“ დაარსებამდე, კერესელიძის „ცისკარი“ ერთადერთი ჟურნალი იყო, რომელიც სათავეში ედგა მთელს ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას. ამ ჟურნალის თანამშრომელი იყო ყველა ქართველი ინტელიგენტი, რომელიც ლიტერატურისა და მეცნიერების სფეროში მოღვაწეობდა. თანამშრომელთა ასეთი სიმრავლისა და მათ შორის სრულიად აშკარა ინტელექტუალური სხვადასხვაობის წყალობით „ცისკარს“ აკლდა იდეური დახვეწილობა და პრინციპულობა. რედაქცია ხშირად იძულებული ხდებოდა ჟურნალის ფურცლებზე ადგილი დაეთმო იდეურად ერთმანეთის საწინააღმდეგო თხზულებებისათვის, ზოგჯერ ისეთისათვისაც კი, რომლის დაბეჭდვა მას სრულიად არ ეწადა.

სამოციან წლებში „ცისკრის“ უახლოესი თანამშრომლები იყვნენ ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანები, რაფიელ ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, დიმიტრი ბაქრაძე, ლავრენტი არდაზიანი და ალექსანდრე სავანელი. „ცისკრის“ საშუალებით გამოვიდნენ ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა თვრგდალეულები. იმავე „ცისკარში“ თანამშრომლობდნენ ისეთი კონსერვატორებიც, როგორიც იყვნენ ალექსანდრე სულხანიშვილი და სარდიონ მესხიშვილი.

---

1 არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი, V, 1914 წ., გვ. 101.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში „ცისკრის“ გარშემო შემოკრებილ მოღვაწეთა მთელი წრე მსოფლმხედველობის მიხედვით შესაძლებელია სამ უმთავრეს ჯგუფად წარმოვიდგინოთ.

„ცისკრის“ მწერალთა ძირითადი ბირთვი პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებისაგან შედგება. ამ ჯგუფში შედიან ივანე კერესელიძე, რაფიელ ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არდაზიანი, დიმიტრი ბაქრაძე და სხვები. ეს ჯგუფი თავისი დროისათვის პროგრესული (განმანათლებლური) იდეების გამომხატველია.

„ცისკრის“ მწერალთა მეორე ჯგუფში შედიან ქართული პატრიოტული რომანტიზმის წარმომადგენლები — ალექსანდრე ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, დავით მაჩაბელი, ვახტანგ ორბელიანი, მიხეილ თუმანიშვილი, გრიგოლ რჩეულიშვილი, შამია გურიელი და სხვები. შემთხვევითი მოვლენა არც ისაა, რომ კერესელიძის ჟურნალი სისტემატურად ბეჭდავდა რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი რომანტიკოსების — ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს.

„ცისკარში“ გაერთიანებულ მწერალთა მესამე ჯგუფი კონსერვატორი „მამებისაგან“ შედგება. ეს ჯგუფი მოქმედებაში მოჩანს ივანე კერესელიძის ჟურნალის დაარსების პირველი დღეებიდანვე. იგი ლიტერატურაში ისტორიულად განვლილი საფეხურის მიმდევრად, ხოლო ენაში უკიდურესი არქაიზმის დამცველად გამოდის. ეს ჯგუფი აშკარა კონსერვატორული პოზიციებიდან იბრძვის მოწინავე საზოგადოებრივი და პოლიტიკური იდეების წინააღმდეგ.

ლიტერატორთა ამ ჯგუფში შედიოდნენ სარდიონ მესხიშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, ირაკლი ლორთქიფანიძე, რევაზ ერისთავი, ბარბარე ჯორჯაძე, გიორგი ბარათაშვილი, გენერალი გიორგი ერისთავი და სხვები.

ივანე კერესელიძის ჟურნალს, როგორც ლიტერატურულ ორგანოს, სახეს აძლევდა პირველი ორი ჯგუფი, ხოლო მესამე (კონსერვატორი „მამების“) ჯგუფის გავლენის სფერო გაცილებით ვიწრო და შეზღუდული იყო.

ასეთია მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში „ცისკარში“ წარმოდგენილი ქართული მწერლობის საერთო ხასიათი. ამგვარ ვითარებაში იბეჭდება ილიას პირველი კრიტიკული წერილი „ორიოლე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის. ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“. თავისთავად იგულისხმება, რომ ილია ჭავჭავაძე სამოციან წლებში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილებით თავს ესხმოდა „ცისკარში“ მოკალათებულ მხოლოდ კონ-

სერვატორ ლიტერატორთა ჯგუფს და არა ამ ჟურნალში მოღვაწე ყველა ქართველ მწერალს.

სამოციან-სამოცდაათიანი წლების ლიტერატურულ პოლემიკაში ურთიერთისაგან განსხვავებული ორი ძირითადი პერიოდი არსებობს. ერთია ილიას აპრილის სტატიიდან მოყოლებული „საქართველოს მოამბის“ დაარსებამდე (1861-1862 წწ.) და მეორე — სამოცდაათიანი წლების ეპოქა. ამ პერიოდებში ლიტერატურული პაექრობა არსებითად განსხვავებული შინაარსისა იყო.

სამოციან წლებში ერთმანეთს იდეურად დაპირისპირებული ბანაკები უბრძოდნენ. „მამათა“ ბანაკში იყვნენ კონსერვატორი ლიტერატორები, რომლებიც ამაგრებდნენ ბატონყმობას და თვითმპყრობელობას, ქადაგებდნენ რელიგიისადმი ერთგულებას, იბრძოდნენ სწავლა-განათლების წინააღმდეგ, მასების კულტურული დონის ამაღლების წინააღმდეგ. ისინი სასტიკად ებრძოდნენ იმ პროგრესულ იდეებს, რომელთაც ილია და მისი თანამოაზრენი ქართულ მწერლობაში ნერგავდნენ.

სამოცდაათიან წლებში, როგორც შემდეგ ვნახავთ, სავსებით განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ამ დროს კონსერვატორი „მამები“ ლიტერატურაში უკვე აღარ არიან. იმავე დროს ახალი თაობა საზოგადოებრივ ასპარეზზე საბოლოოდ დამკვიდრებულია და მისი გავლენის სფერო დღითიდღე ფართოვდება. ამ ეპოქის პრესა არსებითად „საქართველოს მოამბის“ მიერ დაწყებულ საქმეებს აგრძელებს. ამ დროს ლიტერატურულ პაექრობაში ჩაბმული არიან მოღვაწენი, რომლებიც, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერთს დიდს უღელში ჰბმულან, და ვისაც სად, რა და როგორ ეხერხებოდა, ეს უღელი უწევია, იმიტომ რომ აქ ყოველი გზა რომში იყო მისასვლელი“[1].

შეუძლებელია სამოციან წლებში ილია ჭავჭავაძე დაპირისპირებოდა ივანე კერესელიძის, რაფიელ ერისთავის, დანიელ ჭონქაძისა და ლავრენტი არდაზიანის ჯგუფს, რომელმაც პირველმა აღმართა ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა. ასევე შეუძლებელია ილია დაპირისპირებოდა რომანტიკოსებს, რომელთა მგზნებარე პატრიოტული შემოქმედება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ილია მოწმე იყო იმ პროგრესული საქმიანობისა, რომელსაც „ცისკრის“ მწერალთა ძირითადი ბირთვი ეწეოდა. შეუძლებელია „აჩრდილისა“ და „კაკო ყაჩაღის“ ავტორი პატივისცემის გრძნობით

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 203.

გამსჭვალული არ ყოფილიყო წინამორბედი მოღვაწეებისადმი, რომლებიც მასზე ადრე და მასთან ერთად იბრძოდნენ ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

შემთხვევითი სრულიადაც არაა ის ფაქტი, რომ ილია კონსერვატორ „მამებთან“ ბრძოლის დროს ივანე კერესელიძეს ყოველთვის სიმპათიურად იხსენიებდა. იგი 1861 წლის აპრილის სტატიაში მკაცრად აკრიტიკებდა „ცისკარს“, მაგრამ იქვე გარკვევით მიუთითებდა, რომ ჟურნალის ჩამორჩენილობის მიზეზი რედაქტორის უმოქმედობა კი არ არისო, არამედ ის საერთო პირობები, რომელშიც ჟურნალ „ცისკარს“ უხდება მოღვაწეობა და ისეთი ლიტერატორები, რომელნიც „რაც მოხვდებათ და როგორც მოხვდებათ, ჰბეჭდნიან“. ილია ჭავჭავაძე წერდა:

„ჩვენ გვიკვირს უფალი რედაქტორი როგორ ბეჭდავს „შეშლილსავით“, და უფრო შეშლილ „ზადაჩებსავით“ გამოუსადეგ სტატიებსა? მაგრამ უფალი კერესელიძე გასამტყუნარი არ არი. აბა, ნუ დაბეჭდავს და ნახავს, რამდენი ხელისმომწერი მოაკლდება გულნატკენ ვიღაც „მოზადაჩების“ მეცადინეობით. თუ ხელისმომწერი არ ეყოლება ჟურნალსა, როგორ იცოცხლებს იგი? ეგრეთ ჯოჯოხეთში არის ხოლმე ყოველი რედაქტორი, რომლის ჟურნალსაც საკუთარი კაპიტალი, ანუ თანხა არა აქვს... რათ უნდა ვემდუროდეთ უფალ რედაქტორს, რომ ჟურნალი არ უვარგა? აბა რა თანხები გაუმართეთ, რომ თავისუფლად ამოერჩია სტატიები და არ ჰშინებოდა წყენისა, როცა იძულებული იქნებოდა ჩაებარებინა უკანვე გამოსადეგ პატრონისათვის მისი გამოუსადეგი სტატია“[1].

ილიასაგან „ცისკრის“ რედაქტორის ამგვარი დახასიათება შემთხვევითი სრულიადაც არაა. ასევე იქცევა იგი თავის მეორე წერილშიც („პასუხი“), რომელიც „მამების“ მიმართ კიდევ მეტი სიმკაცრითა და დაუნდობლობით ხასიათდება. ილია აქაც იმეორებდა, რომ კერესელიძის ჟურნალი, საერთოდ, მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგა, მაგრამ იგი ამ დროსაც დამნაშავედ ისევ და ისევ ავტორების ერთ ჯგუფს მიიჩნევდა და არა რედაქტორს. ჩვენი ავტორი აპრილის სტატიით განაწყენებულ მწერლებს პირდაპირ მიმართავდა: „თუ „ცისკარი“ უვარგისია, კიდევ თქვენგან, ყვავებო ფარშევანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნის ჩხავილითა!“[2].

ილია ჭავჭავაძე ივანე კერესელიძესთან და მის ჯგუფთან არასოდეს იდეურად დაპირისპირებული არ ყოფილა. არ არსებობს არა-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 16.

[2] იქვე, გვ. 31.

ვითარი ლიტერატურული დოკუმენტი, რომელიც ასეთ დაპირისპირებაზე მსჯელობისათვის საფუძველს მოგვცემდა. რაც შეეხება თვითონ „ცისკრის“ რედაქტორის საერთო დამოკიდებულებას ახალი თაობისადმი, აქ კი უნდა ითქვას, რომ მან როგორც ილიას, ისე საზოგადოდ თერგდალეულებს მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია კონსერვატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ივ. კერესელიძე კმაყოფილებით შეხვდა ილია ჭავჭავაძის მიერ ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემას. 1862 წელს „ცისკარში“ გამოქვეყნებულ სარედაქციო განცხადებას „საქართველოს მოამბის“ გამოცემაზე „ცისკრის“ რედაქტორმა ასეთი გულთბილი სტრიქონები უძღვნა:

„ვახარებთ ჩვენის „ცისკრის“ მკითხველთა და ყოველ ქართველს, ვისაც კი უყვარს თავისი სამშობლო ენა, რომ მომავალი წლის იანვრიდან გამოიცემა თბილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. დარწმუნებული ვართ, ჩვენი „ცისკრის“ მკითხველნი მიიღებენ გულმხურვალე მონაწილეობასა ამ საზოგადოდ სასარგებლო საქმეში“[1].

როგორც ვხედავთ, 1862 წლის ბოლომდე ილიასა და ივ. კერესელიძეს შორის არავითარ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია.

* * *

„საქართველოს მოამბის“ გამოცემის შემდეგ მდგომარეობა არსებითად იცვლება. თერგდალეულთა გავლენის სფერო დღითი დღე ფართოვდება, ხოლო „ცისკრის“ მწერალთა გავლენა მცირდება. ეს ბუნებრივიცაა იმდენად, რამდენადაც ახალი თაობის სამოღვაწეო პროგრამა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაცილებით ფართოა, ვიდრე „ცისკრის“ ძირითადი ჯგუფისა, რომელიც „საქართველოს მოამბის“ გამოცემამდე მოწინავე იყო.

ილია ჭავჭავაძის ჟურნალმა მალე მთელი საზოგადოების ყურადღება მიიქცია. „საქართველოს მოამბემ“ თავის გარშემო შემოიკრიბა მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია. თავისთავად იგულისხმება, რომ საზოგადოებრივი აზრის ახლებურად ამოძრავებამ კერესელიძის „ცისკარსაც“ ახალი მიზნები და ახალი გზები დაუსახა. ამიერიდან სრულიად გარკვევით შეიმჩნევა, რომ „ცისკარი“ იდეური ამაღლებისაკენ ისწრაფვის.

„საქართველოს მოამბის“ გამოსვლის შემდეგ, როდესაც „ცის-

[1] ჟურნალი „ცისკარი“, 1862 წ., № 10.

კრის“ ძირითად ბირთვს აკაკი წერეთელი და ანტონ ფურცელაძე ეშატებიან, კონსერვატორი „მამები“ ფაქტიურად კერესელიძის ჟურნალს ჩამოშორებული არიან. ზოგი მათგანი თვითონვე გაეცალა სალიტერატურო ასპარეზს, ხოლო ზოგიც ჟურნალის რედაქციამ ჩამოიშორა.

* * *

ილია ჭავჭავაძე სამოციან წლებში დაპირისპირებული არც ქართველ რომანტიკოსებთან ყოფილა. პირიქით, იგი რომანტიკოსების მიმართ ყოველთვის სიმპათიურად განწყობილი იყო. ჩვენი რომანტიკოსებიც, თავის მხრივ, კონსერვატორი „მამების“ წინააღმდეგ შებრძოლი თერგდალეულისადმი აშკარა გულისხმიერებას იჩენდნენ და, რაც კონკრეტულ შემთხვევაში მთავარია, მას მხარდაჭერას არ აკლებდნენ.

ჩვენმა მწერალმა ჯერ კიდევ პირველ კრიტიკულ წერილში ქებით მოიხსენია ცნობილი ქართველი რომანტიკოსები: ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და გრიგოლ ორბელიანი. იგი ამბობდა:

„რომ არა გვყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, კიდევ ჰო, რომ გვყვანან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას“[1].

შეუძლებელია აქვე არ აღინიშნოს, რომ ილიამ „მამების“ წინააღმდეგ მიმართული თავისი მკაცრი „პასუხი“ ქართული პატრიოტული რომანტიზმის ტიპურ წარმომადგენელს ალექსანდრე ორბელიანს მიუძღვნა. სტატიას სათაურს ქვეშ ასეთი მინაწერი აქვს: „ვუძღვნი თავად ალექსანდრე ვახტანგის ძეს ჯამბაკურ-ორბელიანს და იმ პირთა, ვინც ყურადღება აღირსეს ამ სტატიასა“[2].

სად და რა პირობებში შეეძლო ალ. ორბელიანს, რომ ილიას წერილს გაცნობოდა? რა თქმა უნდა, მხოლოდ „ცისკრის“ რედაქციაში იმ დროს, როდესაც ავტორმა იგი დასაბეჭდად წარადგინა. ცხადია, „პასუხის“ გამოქვეყნება ივანე კერესელიძისათვის უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე აპრილის სტატიისა. ბუნებრივია, რომ მისი დაბეჭდვის საკითხზე რედაქტორი ჟურნალის ძირითად თანამშრომლებს მოუთათბირებოდა. ალექსანდრე ორბელიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან, როგორც ჩანს, ამგვარ სარედაქ-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 15.

[2] ჟურნალი „ცისკარი“, 1861 წ., № 6.

ციო თათბირზე ილია ჭავჭავაძის „პასუხის“ დაბეჭდვას მხარი დაუჭირა. სწორედ ამ მხარდაჭერის შედეგად უნდა დაწერილიყო ზემოთ მოტანილი მიძღვნითი სტრიქონები, რომელიც ალექსანდრე ორბელიანის პიროვნებას ესოდენ ამაღლებულად წარმოგვიდგენს.

ალ. ორბელიანი ილიასა და მისი თაობის წინააღმდეგ არც მომდევნო წლებში გამოსულა. პირიქით, მან ადამიანური გულისტკივილით განიცადა „საქართველოს მოამბის“ დახურვა. ამ შემთხვევას იგი საგანგებო წერილით გამოეხმაურა“[1].

ილია თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ქართველი რომანტიკოსების მიმართ ყოველთვის გულითად დამოკიდებულებას იჩენდა. ილიამ „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსით გახსნა. შემდეგში იგი აქტიურად მონაწილეობდა ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებთა შეკრებასა და გამოცემაში.

* * *

ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის ურთიერთობა. გრიგოლ ორბელიანი უშუალო მოწმე იყო მთელი რიგი სიახლეებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ, კულტურულ და ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ილია ჭავჭავაძე გრ. ორბელიანს, როგორც პოეტს, ჭაბუკობიდანვე იცნობდა. ამდენად თავისებური ინტერესის შემცველია მათი ერთი პირადი შეხვედრა, რომელიც ილიას განსაკუთრებით დამახსოვრებია. ეს მოხდა 1859 წელს, როდესაც გრ. ორბელიანი პეტერბურგიდან სამშობლოში ბრუნდებოდა, ხოლო ილია ზაფხულის არდადეგებიდან უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრებოდა. ისინი საქართველოს სამხედრო გზაზე შეხვედრიან ერთმანეთს. იონა მეუნარგიას გადმოცემული აქვს ილია ჭავჭავაძის ნაამბობი:

„ჩვენ რომ რუსეთს მივდიოდით და კავკასიონის მთებზე ვიწყეთ ასვლა, — გვითხრა სხვა დროს ილიამ, — მლეთის დაშვებაზე შემოგვეყარა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთიდან ბრუნდებოდა თბილისს. გრიგოლი ფეხით მოდიოდა, ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელშემოწყობილი, პირმღიმარე, დაფიქრებული; და-

[1] ჟურნალი „ცისკარი“, 1864 წ., № 1.

შორებით მოსდევდა მას ნელის ნაბიჯით თავისი ეტლი. ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი თავისი ელემენტით — კავკასიის მთებით და ღრუბლით გარშემოზღუდული, აღტაცებით ვთქვით ერთმანეთში: სწორედ ეხლა, ამ დამშვიდებულ გულზე, ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერ ბუნებასო“[1].

ილია ჭავჭავაძემ 1861 წლის აპრილის სტატიაში გრიგოლ ორბელიანი ქება-დიდებით მოიხსენია. 1862 წლის დამდეგს ილიამ გრიგოლ ორბელიანის დახმარებით ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემის ნებართვა მიიღო. კავკასიის არქეოლოგიური კომისიის მიერ გამოცემულ დოკუმენტებში ვკითხულობთ:

„კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის აღმასრულებლის გენერალ-ადიუტანტის ორბელიანის მიმართვა კავკასიის კომიტეტის საქმეთა სამმართველოსადმი. 1862 წლის 28 თებერვალი, № 113.

„თავადმა ილია ჭავჭავაძემ მომმართა თხოვნით ქართულ ენაზე ახალი ჟურნალის გამოცემის ნებართვისათვის სათაურით „საქართველოს მოამბე“. საცენზურო კომიტეტი, რომელმაც განიხილა და მოიწონა ჭავჭავაძის მიერ წარმოდგენილი ამ ჟურნალის პროგრამა, მოითხოვს ნებართვას აღნიშნულის გამოცემაზე.

„ამის გამო და საცენზურო კანონის მე-16 და 138-ე მუხლების თანახმად ნებადართულ იქნა გამოიცეს თბილისში აღნიშნული წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, იმ პირობით, რომ მასში არ თავსდებოდეს არავითარი პოლიტიკური ამბავი და მსჯელობა.

„საქართველოს მოამბე“ გამოვა ყოველთვიურად, წიგნებად 10-დან 15 სასტამბო ფურცელზე. ფასი წლიური გამოცემისა გაუგზავნელად და ბინაზე მიუტანლად 10 მანეთი ვერცხლით. გაგზავნითა და ბინაზე მიტანით 10 მანეთი და 50 კაპიკი ვერცხლით“[2].

გრიგოლ ორბელიანის ამ მოქმედებიდან აშკარად იგრძნობა მისი მხარდაჭერა ილია ჭავჭავაძისა და მისი ჟურნალისადმი.

---

[1] ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. II, 1957 წ., გვ. 26. მეუნარგიას აზრით, ეს შეხვედრა უნდა მომხდარიყო 1857 წელს, როდესაც ილია უნივერსიტეტში შესასვლელად მიემგზავრებოდა. მეუნარგიას ამ ცნობაზე დამყარებით პაველ ინგოროყვაც ფიქრობს, რომ ეს შეხვედრა 1857 წელს მოხდა. მკვლევარი იქვე ამბობს: „თითქოს ნიშნეული იყო ეს შეხვედრა ორი სხვადასხვა ეპოქის მწერლისა კავკასიონის უღელტეხილთან. იმ დროს, როდესაც გრიგოლ ორბელიანი ეშვებოდა მწვერვალიდან, ილია ადიოდა კავკასიონზე“ (იხ. პაველ ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963 წ., გვ. 333). გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის შეხვედრა მლეთის დაღმართზე შეუძლებელია 1857 წელს მომხდარიყო. ამ წელს გრ. ორბელიანი პეტერბურგში საზოგადოდ არ ყოფილა.

[2] აქტები, ტომი XII, 1904 წ., გვ. 238.

დაბოლოს, უბრალო მოვლენა არც ისაა, რომ გრ. ორბელიანმა „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდა თავისი ერთ-ერთი შესანიშნავი მუხამბაზი „გინდ მეძინოს...“[1].

როგორც ვხედავთ, სამოციან წლებში გრ. ორბელიანი ილია ჭავჭავაძესთან დაპირისპირებული არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა. პირიქით, იგი ახალი თაობის მოღვაწეებისადმი გულითადობას იჩენდა და შეძლებისდაგვარად ხელსაც უმართავდა. მართალია, გრიგოლ ორბელიანს მომდევნო პერიოდში ახალი თაობის ინტელიგენციასთან ლიტერატურული პაექრობა ჰქონდა, მაგრამ იგი სრულიად სხვა სიტუაციაში და არსებითად განსხვავებულ საფუძველზე იყო წარმოშობილი. როგორც შემდეგ ვნახავთ, სამოცდაათიანი წლების ლიტერატურული პაექრობა არსებითად განსხვავდება 1861-1862 წლების პოლემიკისაგან.

ამ მოვლენებში მართებული ორიენტაციისათვის აუცილებელია მთავარ ხაზებში მაინც აღვადგინოთ საზოგადოებრივი და კულტურული ვითარება ეპოქისა, რომელშიც ეს პაექრობა მიმდინარეობდა. ეპოქის საერთო მაჯისცემის წარმოდგენისათვის ისევ ილიას ცხოვრების გზას უნდა გავყვეთ.

* * *

ილია 1864 წლიდან სახელმწიფო სამსახურში შევიდა. პირველად (1864 წლის აპრილიდან) იგი დაინიშნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელედ მემამულეებსა და გლეხებს შორის არსებული მდგომარეობის შესწავლის საქმეზე. ჩანს, ილიასთან ერთად კიდევ რამდენიმე კაცი ყოფილა ქუთაისის გუბერნატორთან იმავე მიზნით გაგზავნილი. პირადი მიმოწერიდან ცხადად იგრძნობა, რომ დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა ახალი თანამდებობის ადამიანებს კმაყოფილებით არ შეხვედრია. 1864 წლის 22 მაისს ილია თავის მეუღლეს სწერდა:

„ჩვენი მოსვლა ვერაფრით ეჭაშნიკათ, „აი ესენი არიან ჩვენი დამღუპველებიო. ჩვენი ყმების წამრთმეველებიო“. ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებს ჰყრიან, რადგანაც მე აქაური არა ვარ და იმათი ფიქრით, სხვა ქვეყნიდამ ვარ მოსული“[2].

ილიამ ქუთაისში სულ რამდენიმე თვე დაჰყო. იმავე 1864 წლის

[1] ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 2.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, X, 1961 წ., გვ. 239.

შემოდგომაზე იგი დუშეთს გაიგზავნა მომრიგებელი შუამავლის თანამდებობაზე. 1868 წლიდან, როდესაც კავკასიაში სასამართლო რეფორმები გატარდა, მწერალი კავკასიის მეფის ნაცვლის სამმართველოს მიერ კვლავ დატოვებულ იქნა დუშეთში, მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე[1].

ამრიგად, 1864 წლის ნოემბრიდან 1873 წლის მაისამდე ჩვენი მწერალი დუშეთში იმყოფებოდა.

ილიას დუშეთში სამსახურის პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხალხთან დაახლოების თვალსაზრისით. მართალია, იგი ხალხის ცხოვრებას ბავშვობიდანვე იცნობდა, მაგრამ მაინც სხვა იყო, როდესაც საყოველთაოდ აღიარებული მწერალი, „გუთნისდედის“, „აჩრდილის“, „კაკო ყაჩაღის“, „კაცია, ადამიანისა“ და „გლახის ნაამბობის“ ავტორი ყოველდღიურად უშუალოდ ხალხში ტრიალებდა, გუშინდელი ნაბატონარისა და ნაყმევის სადავო საქმეებს აწესრიგებდა.

მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობა მწერლისაგან დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. მიუხედავად ამისა ილიას ცხოვრების ეს პერიოდიც შემოქმედებითი მოღვაწეობის თვალსაზრისით ფრიად ნაყოფიერია. დუშეთში დაბინავების პირველსავე წლებში შეიქმნა მისი დრამატული ნაწარმოები „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“. ეს თხზულება 1865 წელს დაიწერა, ხოლო 1867 წელს გაზეთ „დროების“ 18 (30) აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა.

1869 წელს ილიას „კაცია, ადამიანი“ ცალკე წიგნად დაიბეჭდა პეტერბურგში. ამ გამოცემის გარეკანი ასე იკითხება:

ᲙᲐᲪᲘᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ
ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ.
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ
Მ. ᲒᲔᲗᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ.
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.
ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ.
1869.

გაზეთი „დროება“ 1869 წლის აპრილის დამდეგს უკვე იტყობინებოდა: „პეტერბურგში იბეჭდება და ამ აპრილის ბოლოს საქარ-

[1] გაზეთი „დროება“, 1868 წ., № 6.

თველოსკენ გამოიგზავნება „კაცია, ადამიანი“ მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა“[1].

იმავე წლის აგვისტოდან, როცა წიგნად დაბეჭდილი „კაცია, ადამიანი“ საქართველოში ჩამოიტანეს, გაზეთი „დროება“ ხანგრძლივად ბეჭდავდა საბიბლიოგრაფიო ცნობას: „ახლად დაბეჭდილი პეტერბურგში ილ. ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია, ადამიანი“ მიღებულია ჩვენში და იყიდება შემდეგ ქალაქებში: თბილისში — მელიქიშვილის და კომპანიის სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში; ქუთაისში — გერასიმე კალანდარიშვილთან; გორში—ქრისტეფორე მამაცაშვილთან; ახალციხეში — სტეფანე ბეთანიშვილთან; ოზურგეთში — მიხეილ ქიქოძესთან“[2].

დუშეთის პერიოდს ეკუთვნის ილიას თხზულებების — „აჩრდილის“, „მგზავრის წერილების“, „გლახის ნაამბობისა“ და „ქართვლის დედის“ საბოლოო რედაქციები. იქვე დაიწერა მისი ცნობილი ნაწარმოებები: „1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა“, „ბედნიერი ერი“, „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“, „ჩემო კარგო ქვეყანავ...“ და სხვები.

იმავე პერიოდში ილია კიდევ უფრო გულმოდგინედ ეწაფება ხალხურ სიტყვიერებას. დუშეთში ყოფნის დროს იგი სისტემატურად აგროვებდა ხალხური საუნჯის ნიმუშებს. მწერალი მის მიერ შეკრებილ ფოლკლორულ მასალებს სისტემატურად ბეჭდავდა თავისდროინდელ ჟურნალ-გაზეთებსა და ცალკე გამოცემებში.

ილია მონაწილეა ინიციატორთა ჯგუფისა, რომელმაც 1866 წელს გაზეთი „დროება“ დააარსა. 1876 წლის 4 მარტს გაზეთ „დროების“ დაარსებიდან ათი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ნადიმზე სტეფანე მელიქიშვილი ამბობდა:

„ბატონებო! პირველი აზრი იმ გაზეთის გამოცემისა, რომლის გამომცემელი მე გახლავარ და რომლის ათი წლის არსებობას ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ, ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც პირველად გამოსთქვა ეს აზრი „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ“[3].

ილია გაზეთ „დროების“ ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე იყო. იგი ნაყოფიერად თანამშრომლობდა აგრეთვე სამოცდაათიანი წლების ჟურნალ „კრებულში“, რომელშიც გამოქვეყნდა მისი „მგზავრის წერილები“, „აჩრდილი“, „ქართვლის დედა“ და „გლახის ნაამბო-

[1] გაზეთი „დროება“, 1869 წ., № 17.

[2] გაზეთი „დროება“, 1869 წ., №№ 31, 32, 33, 34, 35, 36.

[3] გაზეთი „დროება“, 1876 წ., № 24.

ბი“. იმავე ჟურნალში ილია სისტემატურად ბეჭდავდა მის მიერ შეკრებილ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს.

სოფრომ მგალობლიშვილი გადმოგვცემს, რომ ილია ჭავჭავაძესთან „ყოველ კვირას გარბოდა თურმე ნიკოლაძე დუშეთში, ან საგურამოში და ართმევდა ლექსებს“. იგულისხმება, რომ იმ დროს ილიასთან, ნიკოლაძის გარდა, სხვა მოღვაწეებიც მიდიოდნენ. იგი ამ პერიოდში ერის ყოველდღიური ცხოვრების კურსში იყო. მას სისტემატური მიმოწერა ჰქონდა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩვენი მწერლის აქტიური მონაწილეობით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ სამოცდაათიანი წლების ცნობილი ლიტერატურული პაექრობის დამწყებათაც პირადად იგი გვეულინება.

* * *

სამოცდაათიან წლებში კონსერვატორი „მამები“ ლიტერატურის სარბიელზე უკვე აღარ არიან, მაგრამ ისინი ფიზიკურად კვლავ არსებობენ და მათი კონსერვატიზმი თავს იჩენს პრაქტიკულ საზოგადოებრივ საქმიანობაში. სწორედ ასეთი ადამიანების საქციელმა, ერთი კონკრეტული შემთხვევის გამო, მთელი ქართველი პროგრესული საზოგადოებრიობის საერთო გულისწყრომა გამოიწვია. ამ შემთხვევას ილიაც გამოეხმაურა. საქმე ასე იყო.

1871 წლის სექტემბერში საქართველოში სტუმრად მოელოდნენ იმპერატორ ალექსანდრე მეორეს. მასპინძელ ერს შემთხვევა ეძლეოდა, რომ თვითმპყრობელისათვის რაიმე დიდი თხოვნით მიემართა. ეშვი არ იყო, რომ იმპერატორი თხოვნას დააკმაყოფილებდა.

იმპერატორის სტუმრობის მოლოდინში, წინასწარ თათბირებზე, მოწინავე ინტელიგენცია თბილისში უნივერსიტეტის გახსნას მოითხოვდა, ხოლო რეაქციული თავადაზნაურობა და დიდმოხელეები სამხედრო სასწავლებლის დაარსებას ირჩევდნენ. საბოლოოდ მაინც გადაწყდა, რომ იმპერატორისათვის წარსადგენ ადრესში უნივერსიტეტის დაარსება უნდა ჩაეწერათ, მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო. ადრესის გადაცემის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იმპერატორისადმი წარდგენილ თხოვნაში კადეტთა კორპუსის დაარსება იყო ჩაწერილი.

კონსერვატორთა აშკარად ანტიეროვნულმა და ანტიხალხურმა საქციელმა საზოგადოებრიობის საერთო უკმაყოფილება გამოიწვია. ეს საერთო საზოგადოებრივი აზრი გამოხატა ილიამ თავის ცნობილ

ლექსებში „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“. დიდი მგოსნის ეს თხზულებები 1871 წლის დეკემბერში დაიწერა.

ილიას ამ სატირულ ნაწარმოებებში გამათრახებულნი არიან იმდროინდელი თბილისის დიდი მოხელეები და გავლენიანი პირები, რომელთაც ეს ავი საქციელი ჩაიდინეს. მართალია, ლექსებში ეს ადამიანები დასახელებულნი არ არიან, მაგრამ მკითხველისათვის თითოეული მათგანი სავსებით იოლი გამოსაცნობი იყო[1].

„გამოცანებში“ სხვებთან ერთად კრიტიკულად არიან მოხსენებულნი აგრეთვე გრიგოლ ორბელიანი და მიხეილ თუმანიშვილი. „გამოცანების“ ავტორი მიხეილ თუმანიშვილს ახასიათებს როგორც ისეთ ადამიანს, რომელზეც „ამბობენ, რომ ყურმარჯვეა და ცოტად ენატანია“. შემდგომ იმავე თუმანიშვილზე ნათქვამია:

ჩინოვნიკობაში იგი — ისე, როგორც უღლის ქვეშა
თურმე გამოქნილი არი — ჩვენი გლეხიკაცის ხარი.

დაბოლოს, მიხეილ თუმანიშვილის დახასიათება მთავრდება იმით, რომ მას, ავტორის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ქართლი, სომხეთი, რუსეთი, სამივ ფეხებზე ჰკიდია“.

ილია ჭავჭავაძის ასეთი მკაცრი თავდასხმა მიხეილ თუმანიშვილზე იმით უნდა აიხსნას, რომ ჩვენი რომანტიკოსი იმპერატორისადმი წარდგენილი ადრესის ერთ-ერთი შემდგენელი იყო. იგი თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამო, ნებსით თუ უნებლიეთ, თანამზრახველი და მესაიდუმლე აღმოჩნდა იმ კონსერვატიული ჯგუფისა, რომელმაც თბილისში უნივერსიტეტის გახსნის იდეა კადეტთა კორპუსის დაარსებაზე გაცვალა.

* * *

არსებითად განსხვავებული ხასიათისაა გამოცანა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ გრიგოლ ორბელიანს მიუძღვნა. იგი ასე იკითხება:

მოხუცია იგი ჯმუხი, — ძველთაგანა ეგლა დარჩა
პირად ბადრი, ტანდაბალი, — გრძნობით სავსე, გონიერი,
საქმით წმინდა, გულმხურვალე, — მაგრამ გაუბედავია,
სიტყვატკბილი, ჰკეთმაღალი... — თუმცა უყვარს თვისი ერი.

როგორც ვხედავთ, გამოცანის პირველ ორ სტრიქონში გრიგოლ ორბელიანის პორტრეტია დახატული. მომდევნო სტრიქონებში სა-

[1] „გამოცანებში“ გამოყვანილ პირებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის მკვლევარი პავლე ინგოროყვა თავის ნაშრომში ილია ჭავჭავაძეზე (იხ. მისი თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963 წ., გვ. 442-443).

ხელოვანი ქართველი რომანტიკოსის, როგორც მოღვაწის, დახასიათებაა მოცემული. ეს დახასიათება სავსებით დადებითია.

მეორე სტროფში ავტორი აგრძელებს გრ. ორბელიანის დადებით დახასიათებას. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ გრიგოლის თაობის მოღვაწე ადამიანებისაგან „ეგლა დარჩა გრძნობით სავსე, გონიერი“. იქვე აღნიშნულია გრიგოლ ორბელიანის, როგორც პიროვნების, ერთ-ერთი ნიშან-თვისება — გაუბედაობა. „მაგრამ გაუბედავია, თუმცა უყვარს თვისი ერიო“. — ამბობს ილია.

გამოცანის უკანასკნელ სტროფში გრძელდება გრიგოლ ორბელიანის, როგორც მოღვაწის, საერთო დახასიათება. აქ „სადღეგრძელოს“ ავტორი აღიარებულია როგორც ძველსა და ახალ თაობებს შორის „შემაერთავი ხიდი“. იქვე სახელოვანი რომანტიკოსი დახასიათებულია როგორც კარგი მოქალაქე და მოღვაწე. ასე რომ „გამოცანებში“ გრიგოლ ორბელიანის წინააღმდეგ არსებითად ერთი ბრალდებაა წაყენებული. ეს არის მისთვის დამახასიათებელი გაუბედაობა.

გრიგოლ ორბელიანმა „გამოცანებს“ უპასუხა თავისი ცნობილი ლექსით „პასუხი შვილთა“. ილიამ გრიგოლის ლექსს „პასუხის პასუხი“ შეაგება. იმავე დროს საქმეში აკაკი წერეთელიც ჩაება და ეს ლიტერატურული პაექრობა საერთო საზოგადოებრივი ყურადღების საგნად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ საპოლემიკო ლექსები ხელნაწერად ვრცელდებოდა და არა ბეჭდურად. გრიგოლ ყიფშიძე სამართლიანად წერდა:

„მოეფინა თითქმის მთელს საქართველოს ეს ხელნაწერი საეპიგრამო ლიტერატურა, რომელსაც ბევრნი და ძლიერ ბევრნი გატაცებით კითხულობდნენ, სულ ზეპირად სწავლობდნენ, ისე ღრმად სწვდებოდათ გულში როგორც გამოცანები, ისე პასუხი და პასუხის პასუხი“[1].

სამოცდაათიან წლებში იდეურად დაპირისპირებული ადამიანები კი არ კამათობდნენ, არამედ განსხვავებულ ლიტერატურულ თაობათა წარმომადგენელი მწერლები, რომელნიც მშობლიური ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ იღვწოდნენ. მათ შორის დავა არსებითად იმაზე წარმოებდა, თუ რომელმა თაობამ გააკეთა მეტი მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ, ძველმა თუ ახალმა. შემთხვევითი სრულიადაც არაა, რომ გრიგოლ ორბელიანმა თავის საპოლემიკო ლექსს ეპიგრაფად წაუმძღვარა ცნობილი ქართული ხალ-

[1] ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, მ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914 წ., გვ. XXXVIII.

ხური ანდაზა: „ასეთმა ფურმა დამწიხლოს, საწველელი ამივსოსო“.

სამოცდაათიანი წლების ლიტერატურულ პაექრობაზე იმდროინდელი ჩვენი საზოგადოებრივი აზრის გამომხატველად მოჩანს სერგეი მესხის წერილი „ჩვენი მამები და შვილები“, რომელიც 1872 წლის დამდეგს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა. მესხი თავის წერილში სამოცდაათიანი წლების პაექრობის საერთო დახასიათებას ახდენდა და დასკვნის სახით ამბობდა:

„ორივე მხრივ ბევრი გასამტყუნარი პუნქტია წარმოდგენილი; მაგრამ ყველა რომ ჩამოვთვალოთ, რაშიაც ეს ორი მხარე ერთმანეთს ამტყუნებს, ერთობ შორს წავა. და ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გვეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ ჩვენი საზოგადოების ორს ნაწილს შორის, მოხუცებულებსა და ახალგაზრდებს შორის უკმაყოფილება და დაუნდობლობა სუფევს და რომ ამ გარემოებას ხეირის დაყრა არ შეუძლია ჩვენთვის.

„მართლა, დავანებოთ თავი იმის განხილვას, თუ რომელმა მხარემ უფრო მომეტებული სარგებლობა მოუტანა ჩვენს ქვეყანას? მოხუცებულებმა თუ ახალგაზრდებმა უფრო ბევრი დაუხმარნენ ჩვენს მხარეს საზოგადო საქმეებში და ხალხის კეთილდღეობის მისაღწევად? კარგათ რომ დაუფიქრდეთ და გულზე ხელი დავიდვათ, უნდა გავტყდეთ, რომ ჯერჯერობით სიკეთე არც ერთ მხარეს არ მოუტანია თავის საზოგადოებისათვის“[1].

სერგეი მესხი, რომელიც ახალი თაობის მხარეზეა, ყველა ქართველ მოღვაწეს შეერთება-შეკავშირებისაკენ მოუწოდებს, რადგან საერთო საქმე ძალზე ბევრია საკეთებელი და „საზოგადო გაჭირვებას საზოგადო დახმარება უნდა“.

გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის კამათში ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი მხარეა ნახსენები და ყველა შემთხვევაში თითოეული მათგანი ცდილობს მოწინააღმდეგე დაადანაშაულოს. მოულოდნელი არც ისაა, რომ ამ პოლემიკაში ისინი გამოთქმის უმკაცრეს ფორმებსაც არ ერიდებოდნენ. სწორედ ამ დროს ახალი თაობის წარმომადგენლებმა გრ. ორბელიანი „მამათა“ ბანაკს მიაკუთვნეს. თავისთავად იგულისხმება, რომ სამოცდაათიან წლებში „მამათა“ ბანაკში ყოფნას უკვე საზოგადო მოღვაწის შეურაცხმყოფელად მიიჩნევდნენ. ამ ფაქტის სხვანაირად ახსნა შეუძლებელია თუნდაც იმის გამო, რომ ამ დროს ქართულ ლიტერატურაში „მამების“ ბანაკი, როგორც ასეთი, საზოგადოდ არ არსებობს.

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 191.

* * *

მეცხრამეტე საუკუნის სამოცი-სამოცდაათიანი წლების ლიტერატურულ პაექრობაზე საინტერესო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული თვითონ ილია ჭავჭავაძეს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა მისი 1881 წლის მაისის შინაური მიმოხილვა და წერილები ქართულ ლიტერატურაზე, რომელიც 1892 წლით არის დათარიღებული.

სახელოვანი მოღვაწე ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ცნობილ „მამათა" და „შვილთა" პოლემიკას რუსული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების შედეგად თვლიდა. მისი აზრით, პისარევის მიერ დაწყებულმა უარმყოფელობამ, რომელმაც რუსეთის მთელი ლიტერატურული ცხოვრება მოიცვა, ზოგიერთი ქართველი მწერალიც აიყოლია. შინაურ მიმოხილვაში ილია წერდა:

„თითქმის მთელი რუსეთი გაიყო ორ დიდ ბანაკად. ერთში მოექცნენ ძველის, არსებულის მომხრენი, მეორეში ძველის უარმყოფელნი და ახლის მესვეურნი. პირველს, ბანაკს დაერქვა „მამების ბანაკი", მეორეს — „შვილებისა". ეს სწორედ რუსეთში მოგონილი სახელებია და სრულებით არ უხდება იმ საგანს, რომელიც ევროპაში მოქმედებს კონსერვატორების და ლიბერალების გასარჩევად"[1].

იქვე, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, ილია კვლავ ამბობდა: „მამების და შვილების" ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია ჩვენებური უმაწვილ-კაცობა და იმ ბრმად აყოლილებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც გადმოიტანეს"[2].

შინაური მიმოხილვის ერთ ნაწილში ი. ჭავჭავაძე საგანგებოდ მსჯელობდა რუსეთში „მამებისა" და „შვილების" ბრძოლისადმი ქართველ სამოციანელთა მიმართებაზე. ილია თვლიდა, რომ სამოცი-სამოცდაათიანი წლების ქართველ ლიტერატურულ ახალგაზრდობაში ორი ძირითადი ჯგუფი იყო: ერთი, რომელიც „მამების" და „შვილების" ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია", ხოლო მეორე ის, რომელმაც „თავისი შეცდომა მალე იცნო, გამოვიდა და ცალკე გუნდად დადგა ცხოვრების მოედანზედ".

მწერალი მომდევნო სტრიქონებში კიდევ უფრო აკონკრეტებდა ამ ჯგუფების შემადგენლობას. იგი ამბობდა: „პირველებმა დაიხვიეს ხელზე რუსეთის „მამა-შვილობა"... მეორეები კი დააკვირდნენ

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1955 წ., გვ. 69.

[2] იქვე, გვ. 95.

ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს".

ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ მწერლის ყურადღების ცენტრში ექცევა ის ჯგუფი, რომელიც ქართველ სამოციანელთა ძირითად ბირთვს წარმოადგენდა. ესენი იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც „სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის ძალ-ღონითა"[1].

მწერალი იქვე მიუთითებდა, რომ ის „სხვა რამე" იყო — ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვცდენია, — ყველასათვის ცხადზედ ცხადია".

ამის შემდეგ ილია შეფასებას გვაწვდის იმ საქმიანობისას, რომელსაც სამოციანელთა ძირითადი ბირთვი ქართველი ერის დაცემული ვინაობის აღდგენისა და ფეხზე დაყენებისათვის ეწეოდა. ინტერესს მოკლებული არც ის არის, რომ სტატიაში დასახელებულია უმთავრესი ჟურნალ-გაზეთები, რომლებითაც სამოციანელთა თაობას თავისი მოწინავე იდეები ერში შეჰქონდა. წერილში ვკითხულობთ:

„იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიჰმართა. მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრა მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. „საქართველოს მოამბე", „მნათობი", „დროება" და ბოლოს „ივერია" სულ მაგ მიმართულების ბუკსა და ნაღარასა სცემდენ. საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენის პოეზიისა სულ მაგას გვამხელდნენ, მაგას გვიგალობდნენ დღეს-აქამომდე"[2].

მოტანილი ამონაწერიდან ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ „საქართველოს მოამბის" გამოცემის შემდეგ 1861-1862 წლებიდან ცნობილი „მამათა" და „შვილთა" პოლემიკა არსებითად დამთავრებულია. ილიას ჟურნალის გამოცემიდან უკვე ჩართულ ლიტერატურულ ცხოვრებას სათავეში სამოციანელთა ძირითადი ბირთვი უდგას.

ბრძენი მოღვაწე 1881 წლის მაისის მიმოხილვაში იმასაც ითვალისწინებდა, რომ პრაქტიკულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესაძლებელი იყო რომელიმე ცალკეული „მამა" (რეტროგრადი) კიდევ გამოჩენილიყო. იგი ამაზე თანამოაზრეებს აფრთხილებდა:

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1935 წ., გვ 95.

[2] იქვე.

„ჩვენებური ტეროგრადი ის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენის დღევანდელის დღის მღაღადებელს ხმას არ გაუგონებს, ყურს მოუყრუებს და არ აჰყვება. გინდათ „მამა“ დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი“. აქ სახელწოდება არაფერს შუაშია, ოღონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის“[1].

მართალია, ოთხმოციანი წლებიდან ამგვარ „მამათა“ გამოხდომის ფაქტები ცნობილი არაა, მაგრამ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურისაგან თანამოაზრეთა ასეთნაირი გაფრთხილება მაინც თავისთავად სასურველი და საჭირო იყო.

არსებითად რომ ითქვას, ქართულ სინამდვილეში ამგვარი „მამები“ მხოლოდ ერთხელ, სამოცდაათიან წლებში გამოჩნდნენ. ასეთნი იყვნენ ის ადამიანები, რომელთა წინააღმდეგ ილიამ თავისი „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“ დაწერა. ამის შემდეგ კი მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორებულა.

სწორედ ამ საფუძველს ემყარებოდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს თავის წერილებში ქართულ ლიტერატურაზე ამბობდა:

„ჩვენს ცხოვრებას ამ საუკუნეში რომ გულამდე თვალი გავუბნიოთ. ვნახავთ, რომ იგი წარმოგვიდგენს აზრთა და მიმართულების წინსვლას, წარმატებას, მერე ისე, რომ შემდეგი წინაზე უფრო სრულია, უფრო სავსე, უფრო ვრცელი და უკეთესი. აქ ზრდაა, მატებაა აზრისა, გონების თვალთახედვის გაგანიერება, განდიდება, გაძლიერება, და არა ჭიდილი და ბრძოლა, რომელთაც გაბატონება, მბრძანებლობა მოსდევს ერთისა და დაჩაგვრა და ყმობა მეორისა. ამიტომაც ვხედავთ, რომ ჩვენს ცხოვრებაში არც ერთს ცალკედ ფეხადგმულს აზრს, თუ მიმართულებას ბუნება ჟამთა სიარულში არ გაუმოსცვლია, არ დაჰშლია, და ყოველივე იგი, დაწყებიდან დღევანდლამდე, თითქმის ერთისა და იმავე ბუნებისაა, ერთისა და იმავე თესლისაა, ხოლო განსხვავება იმაშია, რომ როგორც ყოველივე მოზარდი. დღეს ისეთი აღარ არის, როგორც გუშინ იყო: დღეს უფრო დასრულებულია. უფრო ტანადოვანია, თუ ესე ითქმის, უფრო გაწმენდილი და გაფაქიზებული. აიღეთ რომელიც გნებავთ ცალკე აზრისა და მიმართულების მატება და წინსვლა, ყველგან ნახავთ, რომ ერთს მეორესთან მოთავსებით, ერთმანეთის შეწყნარებით უცხოვრია, ხელშეუშლელად, მშვიდობიანად უცლია, და ამ სახით ყველა მოღვაწენი ერთს დიდს უღელში ჰბმულან და ვისაც სად და

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1955 წ., გვ. 96.

როგორ ეხერხებოდა, ეს უღელი უწევიათ, იმიტომ რომ აქ ყველა გზა რომში იყო მისასვლელი"[1].

სამოციანელთა გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე ჭეშმარიტად განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამ თაობამ ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის გააკეთა იმდენი, რაც მასზე ადრე არც ერთ თაობას არ გაუკეთებია. სამოციანელთა თაობა თავისი მოღვაწეობით, როგორც ილია იტყოდა, „უფრო დაბრულებულია, უფრო ტანადოვანია", მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წინა თაობათა ნამოღვაწარი უბნიშვნელო იყოს. პირიქით, წინა თაობები ამზადებდნენ ნიადაგს იმ დიდი ლიტერატურული და საზოგადოებრივი საქმეებისათვის, რომელნიც სამოციანელებმა გაშალეს. თერგდალეულთა თაობა კანონიერი მემკვიდრე და გამგრძელებელია მთელი ლიტერატურული ცხოვრებისა, რომელსაც მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებამდე ვიცნობთ, რომანტიკოსებიდან დაწყებული ივანე კერესელიძის „ცისკრის" მწერლობის ჩათვლით.

გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე სხვადასხვა ლიტერატურული თაობის მწერლები არიან. პირველი ქართული პატრიოტული რომანტიზმის სახელოვანი წარმომადგენელია, მეორე — კრიტიკული რეალიზმის მამამთავარი. პირველი წინა საუკუნისაა, ხოლო მეორე — მომდევნო და უფრო მაღალი. ამდენად ეს ორი მწერალი, როგორც ორი ლიტერატურული თაობის წარმომადგენელი, ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის მუდმივი მოძრაობის, წინსვლისა და განვითარების გამომხატველია.

მართალია, კერესელიძის „ცისკარში" წლების მანძილზე ბინადრობდნენ კონსერვატორი „მამები", მაგრამ მათი ლიტერატურული საქმიანობა ამ ჟურნალისათვის ძირითადი და დამახასიათებელი არასოდეს არ ყოფილა, პირიქით, მათი გავლენის სფერო ძალზე განსაზღვრული იყო. 1861-1862 წლების ბრძოლაში ისინი, როგორც იდეურად ჩამორჩენილი და ინტელექტუალურად შეზღუდული ლიტერატორები, თერგდალეულებმა იოლად გამოაშკარავეს და გააცამტვერეს. 1863 წლიდან, „საქართველოს მოამბის" გამოცემის შემდეგ, „მამები" არსებითაც უკვე ღონივითარ ძალას აღარ წარმოადგენდნენ, ხოლო დროთა ვითარებაში ისინი, როგორც მწერლობასთან შემთხვევით მიტმასნილი ადამიანები, ლიტერატურის ისტორიამ სრულიად გარიყა.

სამოციანი წლების „ცისკარს", როგორც საზოგადოებრივ ჟურ-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 202.

ნალს, სახეს აძლევდა ივანე კერესელიძის, გრიგოლ ორბელიანის, რაფიელ ერისთავის, დანიელ ჭონქაძის, ლავრენტი არდაზიანის, ანტონ ფურცელაძის, დიმიტრი ბაქრაძის, ვახტანგ ორბელიანისა და სხვა მოღვაწეთა ლიტერატურული საქმიანობა. ეს თაობა უშუალოდ ამზადებდა ნიადაგს ილია ჭავჭავაძისა და ქართველ სამოციანელთა დიდი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

სამოციანელთა საქმიანობა კერესელიძის „ცისკარში“ იწყება, ხოლო „საქართველოს მოამბის“ გამოცემის შემდეგ იგი საბოლოოდ ფორმდება როგორც ახალი ლიტერატურული მიმართულება.

ილიას ჟურნალმა სულ ერთი წელი იარსება, მაგრამ იგი წარუშლელ კვალს ტოვებს ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. ამ ჟურნალში საბოლოოდ ფორმდება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამის შემდეგ ბრძოლა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ უფრო მწყობრი, თანამიმდევრული და სისტემური ხასიათის ხდება. „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ამ მოძრაობის გამგრძელებლად გვევლინება გაზეთი „დროება“, ჟურნალები „მნათობი“ და „კრებული“.

თავისებური პაექრობა სამოცდაათიანი წლების ჟურნალებსა და ცალკეულ მწერლებს შორისაც წარმოებდა, მაგრამ მათი საქმიანობა საბოლოოდ მაინც ერის კეთილდღეობის საერთო მიზანს ემსახურებოდა.

გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული პაექრობა არავითარ შემთხვევაში იდეურად დაპირისპირებულ ადამიანთა კამათი არ ყოფილა. ამიტომაცაა, რომ ამ პაექრობის შემდეგ მათ შორის კვლავ საქმიანი და გულითადი ურთიერთობა გრძელდება.

მომდევნო პერიოდში გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე ეროვნული მნიშვნელობის მთელ რიგ საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში ერთად მოღვაწეობდნენ. ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ საადგილმამულო ბანკში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, ლიტერატურულ საღამოებზე, ქართულ თეატრში, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში და სხვ.

ილია გრიგოლ ორბელიანს, როგორც პოეტური სიტყვის შესანიშნავ ოსტატს, დიდად აფასებდა. 1883 წლის მარტში, პოეტის სამგლოვიარო დღეებში, როდესაც ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები გრიგოლ ორბელიანს, როგორც მეფის გენერალს დასტიროდნენ, ილია ჭავჭავაძე თავს ხრიდა დიდებული მამული-

შვილისა და სახელოვანი ქართველი მწერლის ცხედრის წინაშე.

გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებიდან ხუთი თვის შემდეგ, იმავე 1883 წელს აგვისტოს შინაურ მიმოხილვაში, ილია ჭავჭავაძემ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა სახელოვანი რომანტიკოსის განსაკუთრებული ღვაწლი ქართველი ერის კულტურული ცხოვრების ისტორიაში. იგი წერდა:

„მოიგონეთ გრ. ორბელიანის დიდის ყოფით და ამბით დასაფლავება და ის თანაგრძნობა საზოგადოებისა, რომლითაც განიმსჭვალა იგი. თითქო ერთი კაცია, — და მერე იკითხეთ, რამ გამოიწვია ის საერთო წუხილი, თუ არ მან, რომ იგი იყო თავის დაჩაგრულის მამულის ძლიერ სიტყვით მოტრფიალე, ეროვნულის იდეის პოეტურად გამომხატველი. „დროთა, სიზმარებრ გამქრალთა“ — ჭირისუფალი, საქართველოს დიდების კვლავ დაბრუნებისთვის ზეშთაგონებული.

„ნუთუ ეს იმას არ ამტკიცებს, რომ საზოგადოება უპირველეს ყოვლისა იდეას სცემდა პატივსა, როცა ისეთის დიდის ყოფით აცილებდა უკანასკნელს სადგურამდე თავის გულისპასუხის ძლიერად გამომხატველს პოეტს, რომ აზრს მამულიშვილობისას ჰრთავდა გულრგვინით, როდესაც ყვავილებში ჩააწვინა ამ აზრის მტვირთველი და მატარებელი კაცი, დიახ, ძნელთა და საშიშ გარემოებათა შორის, დაწყებული მე-30 წლიდამ ვიდრე ჩვენ დრომდე?“[1].

მოტანილ სტრიქონებში განმეორებულია და განვითარებულია იგივე მაღალი აზრი გრიგოლ ორბელიანის პოეტურ მემკვიდრეობაზე, რომელიც ილიამ პირველად ჩვენი რომანტიკოსისადმი გამოსათხოვარ სიტყვაში ჩააქსოვა.

ილია ჭავჭავაძე სამოცდაათიან წლებში

სამოცდაათიანი წლების ლიტერატურული პაექრობის დროს ილია ჯერ ისევ დუშეთშია. მიუხედავად ამისა, იგი ამ პერიოდშიც ჩვენი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების აქტიური მონაწილე და მეთაურია.

გასაგებია, რომ ისეთი დიდი გაქანების მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, როგორადაც ილია წარმოგვიდგება, პროვინციაში ცხოვრება ვერ აკმაყოფილებდა. მისი პირადი მიმოწერიდან ჩანს, რომ იგი იძულებული იყო ასეთ პირობებში ეცხოვრა მხოლოდ იმის გამო, რომ მას არსებობის სხვა სახსარი არ გააჩნდა.

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1955 წ., გვ. 280.

ილია 1872 წლის ივნისში პეტრე უმიკაშვილს სწერდა:

„მე, სწორედ გითხრა, ცუდის აგებულების კაცი ვარ. დიდი მოსვენება და შალავათი მინდა, რომ დავწერო რამე და მინამ ეგ ჩინოვნიკობას თავს არ დავანებებ — ეგ მოსვენება და შალავათი ჩემთვის სიზმარია. თუ დავიწყე რამე და არაფერმა არ დამიშალა, დაწყობილს მალე შევასრულებ, და თუ დაწყობილი შემაწყვეტინა რამემ, გათავდა: მე იმ დაწყობილს ვეღარ მოვუბრუნდები. ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოცალეობა არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. დიდად ვწუხვარ ამგვარ მდგომარეობისათვის, მაგრამ შველა არსით არი. ვფიქრობ თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რით ვიცხოვრო. ვაი თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა პურის შოვნის დევნაშია, სამსახურს რომ თავი დავანებო. ესეა ჩემი ვითარება“[1].

თაეისთავად იგულისხმება, რომ ილია ყოველთვის შეეცდებოდა თბილისში დაბრუნებულიყო და კელავ დიდი საქმეების ცენტრში ჩამდგარიყო. სამოცდაათიან წლებში ამგვარი შესაძლებლობაც გაჩნდა. ეს მოხდა 1873 წელს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ საადგილმამულო ბანკის დაარსება გადაწყვიტა. ჩვენი პოეტი ავტობიოგრაფიაში წერს:

„ბევრი ყოყმანისა და მერყეობის შემდეგ, თუ რაგვარი საკრედიტო დაწესებულება დავაარსოთო, თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა, ჩემის რჩევისამებრ, დაარსება საადგილო ბანკისა და აირჩია კომისია, რომლის ერთ-ერთ წევრად მეც დამნიშნა წესდების შემდგენად“.

რამდენიმე თვის შემდეგ წესდება დაიწერა და იგი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ყრილობამ მოიწონა, მაგრამ ყველაფერი ამით არ მთავრდებოდა. იგივე წესდება ხელისუფლების შემდგომ დაწესებულებებში უნდა დამტკიცებულიყო, უამისოდ ძალაში ვერ შევიდოდა. მისი დამტკიცება კი რიგ წინააღმდეგობებს ხვდებოდა. თბილისის ბანკის წესდების დამტკიცებას ისიც აძნელებდა, რომ იგი რამდენადმე განსხვავდებოდა რუსეთის იმპერიაში არსებული ანალოგიური ბანკების წესდებათაგან. ქართული ბანკის წესდების ამ თავისებურებაზე თვითონ ილია იმავე ავტობიოგრაფიაში ამბობს:

„მისი ნიშნობლივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებისაგან განარჩევს, ის არის, რომ ბანკის მოგება, იმის გარდა რაც სხვადასხვა თანხას უნდა მიემატოს,

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 36.

ჰხმარდება ამერეთის არა მარტო მიწათმფლობელთა, ესე იგი თავად-აზნაურთა, არამედ მიწათმოქმედთა საერთო საჭიროებას. ამ საბით თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ისეთი ერთადერთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულიად უარყოფილია კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის"[1].

თბილისის ბანკის წესდების თავისებურება პირადად ილიას ღვაწლს მიეწერება. ის მუხლი, რომელიც ქართული ბანკის წესდებას განასხვავებდა, შეტანილი იყო პირადად მისი დაბეჯითებითი მოთხოვნით. ასეთი განსხვავებული წესდების დასამტკიცებლად ხელისუფლების წინაშე უნდა წამდგარიყო ადამიანი, რომელიც ამ ძნელ საქმეს შეძლებდა. როგორც ჩანს, 1873 წლის დამდეგს ილია თბილისის საადგილმამულო ბანკის მმართველად უკვე გაუფორმებიათ. გაზეთი „დროება" 9 იანვრის ახალ ამბებში იტყობინებოდა:

„ჩვენ გავიგონეთ, რომ თბილისის სააზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს ბანკის მმართველად ილია ჭავჭავაძე ამოურჩევია, რომელიც ამის გამო, როგორც ისმის, სამსახურს სტოვებს. ამასთანავე ამბობენ, რომ დირექტორების ამორჩევა კომიტეტს თვითონ ბანკის მმართველისათვის მიუნდვია და იმას უკვე ამოურჩევია დიმიტრი ყაზიბეგი და დავით ყიფიანი. სამნივე უსენი ამ მოკლე ხანში პეტერბურგში აპირებენ წასვლას ერთის მხრით იმისთვის, რომ ბანკის პროექტის დამტკიცება დააჩქარონ და მეორეთ იმისთვისაც, რომ ბანკის საქმე პრაქტიკულად შეისწავლონ".

უმნიშვნელო მოვლენა არც ისაა, რომ ახალდაარსებულ ბანკში ჩვენი მწერლის დანიშვნას გაზეთ „დროების" რედაქცია სრული მოწონებითა და თანაგრძნობით შეხვედრია. თავისთავად იგულისხმება, რომ „დროებისაგან" ილიასადმი ამგვარი მხარდაჭერა იმდროინდელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის საერთო აზრს გამოხატავდა. ზემომოტანილ სტრიქონებს უშუალოდ მოსდევს სიტყვები:

„ჩვენ სრულს თანაგრძნობას განვაცხადებთ ამ ამორჩევაზე. პირუთვნელად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძისოდენი თითქმის არავის არ უშრომია ამ უკანასკნელ დროს თბილისის სააზნაურო ბანკისათვის და იმდენი მონაწილეობა ამ ბანკის წესდებულების შედგენისათვის არავის არ მიუღია. სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მომავალი ბანკის მმართველი კარგად და სინდისიანად წაიყ-

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, 1957 წ., გვ. 310.

ვანს ამ საქმეს, რომელიც, როგორც ჩანს, ზედმიწევნით შეუსწავლია"[1].

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის თბილისს გადმოსვლა 1873 წლის იანვარში არსებითად უკვე გადაწყვეტილი ყოფილა, მაგრამ სინამდვილეში იგი დუშეთიდან მხოლოდ მაისის ბოლოს გამოემგზავრა. იმავე წლის 17 მაისს ილია ისევ დუშეთიდან ოლღას სწერდა:

„ვერ წარმოიდგენ, რარიგად მოუთმენლად მოველი ჩემს „ატსტავკასა", რომ ერთი თავიდან მოვიშორო სამსახურის ვაი-ვაგლახი და ამ დუშეთს სრულიად და სამუდამოდ გამოვეთხოვო... რა წამსაც „ატსტავკა" მამივა და საქმეებს ჩავაბარებ, მაშინვე წამოვალ... დიმიტრი ყაზიბეგი ზის ქალაქში, მე მელის და სიცხით იწვება ჩემს ლოდინში. მე და ეგ ერთად მივდივართ ბაქოზედ და მაინდამ ერთად წავალთ რუსეთს"[2].

ამ წერილიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი მწერალი დუშეთს მართლაც გამოეთხოვა. 1873 წლის 1 ივნისს გაზეთი „დროება" კვლავ იტყობინებოდა:

„ჩვენ გავიგონეთ, რომ ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ყაზიბეგი, რომელთაგან პირველი აქაური სათავადაზნაურო ბანკის მმართველად არის ამორჩეული და მეორე დირექტორად, ამ დღეებში პეტერბურგში მიდიან".

ილია ივლისის დამდეგს უკვე მოსკოვში იყო. 1873 წლის 12 ივლისით არის დათარიღებული მოსკოვიდან გამოგზავნილი მისი პირველი ვრცელი წერილი ოლღასადმი.

1874 წლის მიწურულს თბილისის ბანკის წესდება საბოლოოდ დამტკიცდა. 1875 წლიდან ბანკი ამოქმედდა და მას სათავეში ილია ჩაუდგა. სამი ათეული წლის განმავლობაში იგი ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობას ასრულებდა. როდესაც ვაკვირდებით სიძნელეებს, რომელნიც თბილისის ბანკის საქმიანობას თან ახლდა, ნათელი ხდება, თუ ეს სამუშაო ჩვენი მწერლისაგან რაოდენ დროსა და ენერგიას მოითხოვდა.

ილია ჭავჭავაძეს თანამედროვეობისაგან თვითონვე არა ერთგზის მოუსმენია ერთგვარი გამაფხიზლებელი მოწოდებანი, რომ ბანკში მუშაობით თავისი ძირითადი საქმიანობა არ მიეტოვებინა; რომ მისი ნამდვილი დანიშნულება მწერლობა იყო, ხოლო ბანკში სამსახუ-

[1] გაზეთი „დროება", 1873 წ., № 1.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 286.

რი კი დროებითი და წარმავალი. დამახასიათებელია ერთი პატარა ლექსი, რომელიც 1889 წლის საახალწლო მილოცვად თვითონ ილიას „იერიაში“ დაიბეჭდა. იგი ასე იკითხება:

ნუ უღალატებ მერანსა, „ჩოტკი“ ძირს დადე, ილია;
ყველა ეს წავა, გაქრება, დარჩება „განდეგილია“[1].

როგორც ვხედავთ, ილიას პიროვნება თანამედროვეთა ცნობიერებაში უწინარეს ყოვლისა აღბეჭდილი იყო როგორც მწერალი, მხატვრული სიტყვის ოსტატი. ამითაა განპირობებული ის ერთგვარი საყვედურები, რომელთაც ზოგიერთი თანამედროვის მოგონებაში ვხვდებით. როდესაც ლაპარაკია ჩვენი მწერლის საბანკო მოღვაწეობაზე, საჭიროა ანგარიში გაეწიოს მთელ რიგ მოვლენებს, რომელთა გამო იგი ამ საქმიანობაში ჩაება და მასვე ხანგრძლივად მიეჯაჭვა.

ბანკში მოღვაწეობა ილიასთვის არასოდეს თვითმიზანი არ ყოფილა. ეს საქმიანობა მისთვის უმთავრესად იყო სამსახურებრივი მოვალეობა, რომელიც მას არსებობის საშუალებას აძლევდა. როდესაც ვითვალისწინებთ, რომ მწერალმა მხოლოდ ბანკში მუშაობის დაწყებით შეძლო საბოლოოდ თბილისში დაბინავებულიყო, სხვა დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, გარდა იმისა, რომ მისთვის ბანკში მუშაობა ყველაზე უკეთესი არჩევანი იყო.

ილია ბანკის საქმეებს ყოველთვის ერთგულად ეკიდებოდა. ეს მისი პირადადამიანური თვისებიდან გამომდინარეობდა. მას საზოგადოდ არ შეეძლო საქმისათვის გულგრილად შეეხედნა. თუ ანგარიშს გავუწევთ იმასაც, რომ ილიას თანამდებობა არჩევითი იყო, მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება ბანკისადმი მისი ერთგულების საფუძველი.

ეს იყო ერთი მთავარი მიზეზი, რაც ილიას ბანკში მუშაობისაკენ იზიდავდა, განსაკუთრებით პირველ ხანებში. მაგრამ თუ ეს მომენტი, მატერიალური საარსებო საშუალების ძიება პირადულია, იყო კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც დიდ მწერალს იმავე დაწესებულებასთან აკავშირებდა. ეს იყო წმინდა საზოგადოებრივი მიზნები, რომელთაც იგი ამ დაწესებულებას უსახავდა და რომელსაც, მისივე წყალობით, ბანკი მართლაც ასრულებდა. თბილისის საადგილმამულო ბანკი ერთადერთი დაწესებულება იყო, რომელიც წლების განმავლობაში მატერიალურად უზრუნველყოფდა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

[1] გაზეთი „იერია“, 1889 წ., № 1.

მისი სახსრებით არსებობდა ოთხმოციანი წლების ქართული თეატრი. ილიას დახმარებით ქართული თეატრი ბანკიდან ხშირად იღებდა ფულად შემწეობას.

თბილისის საადგილმამულო ბანკისაგან თავისებურად დავალებულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. რაღა თქმა უნდა, ამ საზოგადოებაზე დახმარებაც პირადად ილიას მონდომებას უნდა მიეწეროს.

იაკობ გოგებაშვილს 1911 წელს გამოქვეყნებულ წერილში „როგორ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება" გადმოცემული აქვს ერთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც თბილისის ბანკმა, ილიას თაოსნობით, საზოგადოებას მნიშვნელოვანი ფულადი დახმარება გაუწია. იაკობი წერს:

„ახლად დაარსებულ საზოგადოებას ფართო დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ ნივთიერი სახსარი კი ძლიერ მცირედი ებადა. ამ დიდს ნაკლს წამალი დასდო ილია ჭავჭავაძემ. სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე მან წარმოსთქვა მეტად ძლიერი სიტყვა ახლად დაარსებული საზოგადოების დიდის მნიშვნელობის შესახებ და გადაადებინა მის სასარგებლოდ თერთმეტი ათასი მანეთი ფული. ამით მან ფეხზე დააყენა საზოგადოება და გაუხსნა მას გზა ფართო მოქმედებისათვის"[1].

იგულისხმება, რომ მსგავსი დახმარებანი წერა-კითხვის საზოგადოებას თბილისის ბანკისაგან სხვა დროსაც არაერთხელ მიუღია.

* * *

ილია ჭავჭავაძის საბოლოოდ თბილისში დამკვიდრება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო მწერლის პირად ცხოვრებაში, არამედ მას მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მთელი ქართული საზოგადოებრივი და კულტურული საქმიანობის შემდგომი აღმავლობისათვის. იმის შემდეგ, რაც „საქართველოს მოამბე" დაიხურა და მწერალი სახელმწიფო სამსახურში გაწესდა, ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა მოღვაწეთა ახალი წყება, რომელიც ჯერ გაზეთ „დროების", ხოლო შემდეგ „დროება"-„კრებულის" გარშემო გაერთიანდა.

„დროება"-„კრებულის" ირგვლივ შემოკრებილი იყო სამოცდაათიანი წლების მთელი მოწინავე ლიტერატურული ინტელიგენცია. აქ იყვნენ გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი,

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 397.

სერგეი მესხი, პეტრე უმიკაშვილი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები. ბუნებრივია, რომ იმავე ორგანოებში თანამშრომლობდნენ აგრეთვე ილია და აკაკი. „დროება"-„კრებულის" ჯგუფს სათავეში ედგნენ გიორგი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე.

გიორგი წერეთელი, რომელიც ერთ პერიოდში თავის გარშემო აერთიანებდა სამოცდაათიანი წლების ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, 1873 წელს სწავლის გასაგრძელებლად დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა.

სწორედ ამ დროს თბილისს საბოლოოდ დაუბრუნდა ილია ჭავჭავაძე. სახელოვანი მწერალი კვლავ ფართო საზოგადოებრივი საქმიანობის ცენტრში ჩადგა და თავის გარშემო შემოიკრიბა მთელი მოწინავე ქართული ინტელიგენცია. თუ აქამდე იგი თბილისში მხოლოდ დროგამოშვებით გამოჩნდებოდა, ახლა მუდმივად აქაა. მას ხედავენ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, თეატრში, ლიტერატურულ საღამოებზე, ბანკის კრებებზე; ხვდებიან პირად ცხოვრებასა და მეგობრულ ურთიერთობაში. მისი ავტორიტეტი დღითი-დღე იზრდება. ახლა მის გარშემო თავს იყრიან არა მარტო მისი თაობის ლიტერატურული მოღვაწეები, არამედ ახალი თაობის წარმომადგენლებიც.

* * *

ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-კულტურული საქმიანობა, რომელსაც საფუძველი სამოცდაათიან წლებში ჩაეყარა, ფართო ხასიათის ლიტერატურული საღამოები იყო. თუ აქამდე ამგვარი საღამოები მხოლოდ კერძო ბინებზე საოჯახო შეკრების სახით ეწყობოდა, ამიერიდან იგი ფართო საზოგადოებრივი ხასიათისა ხდება. ამგვარი საღამოები პირველად თბილისში იმართებოდა, ხოლო შემდეგ თანდათანობით საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელდა.

თბილისში პირველი ფართო ხასიათის ლიტერატურული საღამო 1875 წლის 4 აპრილს გაიმართა. საღამოში მონაწილეობდნენ დიმიტრი ყიფიანი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და დავით ერისთავი.

სახელოვანი მწერლების გამოსვლებმა ფართო საზოგადოების წინაშე დამსწრეთა საერთო კმაყოფილება გამოიწვია. სერგეი მესხი, რომელმაც ამ ლიტერატურულ საღამოს საგანგებო წერილი უძღვნა, ამბობდა, რომ „არცერთს ქართულ წარმოდგენას, არცერთს სხვა რომელსამე თავის შესაქცევარს დროს გატარებას არ მოუხდე-

ნია ჩვენში არასოდეს ისეთი კარგი, ისეთი სასიამოვნო შთაბეჭდილება, როგორც ამ სალიტერატურო საღამომ"[1].

გაზეთ „დროების" იმავე ნომერში გამოქვეყნებული სარედაქციო „დღიური" მკითხველს ლიტერატურული საღამოს თითოეულ მონაწილეზე საინტერესო ცნობებს აწვდიდა. დიმიტრი ყიფიანმა ამ საღამოზე წაიკითხა მის მიერ თარგმნილი შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის" მოკლე ნაწყვეტი და რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ერთი თავი.

დამსწრე საზოგადოება, ჩანს, აგრეთვე გულთბილად შეეგება სცენაზე რაფიელ ერისთავის გამოსვლას. რაფიელმა საღამოზე წაიკითხა გაბრიელ სუნდუკიანის „პეპოს" ერთი ნაწყვეტი და საკუთარი „სცენები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან".

დავით ერისთავმა საღამოზე ილიას პოემა „აჩრდილი" წაიკითხა. „დროების" სარედაქციო „დღიურში" ნათქვამია, რომ დავით ერისთავი „ახლა ბევრად უკეთ კითხულობს ქართულს, ვიდრე ამ ორი-სამი წლის წინათ კითხულობდა. უამისოდაც მშვენიერი და ძლიერი ლექსები პოემა „აჩრდილისა" დავით ერისთავის წაკითხვაში უფრო მშვენივრად და ძლიერად გამოისმოდა".

ლიტერატურულ საღამოს დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებული მოწონება დაუმსახურებია ილიასა და აკაკის გამოსვლებს. „დროება" თავის იმავე „დღიურში" წერდა:

„ნამდვილი დამამშვენებელნი და გამაცოცხლებელნი ამ საღამოსი იყვნენ აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. ჩვენ იშვიათად გაგვიგონია ისეთი ოსტატური და ხელოვნური წაკითხვა, როგორც აკაკიმ თავის „ადვოკატის დილა" და „სცენა საპყრობილეში" წაიკითხა და ი. ჭავჭავაძემ თავის „კაცია, ადამიანის" ერთი ალაგი და გრ. ორბელიანის „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები"[2].

მოტანილი მასალებით სავსებით ნათელი ხდება ის შთაბეჭდილება, რომელიც პირველმა ლიტერატურულმა საღამომ დამსწრეებზე მოახდინა. დაბოლოს სერგეი მესხის წერილიდან საინტერესოა კიდევ ერთი პატარა ნაწყვეტი, რომელშიც ჩვენი პუბლიცისტის აზრი 4 აპრილის საღამოზე დასკვნის სახით არის წარმოდგენილი. იქ ნათქვამია:

„ამ პირველმა ლიტერატურულმა საღამომ უნდა გაგვამხნევოს. საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა; ყველას მოეწონა ეს ახალი დროსგასატარებელი საშუალება. დარწმუნებით შეგვიძლია

[1] გაზეთი „დროება", 1875 წ., № 42.

[2] იქვე.

ვსთქვათ, რომ ყოველ ორ კვირაში ერთხელ მაინც რომ გაიმართებოდეს ამგვარი საღამოები, ქართველი საზოგადოება მუდამ დიდის სიამოვნებით და ხალისით ივლის".

1875 წლის 22 აპრილს თბილისში მეორე დიდი ლიტერატურული საღამო გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ დიმიტრი ყიფიანი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი, ნ. ახვლედიანი და სხვები.

როგორც ჩანს, ეს ლიტერატურული საღამოც კარგად ჩატარებულა. გაზეთ „დროების" 23 აპრილის დღიურ მიმოხილვაში ვკითხულობთ:

„წუხანდელ სალიტერატურო და მუსიკალური საღამო ერთი იმ საღამოთაგანი იყო, რომლიდანაც მაყურებელი ნამდვილი სიამოვნებით და კმაყოფილებით ბრუნდება ხოლმე სახლში. ქართული საზოგადოება, როგორც ჩანს ამ ახალ დროსტარებას ეჩვევა: ამ მეორე საღამოზე ბევრად უფრო მომეტებული ხალხი იყო, ვიდრე პირველზე".

ინტერესს მოკლებული არაა ვიცოდეთ, რომ საღამო საქველმოქმედო მიზნით იყო გამართული. შემოსული თანხის ერთი ნაწილი დახმარების სახით თბილისის ქალთა უფასო სასწავლებლისათვის მიუციათ, ხოლო მეორე ნაწილი ქართული სცენის სასარგებლოდ გადაუდვიათ.

ასეთია 1875 წლის აპრილში გამართული ფართო ხასიათის ლიტერატურული საღამოები. როგორც ვნახეთ, ილია მათი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. აქედან მოყოლებული მთელ სიცოცხლეში ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელთან ერთად, თბილისში გამართულ ამგვარ საღამოებში წამყვან ძალად ითვლებოდა.

* * *

1877 წლიდან ილია ყოველკვირეულ გაზეთს „ივერიას" აარსებს. ამის თაობაზე სერგეი მესხის „დროება" 1876 წელს იტყობინებოდა: „ჩვენ გავიგონეთ, რომ კავკასიის უმაღლეს მთავრობას ნებართვა მიუცია ახალი ქართული გაზეთის გამოცემაზე. გაზეთს ერქმევა სახელად „ივერია", იმის რედაქტორად გამოცხადებული იქნება თავადი ი. გ. ჭავჭავაძე. გამოვა მომავალი წლის 1 იანვრიდან, კვირაში ერთხელ" [1].

1877 წლიდან ილიას „ივერია" გამოსვლას იწყებს. იგი ყოველ-

[1] გაზეთი „დროება", 1876 წ., № 99.

კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი იყო და ხუთშაბათობით იბეჭდებოდა. მისი პირველი ნომერი სამ მარტს გამოქვეყნდა. ახალ გაზეთს გულთბილად გამოეხმაურა სერგეი მესხის „დროება“[1].

„ივერიის“ მოწინავეში, რომელიც „წინასიტყვაობის“ სათაურით დაიბეჭდა, ახალდაარსებული გაზეთის პროგრამაა გადმოცემული. აქ ლაპარაკია საერთოდ პრესის მნიშვნელობაზე ერის კულტურულ ცხოვრებაში. მოულოდნელი არაა, რომ „წინასიტყვაობაში“ განვითარებულია იგივე რეალისტური თვალსაზრისი, რომელიც ავტორის მიერ სამოციან წლებში გამოქვეყნებულ პირველ კრიტიკულ წერილებში იყო ჩამოყალიბებული. აქაც ურთხელ კიდევ მითითებულია ჟურნალ-გაზეთების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ქართველი ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მეთაურ წერილში ნათქვამია: „როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოადგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება“.

ყოველკვირეულმა „ივერიამ“ გაზეთის სახით 1878 წლის ბოლომდე იარსება, ხოლო 1879 წლის დამდეგიდან გამომცემელმა იგი თვიურ ჟურნალად გადააკეთა.

ილიასაგან „ივერიის“ ამგვარი გადაკეთებისათვის სამზადისი საზოგადოებისათვის ჩქარა ცნობილი გამხდარა. გაზეთი „დროება“ 28 მაისის დღიურში უკვე იუწყებოდა გავიგეთო, რომ ილია ჭავჭავაძეს განზრახული აქვს ყოველკვირეული „ივერიის“ ნაცვლად იმავე სახელწოდების ჟურნალი გამოსცესო. იქვე „დროების“ რედაქცია ილიას განზრახვისადმი თავის დამოკიდებულებასაც სავსებით ნათლად ამჟღავნებდა. იმავე დღიურში ნათქვამი იყო:

„ჩვენ ძალიან მოგვწონს ეს აზრი: ერთი წლისა და ნახევრის გამოცდილებამ, უეჭველია, დაარწმუნა „ივერიის“ გამომცემელი, რომ კვირის გაზეთს ჯერჯერობით ჩვენს საზოგადოებაში გასავალი და მნიშვნელობა არა აქვს. ჟურნალი კი დიდს, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და, თუ ის კარგად, ცოცხლად იქმნა გამოცემული, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გამომცემელი მატერიალურადაც არ წააგებს, რადგან მკითხველები ხეირიან ჟურნალს ჩვენში მუდამ ბლომად უყოლება“[2].

[1] გაზეთი „დროება“, 1877 წ., № 25, 26.

[2] გაზეთი „დროება“, 1878 წ. № 103.

ილია ჭავჭავაძის „ივერია“ 1879 წლის იანვრიდან დაწყებული 1885 წლის ბოლომდე ყოველთვიური ჟურნალის სახით გამოდიოდა.

ილია ჭავჭავაძე ოთხმოციან წლებში

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში თბილისში ერის ცხოვრების გამომხატველი ორი ქართული ბეჭდვითი ორგანო არსებობდა: ერთი იყო გაზეთი „დროება“, რომელსაც სერგეი მესხი რედაქტორობდა და მეორე — ილიას ჟურნალი „ივერია“. „დროება“ თავისი ცხოველმყოფელი შინაარსით ფართო მასებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. აგრეთვე ჟურნალი „ივერია“, რომელსაც ილიას მადლიანი ხელი/მართავდა, თავისკენ იზიდავდა როგორც მწერლებს, ისე მკითხველ საზოგადოებას. ინტერესს მოკლებული არაა, რომ ეს ორი გამოცემა ერთ პერიოდში გაერთიანდნენ, რათა ქვეყნის სასამსახურო ჰაპანი ერთად გაეწიათ.

1879 წლის მიწურულს ილია ჭავჭავაძისა და სერგეი მესხის ხელმოწერით ოფიციალურად ქვეყნდება ცნობა „დროებისა“ და „ივერიის“ შეერთების თაობაზე. ამ დოკუმენტში ვკითხულობთ:

„მომავალ 1880 წლის 1-ლი იანვრიდან გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა და იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან...

„ამ შეერთებულ შრომისა და ღონის წყალობით „დროება“-„ივერიის“ რედაქციას იმედი აქვს, რომ შემდეგში თავის მოვალეობას მკითხველთა წინაშე უფრო უკეთ შეასრულებს, რადგან ამ საქმეში ჩვენთა უკეთესთა მწერალთა აღუთქვეს იმას თავისი შემწეობა და თანაგრძნობა“[1].

„დროება“-„ივერიის“ გაერთიანებული რედაქციის მოღვაწეობა ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. იგი ხელს უწყობდა ქართველი ინტელიგენციის შეკავშირებას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშის ქვეშ. ამ შეერთება-შეკავშირების დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ერთსულოვნება, რომლითაც ოთხმოციან წლებში ქართველი ინტელიგენცია იანოვსკისა და კატკოვის წინააღმდეგ გამოვიდა. ამ ბრძოლაში ქართველი ინტელიგენცია ჭეშმარიტად შესანიშნავი ერთიანობით გამოდიოდა, ხოლო ამგვარი ერთიანობის საფუძველი „დროება“-„ივერიის“ საერთო რედაქციაში იყო მომზადებული.

---

[1] ჟურნალი „ივერია“, 1879 წ., № 9-10, გვ. 155.

შეერთების ერთ-ერთი ინიციატორი სერგეი მესხი „დროებისა“ და „ივერიის“ შეერთებას თვლიდა როგორც დიდად სასარგებლო მოვლენას ჩვენი საზოგადოებრივი საქმიანობის წინსვლისათვის. „დროების“ იმ ნომერში, რომელშიც შეერთების ცნობაა გამოქვეყნებული, მოთავსებულია ს. მესხის წერილი, რომელიც საგანგებოდ ამ საკითხისადმი არის მიძღვნილი. წერილიდან გარკვევით იგრძნობა ავტორის კმაყოფილება მიღწეული შეთანხმებით და შეერთებული რედაქციის მიზანდასახულობით. სერგეი მესხის წერილი მნიშვნელოვანი დოკუმენტია მეცხრამეტე საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში და ამდენად ზედმეტი არ იქნება, რომ მისი ერთი მცირე ნაწყვეტი აქაც მოვიტანოთ. „დროების“ რედაქტორი წერდა:

„სანგრძლივი მოლაპარაკება გვქონდა ჩვენ, სანამ ამ შეერთებაზედ დავთანხმდებოდით; ბევრი ავწონეთ, დავწონეთ, ავიღეთ, დავიღეთ, განვსაჯეთ, და ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ შეერთება ჩვენთვის ღონე და სარგებლობა იქნება და ცალ-ცალკე მოღვაწეობა არც თვითონ ჩვენ მოგვცემს ხელსა და არც საზოგადოებას დააკმაყოფილებს ჯეროვნად.

„ჩვენ დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ არც ერთი ისეთი დედააზრი არ გვაშორებს ჩვენ ერთს-მეორისაგან, რომ შეერთება, ერთად მოღვაწეობა და ერთად მუშაობა არ შეგვეძლოს სამშობლო ლიტერატურისათვის; დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ „დროებისა“ და „ივერიის“ მიმართულებას შორის არ არის ისეთი შესამჩნევი განსხვავება, რომ ამ ორ გამოცემას უშლიდეს ხელ-ხელში ჩავლებასა და ერთად სვლას საზოგადო მიზნის მისაღწევნელად და შესასრულებლად...

„დავინახეთ, დავრწმუნდით და დავსძლიეთ ეს ჩვენი ერთმანეთის განმაშორებელი წვრილმანი დამაბრკოლებელი მიზეზნი,— შევერთდით.

„შევერთდით იმიტომ, რომ, როგორც ზევით მოგახსენეთ, ამ შეერთებაში ჩვენ ვიპოვეთ ძალა, რომელიც ღონის-ძიებას მოგვცემს უფრო საფუძვლიანად, უფრო რიგიანად იმ საქმის წაყვანისას, იმ უღლის გაწევისას, რომელსაც ჩვენ ორივე ცალ-ცალკე ვეჭიდებოდით და რომელიც, გამოვტყდებით, ნელის ნაბიჯით მიგვყავდა წინ“[1].

„დროება“-„ივერიის“ გაერთიანებული რედაქცია იყო იდეური ცენტრი იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-

[1] გაზეთი „დროება“, 1879 წ., № 237.

კულტურული საქმიანობისა, რომელსაც იმდროინდელი ქართველი პროგრესული ინტელიგენცია ეწეოდა.

* * *

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების ერთ-ერთი დიდად მნიშვნელოვანი კულტურული მონაპოვარია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. როგორც ცნობილია, ეს საზოგადოება აარსებდა და ინახავდა ქართულ სკოლებს და სამკითხველოებს. იმავე საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი გამომცემლობა, რომელიც ბეჭდავდა და ავრცელებდა ქართულ წიგნებს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან ერთად, დიდი კულტურული დაწესებულება იყო, რომელშიც თავს იყრიდა მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის გრიგოლ ორბელიანს. ჩვენამდე მოღწეული უტყუარი ცნობებით დადასტურებულია, რომ გრიგოლი ამ საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელია. ცნობილი მოღვაწე ვახტანგ თულაშვილი მოგვითხრობს:

„როდესაც წესდება მზად იყო, 30 იანვარს 1878 წ. თავად გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანის სახლში შევიყარენით, სადაც მიწვეულნი იყვნენ მის მიერ ყველანი, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ საზოგადოებაში, როგორც წევრთ. დიმიტრი ყიფიანმა წაიკითხა წესდება, რომელიც ყველამ მოიწონა.

„იმ დღესვე კრებამ დაადგინა: „მიენდოს დიმიტრი ყიფიანს, თავად ილია ჭავჭავაძეს და ბესარიონ ღოღობერიძეს წარუდგინოს ეს წესდება მთავრობას დასამტკიცებლად“[1].

1879 წლის 15 მაისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი კრება შედგა. კრებამ საზოგადოების თავმჯდომარეობა გრიგოლ ორბელიანს სთხოვა, მაგრამ მგოსანმა კრების მონაწილეებს თანამდებობაზე თავაზიანი უარი განუცხადა ავადმყოფობის მიზეზით. ამის შემდეგ კრებამ საზოგადოების თავმჯდომარედ დიმიტრი ყიფიანი აირჩია.

საზოგადოების პირველი გამგეობის წევრებად არჩეული იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბე-

[1] საქართველოს კალენდარი, 1904, ვალ. გუნიასი, ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, გვ. 341.

ლი, რაფიელ ერისთავი და ალექსანდრე სარაჯიშვილი, ხოლო კანდიდატებად — ნიკო ჭანანოვი, დავით ავალიშვილი და გიორგი უთურგაული. ამ წევრთაგან გამოიყო საზოგადოების ხელმძღვანელი ბირთვი. თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს ილია ჭავჭავაძე, მდივნად — ალექსანდრე სარაჯიშვილი, ხაზინადარად — რაფიელ ერისთავი[1].

ილია ჭავჭავაძე, როგორც ვნახეთ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელმძღვანელობაში თავიდანვე შედიოდა. იგი პირველსავე კრებაზე თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს, ხოლო 1885 წლიდან საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე იყო. როგორც ყველაფრიდან ჩანს, ილია ერთ-ერთი სულისჩამდგმელი უნდა ყოფილიყო იმ დიდი საქმიანობისა, რომელსაც საზოგადოება ათეული წლების მანძილზე ეწეოდა. უმნიშვნელო მოვლენა არც ისაა, რომ მწერალმა იმავე საზოგადოებას უანდერძა მთელი თავისი ქონება.

* * *

როგორც ცნობილია, გიორგი ერისთავის თეატრის დახურვის შემდეგ მეოთხედი საუკუნის მანძილზე თბილისში პროფესიული ქართული თეატრი არ არსებობდა. ასეთი თეატრის აღდგენა მხოლოდ ოთხმოციან წლებში მოხერხდა. 1879 წელს შეიქმნა მუდმივი ქართული დრამატული დასი, ხოლო 1880 წელს ქართული დრამატული საზოგადოება ჩამოყალიბდა. 1881 წლის დამდეგს ილია ჭავჭავაძე დრამატული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. 24 იანვარს „დროება“ ახალ ამბებში წერდა:

„ჩვენ შევიტყვეთ, რომ ახლადდაარსებულ დრამატულ საზოგადოების გამგეობამ თავის თავმჯდომარედ ამოირჩია ი. გ. ჭავჭავაძე, თავმჯდომარის ამხანაგად ა. რ. წერეთელი, ხაზინადრად გ. მ. თუმანიშვილი და მდივნად კ. დ. ყიფიანი“[2].

ნიკო ავალიშვილის ცნობით, დრამატული საზოგადოების გამგეობაში სხვადასხვა დროს არჩეული იყვნენ აგრეთვე რაფიელ ერისთავი და მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი[3].

აქედან მოყოლებული ჩვენი მწერალი მთელი სიცოცხლის მანძილზე ქართული თეატრის კეთილდღეობისათვის თავდადებით მოღვაწეობდა.

[1] გაზეთი „დროება“, 1879 წ., № 101.

[2] გაზეთი „დროება“, 1881 წ., № 17.

[3] გაზეთი „ივერია“, 1900 წ., № 4.

* * *

ილიას მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მისი საქმიანობა სახალხო განათლების დარგში. სახელოვანი მწერალი ყოველთვის თვალყურს ადევნებდა სკოლების, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ყოფა-ცხოვრებას; ზრუნავდა მათი მდგომარეობის მოწესრიგებისათვის.

ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლებში ილიას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე წერილი სახალხო განათლების საკითხზე. წერილებში ლაპარაკია შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, ამ საზოგადოების მიერ ქართულ საშუალო სასწავლებლის დაარსების განზრახვაზე, რეაქციული თავადაზნაურობის გულგრილობაზე სწავლა-განათლების საქმეში, ქალთა განათლებაზე და სხვა მთელ რიგ საკითხებზე.

პროფესორი გიორგი თავზიშვილი, რომელმაც ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები საგანგებოდ შეისწავლა, ამბობს, რომ ჩვენმა მწერალმა მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლებში „სავსებით ნათლად და მეცნიერულად გაარკვია აღზრდის საზოგადოებრივი ხასიათი და აღზრდის მთავარი ობიექტის, ანუ ბავშვის სოციალური ბუნება. ამით ერთხელ კიდევ დასტურდება ის უდავო ჭეშმარიტება, რომ საქართველოს საამაყო მწერალი და მეცნიერი თავისი ეპოქის ყველაზე მოწინავე პედაგოგიურ იდეათა სიმაღლეზე იდგა“[1].

ილია ჭავჭავაძეს მხედველობიდან არც ის ფაქტი გამოპარვია, რომ სახალხო მასწავლებელთა „ყოვლად მაღალ-ზნეობიანი ჯაფა და გამრჯელობა“ შესაფერისად დაფასებული არ იყო. ბრძენი მოღვაწე შთამბეჭდავად წერდა:

„ეს ნამეტნავად ცხადია მათ შესახებ, ვისაც სასოფლო სკოლის მასწავლებლობა თავის მიდრეკილებისამებრ ამოურჩევია და მისთვის შეუწირავს თავისი უკეთესნი დღენი ცხოვრებისანი. ამათ არც სამსახური სამსახურად ეთვლებათ და არც იმოდენა გასამრჯელო აქვთ, რომ სოფლის მასწავლებლის ჭირნახულობისათვის ცოტად მაინც შეზომილი იყოს. ცოტად თუ ბევრად ნასწავლი, გონება-გახსნილი სოფლის მასწავლებელი არის სადღაც მიყრუებულ ადგილას, ქვეყნის სიამოვნებას მოშორებული, ბევრჯერ მშიერი, ბევრჯერ მწყურვალი, ბევრჯერ სიცივეში, ზოგჯერ რიგიანი სადგურიც

[1] გ. თავზიშვილი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II. 1977 წ., გვ. 154.

არა აქვს, რომ ავდარს მაინც გადურჩეს გაულახველად, დილიდამ საღამომდი იბრძვის, იღვწის ბავშვების მომზადებისა და აღზრდისათვის და ყოველ ამისათვის ოცი და ოცდაათი თუმანი აქვს წელიწადში საცხოვრებლად"[1].

ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის ცხოვრების მოწესრიგებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კულტურული დონის ამაღლებას ანიჭებდა. მისი აზრით, მშობლიური ხალხის სიდუხჭირიდან გამოხსნის საქმეში ხელოვნებასა და მეცნიერებას განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინათ.

ცნობილ თხზულებაში „საქართველოს მოამბეზედ", რომელიც 1862 წელს დაიწერა, ილია ამბობდა: ჟურნალმა უნდა „ყოველიფერი შენიშნოს და ყოველიფერს პასუხი გასცეს, ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასამჯობინებლად, გასაკეთებლად". იგი იქვე აღნიშნავდა, რომ „ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი".

დაბოლოს, მწერალი დასკვნის სახით ამბობდა: „ამ ორ ძლიერ მოქმედთა ღონისძიებათა მოჰყავთ ყოველიფერი ცნობაში და რაც ცნობაშია მოყვანილი, მხოლოდ ისა სცვლის ცხოვრებასა და აკეთებს. მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა"[2].

მოტანილ სტრიქონებში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ილიას ამ რიგის თხზულებებს თავიდან ბოლომდე გასდევს. მოულოდნელი არაა, რომ ავტორს, რომელიც ერის ცხოვრებაში მეცნიერული ცოდნის დანერგვას ასე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ამ საკითხებზე ცოტა არ უწერია. კონკრეტულ შემთხვევაში უმთავრეს მათგანზე შეჩერება მაინც აუცილებელია.

1878 წელს დაარსდა „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". საზოგადოების დასაარსებლად მზადება 1877 წლის მეორე ნახევარში დაიწყო, ხოლო 1878 წლის მაისში იგი საბოლოოდ გაფორმდა.

ამ საზოგადოების ჩამოყალიბებას ილია მისთვის ჩვეული ყურადღებითა და მზრუნველობით შეხვდა. ამის გამოა დაწერილი მისი სამი წერილი, რომელიც გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნდა.

პირველი წერილი, რომელიც 1877 წლის ნოემბერში დაიბეჭდა, იმის აღნიშვნით იწყებოდა, რომ „ჩვენს ქვეყანაში დიდი და პატარა

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 331.

2 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 68.

სწავლის, განათლების სახსარს სტირის". ამის შემდეგ მწერალი თავის მკითხველს მოაგონებდა ისტორიულად ცნობილ ფაქტს, რომ საუკუნეების მანძილზე თავდაცვით ომებში მყოფი ქართველი ხალხი მცირედი შესვენების მომენტებში მთელ თავის ენერგიას სწავლა-განათლებაზე ზრუნვას ანდომებდა. ბრძენი ავტორი წერდა:

„ოცს საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულს ასპარეზზედ გამოსულა. ამ ხანგრძლივ დროთა მიმავლობაში ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი სჭერია და მეორეში გუთანი და ამ ყოფით და ვაი-ვაგლახით გაუტარებია ეს აუარებელი დრო. თუ შიგა-და-შიგ, ჰრელად, რამდენიმე წელიწადი მოსვენება შეხვედრია, მაშინვე ის მოსვენების დრო შეუწირავს სწავლისა და განათლებისათვის. დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის მეფობა ამ შემთხვევაში მეტად სანუგეშო მაგალითებს წარმოადგენს"[1].

ამ სტრიქონებს უშუალოდ მოსდევს იმავე სწავლა-განათლების თვალსაზრისით მეცხრამეტე საუკუნის დახასიათება. მწერალი პირდაპირ, ყოველგვარი შეფარვის გარეშე ამბობს, რომ ამ საუკუნეში ქართველმა ხალხმა უცხოელ დამპყრობთა შემოსევებისაგან მოისვენა, ქვეყანა დაშვიდდა, მაგრამ ამ დამშვიდებას სწავლა-განათლების დარგში არავითარი ნაყოფი არ გამოუღია.

წერილში თხრობა იმგვარად მიმდინარეობს, მკითხველისათვის ცხადი ხდება, რომ საქართველოში სწავლა-განათლების საქმის მოსაწესრიგებლად ოფიციალური სახელმწიფოებრივი მმართველობა არავითარ ღონისძიებას არ ახორციელებდა. იგი ამ საქმისადმი საზოგადოდ არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებდა.

შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს მწერალი ისევ და ისევ ქართველ ხალხში ხედავდა. იგი მტკიცედ მოუწოდებდა მთელ ქართველობას, რომ ხელისუფლების დაწესებულებებიდან რისამე მიღების იმედი უკუ ეგდო და სწავლა-განათლების საქმე საკუთარ ხელში აეღო. ილია წერდა:

„დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვია და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალ-ღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც, თუკი სადმე არის, ყველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც. ხსნა ჩვენი თვითმოქმედებაში და ერთობაშია. საცა კაცი თითონ არ

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 321.

არის, სხვისით არა გაკეთებულა რა; საცა ერთი ვერას იქმს, იქ ოცსა და ორმოცს ერთად შეუძლიან ჰქმნას"[1].

ამის შემდეგ ავტორი მკითხველს ატყობინებდა, როგორც სასიამოვნო ფაქტს, რომ განზრახული იყო დაარსებულიყო „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". იქვე მწერალი დაჯერებული ამბობდა: „იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ქართველობა ამ ქველსურს საქმეში უკან არ დაიხევს, გულმტკივნეულობით და თანაგრძნობით მიეგებება და ხელს შეუწყობს".

თავისთავად იგულისხმება, რომ ამ წერილის შემდეგ ავტორი განზრახული საზოგადოების ჩამოყალიბებას სისტემატურად თვალყურს ადევნებდა. 1878 წლის მაისში, როდესაც საზოგადოება ოფიციალურად გაფორმდა, ილიამ მას მეორე წერილი მიუძღვნა.

მწერალი თავის მკითხველებს აგებინებდა, რომ რვა მაისს ჩატარდა დამფუძნებელთა კრება, რომელმაც საზოგადოების ხელმძღვანელი კომიტეტი აირჩია. ავტორი ფართო საზოგადოებრიობას ერთხელ კიდევ მოაგონებდა ახალდაარსებული ამხანაგობის მიზანდასახულობას. იგი წერდა:

„ამ საზოგადოებას საგნად აქვს მოამზადოს ღარიბნი ყრმანი როშელსამე სასწავლებელში შესასვლელად, ხელი გაუმართოს შეუძლებელთა და ნიჭიერთა მოსწავლეთა, ღონისძიება აღმოუჩინოს სწავლის განგრძობისათვის. თქმა არ უნდა, რომ საგანი ამ საზოგადოებისა მეტისმეტად სასარგებლოა და საკეთილო ჩვენის ქვეყნისათვის"[2].

სტატიის უკანასკნელ ნაწილში სახელოვანმა მოღვაწემ თანამემამულეებს ერთხელ კიდევ ახალი საზოგადოებისადმი აქტიური მხარდაჭერისაკენ მოუწოდა. იგი შთამაგონებლად ამბობდა:

„საქმე ეხლა იმაშია, რომ ჩვენმა თავადაზნაურობამ, ჩვენმა ხალხმა, ამ საზოგადოებას ხელი გაუმართოს და შემწეობა ამოუჩინოს. ამისთანა საქმეში გულგრილობა შეუნდობელი შეცოდებაა წინაშე ქვეყნისა, ჩვენის შვილებისა, შთამომავლობისა. ვისაც რა შეუძლიან და რითაც შეუძლიან, ყველამ უნდა გაიჭიროს საქმე და ამ საზოგადოებას ნივთიერი ღონისძიება მისცეს მისდა კეთილი განზრახვის აღსრულებისათვის. ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოველი გროში, ამ დიდის საქმისათვის შეწირული, ჩვენს შვილებს მოხმარდება, მათის კაცად გახდომისათვის, მათის ბედნიერებისათვის, მათის განათლებისათვის იმოქმედებს"[3].

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 322.

[2] იქვე, გვ. 326.

[3] იქვე.

ილიამ იმავე 1878 წლის ნოემბერში შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოებას მესამე წერილი უძღვნა. წერილი გაზეთ „ივერიაში“ მეთაურის სახით გამოქვეყნდა[1].

როგორც ჩანს, ამ დროს უკვე ცნობილი გამხდარა, რომ ახალდაარსებული საზოგადოება დაწყებითი (მოსამზადებელი) სასწავლებლის გახსნას აპირებდა. მწერალი თავის მკითხველს მოუთხრობდა განზრახული სკოლის ხასიათსა და მიზანდასახულობაზე. იგი ამბობდა:

„იქ მოსწავლე ყმაწვილები მომზადებულ უნდა იქნენ გიმნაზიებში და სხვა საშუალო სასწავლებლებში შესვლისათვის. ეს იქნება უმთავრესი განზრახვა ამ სკოლისა, თუმცა იქ შეუძლიანთ მიიღონ პირველდაწყებითი სწავლა აგრეთვე იმ ყმაწვილთ, რომელთაც მშობლები მის შემდეგ არ უპირებენ სხვა სასწავლებელში მიბარებას“[2].

ასე მსჯელობდა ილია განზრახული დაწყებითი სასწავლებლის ძირითად დანიშნულებაზე. მწერალი ამ სკოლის გახსნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მასზე დიდ იმედს ამყარებდა. „იმედი უნდა ვიქონიოთ, — ამბობდა იგი, — რომ ახალი სკოლა იმგვარად იქნება მომართული, რომ მასში მოსწავლე ყმაწვილები უფრო მტკიცედ და ხეირიანად იქნებიან მომზადებულნი, ვიდრე სხვა კერძო სასწავლებლებში მოსწავლენი“.

ილია ჭავჭავაძე ამ სკოლას სხვა დიდ საქმესაც აკისრებდა. იგი თვლიდა, რომ ეს დაწყებითი სკოლა საფუძვლად დაედებოდა ქართულ საშუალო სასწავლებელს, რომლის საჭიროებას ბრძენი მოღვაწე მშობლიური ერის ცხოვრებაში უკვე ხედავდა. იგი წერდა:

„თუ აწინდელი საშუალო სასწავლებლები საკმარისნი არ არიან და ამის გამო ჩვენი შვილები სასწავლებელთ გარეთ რჩებიან, მაშასადამე, საჭიროა გავმართოთ ჩვენი საკუთარი საშუალო სასწავლებელი და მივცეთ ჩვენ შვილებს სწავლის უფრო ფართო და უფრო ვრცელი გზა. აი ამ საშუალო სასწავლებლის საძირკველადაც უნდა იქმნეს ის სკოლა, რომელსაც აფუძნებს ეხლა „ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“[3].

ასეთია ის უმთავრესი წერილები სწავლა-განათლების საკითხებზე, რომელნიც ილიამ სამოცდაათიანი წლების დამლევს გამოაქ-

---

[1] გაზეთი „ივერია“, 1878 წ., № 44.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 329.

[3] იქვე.

ვეყნა. ოთხმოციანი წლებიდან იმავე საკითხებზე რამდენიმე წერილია განსაკუთრებით საყურადღებო. ესენია „ქალი მასწავლებელი“, „ქართველი სტუდენტობა რუსეთში“, „ჩვენი ხალხი და განათლება“.

ამ წერილებისათვის, ისევე როგორც ზემოგანხილული წერილებისათვის დამახასიათებელია, რომ ავტორი ახალი დროის საქართველოში სწავლა-განათლების მდგომარეობას მკაცრად აკრიტიკებს.

განსაკუთრებული ინტერესის შემცველია ილიას წერილი „ჩვენი ხალხი და განათლება“. აქ ერთგვარად თავმოყრილია ის შეხედულებანი, რომელნიც ავტორს განათლების საკითხებზე აქამდე გამოქვეყნებულ წერილებში გამოუთქვამს.

წერილიდან მთელი სიცხადით იგრძნობა, რომ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში სწავლა-განათლების საქმე იმ დონეზე ვერ დგას, რომელზეც უნდა იდგეს. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ სახელმწიფო მმართველობა ამ საქმეზე სრულიად არ ზრუნავს. მმართველობის უმოქმედობას ისიც ემატება, რომ ქართველი ხალხის ერთი ნაწილი სწავლისადმი ერთგვარ გულგრილობას იჩენს. მწერალი პირდაპირ ამბობს, რა ქნასო ქართველმა გლეხმა იმ დროს, როდესაც „ცოდნა მას არა აქვს, ვერც თავის საკუთარს ძალ-ღონეს ღანდობია. ვერც სხვას მინდობია, ვერც ცალკე ღონით გასძოლია... სად არის განათლებული, მეცნიერებით შეიარაღებული კაცი, რომ მისთვის გული შეესტკიოდეს და წარმატების გზა უჩვენოს“[1].

იქვე, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, მწერალი ახალი დროის ქართველთა ცხოვრებაში ფეხმოდგმულ მანკიერ მოვლენებს კიდევ უფრო მუქ ფერებში წარმოადგენდა. იგი ამბობდა:

„დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი, ცემა-ხოცვა ეკონომიურს გაუწყობლობის გამო, და სხვა ბევრი ამგვარი ნაყოფი უმეცრებისა — ვრცლად არის მოფენილი ჩვენს ცხოვრებაში“.

მოტანილ ამონაწერში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ იქ ჩამოთვლილი მანკიერებანი და სხვა კიდევ ბევრი მათდაგვარი არის „ნაყოფი უმეცრებისა“. ზემოთ განხილულ სტატიებში არაერთგზის არის მითითებული, რომ ამგვარი უმეცრებისაგან ერის განკურნება სკოლისა და მეცნიერების საშუალებით უნდა მოხდეს. იგივე აზრი, შეკუმშული ფორმულის სახით მოწოდებული, წერილში „ჩვენი ხალხი და განათლება“ ასე იკითხება: „უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან“.

ილიას წერილებში არაერთგზის არის მითითებული, რომ ქართ-

[1] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 338.

ველი ხალხი, რომელიც ისტორიულად დიდად კულტურული იყო, ჩეცხრამეტე საუკუნეში ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მისი სწავლა-განათლების საქმეზე სახელმწიფო მმართველობა სრულიად არ ზრუნავდა. მწერალი 1877 წელს გამოქვეყნებულ ერთ წერილში პირდაპირ ამბობდა, რომ „ჩვენს ქვეყანაში დიდი და პატარა სწავლის, განათლების სახსარს სტირის და სჩივის, მაგრამ მაინც შველა არსად არის“[1].

წერილში „ქართველი სტუდენტობა რუსეთში“, რომელიც 1886 წელს დაიბეჭდა, ილია წერდა: „ვერავინ იტყვის, რომ ჩვენში გაღვიძებული არ იყოს სწავლისა და ცოდნის სურვილი. ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა: ყველა ჰხედავს, ყველა გრძნობს, ყველა ჰღალადებს“[2].

ილიას ამ რიგის წერილების გაცნობისას ბუნებრივად აღიძვრის კითხვა: ვინ უნდა ჩაუდგეს სათავეში ქართველ ხალხში მეცნიერების — სწავლისა და განათლების შეტანის საქმეს?

როგორც ზემოთ აღინიშნა, ილია სახელმწიფო მმართველობისაგან ქართველთა სწავლა-განათლების საქმეზე დახმარებას თავიდანვე გამორიცხულად მიიჩნევდა. მისი ღრმა რწმენით ქართველ ერს თავისი განათლების საქმე თვითონვე საკუთარ ხელში უნდა აეღო. იგი შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოებისადმი მიძღვნილ პირველ წერილში ამბობდა:

„გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყნიერობაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ“[3].

ერისადმი ამგვარი მოწოდება თვითმოქმედებისაკენ შემთხვევითი არაა. ილია თავის მშობლიურ ხალხს ყოველთვის აქტიურ თვითმოქმედებით ცხოვრებას შთააგონებდა. ეს ნიშანი ჩვენი ავტორის წეწკვიდრეობას ბოლომდე გასდევს. იმავე წერილის დასაწყისშიც ნათქვამია:

„ჩვენ ვამბობთ, რომ ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით, თუ ხორცით. რაც მალე დავიჯე-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 320.

[2] იქვე, გვ. 335.

[3] იქვე, გვ. 323.

რებთ ამ ჭეშმარიტებას, რაც მალე შევითვისებთ, მით მალე გამოვიხსნით თავს იმ გაჭირვებიდან, რომელშიაც ასე სასოწარკვეთილებით დღეს ვიმყოფებით".

იგივე თვითმოქმედებისაკენ მოწოდება, ეროვნული მთლიანობის იდეასთან შერწყმული, გაისმის აგრეთვე წერილში „ჩვენი ხალხი და განათლება". წერილის ერთ ნაწილში ვკითხულობთ:

„სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება; განათლებამ უნდა განფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად, და ხალხი კი სდევნის სკოლას, განათლებას. რა მიზეზია? ცხადია, უმეცრება! აი მოკლედ რა სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ... უმეცრების შედეგი. დასაფიქრებელია ასეთი არა-სანუგეშო სურათი. უმეცრებაა ჩვენი საშიშარი მტერი. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა — აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას"[1].

განხილული წერილებიდან ილია ჭავჭავაძე, როგორც დიდი დემოკრატი და განმანათლებელი, მთელი სისრულით შეიცნობა.

* * *

ილია ჭავჭავაძე ერის საერთო კულტურული დონის ამაღლებისათვის მნიშვნელობას ანიჭებდა უწინარეს ყოვლისა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, მაგრამ ამასთანავე იგი საჭიროდ თვლიდა ფართო მასებში, კერძოდ გლეხობაში, სამეურნეო განათლების ქსელის გაშლას. მის კალამს ეკუთვნის რიგი წერილები, რომლებშიც გაშუქებულია სამეურნეო სკოლების მნიშვნელობა.

1883 წლის 4 სექტემბერს სოფელ წინამძღვრიანთკარში გახსნილმა სამეურნეო სკოლამ თავიდანვე ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მისი გახსნა საზეიმო ვითარებაში მოხდა. იმ დღეს წინამძღვრიანთკარში ჩავიდა ასობით გლეხკაცობა ახლო-მახლო სოფლებიდან. იქვე იყვნენ თბილისიდან მიწვეული სტუმრები. გახსნაზე სიტყვები წარმოსთქვეს სკოლის დამაარსებელმა ილია წინამძღვრიშვილმა, დიმიტრი სტაროსელსკიმ, ილია ჭავჭავაძემ და სხვებმა.

გაზეთი „დროება" წერდა: „სიტყვები ბევრი ითქვა, მაგრამ არც ერთი ამ სიტყვათაგანი არ იყო გლეხებისადმი მიმართული, რომ აეხსნა მათთვის ამ სკოლის მნიშვნელობა. ბოლოს სადილიდან წამოდგა ილია ჭავჭავაძე, ჩადგა გლეხების შუაში და მიმართა მათ სი-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 340.

ტყვით“. დასასრულ გაზეთი აღნიშნავდა: „გლეხებს ეტყობოდათ, რომ ჭავჭავაძის ყოველივე სიტყვა კარგად ესმოდათ, რადგანაც იგინი წამ-და-უწუმ წამოიძახებდნენ ხოლმე „დიაღ“, „ოღონდაც“, „მართალი გახლავს“ და სხვ.[1].

ილია ჭავჭავაძე მრავალრიცხოვან დამსწრეთა წინაშე წარმოთქმულ ამ სიტყვაში ამბობდა: „ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის, როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თითონ ღმერთი, ერთნაირად შეივედრებს, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულ გლეხსაც და ბუზმუნტებით მორთულს თავადსაცა. ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დაამშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულმონდომილი და მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდისა.

„ახლა სად არის ეს კარი? როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისი თაოსნობით, დაუღალავის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვრიშვილია, ის აკვანი — აი ის პატარა შენობაა რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეულნი ოსტატები არიან“.

დაბოლოს ბრძენმა მწერალმა სოფელ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნის გამო მოზეიმე მრავალრიცხოვან ქართველ გლეხობას ასე მიმართა:

„მაშ გაუმარჯოს, ხალხო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანსა! გაუმარჯოს ილია წინამძღვარიშვილს, ამ აკვნის დამდგმელსა! გაუმარჯოს ამ სკოლის ოსტატებსაც, რომელშიც ამ აკვანს გაარწევენ დასაძინებლად კი არა, გასაზრდელად, გასაღვიძებლად! გაუმარჯოს იმ პატარა კაცსაც, თავადს ბებუთაშვილს, რომელმაც დაუზოგველად, უსასყიდლოდ, მარტო ერთის საქმის სიყვარულისა გამო, თავისი დრო და ცოდნა ამ სკოლის აშენებას მოახმარა! ღმერთმა თქვენც გამარჯვება მოგცეთ ყველგან და ყოველთვის!..

„თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას გაათავებთ, იტყვით: თქვენი გამარჯვებისა იყოსო. მეც გავათავე, რაც სათქმელი მქონდა

[1] გაზეთი „დროება“, 1883 წ., № 177.

და თქვენებურად, ჩვენებურად, გეუბნებით: „თქვენი გამარჯვებისა იყოს!“[1].

ასეთი იყო წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე ილიას მიერ წარმოთქმული სიტყვა. დიდი მწერლის ამ სიტყვაში გამოთქმულია დედააზრი იმ საერთო შეხედულებისა, რომელიც მას განვითარებული აქვს აგრეთვე სხვა წერილებში სამეურნეო განათლების საკითხებზე.

როდესაც გონების თვალით ვაკვირდებით ილიას ამ სიტყვას, იგი პირდაპირ გვაჯადოებს თავისი აზრობრივი სიღრმით, დიადი სისადავით და მომხიბლავი ენამზეობით. ასე ხდება იმ დროს, როცა მას დაწერილს ვკითხულობთ, ხოლო როდესაც ამას ემატება წარმოდგენა, რომ იგი წარმოთქმული იყო ზეპირად, ილიასათვის საერთოდ ჩვეული სიდარბაისლით, მაშინ უკვე აღარ გვაკვირვებს ის დიდი შთამაგონებელი გავლენა, რომელიც ამ სიტყვამ უკლებლივ ყველა დამსწრეზე მოახდინა.

ილია, როგორც ორატორი, უძლიერესი იყო. თანამედროვეთა გადმოცემებით, საადგილმამულო ბანკის კრებებზე, სადაც ხშირად მწვავე პოლემიკა უხდებოდა, იგი თავისი დინჯი და საფუძვლიანი მსჯელობით მოწინააღმდეგეს ყოველთვის სძლევდა. მკაცრი პოლემიკის პირობებშიც მწერალი ზომიერებას ინარჩუნებდა. იგი ასეთ შემთხვევებშიც, მიუხედავად შინაგანი მღელვარებისა, გარეგნულად მაინც დინჯად და უშფოთველად გამოიყურებოდა. ბრძენი პოეტი განსაკუთრებით მიმზიდველი იყო როცა დარბაისლური ტკბილი ქართულით მეგობრულ საუბარში ჩაებმებოდა. ჩანს, ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. ცოტას იტყოდა, მაგრამ მტკიცედ და დამაჯერებლად. ამიტომაც იყო, რომ იგი მსმენელზე ყოველთვის შთამბეჭდავად მოქმედებდა.

თანამედროვეთა მოგონებებში ამ თვალსაზრისითაც საინტერესო მასალაა შემონახული. ამგვარი ცნობებისადმი მკითხველის ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ მოგონებათა ავტორები იმავდროულად ჩვენი მწერლის საერთო დახასიათების სფეროშიც გადადიან.

აღძრულ საკითხზე ილიას თანამედროვეებისაგან განსაკუთრებით საინტერესო მასალას გვაწვდიან თავიანთ მოგონებებში იაკობ მანსვეტაშვილი და ილია ზურაბიშვილი. პირველი ჯერ, წლების მანძილზე, გაზეთ „იევრიის“ რედაქციაში მუშაობდა, ხოლო შემდეგ აგრეთვე ხანგრძლივად, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გამგეობის მდივნად იყო.

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1955 წ., გვ. 290-292.

მწერალი ილია ზურაბიშვილი (ელეფთერიძე), ილია ჭავჭავაძეს ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს გაეცნო, ხოლო 1894 წლიდან უკვე „ივერიის“ აქტიურ თანამშრომლად ითვლებოდა. იგი, როგორც იმდროინდელი ყველა ახალგაზრდა ქართველი მწერალი, დიდი ილიას თაყვანისმცემელი იყო. მისი მოგონებებიდან ისიც ნათლად იგრძნობა, რომ ახალგაზრდა ავტორი სახელოვან მოღვაწესთან საკმარისად დაახლოებული უნდა ყოფილიყო.

ბუნებრივია, რომ ილია ჭავჭავაძესთან ესოდენ ახლო მდგომ ადამიანებს მისი ცხოვრების ბევრი საგულისხმო დეტალი უნდა სცოდნოდათ, საბედნიეროდ ასეც არის. კონკრეტულ საკითხებზე მათ მიერ მოწოდებული მასალა ამაში ნათლად დაგვარწმუნებს. იაკობ მანსვეტაშვილი მოგვითხრობს:

„ილია დაბალი ტანისა იყო, ჩასხმული, კარგად ჩასუქებული, კისერ-ჩარგული, ერთი სიტყვით, „ბურთივით მრგვალი“, როგორც მოსწრებულად დაახასიათა გრ. ორბელიანმა... წარმოიდგინეთ მაღალი, გაშლილი, გადატკეცილი შუბლი, სწორე, თითქოს საგანგებოდ ჩამოსხმული. გამოქანდაკებული ცხვირი, მრგვალი, მოძრავი ნესტოებით, მოკუმული ისე მაგრად, რომ კბილებს არასოდეს არ გაჩვენებდათ. შემორგვალებული, ცოტად წინ წამოწეული ნიკაპი და თვალები, ჭკვიანი, მეტყველი, ილიას თვალები, ხან ლმობიერნი, სათნოიანი, როდესაც მეგობრულად გამოიყურებოდნენ; ხან არა ამქვეყნიური, ზეციურნი, როდესაც შემოქმედების სივრცეში დაცურავდნენ; ხან მრისხანენი, ცეცხლის მფრქვეველნი, როდესაც მტერს შეებრძოლებოდა, — წარმოიდგინეთ ყველა ეს და თქვენ თვალწინ გეყოლებათ ცოცხალი ილია, მაგრამ ეს სურათი არ იქნებოდა სრული, თუ არ დავუმატეთ კიდევ შემდეგი: ილია რომ ალაპარაკდებოდა, ეშხში რომ შევიდოდა, კამათის ჟინი რომ გაიტაცებდა — სახე ცვლილებოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა, გაუნათლდებოდა რაღაც იდუმალი შუქით, სხივებით, — გეგონებოდათ, შიგნით, გულის სიღრმეში რაღაც ღელავს, ზვირთებს ისვრის და ტალღებით უნდა წალეკოს თავის მეტოქე, მოკამათეო“[1].

იმავე თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა ილია ზურაბიშვილის მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე, რომელიც სახელოვანი მწერლის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებში დაიწერა. ბუნებრივია, რომ ი. ზურაბიშვილი ი. მანსვეტაშვილის მოგონებებს კარგად იცნობდა. მისი თქმით, ილიას გარეგნობა „ძალიან სწორედ და მოხდენილად“ ჰქონდა ი. მანსვეტაშვილს აღწერილი,

[1] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936 წ., გვ. 84.

მაგრამ ი. ზურაბიშვილი იმაეე მანსვეტაშვილს ერთ რამეში მაინც არ ეთანხმებოდა. სახელდობრ, მისი აზრით, „ილია არ იყო ისე უშნო აგებულებისა“, როგორც ი. მანსვეტაშვილს ყავდა წარმოდგენილი. ზემომოტანილ სიტყვებს უშუალოდ მოსდევს ჩვენი მწერლის ზურაბიშვილისეული დახასიათება. იქ ნათქვამია:

„მისი აგებულების ნაკლი დაბალი კისერი იყო. სამაგიეროდ, სახე იშვიათი სილამაზისა, იშვიათი ნაკვთიანობისა ჰქონდა. ამ სახეს აცისკროვნებდა მაღალი, სპეტაკი შუბლი და საამურად მეტყველი თვალები, ხოლო ამშვენებდა სწორე სურათოვანი ცხვირი მგზნებარე ნესტოებით, ენერგიის და გრძნობის (არა ვნების) მსახველი ტუჩები. ამის გარდა, ჰქონდა კიდევ ერთი მადლი, რაც ამ ჯმუხ და მაგრად შეკრულ ადამიანში საიშვიათო იყო. ეს იყო კანის საკვირველი ფერი, სპილოს ძვლის სითეთრე, რომელსაც ოდნავი მოყვითანობა შეჰპარვია, რაც ასე აკეთილშობილებს ამ სითეთრეს“[1].

ილიას პორტრეტით დაინტერესებული მკითხველი მოტანილ სტრიქონებს გვერდს ვერ აუვლის. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა ი. ზურაბიშვილის შეხედულება ილია ჭავჭავაძეზე როგორც ორატორზე. იმავე მოგონებებში ვკითხულობთ:

„ილია მოსაუბრე ორატორი იყო. კრებას იგი ისე ელაპარაკებოდა, თითქო შინაურობაშია და რაღაც საინტერესო რასმე უამბობსო დინჯად, წყნარად, აუღელვებლად. იგი საკვირველი ოსტატობით ხმარობდა უხვად მიმადლებულ ნიჭს ჰუმორისას, რომელიც ხანდახან სარკაზმში გადადიოდა. ამ საუბრულ კილოს ხშირად ერთვოდა სიტყვის დამადასტურებელი, ჩაქუჩის დამკვრელი დამუჭული მარჯვენა ხელის მაღლა აწევა წინ გაშვერილი და სპირალურად მოძრავი სალოკი თითით — და შემდეგ ენერგიულად მის წინ მდგარ მაგიდაზე დაშვება. ილიას ორატორობაში თეატრალობა სულ არ სჩანდა, არტისტულობა-კი—დიდად. მას არ მოსდგამდა კილო-შეკიდებით ლაპარაკი, ხმის აკანკალება და პათოსი, ხელების სავსავი და გადამეტებული ჟესტიკულაცია. სამაგიეროდ, როცა საჭირო იყო, მან იცოდა სხეულის რაიმე მოძრაობით მიზანში ამოღებული მოწინააღმდეგის სუსტი მხარის გამომზეურება“.

დაბოლოს, ი. ზურაბიშვილი საგანგებოდ მსჯელობდა ილია ჭავჭავაძის პოლემიკურ გამოსვლებზე, რომელიც მწერალს ქართულ საადგილმამულო ბანკის კრებებზე უხდებოდა. იგი წერდა:

---

[1] ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1939 წ., გვ. 308.

„ზემოთ ვთქვი, ილიას პათოსი არ უყვარდა-მეთქი. ეს ასეა. ილიას პათოსი — განრისხება იყო. რისხვა დიდი იცოდა. არა ყვირილი, არა ძახილი ხმითა დიდითა, არა ვაიუშველებელი, არამედ ოდნავი ხმის აწევა და ფოლადური სიმტკიცე თითოეულ სიტყვაში, თანაც ცეცხლით ანთებული თვალები და დოღში გამოსული ბედაურივით ამოძრავებული ცხვირის ნესტოები. ამ დროს მთელი მისი არსება უდრეკი ენერგიის განხორციელება იყო“[1].

საინტერესოა ადამიანმა წარმოიდგინოს, როგორი შესახედაობისა იქნებოდა ილია იმ წუთებში, როდესაც იგი წინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნაზე საზეიმო სიტყვას ამბობდა. სახელოვანი მწერალი სკამიდან დგება, საპატიო სტუმრებისათვის განკუთვნილ ადგილს ტოვებს, გლეხებისაკენ მიდის, მათ შორის ფეხზე დამდგარი სიტყვას იწყებს. იგი თავისი ტკბილი საუბრით მსმენელებს თანდათან იზიდავს და ატყვევებს. ორატორის ყოველი სიტყვა მსმენელთათვის გასაგები და გულში ჩამწდომია. ამიტომაც არის, რომ დროდადრო ხალხიდან ისმის წამოძახილები: „დიაღ“, „ოღონდაც“, „სრული სიმართლე გახლავთ“ და სხვა მისთანები.

ასეთი იყო ილიას გამოსვლა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის საზეიმო გახსნაზე.

* * *

ილია ჭავჭავაძე წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის საკითხს კვლავ უბრუნდება ერთ წერილში, რომელიც 1886 წლის ივლისში გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. მწერალი აღტაცებით ლაპარაკობს სკოლის მიერ მოკლე დროის განმავლობაში მიღწეულ წარმატებებზე. „მოგახსენებთ, — ამბობს ჩვენი ავტორი, — სწორედ სასწაულად მივიჩნიეთ, როცა ამ სკოლის ვითარება და გარემოება ჩვენის თვალით ვნახეთ“.

ილია მკითხველს უზიარებს თავის პირად შთაბეჭდილებას ამ „ყოვლისფრით შემკული“ სკოლის საქმიანობაზე. „თვითონ შეგირდები, — წერს იგი, — რომელთა რიცხვიც ორმოცდასამამდეა, და რომელთ შორისაც თავადნი და აზნაურნიც არიან, აგრეთვე შორიდან მოსულნიცა, მაგალითებრ, მთიულეთიდან, გურიიდან, კახეთიდან და ქართლიდამ, სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენენ. იმ დაჩაგრულს, დამფრთხალს, დაღვრემილს სახეს, რომელსაც ასე ხშირად შეხვდებით ზოგიერთს სკოლებში, აქ ვერა ჰნახავთ: ჯანით

1 ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1939 წ., გვ. 315.

მრთელნი, სულითაც ჯანმრთელნი, მკვირცხლნი, სიცოცხლით სავსენი არიან აქა. მათმა ცოდნამ, გონებაგახსნილობამ, წერამ, კითხვამ, წაკითხულის ახსნამ, არა ერთი მაყურებელი და მსმენელი გააოცა".

სტატიის მომდევნო ნაწილში ლაპარაკია იმაზე, რომ მოსალოდნელია „ეს ფრიად სასარგებლო სკოლა" ახლო მომავალში მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. სკოლის დამაარსებელი ილია წინამძღვრიშვილი „რასაც კი სადმე თავისის პატიოსანის შრომით ჰშოობს, სულ სკოლას ანაცვალებს; მაგრამ როდემდის ამ ტანჯვით და ვაებით გაუძღვეს ამ სკოლას?"

სახელოვანი მოღვაწე თავისი წერილით ერთგვარად საზოგადო აზრს ამზადებდა იმისათვის, რომ წინამძღვრიშვილის უანგარო ჯაფას და საქმის სიყვარულით მზრუნველობას სკოლის შესანახავად ფართო საზოგადოებრიობისაგან მხარდაჭერაც მიმატებოდა. იგი ქართველობას მიმართავდა:

„ვაუწყებთ რა სამწუხარო გარემოებას სკოლისას, რომელსაც სახსარი მეტად მცირე აქვს არსებობისათვის, ვიმედოვნებთ, რომ ჭეშმარიტი ქართველი კაცი არ დაიშურებს ამ სკოლისათვის შესაწირავს თავის შეძლებისამებრ. აქ ყოველი გროში დიდის მადლობით მიიღება და ჩვენის ქვეყნის მოზარდს ყმაწვილს მოჰხმარდება მისდა და ჩვენდა საკეთილდღეოდ"[1].

* * *

სამოცდაათიანი წლების მიწურულს და ოთხმოციანი წლების დამდეგს გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის წერილები „ვიცინოთ თუ ვიტიროთ" და „ბატონ იანოვსკის წერილისა გამო". წერილები მიმართული იყო საქართველოს სკოლებში მშობლიური ენის დევნა-შევიწროების წინააღმდეგ, რომელმაც სწორედ იმ დროს განსაკუთრებით იჩინა თავი. ამ ბრძოლაში ილიას დამსახურებაზე გრიგოლ ყიფშიძე 1907 წელს გამოქვეყნებულ წერილში ამბობდა:

„ბევრს ახლაც არ ექნება დავიწყებული იმის მგზნებარე, ცეცხლმოკიდებული წერილები დედაენისა და ეროვნული სკოლის დასაცავად, მიმართული მაშინდელ მზრუნველ კ. პ. იანოვსკის წინააღმდეგ"[2].

ილიას „ვიცინოთ თუ ვიტიროთ" დაწერილია იმ აშკარა პედა-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 344-347.

[2] კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", 1907 წ., გვ. 96.

გოგიური სიმახინჯის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა გორის საოსტატო სემინარიაში, ხოლო მეორე წერილი მიმართული იყო წინააღმდეგ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკისა, რომელიც ქართულ სკოლებში დედაენის სწავლებას სასტიკად ზღუდავდა და ავიწროებდა.

ქართულ სკოლებში არსებულ პედაგოგიურ სიმახინჯეთა წინააღმდეგ ბრძოლაში ილია ჭავჭავაძესთან ერთად იყო გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და მწერალი იაკობ გოგებაშვილი. ილიამ და იაკობმა სწორედ ერთად წინასწარი შეთანხმებით და თანამიმდევრულად გაილაშქრეს როგორც გორის სემინარიაში შექმნილი უმსგავსოების წინააღმდეგ, ისე იანოვსკის თვალთმაქცობის წინააღმდეგ. საქმე ასე იყო:

1876 წელს გორის საოსტატო სემინარიის მასწავლებელმა ნათიევმა (ნათიშვილმა) კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს წარუდგინა ქართული ენის სახელმძღვანელო მოსამზადებელი კლასებისათვის. სახელმძღვანელო (რუსულ-ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი) დაწერილი ყოფილა რუსული ასოებით. იმის გამო, რომ ყველა ქართული ბგერა რუსული ასოებით ვერ გამოიხატებოდა, სახელმძღვანელოს შემდგენელს გამოუყენებია ქართული და კიდევ რაღაც, მის მიერ გამოგონილი ასოები, რომელთაც ილია და იაკობი „ნ ა თ ი ა უ რ ს“ უწოდებენ. ილიას თქმით, ეს ასოები არ არის არც ფრანგული, არც გერმანული, არც ლათინური, არც ბერძნული, „ერთის სიტყვით, იმ ანბანით, რაც კაცობრიობა არსებობს, არც წიგნი დაბეჭდილა და არც დაწერილა. იგი არ უნახავს წარსულსა, არ არსებობს აწმყოში და ყოვლად შეუძლებელია მომავალში“[1].

ჩანს, იაკობ გოგებაშვილი ნათიშვილის მიერ სასწავლო ოლქის მზრუნველთან დასაბეჭდად წარდგენილ სახელმძღვანელოს ხელნაწერშივე გასცნობია და გადაუწყვეტია, რომ იგი დაბეჭდვამდე ემხილებინა. იაკობი თვითონვე ამბობს:

„როცა გორის საოსტატო სემინარიიდგან დასაბეჭდად მოუვიდა 1876 წელში მზრუნველსა ქართულ-რუსული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, რუსული ასოებით დაწერილი, ნაცვლად ქართულისა, ილიამ და მე გადავწყვიტეთ მასხრად აგვეგდო — იმას „ივერიაში“ და მე „დროებაში“, და კიდეც შევასრულეთ ორივემ და მახინჯი ჩანასახი დედის მუცელში გაწყალდა“[2].

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 318.

[2] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1952 წ., გვ. 237.

ილია ჭავჭავაძის წერილი „ვიცინოთ თუ ვიტიროთ“ გაზეთ „ივერიის“ 1877 წლის 5 მაისის ნომერში დაიბეჭდა. ჩვენი ავტორი მკითხველს მოაგონებდა, რომ ქალაქ გორში 1876 წლიდან არსებობს საოსტატო სემინარია, რომელმაც ჩვენი სახალხო სკოლებისათვის მასწავლებლები უნდა მოამზადოს. გორის სემინარიის დანიშნულება, მისი არსებობის მიზანი თავისთავად გულისხმობს, რომ მის სასწავლო გეგმებში ქართულ ენას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეჭიროს. მაგრამაო, — ამბობდა მწერალი, — სინამდვილეში ასე არ არის, „იმ სემინარიაში ქართულს ენას არ ასწავლიან, ასე რომ ქართულის სახსენებელიც გაუქრიათ“.

ილია მკითხველს აგებინებდა, რომ გორის საოსტატო სემინარიაში 1876 წელს სულ ორმოცდაათი მოსწავლე ჩაირიცხა. ამათგან ოცდათერთმეტი, ესე იგი საერთო შემადგენლობის დაახლოებით ორი მესამედი ქართველი იყო, ხოლო დანარჩენები კი სხვადასხვა ეროვნებისანი იყვნენ. მიუხედავად ამისა, იქ ქართული ენა არ ისწავლებოდა. იმ განზრახვით, რომ სემინარიის დირექციის აშკარად უმართებულო მოქმედების კვალი დაეფარა, სასწავლებლის ხელმძღვანელსაო, — ამბობდა მწერალი: — „მოუწვევია საშველად მეცნიერება, გამოუძიებია და დაუსკვნია, რომ ქართველები ქართველები არ არიანო“.

სემინარიის მმართველობის საქმეებში გაფორმებული იყო, რომ ახალმიღებული 50 მოსწავლიდან რუსი იყო 6, ქართველი — 13, სომეხი — 6 და ასე შემდეგ. რაც მთავარია, ქართველ მოსწავლეთა საერთო რიცხვში მითვლილი არ იყო 12 იმერელი, 2 გურული, 2 ფშაველი და 2 ინგილო. მაშასადამე, იმერელი, გურული, ფშაველი და ინგილო მოსწავლეები სემინარიის დირექციის მიერ ჩათვლილი იყვნენ არა როგორც ქართველები, არამედ როგორც სხვადასხვა ეროვნებისანი ისევე, როგორც რუსები, სომხები, ბერძნები და სხვები.

გორის სემინარიის მმართველობის ამგვარი საქციელი, მწერლის აზრით, შემთხვევითი მოვლენა კი არაა, არამედ წინასწარი განზრახვით ჩადენილი მოქმედებაა. დირექტორს უფიქრიაო, — ამბობდა ილია: — „მართლა ქართველი რომ ქართველად დარჩესო, ხომ მკითხვენ, ოცდათერთმეტი ქართველი მოწაფე გყავს და რატომ ქართულს არ ასწავლიო; თავი რად ავიტკიოო. ის არა სჯობია, ვსთქვა, რომ ქართველი ქართველი არ არისო“[1].

გორის საოსტატო სემინარიაში შექმნილი საერთო ვითარების

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 316.

დახასიათების შემდეგ ილია ნათიევის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოზე ლაპარაკობდა. იგი გადაჭრით აცხადებდა, ეს წიგნი შედგენილიაო იმ მიზნით, რომ „ბავშვმა ჩათვლით კითხვისა და ქართულის ასოების ჯღაბნის მეტი არა ისწავლოს-რა. უსათუოდ ამ განზრახვით მოუგონიათ ისეთი მეთოდი, რომ ქართულის სწავლა კი არა, ვგონებ ისიც დაავიწყდეს ბავშვს, რაც იცოდა“.

ილია წერდა: ნათიევს უთქვამსო, „დაუმტკიცებ ქვეყანასაო, რომ მე ოთხს კურდღელს გამოვუდგები და ოთხსავე ერთად დავიჭერო“. იქვე მწერალი სრულიად გასაგებად ამბობდა: „ნეტავი ექვსიც ერთად დაიჭიროს, ოღონდ კი მარტო კურდღლებს გამოუდგეს და ბავშვების სწავლებას კი თავი დაანებოსო“.

ილია სასტიკად აკრიტიკებდა გორის საოსტატო სემინარიაში არსებულ სწავლა-აღზრდის მანკიერ მხარეებს, განსაკუთრებით ქართველი მოსწავლეებისათვის შექმნილ მძიმე ვითარებას. იგი დაჯერებული ამბობდა: „ესეთი წვრილფეხობა, როგორიც უფალი ნათიევია და სემინარიის გამგეობა“ ქართველი ახალი თაობის წინაშე ისეთ დანაშაულს სჩადის, რომ კეთილგონიერად მოწყობილ ქვეყანაში დაუსჯელი ვერ გადარჩებოდაო.

წერილის ამგვარ დასასრულში საბოლოოდ გაფორმებულია ბუნებრივი დასკვნა იმ ძირითად დებულებაზე, რომელიც ავტორის მიერ სტატიის დასაწყის სტრიქონებშივე ასე იყო ჩამოყალიბებული:

„ვგონებ, არა ქვეყანაში არ მოხდეს ის, რაც ასე აშკარად ჩვენში მოხდება ხოლმე, საკვირველია!.. რაც უნდა უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე იყოს, ჩვენში ფუხს გაიდგამს ხოლმე, მერე ისე, რომ ყურსაც არავის შეაბერტყინებს. არც მის მომქმედსა აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმეო, არც მის მაყურებელს აქვს სირცხვილი, რომ აგრე პირუტყვულად რაზედ ვექელვინებიო“.

ილიას წერილში არსებითად მხილებული იყო მთელი სიმახინჯე საზოგადოდ იმდროინდელი განათლების სისტემისა. ყველაფერი არც ამით მთავრდებოდა. კრიტიკა გორის სემინარიაში შექმნილი ვითარებისა არსებითად იყო კრიტიკა არა მხოლოდ განათლების სისტემისა, არამედ მთელი იმ სახელმწიფოებრივი წყობილებისა, რომელიც ნათიევსა და მის მსგავს ადამიანებს ასე ფართო გასაქანს აძლევდა.

ილიას სტატიას ჩქარა ნათიევიც გამოეხმაურა. მისი საპასუხო წერილი გაზეთ „დროების“ იმავე წლის 29 მაისის ნომერში დაიბეჭდა. შეიძლება ითქვას, რომ საპასუხო წერილიდან ნათიევის ინტე-

ლექტუალურად შეზღუდული, ეროვნულ გრძნობას მოკლებული და პატივმოყვარე პიროვნება მთელი სისრულით შეიცნობა. იგი თავის წერილს რედაქციისადმი ასე უტიფრად იწყებდა:

„არა არის რა ისეთი შემარცხვენელი კაცისათვის, როდესაც ის სჯის საგანზედ, რომელიც მას არ ეყურება, და მომეტებული უფრო არა არის რა ისრეთი შემაძრწუნებელი და საზიზღარი მასმენელისათვის, როდესაც კაცი სჯის კაცზედ და მის მოქმედებაზედ, როდესაც მას არც თვალით უნახამს ეს კაცი და მისი მოქმედება“.

შომდევნო სტრიქონებში ილიასა და მისი წერილის დასახასიათებლად ნათიევი ამბობდა: „არც არა რასმე ნაპერწკალის ოდენი... იპოება და არც არა ესმის რა, როგორათაც სჩანს მის მოთხრობიდგან, გარდა ლანძღვისა“.

დაბოლოს ნათიევი ამბობდა, ილია ჭავჭავაძემ ჩემი შედგენილი სახელმძღვანელო გააკრიტიკა იმ დროს, როდესაც იგი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გასინჯულა და, მაშასადამე, მისი შეფასების უფლება არავის ჰქონდაო. ნათიევი წერდა:

„ჩემს ანბანს ჯერ შინჯავენ კავკასიის სამოსწავლო მაზრის რჩევაში. თუ რჩევა დაინახავს იმ ანბანს სასარგებლოთ, მაშინ დაიბეჭდება. სინამ ის ანბანი არის დაუბეჭდავი, ვგონებ, არავის აქვს ნება ილაპარაკოს. წიგნი არის საზოგადოს კუთვნილობა მხოლოდ მაშინ. როდესაც იგი დაიბეჭდება, გამოვა ქვეყანაში. ეხლა კი ფრიად უჯიშობა მოზდის უფალ ავტორს მასზედ რომ ლაპარაკობს — თუ როგორ არის შედგენილი, რა მნიშვნელობა აქვს, ვისთვის არის დაწერილი და სხვა“[1].

ასეთი იყო მასწავლებელ ნათიევის პასუხი ილია ჭავჭავაძის წერილზე „ვიცინოთ თუ ვიტიროთ“.

ნათიევის გამოხმაურებას შეფასება მისცა იაკობ გოგებაშვილმა. ბრძენმა პედაგოგმა ნათიევის პასუხს „მრუდედ და უკუღმართად მომქმედი“ პირის მიერ თავის გასამართლებლად მომარჯვებული ტლიკინი უწოდა. ამ შეფასების სრული შესაბამისობა სავსებით ნათელი გახდება ქვემოთ, როცა იაკობის წერილს საფუძვლიანად გავეცნობით.

* * *

იაკობ გოგებაშვილის სტატია „სამწუხარო მოვლენა პედაგოგიაში“ იმ დროს გამოქვეყნდა, როდესაც ილიას წერილი და ნათი-

[1] გაზეთი „დროება“, 1877 წ., № 59.

ევის პასუხი თავის გასამართლებლად მკითხველი საზოგადოებისათვის უკვე ცნობილი იყო.

სახელოვანი პედაგოგი მტკიცედ აცხადებდა, რომ ილიას წერილში, როგორც სარკეში, მთელი სიმართლით იყო გადმოცემული გორის სემინარიაში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობისათვის შექმნილი მძიმე მდგომარეობა, ნათიევისა და მისთა თანამოაზრეთა ანტიპედაგოგიური საქმიანობა.

„თუ კაცს მახინჯი სახე აქვს, — წერდა ი. გოგებაშვილი, — სარკეს ბევრიც რომ დაემდუროს, მით ის პირის სახეს ვერ გაილამაზებს. აგრეთვე ფონს ვერ გავა მრუდედ და უკუღმართად მომქმედი პირი, რაც უნდა ბევრი იტლიკინოს და იყვიროს მლანძღამენო, როდესაც მის უკუღმართს მოქმედებას ამხილებენ“ [1].

იაკობ გოგებაშვილი თავის მხრივ უყოყმანოდ ადასტურებდა ილიას მიერ გორის სემინარიის მმართველობისადმი წაყენებულ ბრალდებას იმის თაობაზე, რომ იქ, საზოგადოდ სრულიად უგულებელყოფილი იყო ქართული ენა იმ დროს, როდესაც იგი შეადგენდა „უსაჭიროეს საგანს მეტადრე ამისთანა მიზნის სასწავლებლისათვის“.

იაკობ გოგებაშვილის წერილში, ისევე როგორც ილიას წერილში, ჯერ მხილებული იყო ქართული ენის დევნა-შევიწროება გორის საოსტატო სემინარიაში საზოგადოდ, ხოლო შემდეგ გაკრიტიკებული იყო მასწავლებელ ნათიევის მიერ სემინარიის მოსამზადებელი კლასებისათვის შედგენილი სახელმძღვანელო.

სახელოვანი პედაგოგი, როგორც უკვე ითქვა, მთლიანად ადასტურებდა ილიას მიერ მმართველობისადმი წაყენებულ ბრალდებას იმის თაობაზე, რომ გორის სემინარიაში ქართული ენის „სახსენებელიც არსად არის, რომ ამ საგნისათვის არცერთი საათი არ არის დანიშნული კვირაში“. იაკობის სიტყვით, იმავე სემინარის მოსამზადებელ კლასებშიც, რომელთაც ნათიევმა სახელმძღვანელო შეუდგინა, ქართული ენა მხოლოდ „მოსაჩვენებლად და ფორმის გულისათვის ირიცხება საგანთა შუა“. იქვე, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ წერილში ისიცაა ნათქვამი, რომ „ქართული წერა-კითხვა ნათიევის მოწაფეებმა ჩათვლითაც არ იციან ხეირიანად“.

იაკობ გოგებაშვილი დარწმუნებული ამბობდა: ნათიევმა თავისი „ჩინოვნიკური ერთგულების გამოჩენისათვის“ ქართველ ბავშვებს შეუდგინა იმდენად მავნე სახელმძღვანელო, რომ თუ იგი დაიბეჭდა და გავრცელდა, ქართველ ერს მომავალ თაობებს დაუმახინჯებსო.

---

1 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1952 წ., გვ. 42.

წერილში ნათიევის სახელმძღვანელო განხილულია ი. გოგებაშვილისათვის ჩვეული მეცნიერული სიღრმითა და კეთილსინდისიერებით. პედაგოგიური (მეთოდიკური) თვალსაზრისით გარჩეული და შეფასებულია მისი ყოველი მხარე.

ასეთი იყო ილიასა და იაკობის ერთობლივი გალაშქრება გორის საოსტატო სემინარიაში ქართული ენის დევნისა და ნათიევის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს წინააღმდეგ. ამ ბრძოლას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ამის შედეგი იყო, რომ ეს მავნე სახელმძღვანელო აღარ დაბეჭდილა. როგორც ჩვენი პედაგოგი ამბობდა, მახინჯი ჩანასახი დედის მუცელშივე გაწყალდა.

* * *

ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი აგრეთვე ერთობლივად დაუპირისპირდნენ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს იანოვსკის. იანოვსკიმ 1881 წელს ჯერ გაზეთ „კავკაზში“ გამოაქვეყნა წერილი სახალხო სკოლების საერთო ხასიათსა და საქმიანობაზე, ხოლო შემდეგ ცალკე წიგნაკის სახით დაბეჭდა და გაავრცელა იმავე სახალხო სკოლების ოფიციალური სასწავლო გეგმა.

ამ შემთხვევასთანაა დაკავშირებული ილია ჭავჭავაძის „ბატონ იანოვსკის წერილისა გამო“ და იაკობ გოგებაშვილის „მზრუნველის იანოვსკის სამოსწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა“. ჩვენი პედაგოგი მოგვითხრობს:

„წერილი იანოვსკისა დაბეჭდილი იყო გაზეთ „კავკაზში“ და იპყრობდა მის შეხედულებას სახალხო სკოლების მოწყობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში. პასუხის დაწერა რედაქციამ[1] მე დამავალა, მაგრამ მე მივუგე: საჭიროა უფრო გამოჩენილმა და გავლენიანმა ქართველმა გასცეს პასუხი, მაგალითად, ილია ჭავჭავაძემ. ყველა საჭირო მასალას ილიას მე თვითონ მივუტან; სამაგიეროდ, როცა ამ დღეებში იანოვსკის გეგმა გამოვა, მის გარჩევას მე ვკისრულობ-მეთქი. და ასეც მოხდა. ასეთი განაწილება შრომისა ილიასა და ჩემს შორის პირველი არ იყო“[2].

ილიას სტატია „ბატონ იანოვსკის წერილისა გამო“ დაიბეჭდა გაზეთ „დროების“ 1881 წლის 13 თებერვლის ნომერში, ხოლო იაკობ გოგებაშვილის „მზრუნველის იანოვსკის სამოსწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა“ — იმავე გაზეთის 7 და 17 მარტის ნომრებში.

---

[1] იგულისხმება გაზეთ „დროების“ რედაქცია — ა. მ.

[2] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1952 წ., გვ. 237.

ილია და იაკობი სასწავლო ოლქის მზრუნველს ეკამათებოდნენ სახალხო სკოლების სასწავლო გეგმაზე, კონკრეტულად, ამ ტიპის სკოლებში მშობლიური ენის სწავლებაზე. იანოვსკი გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებულ წერილში დაპირებას იძლეოდა, საქართველოს სახალხო სკოლებში სწავლება თითქმის მთლიანად ქართულ ენაზე იწარმოებსო, მაგრამ წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ იმავე იანოვსკის მიერ სკოლებისათვის დაგზავნილი ოფიციალური სასწავლო გეგმა კი სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობას აკანონებდა.

ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი სასწავლო ოლქის მზრუნველს სწორედ ამის გამო დაუპირისპირდნენ. მათი საერთო აზრით, იანოვსკის გეგმა საქართველოში სახალხო სკოლების დანიშნულებას არ შეესაბამებოდა. შეუძლებელია, ბავშვმა სამი წლის განმავლობაში შეისწავლოსო ის საგნები, რომელსაც დაწყებითი სკოლის დანიშნულება ბუნებრივად გულისხმობს; ისწავლოს დედაენა, რომლითაც სასწავლებელში მიღებული ცოდნა ცხოვრებაში უნდა გამოიყენოს და იმავე დროს არამშობლიური ენაც შეისწავლოს ისე, როგორც ამას იანოვსკის გეგმა მოითხოვს. ამგვარი მოთხოვნა იმას ნიშნავს, რომ სახალხო სკოლას, თავისთავად მძიმე ტვირთის მქონეს, სხვა საპალნეც აჰკიდოს კაცმაო.

ილიასა და იაკობის კამათი იანოვსკის გეგმასთან თანამიმდევრული მეცნიერული პაექრობის ხასიათს ატარებდა. შემთხვევითი არ ყოფილა ილიას სტრიქონები წერილის შესავალში: „გვსურს ბატონი იანოვსკი დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ აქ ჩვენ გვალაპარაკებს მარტო ერთი ჰეშმარიტების სიყვარული და ჰეშმარიტების საკადრისი გულწრფელობა და სხვა არა-რა“.

ამ თავაზიანი განცხადების შემდეგ ილია საგანგებო მსჯელობის საგნად აქცევდა საზოგადოდ სახალხო სკოლის მიზანდასახულობას, მის პირდაპირ დანიშნულებას, რათა ამ გზით ეჩვენებინა სრული შეუსაბამობა, ანტიპედაგოგიური ხასიათი იანოვსკის სასწავლო გეგმისა.

ილია ჭავჭავაძე თავის წერილში არა ერთგზის მიმართავდა მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერ-პედაგოგთა თეორიულ ნაშრომებს. იგი თავის მსჯელობაში ჩვეულებრივად იყენებდა ავტორიტეტულ მეცნიერთა ნააზრევს მისთვის საინტერესო პრობლემებზე. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მისი მსჯელობა მუდამ და ყველა შემთხვევაში დამაჯერებელი მოჩანს. სხვარიგად შეუძლებელიც იქნებოდა ალაგმვა ისეთი თვალთმაქცი და ჰკვიანი მოხელისა, როგორადაც იანოვსკის პიროვნება წარმოგვიდგება.

ილიას ძირითადი დებულება ის იყო, რომ იანოვსკის გეგმაში სახალხო სკოლის „განსაკუთრებული დანიშნულება და უმაღლესი საქმე“ უკანა პლანზე იყო გადაწეული და იგი სავსებით კონკრეტული მიზანდასახულობის სკოლას იმ ტვირთსა ჰკიდებდა, „რაც მოსამზადებელის კლასის საზიდარი“ იყო.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ სახალხო სკოლა და მოსამზადებელი კლასი განსხვავებული დანიშნულებისანი იყვნენ. პირველი არსებითად გლეხთა ბავშვებისათვის იყო. იქ კურსდამთავრებული, „გონებით და გულით გაღვიძებული“ მოქალაქე, ჩვეულებრივ გლეხურ ცხოვრებაში გადადიოდა. მოსამზადებელ კლასებში კი ის ბავშვები შეჰყავდათ, რომელთაც სწავლა გიმნაზიებში ან საშუალო ტიპის სხვა სასწავლებლებში უნდა გაეგრძელებინათ.

ილია ჭავჭავაძის წერილში სახალხო სკოლის მიზანდასახულობა ასეა ჩამოყალიბებული.

„საერო სკოლა, საზოგადოდ, სკოლაა ერისა, ესე იგი იმ უმრავლესობისა, რომელსაც არც დრო აქვს, არც მოცალეობა, არც შეძლება უმაღლესის სწავლის შეძენისათვის... ამიტომაც საერო სკოლა ერის შინაური სკოლაა, ის მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ პირველ ფეხი უნდა აიდგას, ის გამზრდელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ერს საზრდოებელი სულისა და ხორცისა იმ პატარა საწყაოთი, რომელიც ზედ-გამოჭრილია უმეტნაკლოდ ერის ძოკლედ შემოხაზულ შინაურს ყოფა-ცხოვრებაზე, მის სულიერ და ხორციელ მოთხოვნილებაზედ“[1].

ამგვარი დანიშნულების სკოლებში, ილიასა და ი. გოგებაშვილის საერთო აზრით, რუსული ენის სწავლება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. მოსამზადებელ კლასებში კი იგი აუცილებელი იყო იმდენად, რამდენადაც გიმნაზიებსა და, საზოგადოდ, საშუალო სკოლებში სწავლება საქართველოშიც რუსულ ენაზე წარმოებდა.

ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი ქართველ ახალგაზრდობას ყოველთვის მოუწოდებდნენ რუსული ენის შესწავლისაკენ, მაგრამ ისინი მოითხოვდნენ მისი სწავლება იმ დროს დაწყებულიყო და იმგვარად წარმართულიყო, რომ სწავლა ნამდვილი ყოფილიყო და არა მოჩვენებითი.

იმავე წერილში იანოვსკის წინააღმდეგ ილია ამბობდა: რუსული ენის შესწავლა „ჩვენცა გვსურს და ძალიანაც, განა მარტო იმისათვის, რომ იგი საჭიროა ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისათვისაც, რომ მისი ლიტერატურა ეხლა იმოდენად ძლიერია, რომ

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 275.

შეუძლიან გონებაგახსნილს კაცს სულის საზრდოება მისცეს. იგი ღონეა, არამცთუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის, იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდამ გარეთ ფეხს გამოვდგაბთ"... „ბაგრამ საქმე იმაშია, — განაგრძობდა ილია, — ისე მოგვიწყოთ სკოლა, რომ რუსულის ენის ცოდნა ნამდვილი და მართალი ცოდნა იყოს, იმოდენად მაინც, რომ კაცმა ცხოვრებაში და ცხოვრებისათვის გამოიყენოს"[1].

მოტანილი ამონაწერის აზრი ნათელია. ბრძენი მწერალი ქართველ ახალგაზრდობას მოუწოდებს რუსული ენა შეისწავლოს არა მარტო იმის გამო, რომ იგი სახელმწიფო ენაა, არამედ იმისათვისაც, რომ ამ ენაზე შექმნილია მდიდარი ლიტერატურა, რომელიც ყველა გონებაგახსნილ ადამიანს მნიშვნელოვან სულიერ საზრდოს აწვდის.

იანოვსკის სასწავლო გეგმით ქართველი ბავშვებისათვის გათვალისწინებული რუსული ენის სწავლება ბრძენ მწერალს ვერ აკმაყოფილებდა. მას მზრუნველის სასწავლო გეგმა არ მოსწონდა იმ მიზეზით, რომ იმ გეგმით სწავლება მხოლოდ მოჩვენებითი იქნებოდა და არა ნამდვილი. ილია ჭავჭავაძეს სავსებით მართებულად მიაჩნდა, რომ იანოვსკის სასწავლო გეგმით ქართველი ბავშვი ვერც რუსულ ენას შეისწავლიდა და თავის პირდაპირ საქმესაც მოცდებოდა.

ილია თავისი წერილის დასკვნით სტრიქონებში იანოვსკის სასწავლო გეგმას, როგორც გაუმართლებელსა და საზიანოს, გადაჭრით უარყოფდა. იგი დარწმუნებული ამბობდა: ეს გეგმა რომ დაკანონდეს, ჩვენებური სახალხო სკოლა „ვერც თავის საკუთარ საქმეს გაარიგებს და ვერც რუსულს ენას გვაცოდინებს. იმ ვიწრო გზაზე, რაც საერო სკოლას ჩვენში დანიშნული აქვს, ამ ორივე — სულ სხვადასხვა საგნის — შეხვედრა არც ერთს დააყრის ხეირს და არც მეორესაო".

იაკობ გოგებაშვილის წერილი „მზრუნველის იანოვსკის სამოსწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა" გამოქვეყნდა იმ დროს, როდესაც მზრუნველ იანოვსკის გეგმა, ცალკე წიგნაკის სახით დაბეჭდილი, სკოლებში უკვე დაგზავნილი იყო.

ილიას მსგავსად, იაკობ გოგებაშვილი თვლიდა, რომ სახალხო სკოლების სასწავლო გეგმებში რუსული ენა შეტანილი არ უნდა ყოფილიყო. ილიასა და იაკობის საერთო აზრით შეუძლებელი იყო, რომ სამწლიანი სწავლების პირობებში ამ ტიპის სკოლას თავისი

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 287.

პირდაპირი დანიშნულება შეესრულებინა და იმავე დროს ქართველი ბავშვისათვის რუსული ენაც შეესწავლებინა.

ასეთია ქართული ენის დასაცავად ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის ერთობლივი ბრძოლის უმთავრესი დამახასიათებელი მომენტები.

დასასრულ, ამ ბრძოლასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ იქნება, გავიხსენოთ ერთი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1879 წელს. ამ დროს მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას ერთი მოხელის განკარგულებით შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია, ადამიანის“ კითხვა აუკრძალეს.

1879 წლის პირველ დეკემბერს სერგეი მესხის „დროება“ თავის დღიურში იტყობინებოდა: „ქუთაისიდან გვწერენ, რომ იქაურ პროგიმნაზიის ინსპექტორს იუდინს აუკრძალავს მეოთხე კლასის შეგირდებისათვის, გარდა, „დედაენისა“, „საყმაწვილო კონისა“ და „ბუნების კარისა“, ქართულ ენაზე სხვა რომელიმე წიგნის კითხვა. ქართული ენის მასწავლებლისათვის უთქვამს უფალ ქუთაისელ პედაგოგს, თუ შევიტყვეო, რომ ან „ვეფხისტყაოსანი“, ან „გლახის ნაამბობი“, ან „კაცია, ადამიანი“ მიგიცია ყმაწვილებისათვის საკითხავად, უსათუოდ პასუხისგებაში მიგცემო“.

„დროების“ რედაქცია სავსებით სამართლიანად დაინტერესებულა იმით, თუ რა საფუძველს ემყარებოდა ქუთაისის პროგიმნაზიის ინსპექტორი, როდესაც იგი ესოდენ მკაცრ განკარგულებას ახდენდა. „დროება“ წერდა:

„თუ ეს ამბავი მართალია, ჩვენ გვაკვირვებს, — საიდან და როგორი საფუძვლით შეადგინა იუდინმა ისეთი აზრი „კაცია, ადამიანზედ“ და „გლახის ნაამბობზედ“ მაინც, რომ იმათი გაგება გაუჭირდებათ მეოთხე კლასის შეგირდებს? ან იქნება იუდინის აზრით, ამ წიგნების წაკითხვა მავნებელი იქნება შეგირდებისათვის? რამდენადაც ჩვენ ვიცით, საქალებო გიმნაზიის მეოთხე კლასის შეგირდებს გოგოლის, პუშკინისა და ლერმონტოვის თხზულებებს აძლევენ საკითხავად, და თუკი იმათ შეუძლიანთ გაგება, რატომ ვაჟებს არ შეუძლიანთ?“

ახლა, როდესაც ეს მოვლენები უკვე ისტორიის საგნად არის ქცეული, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ქუთაისის პროგიმნაზიის ინსპექტორისაგან ამგვარი განკარგულების გაცემა მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო ოლქის მზრუნველის მითითებით შეიძლებოდა მომხდარიყო. თავის მხრივ მზრუნველის ამგვარი საქციელი შესაძლებელია იყოს პასუხი ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგე-

ბაშვილის იმ თავდასხმისა, რომელიც ცალკეულ პიროვნებათა კრიტიკასთან ერთად, იმდროინდელი სწავლა-განათლების საერთო სისტემის მანკიერებასაც ამხილებდა.

ამგვარი ახსნა მოვლენისა კიდევ უფრო სარწმუნო გახდება თუ გავიხსენებთ, რომ ამ დროს (1878 წლიდან) უკვე კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად ცნობილი შავრაზმელი იანოვსკი ითვლებოდა.

* * *

ილია ჭავჭავაძემ 1877—1881 წლებში „ივერიის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა თავისი აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილი თხზულება „ცხოვრება და კანონი“. იგი შვიდი წერილისაგან შედგება და წერასთან ერთად პარალელურად იბეჭდებოდა[1].

თხზულების დასაწყისში ავტორი მსჯელობს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის კანონმდებლობის მნიშვნელობაზე. მისი სიტყვით, ადამიანისათვის, რომელ ქვეყანაშიც უნდა ცხოვრობდეს იგი, მარტო ბუნებრივი სიმდიდრე, ნოყიერი მიწა და ჯანსაღი ჰავა საკმარისი არაა. ამასთანავე საჭიროა ქვეყანას ჰქონდეს ცხოვრებისათვის აუცილებელი წესრიგი, კანონი, რომლითაც განსაზღვრული იქნება ადამიანთა უფლება-მოვალეობანი.

„ცხოვრება და კანონის“ შესავალში ვკითხულობთ:

„კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ“.

ცხოვრებისა და კანონმდებლობის ურთიერთმიმართებაზე ძირითადი თვალსაზრისის ამგვარად ჩამოყალიბების შემდეგ ავტორი უკვე ბატონყმობის მოსპობის შედეგად საქართველოში შექმნილ ვითარებაზე გადადის. იქვე, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, იგი წერს:

---

[1] კონკრეტულ შემთხვევაში „ცხოვრება და კანონი“ მხოლოდ საერთო იდეური თვალსაზრისით განიხილება. ეს აუცილებელია იმდენად, რამდენადაც იგი ავტორის მხატვრულ მემკვიდრეობასთან ბუნებრივ კავშირშია. ეგეთე თხზულება ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი შეხედულებებით დაინტერესებულ მკითხველსაც მდიდარ მასალას აწვდის.

„ამ უკანასკნელს ათს წელიწადში, სახელდობრ 1864 წლიდამ, ჩვენში ბევრგვარი ცვლილება მოხდა, რომელთ აზრად ჰქონდათ და აქვთ საზოგადო ურთიერთშორისი წყობილება უკეთესს და უფრო უმართლესს ნიადაგზედ დაედგინა. ამ ცვლილებას ჩვენში ყოველი გონიერი და მიხვედრილი კაცი დიდის სიხარულით და თითქმის აღტაცებით მიეგება. ხოლო გამართლდა ჩვენი სიხარული და აღტაცება თუ არა? ჩვენ ვეცდებით ამის პასუხი მივცეთ მკითხველსა“[1].

მოტანილ სტრიქონებში საკმაოდ ნათლად ჩამოყალიბებულია პრობლემა, რომელსაც ამ თხზულებაში ავტორმა პასუხი უნდა გასცეს. მისი მიზანია გამოარკვიოს სახელმწიფო მმართველობის მიერ საქართველოში საგლეხო რეფორმის შემდეგ დამყარებული ცხოვრების წესი, კანონი და სამართალი. რამდენად გონივრულად არის მოწყობილი ცხოვრება საგლეხო რეფორმის შემდეგ; გამართლდა თუ არა ის იმედი, რომელსაც, უმაღლესი ხელისუფლების დაპირების საფუძველზე, „ჩვენში ყოველი გონიერი და მიხვედრილი კაცი“ ბატონყმობის გაუქმებაზე ამყარებდა.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ჩვენი მწერალი საგლეხო რეფორმას, როგორც სახელმწიფოებრივ აქტს, საზოგადოდ ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისივე სიტყვები რომ გავიმეოროთ, ბატონყმობის მოსპობით „ერთს ჩამოაცალეს ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, ხოლო მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეულ ჰქონდა“.

ილია ჭავჭავაძე თვლიდა, რომ ბატონყმობის გაუქმებით გლეხობამ მიიღო ადამიანური უფლება, რომელიც აქამდე უსამართლოდ წართმეული ჰქონდა. იმავე „ცხოვრება და კანონში“, როდესაც ეგრეთ წოდებულ მეოთხედობაზე მსჯელობს, ილია ჭავჭავაძე წერს:

„საიდამაც უნდა იყოს ეგ მეოთხედობა წარმომდგარი, მაინცდამაინც იგი ცხოვრების წინ წადგომაა, ნამეტნავად მაშინ, როცა ბატონყმობას წარმოვიდგენთ. რაც უნდა იყოს, გლეხი სხვის ნების ანაბარად არ არის დარჩომილი. მძიმეა თუ სუბუქია ეგ მეოთხედობა, გლეხმა იცის, რომ მას ბინას ვერავინ შეუშლის, და რაც მეოთხედს გადურჩება, ის უცილო და ხელშეუხებლად მისია“[2].

„ცხოვრება და კანონის“ პირველ სამ წერილში ავტორი ბატონყმობის გაუქმების შედეგად განთავისუფლებული გლეხობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე მსჯელობს. იგი ვრცლად ჩერდება ნაყმევი

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, 1956 წ., გვ. 8-9.

[2] იქვე, გვ. 18.

გლეხობისაგან მიწით სარგებლობისათვის გადასახადთა საკითხზე. მეორე წერილის დასაწყისში ილია წერს:

„რასაც ევროპაში მიწის რენტას ეძახიან, იმას ჩვენში ღალა ჰქვიან. ღალა არის ის სასყიდელი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ის მიწის ქირა, რომელსაც მიწისმომქმედი იხდის მიწის პატრონის სასარგებლოდ“.

ამის შემდეგ ჩვენი მწერალი საფუძვლიანად განიხილავს ღალის სახეებს. იგი მისთვის ჩვეული მეცნიერული სიღრმით წვდება საკითხის ყველა მხარეს და მკითხველს აცნობს საქართველოში ღალის ხასიათს ბატონყმობის მოსპობამდე და ბატონყმობის მოსპობის შემდეგ. სწორედ ამის წყალობითაა, რომ ჩვენი მწერლის მიერ მოწოდებულ დასკვნებს მკითხველიც სრულიად ბუნებრივად უერთდება.

ილია ჭავჭავაძის აზრით ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მიწით სარგებლობაზე დაკანონებული წესი იმგვარია, რომ იგი გლეხობას კვლავ მძიმე მდგომარეობაში ტოვებს. განთავისუფლებულმა გლეხმა ვერ მიიღო ის, რასაც მას სახელმწიფო მმართველობა ბატონყმობის გაუქმებასთან ერთად ჰპირდებოდა. მართალია, რეფორმის შედეგად გლეხობამ ერთგვარი შეღავათი მიიღო, მაგრამ იგი მაინც ეკონომიკურად დაჩაგრულია. მიწით სარგებლობის ახალი კანონი გლეხისათვის სრულიად არახელსაყრელია, მავნებელია.

ასეთია დედააზრი „ცხოვრება და კანონის“ ერთი ძირითადი ნაწილისა, რომელშიც მხილებულია ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხთა მასების ცხოვრებაში დამკვიდრებული ეკონომიკური სიძნელეები. „ცხოვრება და კანონის“ ეს ნაწილი, „ხიზნების საქმესთან“ ერთად, მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეკონომიკური ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს ფრიად საინტერესო მასალას აწვდის. „ცხოვრება და კანონის“ მომდევნო ნაწილში, მეოთხე და მეხუთე თავებში, ასევე საფუძვლიანად განხილულია საგლეხო რეფორმის შემდეგ შემოღებული სასოფლო თვითმმართველობა.

თვითმმართველობა საქართველოში გლეხთა განთავისუფლების შემდეგ, სახელდობრ 1865 წლიდან დამყარდა. ჩვენი ავტორი თხზულების სხვადასხვა ნაწილში მკითხველს თვითმმართველობის საკმარისად ვრცელ დახასიათებას აწვდიდა. იგი ასახელებდა მთელ რიგ ქვეყნებს, რომლებშიც თვითმმართველობა არსებობდა და იქვე ხაზგასმული იყო ამგვარი მმართველობის სიკეთე. მწერალი სავსებით ნათლად ამბობდა, რომ გონივრულად მოწყობილ სახელმწიფოებრივი მართვის სისტემაში თვითმმართველობა „უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა“.

ილიას აზრით, თვითმმართველობა ყველა ქვეყნისათვის სასურველია. მას ყველგან ხალხისათვის მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძ-

ლია, მაგრამ იგი უნდა მოეწყოს და დაინერგოს ისე, როგორც ამას ცნება თვითმმართველობისა გულისხმობს. მისი ძირითადი აზრი, სულისკვეთება ბოლომდე დაცული უნდა იყოს. მწერალი იქვე ამბობდა:

„თვითმმართველობამ რომ თავისი ჩვეულებრივი ნაყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმტყუნოს, მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი და დარგული. ამ მოწყობაში არც ერთი მისი არსებითი კუთვნილება დავიწყებული არ უნდა იქნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვეს. თუ ეს სიფრთხილე არ იხმარა ადამიანმა, თვითმმართველობა უფრო უქმი სიტყვა იქნება, უფრო სახელი იქნება, ვიდრე სახრავი“[1].

მომდევნო სტრიქონებში ილია ჭავჭავაძე თანამიმდევრულად, კონკრეტული მუხლების სახით, აყალიბებდა თვითმმართველობის უფლებებს, მოვალეობას, მიზნებსა და ამოცანებს. „ცხოვრება და კანონის“ ამ ნაწილში ავტორისეული განმარტებებით მკითხველი სრულიად ბუნებრივად და მთელი სისრულით ითვალისწინებს ამგვარი მმართველობის სიკეთეს ხალხის მასებისათვის, თუკი იგი გონივრულად მოეწყობა[2].

ილია აყენებდა კითხვას: თუ თვითმმართველობა თავისი შინაარსით ესოდენ სასურველი და სასარგებლოა, მაშ „ყოვლის მხრით და ყოველგან რად ისმის სამდურავი სოფლის მმართველობაზე? რატომ მაგ თვითმმართველობამ არ ააყვავა სოფელი, თვით გლეხობა ეგრე რად უჩივისო?“[3].

იმით, რაც აქამდე ითქვა, მკითხველისათვის გასაგებია, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ საქართველოში დაკანონებული თვითმმართველობა მიზანს ვერ აღწევდა. ახალმა მმართველობამ სოფელი ვერ ააყვავა, მას გლეხობა ყოვლის მხრიდან ერთხმად უჩივის. ასეთია ის საერთო შთაბეჭდილება, რომელიც ზემოთ ნათქვამიდან მკითხველს ბუნებრივად ექმნება. ამის შემდეგ ილია, როგორც მისთვის საზოგადოდ დამახასიათებელია, მთელი სიღრმით შედის გლეხთა განთავისუფლების შემდეგ დამყარებული სოფლის მმართველობის შინაარსის კვლევაში.

ბრძენი მოღვაწის მსჯელობას თავიდან ბოლომდე ის თვალსაზრისი გასდევს, რომ თვითმმართველობა, რომელიც თავისთავად „უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა“, რუსეთის

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, 1956 წ., გვ. 42.

[2] იქვე, გვ. 42-43.

[3] იქვე, გვ. 44.

იმპერიაში საზოგადოდ და საქართველოში აგრეთვე გადმოტანილი და დანერგილია ისე, რომ ივი თავის დანიშნულებას ვერ აღწევს.

ილია სრულიად გარკვევით ამბობდა, რომ ბატონყმობის მოსპობის შემდეგ დაკანონებული თვითმმართველობით უკმაყოფილო იყო როგორც საქართველოს, ისე იმდროინდელი მთელი რუსეთის გლეხობა. ახალშემოღებული თვითმმართველობის დასახასიათებლად იგი წერდა:

„პირველი და უდიდესი ნაკლი ამ წესდებისა ის არის, რომ თვითმმართველობის არსებითნი საფუძველნი არ არიან მისგან აღიარებულნი და, რაკი თვითმმართველობას ეგ ნაკლი თან შეჰყვა, იქ თვითმმართველობას ნურავინ დაემდურება, იმიტომ რომ იქ თვითმმართველობა არ გახლავთ და არაფერს შუაშია. ეს ნაკლი თითონ შიდაიმპერიის წესდებასაც თან შეჰყვა და, რადგანაც ერთსა და იმავე მიზეზს ერთი და იგივე შედეგი თან მოსდევს, ამიტომაც იქაც, როგორც ჩვენში, სოფლის მმართველობაზედ დიდი ჩივილი და დრტვინვა ისმის“[1].

ილია ჭავჭავაძის აზრით, საქართველოში სასოფლო თვითმმართველობის უნაყოფობის მიზეზი ის არის, რომ მის დებულებაში დაცული არაა ამგვარი მმართველობისათვის საჭირო და აუცილებელი პრინციპები.

„ცხოვრება და კანონის“ მეხუთე წერილში თანამიმდევრული კვლევა-ძიების გზით ავტორის მიერ სავსებით ნათლად ნაჩვენებია გლეხთა განთავისუფლების შემდეგ საქართველოში დამყარებული მმართველობის უნაყოფობა. იქვე მკითხველი სრულიად ბუნებრივად იმაშიც რწმუნდება, რომ აქ გადმონერგილ თვითმმართველობას თავისი ნამდვილი შინაარსი გამოცლილი აქვს და ამის შედეგად მშრომელთა მასების ცხოვრება კვლავ მძიმე და გაუხარელია.

მოულოდნელი არაა, რომ „კაკო ყაჩაღის“ ავტორი „ცხოვრება და კანონშიც“ მეტწილად ნაყმევი გლეხობის მდგომარეობითაა დაინტერესებული. იგი სრულიად გარკვევით და არაორაზროვნად ამბობს, რომ ფრთებშეკვეცილი თვითმმართველობის პირობებში „უსაფუძვლო და უმიზეზო გამოკლება ზოგიერთ წოდებისა საზოგადო საქმეებიდამ — საზოგადო ტვირთს უმძიმებს გლეხსა მით, რომ მარტო გლეხიღა იხდის საზოგადოების სამსახურს, ეწევა ბეგარას, აკეთებს გზებს, ჰყარაულობს, იცავს საზოგადო მშვიდობიანობას, იცავს ყველას საკუთრებას მტაცებლობისა თუ წინახედისაგან და ამ სიკეთეში ძალაუნებურად წილხდომილნი არიან ყველანი, ვინც კი

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, 1956 წ., გვ. 46.

სოფლის წრეში სცხოვრობს, ხოლო ხარჯში, უღლის წევაში კი — არა. ამის გამო გლეხი უყურებს თვის მმართველობას ისე კი არა, როგორც უფლებას, არამედ როგორც ტვირთს, გარდასახადს რასმეს"[1].

ილია ჭავჭავაძე ერთხელ კიდევ აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ნორმალურად მოწყობილი თვითმმართველობა ყველასათვის და განსაკუთრებით გლეხკაცისათვის ძვირფასი იყო იმდენად, რამდენადაც იგი იქნებოდა უახლოესი მფარველი გლეხის „ადამიანობისა, მისი ღირსებისა, მისი პატივისა და ქონებისა". მწერალი იქვე ამბობდა, რომ ჩვენში, სადაც „ასე შემოაჭრეს ფრთები ამ მფარველობას", გლეხკაცს უკვე აღარაფერი დარჩენია იმისათვის, რომ თვითმმართველობას უერთგულოს.

მისივე სიტყვით, გლეხკაცს სამართლის ძიების უფლებაც წართმეული აქვს. გლეხს ნება არა აქვს გაასაჩივროს სოფლის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მას „უმართლოდ მიაჩნია და რომელსაც ამოდენა ვნება შეუძლიან მიაყენოს". დაბოლოს, ილია იქვე ამბობდა, რომ „ამას არა წოდების კაცი მოკლებული არ არის, გლეხის მეტი, გლეხისა, რომელიც ყველაზედ უფრო მეტად საჭიროებს გულმოდგინეს, განათლებულს და კეთილსინდისიანს მოსამართლესა"[2].

მოტანილი ამონაწერებიდან მთელი სისრულით იგრძნობა ქართველი გლეხობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა ბატონყმობის გაუქმების შემდგომ პერიოდში.

* * *

„ცხოვრება და კანონის" მესამე ნაწილი, რომელიც მეექვსე და მეშვიდე წერილს მოიცავს, ავტორის მიერ წარმოდგენილია ქვესათაურით „მომრიგებელი მოსამართლობა ჩვენში".

მეექვსე წერილის შესავალში პრობლემის ხასიათი და ფარგლები სავსებით ნათლადაა განსაზღვრული. ავტორი ამბობს, სახეში გვექნებაო „მხოლოდ ერთი ნაწილი განსამართლების წესისა, რომელსაც ჩვენის ხალხის ცხოვრების დირეზედ უდგას ფეხი, სახელდობრ ის ნაწილი, რომელიც შეეხება მომრიგებელ მოსამართლობის დაწყობასა და აგებულებასა".

ილია ჭავჭავაძის თქმით რუსეთში მომრიგებელი მოსამართლო-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, 1956 წ., გვ. 57-58.

[2] იქვე, გვ. 69.

ბა იმდენად ვრცივრულად არის მოწყობილი, რომ იგი სავსებით სამართლიან მოწონებას იმსახურებს. ჩვენი მწერლის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „სიკეთე რუსეთის განსამართლების წესისა და კანონმდებელთა ღვაწლისა აღიარებულია რუსეთის უკეთესთა კაცთაგან და ევროპიელ მეცნიერთაგანაც“[1].

რამდენიმე სტრიქონის შემდეგ მწერალი უკვე ქართულ სინამდვილეში შექმნილ ვითარებაზე მსჯელობს. რუსეთში სამართლის წარმოების წესის დადებითი დახასიათება, რაც ზემომოტანილ ამონაწერშია, კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის საქართველოში არსებულ მომრიგებელი მოსამართლობის იმ კრიტიკას, რომელსაც „ცხოვრება და კანონის“ ეს ნაწილი შეიცავს.

თხზულებაში ის ძირითადი თვალსაზრისია გატარებული, რომ საქართველოში სამართლის წარმოების წესი არსებითად განსხვავებულია მიუხედავად იმისა, რომ აქაც ისევე, როგორც რუსეთში, საქმეს მომრიგებელი მოსამართლე წარმართავს. ამგვარი განსხვავების მიზეზი ის არის, რომ ამ თავისთავად მოსაწონ წესს საქართველოში გადმოტანისა და დანერგვის დროს „სრულიად ჩამოათალეს, რაც მის უცილო თვისებას და ღირსებას შეადგენდა“. სახელოვანი მწერალი ამბობს:

„ჩვენში მომრიგებელს მოსამართლობას ჩამოეცალა ის უკეთესი მხარე, რომლითაც იგი სანატრელია ყველასათვის, და ეგ თვისის დანიშნულებით სახალხო სამართალი — შეიქმნა ფორმალურ სამართლად. ამ სახით, გზაგადაღობილი მომრიგებელი მოსამართლობა გადუდგა ჩვენში ჩვენებურს ცხოვრებასა და ჩვენებური ცხოვრება — მომრიგებელ მოსამართლობასა. ამის გამო აქ არც ცხოვრება შველის კანონის წარმატებით სვლასა და არც კანონი ცხოვრების კეთილდღეობასა. ვერც კანონს დაუმორჩილებია ცხოვრება, რომ კეთილად წარმართოს, ვერც ცხოვრებას შეუფერებია კანონი, რომ სიკეთის დედაბოძად გამოიყენოს. „ერთის აღმა ხნულს მეორე დაღმა ფარცხავს“[2].

მოტანილი ამონაწერიდან მწერლის აზრი გლეხთა განთავისუფლების შემდეგ საქართველოში დამყარებულ კანონმდებლობაზე იმდენად ნათელია, რომ იგი კომენტარს აღარ საჭიროებს.

„ცხოვრება და კანონის“ ამ ნაწილში ავტორის მიზანია გამოააშკარაოს ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ საქართველოში დანერგილი კანონმდებლობის ნამდვილი შინაარსი; აჩვენოს ხალხის ცხოვ-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, 1956 წ., გვ. 72.

[2] იქვე, გვ. 97.

რებასთან მისი შეუსაბამობა და ამ საფუძველზე წარმოშობილი მასების სამართლიანი უკმაყოფილება.

თხზულების მიხედვით, მომრიგებელი მოსამართლის ავტორიტეტი მთელს საქართველოში ძალზე შერყეულია: ხალხი იმდენად უნდობლად არის ამგვარი სამართლისადმი, რომ თუ არაფერი შეიცვალა, თუ საქმემ ასევე იარა, იგი მალე დაემსგავსება უწინდელ დიამბეგს, რომელიც ხალხს ჭირივით ეჯავრებოდა. „ეხლაც კი ცხადი ნიშნებია, — წერდა ილია, — რომ ჩვენებურს ხალხს, როგორც სიკვდილი — ისე ეჯავრება მომრიგებელ მოსამართლესთან სიარული და, თუ ძალიან არ გაუჭირდა, ყელში თოკი არ მოეჭირა, ძნელად თუ ჰბედავს მომრიგებელ მოსამართლის ხელში ჩავარდნასა“[1].

ის, რაც აქამდე ითქვა საქართველოში ბატონყმობის მოსპობის შემდეგ დამყარებულ სამართალწარმოების წესზე, მკითხველს ერთგვარ წარმოდგენას უკვე აძლევს ქართველი გლეხობის მდგომარეობაზე; იმაზე, რომ ამ დროსაც გლეხი ვერ პოულობს მართალ სამართალს, რომელიც მისი ყოველდღიური ცხოვრებისათვის ესოდენ საჭიროა.

„ცხოვრება და კანონის“ იმავე ნაწილიდან ნათლად იგრძნობა ავტორის კრიტიკული დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული კანონმდებლობისადმი. კრიტიკა კიდევ უფრო ძლიერდება მაშინ, როცა ავტორი სამართალწარმოების წესის დამახინჯებათა კონკრეტული ფაქტების განხილვაზე გადადის.

ილია ჭავჭავაძის სიტყვით, „რუსეთის წესდებაში შეტანილია, რომ მომრიგებელი მოსამართლე უსათუოდ იმ ადგილის შვილი უნდა იყვეს, საცა მოსამართლობა უნდა და, გარდა ამისა, იქაურ მცხოვრებთაგანვე აღმორჩეული“[2].

მწერლის აზრით ამგვარი არჩევანი იმითაცაა გამართლებული, რომ ამ თანამდებობაზე დამდგარ ადგილობრივ ადამიანებს „საკუთარი ინტერესიცა აქვსთ, რომ საერთო წესიერება და მშვიდობიანობა არ იქნას შერყეული“. ასეთმა ადამიანებმა კარგად იციან ადგილობრივი ვითარება, ხალხის ზნე და ჩვეულება, რაც მომრიგებელი მოსამართლისათვის ნიადაგ საჭიროა. იმდენად, რამდენადაც მომრიგებელი მოსამართლე, თავისი პირდაპირი დანიშნულებით, სახალხო სამართლის გამომხატველია, ადგილობრივ მკვიდრთა ზნე-ჩვეულების ზედმიწევნით ცოდნა მისთვის აუცილებელია.

წინააღმდეგ რუსეთში არსებული წესისა საქართველოსათვის

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, 1956 წ., გვ. 82.

[2] იქვე, გვ. 78.

საჭიროდ ცნობილი არ იყო, რომ მომრიგებელი მოსამართლე აუცილებლად ადგილობრივი ადამიანი ყოფილიყო. ილიას „ცხოვრება და კანონში“ ამის თაობაზე პირდაპირ და ყოველგვარი შეფარვის გარეშე არის ნათქვამი: „ხშირია ჩვენში, რომ იაროსლაველი კაცი სვანებს, მაგალითად, ანუ ფშავ-ხევსურებს მოსამართლედ ენიშნება იმაეე „მომრიგებელი მოსამართლის“ სახელითა“[1].

თხზულებაში არა ერთგზისაა მითითებული, რომ საქართველოში მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე არაქართველთა დანიშვნის ფაქტები დაუსაბუთებელი და სრულიად უსაფუძვლო „ადგილობრივი ვითარების“ მომიზეზებით იყო დაკანონებული.

ილია ჭავჭავაძე სავსებით ნათლად აყენებდა კითხვას: „ნუთუ „ადგილობრივი ვითარება“ ისეთია, რომ პატიოსანი, უჩირქო ყოფაქცევის პატრონი, გამჭრიახ გონებიანი კაცი არ მოიპოვება საქართველოში, და იაროსლავში კი პანტასავით ცვივა?“ მწერალი ამ კითხვის პასუხად იქვე გადაჭრით ამბობდა: „ამას ვერ იტყვიან, ამას საბუთად ვერ გაგვიბედვენ წარმოგვიდგინონ ჩვენ“[2].

„ცხოვრება და კანონში“, თანამდებობაზე განწესების პარალელურად, ავტორი მომრიგებელი მოსამართლის არჩევნების საკითხზე მსჯელობდა. იგი მკითხველს მოაგონებდა, რომ ამგვარი სამართლის წესი თავისთავად მოსამართლის არჩევითობას გულისხმობდა. მეცნიერულად დასაბუთებული და რუსეთში დაკანონებული ეს წესიც, საქართველოში ფაქტიურად შეცვლილი იყო. ჩვენში ამგვარი მოსამართლეები არჩევნებით კი არა, მთავრობის მოხელეთა პირადი განკარგულებით ინიშნებიანო, — ამბობდა ჩვენი მწერალი.

„ცხოვრება და კანონის“ ავტორი დაეძებდა იმ მიზეზებს, რომლითაც საქართველოსათვის მომრიგებელი მოსამართლის არჩევნების წესის შეცვლის დროს უნდა ეხელმძღვანელათ. ილია ამბობდა: ამისი მიზეზი სხვა ვერა მოგვისაზრებია-რა, გარდა იმისა, რომ ჰგონებიათ — „ხალხი მოუმზადებელიაო და ამიტომ ამ უფლებას ისე ვერ მოიხმარებს, როგორც სანატრელიაო“. ამგვარ „საბუთებზე“ ჩვენი მწერალი სავსებით დამაჯერებლად ამბობდა:

„ვთქვათ რომ მომრიგებელ მოსამართლის არჩევანისათვის ხალხი ცოტად თუ ბევრად მომზადებული უნდა იყოსო. მითამ ამით რაო? თუ რუსეთის ხალხი იცნეს მომზადებულად, რომ არჩევანით განიწესოს თავისი მახლობელი მომრიგებელი მოსამართლე, ჩვენს ხალხს რაღა ღმერთი გაუწყრა!?“

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, 1956 წ., გვ. 80.

[2] იქვე, გვ. 81.

სახელოვანი მწერალი მკითხველს მოაგონებდა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში საუკუნეების მანძილზე ფესვგადგმულ ბრძნულ გამონათქვამებს მართალი სამართლის ძლევამოსილებაზე: I. „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა ხმელსა შეიქმს ნედლადო"; II. „სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო", — და ილია განაგრძობდა თავის მსჯელობას:

„ნუთუ ის ხალხი რომელიც სამართალს ამისთანა სასწაულთმოქმედების ძალას აძლევს, რომ ხმელ ხესაც გაანედლებსო, ხელს მოსჭრის და არ ატკენსო, — ნუთუ ხალხი, რომელსაც ამისთანა ძალა სამართლისა სწამს, რჯულად აქვს მიღებული და ეგრე ცხადად აღიარებული, — ნუთუ ის ხალხი-მეთქი მოუმზადებელი უნდა იყოს წესიერად აგებულის სამართლის კეთილად წარმართებისათვის"[1].

ასეთია მწერლისდროინდელ საქართველოში მომრიგებელი მოსამართლის დანიშვნის საქმეში შემდგენელთაგან აუცილებელი სახელმძღვანელო პრინციპების დარღვევის კრიტიკა, რომელსაც „ცხოვრება და კანონი" გვაწვდის. რაღა თქმა უნდა, ამ სტრიქონებიდან საესებით ნათლად შეიცნობა საქართველოს უროვნულ-განმათავისუფლებელი იდეით შთაგონებული ავტორი, რომელიც მშობლიური ერის შებღალულ უფლებებს იცავდა.

შემდეგი საკითხი, რომელზეც ილია ჭავჭავაძე „ცხოვრება და კანონში" მკითხველის ყურადღებას ამახვილებდა, მომრიგებელი მოსამართლის მოქმედების არე და მისი საქმიანობის მოცულობა იყო.

„ცხოვრება და კანონში" ნათქვამია, რომ პირველ ხანებში მაზრაში მხოლოდ ერთი მომრიგებელი მოსამართლე ინიშნებოდა. ბუნებრივია, იგი მის სფეროში შემავალ უამრავ სამუშაოს თავს ვერ ართმევდა. შემდეგ თითოეულ მაზრაში ორ-ორი მოსამართლე დანიშნეს, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. მომრიგებელი მოსამართლის საქმიანობის სფერო იმდენად ვრცელი და მრავალფეროვანი იყო, რომ მაზრის ფარგლებში ერთი და ვერც ორი მოსამართლე მას ვერ აუვიდოდა. თხზულებაში დასახელებულია თბილისის, თელავის, დუშეთისა და გორის მაზრები, რომელთაც განსაკუთრებით ვრცელი ტერიტორიები ეჭირათ.

მწერლის სიტყვით, მომრიგებელ მოსამართლეთა ამგვარი სიმცირე თავისთავად დიდ სიძნელეს ქმნიდა. სამართალი იმდენად შორს იყო, რომ ხალხს მოსამართლის კარამდე მიღწევა უჭირდა.

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, 1956 წ., გვ. 83-84.

ამგვარი ვითარება კი გლეხობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.

ბუნებრივია, სამართლის ამგვარი მიუღწევლობა გლეხთა მასებში ახალი კანონმდებლობისადმი უკმაყოფილებას და უნდობლობას დღითიდღე აძლიერებდა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ილია ჭავჭავაძეს, როდესაც იგი ამბობდა: თუ ამ საქმემ ასე იარა, მოვა დრო, როდესაც ახლანდელი მომრიგებელი მოსამართლე ხალხის თვალში უწინდელ დიამბეგად გადაიქცევაო.

დაბოლოს, „ცხოვრება და კანონში“ ლაპარაკია სამართლის წარმოებაში ადგილობრივი პირობების, ხალხის ზნე-ჩვეულებათა, საზოგადოდ, ეთნოგრაფიულ თავისებურებათა გათვალისწინების საკითხზე.

ილია ამბობდა, რუსეთში საჭიროდ დაინახესო, რომ „მომრიგებელ მოსამართლეს ნება ჰქონდეს საქმე გადასწყვიტოს ჩვეულების ძალითაცა, ესე იგი იმ სიმართლით, რაც ხალხის სინდისს შეეფერება, რაც ხალხს მამა-პაპით სიმართლედ უცვნია და დღესაც სიმართლედა სწამს“.

ჩვენი მოღვაწე თავის მხრივ სრულიად გონივრულად თვლიდა იმ მოსაზრებას, რომ მომრიგებელ მოსამართლეს, რომელიც „ხალხის შინაური და მახლობელი მსაჯული“ იყო, საქმის წარმოების დროს აუცილებლად ანგარიში გაეწია ადგილობრივი ყოფა-ცხოვრებისათვის; გულისხმიერად მოჰკიდებოდა ხალხის ტრადიციულ შეხედულებებს, ხასიათსა და ზნე-ჩვეულებებს. მწერალი იქვე გადაჭრით ამბობდა, რომ იგი ამგვარი პატივისცემის ღირსად მხოლოდ და მხოლოდ კეთილზნეობით ხალხურ წეს-ჩვეულებებს თვლიდა.

„რაღა თქმა უნდა, — წერდა ილია, — რომ აქ იგულისხმება მარტო გონიერი, კეთილზნეობითი, საერთოდ აღიარებული ჩვეულება, რომელიც, ხალხის სიტყვით, რჯულთ უმტკიცესია, რომლის უარყოფა ხალხს უსამართლობად მიაჩნია და რომელიც მეცნიერებაში რჯულთდებულების სათავედ ცნობილია“ [1].

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე საჭიროდ მიიჩნევდა, რომ სამართალწარმოებაში ანგარიში გაწეოდა კეთილზნეობით ხალხურ წეს-ჩვეულებებს, რომელიც „მეცნიერებაში რჯულთდებულების სათავედ ცნობილია“. მისივე სიტყვით, რუსეთის კანონმდებლობა ამ გარემოებას მართებულად ითვალისწინებდა, მაგრამ საქართველოსათვის შემუშავებულ დებულებაში მართლმსაჯულების ეს დადე-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, 1956 წ., გვ. 93.

ბითი ნიშანიც უგულებელყოფილი იყო. „ცხოვრება და კანონში“ ვკითხულობთ:

„თუ რუსეთისათვის საჭიროდ დაინახეს ჩვეულების ძალითაც საქმის გადაწყვეტა, თუ მართლმსაჯულობის წარმატებისათვის ჩვეულებასაც ადგილი მისცეს იქ, საცა მოქმედობს მათივე კანონი... ჩვენში ხომ ჩვეულებისათვის უფრო ფართო გზა უნდა დაენიშნათ. უამისოდ ჩვენ ძალაუნებურად უნდა დავჯერებოდით მარტო კანონსა, რომელიც ბევრში ვერ შეეფერება ვერც ჩვენს განსხვავებულს ყოფა-ცხოვრებას, ვერც ჩვენს განსხვავებულს ეკონომიურს მდგომარეობას, ვერც ჩვენს შეხედულებას ურთიერთშორის დამოკიდებულებაზე, ვერც ჩვენს ზნესა და ვერც ჩვენს ხასიათსა“[1].

„ცხოვრება და კანონში მრავალგზისაა მითითებული, რომ საქართველოში გადმოტანილ და დანერგილ მართლმსაჯულების წესებს ყველა სასიკეთო ნიშან-თვისება ჩამოცლილი ჰქონდა. ამის შედეგად გადასხვაფერებული სამართალი კი ბატონყმობის უღლიდან განთავისუფლებული გლეხობისათვის მტანჯველად იქცეოდა.

ილია ჭავჭავაძე „ცხოვრება და კანონში“ სრულიად აშკარად, ყოველგვარი შეფარვის გარეშე ამბობდა, რომ ეს „ოთხ კედელ-შუა ნასიზმრევი“, რომელსაც „ადგილობრივს ვითარებას“ უწოდებდნენ, გამოგონილი იყო მხოლოდ და მხოლოდ იმ განზრახვით, რომ საქართველოში მომრიგებელ მოსამართლეობისათვის სახალხო სამართლის შინაარსი გამოეცლიათ.

თხზულების იმ ნაწილში, რომელშიც სამართალწარმოებაში კეთილზნეობითს სალხურ ჩვეულებათა გამოყენებაზეა ლაპარაკი, ავტორი დასკვნის სახით წერდა:

„ადგილობრივს ვითარებას“ აი აქ უნდა გაეშალა ფრთა, მაგრამ, არამც თუ ფრთა გააშლევინეს, ფრთა შეაკვეცეს და ეს მეორე უმაღლესი ღირსება მომრიგებელ მოსამართლეობისა სრულად ჩამოერთვა ჩვენს ქვეყანასა, რომელიც რუსეთზედ უფრო გაცილებით მეტად საჭიროებდა, რომ მომრიგებელ მოსამართლეობას ეს სიკეთე უფრო ვრცლად და უფრო ბევრს შემთხვევაში შეჰრჩენოდა“[2].

„ცხოვრება და კანონში“ მოცემული კრიტიკა იმდროინდელი მართლმსაჯულებისა იმდენად დამაჯერებელია, რომ იგი მკითხველის მხარდაჭერას იმსახურებდა და იმსახურებს. ამ თხზულებით ილია ჭავჭავაძე ერთხელ კიდევ შეიცნობა როგორც სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ თანამიმდევრულად მებრძოლი მწერალი და მოაზროვნე.

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, 1956 წ., გვ. 93-94.

[2] იქვე, გვ. 94.

* * *

ილია 1883 წელს ღრმა ადამიანური გრძნობით გამოეხმაურა ცნობილი ჟურნალისტისა და პუბლიცისტის ს. მესხის გარდაცვალებას. სერგეი მესხი სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების ლიტერატურული თაობის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი თავისი მახვილი პუბლიცისტური წერილებით ფართო მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღებას იქცევდა. მარტო ის რადა ღირს, რომ ს. მესხი თოთხმეტი წლის მანძილზე (1869-1883) ცნობილი ქართული გაზეთის „დროების“ რედაქტორი იყო. მთელი ამ დროის განმავლობაში ენერგიული და თავდაუზოგავი შრომის შედეგად მისი ჯანმრთელობა გატყდა. 1883 წლის გაზაფხულზე ჭლექით შეპყრობილი მოღვაწე აბასთუმანში გაემგზავრა და იმავე ზაფხულს კიდეც გარდაიცვალა. იგი აბასთუმნიდან სამშობლოში (სოფელ რიონში) წაასვენეს და იქ დაასაფლავეს.

ამ შემთხვევის გამო ილია ჭავჭავაძემ მესხების ოჯახს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა. იგი ნესტორ მესხს სწერდა: „გადაეცით გარდაცვლილის მეუღლეს, დებსა და ძმებს, რომ გულწრფელად თანაუგრძნობ მათ მწუხარებას. ღრმად ვწუხვარ, პატიოსანი მუშაკისა და კეთილი ამხანაგის დაკარგვას, ვწუხვარ, ვერ ჩამოვედი, მანდ ყოფნით ვერ გამოვხატე მიცვალებულის ხსოვნისადმი ჩემი პატივისცემა. გვიან მივიღე ცნობა დაკრძალვის დღისა და ადგილის შესახებ“[1].

* * *

დუშეთიდან თბილისში გადმოსვლის შემდეგ ილიას ავტორიტეტი დღითი დღე იზრდება. ქართული ენის დასაცავად იანოვსკისთან პოლემიკის შემდეგ იგი მრავალრიცხოვანი მკითხველის თვალში კიდევ უფრო მაღლდება. ოთხმოციანი წლებიდან ილია, როგორც მთელი ქართველი ინტელიგენციის აღიარებული მეთაური, საქართველოში ჩაბოსული ყველა უცხოელი საპატიო სტუმრის მასპინძლად ითვლებოდა. ქრისტეფორე რაჭველიშვილი სამართლიანად ამბობდა: „აღსანიშნავია ილიას პურადობა. ჩვენში მაშინ ჩამოსულ ყველა უცხოელ მეცნიერთა და მწერალთა მასპინძელი მუდამ ის იყო“[2].

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 103.

[2] ქ. რაჭველიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული ნარკვევი, 1937 წ., გვ. 120.

ამგვარი ფაქტების მთლიანად აღდგენა ახლა უკვე შეუძლებელია, მაგრამ უმთავრესი მათგანის გათვალისწინება მაინც საჭირო და აუცილებელია.

ამ თვალსაზრისით ოთხმოციანი წლებიდან უწინარეს ყოვლისა საინტერესოა საქართველოში პირველი ჩამოსვლა გერმანელი მწერლის არტურ ლაისტისა, რომელიც შემდეგ ქართული კულტურის, საზოგადოდ ქართველი ხალხის მეგობრად იქცა.

1883 წლის დამდეგს ქართულ ენაზე პირველად დაიბეჭდა არტურ ლაისტის წერილი ქართულ ლიტერატურაზე. ილიას „ივერიის“ იანვრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „ევროპიელის აზრი ჩვენს ლიტერატურაზე“. არსებითად ეს იყო წინასიტყვაობა არტურ ლაისტის კრიტიკული სტატიის ქართულ თარგმანზე. „ივერია“ თავის მკითხველებს აგებინებდა, რომ გერმანულ ჟურნალში დაბეჭდილი იყო წერილი ქართულ ლიტერატურაზე. რედაქცია მადლობით იხსენიებდა არტურ ლაისტს იმის გამო, რომ იგი ჩვენი მწერლობით დაინტერესებული იყო. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

„ჩვენის მხრივ დიდის მადლობის ღირსია ამ თანაგრძნობით სავსე წერილისათვის, თუმცა ზოგიერთი მძიმე შეცდომა მოიპოვება მის შრომაში. ეს აუცილებელი ნაკლულევანებაა უცხო-ქვეყნელისათვის, რომელიც მხოლოდ შორიდან გვიცნობს“.

დაბოლოს „ივერიის“ რედაქცია არტურ ლაისტის წერილისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობას ასე ამთავრებდა: „მაინცა და მაინც ეს წერილი ისე ღირსსაცნობია ჩვენის · მკითხველისათვის, რომ უმეტნაკლებოდა ვთარგმნით“.

იქვე მომდევნო სტრიქონიდან დაბეჭდილი იყო არტურ ლაისტის სტატია სათაურით „მივიწყებული ლიტერატურა“. რომელიც ჟურნალის შვიდ გვერდს მოიცავდა[1].

იმავე 1883 წლის დეკემბრის ბოლოს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა არტურ ლაისტის წერილი სათაურით „ქართული ახალი ლიტერატურის თაობაზედ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი“. გაზეთის რედაქცია თხზულების დასაწყისშივე თავის მკითხველს თარგმნილი სტატიის ავტორს აცნობდა. იგი წერდა: „ეს წერილი დაბეჭდილია ერთ ნემეცურს ჟურნალში და ეკუთვნის არტურ ლაისტს, რომელმაც თავისით შეისწავლა ჩვენი ენა და გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს ქართულს ლიტერატურას“[2].

---

[1] ჟურნალი „ივერია“, 1883 წ., № 1, გვ. 155-162.

[2] გაზეთი „დროება“, 1883 წ., № 264.

არტურ ლაისტის წერილში ძირითადად დახასიათებულია ილიას მხატვრული შემოქმედება. წინასწარ რომ ითქვას, ეს წერილი გერმანელ მკითხველს როგორც ილია ჭავჭავაძეზე, ისე საზოგადოდ ახალ ქართულ მწერლობაზე თავისთავად საინტერესო ცნობებს აწვდიდა. წერილი ქართული ლიტერატურის საერთო დახასიათებით იწყებოდა. ავტორი თავის მკითხველს შთამბეჭდავად მიმართავდა:

„პირველს გაცნობაზე ეს ლიტერატურა მეტისმეტად გეუცხოებათ, რადგან თვალწინ თქვენთვის უცნობს სურათსა და ცხოვრებას გადაგიშლით, მაგრამ მალე მიგიყოლიებთ თავის ადამიანურის თვისებებით და ეს ცხოვრება, ახლო გასინჯვის შემდეგ, თითქმის შურს აღძრავს ევროპელის გულში, რადგან მისი გამოსახული ნორჩი ძალი და ღონე და ბუნებასთან დაახლოება ჩვენს წინაპართა ხდომიათ მხოლოდ წილად“.

ამის შემდეგ, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა განხილვამდე, ალბათ ისევ ილიას ეპოქის ქართული მწერლობის უფრო ფართოდ წარმოდგენის მიზნით, არტურ ლაისტი სხვა გამოჩენილ ავტორებსაც იხსენიებდა. სახელდობრ იგი გულთბილად ლაპარაკობდა გრიგოლ ორბელიანისა და აკაკი წერეთლის პოეტურ შემოქმედებაზე.

გრ. ორბელიანზე არტურ ლაისტი წერდა: „ახლად მიცვალებულის გრიგოლ ორბელიანის ლექსები ჰგვანან კავკასიის კლდეებიდგან გამონაცემ ხმასა. ყოველ სტრიქონში ეტყობა აღტაცება, ნეტარება და განცვიფრება. იგი ჰხატავს ამ ქვეყნის დიდებულს წარსულს და მის შეუდარებელს ბუნებრივს მშვენიერებას ისე, როგორც შეუძლიან დახატვა აღტაცებულს და სიყვარულის გრძნობით გამსჭვალულს ადამიანს. პუშკინისა და ლერმონტოვის შემდეგ ესეთის უხვის კალმით არავის დაუხატავს კავკასიის მთების მშვენიერი სანახაობა“.

არტურ ლაისტი ასევე გულთბილად ახასიათებდა აკაკი წერეთელს. მისი სიტყვით, „ცხოვრების მიმდევრობა ეტყობათ ა. წერეთლის ლექსებს, რომელიც თავის თანამედროვეთა ნაკლულევანებას თითქო ხუმრობის კილოთი უწყალოდ ამხილებს“. წერილში სავსებით ნათლად იყო მითითებული სახელოვანი ქართველი მგოსნის ლირიკისათვის დამახასიათებელ პატრიოტიზმზე. გერმანელი ავტორის სიტყვით, აკაკი წერეთელს „საგნად თავისი პოეზიისა თავის სამშობლოს წარმატება გაუხდია“.

ახალი ქართული ლიტერატურის საერთო დახასიათების შემდეგ არტურ ლაისტი უშუალოდ ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების განხილვაზე გადადიოდა. იგი თავის მკითხველს აგებინებდა, რომ ილია სამწერლო ასპარეზზე ოცი წლის წინათ, ესე იგი მეცხ-

რამეტე საუკუნის სამოციან წლებში გამოჩნდა. „ეს ის დრო იყო,— წერდა ა. ლაისტი, — როდესაც იმპერატორმა ალექსანდრე II განიზრახა გლეხების განთავისუფლება ბატონყმობის უღლისაგან. მაშინ ჭავჭავაძემ აღტაცებით წარმოსთქვა: „გლეხი უნდა თავისუფალი იყოს, ისიც ჩვენსავით კაციაო". ფეოდალ მებატონეებს არაფრად იამათ ეს სიტყვები, მაგრამ ჭავჭავაძემ უფრო თანდათან აღაშაღლა თავისი ხმა და ორს მშვენიერ მოთხრობაში: „კაცია-ადამიანში" და „გლახის ნაამბობში" გამოჰხატა ბატონყმობა, ბატონების სიმკაცრე და ყმების სიღატაკე".

„გლახის ნაამბობში" გამოსახულ ბატონისა და ყმას დაპირისპირების საფუძველზე არტურ ლაისტი დაჯერებული ამბობდა:

„ყმა თითქო განგებისაგან იმისათვის არის დანიშნული, რომ თავისი უფლის ქეიფზე იაროს და იმოქმედოს. მთელი სიცოცხლე ხმა-ამოუღებლივ ჰზიდავს იგი ამ ტვირთსა და მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მჩაგვრელი გააწვდენს ხელს იმისკენ, რაც უძვირფასესია ყმისთვის ქვეყნიერებაზე, — მხოლოდ მაშინ ესპობა მოთმინება".

წერილში ბატონყმობის თემაზე მოხსენიებულია აგრეთვე ილიას პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ". ავტორი მოხიბლული მოჩანს იმ სურათით, რომელშიც კაკოსა და ზაქროს პირველი შეხვედრაა პოემაში გადმოცემული. წერილში მოტანილია კაკოს ცნობილი მიმართვა ზაქროსადმი მასთან გაცნობის მომენტში:

მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება
ძუნწი ცხოვრება ეს დასაღონი,
მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!

სტატიის ერთ ნაწილში არტურ ლაისტი ილიას შემოქმედების პატრიოტულ ნაკადზე მსჯელობდა. იგი ილიას პატრიოტული პოეზიის უმაღლეს გამოხატულებას მისსავე პოემებში „დედა და შვილი" და „მეფე დიმიტრი თავდადებული" ხედავდა. გერმანელი კრიტიკოსი წერდა:

„შესამჩნევია და დიდებული ჭავჭავაძის სიყვარული მამულისადმი, რომელიც უფრო ძლიერად გამოჩანს იმის „დედა და შვილში" და „დიმიტრიში". იქვე ავტორის მიერ მოტანილი იყო დამახასიათებელი სტრიქონები პოემიდან „დედა და შვილი":

ეჰა, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა.

გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულ სტატიაში დაბეჭდილი ყოფილა არტურ ლაისტის მიერ თარგმნილი ილიას ლექსები „მტკვრის პირას“ და „ელეგია“. წერილის ქართულ თარგმანში ეს ლექსები გადმოტანილი აღარაა.

წერილის ამ ნაწილში არტურ ლაისტი ილია ჭავჭავაძის, როგორც ლირიკოსი პოეტის, დახასიათებასაც გვაწვდის. იგი ამბობს:

„ჭავჭავაძე ჩინებული ლირიკოსია და ქართულს ლიტერატურას მრავალი მშვენიერი ლექსი შესძინა. მშვენიერი პოეტური ქმნილებაა მისი უკანასკნელი პოემა „განდეგილი“... რა მშვენიერი ბუნების სურათებია ყაზბეგის ყინულებში დახატული, როგორი ბრწყინვალე დილა და საღამოა აღწერილი, როგორი მშვენიერებაა ყმაწვილი ქალი, როგორი ძლიერია განდეგილის სიყვარული!“

ასეთია არტურ ლაისტის წერილის უმთავრესი შინაარსი. რაღა თქმა უნდა, წერილიდან უცხოელი ავტორის გულითადი დამოკიდებულება ქართული ლიტერატურისადმი, საზოგადოდ ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურული ცხოვრებისადმი, იმდროინდელი ქართველი მკითხველისათვის სავსებით ნათელი უნდა ყოფილიყო.

ეს წერილი „დროებაში“ 1883 წლის 29 დეკემბერს გამოქვეყნდა, ხოლო არტურ ლაისტი 1884 წლის მაისის დამლევს საქართველოში უკვე ჩამოვიდა. თავისთავად იგულისხმება, რომ მისი პიროვნება ამ დროს ქართველი ინტელიგენციისათვის ასე თუ ისე ცნობილი იყო.

არტურ ლაისტი საქართველოში ჩამოსვლისთანავე ილია ჭავჭავაძეს ეწვია. ჩვენმა მწერალმა, როდესაც გერმანელი მოღვაწე პირადად ნახა და ჩამოსვლის მიზანიც გაიგო, სასურველ სტუმარს ფართო ხასიათის შეხვედრა მოუწყო. 1 ივნისს ილიამ საკუთარ ბინაზე სადილად მიიწვია ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, რათა მათთვის არტურ ლაისტი გაეცნო.

ჩვენამდე მოღწეულია ილიას წერილები ქართველი მოღვაწეებისადმი, რომელთაც ამ ნადიმზე იწვევდა. მაგალითად, რაფიელ ერისთავისადმი ილიას მიერ გაგზავნილი მოსაწვევი ბარათი ასე იკითხება: „პარასკევს 1-ს ივნისს სადილად სამს საათზედ ჩემს სახლში მოწვეული მყავს თქვენი პატივისმცემელი გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი. გთხოვთ თქვენც მობრძანდეთ“[1].

3 ივნისის „დროება“ ფართო საზოგადოებრიობას ატყობინებდა:

„ამ დღეებში ესტუმრა ჩვენს ქალაქს ბატონი არტურ ლაისტი.

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 86.

ეს ის ლაისტია, რომელმაც რამდენიმე წერილი დაბეჭდა ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაზე და, რომელიც ეს სამი წელიწადი იქნება, რაც დიდი ხალისითა და სიყვარულით სწავლობს ქართულს ენას, ისტორიას, ლიტერატურას, თვალყურს ადევნებს ქართველთ ცხოვრებას და წარმატებას და თავის შესწავლისა და ცოდნის ნაყოფს უზიარებს ევროპის მკითხველ საზოგადოებას".

„დროება" თავის მკითხველებს ზოგადად აცნობდა არტურ ლაისტის წერილებს ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებზე, რომელნიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული იყო ევროპის ჟურნალებში. დაბოლოს, გაზეთი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ილია ჭავჭავაძემ ძვირფასი სტუმარი უკვე გააცნო ჩვენს მწერლებსა და მოღვაწეებს. „დროება" წერდა:

„პარასკევს, ივნისის პირველს, ილია ჭავჭავაძემ მიიწვია სადილად არტურ ლაისტი და დაუპატიჟა ყველა ჩვენი მწერლები, ჟურნალისტები და ლიტერატორები. სამის ნახევარზე მასპინძლის სახლი გაივსო მოწვეულებით, რომელთაც იგი სათითაოდ აცნობდა საპატიო და სასურველ სტუმარს. სადილზე ილია ჭავჭავაძემ დალია სადღეგრძელო ლაისტისა და მიმართა მას მოკლე, მაგრამ კოხტა და გრძნობით სავსე სიტყვით, რომელიც მან ქართულად წარმოსთქვა და ნემენცურად გადაუთარგმნეს".

ილიამ გერმანელი მწერლის პატივსაცემად გამართულ სადილზე დამსწრე საზოგადოებას შემდეგი სიტყვით მიმართა:

„დღეს ჩვენ შორის ბრძანდება უცხო კაცი და სტუმარი. უცხო და სტუმარი მარტო იმითი, რომ სხვიდამ მოსულა, ხოლო სულითა და გულით ჩვენი მახლობელია, ჩვენი თავისიანია. ამიტომაც ორნაირად სასიხარულოა მისი ჩვენ შორის ყოფნა. ქართველმა იცის პატივისცემა უცხოსი და სტუმრისა და უფრო დიდი პატივისცემა თავისის სულით და გულით მახლობლისა და თავისიანისა. მაგრამ ჩვენ სხვა სიამოვნებაც უნდა მიგვიძღოდეს ამ შემთხვევაში. ბატონი არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასახელოდ კისრად იდო შუაკაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ევროპას შორის; რომელმაც იტვირთა ჩვენი გულში ამონაწები სიტყვა, ჩვენის ჭკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალ-ღონე აცნობოს იმ ხალხთ, რომელნიც ქვეყნის წარმატების გზაზე მეთაურნი და მესვეურნი არიან. თუ აქამომდე შორიდან უყურებდით ბატონს ლაისტს, დღეს აქ მობრძანებულა, რომ ახლო გაგვიცნოს. იმედია, რომ ახლოდ გაცნობილი ქართველი უფრო მეტად შეაყვარებს თავის თავსა. იმედია, რომ ამ სიყვარულით ჩაგონებული პირუთვნელი სიტყვა ბა-

ტონის ლაისტისა მოჰფენს მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვიან და ამ პატარა სამოთხეში ჰსცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის. ღმერთმა აცოცხლოს ბატონი ლაისტი".

გულუხვმა მასპინძელმა საპატიო სტუმარი, ბანაზე სადილის შემდეგ, მდინარე მტკვრის პირას მდებარე ბაღში გაიყვანა, იქაც სუფრა გაუშალა და ქართული დუდუკი და სალამური მოასმენინა. „დროების" მიმომხილველი წერდა:

„ვახშმის დროს გულითადს სადღეგრძელოებს ბანს აძლევდნენ თავისის გრძნობიერის ხმით დაფა-ზურნა, დუდუკი და სალამური. „ჩინებულად შეთვისებულია ეს მუსიკა, რამდენადაც მე მესმის, თქვენს ნაციონალურს ისტორიულს ცხოვრებასა და თავგადასავალთანო", — სთქვა შორით მოსულმა სტუმარმა.

„ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელოს დროს პატივცემულმა სტუმარმა, სხვათა შორის, უთხრა მას: „როცა მე თქვენს ლექსს „მტკვრის ნაპირზედ" — ნემეცურად ვსთარგმნიდი, მაშინ როგორ წარმოვიდგენდი, თუ იმავე მტკვრის პირზე მე თქვენთან ერთად ჯდომა მომიხდებოდაო. ვახშმის შემდეგ, თორმეტ საათზე, სტუმარი მიაცილეს თავის ბინაზე".

ასეთი იყო ილიას მიერ მოწყობილი შეკრება-ნადიმი, რომლის დროსაც ქართველმა მოღვაწეებმა პირველად გაიცნეს ქართული კულტურის დიდი პატივისმცემელი გერმანელი მწერალი.

ეკატერინე გაბაშვილის ცნობით, ილიას მიერ არტურ ლაისტის პატივსაცემად გამართული სადილის დამსწრეთა შორის იყვნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ნიკო ცხვედაძე, ეკატერინე გაბაშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, დავით მიქელაძე და ექვთიმე თაყაიშვილი[1].

ინტერესს მოკლებული არაა იმავე ეკატერინე გაბაშვილის მოგონების ის ნაწილი, რომელშიც მწერალი ქალი ამ სადილის საერთო დახასიათებას გვაწვდის. იგი ამბობს:

„ილია ტოლუმბაშობდა. სუფრა წმინდა ქართული ხასიათის იყო, ფლავიდგან დაწყებული ტრადიციულ ინდაურამდე. სადღეგრძელოები მჭერმეტყველური, როგორც შეეფერებოდა სახელოვან ტოლუმბაშს და სახლის პატრონს. სუფრის ბოლოს, ილიას კაბინეტში კედელზე ჩამოკიდებული შეუვრცხლილი ჯიხვიც კი გამოჩნდა სუფრა-

[1] ლიტერატურის მატიანე, წიგნი I-II, 1940 წ., გვ. 125.

ზედ, მაგრამ არა, როგორც გასაჯიბრებელი სასმისი, მხოლოდ, როგორც იშვიათი რამ საეკლესიოდ მიღებული, იშვიათი სადღეგრძელოს დასალევად. ილიამ თავისი ხელით მიიტანა უცხო სტუმართან ეს ქართული ლხინის ძლიერების უკანასკნელი სიტყვა და ვანო მაჩაბლის დახმარებით აუხსნა იმისი გმირობა, ვინც ამ ორბოთლიანს ჯიხვს გამოცლიდა და ფეხზე დადგომის ძალას არ დაჰკარგავდა"[1].

არტურ ლაისტმა ნადიმის მეორე დღეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამყოფელი ინახულა. „დროების" იმავე კორესპონდენტის სიტყვით, სტუმარმა საზოგადოების შენობაში „ნახა სურათები რუსთაველისა და თამარისა, გულმოდგინედ დაათვალიერა საზოგადოების ხელნაწერთა ბიბლიოთეკა და სათითაოდ გადასინჯა ეტრატზე ნაწერი წიგნები მინიატურულის მხატვრობით, გასინჯა აგრეთვე „წესდება" საზოგადოებისა და რამდენიმე პარაგრაფი ქართულად წაიკითხა[2].

არტურ ლაისტმა საქართველოში რამდენიმე დღე დაჰყო. იგი ბევრ ქართველ მწერალს გაეცნო. მოღწეული ცნობების მიხედვით, გერმანელი სტუმრისათვის კვლავ მოუწყვიათ საზეიმო შეხვედრა-ნადიმები. იმავე დღეებში იგი რამდენჯერმე ყოფილა საგურამოში, ხოლო ერთხელ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლასაც სწვევია.

არტურ ლაისტი პირველი სტუმრობიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1885 წელს, საქართველოში კვლავ ჩამოვიდა და თავისი მომდევნო ცხოვრების უმეტესი ნაწილი აქ გაატარა. მისი ახლო მეგობრობა ილიასთან არსებითად ამ დროიდან იწყება. ამაზე თვითონ ა. ლაისტი მოგვითხრობს:

„მაშინ პოეტი მხოლოდ 45 წლისა იყო. კვლავ ძლიერი ჰქონდა გონება, ნიჭი, ლიტერატურისა და პოეზიის სიყვარული, მშვენიერების შეცნობისა და მისით აღტაცების უნარი. როცა ილიას დავუახლოვდი, შევიგენი — რაოდენ დიდი სულისა და ნათელი ჭკუის კაცი იყო. ხალხში, ჩვეულებრივად, სრულ სიმშვიდეს იჩენდა. არასოდეს ცდილობდა უცნობ საზოგადოებაში ვინმე თავისი ცოდნითა და გონებით მოეხიბლა... სულ მოკლე ხანში ჩემთვის ნათელი გახდა მისი მდიდარი ბუნება. ჩვენი ურთგული, შეუბღალავი მეგობრობა ილიას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გვაერთებდა"[3].

არტურ ლაისტმა შეისწავლა ქართული ენა, ლიტერატურა და

---

[1] ლიტერატურის მატიანე, I-II, 1940 წ., გვ. 126.

[2] გაზეთი „დროება", 1884 წ., № 119.

[3] არტურ ლაისტი, საქართველოს გული, 1963 წ., გვ. 3.

საქართველოს ისტორია. მან გერმანულ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. მანვე ევროპელ მკითხველს გააცნო ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, რაფიელ ერისთავის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხატვრული შემოქმედების რიგი ნიმუშები.

არტურ ლაისტმა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე, მის ისტორიულ და კულტურულ წარსულზე რამდენიმე ნაშრომი გამოსცა გერმანულ ენაზე. მისივე კალამს ეკუთვნის წიგნი „საქართველოს გული“, რომელიც მთელ რიგ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ახალი ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებზე.

არტურ ლაისტს პირადი ნაცნობობა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი ათეული წლების თითქმის ყველა ქართველ მწერალთან, მაგრამ იგი განსაკუთრებით დაახლოებული მაინც ილიასთან იყო. სწორედ ილიას რჩევითა და ხელშეწყობით დარჩა იგი საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად. აქ გაატარა მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი და აქვე გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ოთხმოციანი წლების ეპოქიდან ცალკე უნდა გამოიყოს დავით ერისთავის ცნობილი დრამის „სამშობლოს“ პირველი წარმოდგენისა და კატკოვთან ბრძოლის ისტორია. იგი ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფურცელია როგორც ილია ჭავჭავაძის ცხოვრების მატიანეში, ისე მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში საზოგადოდ.

* * *

1882 წლის 20 იანვარს თბილისის ქართულ თეატრში დაიდგა დავით ერისთავის დრამა „სამშობლო“. წარმოდგენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა გაცოცხლებამ სცენაზე და განსაკუთრებით ძველი ქართული დროშის გამოჩენამ მაყურებელთა აღფრთოვანება გამოიწვია. ხალხის აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. დრამის ავტორი ჯერ წარმოდგენის დროს რამდენჯერმე სცენაზე გამოიწვიეს, ხოლო წარმოდგენის დამთავრების შემდეგ თეატრიდან ხელში აყვანილი გააცილეს.

„სამშობლოს“ პირველი წარმოდგენის თაობაზე გაზეთი „დროება“ იტყობინებოდა: „ეს წარმოდგენა იყო ნამდვილი დღესასწაული დრამის გადმომკეთებლის დავით გიორგის ძე ერისთავისათ-

ვის და რეჟისორის მ. პ. ბებუთაშვილისათვის. ერთიც და მეორეც რამდენჯერმე გამოიხმო საზოგადოებამ ანტრაქტებში და ტაშის-კვრით დაასაჩუქრა ერთი მშვენიერი გრძნობის აღძვრისათვის და მეორე პიესის ღირსეულად დადგმისათვის. ნიშნად პატივისცემისა ქართულმა დასმა უძღვნა „სამშობლოს“ ავტორს დაფნის გვირგვინი ატლასის აფიშით და ამ პიესის გამმართავს დაფნისვე ჩანგი ამ გვარისვე აფიშით. წარმოდგენის გათავების შემდეგ ორივენი ხელით აიყვანეს, გამოიყვანეს თეატრიდამ და ერთის ბრაოს ძახილითა და ტაშისკვრით ჩასვეს ფაიტონებში. ერთის სიტყვით, დიდი ამბავი იყო“[1].

პირველი წარმოდგენიდან ორიოდე დღის შემდეგ, 22 იანვარს, დავით ერისთავის „სამშობლო“ ხელმეორედ წარმოადგინეს. ამ დღესაც თეატრი მოზღვავებულ ხალხს ვერ იტევდა. დამსწრე საზოგადოება ტაშის გრიალით და სამადლობელი შეძახილებით აჯილდოებდა პიესის ავტორს, რეჟისორსა და არტისტებს. გაზეთ „დროების“ დამოწმებით, არტისტებისაგან მაყურებელთა განსაკუთრებულ პატივისცემას და საყვარულს იმსახურებდა ქოტე ყიფიანი სვიმონ ლიონიძის როლში და ლადო მესხიშვილი, რომელიც ლევან ხიმშიაშვილს ახასიერებდა.

„სამშობლოს“ წარმოდგენა განახლებული ქართული თეატრის დიდი გამარჯვება იყო. ამიტომაც მას ფართოდ გამოეხმაურა მთელი ქართული პრესა. „დროებაში“ და „ივერიაში“ მთელი რიგი წერილები გამოქვეყნდა. ასევე გულთბილად შეხვდა ამ წარმოდგენას ქართველი ხალხოსნების ჟურნალი „იმედი“. ცნობილმა ხალხოსანმა სტეფანე ჭრელაშვილმა 1882 წლის დამდეგს ქართული თეატრისათვის ბედნიერი დასაწყისი უწოდა. ჭრელაშვილს მხედველობაში ჰქონდა ორი პიესის გამოჩენა ქართულ სცენაზე: ერთი იყო ალექსანდრე ყაზბეგის დრამა „არსენა“, რომელიც 1882 წლის იანვრის პირველ რიცხვებში ზედიზედ ორჯერ წარმოადგინეს და მეორე — დავით ერისთავის „სამშობლო“.

„ეს ბედნიერი დასაწყისი გახლავთ ორი ჩინებული პიესა, რომელიც ამ ცოტა ხანებში ორ-ორჯერ დაიდგა ქართულ სცენაზე და ორ-ორჯერ ნამდვილ აღტაცებაში მოიყვანა პუბლიკა. ერთ პიესას ჰქვიან სახელად „ყაჩაღი არსენა“ და ეკუთვნის ყაზბეგის ახალგაზრდა კალამს, — მეორე — „სამშობლო“, რომლის გადმომკეთებელი არის უფრო გამოცდილი მწერალი დავით ერისთავიო“, — წერდა სტ. ჭრელაშვილი[2].

[1] გაზეთი „დროება“, 1882 წ., № 15.

[2] ჟურნალი „იმედი“, 1882 წ., № 2.

„სამშობლოს“ წარმოდგენა და მასთან დაკავშირებული ბრძოლა ფრიად საყურადღებო ეპიზოდია ქართული ლიტერატურისა და თეატრის ისტორიაში. წარმოდგენამ „მთელი ქვეყანა აალაპარაკა“, როგორც იმ დროს წერდნენ.

დრამა „სამშობლო“ მაყურებლის წინაშე აცოცხლებს ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს. ესაა მისი გმირული ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ, თავისი დამოუკიდებლობის, კულტურისა და ენის შენარჩუნებისათვის. იგი ხელს უწყობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმეს, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. „სამშობლო“ თბილისის შემდეგ ქუთაისისა და სხვა ქალაქების თეატრებმაც წარმოადგინეს. ოთხმოციანი წლებიდან დაწყებული იგი ყოველწლიურად იდგმებოდა თითქმის ყველა ქართულ თეატრში და ყოველთვის დიდი წარმატებით სარგებლობდა.

იმ დროს, როდესაც „სამშობლოს“ პირველი წარმოდგენებით ქართველი ინტელიგენცია ამაყობდა, გაზეთ „მოსკოვის უწყებებში“, რომელსაც თვითმპყრობელობის გესლიანი აგენტი კატკოვი რედაქტორობდა, გამოქვეყნდა წერილი, რომელიც თბილისის თეატრებს ეხებოდა. წერილის ავტორი თავს ესხმოდა თბილისის ქართულ და სომხურ თეატრებს. იმავე დროს გაზეთი ამტკიცებდა, თითქოს თბილისში პატივს არ სცემდნენ რუსული თეატრის წარმოდგენებს. რუსულ თეატრს მაყურებელი არ ჰყავსო იმ დროს, როდესაც ქართული და სომხური წარმოდგენები დიდი წარმატებით სარგებლობენო. ეს იმით აიხსნებაო, ამტკიცებდა კატკოვის გაზეთი, რომ საქართველოში რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობა არსებობს და თბილისელებიც რუსულ წარმოდგენებს განზრახ არ ესწრებიანო. ერთი სიტყვით, „მოსკოვის უწყებები“ აქეზებდა მეფის ხელისუფლების დაწესებულებებს, რომ კიდევ უფრო შეევიწროვებინათ ქართული თეატრი, ლიტერატურა და საზოგადოდ ქართული კულტურის საქმე.

„მოსკოვის უწყებები“ ამასაც არ დასჯერდა. გარდა პოლიტიკური ბეზღობისა, იგი შეეცადა აბუჩად აეგდო ქართული თეატრი და ქართული წარმოდგენები.

ისტორიული წარსულისა და ეროვნული დროშის შეურაცხყოფას, როგორც მოსალოდნელი იყო, წინ აღუდგა საზოგადოებრივი აზრი. „მოსკოვის უწყებების“ ვერაგულმა თავდასხმამ მთელი ქართველი ინტელიგენცია გააერთიანა და მჭიდროდ შეაკავშირა; მთელი ქართული პრესა, ყველა მოქმედი ძალა ერთ მთლიან რისხვად იქცა და კატკოვის წინააღმდეგ მიიმართა.

ცილისმწამებელთა წინააღმდეგ პრესაში მთელი რიგი წერილები გამოქვეყნდა. ყველა მათგანს მნიშვნელობა ჰქონდა ერთიანი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, მაგრამ ეს ბრძოლა პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა და დააგვირგვინა ილია ჭავჭავაძემ.

ილიას წერილი „კატკოვის პასუხად“ პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ 1882 წლის 24 თებერვალს. წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ინტელიგენციაზე, ისე მთელ ქართველ ხალხზე. სახელოვან მწერალს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსდიოდა წერილები და დეპეშები, რომლებითაც მადლობას უხდიდნენ კატკოვისადმი ამგვარი წინააღმდეგობისათვის. გაზეთი „დროება“ იტყობინებოდა:

„დიდი სიამოვნებით ვაცხადებთ, რომ ჩვენი გაზეთის № 40-ში დაბეჭდილი სტატიის გამო — „კატკოვის პასუხად“ — ავტორს ამ სტატიისას ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს რამდენიმე ტელეგრამა მოუვიდა, რომელშიაც თანაგრძნობას და მადლობას უცხადებენ ამ სტატიაში გამოთქმული აზრების გამო, ამგვარი თანაგრძნობა გამაბნევებელი და სულისჩამდგმელია არა თუ მარტო მწერლისა, არამედ თვით იმ საქმისა, რომელსაც ის თავის კალმით ემსახურება“[1].

რამდენიმე დღის შემდეგ (9 მარტს) ილიას წერილის თარგმანი რუსული გაზეთის „მოსკოვის ტელეგრაფის“ ფურცლებზე დაიბეჭდა. მისი წერილი და საზოგადოდ ფაქტი კატკოვის გაზეთის თავდასხმისა თბილისის ქართულ და სომხურ თეატრებზე მოსკოვის ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების საგნად იქცა.

დამახასიათებელია გაზეთ „დროების“ ერთი ცნობა, რომელიც ილიას წერილის რუსული ტექსტის გამოქვეყნებიდან სწორედ ერთი კვირის შემდეგ დაიბეჭდა. 1882 წლის 16 მარტის „დროება“ სარედაქციო წერილში მკითხველებს მოუთხრობდა:

„გუშინ და დღეს მოსკოველ გაზეთებმა მოგვიტანა ამბავი, თუ რა საზიზღარი შთაბეჭდილება მოუხდენია რუსეთში კატკოვის და მისი კორესპონდენტის ბეზღობას“.

„მოსკოვის ტელეგრაფს“ გადაუბეჭდია ვრცლად ილია ჭავჭავაძის კატკოვისადმი პასუხი, რომლის შესახებ ამბობს სხვათა შორის:

„კატკოვის გაზეთის ბეზღობა არის ნამდვილი ბეზღობა; კატკოვს არ აკმაყოფილებს რომელიმე საბრალო გიმნაზისტის დაბეზღება... ის ეძებს ხალხების არეულობას, განდგომას, ბუნტს; ეს არის მისი ნამდვილი ასპარეზი, რომლითაც ის ცხოვრობს და სუნთქავს. ხან რუსეთის ურთ კუთხეს მივარდება და პოლონელების განდგო-

[1] გაზეთი „დროება“, 1882 წ., № 43.

მის ამბავს განაახლებს, ხან სახელმწიფოს მეორე კუთხეს დაეძგერება და ქართულს და სომხურს თეატრების არსებობაში ეძებს განდგომისა და ბუნტის ნიშანს".

იქვე კატკოვის გაზეთის საქმიანობაზე ნათქვამია, რომ იგი „ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს განაახლოს ის უბედური მოვლენა, რომელიც მოხდა პოლონეთში ათას რვაას სამოცდასამში, მაგრამ ის დრო წავიდა, სხვა აზრებმა და კაცებმა დაიჭირა ადგილი რუსეთის ცხოვრებაში და კატკოვს ვერა მოუხერხებია-რა მათთვის. მართალია, კატკოვის მოქმედება ხანდისხან უნაყოფო არ არის: ის სთესავს უკმაყოფილებას, სპობს ყოველგვარ საშუალებას საზოგადოების დამშვიდებისას, რადგან იცის, რომ თუ საზოგადოება დამშვიდდა, მაშინ თითონ იმას, კატკოვს, ბოლო მოეღება და არ ექნება ის ძალა, რომლითაც ეხლა ლამის დაგვახრჩოს.

„მაგრამ ნახეთ, რა საზოგადო ზიზღს აღძრავს მთელი კატკოვის უსინდისო მოქმედება: თბილისის გაზეთებმა ერთის ხმით უპასუხეს ბატონ კატკოვს, გამოააშკარავეს მისი საზიზღარი საქციელი".

მოტანილი სტრიქონებიდან მთელი სისრულით იგრძნობა საერთო მოწონება და მხარდაჭერა, რომელიც წილად ხვდა ილია ჭავჭავაძის წერილს. ამ ოფიციალურ საგაზეთო მასალებს გარდა ჩვენამდე მოღწეულია აგრეთვე ცალკეულ გამოჩენილ ადამიანთა პირადი მიმოწერა.

განსაკუთრებით საინტერესოა ილიას არქივში დაცული ერთი პირადი წერილი. წერილის ავტორია ცნობილი ქართველი პროფესორი ილია ოქრომჭედლიშვილი, რომელიც იმ დროს მოსკოვში მოღვაწეობდა. წერილი საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ის საერთო განწყობილება, რომელიც ილია ჭავჭავაძის სტატიის რუსულ გაზეთში გამოქვეყნების შედეგად მოსკოვის ინტელიგენციის ფართო წრეებში იყო შექმნილი.

ი. ოქრომჭედლიშვილი ილია ჭავჭავაძეს ატყობინებდა:

„მოსკოვის ტელეგრაფში" წავიკითხე შენი წერილი კატკოვის დანოსზე; წერილი მეტად მშვენიერი, ენერგიული და ზომიერი. ჩემი სიამოვნება იმან უფრო ასწია, რომ აქ არა თუ სომხები, ერთი რუსი არ შემხვედრია, რომელსაც არ გამოეთქვა აღტაცებული კმაყოფილება შენს წერილზე. ამ ორ-სამ წელიწადში მოსკოვში მოხდა დიდი ცვლილება. ახლა იქ იშვიათად იპოვნი იმისთანა კაცს, რომელიც კატკოვის მომხრეს და მიდრეკილების კაცს არ უყურებდეს როგორც ხალხის მოღალატეს და შპიონს. განათლებულ პირების გარდა, ეს ცვლილება მოხდა ვაჭრებში და ჩინოვნიკებშიც. ტრაქტირებში, რესტორნებში, ვაგონში თუ სხვა შეყრილობაში თუ კი

დაიწყებ ლაპარაკს კატკოვის წინააღმდეგ, ანუ იმის მომხრის, ე. ი. მაღალი ბობოლებისა, დარწმუნებული იყავ, რომ სიამოვნებით დაგიგდებენ ყურსა და მოგეხმარებიან. თუ კი ეს ცვლილება მოხდა მოსკოვში, საცა მჟავე პატრიოტიზმს აქვს უფრო მკვიდრი ბუდე, წარმოიდგინე რა იქნება რუსეთის სხვა მხარეში! ეს გარემოება მეტად სანუგეშოა და არის ერთი მიზეზთაგანი, რომელმაც შენი წერილი, თავის საკუთარ ღირსების გარდა, ძალიან მოაწონა აქაურ რუსის საზოგადოებას"[1].

განხილული მასალებით ნათელი ხდება ილიას წერილის მნიშვნელობა „მოსკოვის უწყებების" გარშემო თავმოყრილ ცილისმწამებელთა წინააღმდეგ ფართო საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად. რაღა თქმა უნდა, ეს საყოველთაო მოწონება და მხარდაჭერა თვით წერილის შინაარსით, მისი საერთო ხასიათით იყო განპირობებული. ქართველმა ხალხმა ილიას წერილში თავის გულის პასუხი იპოვა იმდენად, რამდენადაც მასში, საკუთარი ეროვნული ღირსების დასაცავად მოწოდებასთან ერთად, ვერაგი თავდამსხმელის ულმობელი კრიტიკაც ნახა, კრიტიკა, რომელიც ღრმა მეცნიერულ და მაღალ ადამიანურ საფუძვლებს ემყარებოდა.

სახელოვანმა მწერალმა თავის საპასუხო წერილში „მოსკოვის უწყებების" საქციელს პოლიტიკური ბეზღობა უწოდა. ამგვარი ბეზღობა მით უფრო ვერაგული და საშიშია, რომ კატკოვისა და მისი კომპანიის გესლიანი მახვილი მთელი ქართველი ხალხის წინააღმდეგ არის მიმართულიო, — ამბობდა ჩვენი მწერალი.

ილია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კატკოვის მიერ ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი მოქმედება შემთხვევითი არ ყოფილა. „მოსკოვის უწყებები" ქართველებზე ადრე თავს დასხმია სხვა ხალხებსაც და, მაშასადამე, ახლანდელი მისი საქციელი ჩვეულებრივი მოქმედებაა კატკოვის გაზეთისათვის. კატკოვს თავისი აგენტების საშუალებით ცილისწამებისა და ბეზღაობის თვალუწვდენელი ბადე აქვს გაშლილი. იგი დროგამოშვებით თავის ბადეში გააბამს ხან ერთს, ხან მეორე ერს და მათზე ათასგვარ ცილისწამებას ავრცელებსო.

ილია აყენებდა კითხვას: ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც კატკოვის მეთაურობით „მოსკოვის უწყებების" ირგვლივ შემოკრებილან? როგორია ის კომპანია, რომელიც ხან ერთს და ხან მეორე ეროვნებას მეფის თვითმპყრობელობის წინაშე აბეზღებს? ესენი არიანო, — ამბობდა ავტორი, — ის ადამიანები, რომლებიც მოქმე-

[1] „ლიტერატურული გაზეთი", 1958 წ., № 19.

დებენ არა საერთო საზოგადოებრივი ინტერესით, არამედ მხოლოდ საკუთარი ანგარებით. ამ მაბეზღართა უმრავლესობა სახელმწიფო აპარატის ყოფილი მოხელეა. ყველა მათგანს რომელიმე დაწესებულებაში უმსახურნია, მაგრამ ვიგინდარაობისა და უწესრიგობის გამო ისინი სამსახურის ადგილებიდან გამოუძევებიათ. ამ ნამუსზეხელაღებულმა ადამიანებმა თავი მოიყარეს კატკოვის ირგვლივ და ახლა „მოსკოვის უწყებების“ ფურცლებიდან ცდილობენ მთავრობას ერთგულება დაუმტკიცონ, რომ ამით პირადი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კვლავ გზა გაიხსნან. მწერალი იქვე ამბობდა, ამ ადამიანებმა აღებმიცემობის საგნად „განაპირა ხალხების“ დაბეზღება გაიხადესო.

იმის შემდეგ, რაც მკითხველებს „მოსკოვის უწყებების“ ირგვლივ შემოკრებილ მოკალმეთა კომპანია გააცნო, ილიამ დაწვრილებით განიხილა ის ბრალდებები, რომელნიც მაბეზღარებმა ქართველებსა და თბილისელ სომხებს წამოუყენეს. ჩვენი ავტორი წერდა:

„კორესპონდენტს ჩვენის სეპარატისტობის და გადადგომის სურვილის დასამტკიცებლად საბუთებიც მოჰყავს. მაგალითებრ: ქართველებსა და სომხებს როცა წარმოდგენები აქვთო, თეატრი კარგად არის განათებული და გამთბარი, და როცა რუსები არდგენენ, მაშინ-კი არაო. ქართულ და ნამეტნავად სომხურ თეატრში ხალხი ბევრი დაიარებაო და რუსულში-კი არაო. ქართველებმა „სამშობლოს“ გადმომკეთებელი ავტორი დიდის ყოფით მიაცილეს შინამდინაო და სომხებმა კიდევ ბევრი საჩუქარი მიართვეს სომხურს აქტრისას გრაჩიასაო“.

სახელოვანი მწერალი ოთხმოციანი წლების ქართული თეატრის მდგომარეობაზე აღნიშნავდა, რომ უკანასკნელ ხანებში ამ თეატრის საქმე ნაწილობრივ მართლაც გაუმჯობესდა, მაგრამაო, — ამბობდა იგი. — ოფიციალური ხელისუფლება მაინც ყველაზე ნაკლებად სწორედ ქართულ თეატრზე ზრუნავსო.

ილიას სიტყვით თბილისში სახელმწიფო დაწესებულებებისაგან ყურადღებითა და დახმარებით ყველაზე მეტად რუსული თეატრი სარგებლობდა. მას მრავალნაირად ეხმარებიან, მაგრამ ეს თეატრი მაინც ნაკლებად პოპულარულია და მაყურებელსაც ვერ იზიდავსო, — ამბობდა მწერალი.

ილია ღრმად დარწმუნებული აღნიშნავდა: თბილისის რუსული თეატრის წარუმატებლობის მიზეზი არისო არა ქართველებისა და სომხების სეპარატიზმი, არამედ თვით თეატრის სუსტი მუშაობა. მწერალი იქვე ერთხელ კიდევ აღნიშნავდა, რომ ქართული თეატრი ხელისუფლებისაგან არავითარ შემწეობას არ იღებდა. ერთადერთი

შეღავათი, რომელიც ოფიციალური ხელისუფლებისაგან ქართულ თეატრს აქვს, ის არის, რომ არსებობის უფლებას აძლევენო.

ილია ჭავჭავაძე ადასტურებდა, რომ დავით ერისთავის „სამშობლოს" მართლაც დიდი წარმატება ხვდა წილად. იქვე ბრძენი მოღვაწე გადაჭრით მიუთითებდა, რომ ქართველებისაგან საკუთარი ეროვნული თეატრის სიყვარული რუსული კულტურისადმი სიძულვილს სრულიადაც არ ნიშნავდა. იმავე წერილში ჩვენი მწერალი სასტიკად ილაშქრებდა კატკოვისა და მისი აგენტების წინააღმდეგ იმის გამო, რომ მათ ქართულ ეროვნულ დროშას დასცინეს.

ილია ცილისმწამებელთა საპასუხოდ მოხდენილად იყენებდა ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს. იგი მკითხველს მოაგონებდა, რომ ამ დროშით ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე იბრძოდა თავისი ეროვნული ღირსების დასაცავად. ქართველებმა თავიანთი ეროვნული დროშა საკუთარი სისხლით შეღებეს და მეცხრამეტე საუკუნემდე მოიტანეს, ხოლო ამ საუკუნის დამდეგს, შეერთების გამო, იგივე დროშა, უმწიკვლო და შეუბღალავი, რუსეთს ჩააბარეს.

ილია თავის წერილში სვამს კითხვას: ვის მოუვა აზრად, რომ ერს დროშა შეუგინოს? და იგი თვითონვე უპასუხებს: ერის ღირსებას ბარბაროსიც არ შეაგინებდა, მაგრამ კატკოვი და მისი კამპანია იმდენად ზნედაცემულია, რომ მას შეუძლია ჩაიდინოს ის, რასაც ბარბაროსიც არ იკადრებდაო. მწერალი შთამბეჭდავად ამბობდა:

„თუ ჩვეულებრივმა გრძნობამ მართებულობისამ არ შეაყენა ბატონი კატკოვი, იმას მაინც უნდა მოჰრიდებოდა, რომ უპატიურად ხდის მთელს ერს, რომელიც შეჰფარებია რუსეთს მარტო თავის პატიოსნების და ღირსების დასაცველად. თვით ბარბაროსიც-კი არ იკადრებდა აგრეთ გაუპატიურებას მთელს ერისას! მაშ, ბარაქალა კატკოვს და მის მომხრეებს, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროსიც-კი ითაკილებდა"[1].

ასეთი პასუხი გასცა ილია ჭავჭავაძემ „მოსკოვის უწყებების" თავდასხმას ქათულ თეატრზე და პოლიტიკურ ცილისწამებას ქართველობაზე. დიდი მწერლის სიტყვებში ქართველმა ხალხმა თავისი გულის პასუხი იპოვა.

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, 1957 წ., გვ. 12.

* * *

კატკოვის საწინააღმდეგო წერილებმა იმპერიის სატახტო ქალაქის პრესაშიც იჩინა თავი. პეტერბურგის გაზეთ „გოლოსში“ დაიბეჭდა თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის ლუარსაბ მაღალაშვილის საპროტესტო წერილი. ამ წერილმა ყურადღება მიიპყრო იმდენად, რამდენადაც კატკოვისა და მისი თანამოკალმეების მიერ ჩადენილი ვერაგობა ცნობილი გახდა კიდევ უფრო ფართო საზოგადოებრიობისათვის. ლუარსაბ მაღალაშვილი პეტერბურგის გაზეთში დაბეჭდილ სტატიაში წერდა:

„მოსკოვის უწყებების“ მე-44 ნომერში დაბეჭდილია თბილისიდამ გაგზავნილი კორესპონდენცია, რომელიც სავსეა უმართებულო და გამოუწვეველის შეურაცხყოფითა; ეს შეურაცხყოფა ისეთს საგანს შეეხება, რომელიც ყოველის ხალხისათვის წმინდა და ნაციონალურ დიდების კუთვნილებას შეადგენს. ქართულს სცენაზედ ისტორიულ დრამის წარმოდგენამ, რომელშიაც გამოხატულია სპარსელების თავდასხმა საქართველოზე, მიზეზი მისცა მოსკოვის გაზეთს — ძნელად დასაჯერებელია კი ეს — ქართველებს სეპარატიზმი შესწამოს და ამასთანავე ბატონ კატკოვის გაზეთს არ შერცხვა რჩევა მოეცა, კარგი იქნებაო, რომ ქართველებმა თავის დროშები პანტომიმის დასამშვენებლად ცირკში გაჰყიდონო...

„დედა-მიწაზე არ მოიპოვება ბარბაროსი, რომელიც პატივს არ სცემდეს იმ საერთო წმინდანს, რომელიც წარმომადგენელია, ემბლემაა ერის სახელისა და ნაციონალურ ღირსებისა. მოსკოვის გაზეთი აქაც გამოსარიცხი შეიქმნა და რამდენად სანატრელი და სასიქადულოა ამგვარი მისი ქცევა, — ამის დაფასება საზოგადოებისათვის მიგვინდვია; ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ რუსის საზოგადოება ღირსეულად დააფასებს „მოსკოვის უწყებების“ ამ „პატრიოტულ“ მოქმედებას, რომლისთვისაც ჩვენ შესაფერი სახელიც კი ვერ მოგვიძებნია“.

ლუარსაბ მაღალაშვილის საპროტესტო წერილს გაზეთ „გოლოსის“ რედაქცია ასეთ შენიშვნას უკეთებდა: „ჩვენ მივიღეთ თბილისიდან აქვე დაბეჭდილი წერილი თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლისა და ძალიან კარგად გვესმის თუ რა ზიზღითი გრძნობა უნდა აღეძრა თბილისის საზოგადოებაში „მოსკოვის უწყებების“ საძაგელ ცილისწამებას იქაურ ქართველებზე და სომხებზე, რომელ-

თაც რაღაც „სეპარატიზმს“ აბრალებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თავიანთ სამშობლო სცენებს ხელს უმართავენ“[1].

ლუარსაბ მაღალაშვილის ეს საინტერესო წერილი შინაარსობლიეად საგრძნობლად წააგავს ილია ჭავჭავაძის საპასუხო წერილს იმავე კატკოვისადმი. რა თქმა უნდა, მსგავსება სავსებით ბუნებრივია იმდენად, რამდენადაც ეს წერილები ერთსა და იმავე თავდამსხმელის წინააღმდეგაა მიმართული. მეორე, რაც მთავარია, გამორიცხული სრულიადაც არაა, რომ მაღალაშვილს, როგორც ილიას ახლო მეგობარს, თავისი სტატიის წერის დროს მისგან ურთგვარი რჩევა-დარიგებებიც მიეღო.

ასეთია კატკოვის წინააღმდეგ გადახდილი ბრძოლის უმთავრესი ეპიზოდები. როგორც ვნახეთ, ქართველი ინტელიგენციის მიერ გადახდილი ამ ბრძოლის ცენტრშიც ილია იდგა.

* * *

ილია ჭავჭავაძის, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ავტორიტეტი ოთხმოციან წლებში განსაკუთრებით მაღალია. ამ დროს მას საყოველთაო აღიარება აქვს მოპოვებული როგორც საადგილმამულო ბანკში, სადაც სამოცდაათიანი წლებიდან ოფიციალურად მსახურობს, ისე ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე.

საადგილმამულო ბანკში ილია ჭავჭავაძის საქმიანობის დამაჯერებელ შეფასებას გვაწვდის იაკობ გოგებაშვილი. სახელოვანი პედაგოგი გადაჭრით ამბობდა, რომ დიდი მწერლის ავტორიტეტმა თბილისის ბანკს საყოველთაო ნდობა და სახელი მოუხვეჭა. იაკობი წერდა:

„ილიას მოპოვებული ჰქონდა უსაზღვრო ნდობა არა მარტო ქართველებში, არამედ რუსებშიაც, თათრებშიაც, სომხებშიაც. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ მის მაღალ ჰკუაში, მის სიფრთხილეში, მის მოუსყიდველობაში. ამიტომ სათავადაზნაურო ბანკს უსაზღვროდ ენდობოდნენ. ამ ნდობამ გაზარდა ბანკი, გადააქცია იგი დიდ ფინანსიურ დაწესებულებად, რომლის დიდი წმინდა შემოსავალი ხმარდება მთელის ერის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას“[2].

თბილისის საადგილმამულო ბანკში საქმიანობა ილია ჭავჭავაძის საერთო მოღვაწეობაში შედის იმდენად, რამდენადაც დიდი მწერალი ამ დაწესებულებასაც ეროვნულ-კულტურული ინტერესების

[1] გაზეთი „დროება“, 1882 წ., № 61.

[2] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 219.

სამსახურში აყენებდა. იაკობ გოგებაშვილი ზემომოყვანილ ამონაწერში საგანგებოდ მიუთითებდა იმაზე, რომ ბანკის შემოსავლის დიდი ნაწილი „მთელის ერის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას“ ხმარდებოდა.

რაღა თქმა უნდა, საადგილმამულო ბანკის ამგვარად ჩაყენება ეროვნულ-კულტურული საქმიანობის სამსახურში პირადად ილიას ღვაწლია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იმავე დროს მწერალი აგრეთვე აქტიურად მონაწილეობდა სამეურნეო ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობა ქართველი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას რაიმე მხრით ხელს უმართავდა. ჩვენი მოღვაწე 1877 წელს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. იგი თავის ავტობიოგრაფიაში ამაზე მოგვითხრობს:

„1877 წელს ამომირჩიეს საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად და რამდენსამე ხანს მეჭირა ეს თანამდებობა... ვიღებდი მონაწილეობას ხან მიწვევით, ხან არჩევით, თითქმის ყოველს კომისიაში, რომელიც არკვევდა ჩვენის მეურნეობისა და სხვა საჭიროებათა საგნებსა“[1].

ამრიგად, ბრძენი მწერალი მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ქართველი ხალხის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში მოღვაწეობდა და ყველგან თავის გავლენას ახდენდა. იანოვსკისთან და კატკოვთან ბრძოლის გადატანის შემდეგ ილია წარმოგვიდგება როგორც მოღვაწე, რომელიც სათავეში უდგას ქართველი ხალხის მთელს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებას. თუ სამოციან წლებში იგი ახალი ლიტერატურული სკოლის იდეური ბელადი იყო, ოთხმოციანი წლებიდან უკვე ქართველი ერის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ინტელექტუალური ცხოვრების საყოველთაოდ აღიარებული მეთაურია.

კონკრეტულ შემთხვევაში ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტის გახსენება მაინც საჭირო და აუცილებელია.

* * *

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიაში ერთი დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება. 1886 წლის იანვრიდან გამოსვლას იწყებს

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, 1957 წ., გვ. 312.

ილიას ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „იერია".

1885 წელს, გაზეთ „დროების" დახურვის შემდეგ, მწერალმა გადაწყვიტა „ივერია", რომელიც აქამდე ჟურნალის სახით გამოდიოდა, გაზეთად გადაეკეთებინა. 1885 წლის დამლევს მან ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს საგანგებო წერილით მიმართა და გაზეთ „ივერიაში" თანამშრომლობისაკენ მოუწოდა.

მიმართვის საერთო ტექსტი ასეთი იყო:

„მოწყალეო ხელმწიფევ! გაზეთებიდან მოხსენებული გექნებათ, რომ პირველ იანვრიდან 1886 წ. გამოვა ყოველდღიური ქართული გაზეთი „ივერია", რომლის რედაქტორობა ვიკისრე მე. რასაკვირველია, ამისთანა მძიმე ტვირთს მე ვერ ვიკისრებდი, თუ სახეში არა მქონდა დახმარება და შემწეობა თქვენისთანა პატივცემულ მოღვაწეთაგან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ იმედი, რომელმაც ესეთი ძნელი საქმე გამაბედვინა, არ გამიმტყუნდება. გაზეთის საქმე საერთო, საზოგადო საქმეა, იქნება სხვაგან ისე არა, როგორც საკუთრივ ჩვენში. თქვენი წარსული, თქვენი ყოფილი მოღვაწეობა ჩემთვის უტყუარი საბუთია მისი, რომ საცა საერთო, საზოგადო საქმეა, იქ თვითონ თქვენი გული იძულებულ გყოფთ მხურვალე მონაწილეობა მიიღოთ. მაშასადამე, აქ თხოვნა ჩემგან მეტია, მე მარტო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ თქვენის კალმის ნაწარმოებისათვის ჩვენის რედაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება და თქვენი თანამშრომლობა ყოველთვის სასიამოვნო და სასურველი.

„გაზეთი გახლდებათ „დროებაზედ" უფრო მომეტებულის ზომისა. თქვენდა საყურადღებოდ მომირთმევია პროგრამა გაზეთისა".

„თქვენის თანამშრომლობის მოიმედე, თქვენი გულითადი პატივისცემელი ილია ჭავჭავაძე"[1].

მოტანილი წერილით, რომელიც რამდენიმე პირმა ბეჭდური სახით მიიღო, გაზეთ „ივერიის"გამოცემა საზოგადოებისათვის ადრევე ცნობილი იყო. 1886 წლის საახალწლოდ საქართველო ახალი „ივერიის" პირველ ნომერს მოელოდა.

ბრძენ რედაქტორს მხედველობიდან ისიც არ გამორჩენია, რომ „ივერიის" დაბადების მოწმედ გაეხადა ის მწერლები და მოღვაწეები, რომელნიც გაზეთის თანამშრომლები უნდა ყოფილიყვნენ. ამ მიზნით ილიამ 1885 წლის 31 დეკემბრის საღამოს საკუთარ ბინაზე საოჯახო ხასიათის შეკრება მოაწყო. როგორც ჩანს, შეკრებას ბევრი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ესწრებოდა.

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 112.

ჩვენამდე მოღწეულია ილიას პირადი ბარათი რაფიელ ერისთავისადმი, რომლითაც მას სწორედ ამ შეკრებაზე იწვევდა. ბარათი სულ რამდენიმე სიტყვისაგან შედგება. იგი დეპეშისებურად იკითხება: „გთხოვთ მეწვიოთ ხვალ საღამოს, სამშაბათს. ერთად მივეგებოთ ახალ წელიწადს და „ივერიის“ პირველ ნომერს“[1].

იგულისხმება, რომ ილიამ ანალოგიური შინაარსის ბარათები დაუგზავნა სხვა მოღვაწეებსაც, რომელნიც იმავე შეკრებას ესწრებოდნენ. 1886 წლის პირველი იანვრის დასაწყის წუთებში დარბაზში შემოიტანეს გაზეთი „ივერიის“ პირველი კონები, რასაც შეკრების მონაწილეები ტაშით შეხვდნენ. ახალი გაზეთის დაბადებისადმი მიძღვნილი ნადიმი გათენებამდე გრძელდებოდა.

„ივერიის“ რედაქციაში მოწყობილი შეკრება უწინარეს ყოვლისა მნიშვნელოვანია თავისი ღრმა შინაარსით. ეს შემთხვევა ახალი გაზეთის ირგვლივ რაზმავდა მთელ ქართველ ინტელიგენციას. შეუძლებელია სხვაგვარი ყოფილიყო შინაარსი სიტყვებისა და ურთიერთმოწოდებისა, რომელნიც ნადიმზე მთელი ღამის განმავლობაში გაისმოდა.

ნადიმის ერთ-ერთი მონაწილის ილია ხონელის გადმოცემით, შეკრებაზე ექსპრომტად ნათქვამი ლექსები „ბუზებივით დაფრინავდნენ სუფრაზედ“. ჩვენამდე მოღწეულია ამ ნადიმზე დავით ერისთავის მიერ წარმოთქმული ექსპრომტები. პირველი მათგანი ასეთია:

ამაღამა იშვა ბავშვი,
ილიამ რქვა „ივერია“,
მეტად დიდი გამოვიდა
ხონელიც ვერ მოერია[2].

მეორე ექსპრომტი მიძღვნილია ილია ჭავჭავაძისადმი. დავით ერისთავმა „ივერიის“ მამა-რედაქტორს ასე მიმართა:

ღმერთმა ინებოს, ილია
არ მოგერიოს ძილია,
და კარგათა გაგეზარდოს
ეს მამისერთა შვილია!

* * *

ილია თექვსმეტი წლის განმავლობაში (1886—1901 წწ.) გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი და გამომცემელი იყო. როდესაც ვაკვირდებით მის ჟურნალისტურ მოღვაწეობას ხანგრძლივი დროის განმავ-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 86.

[2] ხონელი (ილია ბახტაძე) იყო „ივერიის“ თანამშრომელი, რომელმაც გაზე-თ[illegible] პირველი კონები სტამბიდან ამოიტანა.

ლობაში, იგი პირდაპირ გვაოცებს თავისი შრომის ნაყოფიერებით. კაცი, რომელიც დღისით საადგილმამულო ბანკის რთულ საქმეებს აწესრიგებდა, ღამით „ივერიის“ მეთაურ წერილებს ამზადებდა, თვითონ წერდა და სხვათა ნაწერებსაც ასწორებდა და აშალაშინებდა. გაზეთ „ივერიაში“ ილიას მოღვაწეობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის გრიგოლ ყიფშიძე, რომელიც ათეული წლების მანძილზე მისი უახლოესი თანამშრომელი იყო. იგი წერს:

„ფრიად საინტერესო და საგულისხმიერი დრო იყო ილიას ცხოვრებაში დრო ყოველდღიურ გაზეთის „ივერიის“ რედაქტორობისა. აქ იჩინა თავი სწორედ მისმა მხნეობამ, სალიტერატურო შრომის დიდმა უნარმა, დიდმა შემძლეობამ და მომზადებამ. სწორედ საოცარი იყო ამ დროს მისი მოღვაწეობა. დაღალვა აღარ ემჩნეოდა და მომზადება საყოველდღეო გაზეთის ხელმძღვანელობისათვის ხომ მეტად დიდი გამოიჩინა. პირველ ორ-სამ წელიწადს მოსვენება აღარ მისცა თავს, ისე გაიტაცა ცოცხალმა საგაზეთო მუშაობამ. პირველ წელს ხომ თითქმის ნომერი არ გამოსულა ისე გაზეთისა, რომ მისი მეთაური წერილი არ ყოფილიყოს დაბეჭდილი“.

ილია ჭავჭავაძის სარედაქციო-კოლეგიალურ მუშაობაზე იგივე გრიგოლ ყიფშიძე მოგვითხრობს:

„მთელი რედაქცია იღებდა მონაწილეობას წერილების სწორებაში იმის მეთაურობითა და ხელმძღვანელობით. ეს იყო ღამ-ღამობით. ამ დროს რომ გარეშეს ვისმე შემოეხედნა რედაქციაში, ეგონებოდა, აქ რედაქცია-კი არა, სენაკია და რაღაც მღვდელ-მოქმედება სწარმოებსო. უსხედით გარშემო მაგიდას თანამშრომელნი და ვასწორებდით ჩვენისა და სხვის წერილების ენას. ღამე გატყდებოდა, მამლები ყივილს დაიწყებდნენ და თავს დაგვათენდებოდა ამ მუშაობაში: ისე დავიჭანცებოდით, რომ სავატობა აღარ გვქონდა, ილიას-კი არ მახსოვს, ან დაღლილობა შემჩნეოდეს, ან ძილი მოჰკიდებოდეს, ისეთს ხალისსა და ჯავარზედ იყო უკვე ორმოცდაათს წელს გადაცილებული კაცი“[1].

თანამედროვეთა გადმოცემებში უხვი მასალა მოიპოვება ილიას სარედაქციო მუშაობაზე. მათი მონათხრობიდან ჩვენი მოღვაწე გარკვევით წარმოგვიდგება როგორც რედაქტორი, რომელიც ყოველ სიტყვას მზრუნველობით ეკიდებოდა. რომ გაზეთის ენა ნამდვილად შეუბღალავი ქართული ყოფილიყო.

---

[1] კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 98-99.

ჟურნალისტი იაკობ მანსვეტაშვილი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე „ივერიის“ ძირითადი თანამშრომელი იყო, თავის მოგონებებში მოგვითხრობს იმ თავდადებულ შრომაზე, რომელსაც ჩვენი მწერალი „ივერიის“ რედაქციაში ეწეოდა. მანსვეტაშვილი ამბობს:

„არც ერთი წერილი, დიდი თუ პატარა, არც ერთი ფელეტონი, არც ერთი კორესპონდენცია ისე არ გაიგზავნებოდა სტამბაში ასაწყობად, ვიდრე მთელი სიგრძე-სიგანით, ძირიან-ფესვიანად არ გადავათვალიერებდით, არ გავრანდავდით, არ გავაშალაშინებდით. მთელი კოლეგია, ილიას მეთაურობით, ვისხედით ღამის ორ საათამდის და გულდასმით ვასწორებდით, ვამზადებდით მასალას დასაბეჭდად“[1].

როდესაც ვაკვირდებით „ივერიის“ რედაქციას, იქ არსებულ საერთო ატმოსფეროს, იგი წარმოგვიდგება როგორც არა მხოლოდ რედაქცია, რომელიც ყოველდღიურად ქვეყანას მრავალფეროვან გაზეთს აწვდიდა, არამედ როგორც ერთი დიდად მნიშვნელოვანი ეროვნული კულტურული დაწესებულება. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან ერთად „ივერიის“ რედაქცია იყო ერთ-ერთი ძირითადი კერა, სადაც იმდროინდელი ქართული კულტურა იქმნებოდა. ამიტომაც იყო, რომ ამ გაზეთმა თავის გარშემო ეპოქის მთელი მოწინავე ინტელიგენცია შემოიკრიბა.

ილია ჭავჭავაძეს, გარდა ყოველდღიური სარედაქციო მუშაობისა, დაწესებული ჰქონდა ეგრეთ წოდებული ხუთშაბათობა, როდესაც „ივერიის“ რედაქციაში იკრიბებოდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები როგორც თბილისელები, ისე პერიფერიიდან რაიმე შემთხვევის გამო დედაქალაქში ჩამოსულები. შეკრებებზე ისინი მსჯელობდნენ როგორც მწერლობის აქტუალურ საკითხებზე, ისე საზოგადოდ მშობლიური ქვეყნის საერთო საჭირბოროტო მოვლენებზე. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი თავის მოგონებებში მოგვითხრობს:

„ხუთშაბათობით იმართებოდა „ივერიის“ რედაქციის წევრებისა და თანამშრომლებისათვის ლიტერატურული საღამოები, სადაც ილიას მეგობრები და ბანკის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ. ამ საღამოებს მეც ვესწრებოდი 1890 წლიდან, როდესაც „ივერიაში“ დავიწყე სტატიების მოთავსება და გამოვიდა ჩემი პირველი ნაშრომი „სამი ისტორიული ქრონიკა“. აქ ხშირად კითხულობდნენ ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს და იყო ბაასი საქარ-

[1] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936 წ., გვ. 77.

თველოს საჭირბოროტო საკითხების შესახებ. საღამო თავდებოდა უბრალო ვახშმით, რომელსაც უეჭველად სიმღერები მოჰყვებოდა"[1].

სოფრომ მგალობლიშვილი, რომელიც ილიას „ივერიის" ერთერთი ძირითადი თანამშრომელი იყო, მოგვითხრობს:

„ილიას სახლი სტანკევიჩის სახლს წარმოადგენდა: ყოველ კვირა, ხუთშაბათობით, ილიასთან იარებოდნენ არა თუ მარტო რედაქციის წევრები, — მთელი ჩვენი დამსახურებული მწერლები, აგრეთვე ინტელიგენცია. არც ერთი ახალი წიგნი არ გადურჩებოდა წაუკითხავი. აი ამ კრებას უზიარებდა წაკითხულის შინაარსს; შეიქმნებოდა სჯა-ბაასი, კამათი, პაექრობა"[2].

ილია და მისი „ივერია" იყო ის ცენტრი, რომელიც ანდამატურად იზიდავდა ყველა ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. ყველა გრძნობდა ამ მიმზიდველობას, გრძნობდა და ხალისით მიჰყვებოდა მას. ასე ხდებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ ყველა მათგანი ილიას პიროვნებაში სამშობლო ქვეყნისათვის უანგაროდ თავდადებულ მოღვაწეს ხედავდა. მწერლის თანამედროვეთა მოგონებებში შემონახულია მთელი რიგი ცნობები იმ ჭეშმარიტად ნაყოფიერ ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე, რომელსაც იგი გაზეთ „ივერიის" გამოცემის პერიოდში ეწეოდა.

„ივერიის" რედაქციაში ილიას მუშაობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის არტემ ახნაზაროვი. იგი მოგვითხრობს:

„ივერიის" გაზეთად გადაკეთების პირველ ორ-სამ წელიწადს ილია თითქმის ყოველდღე მეთაურ წერილებსა სწერდა გაზეთისათვის და ეს წერილები ხელმოუწერლად იბეჭდებოდა... ამ დროს ილია რედაქციაში გამუდმებულ შრომას ეწეოდა... ჩვენსას მოისმენდა, თავისას გვეტყოდა, დასაბეჭდ ნაწარმოებს გააშალაშინებდა. ასე გვასწავლიდა ქართულს ენას და ყოველ სიტყვას გვისწორებდა იმ დრომდე, ვიდრე არ დარწმუნდებოდა, რომ ცოტად თუ ბევრად ქართული ენა შეთვისებული გვქონდა... წერაში თითონ მეტის მეტად ფრთხილი იყო და ჩვენც გვეტყოდა ხოლმე:

„— ყმაწვილებო, გაზეთის ფურცლებზედ საპოლემიკო წერილით გამოსვლა იგივე ბრძოლა არის, ომია და ვიდრე ასეთს ომს დაიწყებდეთ, საკამათო საგანი კარგად უნდა შეისწავლოთ, გაითვალისწინოთ, თქვენს მოწინააღმდეგეს და მოკამათეს რა პასუხის მოცემა შეუძლიან, და ამ იმის პასუხსაც ამ თავითვე პასუხი მოუმ-

---

[1] ლიტერატურის მატიანე, წიგნი VI, ნაკეთი პირველი, 1952 წ., გვ. 6.

[2] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, 1938 წ., გვ. 167.

ზადოთ, ერთი სიტყვით, გარშემო ზარბაზნები უნდა შემოიწყოთ და ბრძოლის ველზე ისე გახვიდეთ“[1].

მოტანილი ამონაწერები საკმაო წარმოდგენას იძლევა ილიას სარედაქციო მუშაობაზე. როდესაც ანგარიშს ვუწევთ ამ მონაცემებს, ვრწმუნდებით, რომ ჩვენი მწერლის ძირითადი საქმიანობა სწორედ „ივერიის“ რედაქციაში იყო. „ივერიის“ რედაქცია იყო ილიას მოღვაწეობის ძირითადი კერა და იგი აქედან ედგა სათავეში მთელს ჩვენს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებას.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლები ერთი მეტად ნაყოფიერი პერიოდია ილიას საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. როგორც ვნახეთ, მის პუბლიცისტურ, საპოლემიკო და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში ასახვას პოულობდა ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა მხარე. იმავე ეპოქაში მწერლის მოღვაწეობიდან ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით კიდევ რამდენიმე ფაქტია აგრეთვე მნიშვნელოვანი.

* * *

1886 წლის დამდეგს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის წერილი სათაურით „ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა“. იგი მკაცრად ამხილებდა მისდროინდელი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოდ კულტურის სფეროში არსებულ მძიმე მდგომარეობას; აღიარებდა, რომ საერთო საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გამო მწერლები სათანადოდ უზრუნველყოფილნი არ იყვნენ და ამ მიზეზითო, — ამბობდა ჩვენი მოღვაწე: — „ვინც ჩვენში ლუკმა-პურის შოვნის ზრუნვას დროს გადაარჩენს და მოიცლის, მარტო იგი იღებს ხელში კალამსა“.

ბრძენი ავტორი ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „აქ გასამტყუნარი არავინ არ არის, გარდა გარემოებისა“, და, რაც მთავარია, იგი ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს მორალურად ამხნევებდა და ქართული მწერლობის შემდგომი განვითარების გზებსაც სახავდა. ილია ამბობდა:

„საქმე ის არის, ჩვენი ერი მომზადდეს, გონების გახსნის გზაზე იმოდენად წარიმართოს, რომ როგორც პურის საჭიროებას ჰგრძნობს ხორცისათვის, ისე ლიტერატურა მიიჩნიოს სულისა და გულისათვის. თუ, ღვთის მადლით, ჩვენი სასოფლო სკოლები და ეკ[illegible]ობ ის

[1] ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1939 წ., გვ. 297-298.

სასწავლებელნი, რომელთაც კარი მუდამ და დაუბრკოლებლივ ღია აქვთ ყველასათვის, რიგიანად მოიმართნენ და თავის უწმინდესს დანიშნულებას გვერდი არ აუქცეს, უეჭველია გაძრავლდება როგორც მუშაკი ლიტერატურისა, ისე მუშტარი და მაშინ ლიტერატურა და საზოგადოება უკეთ მოეწყობა, უკეთ მორიგდება და მოთავსდება ერთმანეთში.

„ამ იმედით აღფრთოვანებული და გატაცებული იბრძვის და იღწის დღეს მშიერ-მწყურვალი უანგარო მუშაკი დღევანდელის ჩვენის ლიტერატურისა“ [1]. ასეთია ამ წერილის ძირითადი სულისკვეთება.

რაღა თქმა უნდა, საყოველთაოდ აღიარებული მოღვაწისა და მოაზროვნის ამ შთამაგონებელ სიტყვებს ჩვენი მწერლებისა და, საზოგადოდ, კულტურის სფეროებში მოსაქმე ადამიანებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

* * *

1885 წლის მაისში გამოჩენილი რუსი მწერლის გოგოლის „რევიზორის“ პირველი წარმოდგენიდან ორმოცდაათი წლისთავი აღინიშნა. ამ თარიღისადმი მიძღვნილი საღამოები რუსეთის იმპერიის მთელ რიგ ქალაქებში მოეწყო. თბილისი გოგოლისადმი მიძღვნილი ზეიმისათვის საქმიანად ემზადებოდა და ბრწყინვალედაც ჩაატარა იგი. „რევიზორის“ იუბილესადმი მიძღვნილი საღამოს შედეგებზე გაზეთი „ივერია“ წერდა:

„ამ წელს შესრულდა ორმოცდაათი წელიწადი მას შემდეგ, რაც პირველად წარმოადგინეს გოგოლის უკვდავი კომედია „რევიზორი“. მთელმა რუსეთმა დიდის ამბით იდღესასწაულა ხსენება თავის სახელოვანის, მაღალ-ნიჭიერის მწერლისა. ჩვენმა დრამატულმა დასმაც არ დაივიწყა რუსეთის სახელოვანი მწერალი და ღირსეულად პატივი სცა მის სახელს. გუშინ, 8 მაისს, დრამატულის საზოგადოების თაოსნობით გაიმართა წარმოდგენა გოგოლის სახსოვრად. ითამაშეს „რევიზორის“ მე-2 და მე-3 მოქმედება. წარმოდგენის წინად, აიხსნა თუ არა ფარდა, სცენაზე გამოჩნდნენ არტისტები ხუთის ყვავილის გვირგვინით ხელში. სცენაზე ამაღლებულს, წითელის მაუდით დაფენილს და ყვავილებით შემკულ ადგილას გოგოლის სურათი იდგა.

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 83-85.

„პირველად წარმოსდგა წინ დრამატულის საზოგადოების წევრი ნ. ავალიშვილი და წაიკითხა საზოგადოების წინაშე წერილი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს გოგოლს რუსეთის მწერლობაში. ამის შემდეგ ე. თუმანიშვილმა წაიკითხა რუსულად თხორეევსკის ლექსი, განგებ ამ შემთხვევისათვის დაწერილი. ბოლოს გამოვიდა ჩვენი სახელოვანი აკაკი და დიდის გრძნობით წაიკითხა თავისი მშვენიერი, გრძნობით და აზრით სავსე ლექსი. ლექსმა მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. სამივემ წაკითხვის შემდეგ გოგოლის სურათის ქვეშ გვირგვინები დააწყეს. ამის შემდეგ დაიწყო „რევიზორის“ წარმოდგენა“[1].

გოგოლის „რევიზორისადმი“ მიძღვნილ საზეიმო საღამოს გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ამ შემთხვევის გამო „ივერიაში“ საგანგებო წერილი გამოაქვეყნა. სახელოვანი მწერალი საზოგადოდ ყოველთვის დიდად აფასებდა რუსულ კლასიკურ ლიტერატურას. იგი გადაჭრით აღიარებდა პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, დოსტოევსკის, ტურგენევისა და ტოლსტოის შემოქმედებითი მემკვიდრეობის საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობას. იგი ამ წერილში კვლავ იმეორებს თავის აზრს იმავე რუს მწერლებზე და ამბობს:

„პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი და სხვანი ამგვარნი მოღვაწენი რუსეთის დიდებად, სახელად ცნობილ არიან უკეთესთა რუსთაგან. მათის წყალობით და მეოხებით ევროპამ დღეს სხვა თვალით შემოხედა რუსეთის სულიერს ძალ-ღონეს, რომლის გამომეტყველნიც იყვნენ ხსენებულნი დიდბუნებიანნი კაცნი რუსეთისანი. ამისთანა კაცნი მით არიან სახელოვანნი, რომ თუმცა სისხლით და ხორცით ერთს რომელსამე გვარტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თვისის ღვაწლით ამასთანავე გვაჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომი თანამოაზრე მთელის კაცობრიობისა და რაგვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, რა განძსა და საუნჯესა სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჯულისა, გვარტომობისა და დიდ-პატარაობისა“.

ჩვენი სახელოვანი მოღვაწე კმაყოფილებით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ბოლო დროს რუსეთში მოხშირდა ღვაწლმოსილი ადამიანებისადმი მიძღვნილი დღესასწაულები; რომ „განათლებული ნაწილი რუსეთისა არა შემთხვევას არა ჰკარგავს ხოლმე, რომ სა-

[1] გაზეთი „ივერია“, 1886 წ., № 99.

ხელოვანი კაცნი თავისის ქვეყნისანი რაიმე დიდებით და დღესასწაულობით არ მოიხსენიოს".

დაბოლოს, ილია ჭავჭავაძე დამსახურებული ქებით იხსენიებდა ქართულ დრამატულ საზოგადოებას, რომელმაც გოგოლის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო მშვენივრად ჩაატარა[1].

* * *

1886 წელს გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნდა ილიას აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილი წერილი „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ".

ილია აღნიშნავდა, რომ „ივერიის" რედაქცია ყოველდღიურად იღებდა უამრავ ლექსებს, რომელთა ავტორები იყვნენ მოსწავლეები, როგორც მწერალი ამბობდა, „თითქმის უსუსური ყმაწვილები, რომელთაც მძიმე მოვალეობა სწავლისა ჯერ კიდევ წინ მიუძღვით და, მაშასადამე, დროსა და ჯაფას მათთვის თავისი საფასური აქვს".

ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდა ავტორებს უხსნიდა, განუმარტავდა პოეზიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადამიანთა ცხოვრებაში. იმავე დროს მწერალი ახალგაზრდობას გულითადად მოუწოდებდა სწავლა-განათლებისაკენ, მეცნიერების დაუფლებისაკენ.

- სახელოვანმა მოღვაწემ პოეზიით გატაცებულ ახალგაზრდებს ასე მიმართა: „თუ ღმერთს პოეტობის ნიჭი მოუმადლებია თქვენთვის, ჩვენო პატარა მეგობრებო, ნუ ჩქარობთ მაგის გამოჩენასა. ნუ გეშინიათ, იგი არ მიგემალებათ არსად. იგი თავის დროზედ გამოიხეთქებს, როგორც ანკარა წყარო კლდის გულიდამა, ოღონდ პირველ ხანებში ნუ მოაკლებთ მათ უსუსურს მადლს — მეცნიერების ნოყიერ ძუძუსა. ჯერ თქვენ სწავლობთ და ღმერთმაც მოგიმართოთ ხელი მაგ საკეთილო გზაზედ. ჯერ ისწავლეთ, ჯერ თქვენ შეიძინეთ, რომ მერე სხვასაც შესძინოთ რამე"[2].

1886 წელს „ივერიაში" დაიბეჭდა ილიას წერილები ქართულ თეატრზე. წერილებში (სულ ხუთი წერილია) განხილულია რიგი ქართული წარმოდგენები და დრამატული ნაწარმოებები. იქვე მოცემულია გამოჩენილ ქართველ მსახიობთა ფრიად საინტერესო დახასიათებანი. ამ წერილებს მეცხრამეტე საუკუნის ქართული თეატრის ისტორიის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 86-87.

[2] იქვე, გვ. 91.

როგორც ვხედავთ, გაზეთ „ივერიის“ პირველი წელი ილიას ლიტერატურულ მოღვაწეობაში ფრიად ნაყოფიერი იყო. მისი საზოგადოებრივი საქმიანობა კიდევ უფრო ფართოდ წარმოგვიდგება, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ იმავე წელს მანვე ერის ცხოვრების სხვა მხარეთა ამსახველი რამდენიმე წერილიც გამოაქვეყნა.

* * *

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობა ასევე ნაყოფიერი იყო 1887 წელს. აქ ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი მოვლენები:

წლის დამდეგს გამოქვეყნდა ილიას წერილი „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“. წერილი იმ ფაქტის აღიარებით იწყებოდა, რომ ოთხმოციან წლებში ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა ჯერ კიდევ სუსტი იყო. იგი ქართული მწერლობის განვითარების მხარდამხარ ვერ იდგა, ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების საერთო მდგომარეობას ვერ გამოხატავდა. ილია ამბობდა: „ჩვენს განათლებულს საზოგადოებაში ხშირად ისმის გულისტკივილი, რომ ჩვენს ლიტერატურას კრიტიკა აკლიაო. მართალიც არის, — ეს დიდი და ფრიად დიდი დანაკლისია“.

ბრძენი ავტორი სულ რამდენიმე სიტყვით აყალიბებდა საზოგადოდ სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარებისათვის სალიტერატურო კრიტიკის მაღალ დანიშნულებას. იგი წერდა: „ლიტერატურა თავისის ფართო მნიშვნელობით, გონების ნაჭირნახულევი ხვავია, საცა წმიდა ხორბალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიცა, რაც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკა ლიტერატურისათვის“.

ამის შემდეგ მწერალი ქართული სალიტერატურო კრიტიკის ჩამორჩენილობის მიზეზებს იკვლევდა. იგი უწინარეს ყოვლისა სასტიკად აკრიტიკებდა ქართველი ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს, რომელნიც ფიქრობდნენ „ჩვენი ლიტერატურა კრიტიკისათვის მეტად ცოტა საზრდოს იძლევაო; ჯერ ხვავი ჩვენის ლიტერატურისა ი მ ო დ ე ნ ა ა რ ა რ ი ს, რომ ღირდეს კაცმა კრიტიკის ცხავში გააცაროს და წმიდა ხორბალი ბალახ-ბულახისაგან გამოარკვიოსო“[1].

ილია ასევე მკაცრად აკრიტიკებდა იმ ადამიანებს, რომელთა აზრით ქართული მწერლობა ჯერ კიდევ თავისი ღირსებით, ესე იგი შინაარსით იმდენად ხელმოკლე იყო, რომ კრიტიკას

1 ხაზი ჩვენია — ა. მ.

„ჩვენს ლიტერატურაში ჯერ არავითარი საქმე და სარბიელი არა აქვსო“.

ამგვარ მოსაზრებათა მქონე ლიტერატორების წინააღმდეგ ილია გადაჭრით აცხადებდა, რომ ქართული მწერლობა როგორც რაოდენობით, ისე შინაარსით იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანი იყო, რომ იგი სალიტერატურო კრიტიკის გაშლა-განვითარებისათვის სრულიად საკმარის მასალას იძლეოდა. სწორედ აქ, ამ შემთხვევის გამო სახელოვანმა მოღვაწემ ძველი ქართული მწერლობის საერთო დახასიათებაც მოგვცა. იგი წერდა:

„ჩვენ არას ვიტყვით ჩვენს ძველს ლიტერატურაზედ, რომელსაც ასეთის სიუხვით ასხიოსნებს „ვეფხისტყაოსანი“, — ეს უძირო მორევი, ზღვა აზრისა და გრძნობისა; ჩვენ არას ვიტყვით არც დავით გურამიშვილზედ, რომლის დიდაქტიური პოეზია პირს არ შეირცხვენს თუნდ ლუკრეციის, ვირგილის და ჰორაციოს დიდაქტიკურ პოეზიას დაუყენეთ პირისპირ, და რომლის სარწმუნოებრივი ღაღადება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმაღლემდეა ასული. არას ვიტყვით მეფე ვახტანგ მეექვსეზე, არჩილ მეფეზე, თეიმურაზ პირველსა და მეორეზედ, რომელთაც, ნამეტნავად პირველს ორს, ვერავინ ვერ დასწამებს სიმჩატეს აზრებისას და გრძნობისას და რომელნიც მოელიან გონებამახვილს კრიტიკოსს, რომ თავისი მიუწყონ და სამართლიანის შარავანდედით მოჰრთონ მათი ღირსშესანიშნავი გონებრივი ღვაწლი“.

ძველი მწერლობის ამ საერთო დახასიათების შემდეგ ილია ახალ ქართულ ლიტერატურაზე გადმოდიოდა. იგი წერდა:

„საკმაოა გაეიხსენოთ ამ მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი პოეზია და მის ნ წარჩინებულნი წარმომადგენელნი, თუნდ ალ. ჭავჭავაძედამ დაწყებული დღევანდელ მწერლებამდე, და მაშინ აშკარად დავინახავთ, რომ კრიტიკის უქონლობა ჩვენის ლიტერატურის უშინაარსობას კი არ უნდა დაჰბრალდეს, არამედ ჩვენს ქონდრისკაცობას, რომელიც იმოდენად უძლურია, იმოდენად უღონოა, რომ ვერც ჩვენის ლიტერატურის სიღრმისათვის გონების თვალი ჩაუწვდენია და ვერც ჩვენის პოეზიის სიმაღლისათვის თვალი გაუსწორებია“.

დასასრულს, ილია ქართული მწერლობის სიდიადის ცხადსაყოფად ერთხელ კიდევ ხაზგასმით ამბობდა: „უშინაარსობა ჩვენის ლიტერატურისა აშკარა ტყუილია. ვინც ამ ბრალს სდებს, იგი უმართლოდ ექცევა ჩვენს ნაწარმოებს და ნაღვაწლს გონებისას და გულისას, და ეს მოსდის ან უვიცობით, ან განგებ, რომ კრიტიკის უქონლობის სირცხვილი თავის-თავს მოაშოროს და სხვას გადააბრალოს“.

ქართული მწერლობის საერთო ვითარების ამგვარი დახასიათების შემდეგ ილია თავისი ეპოქის ქართული სალიტერატურო კრიტიკის ჩამორჩენილობის საერთო მიზეზებზე მსჯელობდა და მომავალში მისი განვითარების აუცილებლობასაც წინასწარმეტყველებდა. სახელოვანი მოღვაწე ლიტერატურული კრიტიკოსის დანიშნულებაზე საზოგადოდ მაღალი აზრისა იყო.

ილია ჭავჭავაძის აზრით, ოთხმოციან წლებში ქართული სალიტერატურო კრიტიკის ჩამორჩენილობის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ სფეროში მოღვაწე ლიტერატორებს აკლდათ პროფესიული დახელოვნება, აკლდათ ის, „რასაც თვითმსჯელობას, თავისით მოქმედებას, თავისით სვლას ეძახიან. აი, ჩვენი სისუსტე სწორედ ამ თვითმსჯელობის, თვითმოქმედების უქონლობაშია".

ჩვენი სწავლულებიო, — ამბობდა ილია, — შექსპირზე, გოეთეზე და ბაირონზე, რამდენიც გნებავთ, ილაპარაკებენ და დაწერენ, მაგრამ „ერთს პაწია ლექსს-კი ჩვენის რომელსამე პოეტისას ვერ გაუძღვებიან, როგორც რიგია". ეს ასე ხდებაო იმიტომ, რომ ამ გამოჩენილ ადამიანებზე უცხოელ ავტორებს ბევრი უწერიათ, „მაშასადამე, ამათზედ ასეთისა თუ ისეთის აზრის შედგენა მეტის-შეტად ადვილია და აზრის საბუთის პოვნაც არ არის ძნელი". ზოგი ჩვენი სწავლული სწორედ ასეთი შრომით ცხოვრობს და იმდენად, რამდენადაც უცხოელი ავტორები ქართულ ლიტერატურაზე არაფერს წერენ, ჩვენი „სწავლულნი, განათლებულნი", მნიშვნელოვანს ვერაფერს ჰქმნიან.

„ნუ გვიწყენენ, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — თუ ვიტყვით, რომ ჩვენს ინტელიგენციას სწორედ ეგ უნარი თვითმსჯელობისა, თვითმხედველობისა არა აქვს გახსნილი და გადაშლილი. ეს ნაკლია მიზეზი, რომ ჩვენს საკუთარს საქმეში, ჩვენს საკუთარს ავ-კარგიანობაში ვერაფერი გაგვიგნია, თავი და ბოლო ერთმანეთზედ ვერ გადაგვიბამს".

წერილი ავტორისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი იმედიანობით მთავრდებოდა. სახელოვანი მწერალი შთამაგონებლად ამბობდა: „ჩვენ იმედს არა ვკარგავთ, რომ ეგ კრიტიკა ჩვენც გვეღირსება ოდესმე, და მაგის მოვლენა, ვითა შვილნი თვითმსჯელობისა, ჩვენის სულიერ ძალღონის აღმატების და განდიდების ნიშანი იქნებაო"[1].

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 152-157.

* * *

1887 წელს ილია ჭავჭავაძე ფართოდ გამოეხმაურა ცნობილი გლეხი პოეტის იოსებ დავითაშვილის გარდაცვალებას.

იოსებ დავითაშვილი 1887 წლის 13 მარტს გარდაიცვალა თელავში და იქვე დაასაფლავეს. 22 მარტს თბილისში, კალოუბნის ეკლესიაში, გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. დამსწრეთა შორის იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ბაქრაძე და კონსტანტინე მამაცაშვილი. პანაშვიდზე მგრძნობიარე სიტყვით გამოვიდნენ აკაკი წერეთელი და ილია ჭაეჭავაძე. იოსებ დავითაშვილის პანაშვიდი გადაიხადეს აგრეთვე ქალაქ გორში და პოეტის მშობლიურ სოფელ რუისში[1].

იოსებ დავითაშვილის დღეები ფართოდ ჩატარდა, ეს კი გაპირობებული იყო განსაკუთრებული ყურადღებით, რომელიც მის მიმართ ილიამ გამოიჩინა.

ილია ჭავჭავაძემ იოსებ დავითაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობას მაღალი შეფასება მისცა. მან გლეხი პოეტის ხსოვნას მიუძღვნა გაზეთ „ივერიის" 1887 წლის 22 მარტის მთელი ნომერი. ამ ნომერში მეთაურის სახით დაიბეჭდა ილიას ვრცელი წერილი, რომელშიც გაშუქებული იყო იოსებ დავითაშვილის მხატვრული შემოქმედება. მისსავე კალამს ეკუთვნის გაზეთის იმავე ნომერში მოთავსებული მოკლე ბიოგრაფია გარდაცვლილი პოეტისა. იმავე ნომერში აგრეთვე დაბეჭდილი იყო დავითაშვილისადმი მიძღვნილი გრიგოლ ყიფშიძის, პეტრე უმიკაშვილისა და სხვა ავტორთა წერილები.

ილია ჭავჭავაძემ იოსებ დავითაშვილის პოეტური მემკვიდრეობის მიმოხილვა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

„ცოტა რომ მაინც დაუკვირდეთ მთელს მის ნათქვამს ლექსებს, ნახავთ, რომ იგი იყო კაცი, რომელსაც ცოტად თუ ბევრად გაწმენდილი ჰქონდა თვალნი გლეხთა გულის საიდუმლოთა მნახველად, ყურნი — გლეხთა გულისძგერის უცნაურთა ხმათა მსმენელად, ხელნი — გლეხთა მაჯისცემის შემტყობად და ენა — ყოველ ამის აღმოსათქმელად და მთარგმნელად. გული ერისა იგივე ზესკნელი და ქვესკნელია და ამიტომაც თვალისა, ყურის და ხელის იქამდინ მიწვდენა, — ხვედრია მარტო რჩეულის კაცისა და ერთი ამათგანი

[1] გაზეთი „ივერია", 1887 წ., № 63.

იყო იგიც, ვინც დღეს დავკარგეთ. კურთხეულ იყოს სახსენებელი მისი! კურთხეულ იყავ შენ, ვინც:

დაზგაზე რანდით ჰლამობდი
მრუდე ხის გასწორებასა [1].

* * *

იმავე 1887 წლის 3 მაისით არის დათარიღებული ილიას მილოცვის წერილი ცნობილი ქართველი მსახიობის ვასო აბაშიძისადმი.

1887 წელს ვასო აბაშიძეს სასცენო მოღვაწეობის ათი წელი შეუსრულდა. 3 მაისს მისი საიუბილეო საღამო გაიმართა. იუბილარს გულთბილად მიესალმნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. იმავე საღამოზე მგრძნობიარე სიტყვით გამოვიდა აკაკი წერეთელი.

ილია ჭავჭავაძე სავსებით საპატიო მიზეზის გამო საიუბილეო საღამოს პირადად ვერ დაესწრო, მაგრამ გაგზავნა მილოცვის წერილი, რომელიც საიუბილეო ზეიმის მონაწილეებს წაუკითხეს [2].

ბრძენმა ილიამ სახელოვან ქართველ არტისტს თავის ათწლოვანი იუბილეს გამო ასე მიმართა:

„დიდად ვწუხვარ, რომ პატივსადები მიზეზი შემემთხვა და ამის გამო ვერ ვესწრები თქვენის ათის წლის ქართულს სცენაზედ მოღვაწეობის დღეობასა.

„ათი წლის მოღვაწეობამ თქვენმა სცენაზედ ნათლად დაგვანახვა ყველას, რა შეუძლიან თქვენისთანა ნიჭსა. უკეთესნი წუთნი, ჩვენს ქართულ თეატრში ჩვენ მიერ გატარებულნი, ისე არ წარმოგვიდგებიან ჩვენის ხსოვნის თვალწინ, რომ თქვენ მიერ შექმნილნი ტიპნი თვალწინვე არ გამოგვესახნენ. ამით თქვენ დაგვიმტკიცეთ, რომ ჭეშმარიტი არტისტი იგივე შემოქმედია, როგორც სხვა ჭეშმარიტი ხელოვანი.

„მოგილოცავთ დღევანდელს დღეობასა და, მოგართმევთ რა ჩემის პატივისცემის ნიშნად ამ გვირგვინსა, ვისურვებ, რომ ამ ჩვენის სამშობლოს ყვავილებმა დაჰდაფნოს ჩვენის სამშობლოს სცენის დამდაფნელი არტისტი“ [3].

ასე მიესალმა ილია ვასო აბაშიძეს. თავისთავად იგულისხმება,

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 163.

[2] მილოცვის წერილი საიუბილეო ზეიმზე ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორმა ანდრია ღულაძემ წაიკითხა.

[3] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 391.

რომ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გულითად მილოცვებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც იუბილარისათვის, ისე მის გვერდით მყოფი ადამიანებისათვის, რომელნიც ქართული თეატრისათვის თავდადებით იღვწოდნენ.

* * *

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით სათუთ და გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენდა ქართული ხალხური სიტყვიერების მიმართ. ფართო საბალხო იდეებით შთაგონებული მწერალი ერის ცხოვრების სრულად გათვალისწინების, მისი განვითარება-გაუმჯობესების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ხალხის ყოფის ამსახველი ფოლკლორული მასალის ღრმა და საფუძვლიან შესწავლას თვლიდა. იგი დარწმუნებული ამბობდა:

„სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმისი წადილი, საჭიროება“[1].

ილია ზეპირსიტყვაობას აღიარებდა როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს ყოველი ერის ისტორიისა. იგი თავის „ქვათა ღაღადის“ ერთ ნაწილში, პროფესორ პატკანოვთან კამათში წერდა:

„ლანგლუა ამბობს, რომ დასაწყისი „ქართლის ცხოვრებისა“ ზღაპარიაო და სამართლიანადაც ამბობს. ეს ქართლოს, კახოს და სხვა ამისთანები, რასაკვირველია, ზღაპრად უნდა ჩაითვალოს, და რომელი ერია ქვეყანაზე, რომ თავის ისტორია ამისთანა ზღაპრით არა ჰქონდეს დაწყებული“[2].

ხალხის ცხოვრების, მისი ყოველდღიური ჰირ-ვარამის, ფიქრისა და მისწრაფების ყოველმხრივ გათვალისწინების მიზნით ქართველმა სამოციანელებმა საფუძველი ჩაუყარეს ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიული მასალების შეკრებისა და მეცნიერულად შესწავლის საქმეს. ამ მიმართებით დიდად ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდნენ ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა.

ქართული ჟურნალ-გაზეთები სისტემატურად აქვეყნებდნენ ხალხში შეკრებილ ლექსებს, ანდაზებს, გამოცანებს, ზღაპრებსა და

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 192.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, 1957 წ., გვ. 112.

თქმულებებს. ილიას ქართული ფოლკლორული მასალის შეკრების თვალსაზრისით განსაკუთრებით ნაყოფიერი შრომა აქვს გაწეული დუშეთში სამსახურის პერიოდში. რაფიელ ერისთავი 1873 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში წერდა: „ილია ჭავჭავაძემ გვიჩვენა რამოდენიმე ნიმუში გლეხების სიმღერებისა“[1].

ილია მის მიერ ჩაწერილ ხალხურ ლექსებს ხშირად ბეჭდავდა ჟურნალ „კრებულში“. დამახასიათებელია სახელოვანი მოღვაწის ერთი პირადი წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი, რომელიც 1873 წლის 29 იანვრითაა დათარიღებული. იგი კ. ლორთქიფანიძეს სწერდა:

„ძმაო კირილე! გიგზავნი გლეხურ სიმღერებს. ოცდაათზე მეტია. გამოიზოგე, სხვა ლექსებს ვეღარ გიგზავნი მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. ჯერ ეს იმყოფე, კაი სიმღერებია“[2].

იმავე 1873 წელს გამოქვეყნდა ერთი პატარა წიგნი, რომელშიც დაბეჭდილი იყო რაფიელ ერისთავისა და ილია ჭავჭავაძის მიერ ცალ-ცალკე შეკრებილი ხალხური პოეზიის ნიმუშები. წიგნის თავფურცელი ასე იკითხება:

გლეხური სიმღერები

ლექსები და ანდაზები
შეკრებილი რაფ. ერისთავისა და ილ. ჭავჭავაძისაგან
გამოცემული
ი. მელიქიშვილის და ეფ. ხელაძისაგან
წიგნი პირველი
თფილისი
მელიქიშვილის და ამხ. სტამბა
1873

წიგნში დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის მიერ დუშეთში ცხოვრების დროს შეკრებილი ოცდაორი ხალხური ლექსი და ანდაზა.

სამოციანელთაგან დაწყებული ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალის შეკრება-დამუშავების საქმე თანდათან ფართოვდება. ეს საქმიანობა უკვე მასობრივ ხასიათს იღებს ოთხმოციანი წლებიდან, როცა ილიასა და აკაკის მოწოდებათა შედეგად საქმეში ებმება მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია.

ოთხმოციან წლებში შემკრებლობითი საქმიანობის გათვალისწინების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ილიას

[1] ჟურნალი „კრებული“, 1873 წ., № 7.
[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 29.

წერილი „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“, რომელიც 1887 წლის 23 დეკემბრის „ივერიაში“ გამოქვეყნდა. წერილის შესავალში იგი ამბობდა:

„ამ ბოლო დროს ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში გაჩნდა ერთი საყურადღებო მოვლენა, რომელსაც დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ. ეს მოვლენა სახალხო ლექსების შეკრება და ბეჭდვაა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში“.

მოტანილი სტრიქონებიდან სრულიად ნათლად იგრძნობა ავტორის აზრი სახალხო ლექსების შეკრებისა და ბეჭდვის მნიშვნელობაზე. იგი ამგვარ საქმიანობას აღიარებდა როგორც ერთ-ერთ ნაყოფიერ ღონისძიებას ხალხის ცხოვრების შესწავლისათვის, საზოგადოდ, ეროვნულ წარმატებისათვის.

„სახალხო პოეზია კარგია, — ამბობდა ილია,—მაგრამ როცა მარტო იმისი შეკრება იზიდავს მთელის ინტელიგენციის ყურადღებას, როცა ეს შეკრება „მოდად“ ხდება, მაშინ საჭიროა, რომ სხვა საგნებისაკენაც მიიხედოს განათლებულმა საზოგადოებამ“.

ილიას ერის ცხოვრების წინსვლისათვის გადაუდებელ საჭიროებად მიაჩნდა ხალხის საზოგადოებრივ-ისტორიული ყოფის ძირითადი ნიშნების გათვალისწინება. კონკრეტულ შემთხვევაში მწერალი ყურადღებას ეკონომიკური წყობისა და სამართლებრივ წესჩვეულებათა შესწავლაზე ამახვილებდა. იგი წერდა:

„ყველას, ვისაც კი უცხოვრია მდაბიო ხალხში, ეცოდინება, რომ ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს, რომლითაც ხელმძღვანელობს, როცა საჭიროება ამას მოითხოვს. მამულის გაყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ერთურთ შორის აღებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულობის გასამართლება და ათასი ამგვარი მოვლენა, — სულ ხალხის ჩვეულების ძალით სწარმოებს, ხალხის ადათზეა დაფუძნებული და ამ ადათს ემორჩილება... ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებული ქართველისათვის იცოდეს, — რაგვარ და რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიურ და იურიდიულ ურთიერთობის შესახებ. ეს სფერო ცხოვრებისა მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულებას სამართალზედ, ერთურთს დამოკიდებულებაზედ და სხვა“[1].

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 191-192.

ილია ჭავჭავაძე მკითხველის ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ სხვა კულტურულ ერებში, „სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვან ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლეველად არაფერსა სტოვებენ“.

ილია მოითხოვდა, რომ ხალხის ცხოვრება შესწავლილი ყოფილიყო „ყოველმხრივ და ჰარმონიულად“, ხოლო ამისათვის კი საჭიროაო, — ამბობდა იგი, — ამ საქმეში ინტელიგენციის ფართო მასის ჩაბმა. დაბოლოს, ჩვენი მწერალი ზეპირსიტყვიერი მასალის შეკრების გაშლა-გაფართოებისათვის კონკრეტულ პრაქტიკულ ღონისძიებებსაც სახავდა. იგი ამბობდა:

„საჭიროა, რომ ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებამ ერთად თავი მოიყაროს, მოილაპარაკოს, ასწონ-დასწონოს ყოველიფერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის“ [1].

ილიას წერილს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს, როდესაც ხალხური მასალების ჩაწერის საქმე დღითი დღე ფართოვდებოდა, ხოლო ქართული ფოლკლორისტიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო. ჩვენი მწერლის სახელმძღვანელო მითითებებს მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავთ.

ილია შეუნელებელი ინტერესით ეკიდებოდა ხალხური საუნჯის შეკრებასა და მეცნიერულად შესწავლა-დამუშავებას. მისი თაოსნობით ამ საქმიანობას ხელი მოჰკიდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. იგულისხმება, რომ ამიერიდან ფოლკლორული მასალის შესაკრებად მუშაობა წარმოებდა უფრო ფართოდ და სისტემატური სახით, როგორც ამას ილია ზემოგვნიშნულ წერილში მოითხოვდა. შემდგომში ქართული ზეპირსიტყვიერი მასალების შეკრების საქმეს სათავეში ჩაუდგა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის დამაარსებელი აგრეთვე ილია იყო.

ხალხურ სიტყვიერებასთან მიმართების თვალსაზრისით ფრიად საინტერესო მასალას იძლევა ჩვენი მწერლის მხატვრული მემკვიდრეობა. მის ნაწერებში არა ერთგზის გვხვდება ხალხური ლექსების, ანდაზების და ლეგენდების ნიმუშები. დიდი მწერალი ფოლკლორულ მასალას იყენებდა ლექსებსა და პოემებში, მოთხრობებ-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 194.

სა და დრამატულ ნაწერებში, პუბლიცისტურ და საპოლემიკო თხზულებებში[1].

* * *

1887 წელსაა დაწერილი ილიას ცნობილი სტატია „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი". ჩვენი მწერალი „ვეფხისტყაოსნისა" და მისი ავტორისადმი ყოველთვის განსაკუთრებით სათუთ დამოკიდებულებას იჩენდა. ეს ფაქტი საგრძნობია აგრეთვე სამოციან-სამოცდაათიან წლებში გამოქვეყნებულ თხზულებებში, როგორც პუბლიცისტურ-საპოლემიკო წერილებში, ისე მხატვრულ ნაწარმოებებში. ოთხმოციან წლებში ილია ხანგრძლივად მოღვაწეობდა „ვეფხისტყაოსნის" გამოსაცემად ტექსტის დამდგენ კომისიაში. როგორც ცნობილია, ამ კომისიამ მოამზადა პოემის ტექსტი 1888 წლის გამოცემისათვის.

აკაკის ლექციებზე ილიას გამოხმაურება შემთხვევითი მოვლენა არაა. შეუძლებელია ესოდენ ვრცელი და საფუძვლიანი ნაშრომი ისე მოკლე დროში დაწერილიყო, როგორიც აკაკის ლექციებისა და ილიას წერილის თარიღებს შორის მოჩანს. ლექციები წაკითხული იყო 26-29 მარტს, ხოლო ილიას წერილი 18-21 აპრილს უკვე გამოქვეყნდა „ივერიაში"[2].

ყველაფრიდან ჩანს, რომ ილია „ვეფხისტყაოსანზე" წლობით მუშაობდა მისთვის ჩვეული სიღრმით. ინტერესს მოკლებული არაა ვიცოდეთ, რომ თვითონ ილიას განზრახული ჰქონია „ვეფხისტყაოსნის" საკითხებზე ლექცია წაეკითხა.

1884 წლის 13 ოქტომბერს გაზეთი „დროება" წერდა: შევიტყვეთო, რომ ილია ჭავჭავაძე ამზადებს „ვეფხისტყაოსანზედ" ლექციას, რომელსაც წაიკითხავს ან ამ ზამთარს ან ზაფხულის პირზედ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ. „თვით ლექციები თითქმის მზად არის დღესვე. ჩვენ გვგონია, რომ დიდად საინტერესო იქნება საზოგადოებისათვის აკაკისა და ილიას შეხედულებათა შედარება ჩვენს უკვდავ პოემაზედ და ვფიქრობთ, რომ ლექციების წაკითხვის გადადება დიდ-მარხვისათვის სრულიად მეტია; ბევრად უმჯობესი იქნებოდა, რომ ზამთრის პირშივე მოგ-

---

[1] ვრცლად ამ საკითხზე იხ. ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, წიგნი I, 1956 წ., გვ. 8-64.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 490. სარედაქციო შენიშვნები.

ვესმინა ილია ჭავჭავაძის აზრი ამ მუდამ ყოველთვის საყურადღებო საგანზე«[1].

ილიას „ვეფხისტყაოსანზე“ ლექცია არ წაუკითხავს. როგორც „დროება“ სამართლიანად აღნიშნავდა, ჩვენს მწერალს საკუთარი თვალსაზრისი გენიალური პოემის ძირითად საკვანძო საკითხებზე 1884 წელს „თითქმის მზად“ ჰქონდა. მიუხედავად ამისა „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემები ჩვენი ავტორისათვის კვლავ ფიქრისა და დაკვირვების საგნად რჩებოდა. მისი შეხედულებანი პოემაზე დროთა განმავლობაში თანდათან მწიფდებოდა და მწყობრი ხასიათისა ხდებოდა.

„ვეფხისტყაოსანზე“ ილია ჭავჭავაძის თანამიმდევრული აზრის შემუშავებას ისიც ხელს უწყობდა, რომ იგი 1883 წლის დამდეგიდან პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე გახდა. ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ მწერალი კიდევ უფრო ინტენსიურად აკვირდებოდა პოემის სიღრმეს და მას თავისი დიდი პოეტური გულითა და გრძნობით განიცდიდა.

უთუოდ ეს წინასწარი ხანგრძლივი დაკვირვება, ფიქრი და სჯა იყო საფუძველი იმისა, რომ ილიამ მოსმენილ ლექციებზე, რომლის წერილობითი ტექსტი ხელთ არ ჰქონია, მოკლე დროში ესოდენ ღრმა და საფუძვლიანი ნაშრომი დაწერა.

ილიას „ივერია“ აკაკის ლექციებს თავიდანვე ყურადღებით ეკიდებოდა. იგი რამდენიმე დღით ადრე დროდადრო ბეჭდავდა ცნობას ლექციების დანიშვნაზე, ხოლო პირველი ლექციის წაკითხვის შემდეგ მას გულთბილი სტრიქონები უძღვნა თავის ახალ ამბებში.

ილია ჭავჭავაძის წერილი „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია იმის შემდეგ, რაც აკაკიმ სამივე ლექცია წაიკითხა და ამ ლექციების თაობაზე საზოგადოებაში აზრი უკვე არსებობდა.

ილია აკაკის მიერ წაკითხულ ლექციებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი სრულიად დაჯერებული ამბობდა:

„წელს ერთი იშვიათი ამბავი ჩვენში ის მოხდა, რომ ბატონმა აკაკი წერეთელმა წაიკითხა საჯარო ლექცია რუსულად „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზედ. ეს აზრი, რომ რუსებსაც აცოდინოს კაცმა — რა ღირსებისაა იგი სულიერი განძი, რომელიც სამკვიდროდ და სასახელოდ უნდერძა ჩვენმა წარსულმა ჩვენს ერსა, — მეტად მოსაწონი აზრია და დიდი თანაგრძნობის და მადლობის ღირსიცაა ჩვენ მიერ“.

შესაძლებელია ითქვას, რომ რუსთაველის პოემის ძირითად სა-

[1] გაზეთი „დროება“, 1884 წ., № 221.

კითხებზე ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შეხედულებათა შორის წინააღმდეგობა არ არსებობს. მათი შეხედულებანი ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა „ვეფხისტყაოსნის“ ეროვნული ხასიათი, რუსთაველის ნასიბრძნის სისხლხორცეული კავშირი ქართველი ხალხის მთელს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან და პოემის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა, არსებითად ერთი და იგივეა.

ილიას სიტყვით, ქართული ეროვნული კულტურის საგანძურში რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ შედის როგორც უკვდავი პოეტური ქმნილება, რომელსაც „დიდი და პატარა, სრა-სასახლე და ქოხი, ასე ერთნაირად, ერთპირად შეჰხაროდა უწინ და შეჰხარის დღესაც, როგორც დიდს რასმე საუნჯესა, საშვილიშვილოდ საპატიოსა და ამ რვა საუკუნის განმავლობაში არ დაჭკნობილსა, არ გაბათილებულსა, არ დავიწყებულსა“[1].

ილიას წერილში განსაკუთრებით ხაზგასმულია რუსთაველის პოემის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. მისი აზრით, „მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომელიც ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან. ადამიანი ყველგან ყოვლთ უწინარეს ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოება“.

მსოფლიო ლიტერატურის მაგალითების მოშველიებით ილია ჭავჭავაძე ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გამოყვანილი გმირები ზოგადადამიანური ტიპები არიან. იგი ამბობდა:

„ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი მამაკაცნი და დედაკაცნი „ვეფხისტყაოსნისა“, ყველაზედ უწინარეს ადამიანები არიან და, მაშასადამე, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი“[2].

ილია, რუსთაველის პოეტური ოსტატობის ჩვენების მიზნით, ახასიათებდა პოემის გმირებს, ადარებდა მათ მსოფლიოში ცნობილ ლიტერატურულ ტიპებთან და დაასკვნიდა:

„კიდევ ვიტყვით, რომ ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი კაცად-კაცნი არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი. არც ერთი მათი მოქმედება, არც ერთი ეპიზოდი მათის ცხოვრებისა ძალად და განგებ ჩართული არ არის და ყოველივე იგი წარმომდგარია იმ კაცობრიულ ზოგად ბუნებისაგან, რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდება-

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 166.

2 იქვე, გვ. 169.

რება და არა სხვასა. ამაშია მთელი სიდიადე რუსთაველის გენიოსობისა"[1].

ილია ჭავჭავაძის წერილი „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსნისადმი" საზოგადოებრივი ინტერესის გაძლიერებისათვის, საერთოდ, მისი შემდგომი პოპულარიზაციისათვის.

ილია ჭავჭავაძის წერილი „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი" წმინდა მეცნიერული თვალსაზრისითაც ფრიად საყურადღებო დოკუმენტია. ჩვენი ავტორი ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც „ვეფხისტყაოსნის", როგორც ლიტერატურული ძეგლის, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას ღრმა და საფუძვლიანი მსჯელობით ამტკიცებდა.

ილია ჭავჭავაძე ოთხმოცდაათიან წლებში

ჩვენი მწერლის ცხოვრებაში ოთხმოცდაათიანი წლები აგრეთვე მრავალმხრივი და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობით აღინიშნება. 1892 წელს მან დაწერა აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილი წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე.

წერილებში თანამიმდევრობით განხილულია ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის მთელი რიგი საკვანძო საკითხები. აქ ლაპარაკია სხვადასხვა დროს საზოგადოებრივ სარბიელზე გამოსულ ლიტერატურულ თაობებზე და ცალკეულ მწერლებზე.

ბრძენი მოღვაწე გარკვევით მიუთითებს, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა ყოველთვის მაღალიდეური და პროგრესული იყო. იგი დაჯერებული წერს:

„ამ საკმაოდ დიდს მანძილზე არც ერთი ხანა ჩვენის ცხოვრებისა თითქმის არ ყოფილა იმისთანა, რომ ორი სახსენებლად ღირსი აზრი, ორი მიმართულება, ორი საქმე, ერთმანეთის მოპირისპირე, ერთმანეთს დასჯახებოდეს ცხოვრების მოედანზე ადგილის დასაჭერად, თუ სხვა რისთვისმე... ჩვენ ვერ ვიპოვით ერთსა და იმავე ხანაში იმისთანა სხვადასხვაობას აზრთა წყობისას და მიმართულებისას, რომ ცალ-ცალკე ბანაკებად გასვლა-გამოსვლას საზოგადო მოღვაწეებისას რაიმე საჭიროება წინ გასძღოლოდა"[2].

ილია ჭავჭავაძის აზრით მეცხრამეტე საუკუნის ყველა ლიტერატურულ თაობასა და ყველა მოწინავე მწერალს ერთნაირად აღელვებდა ცნობილი კითხვა: „ვინა ვართ და რანი ვართ". იქვე

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 176.

[2] იქვე, გვ. 201.

ისიცაა ნათქვამი, რომ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ყველა თაობა და ყველა მწერალი თავისებურად ცდილობდა.

დასახელებულ წერილებში ახალ ქართულ ლიტერატურაზე გადმოცემულია ილიას თვალსაზრისი მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი ერის! იდეური ცხოვრების, ანუ, როგორც თვითონ უწოდებდა, „მოაზრე ცხოვრების“ უმთავრეს და დამახასიათებელ მოვლენებზე. იგი დარწმუნებული ამბობდა, რომ ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან იწყება. მისი სიტყვით, საუკუნის პირველ ოცეულ წლებში, ჩვენს ქვეყანაში შექმნილი საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო, ქართული მწერლობა დაქვეითებული იყო. ილია წერდა:

„მეთვრამეტე საუკუნის ვაი-ვაგლახმა და მეცხრამეტის პირველ წლების წეწვა-გლეჯამ ჩვენი ერი მოჰლალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის-თავის იმედი დააკარგვინა. როცა შემთხვევა მიეცა, თავი თითქო მოსვენებას მისცა: გაუყუჩდა, და თითქმის ხმა-ამოუღებლივ დაემორჩილა ახლად მოვლენილს ბედსა და გარემოებას“.

ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შექმნილი ამგვარი ვითარების შედეგადაო, — ამბობდა ჩვენი მწერალი:— „ამ ხანაში ეხედავთ სრულს უკაცურობას. არც ერთს მხარეს ბუნებითად რთულ ცხოვრებისას მოღვაწე აღარ უჩანს. მოსწყდა ორკეცი დენა ცხოვრებისა და დაცარიელდა საზოგადო მომჭმედთა სარბიელიცა. რაკი წარსულსა და მაშინდელ აწმყოს შუა დედამიწა გაირღვა, წარსულ ანდერძებთან ერთად ყველაფერი დავკარგეთ. ისიც-კი დავივიწყეთ, — ვინა ვართ და რანი ვართ“[1].

ილია იქვე ხაზგასმით მიუთითებდა, რომ იმდროინდელ საქართველოში განსაკუთრებით მძიმე ატმოსფერო იყო როგორც იდეური, ისე პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. ბუნებრივია, რომ ერის მოაზრე და მოსაქმე ცხოვრების საერთო დაძაბუნების პირობებში ქართული ლიტერატურის ნორმალური განვითარებისათვის საფუძველი აღარ არსებობდა. ჩვენს მწერალს სწორედ ასე მიაჩნდა, რომ მეთვრამეტე საუკუნის მიწურულიდან მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე ქართული ლიტერატურული ცხოვრების ხაზი გაწყვეტილი იყო.

დროთა ვითარებაში ქვეყნის საერთო ცხოვრება თანდათან მშვიდდებოდა. ერი ახალ ვითარებას ძალაუნებურად ეგუებოდა, „ჩვენობა და უცხოობა“ ურთიერთშორის, გარეგნულად მაინც, თან-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 203-204.

დათანობით საერთო ენას პოულობდა, თუმცა „გულში-კი ერთმანეთთან ვერა ჰრიგდებოდნენ“.

კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში ხალხს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ერის გადარჩენისათვის ერთადერთი გზა შექმნილ მდგომარეობასთან შეგუება იყო და ისიც ამ გზას დაადგა. ილია ამ რთულ ისტორიულ მოვლენებს სწორედ ასეთი თვალსაზრისით უდგებოდა. იგი წერდა:

„ჩვენდა სანუგეშოდ, ამისთანა უქმად ყოფნამ, როგორც აზრისამ, ისეც საქმისამ, თავი დიდხანს ვერ შეინახა. ვერც შეინახავდა, იმიტომ რომ, რამოდენადაც ხანი მიდიოდა, იმოდენად ჩვენობა და უცხოობა თუმცა ერთმანეთს იშვნევდნენ, მაგრამ გულში-კი ერთმანეთთან ვერა ჰრიგდებოდნენ.

„ამ ამბავს, რა თქმა უნდა, აზრი უნდა დაეძრა ასე თუ ისე სამოქმედოდ, და ის უპასუხოდ დარჩენილი საკითხი: „ვინა ვართ და რანი ვართ“ — ხელახლად უნდა გამოსულიყო მოედანზე“[1].

ახასიათებს რა მეცხრამეტე საუკუნის მწერლობის დასაწყის პერიოდს, ილია ამბობს: „აქ პირველ-დაწყებითად ვრაცხთ ამ საუკუნის მწერლობის დასაწყისსა და გადავიწყებული არა გვაქვს წინა საუკუნეების ცოტად თუ ბევრად სახელოვანი მწერლობა, რომელიც თითქმის მეთვრამეტე საუკუნედან შესწყდა ამ საუკუნის ოცდაათიან წლებამდე“[2].

ჩვენი მწერლის აზრით, იმ სიძნელეების გამო, რომელიც ქართველი ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან შეიქმნა, ქართული მწერლობა დაეცა. იგი ამ პერიოდში იმდენად სუსტია, რომ ვერც ძველი ქართული ლიტერატურის ბუნებრივ გაგრძელებად ჩაითვლება და ვერც ახლის დასაწყისად. ქართული მწერლობის გამოცოცხლება, ხელახლად ფეხის ადგმა მხოლოდ ოციანი წლების მიწურულიდან ხდება.

მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან ხელახლად ფეხადგმული ქართული მწერლობა, ილიას აზრით, თანდათანობით ზრდისა და მატების გზით მოდის. წინსვლისა და განვითარების გზაზე ახალ ქართულ ლიტერატურას მოეპოვება მკაფიოდ გამოხატული ამაღლების საფეხურები.

პირველი საგულისხმო შენამატი ახალმა ქართულმა მწერლობამ მიიღო ორმოცდაათიანი წლების ეპოქაში, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ გიორგი ერისთავი, ზურაბ ანტონოვი, ვახ-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 205.

[2] იქვე, გვ. 207.

ტანგ ორბელიანი და რაფიელ ერისთავი. აქ დასახელებულ მწერალთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის საერთო (ზოგადი) დახასიათების შემდეგ ილია დასკვნის სახით ამბობდა:

„ამ გზით და ამ ყოფით იზრდებოდა ჩვენი აზრი, თან-თან გაძლიერებული და მატებული, როგორც ვნახეთ. ამ სიგრძე-სიგანით, ამ სიღრმე-სიმაღლით მოაღწია მან სამოციან წლებამდე“[1].

ილია ჭავჭავაძე მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის წინსვლა-განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამაღლებას ხედავს სამოციანი წლების ეპოქაში. „თვალნათლად დასანახია, — წერს იგი, — რომ სამოციან წლებში ახალი ხანა დაწყებული იქნა“. წერილების მომდევნო ნაწილში ჩვენი ავტორი ლაპარაკობს უმთავრეს იდეურ-თემატიკურ სიახლეებზე, რომელნიც სამოციანელთა თაობამ ქართულ მწერლობაში შემოიტანა.

ილიას სიტყვებიდან მკითხველი სრულიად ნათლად გრძნობს, რომ სამოციან წლებში ქართულ ლიტერატურაში წარმოშობილი სიახლენი დიდად მნიშვნელოვანია, მაგრამ ავტორის თანამიმდევრული მსჯელობით იგივე მკითხველი სრულიად ბუნებრივად რწმუნდება, რომ „აქ ზრდაა, მატებაა აზრისა, გონების თვალთახედვის გაგანიერება, განდიდება, გაძლიერება, და არა ჰიდილი და ბრძოლა“ წინამორბედ ლიტერატურულ თაობასთან.

ქართველ სამოციანელთა ბუნებრივი კავშირი წინა ეპოქის ლიტერატურულ ცხოვრებასთან კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება ილია ჭავჭავაძის მსჯელობაში ახალი ქართული მწერლობის ძირითად იდეებზე, თემატიკასა და მოტივებზე. იგი აღნიშნულ საკითხებსაც მისთვის დამახასიათებელი ისტორიული თანამიმდევრობით განიხილავს.

მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში, ილია ჭავჭავაძის აზრით, ქართული მწერლობისათვის ფართო საზოგადოებრივი ინტერესები დამახასიათებელი არ ყოფილა. იგი „შინაურობაში იბადებოდა და ისევ შინაურობის მოკლე წრეში ტრიალებდა“. ამის მიზეზი ის იყო, რომ „მაშინ არც ჟურნალ-გაზეთობა იყო, არც ჩვეულობა ცალკე წიგნად ბეჭდვისა“.

ოცდაათიანი წლების ქართული მწერლობა, პირველ ხანებში, როდესაც იგი არის „უფრო თავშესაქცევარი, ვიდრე გარჯით მკვლევარი“, სიყვარულისა და ტრფიალების მოტივს ავითარებს. ეს მო-

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 224.

ტიკი დამახასიათებელია როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძის, ისე გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისათვის.

ჩვენი მწერალი იქვე მიუთითებს, რომ ქართული რომანტიზმის ამ საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედებაში თანდათან ფეხს იკიდებს და ვითარდება „მოქალაქური გულისტკივილი“. სწორედ ამგვარი გულისტკივილის გამომხატველად მიაჩნია ილიას რომანტიკოს პოეტთა მიერ სოციალურ და ეროვნულ მოტივებზე დაწერილი თხზულებები.

სახელოვანი მწერალი განიხილავს ალექსანდრე ჭავჭავაძის ცნობილ ლექსს „ვაჭ სოფელსა ამას“ და იგი დაჯერებული ამბობს: „ამ ტკბილ მთქმელსაც საყოველთაო უნუგეშ-ყოფამ მაშინდელის დროისამ წარმოათქმევინა ერთგან თვისი სამძიმარი, საცა ისმის ეგრეთ წოდებული „მოქალაქური გულისტკივილი“ მის გამო, რასაც გულში იმალავდა მაშინდელი ცხოვრება“.

ილიას მოაქვს ლექსის „ვაჭ სოფელსა ამას“ ერთი დამახასიათებელი ნაწყვეტი: „ძალი დავალს ღიმით ნაქცევთა ზედა, სად სიმართლე მისგან შენარაზედა, მის ყვავილთა ფერხით ლახავს გზაზედა“... და კრიტიკოსი თავის საკუთარ დასკვნასაც გვაწვდის:

„ეს ძალა, რომ ღიმით დადიოდა ნაქცევთა ზედა და ფეხით ჰლახავდა გზა-და-გზა სიმართლის ყვავილსა, რომელნიცა სჭკნებოდნენ შდაბალთ ჩავრით, მტაცებლობით და ხვეჭით, — ნათელი სურათია მაშინდელი ყოფა-ცხოვრებისა. პოეტი უჩივის ამ ყოფას და უქადის, რომ დრო მოვა და სხვა იქნებაო“[1].

ილია ჭავჭავაძე თავის წერილებში ასევე მაღალ შეფასებას აძლევს გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებას. მისი სიტყვით, „პირველ ხანებში ალ. ჭავჭავაძის გზას დაადგა გრ. ორბელიანიცა. ხოლო იმავე დროს პირველმან ამან მიგვახედა ჩვენ მიერ მივიწყებულ წარსულს“.

ილია თავისი წერილების ამ ნაწილში მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გრიგოლ ორბელიანმა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში ძლიერად აიმაღლა ხმა ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. იგი განიხილავს გრიგოლ ორბელიანის ლექსს „იარალის“ და დაასკვნის:

„თითქო იგრძნოო, რომ უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, თავ-გაუტანელი, ფეხ-მოუკიდებელი, მართალიც არის: აწმყოს, რომელსაც წარსული არა აქვს, არც მომავალი აქვს, იმიტომ, რომ, ერთის მეცნიერისა არ იყოს, — „აწმყო, შობილი წარსულისაგან,

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 208.

არის მშობელი მომავალისა". უწარსულოდ იგი უფესვ-უშტოა, რადგანაც ერთის მხრით უდედ-მამოა და მეორეს მხრით უშვილო. დიაღ, მან პირველმან შეჰკვნესა ჩვენს დავიწყებულს წარსულს:

წარსულთა დროთა, დიღების დროთა,
ყოველი კეთილი თანა წარიღესი".. [1]

გრიგოლ ორბელიანის, როგორც კეთილშობილური პატრიოტიზმით შთაგონებული დიდი პოეტის, დახასიათება გრძელდება ილიას წერილების იმ ნაწილში, რომელშიც ავტორი სამოციანი წლების ეპოქაზე გვესაუბრება.

მისი თქმით, სამოციან წლებში ყოვლის უწინარეს სიტყვა „მამული" გამობრწყინდა „მთელის თავისის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა".

ჩვენი მწერალი სრულიად გარკვევით მიუთითებს, რომ სამოციანელთა მიერ აღდგენილმა მამულიშვილობის გრძნობამ ძველი თაობის მწერლებიც მიიზიდა და ახალი თაობის მიერ გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში ჩააბა. სწორედ ეს მწერლები ჰყავს მხედველობაში ილიას, როცა იგი ამბობს:

„საოცარი ის არის, რომ ამ დროებამდე ჩვენდა სანუგეშოდ მოღწეულთა ძველთა მწერალთა, ის მათთვის უცნობი და ახალი ქროლა ჩვენის აზრიანობისა არა იუარეს, არ იუცხოეს. პირიქით, მთელის თავის ძალ-ღონით მიეცნენ ამ ახალს მდინარეობასა, დროთა ჩაძახილს ღირსეულ მობანედ გამოუჩნდნენ და ახალთან ერთად ძმურად იღვაწეს ამ მიმართულების გასაძლიერებლად"[2].

ასე დაახასიათა ბრძენმა ილიამ ძველი თაობის ერთი ჯგუფი, რომელიც ახალ თაობას მხარში ამოუდგა და მასთან ერთად იღვწოდა. იქვე, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ უკვე დასახელებულია გრიგოლ ორბელიანი, როგორც ძველი თაობის მწერალთაგან რჩეული მოღვაწე. იქ ნათქვამია:

„სიყვარულმა მამულისამ, სამშობლო მიწისამ, აღფრთოვანებულმა სამოციან წლებში, სულით და გულით მიიზიდა პოეზია გრ. ორბელიანისა, და ამ სიყვარულის გასაღვიძებლად და დასანერგად ახლებთან ერთად არა ერთი და ორი უთქვამს თავის მშვენიერის ლექსითა. მამულის-შვილობას გრ. ორბელიანმაც შთაბერა იგი ღონიერი სული, რომელმაც, როგორც სამოციან წლებში, ისეც

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 209.

[2] იქვე, გვ. 226.

მერმე, ჩვენს პოეზიას განსაკუთრებული მიმართულება დაუნიშნა"...[1]

* * *

ილია თავის წერილებში შედარებით ვრცლად ჩერდება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობაზე. იგი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილიც „უგალობდა სიყვარულს და ტრფიალებას, როგორც ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო სულის მშვენიერებას ჰხადიდა ტრფიალების საგნად, ვიდრე ხორციასა"[2].

ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ ეროვნული თავისუფლების მოტივზე დაწერილ თხზულებათაგან ილია საგანგებოდ იხსენიებს პოემას „ბედი ქართლისა". იგი მოხიბლულია მეფე ერეკლესა და სოლომონ მსაჯულის უკვდავი სახეებით. ილია წერს:

„ის დიდებული სახე მეფე ერეკლესი და არა ნაკლებ დიდებული სურათი სოლომონ მსაჯულისა, გამოხატულები „ქართლის ბედში" იმ განწირულების დროს, როცა საქართველოს ბედი სწყდება. ბევრს საგულისხმოს რასმე გვეუბნება და ქართველის ამომშრალს გულში ბევრს ნამს ნატვრისას და ნანვისას აწვეთებს".

„ოთარაანთ ქვრივის" ავტორი ასევე დიდებით იხსენიებს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში გამოყვანილ სოფიოს. ამ ქალის სახით ნიკოლოზ ბარათაშვილმა მაშინდელ ქართველ ღირსეულ დედებს უკვდავების ძეგლი აუგოო, — ამბობს ილია.

დაბოლოს, ილია ჭავჭავაძე უყურადღებოდ არ ტოვებს არც იმ ფაქტს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილმა აღიარა საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული გარდუვალობა, მაგრამ იგივე ბარათაშვილი მეფის რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რეჟიმისადმი ბოლომდე შეურიგებელი დარჩა. სახელოვანი მოღვაწე ამბობს:

„თუმცა ბოლოს, როცა თვისი მამული დამშვიდებული ნახა და მტერთაგან უშიშარი, შეიფერა მის მიერ ეგრეთ წოდებული „ახალი ქართლი" და მის ყოფა-ცხოვრებას თითქოს შეურიგდა, მაგრამ ესეც-კი მისი ნათქვამია:

რა ხელთ ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?"[3].

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 228.
[2] იქვე, გვ. 211.
[3] იქვე, გვ. 220.

ილიას წერილებში განსაკუთრებით ხაზგასმულია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის ზოგადადამიანური ხასიათი. მისი თქმით, ბარათაშვილი თავისდროინდელ ქართულ ლიტერატურაში „ერთადერთი მწერალია, რომელიც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლივ ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალგადუწვდენელს სფეროში“, რომელსაც ზოგადსაკაცობრიო ეწოდება.

ილია ნიკოლოზ ბარათაშვილს არა ერთგზის ადარებს ალექსანდრე ჭავჭავაძეს და გრიგოლ ორბელიანს. ერთ შემთხვევაში კი, როცა „მერანის“ ავტორის საერთო პოეტურ ძალასა და ღირსებაზე მსჯელობს, იგი წერს:

„იგი მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ, რომ მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო. საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა“ [1].

ილიას საინტერესო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ხმა იდუმალი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ვპოვე ტაძარი“, „მერანი“, „სულო ბოროტო“ და სხვებზე.

„მერანში“ პოეტურად ხორცშესხმული ზოგადსაკაცობრიო იდეა ბედისწერასთან შეურიგებელი ბრძოლისა, ილიას აზრით, ნიკოლოზ ბარათაშვილს მსოფლიოში საყოველთაოდ სახელმოხვეჭილი მწერლების გვერდით აყენებს. იგი წერს:

„აშკარაა, საზღვარ-დადებული სიგრძე-სიგანე ადამიანის აზრიანობისა ჩვენის პოეტის „სულის კვეთებას“ ვერ იტევს. მას სწყუროს ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი „შავად მღელვარე ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კაინმა ამისთვის ლუციფერი აიჩინა, გეტეს ფაუსტმა — მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა — თავისი „მერანი“, ესე იგი თავისის სულის ქროლა. ამ სახით, იგი ჰთაკილობს დაემორჩილოს ბედს, რომელსაც ადამიანის გონებისათვის საზღვარი დაუდვია“[2].

ილია ასევე ზოგადსაკაცობრიო გრძნობათა და მისწრაფებათა გამოხატულებას ხედავს ნიკოლოზ ბარათაშვილის მთელ რიგ ლექ-

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 211.

2 იქვე, გვ. 215.

სებში. მისი სიტყვით, ნიკოლოზ ბარათაშვილი, საზოგადოდ, თავისი ფიქრების პასუხს ეძებდა „მარტო თავის გულში კი არა, მთელის კაცობრიობის გულში“.

ილია ჭავჭავაძემ პირველმა აღიარა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ღრმად ეროვნული ხასიათი და იმავე დროს აჩვენა მისი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. ამით მან ზუსტად განსაზღვრა „მერანის“ ავტორის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკის მიმოხილვის დასკვნით ნაწილში ჩვენი კრიტიკოსი ამბობდა:

„ამ სახით, ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა. კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“. იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ ცხადყოს ნიკოლოზ ბარათაშვილის, როგორც უბადლო ლირიკოსი პოეტის, განსაკუთრებული ადგილი ახალი ქართული მწერლობის ისტორიაში, ილია სავსებით დაჯერებულ წერს:

„ამ მიმართულებას ჩვენის აზროვნებისას ნ. ბარათაშვილის შემდეგ არც ერთი მწერალი აღარა ჰყოლია ჩვენში და, სწორედაც რომ ესთქვათ, ბაირონები, ლერმონტოვებიც, მარტონი არიან და მემკვიდრეებს იშვიათად სტოვებენ, რადგანაც ტვირთი მათებრ კაცების მემკვიდრეობისა „არ არს სუბუქ“[1].

ილია იმავე წერილებში (მეხუთე წერილის დასაწყისში) კვლავ იხსენიებს „მერანის“ ავტორს და ამბობს: ნიკოლოზ ბარათაშვილს ქართულ მწერლობაში „არც წინამორბედი ჰყავს, არც უკან მიმდევი“.

როგორც ვხედავთ, ილიას ახალი ქართული ლიტერატურის დამწყებად მიაჩნია ის თაობა, რომელსაც ისტორიამ რომანტიკული სკოლის სახელი დაუმკვიდრა. მისი დებულებებიდან ალექსანდრე ჭაღჭაღაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითს მემკვიდრეობაზე მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელია დასახელებული სამი მწერალი ერთად და არა რომელიმე მათგანი განცალკევებულად წარმოდგენილი.

* * *

ილიას თავის წერილებში საგულისხმო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ეპოქის

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 219.

ქართულ ლიტერატურაზე. კრიტიკოსი აღნიშნავს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ორმოცდაათიან წლებში, როდესაც სახელმოხვეჭილ რომანტიკოსთაგან ცოცხალი მხოლოდ გრიგოლ ორბელიანი იყო, სალიტერატურო ასპარეზზე თითქმის ერთდროულად გამოჩნდნენ გიორგი ერისთავი, ზურაბ ანტონოვი, რაფიელ ერისთავი და ვახტანგ ორბელიანი.

გიორგი ერისთავის როლს ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში ილია ორი მიმართულებით აფასებდა: ერთი, როგორც საზოგადო მოღვაწისას და მეორე — როგორც მწერლისას. იგი გიორგი ერისთავის პრაქტიკულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ჟურნალ „ცისკრის" გამოცემას და მუდმივი ქართული პროფესიული თეატრის აღდგენას.

გიორგი ერისთავის „ცისკრის" მნიშვნელობაზე ქართულ მწერლობაში ილია გადაჭრით მიუთითებდა, რომ „ამით ღონისძიება მიეცა ჩვენთა აზრთა დენას შინიდამ გამოსულიყო საქვეყნოდ და მწყურვალისათვის აზრთა წყარო ესმია".

მართალია, გიორგი ერისთავის „ცისკარმა" სულ ორიოდე წელი (1852-1853) იარსება, მაგრამ ამ ჟურნალმაო, — ამბობდა ილია: — „თითქმის აკვნობა გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად, ისეთი ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენასა"[1].

გიორგი ერისთავის დამსახურებაზე ახალი ქართული თეატრისა და დრამატურგიის განვითარების საქმეში ილია წერდა:

„მეორე ღვაწლი გ. ერისთავისა ის იყო, რომ შეჰქმნა ქართული თეატრი და სათეატრო მწერლობის მამამთავრად მოგვეევლინა. ამით მარტო სიყვარულის და ტრფიალების მორევში მოარული გული ჩვენი და მარტო განლტოლვილ ფიქრებში წასული ჩვენი გონება ჩვენს შინა-ცხოვრებას დააკვირვა, მიახედა. მისი „გაყრა" ამისი მაგალითია".

ილია მაღალ შეფასებას აძლევდა გიორგი ერისთავის პოეზიას. იგი გ. ერისთავს აღიარებდა როგორც პირველ ქართველ პოეტს, რომელმაც თავის ზოგიერთ ლექსსა და პოემაში „სატირის მახვილი შეიტანა". მას სატირული ხასიათის ნაწარმოებებად მიაჩნდა გიორგი ერისთავის პოემა „შეშლილი" და კიდევ რამდენიმე ლექსი, რომელთაც იგი, სამწუხაროდ, არ ასახელებს. ილია წერდა:

„გ. ერისთავი, როგორც პოეტი, იმითია შესანიშნავი, რომ ჩვენს

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 221.

პოეზიას ჩაუმატა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას“ ეძახიან და რომელიც ზოგჯერ გამოსაკეთებლად აწყლულებს ხოლმე იმას, ვისაც კი დაეძგერება და სხვას კი ყოველთვის აფრთხილებს. მის მიერ სასაცილოდ აგდებული ჩვენი თბილისის მაღალი საზოგადოება „შეშლილში“ და თითო-ოროლა წვრილი ამავე თვისებისა ლექსი ზემოთქმულის მოწამენი არიან“[1].

* * *

წერილების იმავე ნაწილში ილია ჭავჭავაძე რაფიელ ერისთავის შემოქმედებაზეც მსჯელობს. ჩვენი კრიტიკოსი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ რაფიელ ერისთავი სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა ორმოცდაათიან წლებში და „ამანაც, როგორც თითქმის ყველა ჩვენმა პოეტმა, მიართვა პირველ ხანებში თვისი ხარკი სიყვარულსა და ტრფიალებას“.

ილია ყურადღებას ამახვილებს რაფიელ ერისთავის იმ ლექსებზე. რომელნიც ორმოცდაათიანი წლების ბოლოს არის დაწერილი. მისთვის ეს ლექსები განსაკუთრებით საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მათში, პირველად ქართულ პოეზიაში, ბატონყმური მონობის მძაფრი კრიტიკაა მოცემული.

სახელოვანი მწერალი განიხილავს რაფიელ ერისთავის ლექსს „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ და დაასკვნის: „ეს პირველი ხმა იყო ჩვენში სამწედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის. რაფიელ ერისთავამდე ეს მწვავი ჩივილი ყმობით გაუპატიურებულ ღმრთის კერძო ადამიანისა არავის გაუთვალისწინებია, არავის უკითხავს თავის-თავისათვის ეს მართლადა ჰეინესი არ იყოს „დაწყევლილი საკითხი“: ერთის ნაშობს მეორე რად ჰბატონობს, „ვისი უპყრია ძალი“?

ილია უფრო ვრცლად განიხილავს რაფიელ ერისთავის ლექსს „მთხოვარა გლახაკი“ და აქ უკვე, დასკვნის სახით, რაფიელის პოეტური შემოქმედების საერთო დახასიათებასაც გვაწვდის. იგი ამბობს:

„ამ სახით ვხედავთ, რომ რაფიელ ერისთავმა პირველმა დაჰძრა ენა ადამიანის გაუპატიურებულ ღირსებისათვის და ჩამოაგდო სიტყვა ადამიანურ დატყვევნილ უფლების აღსახსნელად და აღსადგენად“[2].

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე ახალ ქართულ მწერლობაში, მისი

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 222.

[2] იქვე, გვ. 224.

წარმოშობიდან მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებამდე მუდმივ წინსვლას, ზრდასა და ამაღლებას ხედავდა.

სწორედ ასეთი წინსვლისა და აღმავლობის გზით „თან-თან გაძლიერებული და მატებული“ ახალი ქართული მწერლობა მოდის მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებამდე. სამოციანი წლებიდან კი ქართული ლიტერატურის ისტორიაში იწყება ახალი ხანა, რომელიც წინა ეპოქებთან შედარებით კიდევ უფრო ამაღლებულია, „უფრო დასრულებულია, უფრო ტანადოვანია“.

* *

წერილების უკანასკნელ ნაწილში ილია სამოციანი წლების ქართული მწერლობის საერთო დახასიათებას იძლევა. იგი სამოციანი წლების ლიტერატურული ცხოვრების მაინცდამაინც ვრცელ მიმოხილვას არ გვაწვდის.

„ჩვენდა საბედნიეროდ, — ამბობს ილია, — იძულებულნი ვართ ეს სამოციანი წლები და მათდა შემდეგნი დრონი ერთს საერთო ფარგალში მოვაქციოთ. მიზეზი ის არის, რომ თხზულებანი ორმოცდაათიან წლების შემდეგ მოღვაწეებისა ერთად შეკრებილი არ მოგეძეებაო“[1].

ილია ჭავჭავაძე სამოციანი წლების ქართულ ლიტერატურას უმთავრესად იდეურ-თემატიკური თვალსაზრისით ახასიათებს. დიდი მწერლისა და მოაზროვნის მიერ ამ საკითხებზე გამოთქმული მოსაზრებანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი ქართული მწერლობის მეცნიერული ისტორიისათვის.

ილიას განმარტებით, სამოციანი წლების ეპოქის მწერლობამ განსაკუთრებით გაამახვილა ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივები. ეროვნული მოტივის თაობაზე იგი ამბობდა:

„სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავისის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც-კი რაიმე ნიშან-წყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებულ მადლისა და ჯალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდეღა დააქვეითა და დაამდაბლა“[2].

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 224.

2 იქვე, გვ. 225.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ თავის ირგვლივ შემოიკრიბა ყველა მწერალი და საზოგადო მოღვაწე — როგორც ახალი, ისე ძველი თაობისა. „ზოგი წარსულით გვინათებდა ამ საკითხს, ზოგი აწმყოს განკითხვითა, ზოგი მერმისის გამოსახვითა“.

ილია თავის წერილებში საგანგებოდ მიუთითებდა იმაზე, რომ ეროვნული თავისუფლების იდეას, სამოციანელებთან ერთად, გულწრფელად გამოეხმაურნენ აგრეთვე წინა ლიტერატურული თაობის მოღვაწეები. იგი ამგვარ მწერალთა შორის ყველაზე პირველად გრიგოლ ორბელიანს ასახელებდა და მის პოეტურ მოღვაწეობას ფრიად მაღალ შეფასებას აძლევდა. ეროვნული თავისუფლების იდეისათვის მოღვაწე მწერალთა შორის, სამოციანელებთან ერთად, ილია ქებით იხსენიებდა აგრეთვე ვახტანგ ორბელიანს.

როგორც ვიცით, ილიამ ვახტანგ ორბელიანი პირველად იმ მწერალთა შორის დაასახელა, რომელნიც ასპარეზზე მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გამოვიდნენ. მაგრამ ილია იქვე ამბობდა, რომ ვახტანგ ორბელიანმა, როგორც პოეტმა, საზოგადოების ყურადღება არსებითად სამოციანი წლებიდან მიიპყრო. ახლა კი, როდესაც სამოციანი წლებისა და მისი მომდევნო ეპოქის ლიტერატურული საქმიანობის შედეგებს ახასიათებს, ილია ვ. ორბელიანის მოღვაწეობასაც მაღალ შეფასებას აძლევს. იგი წერს:

„სამოციან წლებში გამოსულთ მწერალთა დაიწყეს გახსენება წარსულისა და ჩაუდგეს ქვა-კუთხედი იმ ხიდს, რომელიც ჩასტყდა წარსულსა და აწმყოს შუა, და რომლის ხელახლად გადებას სცდილობს დღევანდელი დღე, მაგრამ ისე სულით და გულით არავინ მისცემია ამ წარსულის ნატვრას და სიყვარულს, როგორც ვახტანგ ორბელიანი. ამისთანა ერთგული მოყვარეც წარსულისა საჭიროა იქ, საცა იგი დავიწყებულია, იმიტომ, რომ ერის დაცემა იწყება იქიდამ, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა“[1].

ილია ჭავჭავაძის ეს შეფასება ნათლად განსაზღვრავს ვახტანგ ორბელიანის, როგორც რომანტიკოსი პოეტის, ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

* * *

ილია ჭავჭავაძემ პირველმა აღიარა და დაასაბუთა, რომ სამოციანელთა თაობა უწინაპრო არც სოციალური თავისუფლების იდე-

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 231.

ის განვითარებაში ყოფილა. მართალია, არა სისტემის, არამედ ცალკეული მაგალითების სახით, მაგრამ სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივი წინა თაობების წარმომადგენელთა შემოქმედებით მემკვიდრეობაშიც მოიპოვება. ამ მაგალითების კვლევაძიებით და მათზე ყურადღების გამახვილებით ავტორის მიზანია ახალი ქართული მწერლობის უწყვეტი თანამიმდევრობა, მისი იდეური ზრდისა და ამაღლების ისტორიული პროცესი აჩვენოს.

ილია ჭავჭავაძე თავის წერილებში, როგორც ვნახეთ, ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების მიმოხილვისას შედარებით ვრცლად ჩერდება პირველი ქართველი რომანტიკოსის ცნობილ ლექსზე „ვაჰ სოფელსა ამას". „გლახის ნაამბობის" ავტორი თავისი მსჯელობის დასკვნით ნაწილში, გადაჭრით აღიარებს ამ ლექსის თავისებურ კავშირს სამოციანელთა იდეურ სამყაროსთან. იგი წერს:

„თუ ეს ცალკე მაგალითები მოვიყვანეთ მამულის-შვილურ გულისტკივილისა, მარტო იმისათვის, რომ ვნახოთ, — მაგისთანა გულისტკივილს, მერე სამოციან წლებში ეგრე გაძლიერებულს ჩვენს მწერლობაში, სათავე სადა ჰქონია და მცირე ნაკადულად გამონაწური მერე როგორ გაზრდილა და უმატნია".

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე სოციალურ-კლასობრივი მოტივის პირველ საგულისხმო ჩანასახებს ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მწერლობის დასაწყისში ხედავდა. ორმოცდაათიანი წლების ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში, სახელდობრ, გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის დრამატურგიული მემკვიდრეობის დახასიათებისას, ილია უკვე ამბობდა:

„მართალია, მისი (გიორგი ერისთავის — ა. მ.) კალამი უფრო სათავადიშვილო არემარეში ატარებდა ჩვენს გონებას, მაგრამ მისგანვე ფრთაასხმულმა ანტონოვმა, რაკი იგრძნო, რომ მე ჩემი საკუთარი ფრთები მასხიაო, თავის ოსტატს გაასწრო, მის ვიწრო მოედანს ღობეები შორს გაუდგა, სარბიელი გაუდიდა და ეგრეთ-წოდებული მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ავ-კარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა. მისი „მზის დაბნელება", „ხევსურთა ქორწილი", თუ ყოველ ამის სრული სურათი არ არის, მწერლობის ამ მხრივ მიმართულების მაგალითი ხომ არის და არის"[1].

ილია სამოციან წლებამდე ქართულ ლიტერატურაში სოციალური მოტივის განვითარების თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობას ანი-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 222.

ჭებდა რაფიელ ერისთავის პოეზიას. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იგი საგანგებოდ ასახელებდა რაფიელის ლექსს „მთხოვნელი მსაჯულისადმი“. სწორედ ამ ლექსთან დაკავშირებით მწერალი ამბობდა:

„ჯერ ბატონყმობის [გადავარდნის] ჩუჩუნიც არსად იყო, რომ კაცთმოყვარემ გულმა პოეტისამ იგრძნო უსამართლობა მისი და ყმა-დედა ახვენა მსაჯულთან: „სხვა რად ჰბატონობს ჩემსა ნაშობსაო, შვილი ჩემია და ბატონმა წამართვა, მიბრძანე: „ვისი უპყრია ძალიო“[1].

ჩვენი ავტორი სამოციანელთა თანამებრძოლ მწერალთა შორის ქართველ რომანტიკოსთაგან აქაც განსაკუთრებით იხსენიებს გრიგოლ ორბელიანს, რომელიც თერგდალეულთა ეპოქაშიც ნაყოფიერ პოეტურ მოღვაწეობას ეწეოდა. ილია წერს:

„ფხიზელმა პოეტურმა ალღომ გრ. ორბელიანისამ არც იქ იმტყუვნა, აქამომდე დამალულ წყლულსა საზოგადოებურ სატკივრისას, სამოციან წლებში გამოქვეყნებულს, თავისებური შუქი მიაფინა. თავისებურს ვამბობთ იმიტომ, რომ მუშა, სამოციან წლებში პირველ-წამოყენებული, უფრო ხორციელების უნუგეშობას უჩივის, და გრიგოლ ორბელიანის ბოქულაძე კი ჰკვნესის სულიერობის შევიწროებისათვის. იქ ხორცი მტკივნეულობს, აქ სული იდაგვიწვის უნუგეშ-მყოფელობისაგან“.

ილია ასახელებს გრ. ორბელიანის მიერ სამოციან-სამოცდაათიან წლებში დაწერილ ცნობილ ლექსებს: „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“, „გინდ მეძინოს“, „მუშა ბოქულაძე“ და აღნიშნავს, რომ მდაბიოთა [ტვირთმძიმეთა] ყოფის გამოხატვის თვალსაზრისით ეს ლექსები „თითო-თითო პოემად ღირს“[2].

გრიგოლ ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობის ილიასეული შეფასება მთელი სისრულით არკვევს სახელოვანი რომანტიკოსის ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის წერილებში ავტორისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი სიღრმით განხილულია მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის როგორც ზოგადპრობლემური, ისე ცალკეული მწერლების მემკვიდრეობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. ამიტომაც ქართული ლიტერატურის მეცნიერული ისტორია ამ წერილებს გვერდს ვერ აუვლის.

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 223.

[2] იქვე, გვ. 230.

* * *

იმავე 1892 წელს ქართველთა გამომცემელმა ამხანაგობამ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოთხტომეული გამოსცა. ეს გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო როგორც ავტორის, ისე ქართველი ერის კულტურული ცხოვრების ისტორიაში. ამ გამოცემით მკითხველმა პირველად ნახა ერთად თავმოყრილი ჩვენი მწერლის მიერ ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში შექმნილი მხატვრული მემკვიდრეობა.

ილია ჭავჭავაძე ავტობიოგრაფიაში წერს:

„ქართველთა გამომცემელმა ამხანაგობამ დაიწყო ბეჭდვა ჩემის ნაწერებისა და დაბეჭდა მხოლოდ 4 ტომი. ვარაუდით კი ათი-თორმეტი ტომი უნდა დაებეჭდა. დაბეჭდილ 4 ტომში მოჰყვა ლექსები, მოთხრობანი, ამბები და სცენები“.

ოთხტომეულის პირველ ტომში დაბეჭდილია ილიას ორიგინალური ლექსები და პოემები. იქვე მოთავსებულია პუშკინის, ბაირონის, ჰაინეს, გოეთეს, ლერმონტოვის, რიუკერტისა და ანდრე შენიეს პოეტურ თხზულებათა ილიასეული თარგმანები.

თხზულებათა კრებულის მეორე ტომში შესულია ილიას პროზაული ნაწარმოებები: „მგზავრის წერილები“, „გლახის ნაამბობი“ და „კაცია, ადამიანი“.

ოთხტომეულის მესამე ტომში დაბეჭდილია ილიას თხზულებები: „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“, „სარჩობელაზედ“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ და „ამბავად გაგონილნი“. იქვეა ი. ტურგენევისა და ალფონს დოდეს ნაწარმოებთა ილიასეული თარგმანები.

თხზულებათა კრებულის მეოთხე ტომში, რომელიც ორი წიგნისაგან შედგება, დაბეჭდილია ფრანგი მწერლის ბუვიეს ცნობილი რომანი „იზა“, თარგმნილი ილია ჭავჭავაძისა.

ამრიგად, ქართველთა ამხანაგობის მიერ 1892 წელს გამოცემული ოთხტომეული ილიას მთელ მხატვრულ მემკვიდრეობას, როგორც ორიგინალურს, ისე თარგმანებს მოიცავს.

* * *

ილია ჭავჭავაძის ცხოვრების მომდევნო წლებიც კვლავ ნაყოფიერი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობით ხასი-

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი IX, 1957 წ., გვ. 313.

ათდება. იგი მთავარი ინიციატორი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენებისა.

1892 წლის ოქტომბერში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ, ილიას მოხსენების საფუძველზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება დაადგინა. 1893 წლის 25 აპრილს უდროოდ დაღუპული მგოსნის ნეშტი უკვე თბილისში მოასვენეს.

გადმოსვენების წინა პერიოდში, რამდენიმე კვირის მანძილზე, თბილისურ ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საისტორიო მასალები, მოგონებები და წერილები.

გადმოსვენების დღეებში ზაქარია ჭიჭინაძემ გამოსცა თექვსმეტგვერდიანი წიგნაკი „თავადი ნ. ბარათაშვილი“. წიგნაკის პირველ რვა გვერდზე მოთავსებული იყო კონსტანტინე მამაცაშვილის მიერ დაწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფია, რომელიც 1881 წლის 29 სექტემბრით არის დათარიღებული. წიგნაკის მეორე ნაწილში (გვ. 9–16) დაბეჭდილია ლექსები: „სულო ბოროტო“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „მერანი“, და „ფიქრნი მტკვრის პირას“.

25 აპრილს თბილისის სადგურის მოედანი და მახლობელი ქუჩები ხალხს ვერ იტევდა. „გაისმა რკინიგზის სადგურზე მწყობრი, გულის სიღრმემდის მისაწვდენი ტკბილი ხმა ქალების გალობისა: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“... ნიკოლოზ ბარათაშვილის ძვლებიც ამდგარიყო და მოდიოდა დიდებით თავის სამშობლოში. ერმა მუხლი მოუყარა თავის მომავლის სვე-ბედის წინასწარმეტყველსა. მას უშლიდნენ წინ მუხისა, დაფნისა და პურის თაიგულებისაგან შეკრულს გვირგვინებს“[1].

დიდუბის პანთეონში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და ნინო ორბელიანი.

ილიამ თავის სიტყვაში ნიკოლოზ ბარათაშვილს მშობლიური ერის განმადიდებელი უწოდა. იგი იქვე ამბობდა: „მოვასვენეთ აქ მისი მტვერი, მისი ნეშტი, რომ დღეის ამას იქით მისმა სამშობლო ცამ თავისი ნამი ცრემლად ზედ ადინოს, მისმა სამშობლო დედამიწამ გული გადაიხსნას და მისი მტვერი მიიბაროს, მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად“.

ილია ჭავჭავაძემ თავის სიტყვაში დიდად შეაფასა ის ფაქტი, რომ ქართველებმა ორმოცდარვა წლის წინათ სამშობლოს გარეთ

[1] ჟურნალი „კვალი“, 1893 წ., № 18.

გარდაცვლილი პოეტის ნეშტი სამშობლოში გადმოასვენეს. „ეს დიდებული წამი, — ამბობდა იგი, — რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარმომადგენლობა მთელის საქართველოსი, მაგალითია იმისი, რომ ჩვენი ერი ამაღლებულა სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჰკუაგახსნილმა და გულგაწმენდილმა კაცმა იცის ეს ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდბუნოვან კაცისა".

სახელოვანი მწერალი დიდუბის პანთეონში წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა: „ვაპირობთ აქ ძეგლის დადგმას; ხოლო რა დასადარია ხელთქმნილი ძეგლი, თუნდ დიდფასიანი, იმ ხელთუქმნელ ძეგლთან, რომელიც მისმა დიდბუნოვანობამ ჩვენ გულში აღაგო". დაბოლოს ილიამ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის დაკრძალვაზე შეკრებილი ქართველობის გასაგონად თქვა: „მე არ ვიტყვი საუკუნოდ ხსენებას იმიტომ, რომ თვითეული ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია"[1].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ილია ჭავჭავაძემ თავის წერილებში სავსებით დამაჯერებლად განსაზღვრა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მან პირველმა აჩვენა ბარათაშვილის შემოქმედების ეროვნული ხასიათი და ცხადყო მისი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. მის მიერ დიდუბის პანთეონში წარმოთქმული სიტყვა სწორედ ზემოგანხილულ წერილებში ნ. ბარათაშვილის მემკვიდრეობაზე ჩამოყალიბებულ შეხედულებათა ბუნებრივი განვითარება და დაგვირგვინება იყო.

* * *

1894 წელს ილია და მისი „ივერია" გულითადად გამოეხმაურა ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალებას. ეს გამოხმაურება შემთხვევითი არ ყოფილა. როგორც ჩანს, ილიასა და ეგნატეს შორის თავიდანვე ურთიერთგამგებიანი დამოკიდებულება არსებობდა, თუმცა პირადი ნაცნობობა და დაახლოება არა ჰქონიათ. ეგნატე ნინოშვილი, სხვა ქართველი მწერლების მსგავსად, ილიასადმი, როგორც დიდი მწერლისა და სწორუპოვარი ეროვნული მოღვაწისადმი, განსაკუთრებული პატივისცემით იყო განწყობილი. თავის მხრივ ილიაც ე. ნინოშვილს როგორც ნიჭიერ მწერალს, აღიარებდა და მას ყურადღებასა და მხარდაჭერას არ აკლებდა.

ეგნატე ნინოშვილი, როგორც მწერალი, ფართო საზოგადოებ-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 251-252.

რიობამ სწორედ ილიას „ივერიიდან" გაიცნო. „ივერიაში" იბეჭდებოდა ეგნატეს პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც იგი თავისებურად აშუქებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ მანკიერ მოვლენებს ამათრახებდა. იქვე იყო დაბეჭდილი შემდეგში ცნობილი „წერილი ღალატნიდან", რომლითაც ე. ნინოშვილი ქართველ მკითხველს ერთი მეზობელი ქვეყნის ცხოვრებას აცნობდა.

შემთხვევითი ფაქტი არც ის არის, რომ ეგნატე ნინოშვილმა თავის ერთ პუბლიცისტურ წერილს ეპიგრაფად მაინცდამაინც ილიას სტრიქონები წაუმძღვარა. ეს არის მისი საყოველთაოდ ცნობილი სტატია „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის". სწორედ ამ სტატიას სათაურს ქვეშ მიწერილი აქვს ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!.. აწმყო თუ არა გვწყალობს მომავალი ჩვენია".

იმავე „ივერიის" ფურცლებზე გამოქვეყნდა პირველად ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები: „უცნაური სენი", „სიმონა", „პალიასტომის ტბა", „არშიყნი", „ქრისტინე", „კაცია და გუნება" და „განკიცხული ოჯახი".

ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის მზრუნველობას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ე. ნინოშვილს დაუნიშნა ყოველთვიური ფულადი დახმარება, რომელსაც მწერალი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში იღებდა.

რაღა თქმა უნდა, ამ დახმარებას სასიკვდილოდ განწირული მწერლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მატერიალური, ისე მორალური გამხნევების თვალსაზრისით.

ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალებისა და დაკრძალვის დღეებში ილიამ უდროოდ გარდაცვალებული მწერლის დასაფლავებაზე დასასწრებად მიავლინა „ივერიის" ძირითადი თანამშრომელი გრიგოლ ყიფშიძე. იმავე დღეებში „ივერიაში" გამოქვეყნდა მთელი რიგი ცნობები და დასაფლავების დღეს წარმოთქმული სიტყვები[1].

* * *

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი საქმიანობა, რომელიც მთელ რიგ შემთხვევებში მეფის თვითმპყრობელობის სახელმწიფოებრივ ინტერესებს უპირისპირდებოდა, მმართველობის ადგილობრივი და-

[1] გაზეთი „ივერია", 1894 წ., № 95, 96, 97, 98, 101, 102, 104.

წესებულებებისათვის შეუმჩნეველი არ ყოფილა. მეფის ხელისუფლებამ მას 1884 წლიდან პოლიციის ფარული მეთვალყურეობა დაუწესა. ჩვენამდე მოღწეულია თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს საიდუმლო მიმოწერათა მთელი წყება, რომლითაც ცხადი ხდება, რომ პოლიცია ჩვენი მწერლის ყოველ მნიშვნელოვან ნაბიჯს აფორმებდა. ასე, მაგალითად, პოლიციის მიერ ფიქსირებულია ილიას გამგზავრება პირად საქმეებზე ქუთაისში, საგურამოში და სხვა ფაქტები[1].

განსაკუთრებით საინტერესოა ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოღწეული ერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ილია ჭავჭავაძეს, როგორც მეფის თვითმპყრობელობისათვის არასაიმედო პიროვნებას, საკმარისად ვრცლად ახასიათებს. თბილისის ჟანდარმთა სამმართველო 1894 წლის გაზაფხულზე პოლიციის დეპარტამენტს პეტერბურგში ატყობინებდა:

„სემინარიის ამბოხებაში არა მცირედი წილი უდევთ თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის მასწავლებლებს... დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვივება, არის თავადი ილია ჭავჭავაძე, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე (ამ ბანკის სახსრებით ინახება აღნიშნული სათავადაზნაურო სკოლა და აგრეთვე ი. ჭავჭავაძეა რედაქტორი ქართული გაზეთის „ივერიისა“). თავადი ილია ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო ჭკუისა და მდგომარეობის პატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონეა ქართველებში საერთოდ და თავისუფალ მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან დროგამოშვებით იმართება საიდუმლო კრებები, სადაც არკვევენ სხვადასხვა საზოგადო ხასიათისა და სოციალურ საკითხებს“[2].

ამ ოფიციალური დოკუმენტით ერთხელ კიდევ დადასტურებულია ის ფაქტი, რომ ილია, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა „ქართველებში საერთოდ და თავისუფალ მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით“. იქვე საგანგებოდ მითითებულია, რომ „მასთან დროგამოშვებით იმართება საიდუმლო კრებები, სადაც არკვევენ სხვადასხვა საზოგადო ხასიათისა და სოციალურ საკითხებს“. ამ

---

1 საისტორიო მოამბე, ტ. III, 1947 წ., გვ. 212–214 (ა. იოველიძე, ილია ჭავჭავაძე, დოკუმენტალური მასალები).

2 ქრ. რაჭველიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული ნარკვევი, 1937 წ., გვ. 104. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1936 წ., გვ. 471.

„საიდუმლო კრებებში“ სავსებით შესაძლებელია იგულისხმებოდეს ხუთშაბათობანი, რომლებიც „ივერიის“ რედაქციაში სისტემატურად იმართებოდა.

ილიას მიმართ პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობა, როგორც ჩანს, მომდევნო წლებშიც განუწყვეტლივ გრძელდებოდა, მაგრამ ქართველი ერის სულიერი მამის ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა კვლავ აღმავლობის გზით მიდიოდა.

* * *

ილიას, როგორც უკვე აღინიშნა, საადგილმამულო ბანკში მოღვაწეობისას არსებითად საზოგადოებრივ-ეროვნული ინტერესები ამოქმედებდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი ბანკის სახსრებით ქართულ კულტურულ დაწესებულებებს ხელს უმართავდა, არამედ ისიც, რომ მწერალი ბანკს ეროვნულ-პოლიტიკური მიზნებისთვისაც იყენებდა. ჩვენამდე მოღწეული უტყუარი ცნობებით დადასტურებულია, რომ ჩვენს მწერალს ბანკის ყრილობათა ტრიბუნა არა ერთგზის გამოუყენებია ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გასავრცელებლად.

განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი კონკრეტული ფაქტი. 1895 წლის მაისში ჩატარდა თბილისის ბანკის საკითხებისადმი მიძღვნილი კრება თავადაზნაურობისა, ანუ, როგორც „ივერია“ უწოდებს, „თავად-აზნაურთა ბანკის კრება“.

ამ კრებაზეც გამოვიდნენ ოპოზიციონერები, რომელნიც ილიასა და მის მომხრეებს აკრიტიკებდნენ. ოპოზიციური ჯგუფის ორატორთაგან გამოირჩეოდა ნიკოლოზ ორბელიანი, რომელმაც ჯერ ილიას წინააღმდეგ გაილაშქრა, ხოლო შემდეგ კრების ერთ-ერთ მონაწილეს უცხო, მოსული კაცი უწოდა იმის გამო, რომ იგი (ვლადიმერ მიქელაძე) წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან იყო. ორბელიანმა ვლადიმერ მიქელაძეზე თქვა: „თავად ვლ. მიქელაძეს არა აქვს ნება ჩვენ აქ დარიგება გვიკითხოს ხოლმე. ის ჩვენთვის უცხოა, ჩვენს თავად-აზნაურობასთან მას საერთო არა აქვს-რა!“

ნიკოლოზ ორბელიანის გამოსვლას უწინარეს ყოვლისა პასუხი გასცა თვითონ ვლ. მიქელაძემ. მან საკმაოდ ტაქტიანად ამხილა ნ. ორბელიანის უხერხული სიტყვის მავნე ხასიათი და ამით კრების მონაწილეთა თვალში იგი აშკარად ამაღლდა. მიქელაძემ განაცხადა:

„თავადი ორბელიანი სხვა ქვეყნიდგან გადმოსულს მიწოდებს. ვწუხვარ, რომ ეგრეთი ვიწრო აზრი და წარმოდგენა ჰქონია ორბელიანს ჩვენს ქვეყანაზედ. ჩემი ქვეყანაა იქაც, სადაც დავბადებულ-

ვარ და იქაც, სადაც ეხლა ვმოქმედებ, მთელი საქართველო ჩემი ქვეყანაა; ყველგან მაქვს ალაგი და ყველგან გავჩნდები, როცა ჩემი წმინდა მოვალეობა მოითხოვს. ჩემი მოვალეობაა ჩემის ქვეყნის სამსახური და სადაც-კი ქართული ენა ისმის, ყველგან ჩემი ქვეყანაა, ყველგან მოვალე ვარ ჩემი აზრი ვთქვა, ჩემი ძალა, ღონე და ცოდნა მსხვერპლად მივუტანო"[1].

ნიკოლოზ ორბელიანისა და ვლადიმერ მიქელაძის დაპირისპირება მოხდა აღნიშნული კრების 17 და 18 მაისის სხდომებზე. ამ სხდომებს ილია არ დასწრებია, მაგრამ მომხდარი შეტაკება მისთვის მალე ცნობილი გახდა. იგი მომდევნო სხდომას დაესწრო და სიტყვითაც გამოვიდა.

ილია ჭავჭავაძემ თავის სიტყვაში ორბელიანისა და მიქელაძის პაექრობა პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა. მას თავის სიტყვაში დაპირისპირებული ადამიანები არც კი დაუსახელებია. იგი საქართველოს მთლიანობის პოზიციებიდან თავს დაესხა ნ. ორბელიანის მიერ კრების ტრიბუნიდან კუთხური კარჩაკეტილობის ქადაგებას.

ინტერესს მოკლებული არაა ვიცოდეთ, რომ ნიკოლოზ ორბელიანი იყო შვილი ცნობილი პოეტის ვახტანგ ორბელიანისა. ამიტომაცაა, რომ ილიამ თავის სიტყვაში ვახტანგ ორბელიანი მოიხსენია როგორც პოეტი, რომელიც ქართველთა შორის ძმობისა და ერთობისათვის იღვწოდა.

ილიას სიტყვიდან ის აზრი გამოდიოდა, რომ ვახტანგ ორბელიანმა ეროვნული ერთობისათვის თავდადება გვიანდერძა, ხოლო მისი შვილი კუთხური კარჩაკეტილობისაკენ მოგვიწოდებსო.

მართალია, ჩვენს მწერალს ნიკოლოზ ორბელიანი არც კი უხსენებია, მაგრამ კრების მონაწილეთათვის ყველაფერი გასაგები იყო. თითქმის ყველა მათგანი პირადად იცნობდა როგორც ვახტანგ ორბელიანს, ისე მის შვილს ნიკოლოზს, რომელიც საადგილმამულო ბანკში ილიას მოწინააღმდეგეთა ჯგუფს ემხრობოდა. ილია ჭავჭავაძემ კრების მონაწილეებს ასე მიმართა:

„მე, ბატონო, გუშინ და გუშინწინ ვერ დავესწარი კრებას ბანკისავე საჭირო საქმის გამო. გაზეთებიდან და კრების ოქმიდგან შევიტყვე, რომ გუშინწინ ჩემი ქება-დიდება მოგისმენიათ ერთის ორატორისაგან. რაც იმ ორატორს უნებებია ჩემი უკადრისად ხსენება, მე იმას ყურადღებას არ ვაქცევ. ხოლო თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეაძრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და

[1] გაზეთი „ივერია", 1895 წ., № 104.

ეს არ შემიძლიან აღუნიშნავად დავტოვო. აქ ერთ ორატორს მეორეზე უთქვამს: ეგ მოსული არისო და ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვსო. მე არ ვახსენებ, ვის უთქვამს ეს. მე მთქმელთან საქმე არა მაქვს-რა. მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მარტო საჭიროა ვიცოდეთ ის კი არა, ვინა სთქვა, არამედ ის, ვის უთხრეს. ეს უთხრეს იმიერ ქართველს. როგორ, იმიერ ქართველი აქ. ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში მოსულია, უცხოა და არა სახლიკაცი, არა სისხლ-ხორცი იმ დიდ ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვიან! არა, ბატონებო!.. ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას. — გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი, თუ ქართლელი. — ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამც თუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უუწმინდესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა, ამაშია. ეს ძმობა და ერთობა არის იგი, კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა.

„ეს თითქმის ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც საქართველო დაირღვა, დანაწილდა. ეს ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც ჩვენი მამა-პაპანი, ჩვენი უკეთესნი და უდიდესი მამულის შვილნი, ჩვენი გენიოსები, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენი მსწავლულნი და მეცნიერნი, სისხლის ღვრით იღვრებოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისის სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს.

„მთელმა თაობამ მეცხრამეტე საუკუნისამ ამას შეალია თავისი პატიოსანი ძალ-ღონე, თავისი სისხლი და ხორცი, თავისი ნიჭი საქმისა და მეტყველებისა. აწ განსვენებულმა ჩვენმა მწერალმა ვახტანგ ორბელიანმა მთელი თავისი მხურვალე გულის ძგერით აღთქმად დასდვა, ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო, ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება.

„დღეს სხვას გვეუბნებიან. დღეს უნდათ, ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას; შენ ჩვენ შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულის წყრომა მამულიშვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს. მე ამით ვაცხადებ ჩემ-მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულისშვილურ გრძნობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოგიწვევთ, ასე მოიქეცით. დეე ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკად-

რისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა"[1].

რაღა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული თავისუფლების იდეის ფართო მასებში შემდგომი გაღვივებისათვის.

* * *

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ინგლისურ ენაზე ითარგმნა ილიას პოემა „განდეგილი". ამ თარგმანს საინტერესო ისტორია აქვს, რომელიც ჩვენი მწერლის შემოქმედებით ბიოგრაფიას კიდევ უფრო ამდიდრებს. ილიას პიროვნება, როგორც დიდი მწერლისა და მოაზროვნისა, ინგლისელ მკითხველს პირველად ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ვ. რ. მორფილმა გააცნო.

ვ. რ. მორფილმა 1888 წლის გაზაფხულზე კავკასიაში იმოგზაურა. მან რამდენიმე დღე თბილისში გაატარა, ინახულა საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულებები და გაიცნო ქართველი მოღვაწეები. იგულისხმება, რომ მოგზაური მეცნიერის უმთავრესი მასპინძელი თბილისში ილია იყო. გაზეთი „ივერია" 1888 წლის 3 მაისის ახალ ამბებში წერდა:

„გუშინ-წინ დილით გაემგზავრა თბილისიდამ სტამბოლში და იქიდამ წავა ინგლისს პროფესორი ოქსფორდის უნივერსიტეტისა, ფილოლოგი ვ. რ. მორფილი, მცოდნე ქართულის ენისა და ლიტერატურისა. მორფილი სულ რამდენიმე დღეს დარჩა თბილისში, ინახულა ჩვენი რედაქცია და კანცელარია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, საცა დაათვალიერა ბიბლიოთეკა ქართულის ხელნაწერებისა და ქართული დაბეჭდილი წიგნები. სხვათა შორის საზოგადოებამ მიართვა ბატონ მორფილს სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი"[2].

ვ. რ. მორფილის თბილისში ყოფნის თაობაზე იაკობ მანსვეტაშვილი მოგვითხრობს: „ჩამოვიდა თბილისში ინგლისელი პროფესორი ქართული ენისა მორფილი. მაშინვე ეწვია ილიას სანახავად. მორფილი სასტუმრო „ლონდონში" იყო ჩამომხდარი. ილია, როგორც თავმჯდომარე წერა-კითხვის საზოგადოებისა, და მე, როგორც

---

[1] გაზეთი „ივერია", 1895 წ., № 106. იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, 1957 წ., გვ. 261-262.

[2] ლაპარაკია „ვეფხისტყაოსნის" 1888 წლის გამოცემაზე.

მდივანი, წავედით მორფილის სანახავად და მივართვით საზოგადოების სახელობით ახლად გამოცემული, ძვირფასმხატვრობიანი „ვეფხის-ტყაოსანი“. მორფილმა დიდი მადლობა გადაგვიხადა და გვითხრა: მე ეს პოემა კარგად მაქვს გაცნობილი, დიდად ვაფასებ, ვეცდები ვთარგმნო და ინგლისს გავაცნოვო“[1].

ვ. რ. მორფილის გამგზავრებიდან ორიოდე თვის შემდეგ გაზეთი „ივერია“ წერდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ინგლისის მეცნიერი-ფილოლოგი, ბატონი მორფილი, რომელიც ამას წინად კავკასიაში მოგზაურობდა, სწერს თხზულებას საქართველოსა და ქართულის მწერლობის თაობაზე“.

1888 წლის ზაფხულში ვ. რ. მორფილმა ერთ-ერთ ინგლისურ სამეცნიერო ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია „ქართული ენა და მწერლობა“. მორფილის წერილის ქართული თარგმანი იმავე წლის 14 აგვისტოს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა.

ინგლისელი მეცნიერის წერილში მოცემულია ქართული ენის მოკლე დახასიათება და ქართული მწერლობის ზოგადი მიმოხილვა. წერილში დახასიათებულია რამდენიმე ქართველი მწერალი. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ ვ. რ. მორფილი თავის მკითხველებს მოუთხრობდა:

„საერო ნაწერთა შორის განსაკუთრებულის ინტერესისა შემიძლიან დაგისახელოთ რომანული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, დაწერილი შოთა რუსთაველის მიერ, რომელიც სცხოვრობდა მეთორმეტე საუკუნეში, თამარ დედოფლის დროს, როდესაც საქართველოს ძლიერება იდგა უმაღლეს წერტილზე. წელს ეს თხზულება ლამაზ წიგნად დაიბეჭდა თბილისში და ჩართული აქვს რამდენიმე სურათი“.

ვ. რ. მორფილის სტატიაში დასახელებული არიან ცნობილი ქართველი მწერლები: სულხან-საბა ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი და სხვები.

მიუხედავად იმისა, რომ მორფილი თავის წერილში ილიას სულ რამდენიმე სტრიქონით ახასიათებდა, მაინც მისი სტრიქონებიდან ნათლად იგრძნობა ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც ბრძენ ქართველ მწერალს უცხოელ მეცნიერზე მოუხდენია. ვ. რ. მორფილი წერდა:

„თავადი ილია ჭავჭავაძე, დიდი განთქმული კაცი, განთქმული

---

1 ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936 წ., გვ. 140.

და ღირსეული პოეტი და დღეს დიდად ცნობილი ლიტერატორი თბილისში. იმას აქვს საკუთარი დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია". იმის სტუმართმოყვარე სახლის წყალობით მე მომეცა შემთხვევა და გავიცანი რამდენიმე საინტერესო კაცი ამ ქალაქისა"[1].

რა თქმა უნდა, ინგლისელი მეცნიერის ამ წერილს, აგრეთვე სხვა ნაშრომებს, რომელსაც იგი მომდევნო წლებში აქვეყნებდა, მნიშვნელობა ჰქონდა ევროპელი მკითხველისათვის ქართული მწერლობისა და, საზოგადოდ, ქართული კულტურის გაცნობის თვალსაზრისით. ეს უბრალო გარემოება როდია.

იმავე ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლებში ევროპელთათვის ქართული კულტურის გაცნობის საქმეს ემსახურებოდა აგრეთვე ინგლისელი ოლივერ უორდროპი. იგი ინგლისურ ენაზე თარგმნიდა ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებს. მასვე ეკუთვნის ნაშრომები საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის რიგ საკითხებზე[2].

ვ. რ. მორფილისა და ოლივერ უორდროპის მოღვაწეობა ევროპელი მკითხველისათვის ქართული კულტურის გაცნობის საქმეში განავითარა ინგლისელმა მწერალმა ქალმა მარჯორი უორდროპმა. მარჯორიმ თავის ძმასთან ოლივერ უორდროპთან ერთად შეისწავლა ქართული ენა. თავისთავად იგულისხმება, რომ იგი ზედმიწევნით იცნობდა როგორც საკუთარი ძმის, ისე ვ. რ. მორფილის ნაშრომებს საქართველოს ისტორიისა და ქართული მწერლობის საკითხებზე.

მარჯორი უორდროპმა თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი ინგლისურ ენაზე ქართული მწერლობის ნიმუშების თარგმნას მოახმარა. მან თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" და რამდენიმე ქართული ხალხური ზღაპარი. მანვე ოთხმოცდაათიან წლებში ინგლისურ ენაზე თარგმნა ილია ჭავჭავაძის ცნობილი პოემა „განდეგილი". სწორედ ამ თარგმანზე მუშაობის დამთავრების შემდეგ ინგლისელი მწერალი ქალი საქართველოს ეწვია და მისი მასპინძელი ილიას ოჯახი იყო.

მარჯორი უორდროპმა საქართველოში გამომგზავრებამდე ორიოდე თვით ადრე, 1894 წლის სექტემბერში, ილია ჭავჭავაძეს პირადი წერილი გამოუგზავნა. წერილი ასე იკითხება:

---

[1] გაზეთი „ივერია", 1888 წ., № 171, სტატია თარგმნილი იყო სტეფანე ჭრელაშვილის მიერ.

[2] ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, მარჯორი უორდროპი, 1965 წ., გვ. 21-22.

„მოწყალეო ხელმწიფევ!

„ინგლისურად თარგმანი ვჰქმენ თქვენსა „განდეგილსა“ რომელსა უკეთესისა ლექსისა თქვენი მშვენიერი ენაში რომ მე ვკითხვე, და რომელსა ქონება ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს.

„მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება, რომელიც მე ამ ლექსმა მაგრძნობინა. ამისთვის ვჰკადრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოცემად.

„ვსცადე სიტყვითი სიტყვითად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი მშვენიერება უნდა იყოს, საჭიროდ დაკარგული უცხო თარგმანში.

„ჩემი ძმა დიდი პატივი ჰქონდა, რაოდენმე წელიწადში უკან, ტფილისში, თქვენი გაცნობა ქმნა, და მე დიდი იმედი მაქვს, რომ ძეც მაგასთან მალე მოვალ საქართველოში, ქვეყანა რომელკენ მე გულწრფელი სიყვარული ვჰგრძნებ, და სურვილი მაქვს რომ მერე მე შევჰსძლებ პირ და პირ გამოთქმა უღრმესი პატივისცემა თქვენის ნიჭისთვის და დიდებულის მსახურობისთვის მოცემული თქვენგან ძველებურს მეფობას საქართველოსთვის.

„მე ვარ, ბატონო, მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო ნებისა, თქვენი პატივისმცემელი Marjory Wardrop“[1].

ილია ჭავჭავაძემ უცხოელი მოღვაწე ქალის პირადი წერილი მისთვის ჩვეული ღრმა ადამიანურობით განიცადა და მას გულითადი პასუხიც გასცა. მისი პასუხი მარჯორი უორდროპის წერილზე, როგორც ერთ-ერთი საყურადღებო ლიტერატურული დოკუმენტი, ზედმეტი არ იქნება მწერლის ცხოვრების მატიანეში მთლიანად იქითხებოდეს. სახელოვანი მგოსანი მარჯორი უორდროპს სწერდა:

„დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდეგილს“ თქვენი ყურადღება მიუქცევია. სასახელოდ მიმაჩნია, რომ მოგიწადინებიათ და გადაგითარგმნიათ ინგლისურად.

„ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთს დროს თავისი სახელოვანი წარსული ჰქონია, თავისი გმირნი, მეცნიერნი, მწერალნი და პოეტები ჰყოლია და მათის მეოხებით გულდაგულ დახვედრია განათლების მტრებს — ბარბაროსებს.

„ყოველს ქართველს თავ-მოსაწონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულ ძმას ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგინებებიათ თქვენს ერს მისი ავი და

---

1 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის ფონდი, № 200.

კარგი აუწყოთ იმ სიყვარულით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს, და გულის ტკივილით, რომელიც დაფასებული ნუგეშია ბედისაგან დაჩაგრულთათვის.

„სასურველია ერმა ინგლისისამ იცოდეს, რომ ამ ჩვენ პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული; რომ აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი; რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთესს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოებიან.

„ყოველივე ეს ზედ-დაჩნეული აქვს ჩვენს პატარა მწერლობას, რამოდენადაც კი გარემოება ნებას იძლევა. ამიტომაც გადაღება ინგლისურად ჩვენის მწერლობისა გადაღებაა ჩვენის გულისცემისა, ჩვენის გულითადის ნატვრისა, ჩვენის ჭირისა და ლხინისა, ჩვენის გონების და გრძნობის ძალღონისა საყოველთაო საცნობელად.

„ამ მხრით თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმნისათვის დიდ სამსახურად მიჩნეულ იქნება ყოველის ქართველისაგან და ჩვენს მადლობას თქვენდამი საზღვარი არ ექმნება.

„ჩემი „განდეგილი“ მომირთმევია თქვენთვის, როგორც გენებოთ ისე იმსახურეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ნაწერს თქვენზე უკეთესს პატრონს და მფარველს ვერ ავურჩევდი.

„გვპირდებით ჩვენში მობრძანებას, სიხარულით დაგიხვდებით და უმორჩილესად გთხოვთ წინადვე გვაცნობოთ, როდის და რა გზით მობრძანდებით. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგანახვებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღებისა და სიყვარულისა.

„თქვენის მობრძანების სიხარულით მომლოდინე და ღრმად პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე“[1].

1894 წლის დეკემბერში მარჯორი უორდროპი, ძმასთან ერთად, საქართველოში ჩამოვიდა. ილია ჭავჭავაძე მეუღლითურთ სასურველ სტუმრებს მცხეთაში მიეგება.

მარჯორი უორდროპმა საქართველოში რამდენიმე თვე გაატარა. მან საქართველოს მთელი რიგი კუთხეები მოინახულა. რაოდენ კმაყოფილი დაბრუნებულა საქართველოდან მგრძნობიარე მწერალი ქალი, ამაზე ნათლად მოგვითხრობს მისი გულწრფელი მოგონებანი, რომელიც ჩვენამდე მოღწეულა[2].

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 138.

[2] ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, მარჯორი უორდროპი, 1965 წ., გვ. 35-49.

მარჯორი უორდროპს ამ სტუმრობის შემდეგ მთელს ცხოვრებაში გულითადი მიმოწერა ჰქონდა როგორც ილია ჭავჭავაძის ოჯახთან, ისე სხვა ქართველ ნაცნობებთან. გასაგებია, რომ იგი აქედან დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო ნაყოფიერად განაგრძობდა იმ საქმიანობას, რომელიც საქართველოში გამომგზავრებამდე ჰქონდა წამოწყებული.

ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ უორდროპისეული თარგმანი 1895 წელს ლონდონში ცალკე წიგნად გამოქვეყნდა. გამოცემას ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი როგორც ინგლისური, ისე ქართული პრესა.

* * *

1895 წლის სექტემბერში კრწანისის ომის ასი წლისთავი აღინიშნა. ამ საქმის წამომწყებიც ილია ჭავჭავაძე იყო. გაზეთი „ივერია“ რამდენიმე დღით ადრე უკვე საზოგადოებას ატყობინებდა 11 სექტემბრის მოახლოებას და სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნის დღისადმი ღირსეულად შეხვედრას მოუწოდებდა.

11 სექტემბერს კრწანისის ველზე, საგანგებოდ ამ დღისათვის აღმართულ კარავთან, ათასობით ქართველი შეიკრიბა. აქ იყვნენ თბილისელი ამქრები, მუშები და მოსამსახურეები. აქვე იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული ჯგუფები. ხუთი ათასმა ქართველმა მოწიწებით მუხლი მოიყარა იმ ადგილას, სადაც ასი წლის წინათ სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები გმირულად დაიხოცნენ.

გაზეთი „ივერია“ წერდა, რომ იქ, სადაც ასი წლის წინათ სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა, „აი ამ ადგილას იყო დადგმული დიდი, ასე თხუთმეტი საჟენის მანძილზე, კარავი, რომელიც მწვანითა, ყვავილებით და სამგლოვიარო ლენტებით იყო შემკული. ამ ადგილას და აგრეთვე ახლო-მახლო გორაკებზედ მრავალი ხალხი შეკრებილიყო დილიდგანვე საყურებლად. ქართველი თავადაზნაურობა, სამსახურის ხალხი, სოფლიდგან ჩამოსული ამ დღისათვის, ქალაქის ვაჭარი და მუშა ხალხი ერთმანეთში ირეოდნენ: ყველა დიდის მოწიწებით შეჰყურებდა შორიდანვე კარავს, სადაც პანაშვიდი უნდა გარდახდილიყო. მოვიდნენ კიდეც, დაეწყვნენ რიგზედ კარავის წინ ამქრები თავისის ბაიარაღებით; ამათ შუა დაიჭირა ადგილი სამღვდელოებამ და მათს გარშემო ხალხმა, რომელთა რიცხვი 5000-მდე იქნებოდა. პანაშვიდი დიდის დიდებით გადაიხადეს“[1].

[1] გაზეთი „ივერია“, 1895 წ., № 195.

ასე ჩატარდა კრწანისის ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი დღე, რომლის მთავარი ინიციატორი ილია იყო.

* * *

ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთი წამომწყები და აქტიური მონაწილე იყო რაფიელ ერისთავის სალიტერატურო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმისა, რომელიც 1895 წლის 22 ოქტომბერს ჩატარდა.

ილია პირველი გამოეხმაურა აკაკის მიერ ჟურნალ „კვალის" 1895 წლის 21 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ მოწოდებას რაფიელისათვის იუბილეს მოწყობაზე. 27 მაისს „ივერიის" პირველ გვერდზე დაბეჭდილი წერილით რედაქციამ მხარი დაუჭირა აკაკის წამოწყებას და თავის მხრივ მოწოდებით მიმართა მთელ ქართველ ხალხს. აქედან მოყოლებული ილიას „ივერია" და გიორგი წერეთლის „კვალი" სისტემატურად აქვეყნებდნენ რაფიელისადმი მიძღვნილ წერილებს, რაც ხელს უწყობდა იუბილესათვის მთელი ერის მომზადებას. სწორედ ამგვარი წინასწარი მოსამზადებელი საქმიანობის შედეგი იყო, რომ რაფიელის იუბილემ ქართული ეროვნული კულტურის დღესასწაულის ხასიათი მიიღო.

რაფიელ ერისთავის საიუბილეო დღესასწაულისათვის მზადება სავსებით ნორმალურად მიმდინარეობდა. დანიშნული დღისათვის ყველაფერი წესრიგში იყო. საიუბილეო დღესასწაულზე დასასწრებად გამოგზავნილი დელეგაციების ჩამოსვლა თბილისში 20 ოქტომბრიდან უკვე დაიწყო. 21 ოქტომბრის „ივერია" თავის ახალ ამბებში იტყობინებოდა:

„უკვე დაიწყეს საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან რაფიელ ერისთავის იუბილეზე დასასწრებლად და პატივსაცემად ჩამოსვლა დეპუტაციებმა. გუშინ, 20 ოქტომბერს, გურიიდან და ხევსურეთიდან ჩამოვიდნენ დეპუტატები".

22 ოქტომბერი კვირა დღე იყო. იმ დღეს „ივერიის" პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო გიორგი ლასხიშვილის წერილი, რომელიც მკითხველს იუბილარი მწერლის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე მოუთხრობდა. მეორე და მესამე გვერდებზე მოთავსებული იყო არტემ ახნაზაროვის მიერ დაწერილი რაფიელ ერისთავის მოკლე ბიოგრაფია. იქვე იყო გრიგოლ აბაშიძის, დიმიტრი მაჩხანელისა და დავით ნინოწმინდელის ლექსები მიძღვნილი რაფიელ ერისთავისადმი.

იუბილარი ბინიდან ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა გამოიყვანეს. ექვთიმე თაყაიშვილი მოგვითხრობს:

„იუბილე გადაიხადეს ბანკის „ქარავან სარაის“ თეატრში სასახლის ქუჩაზე. იუბილარი წამოიყვანეს მისი ბინიდან ეტლით ი. ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა და თეატრის დარბაზში მოიყვანეს. ეტლში სამი კაცი უნდა მოთავსებულიყო. თვითონ იუბილარი და ორი ჩვენი გამოჩენილი პოეტი. იუბილარი დასვეს თავსაჯდომზე, მაგრამ მასთან დაჯდომა აკაკიმ ილიას შესთავაზა, ილიამ კი — აკაკის, ამ პატივში ილია და აკაკი ვერ შეთანხმდნენ და ორივე წინა სკამზე დასხდნენ, რადგან იუბილართან დაჯდომა გულისხმობდა უფრო დიდ პოეტად აღიარებას თავის თავისას, ეს კი არც ერთმა არ ინება. თეატრში რ. ერისთავს ისინი აქეთ-იქიდან მოუსხდნენ“[1].

24 ოქტომბრის „ივერია“ წერილში „რაფიელ ერისთავის იუბილე“ იტყობინებოდა, რომ „კვირას, 22 ოქტომბერს, ტფილისმა დიდის ამბით გარდიხადა ქართველთა საეროვნო დღესასწაული, დიდის ამბით იდღესასწაულა საყვარელი მგოსნის, რაფიელ ერისთავის, ორმოცდაათის წლის მოღვაწეობის იუბილე“.

საიუბილეო დღესასწაულზე რაფიელ ერისთავს ადრესით მიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. ადრესს ხელს აწერდნენ: საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე, თავმჯდომარის მოადგილე ნიკო ცხვედაძე, გამგეობის წევრები: იაკობ გოგებაშვილი, ივანე ელიაშვილი, დავით კარიჭაშილი, ნიკოლოზ მთვარელაშვილი და გიორგი იოსელიანი.

რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი ადრესი ასე იკითხება:

„დაუვიწყარო მგოსანო! დღეს საქართველოს ყველა კუთხიდამ მომართულია თქვენდამი საერთო გრძნობა სიხარულისა და მადლობისა. ორმოცდაათმა წელმა განვლო, რაც თქვენ, ჩვენო სასიქადულო, დაუღალავად მოღვაწეობთ სალიტერატურო ასპარეზზე, — გვიხატავთ მშვენიერის ლექსით ქართველი კაცის სულის და გრძნობის მოძრაობას. გავლენ ჟამნი და ბევრი ავიც და კარგიც ცხოვრებიდამ მიეცემა დავიწყებას, მაგრამ თქვენი კალმის ქმნილებანი-კი ქართველის გულში დარჩებიან სამუდამოდ.

„მმართველობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოებისა, რომლის საპატიო წევრად თქვენ ბრძანდებით და რომლის წინაშე დიდი ღვაწლი მიგიძღვით როგორც თქვენის უკვდავის თხზულებებით, ისე პირადის შრომით და თქვენის საკუთარის ბიბლიოთეკის შემოწირვით, გილოცავთ თქვენის

1 ლიტერატურის მატიანე, წიგნი VI, ნაკეთი პირველი, 1952 წ., გვ. 32.

მოღვაწეობის ორმოცდაათის წლის შესრულებას და ისურვებს თქვენს დიდხანს სიცოცხლეს საქართველოს ხალხის სასიქადულოდ"[1].

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ადრესი რაფიელ ერისთავის საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის სავსებით დამაჯერებელ შეფასებას გვიდგენს. ილიას მიერ მოცემულ ამ შეფასებას ქართული მწერლობის მეცნიერული ისტორია გვერდს ვერ აუვლის.

ილია ჭავჭავაძე რაფიელ ერისთავის საიუბილეო დღესასწაულს კვლავ ეხება ერთ შინაურ მიმოხილვაში, რომელიც 1896 წლის დამდეგს გაზეთ „ივერიაში" მოწინავის სახით დაიბეჭდა. მიმოხილვაში ავტორი ჯერ 1895 წლის საერთო დახასიათებას გვაწვდის, ხოლო შემდეგ რაფიელის იუბილეს, როგორც ეროვნულ-კულტურული მოვლენის, მნიშვნელობაზე მსჯელობს. მისი ძირითადი თვალსაზრისი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის. არის გაჩენილი, „კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი".

ილია გადაჭრით ამბობს, რომ შარშანდელი (ე. ი. 1895) წელი ისევე უნუგეშო იყო, როგორც წინა წელიწადები. „პირიქით, — წერს იგი, — კარგად რომ მოუჩხრიკოთ ავლა-დიდება, ავი და კარგი, იქნება შარშანდელი წელიწადი სხვა წლების წინაშე უფრო პირშავად გამოვიდეს".

ილია ჭავჭავაძის თქმით, ქართველ ხალხს 1895 წლიდან კეთილად მოსაგონარი მხოლოდ ორი თარიღი ჰქონდა. პირველი იყო 11 სექტემბერი, როცა ქართველმა ხალხმა კრწანისის ომის 100 წლისთავი აღნიშნა და მეორე — რაფიელ ერისთავის საიუბილეო 22 ოქტომბერი. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, კრწანისის ომის წლისთავის აღნიშვნის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი ილია იყო და მისმა „ივერიამ" ამ თარიღის ღირსეულად ჩატარებისათვის ბევრი გააკეთა, მაგრამ ბრძენმა მოღვაწემ 1896 წლის 4 იანვრის მოწინავე სტატიაში ეს ფაქტი ერთხელ კიდევ გაიხსენა.

„11 სექტემბერს, — ამბობდა ილია, — ჩვენ გადვუხადეთ პანაშვიდი ჩვენს გმირებს, რომელთაც თავი დასდეს მამულისათვის კრწანისში ამ ასის წლის წინად. საქმე თვითონ პანაშვიდი-კი არ არის, არამედ ის მიზეზი, რომელმაც იგი გამოიწვია. საქმე თვით იგი საგანია, რომელსაც ჩვენ ჩვენი თაყვანი ვეცით და რომელმაც გაგვახსენა ჩვენთა მამა-პაპათა თავგანწირული ღვაწლი. ერის და-

[1] გაზეთი „ივერია", 1895 წ., № 230.

ცემა მაშინ იწყება, როცა იგი ივიწყებს თავისს ისტორიას". იმავე სტატიაში ილია წერდა:

„არა ნაკლებ ღირსშესანიშნავია 22 ოქტომბერიც წარსულის წლისა. ამ დღეს ვიდღესასწაულეთ ორმოცდაათის წლის მშვიდობიანი მოღვაწეობა რაფიელ ერისთავისა, გატარებული სულ სხვა სარბიელზე, სხვა ასპარეზზე. რაფიელი ჩვენი სასიქადულო პოეტია. პოეტის სიტყვა იგი ხელთუქმნელი საგანძურია, საცა ერი ჰპოებს ხოლმე თვისს უკეთეს ნააზრს და ნაგრძნობს, თვისს უკეთესს სულთასწრაფვას, თვისს იმედს და სასოებას, თვისს თავმოსაწონებელს ვულთაძვრას, თვის ჭირსა და ლხინსა, თვისის ენის მეტყველების სიკეკლუცე-მშვენიერებას და ერთობ თვისს სულიერს საუნჯეს, იმ საუნჯეს, რომლითაც ერი ერობს, ადამიანი ადამიანობს"[1].

დიდი მწერლის ამ სიტყვებში ერთხელ კიდევ ხაზგასმულია რაფიელ ერისთავის იუბილეს, როგორც ეროვნულ-კულტურული დღესასწაულის, დიდი მნიშვნელობა.

ასეთია ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის უმთავრესი დამახასიათებელი ფაქტები ოთხმოცდაათიანი წლების ეპოქაში.

ილიას ცხოვრებაში მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი ათეული წლები აგრეთვე მრავალფეროვანი ლიტერატურული და საზოგადოებრივი საქმიანობით აღინიშნება.

ამ დროს ილია, როგორც მწერალი და მოაზროვნე, ფართოდ არის ცნობილი. მისი რამდენიმე ნაწარმოები, როგორც ვიცით, უკვე თარგმნილია რუსულ და ევროპულ ენებზე, იგი განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობს მთელ ქართველ ხალხში. მასვე, როგორც ერის მეთაურს, ნებსით თუ უნებლიეთ, ანგარიშს უწევენ მეფის თვითმპყრობელობის დიდი დაწესებულებანი და მოხელეები.

თანამედროვეთა მოგონებებში არაერთგზისაა მითითებული, რომ ქართველი ხალხის ცხოვრების განსაკუთრებით მძიმე საქმეთა მოსაგვარებლად მეფის დაწესებულებებში და დიდმოხელეებთან გასაგზავნი დელეგაციების მეთაურობა ჩვეულებრივად ილიას ეკისრებოდა.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან მოყოლებული ქართველი ერის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, მეტად თუ ნაკლებად, ილიას პიროვნებასთანაა დაკავშირებული. მოვლენათა ამგვარი სიუხვე მის ბიოგრაფს

1 გაზეთი „ივერია", 1896 წ., № 2.

თავისთავად აიძულებს, რომ იგი მხოლოდ უმთავრესით შემოიფარგლოს.

ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს ილიას სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის რამდენიმე მოვლენაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი. გავეცნოთ ამ მოვლენებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

* * *

ილია 1896 წლის 10 მარტს ვრცელი სიტყვით გამოვიდა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის დასაფლავებაზე. ეს ფაქტი შემთხვევითი სრულიადაც არაა. ეპისკოპოსი გაბრიელი (ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე) თავისი დროის განათლებული მოღვაწე და მოაზროვნეა.

გაბრიელი პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1849-1858 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად იყო. იქვე მათემატიკასა და ფიზიკას ასწავლიდა. იმავე დროს იგი პარალელურად თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში სამრთო რჯულის მასწავლებლად მუშაობდა.

გაბრიელ ეპისკოპოსმა 1858 წელს რუსულ ენაზე დაბეჭდა წიგნი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელიც წლების მანძილზე რუსეთის იმპერიის სასულიერო სემინარიებში ფილოსოფიის სახელმძღვანელოდ ითვლებოდა. სახელოვანი მღვდელმთავარი მეცხრამეტე საუკუნის ქართული ფილოსოფიის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილს იკავებს[1].

გაბრიელ ეპისკოპოსი, როგორც მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თავის დროზე მთელს ერში პოპულარობით სარგებლობდა. მისი ნაყოფიერი მონაწილეობა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში საყოველთაოდ ცნობილი იყო. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მეცნიერი მღვდელმთავრის უანგარო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ყოველთვის აფასებდა. სწორედ ამგვარი დაფასებისა და აღიარების გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გაბრიელი თავის საპატიო წევრად აირჩია. ეს მოხდა 1890 წელს.

ჩვენამდე მოღწეულია იაკობ გოგებაშვილის მიერ წარდგენილი მოხსენება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო

---

[1] ვახტანგ გაგოძე, ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XIX საუკუნის საქართველოში, 1964 წ., გვ. 204-226.

წევრად გაბრიელის არჩევაზე. მოხსენება იმის აღნიშვნით იწყება, რომ „ყოვლადსამღვდელო გაბრიელმა, ეპისკოპოსმა იმერეთისამა, ფრიად დიდი სამსახური გაუწია ხალხის განათლებას საქართველოში“. ამის შემდეგ წერილში ცალ-ცალკე დასახელებულია კონკრეტული ფაქტები გაბრიელის მიერ გაწეული ამ რიგის საქმიანობისა. ფაქტები შემდეგია.

I. — გაბრიელმა თავისი საკუთარი ხარჯით გურიაში, სოფელ ბახვში ორკლასიანი სასწავლებელი დააარსა. ეს სკოლა, — წერდა ი. გოგებაშვილი: — „სწარმოებს აგერ თხუთმეტი წელიწადია და მისი სამუდამო არსებობა უზრუნველყოფილია საკმაო თანხით, რომელიც ყოვლადსამღვდელო გაბრიელმა სახელმწიფო ბანკში შეიტანა“; II. — გაბრიელის ხელშეწყობით დასავლეთ საქართველოში დაარსებულია მრავალი სამრევლო სკოლა, „რომელთა წყალობით წერა-კითხვა ახლა ძლიერ გავრცელებულია იმერეთის მხარეში“; III. — გაბრიელი მშობლიური ერის კულტურულად ამაღლებას ხელს უმართავს მის მიერ ხალხისათვის გასაგები ენით დაწერილი ქადაგებებით, რომელნიც „ორ ტომად დაიბეჭდნენ რამდენიმე გამოცემად და რომელნიც ინგლისურს ენაზედაც კი ითარგმნენ“; IV. — გაბრიელი თავიდანვე ნამდვილი თანაგრძნობით შეხვდა წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებას. მან სახელმწიფო დაწესებულებებში წარსადგენ საზოგადოების „წესდებულებას ხელი მოაწერა, როგორც დამფუძნებელმა წევრმა“[1].

ასეთი იყო იაკობ გოგებაშვილის მიერ წარდგენილი მოხსენიბ. გაბრიელ ეპისკოპოსის საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაზე. იმავე 1890 წლის 21 ნოემბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საერთო კრებამ გაბრიელი საპატიო წევრად აირჩია. ამ შემთხვევის გამო ილია ჭავჭავაძემ გაბრიელს საგანგებო წერილით მიმართა. წერილი ასე იკითხება:

„თქვენო ყოვლად უსამღვდელოებავ, მოწყალეო ბატონო მამათმთავარო გ ა ბ რ ი ე ლ!

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საერთო წევრთა კრებამ 21 ნოემბერს 1890 წ. ურთხმად აღიარა უღრმესის პატივისცემით და გულითადის მადლობით თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადოდ და ქართულის მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად და ერთხმადვე დაადგინა უმორჩილესად გთხოვოთ მიიღოთ ამ „საზოგადოების“ საპატიო წევრობა, რათა თქვენი ბრწყინვალე სახელი ჩაერთვას

[1] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. IX, 1962 წ., გვ. 228.

მისთა საქმეთა და თქვენმა მონაწილეობამ გაუადვილოს „საზოგადოებას“ გზა მისაღწევად მისდა დანიშნულებისა.

„უმორჩილესად მოგახსენებ რა თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას ამ განაჩენს ჩვენის „საზოგადოებისას“, ვალად ვრაცხ ზედ დავძინო, რომ „საზოგადოების“ გულწრფელი ნატვრაა ინებოთ თქვენ მისი საპატიო წევრობა მისდა სასიქადულოდ და თავმოსაწონებლად.

„ თქვენის ყოვლად უსამღვდელოესობის უღრმესი და უგულითადესი პატივისმცემელი თავმჯდომარე „საზოგადოებისა“ ილია ჭავჭავაძე“[1].

გაბრიელ ეპისკოპოსმა ილია ჭავჭავაძის წერილი მიიღო და მას თავაზიანი პასუხიც გასცა. იგი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეს სწერდა:

„თქვენო ბრწყინვალებავ, მოწყალეო ხელმწიფევ ილია გრიგოლის ძევ! უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ ჩემგნით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრებას, რომ დიდ პატივად და ჯილდოდ ვრაცხ ჩემს მათგან საპატიო წევრად აღრჩევასა; ამისთვის მზადა ვარ მივიღო ჯეროვანი მონაწილეობა მაგა საზოგადოებაში, რომელსაც ამისთანა მოწოდებისათვის შევწირავ უგულითადეს მადლობას. ხოლო თქვენს ბრწყინვალებას ვთხოვ მიიღოთ ჩემგან უღრმესი და უწრფელესი მადლობა თქვენ წერილში გამოთქმული პატივისცემისათვის. მე არა ვრაცხ ჩემ თავს ღირსად იმ ქებათა, რომელიც ამოვიკითხე თქვენს წერილში და ვგონებ, რომ მხოლოდ თქვენმა მეგობრულმა ჩემდამი განწყობილებამ შეგაგონათ თქვენ ამოდენა ჩემი ქება.

თქვენი ერთგული და გულწრფელი პატივისმცემელი
მდაბალი გ ა ბ რ ი ე ლ, ეპისკოპოსი იმერეთისა“[2].

მოტანილი მიმოწერიდან საკმაოდ ნათლად იგრძნობა სახელოვანი მწერლის დამოკიდებულება მეცნიერი მღვდელმთავრისადმი.

1896 წლის 25 იანვარს გაბრიელ ეპისკოპოსი გარდაიცვალა. 27 იანვარს გაზეთი „ივერია“ თავის მკითხველებს აუწყებდა:

„გუშინ დეპეშამ მეტად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა: 24-ს იანვარს ყოვლად უსამღვდელოესი გაბრიელი მძიმე ავადმყოფი შეიქმნა; მარცხენა ფილტვის ანთება მოუვიდა, ხოლო 25-ს იანვარს ნაშუაღამევის პირველ საათზედ მიიცვალა“[3].

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 132.
[2] იქვე, გვ. 513.
[3] გაზეთი „ივერია“, 1896 წ., № 21.

იმ დღიდან მოყოლებული დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ყოველდღიურად აქვეყნებდნენ ცნობებს გაბრიელის მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეებზე, საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ჩატარებულ სამოქალაქო პანაშვიდებზე და სხვა.

გაბრიელის დაკრძალვა მეტისმეტად დაგვიანდა. 25 იანვარს გარდაცვლილი კაცი 10 მარტს დაასაფლავეს.

გაბრიელის დასაფლავებაზე საგანგებოდ გაემგზავრა ილია ჭავჭავაძე. ამ დროს მასთან ერთად იყვნენ ლევან ჯანდიერი, ნიკო ღოღობერიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე რატიშვილი, ანდრია ღულაძე და სხვები.

ილია და მისი თანმხლები პირები 10 მარტს დილით ქუთაისში ჩავიდნენ, ხოლო იქიდან ეტლით გაემგზავრნენ გელათში, სადაც ეპისკოპოსის დაკრძალვა უნდა მომხდარიყო. მეფის ჟანდარმერია ილიას წინააღმდეგ ამ შემთხვევაშიც ენერგიულად მოქმედებდა. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი წერს:

„აუარებელი ხალხი იყო. ცხედარი დაესვენებინათ საკურთხეველის წინ და ხატებითა და ყვავილებით შეემკოთ. დეპუტატები რიგრიგობით მიდიოდნენ და სიტყვებს ამბობდნენ. პოლიციის წარმომადგენლად ესწრებოდა ქუთაისის პოლიცმეისტერი სიმონიშვილი, რომელსაც საზოგადოდ ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი და ცარიზმის ყურმოჭრილ ყმად ითვლებოდა. ჯანდიერმა გვაცნობა, რომ სიმონიშვილს თბილისიდან ზედიზედ მოსდის დეპეშები: „Следить за Ильей Чавчавадзе и записать каждое слово, что он скажет“. მაშინ არავინ იცოდა, მაგრამ ეხლა გამორკვეულია, რომ ამ დროს ილია პოლიციის საიდუმლო ზედამხედველობაში ყოფილა“.

მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ შექმნილმა ვითარებამ ილია ჩააფიქრა. იგი თითქოს სიტყვის თქმას აღარც აპირებდა, ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს მაინც წარმოსთქვა. იგივე ექვთიმე თაყაიშვილი მოგვითხრობს:

„ამ გარემოებამ ჯანდიერი და ილია ჩააფიქრა; საჭიროა თუ არა ამის შემდეგ ილიამ წარმოსთქვას სიტყვა? შეიძლება ამან პატივისცემის მაგიერ უსიამოვნება გამოიწვიოს, რაც არ ეგების გაბრიელის სახელსაო. ცოტა ყოყმანის შემდეგ ილიამ გამოგვიცხადა: „სჯობს არაფერი არა ვთქვა, თუმცა გულს კი დამაკლდება, რადგანაც სიტყვა ჯარგად მაქვს მომზადებულიო“. ამასობაში საღამომ მოაღწია და ჩვენ ვითომც ცხედრის გამოსათხოვებლად მივედით ხალხთან, რომელიც შემორტყმული იყო კუბოს ირგვლივ. მე წინდაწინ მივედი, გავთიშე ცოტად ხალხი და ხმამაღლა ვთქვი: „ბატონებო, ცოტა

ჩამოდექით, გზა მოგვეცით, ბატონ ილია ჭავჭავაძეს სიტყვა აქვს სათქმელი". ხალხი გაიშალა. ილია წამოდგა წინ და დაიწყო სიტყვა, რომელსაც დიდის ყურადღებით უსმენდა ეკლესიაში გაჭედილი ხალხი. ჯანდიერი სიხარულით შეხვდა ამას და ილიაც კმაყოფილი დარჩა"[1].

ილია ჭავჭავაძე თავის სიტყვაში გაბრიელ ქიქოძის მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდა. მისი აზრით, გაბრიელი „ღრმადმიწევნილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად-მორწმუნეცა".

შეუძლებელია გულგრილნი ვიყოთ იმ ფაქტის მიმართ, რომ ილიამ გაბრიელ ეპისკოპოსი, როგორც მოაზროვნე, მაინცდამაინც ნიუტონს შეადარა. იგი ამბობდა:

„ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გუნიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი".

ილია ჭავჭავაძე სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი თავისი მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობით ქართველი ერის კეთილდღეობის საქმეს ემსახურებოდა. როგორც მწერალი ამბობდა, ბაგენი მისი „გველოცავდა და გვწურთვნიდა", ხოლო მარჯვენა მისი „მუდამ გაწვდილი იყო დავრდომილთა შემწეობისათვის და დაცემულის აღდგენისათვის".

მწერალმა თავის სიტყვაში გაბრიელ ეპისკოპოსი აღიარა როგორც ქართული კულტურის ერთ-ერთი თავდადებული მოღვაწე, რომელიც მშობლიურ ხალხს პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის მაღალ იდეებს უნერგავდა. იგი თვითონვე იძლეოდა ერისათვის თავდადების მაგალითსაო, — ამბობდა ილია.

„დღეს ერი ცრემლს აფრქვევს მისთვის, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე იმის მსახურებაში იყო, რომ თვით მოსწმინდოს ერს თვალთაგან ცრემლი ნუგეშინის-ცემითა და მადლის ფენითა. რით იყო ასე ძლიერ სახელოვანი ჩვენი მღვდელმთავარი, რამ გამოიწვია ასეთი დიდი გლოვა ერისა? ნუთუ მარტო სიბრძნითა? არა, სიბრძნესთან ერთად ორი სიკეთე კიდევ ჰქონდა მიმადლებული ღვთისაგან. ერთი ისაა, რომ იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა, და, მაშასადამე, იცოდა რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს, და მეორე ისაა, რომ მოციქულობდა ჩვენის სამშობლო სიტყვითა, იმ ენითა, რომლითაც დღესაც ვადიდებთ

[1] ლიტერატურის მატიანე, წიგნი IV, ნაკვეთი პირველი, 1952 წ., გვ. 10.

ღმერთსა, ეპატრონობთ ქვეყანასა და სულსა და გულს ვაწვდით ერთმანეთსა საუკუნიდამ საუკუნემდე".

დასასრულ ილიამ ერთხელ კიდევ ხაზგასმით მიუთითა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი „ქრისტეს ჯვარით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენის ენის მწედ და მფარველად"[1].

ასე გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე ეპისკოპოს გაბრიელის გარდაცვალებას. რაღა თქმა უნდა, თავისთავად ამ გამოხმაურებაშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სუნთქვა იგრძნობა. შემთხვევითი სრულიადაც არაა, რომ ბრძენმა მწერალმა თავისი სიტყვა დამსწრე საზოგადოებისადმი შემდეგი მიმართვით დაამთავრა: „ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდ-გვაროდაც დიდიაო".

დაბოლოს ინტერესს მოკლებული არ იქნება აქაც აღინიშნოს, რომ გაბრიელის გარდაცვალებას აგრეთვე გულითადად გამოეხმაურა იაკობ გოგებაშვილი. ბრძენმა პედაგოგმა ამ შემთხვევას ორი ვრცელი წერილი უძღვნა. წერილებში მოთხრობილია მეცნიერი მღვდელმთავრის ღვაწლზე მშობლიური ერის წინაშე. გაბრიელის პიროვნებით დაინტერესებული მკითხველი ამ წერილებს გვერდს ვერ აუვლის.

* * *

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ილია სამოციან წლებში, როდესაც ჟურნალ „საქართველოს მოამბის" გამოცემას აწარმოებდა, ცენზურისაგან სასტიკ შევიწროებას განიცდიდა. საჭიროა ვიცოდეთ, რომ ჩვენს მოღვაწეს კალმის ჯალათის სიავე მომდევნო პერიოდებშიც, მთელი ცხოვრების მანძილზე, არაერთგზის უგრძნია.

დამახასიათებელია ერთი ფაქტი. 1871 წლის აგვისტოში ილიამ დუშეთიდან თავის მეგობარს პეტრე ნაკაშიძეს რამდენიმე ლექსი გამოუგზავნა ჟურნალ „კრებულში" დასაბეჭდად. ლექსებს მეგობრისადმი მიწერილი პირადი ბარათიც ახლდა. სახელოვანი მგოსანი ბარათის ადრესატს სწერდა: „პეტრე! ამ ახლად დაწერილს ლექსებს გიგზავნი დასაბეჭდად კრებულში. მეშინიან კი, რომ ზოგ ხანას დაუნდობელი მაკრატელი ცენზორისა მოხვდება"[2].

ილია თვითმპყრობელობის ცენზურის მარწუხებს ქართული

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 255.

[2] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის ფონდი, № 114.

მწერლობისათვის ერთ-ერთ დიდ და ძნელად გადასალახავ დაბრკოლებად თვლიდა. ჩვენი ავტორის სიტყვით, კალმის ჯალათი საზოგადოდ ყველა ქართველ მწერალს ყოველნაირად ხელს უშლიდა, რომ თავისი ნაფიქრ-ნააზრევი მკითხველამდე მიეტანა. 1879 წლის ივლის-აგვისტოს შინაურ მიმოხილვაში ილია წერდა:

„თქმაც ძნელია იმიტომ, რომ წყლით გივსებენ პირს, ნაღველს ან სულ არ ამოგათქმევინებენ, და თუ ამოგათქმევინებენ, ისე ბუნდად, არეულად, გაკვრით-გადაკვრით, რომ არამც თუ კაცი, თითონ ეშმაკიც კი კისერს მოიტეხს. ამის გამო ბევრად შესაწყნარებელია და შესანდობარი სიღარიბე ჩვენებურის მწერლობისა და ნამეტნავად ჩვენებურის პუბლიცისტიკისა“ [1].

სავსებით ბუნებრივია, რომ ოთხმოციანი წლებიდან, როდესაც „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაქეთდა, და, მაშასადამე, კიდევ უფრო მებრძოლ ორგანოდ იქცა, ცენზურის სიავეც უფრო საგრძნობი გახდა. თავისთავად იგულისხმება, რომ იმ დროს, როდესაც თვითონ ილია საიდუმლო პოლიციის მეთვალყურეობაში იმყოფებოდა, მისი გაზეთი ცენზურისაგან განსაკუთრებით შევიწროებული იყო.

„ივერიის“ რედაქციასა და ცენზურას შორის შეხლა-შემოხლა წლობით გრძელდებოდა, ხოლო ერთ მომენტში წინააღმდეგობამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია. 1896 წლის მაისში კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიერ წაყენებული ბრალდების საფუძველზე მთავარმართებლის საბჭომ „ივერიის“ გამოცემის დროებით (რვა თვის ვადით) შეწყვეტა დაადგინა. ილიამ „ივერიის“ გამოცემა მხოლოდ 1897 წლის დამდეგიდან, აკრძალვის ვადის გასვლის შემდეგ განაახლა. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 17 იანვრის ნომერში თავის მკითხველს ატყობინებდა:

„დღეს გამოვიდა პირველად გაზეთი „ივერია“ რვა თვის აკრძალვის შემდეგ. სულითა და გულით ვუსურვებთ პატივცემულს გაზეთს მართებულობით წინსვლას და საზოგადოების სამსახურს. „ივერიას“ წელს შეუსრულდება ოცი წელიწადი, რაც დაარსებულ იქმნა იგი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის მიერ, ხოლო ყოველდღიურ გაზეთად გამოდის 1886 წლიდან“[2].

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1955 წ., გვ. 59.

2 გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897 წ., № 87, ვრცლად ამ საკითხზე იხ. პავლე ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963 წ., გვ. 472-474.

* * *

ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელია ქართველი ახალგაზრდობის საკეთილდღეოდ თანამიმდევრული ზრუნვა. ამგვარი მზრუნველობა ახალგაზრდობაზე ჩვენი მწერლის ცხოვრებას თავიდან ბოლომდე გასდევს. კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია მრავალთაგან მხოლოდ ორიოდე საგულისხმო ფაქტის გადმოცემით დავყაბულდეთ.

1886 წლის 4 თებერვლის ილიას გაზეთი „ივერია“ თავის ახალ ამბებში მკითხველებს მოუთხრობდა ქალაქ ოდესაში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდების მძიმე მდგომარეობაზე. გაზეთი საზოგადოებას აგებინებდა შინაარსს ქართველი სტუდენტების წერილისა, რომელიც თბილისში რამდენიმე პირისათვის გამოუგზავნიათ. „ივერია“ წერდა:

„ძალიან გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან თურმე ქართველი სტუდენტები, „ჩვენში მოიპოვებიან ათს კაცამდე, იწერებიან იქიდან, იმისთანებიო, რომელთაც არც შინიდამ მოსდით ფული, ვერც აქ შოვობენ ვერა-რა ღონისძიებას, რომ თავი ირჩინონო. ისე, რომ ერთს სახლი არა აქვსო, მეორე ცარიელ პურზე გადადისო და მესამე კი დადის ტიტველ-შიშველიო“.

მიმომხილველი აღნიშნავდა, რომ „განწირულებისაგან იძულებულ“ ქართველ სტუდენტობას თბილისში რამდენიმე საპატიო ოჯახისათვის წერილები გამოუგზავნია და თავიანთი გაჭირვებული ამბანაგების გადასარჩენად დახმარება უთხოვია. დასასრულ გაზეთი წერდა:

„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის საპატიო გვამნი, რომელთაც მაგისთანა წერილები მოსვლიათ, ყოველ ღონისძიებას იხმარებენ გაჭირვებულს ძმათა და შვილთა საშველად. ჩვენ, ჩვენის აზრით, ვსთხოვთ ქართველობას შეძლებისამებრ ხელი გაუმართოს სწავლისათვის თავდადებულს ყმაწვილკაცობას, რომლის სიკეთესა და დღეგრძელობაზე დამყარებულია სასოება ჩვენის მერმისისა“[1].

ილია ჭავჭავაძე ოდესაში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობის მძიმე მდგომარეობაზე ცნობას მყისვე გულითადად გამოეხმაურა. მეორე დღეს იმავე „ივერიაში“ გამოქვეყნდა მისი წერილი-მოწოდება საზოგადოებრიობისადმი გაჭირვებულ სტუდენტობაზე დასახმარებლად. მან უწინარეს ყოვლისა ქებით მოიხსენია ის ხელმოკლე ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც უქონლობას ვერ

[1] გაზეთი „ივერია“, 1886 წ., № 27.

შეუშინებია და „ყმაწვილკაცობის ხალისით და გაბედულობით გასდგომიან შორს და სანატრელს გზას სწავლისას“. ბრძენმა მოღვაწემ ამ ახალგაზრდობის მოქმედებას კეთილშობილური სითამამე, პატიოსანი თავგამეტება და ვაჟკაცური წინდაუხედაობა უწოდა. დაბოლოს, მგოსანმა ქართველობას შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„ამ მხრით ვერავინ გულს ვერ გაიგრილებს, ვერავინ ყურს ვერ მოიყრუებს: როცა სწავლისათვის თავგანწირულ ყმაწვილკაცის ძახილი მოდის, მიშველეთო. ყველა ჩვენი ღონე ზედ-შევაკალით, ყველა ჩვენი მეცადინეობა ზედ-შევალიეთო და ვერას გავხდითო, იწერებიან ოდესიდამ უნუგეშოდ შთომილნი ყმაწვილკაცნი, ჩვენი ძმები, ჩვენი შვილები და იმედნი მერმისისანი. ნუთუ ქართველობა ისე გაძუნწდება, რომ ამ სასოწარკვეთილების ხმას ყურს არ ათხოვებს და გაჭირვებულთ მოძმეთ არ გაუწვდის შემწეობის ხელსა! აქ ყოველი გროშიც განძია და იმედი გვაქვს, რომ არავინ დაიშურებს, შეძლებისამებრ, რაიმე შეაწიოს“[1].

ასეთი იყო ილია ჭავჭავაძის მოწოდება ქართველობისადმი ქალაქ ოდესაში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობაზე დასახმარებლად.

იმავე 1886 წლის მიწურულს ილიამ კვლავ მოუწოდა ქართველ სტუდენტობაზე დახმარებისათვის. ამჯერად საკითხი ქალაქ კიევში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას შეეხებოდა. 23 დეკემბრის გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა „წერილი რუსეთიდან. კიევი 15 დეკემბერს“. წერილის ავტორი „ივერიის“ მკითხველებს მოუთხრობდა:

„აგერ ერთი თვე იქნება, რაც კიევში ვიმყოფები შემთხვევით; აქ გავიცანი ქართველი სტუდენტობა, შევიტყვე მათი ყოფა-ცხოვრება. საზოგადოდ სტუდენტები ყველგან ცუდს მდგომარეობაში არიან, მაგრამ ის მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებიან აქაური ქართველი სტუდენტები, ენით გამოუთქმელია; უმეტეს ნაწილს თვე გავა რომ კაპეიკი არ მოუდის სახლიდან, რის გამოც იძულებულნი არიან იკვებებოდნენ მარტო შავის პურითა და ჩაით. ხანდისხან-კი, როდესაც რომელიმე ამხანაგი მიიღებს ცოტაოდენს ფულს, გასწევენ იაფ სასადილოში, სადაც ორი თავი საჭმელი თავის პურით ღირს 10-12 კაპეიკი (როგორი სადილი იქნება ამ ფასად ადვილი საგულისხმოა). რაც შეეხება ტანისამოსს, ან სასწავლო წიგნებს, ამაებს ხომ თითქმის სრულიად მოკლებულნი არიან“.

დაბოლოს კორესპონდენტი წერილს შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა:

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 335.

„ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს გავაგებინო ამგვარი მდგომარეობა კიევის ქართველი სტუდენტებისა იმათ, ვისთვისაც ძვირფასია სიკეთე და ბედნიერება ჩვენის ქვეყნისა... მე ვგონებ მოვალე ვარ ვაცნობო მათი უნუგეშო მდგომარეობა ქართველ საზოგადოებას. ქართველი სტუდენტები ეკუთვნიან სამშობლოს და სამშობლომ უნდა იცოდეს „მათი ბედი და უბედურება“[1].

ილია კიევში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობის საკითხსაც მისთვის ჩვეული გულისხმიერებით გამოეხმაურა. ჩანს, იგი კორესპოდენციას ხელნაწერში გაეცნო, სტუდენტი ახალგაზრდების გაჭირვება მისთვის ჩვეული ადამიანური კეთილშობილებით განიცადა და თავისი წერილიც კორესპონდენციასთან ერთად, იმავე ნომერში, მეთაურის სახით დაბეჭდა.

წერილი იმის აღნიშვნით იწყება, რომ საქართველოში სწავლა-განათლების სურვილი დიდი ხანია გაღვიძებულია. ამას „ყველა ჰხედავს, ყველა ჰგრძნობს, ყველა ჰღაღადებს“. ეს სურვილი, — ამბობს მწერალი: — „არა ერთსა და ორს ჩვენს ყმაწვილკაცს გაიტაცებს ხოლმე თავგამომეტებით თავის საყვარულის სამშობლოდან, რომ იქ შორს სადმე დაეწაფოს უმაღლესი ცოდნის ანკარა წყაროსა, რადგანაც ახლო იგი წყარო ნეტარებისა ჯერ არა სჩქეფს“.

წერილში ლაპარაკია იმაზე, რომ შორეულ ადგილებში სწავლა-განათლების მისაღებად გამგზავრებულ ქართველ ახალგაზრდებს სამშობლოში გადმოაქვთ ცოდნისა და კულტურის ძვირფასი თესლი, რომელიც მზიური საქართველოს ნიადაგზე „ერთი ათასად“ იმრავლებს. წერილის ამ ნაწილში საკუთარი აზრის გადმოსაცემად ილიამ მოხდენილად გამოიყენა თავისი სახელოვანი წინამორბედის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სტრიქონები:

და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!

მწერალი აღნიშნავს, რომ მშობლიური ერი „ცოდნისათვის თავგადადებულ და გარდახვეწილ“ შვილთაგან ამგვარი თესლის გადმოტანას მოელის; დიდ იმედებსაც ამყარებს, მაგრამაო, — ამბობს იგი, — „ჩვენდა სამწუხაროდ, იმას კი აღარ ვკითხულობთ, რა დღეში არიან ჩვენი ძმები, ჩვენი შვილები, მინამ თავის წყურვილს სწავლისას და ცოდნისას მოიკლავენ“.

ილია მკითხველის ყურადღებას ამახვილებდა კიევიდან მიღებულ კორესპონდენციაზე, რომელშიც მოთხრობილი იყო იქ მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობის გაჭირვებაზე. იქვე ილია იმასაც

[1] გაზეთი „ივერია“, 1886 წ., № 278.

ამბობდა: კიევიდან მოწერილი ამბავი არისო მკრთალი სურათი იმისი, „რასაც ჩვენი საცოდავი ყმაწვილკაცობა ითმენს და იტანს სწავლისა და ცოდნის გულისათვის. ესე იგი იმ ძვირფასს თესლთა შეკრებისათვის, რომელიც მშობელ ქვეყნად უნდა მოჰზიდონ ერთი ათასად მოსამკელად და, მაშასადამე, ჩვენდა საბედნიეროდ“. წერილი მთავრდებოდა ქართველობისადმი მიმართვით:

„ნუთუ მამანო, ძმანო, დედანო, დანო და ქვეყნის გულშემატკივარნო, ასეა და ასე უნდა იყოს... ნუთუ მართლა უღონონი ვართ, რომ თითო გროშის მიწვდენა არ შეგვეძლოს!..“

რაღა თქმა უნდა, საყოველთაოდ აღიარებული მოღვაწის ამ მოწოდებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერთიანი აზრის შესაქმნელად. თავისთავად იგულისხმება, რომ საზოგადოებრივი აზრის ამგვარი ამოძრავების შედეგად კიევში მოსწავლე ქართველმა ხელმოკლე ახალგაზრდებმა მიიღეს რაღაც დახმარება, რასაც მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

* * *

ახალგაზრდობაზე მზრუნველობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის ერთი წერილი პეტერბურგის ქართველი სტუდენტებისადმი 1897 წლის 5 აპრილის თარიღით. იგი წარმოადგენს პასუხს წერილისას, რომელიც ერის სულიერ მამას პეტერბურგში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდებისაგან მიუღია.

იმ დროს საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის ომი წარმოებდა კრიტის კუნძულის გამო. საბერძნეთმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელი გაუწოდა თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებულ კრიტელ თანამოძმეებს და დამპყრობელი ოსმალეთის წინააღმდეგ მთელი საბერძნეთი გამოვიდა. საბერძნეთ-ოსმალეთის ომი, ჩანს, იმდროინდელი მსოფლიო აზრის ყურადღების ცენტრში იყო. მოულოდნელი არაა, რომ ამ ომს ქართული პრესაც ეხმაურებოდა და, როგორც საზოგადოდ მსოფლიოს მოწინავე აზრი, საბერძნეთს თანაუგრძნობდა.

ილიას „ივერია“ საბერძნეთ-ოსმალეთის ომის ამბებს სისტემატურად აქვეყნებდა. პირადად ილიამ ამ შემთხვევას მიუძღვნა ორი სტატია საერთო სათაურით: „კრიტის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი“. სტატიებიდან სრულიად გარკვევით ჩანს ავტორის თანაგრძნობა საბერძნეთისადმი, როგორც ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ქვეყნისადმი. 1897 წლის 11 თებერვლის წერილში ილია ამბობდა:

„მართლა-და, რა იმისთანა დანაშაულობაა, რომ კაცმა თავისი ძმა, ტყვედქმნილი, ძალით წართმეული, მოტაცებული, სულის ამოხდომამდე მიღწეული, — იძიოს, რომ ისევ თავისთან იყოლიოს, შეივრდომოს, შეიერთოს, ძმას ძმურად მიეშველოს, შეეწიოს. გრძნობა ადამიანობისა ქრისტიანობისა, მაღალზნეობისა — სხვა რა არის, თუ არ გულისტკივილი ყველასათვის საერთოდ და ძმათათვის განსაკუთრებით.

„ჩვენის ფიქრით, პირველი მიზეზი და საბუთი იმ თავგამოდებისა, რომელიც დღეს საბერძნეთმა გამოიჩინა, ამაშია და ამაშივეა მისი იმედი და სასოება. ეს იმედი და სასოება უნდა გაორკეცდეს და გაძლიერდეს იმ საზრისით, რომ ქვეყანა ამ შემთხვევაში საბერძნეთისაკენ უნდა იყოს, თუ მარტო მუცლისათვის ზრუნვას არ მოუკლავს უმაღლესნი სულთასწრაფვანი ადამიანობისა, კაცთმოყვარეობისა, ქრისტიანობისა“.

მოტანილი სტრიქონებიდან სავსებით ნათლად იგრძნობა ჩვენი მოღვაწის პოზიცია საბერძნეთ-ოსმალეთის ომის მსვლელობაში. ასეთივე პოზიცია იგრძნობა აგრეთვე ილიას მეორე წერილიდან, რომელიც ამ ომის საკითხებში სხვა დიდ სახელმწიფოთაგან ჩარევასა და ამის შედეგად საბერძნეთის ჩაჩუმებაზე მოგვითხრობს[1].

ილიას მეორე წერილი 14 მარტის „ივერიაში“ გამოქვეყნდა, ხოლო იმავე თვის მიწურულში უკვე ილია პეტერბურგის ქართველი სტუდენტობისაგან იღებს პირად წერილს საბერძნეთ-ოსმალეთის ომის საკითხებზე. სტუდენტები ილიას ატყობინებენ, რომ მათ განზრახული აქვთ ბერძენ ახალგაზრდობას თანაგრძნობის წერილი ან დეპეშა გაუგზავნონ. ისინი ილიას რჩევას სთხოვდნენ გაეგზავნათ თუ არა ამგვარი თანაგრძნობისა და გამხნევების წერილი. წერილის ავტორები ადრესატს ატყობინებდნენ: „ჯერ-ჯერობით არაფერი გაგვიგზავნია, რადგან გვსურდა დაგკითხებოდით, თუ თქვენ რა აზრის ბრძანდებით ამ საგნის შესახებ“. სტუდენტები მწერალს თავაზიანად იმასაც სთხოვდნენ, გვაცნობეთ, „რა მოსაზრებით იხელმძღვანელებთ საგნის გადაწყვეტის დროს: ეს ჩვენთვის აუცილებელი საჭიროაო“ [2].

როგორც ჩანს, ილიამ წერილთან ერთად მიიღო პირი თანაგრძნობის ტექსტისა, რომელიც პეტერბურგის ქართველ სტუდენ-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, 1957 წ., გვ. 146-152.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 517-518. სარედაქციო შენიშვნები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის ფონდი, № 225.

ტებს ბერძენი ახალგაზრდებისათვის უნდა გაეგზავნათ. მაშასადამე, მწერლისათვის ვითარება სავსებით ნათელი იყო. მას ეკითხებოდნენ: ბერძენ ახალგაზრდობას ასეთი წერილი გავუგზავნოთ თუ არაო.

სწორედ ამ შეკითხვის პასუხად დაიწერა წერილი, რომელზეც ახლა ვლაპარაკობთ. წერილი მნიშვნელოვანია იმით, რომ ამ შემთხვევაში ერთხელ კიდევ თავს იჩენს ავტორის განსაკუთრებული მზრუნველობა ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობაზე, საზოგადოდ ქართველ ახალგაზრდობაზე.

ილია პეტერბურგის ქართველი სტუდენტებისადმი მიმართულ წერილს ასეთი თავაზიანი სტრიქონებით იწყებდა: „მე დიდ პატივად მიმაჩნია, რომ თქვენ ინებეთ და ჩემი სარჩიელი მოითხოვეთ. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან უგულითადესი მადლობა ამნაირ, ჩემ მიერ არ დამსახურებულ პატივისცემისათვის“. ამის შემდეგ იგი პირდაპირ საქმეზე გადადის, რათა უპასუხოს კითხვას: სასურველია თუ არა საბერძნეთში ამგვარი წერილის გაგზავნა?

ილია შეკითხვის ავტორ სტუდენტებს ღრმააზროვნად მიმართავდა: „თქვენმა წერილმა ორ ცეცხლ შუა დამაყენაო“. ბრძენმა მოღვაწემ ქართველი სტუდენტების მიერ დასმულ კითხვას სრულიად გარკვეული, დასაბუთებული და დამაჯერებელი პასუხი გასცა. მწერალი დაუფარავად გამოთქვამდა თავის აღტაცებას ჩვენი სტუდენტების კეთილშობილურ განზრახვაზე ბერძენი ახალგაზრდობისადმი დასახმარებლად დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ილია მათ გულითადად აქებდა კიდეც „ბრწყინვალე და დიდებული“ განზრახვისათვის. მკითხველს გულის სიღრმემდე წვდება სახელოვანი მწერლის მიმართვა პეტერბურგში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდებისადმი:

„ყოვლად პატიოსანი გულთა-ძგერა თქვენი დამიდგა თვალწინ. გულთა-ძგერა საქვეყნო, გულთა-ძგერა ბრწყინვალე და დიდებული, რომლის ღაღადის წინაშე აღტაცებით და სასოებით მუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა. მე მივხვდი და ვიწამე, რომ ამ კეთილშობილობით აღსავსემ გულთა-ძვრამ აღმოგიშობათ სურვილი ქება-დიდებით და ლოცვა-კურთხევით მიჰმართოთ დაჩაგრულთა, რომელთაც თავი დაუდვიათ ხსნისათვის. ძნელია პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერს და ყოვლად თავმოსაწონებელს გულთა-ძვრას, და გასამხნევებლად, თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდამ დიდებულ საქმისათვის თავგამოდებულთა“.

იმავე წერილის მომდევნო ნაწილში ილია ამბობდა:

„კაცთა საუბედუროდ, დღეევანდელი დღე მუშტისაა, ძალა ჰხნავს აღმართსა. მით უფრო საქებ-სადიდებელია უღონო ჩაგრულთა მოქმედება. მე არ ვეჰვობ, რომ მოვა დრო, და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელით დღეს ბერძენი გამოდის, დაემჯობინება მთელ სპა-ლაშქარსა, წინაშე მათთა ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი. აქ არის ყოვლად-მხსნელი ღონე და სასოება ადამიანისა და ამის მაგალითს დღეს თვალწინ გვიყენებს ერთი მუჭა ერი საბერძნეთისა“.

როგორც ვხედავთ, ილია ქართველ სტუდენტობას უწონებს საბერძნეთის „ერთი მუჭა ერისადმი“ თანაგრძნობას პატრიოტულ ბრძოლაში. იგი თვითონაც უერთდება სტუდენტი ახალგაზრდობის „მშვენიერს და ყოვლად თავმოსაწონებელს გულთა-ძვრას“, მაგრამ მაინც განზრახული თანაგრძნობის წერილის გაგზავნას არ ურჩევს.

წერილის ავტორი სტუდენტები, როგორც ვიცით, ილიას საგანგებოდ სთხოვდნენ, გვაცნობეთ, საკითხის გადაწყვეტის დროს რა მოსაზრებით იხელმძღვანელებთო.

ილია ჭავჭავაძე ქართველ სტუდენტებს ატყობინებს თავის დასაბუთებულ აზრს, რომ ამგვარი წერილი საბერძნეთში არ უნდა გაიგზავნოს. სწორედ ამ დასაბუთებიდან მოჩანს უწინარეს ყოვლისა ჩვენი მწერლის ღრმა ადამიანური მზრუნველობა თითოეული ქართველი სტუდენტის მიმართ, როგორც მომავალი ინტელიგენტი-მოღვაწის მიმართ.

ილიას სჯერა, რომ საბერძნეთში ამგვარი წერილის გაგზავნა საიდუმლოდ ვერ დარჩება, გამომჟღავნდება და „იგი რაც თქვენს პატიოსანს გულს მოუწადინებია, არ მოეწონება ვისაც ჯერ არს და ვაი თუ გეზიანოთ რამე. თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება, ჩვენი ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა“[1].

ორიოდე სტრიქონის შემდეგ მწერალი კიდევ უფრო გარკვევით მიმართავდა ქართველ სტუდენტებს:

„რამე მიზეზი რომ მიეცეთ, მთავრობა ჩვენზედ ავი თვალით მოახედონ, ჩვენი საქმე დიდ ხიფათში ჩაგვივარდება, თუ მთლად არ დაგვეღუპება. თქვენ მიერ განზრახული თუ ასრულდა, საიდუმლოდ არ დარჩება. დიდი შიშია, რომ ჩვენმა მტრებმა ჩვენდა თავში საცემლად არ გამოიყენონ, — აი სად და სით უფრინავთ ქართველებს გონებაო“.

ილიას სჯეროდა, რომ საბერძნეთში ამგვარი თანაგრძნობის წე-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 141-142. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

რილის გაგზავნისათვის მეფის მთავრობა ქართველ სტუდენტობას მკაცრად დასჯიდა. ახალგაზრდობის ასეთი დასჯა კი საქართველოსათვის აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნებოდა. ამიტომაც დიდმა მოღვაწემ ქართველი ერის სახელით პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს ასე მიმართა:

„განსაცდელი და საფრთხე დიდია. განა საფიქრებელი არ არის, რომ თქვენი ბედი, და მაშასადამე, თქვენი ქვეყნისა, ამ საფრთხესა და განსაცდელში არ ჩავარდეს! ბერძნებს თქვენი თანაგრძნობა, რა თქმა უნდა, იამებათ, მაგრამ ბევრს არას არგებს. მაგ თანაგრძნობას ხელში დასაჭერი და გამოსაყენებელი სიკეთე არა მოსდევს რა, გარდა გულთა-ძვრის გარეთ გამოფენისა და, მაშასადამე, საკუთარის თავის კმაყოფისა. კიდევ მოგახსენებთ, მე მესმის მთელი პატიოსნება და კეთილშობილება თქვენ მიერ მოწადინებულისა, არც თავის დღეში ეჭვი არ მქონია, რომ ჩვენს ყმაწვილკაცობას გული არ ებრძოდეს, არ ერჩოდეს ყოველი პატიოსნური საქმისათვის. მაგრამ რა ვქნათ? ბედმა ამისთანა დღეში ჩაგვაგდო, რომ ჩვენის სიკეთისაგან სხვისათვის ვერ გავწირავთ ვერას, ყოველივე ჩვენი კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოვახმაროთ და ამისთვის ყველა სხვა წყურვილი უნდა მოვიკლათ.

„ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემი კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელით: სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურც იქით გადაიხედავთ, ნურც აქეთ, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და ამ ორის უძლიერესის ფარ-ხმლით მოდით და დაეპატრონეთ თქვენსა მოსავს ქვეყანასა, რომელსაც ჯერ კიდევ სხვა საველრებელი თქვენს წინაშე არა აქვსრა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას“.

დაბოლოს, იმავე წერილში სტუდენტებისადმი დიდმა ილიამ ქართველი ერის მომავალ თაობებს ანდერძად დაუტოვა სამშობლოსათვის თავდადების მაღალი შეგნება, წერილის დასასრულ სტრიქონებში მან ახალგაზრდობას ერთხელ კიდევ მოუწოდა: „გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი“[1].

სტუდენტების წერილზე ილიას პასუხი იმდენად ნათელია, რომ იგი კომენტარს აღარ საჭიროებს. მოულოდნელი არც ისაა, რომ პეტერბურგის ქართველმა სტუდენტებმა სახელოვანი მოღვაწის რჩევა მიიღეს და განზრახული წერილი საბერძნეთში აღარ გაუგზავნიათ.

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 143-144.

როგორ ჩაიშალა ილია ჭავჭავაძის იუბილე

ილია ჭავჭავაძეს 1897 წელს სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის ორმოცი წელი შეუსრულდა. მისი პირველი ლექსი, როგორც ცნობილია, 1857 წლის იანვარში ივანე კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნდა. იმავე 1897 წლის შემოდგომაზე სახელოვანი მწერალი სამოცი წლისა ხდებოდა. ამ თარიღთან დაკავშირებით მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ ილიასათვის იუბილეს მოწყობა განიზრახა. მწერალი პირველ ხანებში უარზე იდგა, მაგრამ საბოლოოდ იგი დაითანხმეს. პირველი ცნობა იუბილეს თაობაზე გიორგი წერეთლის „კვალმა“ გამოაქვეყნა. 1897 წლის 19 იანვარს „კვალი“ წერდა:

„ამ იანვრის გასულს სრულდება ორმოცი წელიწადი სალიტერატურო მოღვაწეობისა არა თუ მთელ საქართველოში, ევროპაშიაც ცნობილი პოეტისა და ბელეტრისტის ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძისა. იმედია ჩვენი საზოგადოება ღირსეულად დაუხვდება ამ დღესასწაულს“[1].

„კვალის“ ეს ცნობა ჯერ კიდევ სრულიად არაოფიციალური, ცალკეულ პიროვნებათა მიერ გამოთქმულ სურვილთა გამომხატველი იყო. ორიოდე დღის შემდეგ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ უფრო სარწმუნოდ მოუთხრობდა საზოგადოებრიობას ილია ჭავჭავაძისათვის იუბილეს გადახდის განზრახვაზე. „ცნობის ფურცელი“ წერდა:

„ჩვენ სიამოვნებით ვაცნობებთ ყველას, რომ წელს მართლა ორმოცი წელიწადი სრულდება (თუ არ მეტი), რაც ჩვენი სახელოვანი პოეტი და საუკეთესო მამულიშვილი მოღვაწეობს საქართველოს ერის საკეთილდღეოდ... ყველანი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ქართველობა შესაფერის პატივისცემით გადაიხდის ამ საყურადღებო დღესასწაულს მთელის საქართველოსათვის“. დაბოლოს, ილიას იუბილეს სამზადისზე გაზეთი ამბობდა: „ყოველ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვაუწყოთ მკითხველებს, რომ ამ საგანზე მზადება არის და საცაა საიუბილეო კომიტეტი დაარსდება, რომელსაც მიენდობა გამგებლობა და თადარიგის გაწევა“ [2].

დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწისათვის იუბილეს გამართვის აზრი იმდენად დროული აღმოჩნდა, რომ მან ჩქარა მთელი ერი მოიცვა. იგივე „ცნობის ფურცელი“ 13 აპრილს თავის ახალ

---

[1] ჟურნალი „კვალი“, 1896 წ., № 4.

[2] გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897 წ., № 91.

ამბებში უკვე წერდა: „ჩვენ ყოველ დღე მოგვდის პროვინციიდან წერილები, რომლებშიაც გვეკითხებიან, დაარსდა თუ არა საიუბილეო კომიტეტი და როდის არის დანიშნული იუბილეის დღესასწაულიო". გაზეთი იქვე აღნიშნავდა, რომ ზოგიერთ ადგილებში იუბილესათვის მზადებას უკვე შედგომიან.

რედაქციისაგან ამგვარი განცხადების შემდეგ სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ საიუბილეო კომიტეტიც ჩქარა შეიქმნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. სინამდვილეში კომიტეტი მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ ჩამოყალიბდა. იგულისხმება, რომ სათანადო დაწესებულებიდან იუბილესათვის ნებართვის მიღება ძნელდებოდა. როგორც ვხედავთ, ილიას საიუბილეო დღესასწაულისათვის მზადება დასაწყისიდანვე სიძნელეებს აწყდებოდა.

1897 წლის 17 ოქტომბერს ფართო საზოგადოებრიობის კრებამ, რომელიც საადგილმამულო ბანკის სხდომათა დარბაზში ჩატარდა, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტი აირჩია. კომიტეტში შედიოდნენ მარიამ ორბელიანი, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, პეტრე გრუზინსკი, ქრისტეფორე მამაცაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, კიტა აბაშიძე, კოტე მესხი, ანდრია ღულაძე, ილია ზურაბიშვილი და გრიგოლ აბაშიძე [1].

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ქრისტეფორე მამაცაშვილი იყო.

როგორც ჩანს, კომიტეტმა მუშაობა არჩევისთანავე გააჩაღა. „ცნობის ფურცელი" 31 ოქტომბერს თავის ახალ ამბებში იტყობინებოდა, რომ იუბილესათვის მზადება უკვე დაწყებული იყო.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, — წერდა გაზეთი, — რომ ი. ჭავჭავაძის ორმოცის წლის სპეტაკ სალიტერატურო მოღვაწეობის დღესასწაულს ღირსეულად იდღესასწაულებს ჩვენი ერი და ერთხელ კიდევ მეტად დაამტკიცებს თავისი უანგარო სიყვარულს საუკეთესო მოღვაწეთა მიმართ. ან რა გასაკვირველია, რომ ყოველი ქართველი, განურჩევლად სქესთა და ასაკთა, ამ დღეს სიხარულით მიეგებოს".

დასასრულ გაზეთი საუბილეო კომიტეტსა და ქართველობას ერთგვარად მოუწოდებდა, ილიასადმი მიძღვნილი ზეიმი ჩავატაროთ, ისე, რომ „იგი არ იქნეს სიხარული მხოლოდ ერთის დღისა, წამიერი, თვალის ასახვევი" და „სიხარული ამ დღისა მარტო თბილისში კი არ მეფობდეს, არამედ ყველგან და ყოველს კუნჭულში ჩვენის ქვეყნისა".

---

[1] გაზეთი „ცნობის ფურცელი", 1897 წ., № 344.

საიუბილეო კომიტეტმა იმავე 1897 წლის 2 ნოემბერს კვლავ ფართო საზოგადოებრიობის კრებაზე განსახილველად შეიტანა ილიას სადღესასწაულოდ შემუშავებული პროგრამა. კრებამ ხანგრძლივი კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ასე გადაწყვიტა.

„იუბილეს დღესასწაულობა დაინიშნოს გაზაფხულის პირზედ, დღესასწაული გაიმართოს საქართველოს ყველა ქალაქსა და დაბა-სოფლებში; შემოწირულებანი და შემოსავალი წარმოდგენებისა, სალიტერატურო საღამოებისა და სხვა მოხმარდეს სალიტერატურო ფონდს, რომელსაც აზრად ექნება შეწევნა, დახმარება ღარიბ ლიტერატორთა“ [1].

1898 წლის თებერვლის გასულს უკვე ცნობილი გახდა, რომ ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღესასწაული 9 აპრილს უნდა ჩატარებულიყო. 3 მარტის „ცნობის ფურცელში“ პირველსავე გვერდზე დაბეჭდილი საიუბილეო კომიტეტის განცხადება ასე იკითხება:

„კომიტეტი ილია ჭავჭავაძის იუბილეისა ამით აცხადებს, რომ იუბილეის დღედ დანიშნულია ხუთშაბათი, 9 აპრილი. ამ დღეს, დილის 9 საათზე, დიდუბის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პარაკლისი, რომლის შემდეგაც იუბილარი მიიღებს მილოცვებს სხვადასხვა დეპუტაციათა და კერძო პირებთაგან. საღამოს 8 საათზე ქართულს თეატრში გამართულ იქნება სალიტერატურო სადღესასწაულო საღამო“.

კომიტეტის გადაწყვეტილებით საიუბილეო დღესასწაულთან დაკავშირებით უნდა გამოცემული ყოფილიყო ნაშრომი, რომელშიც ასახული იქნებოდა იუბილარი მწერლის ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ამგვარი ნაშრომის შესაქმნელად კომიტეტმა საგანგებო კონკურსი გამოაცხადა. 3 მარტის „ცნობის ფურცელი“ თავის ახალ ამბებში იტყობინებოდა:

„კომიტეტს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის იუბილეისას თავის უკანასკნელ კრებაზე, თურმე, გადაუწყვეტია დაუნიშნოს პრემიად ხუთიდან ათ თუმნამდე ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდისათვის იუბილარის შესახებ. ამ ეტიუდში დასურათებული უნდა იყოს ილიას ორმოცის წლის მოღვაწეობის ხასიათი. ეტიუდი არ უნდა აღემატებოდეს ორ-ნახევარ ბეჭდურ თაბახს. ეჭვი არ არის, ჩვენი ახალგაზრდობა არ დატოვებს უყურადღებოდ ამ შემთხვევას. პრემიას მიუსაჯავს გამგე კომიტეტი. ვადა დანიშნულია ნაწერის წარმოსადგენად 20 მარტი. კრიტიკულ-ბიოგრაფიული ეტიუდი დაბეჭდილი იქნება იუბილეის დღისათვის, უსე იგი 9 აპრილისათვის.

---

1 გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897 წ., № 360.

რაც შემოვა წიგნების გაყიდვისაგან მოხმარდება ქართულ მუზეუმსა და ღარიბ მწერალთა შესაწევნს ფონდებს".

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. 9 აპრილს ილიას იუბილე უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ რამდენიმე დღით ადრე, 28 მარტს, „ცნობის ფურცელმა" უკვე საზოგადოებრიობას საიუბილეო ზეიმის გადადება აცნობა. გაზეთი წერდა:

„ჩვენ ყოველ დღე გვეკითხებიან პროვინციიდან, როდისთვის გადაიდვა ილია ჭავჭავაძის იუბილე, რომელიც უნდა ყოფილიყო აღდგომის მეოთხე დღესო. ამით ყველას ვაუწყებთ, რომ საიუბილეო დღესასწაული მოხდება ქალაქ თბილისში და სხვადასხვა ადგილებში 24 მაისს, კვირა დღეს წმინდა სამებობას და ამ დღისათვის ემზადება კიდეც წრე იუბილარის პატივისმცემელთა".

ილიას საიუბილეო ზეიმის გადადება, რაზედაც ზემოთ მოტანილ სტრიქონებშია ლაპარაკი, გამოწვეული იყო იმით, რომ სახელმწიფო მმართველობის ორგანოები ზეიმისათვის საჭირო ნებართვას არ იძლეოდნენ. როგორც ჩანს, გაზეთში ამგვარი ცნობის გამოქვეყნება გადაწყდა იმის შემდეგ, როდესაც საიუბილეო კომიტეტმა ზეიმისათვის საჭირო ნებართვაზე თბილისის გუბერნატორისაგან უარი მიიღო. რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ამას ადასტურებს სოფრომ მგალობლიშვილის ერთი პირადი წერილი, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია. სოფრომი ქალაქ ფოთში მყოფ ნიკო ნიკოლაძეს თბილისიდან სწერდა:

„ილიას იუბილეს საქმე შეფერხდა. გუბერნატორმა არ მოგვცა ნება: არაკეთილსაიმედოთა სიაში გახლავთო თქვენი დევ-გმირი ილიაო. ახლა ვუცდით გოლიცინის მოსვლას. მაინცდამაინც ვეპირებით კერძოდ გამართვასა, უკეთუ ოფიციალურად ვერ მოხერხდება"[1].

ინტერესს მოკლებული არც იმის აღნიშვნაა, რომ სოფრომ მგალობლიშვილის ეს პირადი ბარათი დაწერილია სწორედ იმ დღეს (1898 წლის 28 მარტს), როდესაც ილიასადმი მიძღვნილი საიუბილეო დღესასწაულის აპრილიდან მაისში გადატანის ცნობა გაზეთებმა უკვე გამოაქვეყნეს.

მიუხედავად სიძნელეებისა, ილიას საიუბილეო კომიტეტი ზეიმისათვის მზადებას შეუნელებლად განაგრძობდა. ამის მაჩვენებელია ის ღონისძიებანი, რომელნიც სახელოვანი მწერლისადმი მიძ-

---

[1] საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, ნიკო ნიკოლაძის არქივი, № 40/933. იხ. პავლე ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963 წ., გვ. 474-476.

ღვნილ დღესასწაულისათვის მზადების პერიოდში როგორც თბილისსა და ქუთაისში, ისე სხვა ადგილებშიც წარმოებდა.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ქართველთა გამომცემელი ამხანაგობის მიერ გატარებული ღონისძიება. იუბილესთან დაკავშირებით საგამომცემლო ამხანაგობამ გადაწყვიტა მის მიერ 1892 წელს გამოცემული ილიას თხზულებათა ოთხტომეული, ავტორის საიუბილეო დღეებში, თითქმის განახევრებულ ფასებში გაეყიდა. მრავლის მეტყველია ამხანაგობის განცხადების ტექსტი:

„ილია ჭავჭავაძის იუბილეს გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლად სცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი ი. გ. ჭავჭავაძისა, რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა“. ამის შემდეგ განცხადებაში მითითებულია ტომების ფასები ცალ-ცალკე. პირველი, მეორე, და მესამე ტომი გაიყიდებოდა თითოეული სამოც კაპიკად; მეოთხე ტომი (ორი წიგნი იყო) ეღირებოდა ერთი მანეთი და ოცი კაპიკი; ოთხივე ტომი ერთად სამ მანეთად იყიდებოდა. იქვე ნათქვამი იყო, რომ ილიას ტომები ფასდაკლებით მხოლოდ იუბილეს დამთავრებამდე გაიყიდებოდა, შემდეგ კი გამომცემლობა წინანდელ ფასს აღადგენდა [1].

1898 წლის 5 აპრილს გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ გამოაქვეყნა ნ ა დ ი კ ვ რ ე ლ ი ს (ილია ზარაფიშვილის) ვრცელი წერილი სათაურით „ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის იუბილეს გამო (წერილი მდაბიო ხალხისათვის)“. სტატიაში დახასიათებული იყო ილიას ცხოვრება და საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა. იგივე წერილი რამდენადმე გავრცობილი „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ იმავე თვეში ცალკე ბროშურის სახით გამოსცა [2].

აპრილის დამდეგიდან ჩვენმა გაზეთებმა უკვე დაიწყეს იუბილარისადმი პატივისცემად თბილისს გარეთ ქალაქებში მზადებაზე ცნობების ბეჭდვა. ზედმეტი არ იქნება ზოგიერთ მათგანს აქაც გავეცნოთ. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1898 წლის 11 აპრილს ახალ ამბებში წერდა:

„ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქუთაისში მცხოვრებ იმ ქალთ, ვინც პატივსა სცემენ ილია ჭავჭავაძის ნიჭს, გამოუწერიათ მოსკოვიდან ილია ჭავჭავაძისათვის მისართმევად ვერცხლის ლირა“.

„ცნობის ფურცელი“ იმავე ნომერში თავის მკითხველს ქალაქ ოდესაში მცხოვრებთ ქართველების სამზადისსაც ატყობინებდა. „ჩვენა ვნახეთ, — წერდა გაზეთი, — მისალოცი ბარათი დამზადე-

[1] გაზეთი „ივერია“, 1898 წ., № 52.

[2] გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1898 წ., № 513.

ბული ილია ჭავჭავაძის იმ პატივისმცემელთა მიერ, რომლებიც ოდესაში ცხოვრობენ. მისალოცი ბარათი მშვენიერს ყდაშია გაკეთებული. ყდაზე ილიას ვენზელია".

იქვე ისიც იყო ნათქვამი, რომ ილიას საიუბილეო ზეიმს დაესწრებოდნენ, როგორც ოდესაში მცხოვრებ ქართველთა წარმომადგენლები, ს. ლორთქიფანიძე, იოსებ ოცხელი, კონსტანტინე ამირეჯიბი და კიტა აბაშიძე [1].

რამდენიმე დღის შემდეგ იგივე გაზეთი მკითხველს ილიას საიუბილეოდ კიევში მცხოვრებ ქართველთა სამზადისზე მოუთხრობდა. „კიევში მცხოვრებ ქართველთ, — წერდა იგი, — ილია ჭავჭავაძის პატივისმცემელთ დაუმზადებიათ იუბილარისათვის ვერცხლის ფრთის კალმისტარი, ოქროს კალმით. აგრეთვე ადრესი მშვენიერის ყდით" [2].

უბრალო მოვლენა არც ისაა, რომ საიუბილეო სამზადისის დასაწყისიდანვე გაზეთებში სისტემატურად ქვეყნდებოდა წერილები, რომელთა ავტორები, დღესასწაულის უკეთ ჩატარებისათვის, პრაქტიკულ წინადადებებს აყენებდნენ. რაღა თქმა უნდა, ამ წინადადებებს საიუბილეო კომიტეტი ითვალისწინებდა. იგი თავის ძალებს არ ზოგავდა ზეიმის სრულყოფილად ჩატარებისათვის, მაგრამ იუბილესათვის საჭირო ნებართვა ჯერ კიდევ არ გამოდიოდა. როგორც სოფრომ მგალობლიშვილის პირადი მიმოწერიდან ვიცით, საიუბილეო სამზადისის მეთაურები ნებართვის მიღების უკანასკნელ იმედს მთავარმართებელ გოლიცინის დაბრუნებაზე ამყარებდნენ. იგი 7 თებერვალს ოჯახით და მხლებლებით პეტერბურგს გაემგზავრა. გოლიცინი თბილისში 28 მაისს დაბრუნდა [3].

ვიდრე მთავარმართებელი პეტერბურგში იმყოფებოდა, ილია ჭავჭავაძის იუბილე ერთხელ კიდევ გადაიდო. 2 მაისის „ცნობის ფურცელი" წერდა: „საიუბილეო მილოცვის დღე გადაიდვა. და არც შესაძლოა ჯერჯერობით გამორკვეულ იქნას ეს დრო".

ახლა, როცა ეს მოვლენები უკვე ისტორიის საგნადაა ქცეული, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ილიას საიუბილეო დღესასწაულის ამგვარად გადატან-გადმოტანა და საბოლოოდ მისი აკრძალვა ოფიციალური ხელისუფლების ორგანოების მიერ იუბილესადმი შეურიგებლობის ნათელი გამოხატულებაა. შემთხვევითი

---

[1] აქ ჩამოთვლილი პიროვნებანი ოდესის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტები არიან.

[2] გაზეთი „ცნობის ფურცელი", 1898 წ., № 506.

[3] გაზეთი „ცნობის ფურცელი", 1898 წ., №№ 451, 543.

არც ისაა, რომ მასალებში ჩვეულებრივად თვითმპყრობელობის დიდი დაწესებულებები და მოხელეები იხსენიებიან.

სწორედ ამგვარი დაწესებულებები და მოხელეები აფერხებდნენ ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღესასწაულის ჩატარებას. მათ გარკვეულ შიშს ჰგვრიდა საყოველთაოდ აღიარებული მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იუბილე. ხელისუფლების მოხელეები კარგად გრძნობდნენ, რომ ილიასადმი მიძღვნილ დღესასწაულთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყო საზოგადოებრივი აზრის ისეთი ამოქმედება, რომელიც თვითმპყრობელობისათვის სასიამოვნო ვერ იქნებოდა.

ბუნებრივია, რომ ამგვარი მოლოდინი ხელისუფლების ორგანოებს ერთგვარ სიფრთხილეს უკარნახებდა. უნდა ითქვას, რომ დაწესებულებებს და მოხელეებს ასეთი სიფრთხილისათვის საკმარისი საფუძველი ჰქონდათ. ჯერ კიდევ 1893 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის თბილისში გადმოსვენებამ ფართო საზოგადოებრივი ყურადღება მიიქცია. ბარათაშვილის გადმოსვენების დღეს თბილისის ქუჩებში ხალხი ისე მასობრივად გამოვიდა, რომ იგი საყოველთაო დემონსტრაციას დაემსგავსა. ეს დღე იმდენად არასასიამოვნო იყო ხელისუფლებისათვის, რომ პოლიციის საიდუმლო მიმოწერაში ერთგვარი სინანულიცაა გამოთქმული იმაზე, რომ ქართველი პოეტის ნეშტის გადმოსვენების ნებართვა გასცეს.

1895 წელს რაფიელ ერისთავის სამწურლო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავის იუბილემ, როგორც ცნობილია, საყოველთაო-სახალხო, ჭეშმარიტად ეროვნული ზეიმის ხასიათი მიიღო.

დასახელებული ფაქტები მეფის თვითმპყრობელობისათვის ერთგვარი გაკვეთილი იყო. ამ გამოცდილებათა საფუძველზე ძნელი არ იყო წინასწარ გათვალისწინებული ყოფილიყო შედეგები, რომელნიც მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე მოწყობილ იუბილეს შესაძლებელია მოჰყოლოდა. საფრთხე მით უფრო დიდი იყო, რომ მზადდებოდა იუბილე მოღვაწისა, რომელიც მთელ ქართველ ხალხში განუზომელი გავლენითა და სიყვარულით სარგებლობდა; რომელიც აღიარებული იყო როგორც ერის მამა.

ეს იყო ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღესასწაულის ჩატარება ვერ ხერხდებოდა.

* * *

დიდი იუბილესათვის მზადების პერიოდში თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი სალიტერა-

ტურო საღამო გაიმართა. საღამოს ინიციატორი იყო ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც იმ დროს გიმნაზიას განაგებდა. ილიასადმი მიძღვნილ სალიტერატურო საღამოს თვითონ ილიაც ესწრებოდა და, როგორც ჩანს, იგი საღამოს შინაარსით ნასიამოვნები ყოფილა.

ექვთიმე თაყაიშვილის გადმოცემით, სათავადაზნაურო გიმნაზიაში სალიტერატურო საღამოები არაიშვიათად იმართებოდა, მაგრამ ილიასადმი მიძღვნილი საღამო მაინც განსაკუთრებით კარგად იყო მომზადებული. თაყაიშვილი მოგვითხრობს:

„მე განვიზრახე ერთი ასეთი საღამო სპეციალურად ი. ჭავჭავაძის პატივსაცემად მოგვეწყო და მისი პროგრამა ილიას სხვადასხვა ლექსებისა და მოთხრობების მიხედვით შეგვედგინა. ეს განზრახვა პედაგოგიურ საბჭოს მოვახსენე და ვთხოვე, რომ იგი საიდუმლოდ შეენახა: არც კომიტეტის [1] წევრებს სცოდნოდათ და არც თვით ილიას, თუ ეს საღამო ვის პატივსაცემად ეწყობოდა. ამის მიზეზი ჯერ ერთი ის იყო, რომ ვინმეს პატივსაცემად სალიტერატურო საღამოს მოწყობის ნებართვა ოფიციალურად უნდა მოგვეთხოვა კავკასიის მზრუნველისაგან. მეორე, შეიძლება ილია არც დათანხმებულიყო და არც დასწრებოდა იმ საღამოს. მართლაც ეს განზრახვა ისე საიდუმლოდ იქნა შენახული, რომ საღამოს გახსნამდე არავის შეუტყვია, რომ ყოველივე ეს ილიას საპატივსაცემოდ იყო მოწყობილი. ქართველი მწერლები და კომიტეტის წევრები ყველა მოვიწვიეთ".

ილიასადმი მიძღვნილი სალიტერატურო საღამო სათავადაზნაურო გიმნაზიაში დანიშნულებისამებრ ჩატარდა და დამსწრეთა მოწონებაც დაიმსახურა. იგივე ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „საღამომ მეტად დიდებულად ჩაიარა, ბავშვები შესანიშნავად იყვნენ მომზადებულნი და მშვენიერის დეკლამაციითა და არტისტული ხელოვნებით კითხულობდნენ ილიას ლექსებს და მისი პოემების ნაწყვეტებს. პროგრამაში სხვა მწერლების ნაწარმოებებიც საკმაოდ იყო შეტანილი. დეკლამაციას მოჰყვა სიმღერები ზაქარია ჩხიკვაძის ლოტბარობით და მუსიკალური განყოფილება ვიოლინოზე, ვიოლენჩელზე და სხვა ინსტრუმენტებზე დაკვრით ზაქარია ფალიაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც ჩვენს სკოლაში მუსიკის მასწავლებელი იყო. ილია აღტაცებით ეგებებოდა თვითეულ შეგირდის გამოსვლას, ტაშს უკრავდა და თავის განცვიფრებას მეგობრებს უზიარებდა" [2].

1 იგულისხმება სასკოლო კომიტეტი — ა. მ.

2 ლიტერატურის მატიანე, წიგნი VI, ნაკვეთი პირველი, 1952 წ., გვ. 33.

ილიას ექვთიმე თაყაიშვილთან პირად საუბარში უთქვამს: გიმნაზიაში მოწყობილი სალიტერატურო საღამოთი იმდენად კმაყოფილი ვარ, რომ იგი არასოდეს დამავიწყდებაო. ეს სავსებით ბუნებრივია. ასეთი ერთეული შეხვედრები შეუძლებელია სახელოვან მწერალს დავიწყებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ის დიდი სამზადისი, რომელიც მისი ორმოცწლიანი მოღვაწეობის აღსანიშნავად წარმოებდა, საბოლოოდ მაინც უშედეგოდ დამთავრდა.

ილიას იუბილეს საკითხი იმდენად მომწიფებული აღმოჩნდა, რომ ხალხი ღვაწლმოსილი ადამიანისადმი მილოცვის ტექსტების წერას შეუდგა, მისალმებათა ნაკადი უკვე დაიძრა. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტიურად იუბილე დღის წესრიგიდან მოხსნილი იყო, მწერალს მილოცვები მაინც მიუდიოდა. ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ადრესი ჯგუფური ხელმოწერით, რომელიც მწერალს 1898 წლის გაზაფხულზე მიუღია.

მარტო საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში სამი ასეთი ადრესია დაცული. ერთ მათგანს ხელს აწერს ოცდახუთი კაცი. ამათ შორის არიან ალექსანდრე ხახანაშვილი, ივანე გომართელი, გრიგოლ გველესიანი, ივანე ქაჩუხაშვილი, ალექსანდრე ბეთანელი და სხვები. მეორე ადრესი ქალაქ კიევის ქართველთა სათვისტომოსაგან არის გამოგზავნილი. ადრესს ხელს აწერენ იმ დროს ცნობილი ადამიანები: მალაქია ბოლქვაძე, ნესტორ ღამბარაშვილი, გიორგი ქუთათელაძე, გიორგი ჭოლოშვილი, გიორგი ნათიშვილი, ნიკო თავდგირიძე და სხვები, სულ ოცი კაცი.

იმავე მუზეუმში დაცულია მესამე ადრესი ქალაქ ოდესაში მცხოვრები ქართველი მუშებისაგან. ადრესს ხელს აწერს 79 ქართველი მუშა.

ამ ლიტერატურულ დოკუმენტზე გულგრილად მსჯელობა შეუძლებელია. აქ არა მარტო გულითადი მილოცვა და კეთილი სურვილებია მოამაგე მწერლის მისამართით, არამედ იგი ამასთანავე მხურვალე მადლობის გუგუნია ილიასავე ნაწერებით გონებაგახსნილ ტვირთმძიმეთა გულებიდან ამოხეთქილი.

ქართველ მუშათა ადრესი ასე იკითხება:

„დიდებულო მგოსანო ბატონო ილია! ოდესელი ქართველი მუშები „მოშორებულნი ჯალაბობას ჩვენსა სახლ-კარსა, შინდორს მამეულს და შეჩვეულს „მიწა-წყალსა“, გარდმოხვეწილნი უცხოეთში „დღიურ ლუკმისთვის“, მოკლებულნი სამშობლოს მზესა, დედაენას, ქართულსა ლოცვას, ბედისგან დევნილნი „ტვირთმძიმენი და მაშვრალნი“ გიგზავნით ჩვენს უღრმეს მადლობას იმ

თანაგრძნობისათვის, რომლითაც გამსჭვალულნი არიან საუკეთესო შენი ქმნილებანი.

„შენ პირველმა ახარე ქართველ „შრომის შვილთ“ „შრომის სუფევის“ მოახლოვება, პირველმა აღმართე წმინდა დროშა მუქთახორობის მოსასპობად და შრომის გასამეუფებლად.

„შენ გვიწამე, შენ შეგვივრდომე, შენ მოგვაწოდე ძმური თანაგრძნობის სიტყვა! შენ გვამხნევებ შენი კურთხეული კალმის ნაწარმოებით, გვიძლიერებ ადამიანურ თავმოყვარეობას და სულით გვამაღლებ მოწამლულ გარემოცულობაზე.

„შენი ნაწერებით კარს გვიღებ ჩვენ, გადმოკარგულთ, დანარჩენ ქართველთა კრებულისაკენ, გვაგრძნობინებ ჩვენს ქართველობას, გვაცნობ საქართველოს წარსულს და აწმყოს, გვაყვარებ მას და ამით იხსნი ბევრს ჩვენგანს დაღუპვისაგან.

„დიდებულო კაცთმოყვარეო მოძღვარო და მგოსანო თავისუფლებისაო! მიიღე უმხურვალესი მადლობა შენმიერ შევრდომილ და ძმად-წამებულ მუშათაგან და იცოცხლე მრავალჟამიერ, რომ კვლავ ადიდო საქართველო და მფარველ ეყო უბედურთა და დაჩაგრულთა“[1].

მუშების მიერ მიწერილ ამ სტრიქონებში გამოხატულებას პოულობს გულისნადები მშრომელთა ფართო მასებისა, რომელსაც ილია ჭავჭავაძის შემოქმედება თავისუფლებისა და ჰუმანიზმის იდეებს შთააგონებდა ათეული წლების განმავლობაში.

იმავე 1898 წლის გაზაფხულზე სახელოვან მგოსანს ადრესი მიუღია აგრეთვე უკრაინიდან. უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები გულთბილად ესალმებოდნენ ილია ჭავჭავაძეს, როგორც თავისუფლებისა და ჰუმანიზმის იდეებისათვის მებრძოლ დიდ მწერალსა და მოაზროვნეს [2].

ასეთია ჩვენამდე მოღწეული უმთავრესი ადრესები, რომელნიც ილიამ თავისი იუბილესათვის მზადების პერიოდში მიიღო.

ილიას იუბილეს ჩაშლის თაობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის მწერალი ეკატერინე გაბაშვილი. მისი მოგონება მით უფრო ძვირფასია, რომ იგი ვრცლად მოგვითხრობს სამზადისის ისტორიას. ეკატერინე გაბაშვილი წერს:

„კრებები საიუბილეოთ იმართებოდა ბანკის ერთ-ერთ ოთახში.

---

[1] გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი № 20442.

[2] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963 წ., გვ. 475. ადრესი დაცულია ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში.

ერთხელ ილია შემოვიდა თავის კაბინეტში და უიმედო ღიმილით სთქვა: მე მგონია, ყმაწვილებო, ტყუილად იხარჯებით, ნებას არ მოგვცემენო, რაზედაც ყველამ ერთი ხმით შევსძახეთ: ვის შეუძლიან აკრძალოს მთელი ურის სურვილიო!

„— მე კი მითქვამს და ღმერთმა ჰქნას თქვენი რწმენა უფრო ძლიერი აღმოჩნდესო. ადგა და გავიდა.

„არჩეული კომისია მუშაობდა სამი თვის განმავლობაში და პროგრამა თითქმის მთლად მომზადებული იყო მაისის პირველ რიცხვებში აღსასრულებლად.

„ერთ საღამოს სხდომაზე, როდესაც აღტაცებული ბაასი იყო იმის შესახებ, რომ უკვე შეუდგეთ მთავრობის ნების დართვას, კვლავ შემოვიდა ილია კრებაზე, უჩუმრად დაჯდა კუთხეში და როცა სიჩუმე ჩამოვარდა მწარე ღიმილით სთქვა: ტყუილად ნუ ირჯებით, ბატონებო! მე წინადვე ვიცოდი, რომ ნებას არ მოგვცემდნენ და არც მოგვცემენ. დღეს დილით, როცა ბანკში მოვდიოდი, გოლოვინის პროსპექტზე ჩვენი პოლიცმეისტერი ჩვეულებრივ მიაფრენდა თავის „დროშკას“. დამინახა თუ არა უცებ მოსწია კუჩერს ხელი და მანამ ის შეაჩერებდა გასუქებულ იორღას, საჩქაროდ გადმოხტა, ჩემკენ გამოეშურა. ეს არის თქვენთან მოვდიოდი, კნიაზ ილია გრიგორიჩ, თქვენთან დიდი სათხოვარი მაქვს, თქვენ უნდა იქონიოთ გავლენა და გადაადებინოთ თქვენი იუბილე. დიდი არეულობაა ხალხში, დიდი მღელვარებაა, დიდი შეხლა-შემოხლა პარტიათა ბანაკში. ხომ მოგეხსენებათ რა დიდი სახელი გაქვთ მთელ საქართველოში, აუარებელი ხალხი შეიყრება თქვენ პატივის საცემლად, შეიძლება რაიმე ინციდენტი მოხდეს და თქვენც და ხალხსაც უსიამოვნო შეტაკება მოუხდეთ რამე. ხომ მოგეხსენებათ ბრბოს შეკავება ძნელია... რაღა გავაგრძელოთ, დაუმატა ილიამ, მე იძულებული ვიყავი აღმეთქვა, რომ ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ გადადებული იყვეს იუბილეს ყოველი სამზადისი.

პოლიცმაისტერი სიხარულით მომვარდა, ხელი ჩამომართვა და ჰითხრა: «Значит, можно доложить князю[1], что страх по случаю высокого торжества вашего юбилея будет устранен».

«Конечно, конечно». მივუგე მე, რასაკვირველია და ახლა თქვენ იცით“[2].

მოტანილი ამონაწერი კარგად გვაგრძნობინებს ილიას საიუბილეო დღესასწაულის ჩაშლის ნამდვილ მიზეზებს. ამ შემთხვევის

---

[1] იგულისხმება თბილისის გენერალ-გუბერნატორი.

[2] გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., № 12.

შემდეგ საკითხი უკვე გარკვეულია. იუბილე ჩაიშალა და იგი შემდეგშიც აღარ მოწყობილა, თუმცა მწერალმა იმის შემდეგ ცხრა წელი კიდევ იცხოვრა.

ჩაშლილი იუბილეს სახსოვრად ერთი ლიტერატურული დოკუმენტიც არის ჩვენამდე მოღწეული. დღეს ეს დოკუმენტი დიდი მწერლის ცხოვრების მატიანეში მოჩანს როგორც ბრწყინვალე ფურცელი, რომელიც მის დიდებულ სახეს მთელი სისრულით წარმოგვიდგენს. ეს არის პედაგოგისა და კრიტიკოსის მიხეილ ნასიძის (მეგახლავარის) პატარა წიგნი, რომელიც 1898 წელს დაიბეჭდა. ამ წიგნს თავისი ისტორია აქვს. 1898 წლის 5 ივნისის „ივერია" იტყობინებოდა:

„იბეჭდება და 15 თიბათვისათვის მზად იქნება გასასყიდად ახალი წიგნი: ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი. წიგნი პირველი, მეგახლავარისა. წიგნი ეღირება 20 კაპიკი". რამდენიმე დღის შემდეგ იგივე „ივერია" წერდა, რომ „აღნიშნული წიგნი უკვე დაიბეჭდა და გასასყიდად გადაეცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიას.

მეგახლავარის წიგნს გულთბილად შეხვდა გაზეთი „ცნობის ფურცელი". საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ „ცნობის ფურცელი", რომლის რედაქტორი და გამომცემელი ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწე ვალერიან გუნია იყო, ილიას იუბილესთან დაკავშირებულ მასალებს სისტემატურად აქვეყნებდა. კონკრეტულ შემთხვევაში აღსანიშნავი ისაა, რომ ეს გაზეთი მიხეილ ნასიძის წიგნს გამოსვლისთანავე გულითადად გამოეხმაურა. „ცნობის ფურცელმა" ამ წიგნს უძღვნა მცირე, მაგრამ მრავლისმეტყველი რეცენზია, რომელიც „ახალი წიგნის" სათაურით გამოქვეყნდა. რეცენზიაში ვკითხულობთ:

„რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი, წერილი პირველი, მეგახლავარისა". ეს ეტიუდი დაწერილია საიუბილეო დღისათვის. წიგნი შეიცავს 48 გვერდს დიდი ზომისას და ღირს ერთი აბაზი. სანამ რასმე ვიტყოდეთ შინაარსზე, ჩვენ გვინდა მკითხველებს ვაცნობოთ, თუ რა საინტერესო სათაურები აქვს ამ წიგნს: I. — ილია ჭავჭავაძის მშობლები. II. — ქართველობა და მისი ლიტერატურა ილია ჭავჭავაძემდის. III. — ი. ჭავჭავაძის გამოსვლა სალიტერატურო ასპარეზზე და მისი პირველი პოლემიკა. IV. — მნიშვნელობა ი. ჭავჭავაძისა ქართულს ლიტერატურასა და ცხოვრებაში, როგორც პუბლიცისტისა.

V. — ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი-მოლექსე. VI. — ილია ჭავჭავაძე, როგორც ბელეტრისტი. VII. — გვაქვს საბუთი სიამაყისა"[1].

ასე გულთბილად მიიღო საზოგადოებრივმა აზრმა მიხეილ ნასიძის წიგნი, რომელიც სახელოვანი მწერლის საიუბილეოდ დაიწერა. ეს წიგნი ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეს უნდა გავრცელებულიყო. საიუბილეო დღესასწაულის ჩაშლის გამო მისი გავრცელება დაგვიანდა, მაგრამ ბოლოს მაინც წიგნმა თავისი გზა იპოვა. იგი გავრცელდა იმ დროს, როდესაც იუბილეს საკითხი დღის წესრიგიდან უკვე მოხსნილი იყო.

მიხეილ ნასიძის წიგნი ქართული ლიტერატურის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნითა და ილია ჭავჭავაძისადმი განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით არის დაწერილი. იგი ჩვენი დიდი მწერლისა და მოაზროვნის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მთელ რიგ საყურადღებო საკითხებზე მოგვითხრობს. წიგნის დასასრული საზეიმო ხასიათისაა, როგორც სადღესასწაულოდ დაწერილ ნაშრომს შეეფერება. ეს საზეიმო სიტყვები ილიას თავის საიუბილეო სხდომაზე უნდა მოესმინა. ღვაწლმოსილ ადამიანს იმ დღეს უნდა გაეგონა გულწრფელი მილოცვისა და მადლობის სიტყვები, რომელიც საქართველოს ყველა კუთხეში, ქალაქსა და სოფელში მზადდებოდა. სწორედ იმიტომ, რომ მოამაგე მწერლის პატივსაცემად მთელი ერი ემზადებოდა, ხელისუფლებამ ეს საიუბილეო დღესასწაული ჩაშალა.

* * *

ილია ჭავჭავაძეს, როგორც ვნახეთ, თვითმპყრობელური ხელისუფლება წლების მანძილზე თვალყურს ადევნებდა და ავიწროებდა. ამ დევნამ და შევიწროებამ განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი ილიას საიუბილეო დღესასწაულისათვის მზადების დროს. მიუხედავად ამისა, დიდი მწერალი მაინც უკან არ იხევდა. იგი თავის მრავალმხრივ ნაყოფიერ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას კვლავ აგრძელებდა. მისი ინიციატივით 1898 წლის დამდეგს მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალებიდან ასი წლისთავი აღინიშნა. გაზეთი „ივერია" 1898 წლის 1 იანვრის ნომერში უკვე იტყობინებოდა:

„11 იანვარს სრულდება ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც ივერიის ნუგეშ-დიდება მეფე ერეკლე გარდაიცვალა. ამიტომ საჭიროა, რომ ამ დღეს მთელმა ქართველობამ ყურადღება მიაქციოს და

[1] გაზეთი „ცნობის ფურცელი", 1898 წ., № 559.

მთელს საქართველოში, სადაც-კი ქართველნი სცხოვრობენ, წირვა და პანაშვიდი მაინც იქნეს გარდახდილი ამ მარად სახსოვარის მეფის მოსახსენებლად".

გაზეთები „ივერია" და „ცნობის ფურცელი" საზოგადოებას სისტემატურად მოაგონებდნენ ერეკლეს გარდაცვალების დღის მოახლოებას და ამ თარიღის ღირსეულად ჩატარებისაკენ მოუწოდებდნენ.

ილიამ 1898 წლის 11 იანვრის „ივერია" მთლიანად მეფე ერეკლეს გარდაცვალების ასი წლისთავს მიუძღვნა. ეს მართლაც საგანგებო ნომერი იყო ამ ცნების ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ნომერში დაიბეჭდა ერეკლეს პორტრეტი. იქვე, სარედაქციო წერილის გარდა, მოთავსებული იყო სოლომონ ლიონიძის ცნობილი სიტყვა ერეკლე მეორის დასაფლავებაზე. იქვეა ბესარიონ გაბაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის, რაფიელ ერისთავის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ბაჩანასა და დიმიტრი მაჩხანელის ლექსები და პოემათა ნაწყვეტები ერეკლე მეფისადმი მიძღვნილი.

როგორც მოსალოდნელი იყო, 11 იანვარს ერეკლეს გარდაცვალების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ სამოქალაქო პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო. 13 იანვრის „ივერიის" ცნობით, „იმდენი ხალხი მოაწყდა სიონის საკრებულო ტაძარს, რომ ეკლესია, სიონის ეზო და მთელი ქუჩა სიონისა სავსე იყო". ერეკლე მეფის ხსოვნისადმი მიძღვნილ თავყრილობას დაესწრო კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი თავისი მხლებლებით.

ილია ჭავჭავაძემ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაზე დიდმოხელეთა დასწრება გამოიყენა იმისათვის, რათა ერეკლე მეფის ხსოვნისადმი მიძღვნილი დღეების შინაარსი კიდევ უფრო გაეფართოებინა, მისთვის უფრო საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიეცა. „ივერიის" ცნობით, იმავე დღეს გოლიცინს სთხოვეს ნება დაერთო, რომ ანალოგიური სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი ყოფილიყო მცხეთაში, ერეკლეს დასაფლავებიდან ასი წლისთავზე, რომელიც 22 თებერვალს სრულდებოდა. ქართველობამ ამ თარიღის აღნიშვნის ნებართვა მიიღო და კარგადაც გამოიყენა იგი.

ბუნებრივია, რომ ერეკლე მეფის ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორე დღესასწაულის მნიშვნელობასა და მისი ჩატარების ორგანიზაციას „ივერია" თავის მკითხველებს დრო და დრო კვლავ მოაგონებდა. ამის წყალობით იყო, რომ ერეკლეს დასაფლავების მოსაგონარი დღეც შესანიშნავად ჩატარდა.

ილიამ „ივერიის" 22 თებერვლის ნომერიც უმთავრესად მეფე

ერეკლეს ხსოვნას მიუძღვნა. აქ მოთავსებული იყო ერეკლეს ორი პორტრეტი. იმავე ნომერში დაიბეჭდა ილიას წერილი, ერეკლე მეფისადმი მიძღვნილი ხალხური ლექსები (შეკრებილი პეტრე უმიკაშვილის მიერ), ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“, ვაჟა-ფშაველას „1795 წლის სახსოვრად“, ბესარიონ გაბაშვილის „მეფის ირაკლის ქება“ და სხვები.

ერეკლე მეფის დაკრძალვის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი ჩატარდა საქართველოს ძველ დედაქალაქში მცხეთაში, იმ ტაძარში, რომელშიც სახელოვანი მეფის ნეშტი ასვენია. ამ შემთხვევის გამო გაზეთი „ივერია“ თავის 24 თებერვლის ნომერში წერდა:

„გუშინწინ, 23 თებერვალს, საქართველოს მეფის ერეკლე მეორის გვამის დაკრძალვის ასი წლის შესრულებას ღღეს მცხეთის ტაძარში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი... თუმცა ამ დღეს მეტად ციოდა და წვიმიანი ამინდი იყო, მაინც ჩვენის სასიქადულო მეფის სახელის პატივისცემას მრავალი ხალხი დაესწრო. დამსწრე საზოგადოების უმეტესობა თბილისიდგან იყო... აქვე იყო დეპუტაციები ქუთაისის თავადაზნაურობისა, ქალაქ თბილისისა, გორისა და ოზურგეთისა, პანაშვიდის შემდეგ თავადაზნაურობის ხარჯით გამართულ იქნა სადილი, რომელზედაც მოწვეული იყვნენ საქართველოს ეგზარქოსი და დეპუტაციები“[1].

იმავე „ივერიის“ ცნობით, ერეკლეს ხსოვნისადმი მიძღვნილ დღეს მცხეთაში ხუთიათასამდე ქალი და კაცი შეიკრიბა. მოულოდნელი არაა, რომ შეკრებილთა შორის უმრავლესობას საგურამოს მახლობელი სოფლებიდან ჩამოსული გლეხკაცობა შეადგენდა.

ილია ჭავჭავაძემ მეფე ერეკლეს ხსოვნისადმი მიძღვნილ დღეებში ორი წერილი გამოაქვეყნა.

პირველი წერილი მეტწილად საინფორმაციო ხასიათისა იყო. იგი მკითხველს 11 იანვრის, როგორც ერეკლეს მოსაგონრად ჩატარებული დღის, შედეგებზე მოუთხრობდა. წერილში ნათქვამია, რომ ერეკლე მეფის პატივსაცემად სიონის ტაძარში დიდძალი ხალხი შეიკრიბა.

ილია მადლიერებით იხსენიებდა კავკასიის მთავარმართებელ გოლიცინს, თბილისის გუბერნატორს და სხვა დიდმოხელეებს, რომელნიც ერეკლეს ხსოვნისადმი მიძღვნილ დღეს სიონის ტაძარში მივიდნენ. იმავე დროს ჩვენი აეტორი თავს ესხმოდა თბილისის საქალაქო მმართველობის მოხელეებს, რომელთაც ერეკლე მეფის

[1] გაზეთი „ივერია“, 1898 წ., № 40.

ხსოვნის დღისადმი აშკარა გულგრილობა გამოიჩინეს. მწერალმა ამ მოხელეებს, სრულიად უბოდიშოდ, აღვირახსნილი ადამიანები უწოდა. იგი ამბობდა:

„სხვა არა იყოს-რა, ერეკლე ბრწყინვალე მეფე იყო საქართველოსი და თბილისი მისი სატახტო ქალაქი!..

„რით გადაუხადა ასეთი ღვაწლი თბილისმა მართლა-და მისთვის ღვაწლ-მოსილ მეფეს იმ დღეს, როცა ქართველობამ მისდა საოხად და სახსენებლად წირვა-ლოცვა გარდაიხადა? მით, რომ თბილისის საბჭომ და გამგეობამ არც კი იკადრა წირვასა და პანაშვიდზედ დასწრებოდა. თუ მთელი კრებული საბჭოსი და გამგეობისა მეტის-მეტი პატივი იქნებოდა, მათის გაკადნიერებულ აღმატებულობის ფიქრით, ერთი ორი წევრი მაინც გამოეგზავნათ!.. ვთქვათ არც ეს იკადრეს და არ დაიმდაბლეს აღვირაშვებული თავი, თვით ქალაქის მოურავის მოადგილემ რატომ არ დაინახა საჭიროდ, რომ ამისთანა დღეს პატივი უცა ქართველებისათვის და მობრძანებულიყო ეკლესიაში“[1].

ილია ჭავჭავაძის მეორე წერილში ხაზგასმულია ერეკლე მეფის ხსოვნისადმი მიძღვნილი დღეების საზოგადო მნიშვნელობა და ლაპარაკია სახელოვანი მეფის სახელის უკვდავყოფისათვის სასურველ ღონისძიებებზე.

მწერალი საზოგადოებას ერთხელ კიდევ შთამბეჭდავად მოაგონებდა, რომ „ხსენება ღვაწლით-მოსილ მამულიშვილისა, მეფეა, თუ უბრალო სიკვდილის შვილი, სესხი და ვალია შთამომავლობისა. საფლავი ქვეყნის მოღვაწე ვაჟკაცისა წმინდა სალოცავია მამულისათვის, თუ ერი ერობს“.

ილია მეფე ერეკლეს დასახასიათებლად იხსენებდა ისტორიულად ცნობილ ფაქტს, რომ მშობლიურმა ხალხმა ერეკლეს საქართველოს რკინის კარი უწოდა. „ერის მიერ ქება უდიდღვაწლოთ ძნელი საშოვარი განძია, და ბევრი სახელდებული ისტორიაში კაცი ვერ დაიქადებს, რომ იგი სახელი თვით ერისაგან მიჰმადლებოდეს“.

ილია მეფე ერეკლეს ნამოღვაწარის საერთო-ეროვნულ აღიარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი თავისი წერილით ერეკლეს ღვაწლის საერთო-სახალხო აღიარებას იმეორებდა და განამტკიცებდა. მწერალი ამბობდა:

„ერმა ამისთანაებში უფრო მოსწრებული და ზედ-გამოჭრილი სიტყვა იცის, იმიტომ რომ ბაგენი მისნი მეტყველებენ მარტო ნამეტნობისაგან გულისა, ესე იგი მაშინ, როცა გული სავსეა. „ვერ

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 265.

გაგიგიათ, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია"-ო, ასე ამოიკვნესა ერმა, როცა დასტიროდა გვამს თავისის სახელოვანის მეფისას. მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი მისი ისტორიული ხატი ეს არის, და თუ არ დიდბუნოვანს კაცს, სხვას ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანასა?"[1].

ილია იმის შემდეგ, რაც მან ერეკლეს ანდერძ-ნამაგს ამგვარი შეფასება მისცა, მოითხოვდა, რომ „საქმით რითიმე მართლა საუკუნოდ სახსენებელი გავიხადოთ სახელი მეფის ერეკლესი. სამადლო საქმე რამ უნდა შევქმნათ და სახელი ერეკლესი დავარქვათ".

ბრძენ მოღვაწეს ასეთ საქმედ მიაჩნდა ფულადი ფონდის შექმნა და ერეკლეს სახელობაზე უმაღლესი სასწავლებლის ხელმოკლე სტუდენტებისათვის სისტემური დახმარების დაწესება. ამგვარი დახმარების დაწესებაო, — ამბობდა იგი: — „ანდერძს ეგვანება, იმ ანდერძს, რომელიც ისაქმებს ჟამთა დაუთავებლად ერეკლე მეფის სახელითა. ისაქმებს იმ დიდ-სათნოებიან საქმითა, რომელსაც სწავლა-განათლება ჰქვიან და რომლისთვისაც ისე გულდადებით და გულის-ტკივილით იღწვოდა აწ განსვენებული გვირგვინოსანი, რაც შეეძლო, როცა დრო და ჟამთა ვითარება ათასში ერთხელ ამისთვის მოაცლიდა". დაბოლოს, ილია დასკვნის სახით ამბობდა: ერეკლეს სახელობაზე დაწესებული ამგვარი საქმე „თავის-თავად იღადებს დღე-მუდამ, რომ სახელოვანი ერეკლე მისთანა კაცი ყოფილა, რომელსაც შთამომავლობისაგან სამართლიანად ეთქმის: „მოკვდა და თავისის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმობს მკვდარიო"[2].

ასე გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე მეფე ერეკლეს გარდაცვალების ასი წლისთავს. გასაგებია, რომ „მეფე დიმიტრი თავდადებულის" ავტორს საქართველოს უკანასკნელი მეფის ხსოვნისადმი მიძღვნილ დღეებშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეისათვის ქართველი ხალხის შემდგომი დარაზმვისა და შემჭიდროების მიზანი ამოქმედებდა.

შემთხვევითი მოვლენა არც ისაა, რომ ილიას თავის სამუშაო ოთახში მუდმივად ჰქონდა მეფე ერეკლეს დიდი პორტრეტი.

* * *

ილია ჭავჭავაძეს 1899 წელს თბილისის საადგილმამულო ბანკში მუშაობის ოცდახუთი წელიწადი შეუსრულდა. ამ შემთხვევის გა-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 267.
[2] იქვე, გვ. 267-270.

მო მას ბანკის კრებამ მადლობა გამოუცხადა და ჯამაგირიც მიუმატა. საკითხი საგანგებოდ განიხილა კრებამ, რომელიც 30 მაისს ჩატარდა. აქამდე მისი წლიური ჯამაგირი სამი ათას მანეთს შეადგენდა. კრებაზე აღინიშნა, რომ ანალოგიური ბანკის გამგეობის თავმჯდომარეებს გაცილებით მეტი ჯამაგირები ეძლეოდათ, ვიდრე ილია იღებდა.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ ჩვენს მწერალს ორი ათას ოთხასი მანეთი მიმატებოდა. იმავე კრებამ დაადგინა, რომ ამგვარად გაძლიერებული ჯამაგირი მხოლოდ ილია ჭავჭავაძეს მიეცემოდა თავისი განსაკუთრებული დამსახურების გამო, ხოლო სხვა, ვინც მის შემდეგ იქნებოდა არჩეული, ამგვარ გაძლიერებულ ჯამაგირს ვერ მიიღებდა. ამ კრების შედეგებზე „ივერია“ იტყობინებოდა:

„ბევრი ილაპარაკეს ამის თაობაზე და ბოლოს კრებამ, რომელსაც დაეკითხა თავმჯდომარე, ერთხმობით გადასწყვიტა, რომ ეგ 2,400 მანეთი მიემატოს გამგეობის თავმჯდომარის ჯამაგირს, ვიდრე გამგეობის თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძე იქნებაო. კრებამ მოიწვია ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ დროს კრების დარბაზში არ იყო, და ტაშისცემით მადლობა გადაუხადა 25 წლის სამსახურისათვის“[1].

ამრიგად, 1899 წლიდან ჩვენი მოღვაწის წლიური ჯამაგირი უკვე ხუთი ათას ოთხას მანეთს შეადგენდა. ეს ფაქტი თავისთავად საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ამას მნიშვნელობა ჰქონდა მწერლის პირადი მატერიალური მდგომარეობის მოწესრიგებისათვის. როგორც შემდგომში დავრწმუნდებით, ილიას პირადი ცხოვრება ხანგრძლივი დროის განმავლობაში არც თუ ისე უზრუნველად მიმდინარეობდა, როგორც მის თანამედროვეებს ეგონათ.

* * *

ილია ჭავჭავაძემ 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა თავისი აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილი თხზულება „ქვათა ღაღადი“. ნაწარმოები დაბეჭდვამდე ავტორს მეგობარ ლიტერატორთა წრეში წაუკითხავს. ამის თაობაზე აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი მოგვითხრობს:

„როდესაც მან „ქვათა ღაღადი“ დაწერა, შეკრიბა მეგობარ ლიტერატორთა წრე; მეც მიმიწვია. ჩემს გარდა იქ იყვნენ ვლადიმერ მიქელაძე, ნიკო ცხვედაძე, ნიკო ხიზანიშვილი, ბანკის დირექტორი

[1] გაზეთი „ივერია“, 1899 წ., № 113.

მიშა გრუზინსკი. ილიამ წაგვიკითხა ეს შესანიშნავი სტილით დაწერილი თხზულება, რომელიც, რა თქმა უნდა, მიმართული იყო პროფესორ პატკანოვისა და იმ სომეხ მწერლებისადმი, რომელნიც საქართველოს ისტორიასა და კულტურას ამცირებდნენ. როდესაც მან კითხვა დაამთავრა, ყველამ ერთხმად მოიწონა"[1].

ილია ჭავჭავაძე ამ ნაწარმოებით თავს დაესხა სომეხი მეცნიერებისა და მწიგნობრების ერთ ჯგუფს, რომელიც ქართველი ერის დამცირების მიზნით ისტორიულ მოვლენებსა და საისტორიო წყაროებს განზრახ ამახინჯებდა. ეს მეცნიერ-მწიგნობრები თავიანთი ცრუმეცნიერული ნაწერებით რუსი და უცხოელი მკითხველების თვალში ამდაბლებდნენ ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს, ქართულ კულტურას და, საზოგადოდ, მის ეროვნულ ღირსებებს.

ილია ამბობდა, სომეხი მეცნიერ-მწიგნობრებიო „ამ სახით ხომ გვართმევენ ყოველს ეროვნულს ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას, და რომ სულ მთლად ბოლო მოგვიღონ ქვეყნის წინაშე, გვიბათილებენ მთელს ჩვენს ისტორიასაც, ჩვენს ისტორიულს მატიანეებს, ისტორიულს ნაშთსა და სახსოვარსა, მთელს ჩვენს სისხლით-მოსილს ღვაწლს ქრისტიანობისათვის შეწირულსა, და ყოველს ამას თითონ იჩემებენ დიდის გაძვრენ-გამოძვრენითა"[2].

მეცნიერების სახელს ამოფარებული ყალბის მჭნელებიო, — წერდა ილია, — არავითარ ხრიკებს არ ერიდებიან „ოღონდ ქართველს, საცა-კი მოასწრობენ, სახელი გაუტეხონ, ოღონდ ქართველი დაამდაბლონ, დააქვეითონ, ყოველი ღირსება, თუ-კი რამ გააჩნიათ, აჰყარონ და არარად გაჰხადონ ქვეყნის თვალში"[3].

ილიას მტკიცე რწმუნით, სომეხ მწიგნობართა ერთი მცირე ჯგუფის ამგვარი მოქმედება ქართველი ერის წინააღმდეგ ახალი არაა. „მთელი სამოცი წელიწადია, რაც ერთი და იგივე ჰექა-ქუხილი ერთისა და იმავე ტენდენციისა ჩვენს ვინაობას ერჩის და დღემუდამ უფრო მეტის კადნიერებით, უფრო მეტის გაბედვით, მეტის სილაღით ტყავს აძრობს და წარღვნას უქადისო" — ამბობდა მწერალი[4].

ილია ჭავჭავაძე იმასაც აღნიშნავდა, რომ სომეხმა მწიგნობრებმა ორიოდე რუსი ავტორიც აიყოლიეს. „საოცარი აქ კიდევ ის არის, — წერდა იგი, — რომ ეს სამოცის წლის მთელი ხანა რუსის მწერლი-

---

[1] ლიტერატურის მატიანე, წიგნი VI, ნაკვეთი პირველი, 1952 წ., გვ. 44.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, 1957 წ., გვ. 96.

[3] იქვე, გვ. 141.

[4] იქვე, გვ. 103.

საგან იწყება და რუსის მწერლითვე თავდება. ამათ შუა მთელი მწკრივია სომეხთა მეცნიერთ-მწიგნობრებისა ასე, რომ თავიდან ბოლომდე ერთი ლარი გასჭიმოთ, სულ ყველას იგი ლარი მხარზე გადაუვლის, ასე მწყობრად მღაღადებელნი არიან ერთისა და იმავე განგებ აკვიატებულ აზრისა, თითქო ერთხორც და ერთსულ იყვნენ და ერთნაირად წინათვე გაჩარხულნი ერთისა და იმავე ანგარიშის ჩარხზე" [1].

სახელოვანი მგოსანი და პუბლიცისტი სასტიკად ამხილებდა სომეხ მეცნიერ-მწიგნობართა აშკარა ყალბისმქნელობას. მწერლის სიტყვით, სომეხი მწიგნობრები ძველ ისტორიულ შენობათა კედლის ქვებზე შემონახულ ქართულ წარწერებს ფხეკდნენ და ამახინჯებდნენ. ილია ამბობდა:

„არა ერთი და ორი მაგალითია იმისი, რომ ცდილან ნიშანი ქართველობისა დაუკარგონ ძველს შენობას, ტაძარს თუ მონასტერს, ამოფხიკონ ქვაზედ ნაწერი ქართული, ან წაშალონ, ან მთელი ნაჭერი ქვა შენობიდან ამოიღონ და მის მაგიერ სხვა ჩასვან სომხურის წარწერითა" [2].

ილია ჭავჭავაძემ თავისი „ქვათა ღაღადით" სამზეოზე გამოიტანა სომეხ მეცნიერთა და მწიგნობართა სიყალბე; უტყუარ ისტორიულ საბუთებზე დამყარებით, ღრმა და საფუძვლიანი კვლევა-ძიებით აჩვენა ამ კალმოსანთა საქმიანობის მავნე ხასიათი როგორც ქართველი ერის, ისე სომეხი ერის მეცნიერული ისტორიისათვის.

მწერალმა გადაჭრით დაგმო ხუდაბაშოვების, პატკანოვების, ქიშმიშოვების, ეზოვების, არწრუნებისა და მათ თანამოაზრეთა ანტიმეცნიერული საქმიანობა, რომელიც სინამდვილეში ისტორიულად მეზობელ ქართველ და სომეხ ხალხებს შორის აშკარა წინააღმდეგობის გრძნობას აღვივებდა.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა:

„სწორედ აქ არის თავი და ბოლო, დასაბამი და დასასრული იმ მწვავის განხეთქილებისა, რომელიც ასეთის გულმოდგინებით შთამოსთესეს ჩვენში უმეცართა მეცნიერთა და ერთმანეთზე ააღურსეს ქართველი და სომეხი. ამით, სწორედ ამ პირმოშვებულმა ფილოსოფოსებმა გაუფუჭეს გული ქართველებს სომხებზე და სომხებს ქართველებზე, თორემ სად იყო ჩვენში ამ ორმოც-სამოცის წლის წინად ერთმანეთის ასეთი ათვალწუნებაl ერთმანეთში არ ვირჩეოდით და თუმცა სხვადასხვა მოდგმისანი და სარწმუნოებისანი ვი-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, 1957 წ. გვ. 104.

[2] იქვე, გვ. 108.

ყავით, მაგრამ სომხობით ქართველის ძულებას და ქართველობით სომხებისას ჩვენში ადგილი არა ჰქონია ჩვენდა საერთო საბედნიეროდ და სასახელოდ, და თუ დღეს ეს ურთიერთობა ასე შერყეულია, სომეხთა მეცნიერთა გულნამცეცობას, უვიცობას, ნაცარქექიაობასა და ოინბაზობას უნდა მიეწეროს"[1].

ხალხთა მეგობრობის კეთილშობილური იდეა წითელი ზოლივით გასდევს ილია ჭავჭავაძის როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ მემკვიდრეობას. ალბათ ესევე მაღალი იდეა ამოქმედებდა ჩვენს მწერალს იმ დროსაც, როდესაც იგი „ქვათა ღაღადს" წერდა.

„ქვათა ღაღადში" ავტორი ერთხელ კიდევ იმეორებს თავის აზრს საზოგადოდ ერების მიმართ ყოველი გონიერი ადამიანისათვის სავალდებულო გულისხმიერებაზე. იგი ამბობს:

„ერი, როგორც კრებული ისტორიით შეღუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსანისა და ჭკუათამყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში, და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება — დიდად სათაკილო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფა, თავისი ღირსება, ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილ ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა"[2].

საზოგადოდ ერებისადმი პატივისცემის მაღალი შეგნებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ილია თავს ესხმოდა და ანადგურებდა სომეხ მეცნიერ-მწიგნობრებს, მაგრამ იმავე დროს იგი სომეხთა ერს ყოველთვის რიდითა და მოკრძალებით იხსენიებდა.

ილიასათვის, როგორც დიდი მოღვაწისათვის, დამახასიათებელია, რომ იგი ყურადღებითა და მზრუნველობით ეპყრობოდა საქართველოში მცხოვრებ უცხო ეროვნებათა ადამიანებს. დოკუმენტური მასალებით დადასტურებულია, რომ იგი ადამიანურად ზრუნავდა, კერძოდ, თბილისში მცხოვრებ სომხებზე.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის ვრცელი სტატია „ავლაბრელების საქმე", რომელიც 1887 წელს გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე გამოქვეყნდა[3].

ილიას წერილი გამოწვეული იყო იმით, რომ 1887 წლის გაზაფხულზე თბილისის საქალაქო მმართველობამ და საბჭომ ავლაბარში მცხოვრები სომეხი მოსახლეობისა და სამი ბობოლა ვაჭრის და-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, 1957 წ., გვ. 193.

[2] იქვე, გვ. 97.

[3] გაზეთი „ივერია", 1887 წ., № 82, 83, 84, 85, 86, 87, 88.

ვა ავლაბრის მამულის საქმეზე უკანასკნელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. როგორც მწერალი ამბობდა, „არსი საქმისა ავლაბრელების მხარეზედ იყო, სინდისიერი სიმართლეც, თვითონ წესი და რიგიც მათკენ ჰლაპარაკობდა და მაინც საბჭომ 26 აპრილს არც ერთი არ შეიწყნარა, 332 სული გამოსწირა მამულს და იგი მამული მიუსამართლა სამს კაცსა“.

სწორედ ამ უსამართლო გადაწყვეტილების წინააღმდეგ, ავლაბარში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის ინტერესების დასაცავად, ილიამ გამოაქვეყნა თავისი ვრცელი წერილი „ავლაბრელების საქმე“. ჩვენი აეტორი მისთვის ჩვეული მეცნიერული სიღრმით, საბუთიანობითა და ადამიანური სამართლიანობით აშუქებდა ავლაბრელ სომეხთა თითქმის მთელ ცხოვრებას თბილისში მათი ჩამოსახლების პირველი დღეებიდან ოთხმოციან წლებამდე. იგი წერდა:

„მეფე ერეკლე მეორე რომ დაბრუნებულა შამქორის ომიდან, თან გადმოუყვანია რამდენიმე კომლი სომეხი, ოტებულნი ყიზილბაშებისაგან, და დაუსახლებია ავლაბარში. აქ უბოძებია მათთვის, სხვა ავლაბრელებთან ერთად, ავლაბრის გარეშემო მამული სახნავსათესად და საძოვრად. ეს გადმოსახლებულნი ჯერ პირველად სამეფო გლეხებად ჩაურიცხავთ და მერე სახასოდ. თვითონ ავლაბრის მამული-კი დედოფლის დარიას წილადხდომილი მამული ყოფილა და ამ ავლაბრის გლეხთა საზოგადოებას უძლევია ღალა ერთი შეათედი მოსავლისა. შემდეგ დარია დედოფლისა ხაზინა დაჰპატრონებია ამ მამულს და ღალა ხაზინას უღია“ [1].

ილია წერილში მკითხველის ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ მეცხრამეტე საუკუნის ღცდაათიანი წლებიდან უკვე გამოჩენილან ცალკეული პირები, რომელთაც ავლაბრელების მიერ მოვლილი და განაყოფიერებული მამულის ხელში ჩაგდება განუზრახავთ. წერილში დასახელებულია ფაქტები, როდესაც ავლაბრის მამულებზე დავის საკითხი მაღალ დაწესებულებებში განიხილებოდა და ყოველთვის ავლაბრელთა სასარგებლოდ წყდებოდა, რადგან სიმართლე მათ მხარეზე იყო.

წერილში განსაკუთრებით ვრცლადაა საუბარი იმაზე, რომ ოთხმოციან წლებშიც გამოჩნდა სამი ბობოლა სომეხი, რომელთაც ავლაბრის მამულის დასაკუთრება მოინდომეს. ამ სამთაგან ორი ახნაზაროვი იყო, ხოლო მესამე — ქიშმიშოვი.

დასახელებულმა ვაჭრებმა აშკარა ხრიკებისა და მაქინაციების საშუალებით, ქალაქის მმართველობის მხარდაჭერით, შეძლეს ავ-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, 1957 წ., გვ. 29.

ლაბრელთა მამულის ხელში ჩაგდება. განსაკუთრებით ამაღელვებელი ის იყო, რომ ამ უსამართლობას საქალაქო საბჭოც მხარს უჭერდა. ჩვენმა მწერალმა, ჩანს, მიზნად დაისახა ემხილებინა ქალაქის მმართველობა, რომელმაც ავლაბრელ მშრომელ სომეხთა წინააღმდეგ საქმე გაქნილ და გაიძვერა ბობოლების სასარგებლოდ გადაწყვიტა. ბრძენი მოღვაწე თავს ესხმოდა აგრეთვე თბილისის საქალაქო საბჭოს, რომელმაც მმართველობის მოხელეთა უკანონო გადაწყვეტილება დაამტკიცა.

თავისთავად იგულისხმება, რომ ავლაბრელები თავიანთი კუთვნილი მამულის შენარჩუნებისათვის ბრძოლას კვლავ განაგრძობდნენ, ხოლო ილიას ეს წერილი მათ ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა.

ილია ჭავჭავაძის „ავლაბრელების საქმე“ ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რაოდენი პატივისცემითა და მზრუნველობით ეპყრობოდა იგი საქართველოში მცხოვრებ სომეხ მშრომელებს. მწერალი სომეხი ხალხისადმი ასევე პატივისცემის გრძნობას აშკარად ამჟღავნებდა იმ დროსაც, როდესაც იგი სომეხ მეცნიერებს აკრიტიკებდა. მას მიაჩნდა, რომ ის ღვარძლიანი საქმიანობა, რომელსაც სომეხი მწიგნობრები ქართველი ხალხის წინააღმდეგ ეწეოდნენ, სომეხი ერის საერთო სულისკვეთების გამომხატველი სრულიადაც არ იყო. მწერალი გადაჭრით აცხადებდა:

„ჩვენ ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით: ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალი, იგი ცოდვა — მთელს ერს სომხისას შევწამოთ, რომელიც მარტო ერთს გვარს გუნდს სომხებისას და იმ გუნდის მწიგნობარ-მეცნიერთ ეკუთვნის“. რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ილია კვლავ ამბობდა: „მთელი ერი სომხებისა აქ არაფერს შუაშია. იგი, ვითარცა მშვიდობიანად მშრომელი და გამრჯელი, თავისს საქმეს ადგია — ვაჭრობაა თუ ხვნა-თესვა — და ფიქრადაც არ მოსდის და არც ეჭირება პასუხისმგებელი იყოს იმ ზოგიერთთა ცოდვების გამო, რომელნიც არამკითხე მოამბესავით მეტიჩრობენ და გარს დასტრიალებენ, როგორც მუმლი მუხასა“.

ილია თავის სტატიაში წინასწარ საჭირო სიფრთხილესაც იჩენდა. იგი მოელოდა, რომ სომეხ მწიგნობართა გუნდი შეეცდებოდა ქართველი მწერლის მიერ სომეხ მწიგნობართა ერთი ჯგუფის მიმართ წაყენებული ბრალდებები მთლიანად სომეხ ხალხზე გადაეტანა და ამით ისტორიულად ორ მეზობელ ერს შორის კვლავ ახალი უსიამოვნება ჩამოეგდო. სწორედ ამის გამო იგი ამბობდა:

„ვინ იცის, რა ბუკსა და ნაღარას დაჰკრავს, რა საყვირს დააყვირებს ამ წერილების გამო იგი გუნდი, რომლის მხილება ჩვენ სახე-

ში გვაქვს და რომელსაც ჩვეულებად დასჩემებია მათ შესახებ ნათქვამი მთელს ერს მოახვიოს თავზე, მთელს სომხობაზე გადაიტანოს. აქ განზრახვა აშკარაა. ერის სახელით ბრძოლას სამართლიანად აქვს დიდი პატივი და საბუთი"[1].

ილიას „ქვათა ღაღადმა", როგორც ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ნაწარმოებებმა, უდიდესი როლი შეასრულა. დიდმა მოღვაწემ ამ თხზულებით ერთხელ და სამუდამოდ გზა გადაუჭრა პატკანოვებისა და ეზოვების მსგავს მწიგნობრებს, თუ ასეთების გამოჩენა ასპარეზზე კიდევ ოდესმე მოსალოდნელი იყო.

„ქვათა ღაღადის" ჭეშმარიტად განსაკუთრებული ძალა უწინარეს ყოვლისა მის მეცნიერულ სიღრმესა და საბუთიანობაში მდგომარეობს. ილია ამ ნაწარმოებში, როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის წარსულის გახსენების მიზნით ძველი ასურეთ-ბაბილონის ისტორიის რთულ ლაბირინთებშიც შედის. იგი აქაც, მიუხედავად უპრეტენზიობისა, თავის მსჯელობაში მუდამ და ყოველთვის დამაჯერებელია. ძნელი არაა წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ დროსა და ენერგიას მოითხოვდა მოპოვება და სისტემაში მოყვანა იმ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურისა, რომელიც „ქვათა ღაღადის" დასაწერად საჭირო და აუცილებელი იყო.

ინტერესს მოკლებული არაა ვიცოდეთ, რომ ილია როგორც საზოგადოდ დიდი მოღვაწეებისათვის დამახასიათებელია, სამოქალაქო ისტორიისადმი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. ამის დამადასტურებელია მისი მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური და საპოლემიკო წერილები, მათ შორის „ქვათა ღაღადი", რომელიც ჩვენი მწერლის მემკვიდრეობაში ერთ-ერთი უძლიერესია.

ახლა უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ ილიას ნამდვილად აღელვებდა თავისდროინდელი ქართული საისტორიო მეცნიერების საერთო დონე. იგი მწვავედ განიცდიდა, რომ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი შრომისა და ბრძოლის ისტორია სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული არ იყო. როგორც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ამბობს, „ჩვენში წარსული საუკუნის 90-იანი წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის, ისტორიოგრაფია ბატონობდა, რომელიც, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს ვერც მოეწონებოდა და ვერც დააკმაყოფილებდა" [2].

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, 1957 წ., გვ. 98.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956 წ., გვ. 77.

შემთხვევითი არაა, რომ ილია ყოველთვის ზრუნავდა ისეთი სამეცნიერო დაწესებულების შექმნაზე, რომელიც თანამიმდევრულად იმუშავებდა ქართული საისტორიო მასალების შეკრებაზე. ამაზე მოგვითხრობს ექვთიმე თაყაიშვილი თავის მოგონებებში. ამასვე ადასტურებს გრ. ყიფშიძე, რომელიც წერს: „ილიავეა სულიერი მამა იმ ახალის საზოგადოების დაარსებისაცა, რომელმაც ასე მალე მოიპოვა თანაგრძნობა ჩვენის ქვეყნისა და რომელსაც ეწოდება „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ [1].

საკვირველი ბუნებრივია, რომ ილია ქართველი ერის ისტორიის ღრმა და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვდა. იგი ამგვარ შესწავლას აუცილებელ პირობად თვლიდა მშობლიური ერის აწმყოსა და მომავლის მოწესრიგებისათვის. წერილში „ერი და ისტორია“ ჩვენი ავტორი ამბობდა:

„ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძნისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდაუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი“ [2].

ილიას კალამს ეკუთვნის რიგი წერილები საქართველოს ისტორიის საკითხებზე. ასეთებია: „ოსმალოს საქართველო“, „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, „დავით აღმაშენებელი“, „ლუარსაბ წამებული“, „ერი და ისტორია“ და სხვები.

ილია ჭავჭავაძის საისტორიო ხასიათის წერილებს მაღალ შეფასებას აძლევდა აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. იგი წერდა:

„რაკი ილ. ჭავჭავაძეს ისტორიის უაღრესი მნიშვნელობა კარგად ესმოდა და შეგნებული ჰქონდა, ცხადია, მას არ შეეძლო სა-

[1] ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, მ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914 წ., გვ. LXVI.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 200.

ქართველოს წარსულის შესწავლის სავალალო მდგომარეობისათვის ყურადღება არ მიექცია. და მართლაც, ჩვენს დიდებულს მგოსანსა და პუბლიცისტს წინათაც და შემდეგშიც არა ერთხელ თავისი პირდაპირი მოვალეობისათვის თავი დაუნებებია და ისტორიულ კვლევა-ძიების საკითხებში ჩარეულა.

„ვინც ილ. ჭავჭავაძის ამ დარგის საკმაოდ მრავალრიცხოვან წერილებს გულდასმით გადაიკითხავს, მას საშუალება ექნება, როგორც მისი კონცეფცია გამოარკვიოს ისტორიის ზოგად საკითხებზე, ისევე ისიც გაითვალისწინოს, თუ რა წვლილი აქვს ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორიის შესწავლაშიც შეტანილი"[1].

ილია ჭავჭავაძე ცხრაასიან წლებში

1900 წლის დამდეგს „ივერიის" საახალწლო ნომერში გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის წერილი „მეცხრამეტე საუკუნე". ეს წერილი ჯერ-ჯერობით განსაკუთრებული მნიშვნელობის თხზულებაა ჩვენი ავტორის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში. მასში საბოლოო გამოხატულებას პოულობს მწერლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, საერთოდ, მისი მსოფლმხედველობა.

ილია ჭავჭავაძე ამ წერილში მეცხრამეტე საუკუნის, როგორც ისტორიის ერთი მონაკვეთის, მიმოხილვასა და დახასიათებას იძლევა. ჩვენი მწერალი აქ უკვე წარმოგვიდგება როგორც მოაზროვნე, რომელიც მოვლენებს ზოგადადამიანური, საერთო-საკაცობრიო თვალსაზრისით უდგება. იგი მეცხრამეტე საუკუნის ისტორიულ მიღწევებს საზოგადოდ კაცობრიობისათვის მნიშვნელობის მიხედვით აფასებს.

ეს ფაქტი შემთხვევითი არაა. ილიას სახით ქართველ ერს ჰყავდა ფართო მასშტაბის მოღვაწე და მოაზროვნე, რომელიც თვალყურს ადევნებდა მსოფლიოს ხალხთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას. იმავე დროს იგი თავისი ეპოქის მსოფლიოს უბრალო მეთვალყურე კი არ ყოფილა, არამედ ხალხთა ცხოვრებაში მომხდარ საგულისხმო მოვლენებს თვითონაც აქტიურად ეხმაურებოდა.

ილიას კალამს ეკუთვნის მთელი რიგი წერილები, რომლებშიც იგი მსოფლიოს მრავალ დიდ და პატარა სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას ეხებოდა. ამგვარი წერილების სათაურების ჩამოთვლაც საკმარისი იქნება წარმოვიდგინოთ, თუ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956 წ., გვ. 78-79.

რაოდენ ფართო იყო ჩვენი მოღვაწის ინტერესთა სფერო და რა შორს წვდებოდა მისი თვალთახედვის ისარი.

ჩვენს მწერალს მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გამოქვეყნებული აქვს წერილები: „ირლანდია და ინგლისი“, „მილიტარობა ევროპაში“, „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“, „ევროპის დიდი და პატარა ონავრები“, „ევროპა 1886 წელს“, „აზია წინათ და ეხლა“, „დღევანდელი სპარსეთი“, „ბალკანეთის საქმე“, „ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები“, „მუშათა ყოფა-ცხოვრების საქმე ევროპაში“, „პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები“, „ებრაელთა საკითხზე“ და სხვები, რომელთა საერთო მოცულობა თითქმის ერთ ტომს შეადგენს[1].

ჩამოთვლილ წერილებში აღძრულ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე მსჯელობის დროსაც ავტორი ისევე ღრმა და საფუძვლიანია, როგორც მისთვის საზოგადოდ დამახასიათებელია. იგი აქაც ერთხელ კიდევ წარმოგვიდგება როგორც დიდი ჰუმანისტი, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის იდეისათვის თანამიმდევრულად მებრძოლი მწერალი და მოაზროვნე.

სახელოვანი მწერლის მაღალი ზოგადსაკაცობრიო იდეალები მთელი სისრულით გამოვლინდა აგრეთვე წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“. ილია გადაჭრით ამბობს, რომ მეცხრამეტე საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში ერთი ფრიად ნაყოფიერი ეპოქა იყო. ამ საუკუნემ „ბევრი რამ შესძინა ქვეყნიერებას“. ამ საუკუნეში კაცობრიობის საერთო შენაძენი იმდენად დიდიაო, — ამბობდა ჩვენი ავტორი, — რომ წინა ეპოქათა ადამიანებს მისი წარმოდგენაც არ შეეძლოთ.

ილია უწინარეს ყოვლისა აღნიშნავდა იმ დიდ შედეგებს, რომელნიც კაცობრიობამ მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებში მიიღო. იგი წერდა:

„ბეკონმა, ინგლისის ფილოსოფოსმა, სთქვა, რომ პროგრესი კაცობრიობისა სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ დღიდამ დღემდე განზე გადადგმულ იქნას საზღვარი შეუძლებელისაო. ამ თვალით რომ შეხედოს კაცმა ამ მეცხრამეტე საუკუნის ღვაწლს, მართლა რომ საკვირველებაა. რაც შეუძლებლად მიაჩნდათ ჩვენთა მამა-პაპათა, — დღეს შესაძლებელი გახდა მეცხრამეტე საუკუნის წყალობით, მანძილი, რომელიც დღეს-აქამომდე იყო სხვადასხვა ქვეყნებ-შორის, რკინიგზებმა, ტელეგრაფებმა და ტელეფონებმა

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, 1957 წ., გვ. 5-255.

თითქმის მოსპეს. დოსტაქრობამა და მკურნალობამ იქამდე მიაღწია, რომ ცოცხალ ადამიანის აგებულებაში თითქმის გამოუცნობი და დაუნახავი, გაუსწორებელი, შეუკეთებელი აღარა არის-რა".

ილია ჭავჭავაძე მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვრებზე საუბრის შემდეგ მეცხრამეტე საუკუნეში ადამიანთა საზოგადოების გონებრივ ამაღლებაზე მსჯელობდა. მისი აზრით ამ საუკუნის ბოლოს ადამიანი თავისი გონებით, ფიქრითა და ზნეობით ისეთ სიმაღლეზე ავიდა, რომ ჩვენს წინაპრებს სიზმარშიაც არ შეეძლოთ ენახათო. თხზულებაში პირდაპირაა ნათქვამი:

„ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენა არა უქნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თვისდა პატივით მოსახსენებლად". ადამიანის გონებრივმა განვითარებამო, — ამბობდა ჩვენი მწერალი, — კაცობრიობის საერთო კეთილდღეობა განაპირობა. ადამიანის ამაღლებულმა გონებამ ხალხთა შორის ომები, წეწვა-გლეჯა, სისხლის ღვრა და სხვა მათი მსგავსი ბოროტებანი ალაგმა.

ილიას სიტყვით, მეცხრამეტე საუკუნეში „ადამიანი გამოკეთდა აზრით, ფიქრით, გონებით და ზნეობით. სიმდიდრემ გონებითმა, ზნეობითმა და ქონებითმა იმ სიმაღლემდე მიაღწია, რომ სიზმრადაც არ ზმანებიათ წინანდელ საუკუნეებს. ერთობ კაცობრიობის სიკეთემ აიწია, წეწვა-გლეჯამ, ერთმანეთზე მისევამ, ერთა ერთმანეთზე მტრულად მისვლამ, — პირში ლაგამი ამოიდო საზოგადო მსჯავრის შიშითა".

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ამ საუკუნეში საზოგადოების გონებრივად ამაღლებამ ბუნებრივად წარმოშვა კეთილშობილური იდეა, რომელმაც ადამიანის ადამიანური ღირსება აღიარა. მწერალი თვლიდა, რომ ეს იდეური მონაპოვარი მეცხრამეტე საუკუნის მთელ რიგ მონაპოვართა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. იგი ამბობდა:

„ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც ვინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი. თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარი. ძალთალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალური წყობილების

იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და შრომელ კლასებისა წარსამატებლად". „ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა, თავისდა პატივით მოსახსენებლად". [1]

როგორც ვხედავთ, ჩვენი მწერალი მეცხრამეტე საუკუნეს, როგორც ისტორიის ერთ მონაკვეთს, მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებაში ფრიად ნაყოფიერ ეპოქად აღიარებდა. იმავე დროს იგი იქვე დამაჯერებლად აცხადებდა: „შექსპირისა არ იყოს, ქვეყნიერობაში კიდევ ბევრი რამ არის, რომელიც სიზმრადაც არ მოზმანებიათ ეხლანდელ მეცნიერთ".

ილიას აზრით, კაცობრიობის საერთო ცხოვრება მუდმივი წინსვლისა და აღმავლობის გზით მიდის. იგი დარწმუნებული ამბობდა, „რომ წინა საუკუნეთაც არ ემოქმედნათ, არც ეს მეცხრამეტე საუკუნე იქნებოდა ასე ნაყოფიერი". მისი სიტყვით, წინა საუკუნეები სთესდნენ, ხოლო მეცხრამეტე საუკუნემ წინამორბედ საუკუნეთაგან ნათესის უხვი მოსავალი მოგვცა, „იმოდენად უხვი, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთა წინაპართათვის".

ილია ჭავჭავაძის მსჯელობა აღებულ რთულ სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებზე უწყვეტი თანამიმდევრობით გრძელდება. წერილის მომდევნო ნაწილში ავტორის ძირითადი აზრი ასე ვითარდება: მეცხრამეტე საუკუნემ კაცობრიობას უხვი მოსავალი მისცა. „სიმდიდრემ გონებითმა, ზნეობითმა და ქონებითმა იმ სიმაღლემდე მიაღწია", რომ ცხოვრებაში არსებულ წეწვა-გლეჯას, ერთმანეთზე მისევას, ერთა შორის სისხლისმღვრელ ომებს ერთგვარად ლაგამი ამოსდო.

იქვე ნათქვამია, რომ იმავე მეცხრამეტე საუკუნემ თავის მხრივ მომავლის თესლიც ჩაყარა. საუკუნის მოწინავეთა შორის ერთი დიდი და სახელოვანი საქმე" ის არის, რომ სწორედ ამ დროს განსაკუთრებით აღორძინდა იდეა ადამიანის თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისა „რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს".

თავისთავად ამგვარი იდეის აღორძინება, ჩვენი მწერლის აზრით, განპირობებულია იმით, რომ კაცობრიობა, მიუხედავად საერთო წინსვლისა და ამაღლებისა, ჯერ კიდევ კუთვნილ ბედნიერებას მიღწეული არაა. „მართალია, დღეს ადამიანი ერთობ, ღარიბია თუ

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1955 წ., გვ. 8.

მდიდარი, — უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერობასთან გამოხმაურება, ქვეყნიერობასთან ურთიერთობის გაწევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ ჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა".

მოტანილ სტრიქონებში ლაპარაკია მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების სამიჯნო დღეებზე, სახელდობრ იმ დღეებზე, როდესაც მეცხრამეტე საუკუნემ „გზა დაულოცა ახალს საუკუნეს, ეხლა შენ იცი და შენმა ძალღონემაო". სწორედ ამ ეპოქის დასახასიათებლად არის ნათქვამი ზემომოტანილი სიტყვები.

ილიას წერილში განვითარებული აზრთა მდინარება კვლავ თანამიმდევრულად გრძელდება და სრულიად ბუნებრივად ავტორის დაკვირვების საგნად იქცევა ის დიდი მისია, რომელიც მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში მეოცე საუკუნემ უნდა შეასრულოს.

ილია მეცხრამეტე საუკუნის მიერ მომავლისადმი ნაანდერძევთაგან, როგორც ვიცით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას მეცნიერულად დასაბუთებულ ადამიანთა თანასწორუფლებიანობის იდეას ანიჭებდა. ბუნებრივია, რომ „კაკო ყაჩაღის" ავტორმა მეოცე საუკუნის უმთავრეს საქმედ სწორედ სოციალური, კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის იდეის პრაქტიკული განხორციელება აღიარა. შესაძლებელიაო, — ამბობდა იგი, — მეოცე საუკუნეში ადამიანის გონებამ კვლავ ბევრი ახალი მიღწევა იზეიმოს, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მიერ ნაანდერძევზე „უაღრესს და უდიდეს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს".

სტატიის იმ ნაწილში, რომელშიც მწერალი მეოცე საუკუნის დამდეგის საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ კლასობრივ წინააღმდეგობებზე ლაპარაკობს, ზემომოტანილ სტრიქონებს უშუალოდ მოსდევს მისივე სიტყვები:

„აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილობით მოიმოქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღის ამასიქით" [1].

ასეთია ილიას წერილი „მეცხრამეტე საუკუნე".

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1955 წ., გვ. 9.

ამ წერილით სახელოვანი ქართველი მოღვაწე ერთხელ კიდევ წარმოგვიდგება როგორც თავისი ეპოქის დიდი მოაზროვნე, რომელიც საზოგადოებრივ-ისტორიულ მოვლენებს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობით იხილავდა და აფასებდა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური იმავე დროს ადამიანის ღირსებათა დამცველად გვევლინება. მისი დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ზოგადადამიანური მნიშვნელობაც ამაში მდგომარეობს.

* * *

1900 წლის 2 იანვარს ქართული თეატრის აღდგენიდან ორმოცდაათი წლისთავი აღინიშნა. ამ დღეს მოეწყო ქართული დრამატული საზოგადოების საზეიმო კრება, რომელსაც დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ზეიმი ორ ნაწილად ჩატარდა: დღისით მოსმენილ იქნა მოხსენება და მილოცვები, ხოლო საღამოს წარმოადგინეს გიორგი ერისთავის „გაყრა“ და მოეწყო აპოთეოზი.

საიუბილეო სხდომაზე სხვებთან ერთად სიტყვით გამოვიდა ილია ჭავჭავაძე. მან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით ქართული თეატრის მოღვაწეებისადმი მიმართული ადრესი წაიკითხა. მისი ხელიდან გამოსული ეს ადრესი უტყუარი დოკუმენტია, რომელშიც გამოხატულებას პოულობს დიდი მოღვაწის შეხედულებანი ქართული თეატრის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე, მის მიზნებსა და კონკრეტული ეპოქის პრაქტიკულ ამოცანებზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენი მწერლის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი წერილები ქართული თეატრის საკითხებზე.

ოთხმოციან წლებში, როდესაც ქართული დრამატული საზოგადოება დაარსდა, ილია საზოგადოების გამგეობის პირველი თავმჯდომარე იყო. ამის შემდეგ იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ერთ-ერთი მეთაური და აქტიური მოღვაწეა ახალი ქართული თეატრისა.

ილია თეატრს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ერის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. ეს სრულიად ნათლად ჩანს ზემოხსენებული წერილებიდან. ქართული თეატრის, როგორც ეროვნული კულტურის ერთ-ერთი კერის, მნიშვნელობაზე მწერალს საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული აგრეთვე პირად მიმოწერაში.

ილიამ ოთხმოციან წლებში, როდესაც დრამატული საზოგადო-

ების თავმჯდომარედ იყო, თავის მეგობარს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს პროფესორ ილია ოქრომჭედლიშვილს ქართული თეატრისათვის ღრმულადი შემწეობა სთხოვა. ამ თხოვნასთან დაკავშირებით იგი ბარათის ადრესატს სწერდა:

„ხომ იცი, თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის, მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა. ეს ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიღოს, თორემ თეატრს ხომ სხვაც ბევრი სიკეთე მოსდევს. შენ იცი, ძმაო, თუ შენს უხვს და მოწყალე ხელს გამოუწევდი ამ სულმილეულს საქმეს, რომელსაც უილაჯობის სულთამხუთავი თავს ადგას და დღესა თუ ხვალ სულს ამოართმევს“[1].

გასაგებია, რომ 1900 წლის 2 იანვარს განახლებული ქართული თეატრის ორმოცდაათი წლისთავის საიუბილეო ზეიმში ილია ხედავდა ერთგვარ შეჯამებას იმ საქმიანობისა, რომლის უმთავრესი სულისჩამდგმელი, განსაკუთრებით ოთხმოციანი წლებიდან, თვითონვე იყო.

ილია ჭავჭავაძის მიერ 1900 წლის 2 იანვარს წაკითხულ ადრესში მოცემულია მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი დახასიათება იმ შემოქმედებითი მოღვაწეობისა, რომელიც განახლებულმა ქართულმა თეატრმა ამ იუბილემდე გასწია. ილიამ საიუბილეო კრების მონაწილეებს ასე მიმართა:

„ნახევარმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც პირველად აიხადა ფარდა ქართული სცენისა და სცენაზე გამოჩნდა ქართული ცხოვრება ქართულის მწერლისაგან აღწერილი და ქართველ მსახიობთაგან დასურათებული. ეს დღე სადღესასწაულოა არა თუ ქართულის დრამატულის ხელოვნებისათვის, არამედ მთელის ქართულის ლიტერატურისათვის. ამ დღეს ქართველ მოლიერის ნიჭის ნაწარმოები ნახა ქართველმა საზოგადოებამ. ეს ის ნაწარმოები გახლდათ, რომელიც ქართულს დრამატულს საზოგადოებას განუზრახავს აჩვენოს დღეს საზოგადოებას! ეს ის კომედია „გაყრა“ გახლდათ, რომლის ავტორმა გიორგი ერისთავმა დაიწყო ქართველ საზოგადოების ტკივილითა და ნაკლულევანებათა გამოკვეყნება და ამ ვამოკვეყნებით ქართულის საზოგადოების ზნეობრივად აღზრდა და გაწვრთნა. ამ დღიდგან ქართულს ლიტერატურას კარი გაეხსნა

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 97. პროფესორმა ი. ოქრომჭედლიშვილმა, ილია ჭავჭავაძის თხოვნის პასუხად, ქართულ თეატრს დახმარების სახით ათასშვიდასი მანეთი გამოუგზავნა.

სცენისაკენ და ნება მიეცა სცენიდგან საზოგადოებისათვის ქადაგება-მოძღვრებისა ამა თუ იმ სახით და მას შემდეგ ამ აზრს მისდევდა ჩვენი დრამატული მწერლობა — ზ. ანტონოვი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, რ. და დ. ერისთავი, ა. ყაზბეგი, ა. ცაგარელი, კ. მესხი, ვ. გუნია და სხვ...

„ეს დღე ამდენად შესანიშნავი მრავალგვარად სადღესასწაულოა ჩვენთვის და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება აღტაცებით და მრავლის სურვილით აღსავსე გულით მიჰმართავს ქართულს თეატრს, მის მუშაკთ — ქართულ დრამატულს მწერლებს და ქართველ მსახიობთ, მის ხელმძღვანელს — ქართულ დრამატულ საზოგადოებას და ერთად მთელ ქართველ ერთან ულოცავს ასეთ დიდებულს ჩვენის თეატრისა და ლიტერატურისათვის დღესასწაულს“[1].

ასე შეაფასა სახელოვანმა მწერალმა განახლებული თეატრის ღვაწლი ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურულ ცხოვრებაში. თავისთავად იგულისხმება, რომ ერის მამისაგან ამგვარი შეფასება და გულითადი მილოცვა ქართული თეატრის მოღვაწეებს ახალი თავდადებული შემოქმედებითი საქმიანობისათვის რაზმავდა.

* * *

ილია 1900 წლის გაზაფხულზე ავად გახდა. მას გულის ტკივილები აწუხებდა. ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერი, რომელმაც ავადმყოფი მწერალი საგურამოში პირველმა ინახულა, წერს: „მის გულს დიდი გადატვირთვა და დაღლილობა ეტყობოდა; გულის სისხლის მილებს სკლეროზი შეჰპარვოდა, გულის კუნთების ანთების ნიშნებით. აშკარა იყო, რომ ილიას გულის ტკივილები გამოწვეული იყო ამ ცვლილებებით“[2].

ილიას ავადმყოფობის ამბავი ჩქარა გავრცელდა. „ივერიის“ რედაქციაში ყოველი მხრიდან მოდიოდა ილიას ჯანმრთელობით დაინტერესებულ პირთა წერილები. 1900 წლის 18 მაისს „ივერიაში“ გამოქვეყნდა მწერლის სამადლობელო მიმართვა თავისი გულშემატკივრებისადმი.

1900 წლის ივნისის ბოლოს ილია მეუღლითურთ ევროპაში გაემგზავრა სამკურნალოდ. იმავე ნ. ჯანდიერის გადმოცემით, „ილიას საზღვარგარეთ გამგზავრების დღეს ბევრი მნახველი მოსდიოდა.

---

[1] გაზეთი „ივერია“, 1900 წ., № 2.

[2] ლიტერატურის მატიანე, წიგნი VI, ნაკვეთი პირველი, 1952 წ., გვ. 78.

მრავალრიცხოვანი ქართველი საზოგადოება, რომელმაც იცოდა დრო ილიას გამგზავრებისა, სადგურზე ყვავილებით დაუხვდა. საერთაშორისო ვაგონამდის მიაცილეს. ილია შევიდა ვაგონში და გაღებული ფანჯრიდან ხალხს ესაუბრებოდა და მადლობას უხდიდა".

ილია 1900 წლის ივლისიდან შუა სექტემბრამდე გერმანიაში იმყოფებოდა. იგი ბერლინში პროფესორ ლეიდენის კლინიკა-სანატორიუმში მკურნალობდა. იმავე წლის 26 ივლისის გაზეთი „იევრია" საზოგადოებას აუწყებდა:

„როგორც ბერლინიდან გვატყობინებენ, ი. ჭავჭავაძე ამჟამად უკედ იმყოფება თურმე. მკურნალს ლეიდენს გაუსინჯავს იგი და ის აზრი გამოუთქვამს, რომ შინაგანი ორგანოები სრულიად საღი და უვნებელი აქვს ავადმყოფსაო. მაინც ყოველ დღეს ჰსინჯავს, თვალყურს ადევნებს თურმე და კმაყოფილია მისის მდგომარეობით. ამ ერთის კვირის წინად ბატონს ლეიდენს ი. გ. ჭავჭავაძე კარლსბადში გაუგზავნია იქაურის ჰავითა და წყლებით სამკურნალოდ".

ილია ჭავჭავაძეს ბერლინში მკურნალობის დროს, როგორც მისი პირადი მიმოწერიდან ჩანს, გერმანიასთან ერთად, ავსტრიაც დიდი ადამიანური ცნობისმოყვარეობით დაუთვალიერებია[1].

ილია სამშობლოში 1900 წლის 15 სექტემბერს დაბრუნდა. ეს ფაქტი გაზეთმა „ცნობის ფურცელმა" 16 სექტემბერს უკვე ფართო საზოგადოებას აცნობა. გამოჩენილი მწერლის ევროპაში მოგზაურობაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის არტურ ლაისტი. იგი წერს:

„როცა ილიამ გერმანია და ავსტრია მოიარა, დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა და უკვირდებოდა გერმანელების ცხოვრებასა და კულტურას. ყურადღებას აქცევდა ყველა წვრილმანს, მაგრამ ღვიძლი სამშობლო, საქართველო ყოველთვის ძლიერ იზიდავდა თავისკენ. უცხოეთიდან დაბრუნებული ილია, თბილისს რომ უახლოვდებოდა, ისე მოიხიბლა საყვარელი ქალაქის ხილვით, რომ თვალებზე ცრემლიც კი მოადგა. ამას ილია სრულიად მოურიდებლად მიამბობდა ხოლმე და თან დასძენდა: ყმაწვილობაშიც გამომიცდია სამშობლოს მოშორებით გამოწვეული ნაღველი, მაგრამ ისე ძლიერ არა როგორც ახლა, მოხუცებულობის ჟამსო"[2].

მწერლის ოჯახის მეგობარი ოლღა აღლაძე მოგვითხრობს:

„საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ილიასთან მრავალი მახლობელი და ნაცნობი მოდიოდა სანახავად და მის შთაბეჭდილებათა

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 154-158, წერილები ნიკო ცხვედაძისადმი.

[2] არტურ ლაისტი, საქართველოს გული, 1963 წ., გვ. 44.

გასაგებად. ერთხელ ილიასთან იყვნენ მისი ძალიან მახლობელნი. ილიამ მათ უთხრა:

„— კარგად იცით, თვრამეტი წელიწადია ეკლესიაში არ შევსულვარ, მაგრამ როცა საზღვარგარეთიდან წამოველდი და ჩემს სამშობლოს მოვუახლოვდი, კავკასიონის მთები რომ დავინახე, ცრემლები მომერია, უნებურად მუხლი მოვიყარე და სასოებით პირჯვარი გადავისახე!.. აი, ასეთი ძლიერი ყოფილა სამშობლოს სიყვარული“[1].

ილიას აღნიშნულ მოგზაურობასთან დაკავშირებულია ერთი საგულისხმო ლიტერატურული მოვლენა, რომელიც საინტერესოა როგორც მისი პიროვნების დახასიათებისათვის, ისე საზოგადოდ, ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით.

ჩვენი მწერლის გერმანიაში გამგზავრების თაობაზე არტურ ლაისტს თბილისიდან წერილით უცნობებია იტალიელი მეცნიერისათვის გულიელმო პასილისათვის. დოქტორი გულიელმო პასილი 1900 წლის დასაწყისში საქართველოში ყოფილა. მოგზაურ მეცნიერს თბილისში, არტურ ლაისტის საშუალებით, ილია გაუცვნია და მასთან რამდენიმე გულითადი შეხვედრაც ჰქონია.

გულიელმო პასილის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იტალიურ ჟურნალში გამოუქვეყნებია სტატია კავკასიაში თავის მოგზაურობაზე. თხზულებაში შედარებით ვრცლადაა საუბარი საქართველოზე. იქვე ილიას ფოტოსურათია დაბეჭდილი.

გულიელმო პასილის აღნიშნული სტატია იტალიაში გამოქვეყნდა იმ დროს, როდესაც ჩვენი მწერალი ბერლინში იმყოფებოდა. გულიელმო პასილის განუზრახავს, რომ თავისი თხზულება ილიასათვის გაეგზავნა. ამ მიზნით მას მიმოწერაც გაუმართავს, მაგრამ მწერალი ამ დროს უკვე ავსტრიაში ყოფილა გადასული და, ამრიგად, იტალიელი მეცნიერის წერილები მას ვეღარ მიუღია.

ჩვენამდე მოღწეულია გულიელმო პასილის ერთი პირადი წერილი ილია ჭავჭავაძისადმი და მისი ზემოაღნიშნული თხზულება. იტალიელი მეცნიერი ქართველ მწერალს ატყობინებდა:

„ლაისტი 16 თიბათვეს გამოგზავნილ ერთ წერილში მწერდა, რომ თქვენ და თქვენი ქალბატონი ბერლინში უნდა დარჩეთ შემოდგომამდე. იმედი მაქვს, რომ ჩემი ეს ბარათი მოგისწრებთ.

„უკვე გამოვაქვეყნე წერილი კავკასიის შესახებ „ნუოვო ანტოლოჯიაში“. თუ თქვენ გამომიგზავნით წერილს ბერლინში ყოფნისას, მე მაშინვე გამოგიგზავნით ჩვენი მიმოხილვის ნაკვეთს, სადაც

[1] ლიტერატურის მატიანე, წიგნი VI, ნაკვეთი I, 1952 წ., გვ. 69.

დაბეჭდილია ჩემი წერილი კავკასიის შესახებ თქვენს პორტრეტთან ერთად ავტოგრაფით, რომელიც ძალიან კარგად არის გამოსული. მიიღეთ ჩემი საუკეთესო მეგობრული და ერთგულების სურვილები".

სამწუხაროდ, ილიასა და იტალიელ მეცნიერს შორის შემდეგი მიმოწერა, რაც სრულიად ბუნებრივი და მოსალოდნელია, ჯერჯერობით მიგნებული არაა.

გულიელმო პასილის თხზულებაში, რომელიც იმ დროს იტალიურ ორგანოში დაიბეჭდა, გადმოცემული იყო ავტორის საერთო შთაბეჭდილებანი საქართველოში მოგზაურობის გამო. იგი თავის მკითხველს გულთბილად მოუთხრობდა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაზე. კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა თხზულების ის ნაწილი, რომელშიც უცხოელი მეცნიერი ილია ჭავჭავაძეს ახასიათებდა. იგი წერდა:

„მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველთა შორის გაჩაღებული ინტელექტუალური მოძრაობა დაიწყო. სურვილი დაებადათ ქართველი ხალხის მთელი ენერგია შეეკავშირებინათ მორალური და მატერიალური წინსვლისათვის. ამ მოძრაობის სული და გული ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეა, რომელთანაც მრავალჯერ და ვრცლად მისაუბრია. ქართველები თავის მარგალიტს უწოდებენ მას, რადგან იგი არა მარტო დიდი რომანისტი და პოეტია, არამედ თავისი ფართო განათლებითა და უკონომიური დისციპლინების ღრმა ცოდნით დიდ სამსახურს უწევს თანამემამულეთ. მან დააარსა და მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართული სათავადაზნაურო ბანკი, მანვე ააშენებინა თბილისში ქართული თეატრი, სადაც კვირაში ორჯერ აწყობენ ეროვნულ წარმოდგენებს და სადაც ამა წლის 14 იანვარს იდღესასწაულეს ქართული დრამატული მწერლობის ორმოცდამეათე წლისთავი...

„ქართული მწერლობის დიდი ძეგლია საშუალო საუკუნეების ეპიკური პოემა „ვეფხისტყაოსანი" შოთა რუსთაველისა, რომელიც ცხოვრობდა თამარ მეფის დროს. იგი თავის სტროფებში მხარს უჭერდა ქალის უფლებას აღმოსავლეთის საზოგადოებაში.

„ილიას წიგნთა შორის ყველაზე უფრო დიდი წარმატება ხვდა წილად „კაცია-ადამიანს" („განა ის ადამიანია?"), რომელშიც ავტორი დახვეწილი იუმორით აღწერს და კარიკატურად ხდის მოდუნებულსა და სიამოვნების დიდად მოყვარულს ქართველი თავის ტიპს, ის-ის იყო გამოვიდა ეს რომანი, რომ ილია ჭავჭავაძეს წვიმასავით მოუვიდა შეურაცხყოფით სავსე წერილები და ქართველ თავადთა

ბლრიდან კი დუელში გამოწვევი წინადადებები, რადგან თვითეულმა მათგანმა სატირული მოთხრობის მთავარ გმირად თავისი თავი წარმოიდგინა. ასეთმა ფაქტმა მისი ავტორი არა მარტო დიდად დააკმაყოფილა, არამედ უფრო მეტად გაუმხნევა გული, რათა ხელ-ახალი აღმზრდელობითი შემოქმედება არ შეეწყვიტა"[1].

უცხოელი ავტორის ეს თხზულება ორნაირადაა საინტერესო. ერთი, რომ იგი თავის მკითხველებს ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-კულტურულ ვითარებაზე მოუთხრობდა და მეორე — მათვე გააცნო ილია ჭავჭავაძე, როგორც ახალი საქართველოს ინტელექტუალური მოძრაობის სული და გული, ქართველი ერის საყოველთაოდ აღიარებული მეთაური.

ილია ჭავჭავაძე ხალხში

ილიამ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დაძაბულ შრომაში გაატარა. სხვარიგად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მდგომარეობა ადამიანისა, რომელიც, ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად, სამი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საადგილმამულო ბანკს, მეოთხედი საუკუნის მანძილზე რედაქტორობდა გაზეთ „ივერიას", იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე და აქტიური მონაწილე სხვა მთელი რიგი პრაქტიკული საქმიანობისა.

ილიას ცხოვრების ყოველი დღე, განსაკუთრებით დუშეთიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ, უაღრესად საქმიანი და შინაარსიანია. თვით ის ოჯახური შეკრებები, რომელთაც სახელოვანი მწერალი „ივერიის" რედაქციაში და საგურამოში აწყობდა, უმთავრესად მაინც კვლავ ერის ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე მსჯელობისა და საზოგადო აზრის შემუშავების მიზანს ემსახურებოდა.

მწერლის პირველი ბიოგრაფი გრიგოლ ყიფშიძე ჯერ კიდევ 1907 წელს, ილიას მკვლელობის დღეებში წერდა:

„ცხოვრება და მოღვაწეობა ჭავჭავაძისა ამ ნახევარ-საუკუნის ისტორიაა საქართველოსი. მეტად ერჩეოდა ყოველ სამოღვაწეო საქმეში, საცა-კი ბედი არგუნებდა მუშაობას. და არც დარჩა ისეთი დარგი საზოგადო მოღვაწეობისა, საცა მის შრომას დიდი ნაყოფი არ გამოეღო, დიდი და ღრმა კვალი არ დაეჩნია. არც ერთი

[1] გაზეთი „კომუნისტი", 1967 წლის 28 იანვარი, პროფესორ შალვა გოზალიშვილის წერილში.

შესამჩნევი საზოგადო მოვლენა ისე არ ჩაივლიდა, რომ ილიას არ მიეღო ასეთი თუ ისეთი მონაწილეობა. როცა-კი საქართველოს ცხოვრებაში დიდი რამ წუთი დამდგარა, უთუოდ ის შიგ შუა გულში მდგარა და უტვირთნია როლი წინამძღოლისა, საზოგადოების აზრის ხელმძღვანელისა"[1].

ილია ჭავჭავაძეს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა როგორც თბილისში მცხოვრებ, ისე რუსეთში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე ადამიანებთან. ამას ნათლად ადასტურებს მისი პირადი მიმოწერა.

სახელოვანი მწერლის სამოღვაწეო ასპარეზი მხოლოდ ინტელიგენტური წრით არც იმის შემდეგ შემოფარგლულა, როდესაც იგი საბოლოოდ თბილისში დაბინავდა და ესოდენ ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. იგი ამ პერიოდშიც ახერხებდა, რომ დროდადრო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩასულიყო, უშუალოდ ხალხს შეხვედროდა და მისი ჭირ-ვარამი გაეგო.

ჩვენს ბრძენ მოღვაწეს ერთ წერილში ნათქვამი აქვს: „ერის გული ზღვაზე უფრო ღრმაა და დიდი საქმეა, ვისაც ღონე შესწევნია და თავის საკუთარი გული და თვალი იქამდინ ჩაუწვდენია" [2].

ილია, როგორც ჭეშმარიტად სახალხო მწერალი, მშობლიურ ერთან, ხალხის ფართო მასებთან ყოველდღიური კავშირის მიზნით, გარდა სამწერლო მოღვაწეობისა, მრავალმხრივ პრაქტიკულ-საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა.

ხალხთან ამგვარი სიახლოვის ერთ-ერთი გამოხატულებაა ილიას გამოსვლები ლიტერატურულ შეკრება-საღამოებზე, სადაც იგი, აკაკისთან ერთად, დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა ხოლმე.

ხალხთან სიახლოვის გამომხატველია ჩვენი მწერლის გამოსვლები მთელ რიგ საზოგადოებრივ კრებებზე, სხდომებსა და თათბირებზე.

გარდა იმისა, რომ ილია თბილისში ბევრი საზოგადო შეკრების აქტიური მონაწილე ყოფილა, სახელოვანი მწერალი დროდადრო პერიფერიის ქალაქებსა და სოფლებშიც ჩადიოდა და იქ, ხალხთან უშუალო შეხვედრით, მათ ყოფას კიდევ უფრო ახლოს ეცნობოდა და მათი ცხოვრების მოწესრიგებისათვის ზრუნავდა.

შეუძლებელია გულგრილი ვიყოთ იმ ფაქტის მიმართ, რომ მწერალმა ერთხელ თრიალეთის სოფლებიც მოინახულა; მათი ვი-

---

[1] კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", 1907 წ., გვ. 94.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 161.

თარება გამოიკითხა და მოხელეებისაგან შეეიწროებულ გლეხობას გულითადი რჩევა-დარიგებანი მისცა.

ამ შემთხვევაზე მოგვითხრობს სოფელ დიდ-გომარეთის ერთი მკვიდრის კორესპონდენცია, რომელიც 1880 წლის 24 ივლისის „დროებაშია“ დაბეჭდილი.

კორესპონდენტი ლაპარაკობს ერთ-ერთი ბოქაულის (პრისტავის) მიერ სოფლების უზომო შეეიწროებაზე; სახელდობრ იმაზე, რომ ეს ვიგინდარა მოხელე გლეხობას დღენიადაგ უმოწყალოდ ძარცვავდა.

კორესპონდენტი მკითხველთა ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ დიდი მწერალი გლეხებს მამა-შვილურად ესაუბრა; რომ ილიამ და მისმა თანმხლებმა მომრიგებელმა მოსამართლემ გლეხობას რჩევა-დარიგებანი მისცეს სახელმწიფო მოხელეებისაგან თავის დასაცავად. წერილში ვკითხულობთ:

„შარშანდელ 1879 წელსა ბაშკიჩეტში მობრძანდნენ ილია ჭავჭავაძე და მიროვოი პოსრედნიკი პავლიაშვილი. იქ დაიბარეს დიდგომარელები კომლზე კაცი. სტარშინის და სუდიების აღმორჩევაზედ მოახდინეს კენჭისყრა. შემდეგ აღმორჩევისა ჭავჭავაძემ და პავლიაშვილმა ხალხს მისცეს მამა-შვილური დარიგება აღმორჩეულ თანამდებობაზედ, აუხსნეს ვალდებულება. ამასთანავე გამოუცხადეს, რომ შემდეგ ფიცსაც მიგაღებინებენო და ვინძლო, რომ თქვენი ფიცი უმანკო იყოსო, აგრეთვე ფიცის მნიშვნელობაც აუხსნეს“ [1].

ამით ერთხელ კიდევ ცხადი ხდება ის გარემოება, რომ ილია ბრძოლას არა მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებებით ეწოდაგებოდა, არამედ პირად ცხოვრებაშიც მათი კეთილდღეობისათვის ზრუნავდა. რაც მთავარია, ამგვარი ფაქტები ჩვენი ავტორისათვის შემთხვევითი კი არაა, არამედ დამახასიათებელია მთელი მისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე.

სახელოვანი მწერლის ხალხთან ამგვარ სიახლოვეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმავე ხალხის მასების დარაზმვისათვის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ზემოთ უკვე აღინიშნა ილია ჭავჭავაძის გამოსვლა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე 1883 წლის 4 სექტემბერს. დიდი მწერლის სიტყვამ შთაბეჭდილება მოახდინა ყველა იქ დამსწრეზე; განსაკუთრებით აღტაცებული იყო გლეხობა, რომელმაც

[1] გაზეთი „დროება“, 1880 წ., № 154.

ამგვარი სასწავლებლის ნამდვილი მნიშვნელობა ყველაზე მეტად სწორედ მისი სიტყვიდან გაიგო.

ანალოგიური ხასიათის გამოსვლები როგორც გლეხობის, ისე ინტელიგენციის, საზოგადოდ, ხალხის წინაშე, ილიას სხვა დროსაც არაერთგზის ჰქონია. უმთავრეს მათგანზე შეჩერება საჭირო და აუცილებელია იმდენად, რამდენადაც მათი გაცნობა ერთხელ კიდევ ცხადყოფს მწერლის კავშირს ხალხის ცხოვრებასთან, მის ყოველდღიურ სასიცოცხლო ინტერესებთან.

* * *

ილია ჭავჭავაძეს საქმიანი კავშირი ჰქონდა ქუთაისის მოწინავე ინტელიგენციასთან. როგორც ვიცით, იგი 1864 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში ქუთაისში მსახურობდა. ამ ქალაქთან ჩვენი მწერლის სიახლოვე თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია.

ქალაქი ქუთაისი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული კულტურის ერთ-ერთი ძირითადი კერა იყო. იქ ჯერ კიდევ სამოციან წლებში იმართებოდა საღამო-წარმოდგენები. სამოცდაათიან წლებში ქუთაისში არსებობდა საკმარისად ძლიერი სცენის-მოყვარეთა წრე, რომელსაც რაფიელ ერისთავი და აკაკი წერეთელი ხელმძღვანელობდნენ.

1874 წლის 18 აპრილს ქუთაისში მოეწყო შინაური ლიტერატურული საღამო, რომლის მთავარი მონაწილე ილია ჭავჭავაძე იყო. ილიამ იქ წაიკითხა თავისი „მგზავრის წერილები“ და შექსპირის „მეფე ლირის“ ქართული თარგმანი. გაზეთი „დროება“ 26 აპრილს იტყობინებოდა:

„ქუთაისიდგან იწერებიან, რომ იქ ამ თვის თვრამეტს შინაური ლიტერატურული საღამო ყოფილა. ამ საღამოზედ ორმოც კაცამდე შეკრებილან. კითხვა დაუწყიათ საღამოს ცხრა საათზედ. წაუკითხავსთ: ილ. ჭავჭავაძეს — „მგზავრის წერილები“, მერე ეტ. ბებურიშვილს — „სცენები ხალხის ცხოვრებიდგან“. ბოლოს „მეფე ლირი“ — მთარგმნელს ილ. ჭავჭავაძეს. მსმენელები ძალიან კმაყოფილი დარჩენილან საზოგადოდ მთელი საღამოთი. განსაკუთრებით მოსწონებიათ „მეფე ლირის“ თარგმანი“.

„დროების“ იმავე მიმომხილველის ცნობით, ჩვენს სახელოვან მწერალს „მეფე ლირის“ თარგმანი თბილისშიც წაუკითხავს ერთერთ შინაურ შეკრებაზე. მიმომხილველი წერდა:

„ჩვენც დავესწარით თბილისში „მეფე ლირის“ კითხვაზედ და მართალი უნდა ვსთქვათ, თარგმანი სწორედ სამაგალითოა. არც

ჩვენ და არც სხვებს არ გვეგონა, თუ ეს შესანიშნავი თხზულება ასე მშვენივრად გადმოიღებოდა ქართულს ენაზედ"[1].

ქუთაისში „მეფე ლირის" წაკითხვის ფაქტს თვითონ ილია ჭავჭავაძეც იხსენიებს ერთ პირად წერილში. როგორც წერილიდან ჩანს, თვითონ ილია ქუთაისში წაკითხულით მაინცდამაინც კმაყოფილი არ ყოფილა. „ძალიან ცუდად და საძაგლად მომივიდა კითხვაო", — წერდა იგი თავის ადრესატს.

ილიას ეს პირადი ბარათი მრავალმხრივაა საინტერესო. ჯერ ერთი, აქ ლაპარაკია ქუთაისში ჩატარებულ ლიტერატურულ საღამოზე. შემდეგ, წერილიდან ვგებულობთ, რომ ილიას იმავე 1874 წლის 15 ივნისს „მეფე ლირის" თარგმანი თბილისშიც ერთ-ერთ მრავალრიცხოვან შეკრებაზე წაუკითხავს. დაბოლოს, წერილიდან ნათლად იგრძნობა „მეფე ლირის" ქართულ თარგმანზე საერთო საზოგადოებრივი გამოხმაურება. ილია 1874 წლის 15 ივნისს ვასილ მაჩაბელს პეტერბურგში სწერდა:

„ვანოს გულითადს მოკითხვას მოვახსენებ. ვანოს უთხარი, რომ ლირი მივეცი კრებულში დასაბეჭდად... დღეს საღამოზედ დიდი ყრილობაა და იქა ვკითხულობ ლირსა. თუ ჩემებურად გაქირი ექნეს, ეერაფერი კითხვა მომივა. ქუთაისში გამოვლაზედ, წავიკითხე, ძალიან ცუდად და საძაგლად მომივიდა კითხვა. თქვენ რომ იქ ყოფილყავით, შემიბრალებდით, ასე საძაგლად ვიყავი. ვნახოთ ამაღამდელი ღამე რას იტყვის"[2].

* * *

ილია ჭავჭავაძეს გულითადი საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ქალაქ ბათუმის ინტელიგენციასთან. სახელოვანი მწერალი ბათუმისა და საზოგადოდ აჭარის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა.

აჭარა, რომელიც სამასი წლის განმავლობაში მიტაცებული ჰქონდა თურქეთს, 1878 წელს საქართველოს დაუბრუნდა. ეს იყო უდიდესი მოვლენა ქართველი ერის ისტორიაში. ქართველი ხალხი და მისი მოწინავე ინტელიგენცია ყოველთვის მწვავედ განიცდიდა თურქეთის ტყვეობაში მყოფ თანამემამულეთა მდგომარეობას და მათ განთავისუფლებაზე ოცნებობდა.

1877 — 1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის მსვლელობაში,

---

[1] გაზეთი „დროება", 1874 წ., № 420.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 56.

როდესაც აჭარის განთავისუფლების მოლოდინი უკვე რეალურად დაისახა, ქართული პრესა სისტემურად ეხმაურებოდა ამ საქმეს. ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა მთელი რიგი წერილები. ამ წერილების მნიშვნელობა დიდი იყო საზეიმო დღეებისათვის მთელი ქართველი ერის მოსამზადებლად.

სწორედ ამ საქმეს ეხმაურება ილიას სტატია „ოსმალოს საქართველო“, რომელიც 1877 წლის დამდეგს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა. მწერალი მიმოიხილავს ისტორიულ მოვლენებს, რომელთა შედეგად საქართველოს ერთი ნაწილი დამპყრობელთა უღლის ქვეშ მოექცა. იგი დაასკვნის: „მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები — ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი“.

ილია იმედოვნებდა თანამემამულეთა შემოერთებას და მომავლის პერსპექტივებსაც სახავდა. იგი ითვალისწინებდა, რომ თურქეთის ტყვეობაში ხანგრძლივად ყოფნამ ღრმა კვალი დააჩნია აჭარელთა ცხოვრებას. მათ ძალით დაატოვებინეს ქრისტიანული რელიგია, ასევე დაავიწყეს ქართული წეს-ჩვეულებანი, მაგრამაო, — დაჯერებული ამბობდა ჩვენი მოღვაწე, — თანამოძმეთა შემოერთების შემდეგ ყველაფერი მოწესრიგდება.

შეუძლებელია ადამიანმა გულგრილად წაიკითხოს მწერლის ის სტრიქონები, რომელშიც იგი ქართველი ხალხის ისტორიულ-კულტურულ წარსულზე დამყარებით, ჩვენი ეროვნული ფსიქიკის ღრმა ცოდნით, დამპყრობთაგან გამოხსნილ თანამემამულეებთან მომავალ საქმიანობაზე მსჯელობს. იგი შთამბეჭდავად ამბობს:

„არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თავის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა“[1].

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 13.

მშობლიურ საქართველოსთან შემოერთების პირველი წლებიდანვე ბათუმში მოღვაწეობდა ქართველი ინტელიგენციის ერთი ჯგუფი. აქ ათეული წლების განმავლობაში ნაყოფიერ პატრიოტულ საქმიანობას ეწეოდნენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: გრიგოლ ვოლსკი, დავით კლდიაშვილი და ივანე მესხი. ოთხმოციანი წლების მიწურულს, სხვადასხვა დროს, ბათუმში მოღვაწეობდნენ გიორგი წერეთელი, ეგნატე ნინოშვილი და სხვები.

განთავისუფლებული აჭარის საკეთილდღეოდ ქართველი ინტელიგენციის საქმიანობას, ისევე როგორც საზოგადოდ მთელს უროვნულ მოძრაობას, სათავეში ილია ედგა. მისივე თაოსნობით აჭარის საზოგადოებრივ-კულტურულ მდგომარეობას ფართოდ აშუქებდა ქართული პრესა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ 1880 წლის დამლევს ბათუმში ქართული სკოლის გახსნა გადაწყვიტა. 1881 წლის დამდეგისათვის სკოლა უკვე გაფორმების პროცესში იყო, ხოლო იმავე წლის მარტში იგი ოფიციალურად გაიხსნა. ამ შემთხვევის გამო ილია ბათუმში პირველად ჩავიდა. გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი იწერებოდა:

„ძლივს!.. როგორც იყო ძლივს გვეღირსა საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ პირველი სასწავლებელი გახსნა ბათუმში, რომლისთვისაც იყო გამოგზავნილი ი. გ. ჭავჭავაძე“.

კორესპონდენტის სიტყვით, ბათუმის გუბერნატორმა, ილია ჭავჭავაძის თხოვნით, „მოიხმო ადგილობრივი ხალხისაგან რამოდენიმე წარჩინებული პირი და მათ გამოუცხადა ხსენებული საზოგადოების მიერ სკოლის გახსნა“. ეს უნდა მომხდარიყო 1881 წლის 10 მარტს, რადგან მეორე დღეს, უ. ი. 11 (23) მარტს უკვე სკოლა ოფიციალურად გაიხსნა.

იმავე კორესპონდენტის გადმოცემით, სკოლის გახსნაზე სიტყვა წარმოუთქვამს ქალაქ ბათუმის გუბერნატორს, ხოლო ილია ჭავჭავაძეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით დამსწრეთათვის სასკოლო შენობის აგება აღუთქვამს.

„ჭავჭავაძე შემოგვიპირდა, რომ უთუოდ აქ საზოგადოება თავის ხარჯით სკოლისათვის შენობას ააშენებს, რომლისთვისაც ქალაქი შუქთად დაპირებია ადგილის მიცემასო“.— წერდა ბათუმელი კორესპონდენტი[1].

[1] გაზეთი „დროება“, 1881 წ., № 60.

ამ სკოლის გახსნით დასაბამი ეძლეოდა აჭარაში დედაენაზე სწავლა-განათლებისა და კულტურული საქმიანობის გაშლას. რაღა თქმა უნდა, ამგვარი საქმიანობა განთავისუფლებულ მოძმეთა შემომტკიცებისათვის საჭირო და აუცილებელი იყო. მომდევნო წლებში ბათუმში დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, რომელიც მთელს აჭარაში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავდა. ოთხმოციანი წლებიდან ბათუმში ხშირად ჩადიოდა და საღამოწარმოდგენებს მართავდა მუდმივი ქართული დრამატული დასი, რომლის იდეური ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე იყო, როგორც დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე.

ილია ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლებში ბათუმში სხვა დროსაც უნდა ყოფილიყო. გამორიცხული არაა, რომ იგი დასწრებოდა ერთ-ორ საქველმოქმედო საღამოს, რომელიც იქაური ქართული სკოლის სასარგებლოდ ხშირად იმართებოდა. ეს მით უფრო სავარაუდოა ოთხმოცდაათიანი წლებიდან, როდესაც ასეთი საღამოებისათვის საგანგებო დღე (ნინოობა) დაწესდა.

ილია ჭავჭავაძის როლი აჭარის ცხოვრებაში კიდევ უფრო ფართოდ წარმოგვიდგება ოთხმოცდაათიანი წლებიდან, როდესაც იგი ამ კუთხისათვის დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების მონაწილე ხდება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც 1894 წლის დამლევს ჩატარდა.

1894 წლის არჩევნებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის დავით კლდიაშვილი, რომელიც იმ დროს ბათუმში ცხოვრობდა და ამ მოვლენის უშუალო მნახველია. იგი მოგვითხრობს:

„უნდა მომხდარიყო ქალაქის არჩევნები ახალი საქალაქო დებულების საფუძველზე. აი აქეთკენ იყო საჭირო მუშაობის გამოწყობა, რომ ქალაქის მმართველობისათვის ჩამოეშორებინათ ჭრელი ხალხი და ჩამდგარიყვნენ ისეთები, რომელთაც გული ეწოდათ აჭაურობისათვის და დაჩაგრული ხალხისათვის. ასეთ დაჩაგრულ ნაწილს კი სწორედ ქართველობა შეადგენდა, რომელსაც ყველგან გზას უღობავდნენ და უკან აყენებდნენ, რომელიც მეტისმეტ უპატივცემულობაში იყო“.

არჩევნები საბოლოოდ ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ ბათუმის თვითმმართველობაში დეპუტატების უმრავლესობას ქართველობა შეადგენდა. კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესო ის არის, რომ საქალაქო თვითმმართველობის არჩევნებზე

დასასწრებად ბათუმში საგანგებოდ გაემგზავრა ილია ჭავჭავაძე. იგივე დავით კლდიაშვილი ამ შემთხვევის გამო წერს:

„საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას სავარძელზე მოთავსებული იყო და არჩევნების მსვლელობას უყურებდა განგებ ამ შემთხვევისათვის თბილისიდან ჩამოყვანილი ილია ჭავჭავაძე. ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი აღტაცება გამოიწვია ქართველობაში“[1].

ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებული ქართველებისა და ილია ჭავჭავაძის საერთო მონდომებით იმავე ხანებში ბათუმის ქალაქის თავის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის ქალაქის თავად ნამყოფი ლუკა ასათიანი.

1894 წლის არჩევნების შემდეგ ქალაქის მმართველობის სათავეში არსებითად ქართველობა მოექცა, ხოლო ამის შედეგი ის იყო, რომ ბათუმის ცხოვრებამ ქართული ხასიათი მიიღო. ამიერიდან იგი კიდევ უფრო მტკიცედ ჩაება საერთო ეროვნულ-კულტურული ცხოვრების ფერხულში.

ქალაქ ბათუმისა და, საზოგადოდ, აჭარის მიმართ ყურადღება ილიას არასოდეს არ შეუნელებია. იგი ყოველთვის ამ კუთხის ცხოვრების კურსში იყო და ყველა საჭირო შემთხვევაში მას ეხმარებოდა. ამგვარი მზრუნველობის ფაქტებიდან, გარდა ზემოჩამოთვლილისა, აღსანიშნავია კიდევ ერთი მოვლენა, რომელსაც მეოცე საუკუნის დამდეგს ჰქონდა ადგილი. ამჯერადაც ბათუმის ქალაქის თავის არჩევის საკითხი იდგა. ლუკა ასათიანი, რომელმაც ამ ქალაქს დიდი ამაგი დასდო, მოულოდნელად გარდაიცვალა და ახლა სამაგიერო უნდა აერჩიათ[2].

მდგომარეობა საკმარისად რთული იყო: ჯერ ერთი, ლუკა ასათიანის საჭირის განმგრძობი კაცის გამონახვა თავისთავად ძნელდებოდა და მეორე — იმავე დროს ქართველთა მოწინააღმდეგე ძალებიც ამოქმედდნენ, რათა ქალაქის თავად თავიანთი კანდიდატი გაეყვანათ.

ამ კრიტიკულ მომენტში ბათუმის მოწინავე ინტელიგენციამ ისევ ილია ჭავჭავაძეს მიმართა და, მისი რჩევა-დარიგებით გამხნევებულმა, ქალაქის ხელმძღვანელად კვლავ საიმედო პატრიოტი

---

[1] დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, ჩემი ცხოვრების გზაზე, თავი VI. იხ. აგრეთვე დ. ნ ა ც ვ ა ლ ა ძ ე, გრიგოლ ეოლსკი, 1955 წ. გვ. 15-16.

[2] ლუკა ასათიანი გარდაიცვალა 1901 წლის 9 ნოემბერს. იხ. გაზეთი „ივერია“, 1901 წ., №№ 247, 248. აგრეთვე ჟურნალი „კვალი“, 1901 წ., № 47.

ქართველი წამოაყენა. ქალაქ ბათუმში იმ დროს შექმნილ ვითარებაზე დავით კლდიაშვილი მოგვითხრობს:

„სამწუხარო იყო ისეთი პიროვნების დაკარგვა როგორიც იყო ასათიანი და ამ მწუხარებას აორკეცებდა ისიც, რომ მოსაძებნი იყო ისეთი პიროვნება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი ქალაქის თავად დასახელება და გაყვანა. საჭირო იყო ეს პიროვნება ყოფილიყო დიდი შრომის უნარიანი, ჩვენთვის სანდო და ისეთიც, რომელსაც მთავრობა მიიღებდა და დაამტკიცებდა თანამდებობაზე. დიდი ძებნის შემდეგ, ილია ჭავჭავაძის რჩევით, შეჩერდნენ ივანე ანდრონიკაშვილზე. ილიამ ურჩია ივანე მესხს და მიხეილ ბეთანელს, რომლებიც თბილისში იყვნენ გამოგზავნილნი მოსალაპარაკებლად, ანდრონიკაშვილზე შეჩერებულიყვნენ“[1].

მოტანილი ამონაწერიდან ნათლად იგრძნობა როგორც იმ ხანად ბათუმში შექმნილი მდგომარეობა, ისე ჩვენი მწერლის როლი ამ ქალაქის ცხოვრების მოწესრიგების საქმეში. იგივე დავით კლდიაშვილი კმაყოფილებით ამბობდა, რომ „ასათიანის მემკვიდრე სასურველი მუშაკი გამოდგა: მან სავსებით გაამართლა ილიას რეკომენდაცია და დიდხანს იყო ბათუმის ქალაქის მეთაურად“.

ასეთია აჭარის მიმართ ილიას მზრუნველობის უმთავრესი ფაქტები.

* * *

ილია ჭავჭავაძემ 1885 წლის გაზაფხულზე სამეგრელოს რაიონები მოინახულა. ამის საბაბი გახდა ერთი შემთხვევა.

სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის მემკვიდრემ ნიკოლოზ დადიანმა 1885 წელს თავისი პირადი ბიბლიოთეკა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა. 19 მარტის „დროებაში“ გამოქვეყნდა დადიანის პირადი წერილი ვასილ მაჩაბლისადმი, რომელშიც იგი თავის განზრახვას აცხადებდა. დადიანი პეტერბურგიდან იწერებოდა:

„დიდი ხანია გულში მაქვს, რომ მთელი ჩემი ბიბლიოთეკა, რომელიც შეეხება საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ლიტერატურას ანუ საზოგადოდ რაიმე მხარეს ჩვენი სამშობლოსას, გარდამეცა ჩვენის „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისადმი“, რომელსაც რასაკვირველია, უფრო მომეტებული სახსარი და ღონისძიება აქვს ამით სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ქვეყანას.

---

[1] დავით კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, თავი VII.

ვიდრე კერძო პირმა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო დღემდის ეს სურვილი შეუსრულებელი დამრჩა". დაბოლოს, იგი წერილს ასე ამთავრებდა: „თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით საზოგადოება მოუტანს რასმე სარგებლობას ჩვენს სამშობლო ქვეყანას, მით შევრაცხ ჩემს თავს ბედნიერად"[1].

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება საჭირო თადარიგს დროულად შეუდგა და რამდენიმე დღის შემდეგ უკვე კომისიაც გაგზავნა აღნიშნული ბიბლიოთეკის მისაღებად.

1885 წლის 29 მარტს გაზეთი „დროება" წერდა:

„დღეს, პარასკევს, სამეგრელოში გაემგზავრნენ წერა-კითხვის საზოგადოებისაგან დანიშნული პირნი მეგრელიის თავადისაგან შემოწირული ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად".

6 აპრილის „დროება" უკვე იტყობინებოდა:

„წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობის წევრნი, რომელნიც წასულნი იყვნენ სამეგრელოში მეგრელიის თავადისაგან შემოწირული ბიბლიოთეკის მისაღებად, უკვე ჩამოვიდნენ თბილისში და თან ჩამოიტანეს მთელი ბიბლიოთეკა".

აღნიშნული ბიბლიოთეკა მნიშვნელოვანი შენაძენი იყო იმდენად, რამდენადაც იგი ქართული კულტურის ისტორიისათვის ძვირფას ბეჭდურ და ხელნაწერ მასალებს მოიცავდა. ამიტომაც იყო, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საერთო კრებამ, ძვირფასი შემოწირულების საპასუხოდ, ნიკოლოზ დადიანი იმავე საზოგადოების საპატიო წევრად აირჩია[2].

ილია ჭავჭავაძე სამეგრელოში ჩავიდა სწორედ იმ დღეებში, როდესაც ნ. დადიანის ბიბლიოთეკის გადმოტანა ხდებოდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ შემოწირული ბიბლიოთეკის მისაღებად სამეგრელოში გაგზავნა კომისია, რომელშიც შედიოდნენ ილია ჭავჭავაძე, ვასილ მაჩაბელი, გრიგოლ ყიფშიძე, დავით ერისთავი, სამსონ ყიფიანი, სიმონ ღოღობერიძე და იონა მეუნარგია.

ილიამ და მისმა მხლებლებმა მოინახულეს ზუგდიდი, გორდა, ბანძა, ნოქალაქევი, ძველი სენაკი, ცაიში, ახალი სენაკი და სხვები.

ჩვენამდე მოღწეული ცნობებით დადასტურებულია, რომ ილიას სამეგრელოში მოგზაურობის დროს გულითადი შეხვედრები ჰქონდა ამ კუთხის ინტელიგენციასთან, ხალხთან. შეხვედრები ჭეშმარიტად

[1] გაზეთი „დროება", 1885 წ., № 60.

[2] გაზეთი „დროება", 1885 წ., № 115.

გულითადობის, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

სამეგრელოს რაიონებში მოგზაურობით თვითონ ილია ჭავჭავაძეც დიდად კმაყოფილი გამხდარა. სახელოვან მწერალს გულით გაუცდია საქართველოს ერთ-ერთი მშვენიერი კუთხის წარმტაცი ბუნება, ადგილობრივ მკვიდრთა კულტურა, ყოფა-ცხოვრება, სტუმართმოყვარეობა, საზოგადოდ, მაღალადამიანური თვისებები.

* * *

ილია ჭავჭავაძე 1893 წლის ივნისში კახეთს ესტუმრა. იგი თელავს ჩავიდა კახეთის მევენახეთა კრებაზე დასასწრებად. კრებაზე „კახეთის მევენახეთა ღვინით ვაჭრობის ამხანაგობის“ საკითხი ირჩეოდა; უნდა დამტკიცებულიყო ამხანაგობის წესდების პროექტი, რომლის შედგენაში ჩვენი მწერალიც მონაწილეობდა.

ამჯერად ილია ჭავჭავაძემ კახეთში რამდენიმე დღე დაჰყო. მან იმ დღეებში, გარდა თელავისა, მოინახულა თავისი სამშობლო ყვარელი და სხვა სოფლები. დიდ მწერალს ამ სტუმრობის დროსაც ხალხთან შეხვედრისა და საუბრების მთელი რიგი შემთხვევები ჰქონდა.

დაბოლოს, თელავის საზოგადოებრიობამ სახელოვანი მწერლის პატივსაცემად გამართა სადილი, რომელსაც ასოცდაათზე მეტი ქალი და კაცი ესწრებოდა, ბუნებრივია, რომ დამსწრე საზოგადოება ძვირფას სტუმარს თავს ევლებოდა, აქებდა და მადლობას უხდიდა.

„ივერიის“ კორესპონდენტი, რომელიც ილიას პატივსაცემად, გამართულ ნადიმს აღწერდა, საგანგებოდ მიუთითებდა, რომ ლხინი იყო ქართული, „მამა-პაპური“, თავდაჭერილი და დარბაისლური“.

ნადიმზე ბევრი ტკბილი სიტყვა ითქვა ილიას მისამართით. ერთი მასპინძელთაგანი პირდაპირ ამბობდა: გვინდოდა ჩვენი მწერალი პირადად გვენახა, მასთან საუბრით დავმტკბარიყავით, რომ „სამუდამოდ შთაგვებეჭდა მისი სახე გულში. ამისთანა სურვილი გვქონდა და ამის მისაღწევად ეს საშუალება მოვიგონეთ. იქნება უკეთესიც შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ ვერ გამოვძებნეთ“ და ჩვენებური სუფრა გავშალეთო.

როგორც ჩანს, ილიასათვის ძნელად ასატანი იყო ის ქება-დიდებით აღსავსე მიმართვები, რომელნიც ნადიმებისა და სადღეგრძელოების დროს წარმოითქმის ხოლმე. ამის დამადასტურებელია ის

გულწრფელი და თავმდაბალი განცხადება, რომელიც სახელოვანმა მწერალმა იმავე ნადიმზე გააკეთა:

„ქება და დიდება თვით ოქროსა და მარგალიტზე უძვირფასესია და ამიტომაც უფრო ძნელად გასამეტებელია. ეგ საუნჯე რომ უსაფუძვლოდ და ნამეტნობით იხარჯებოდეს, ფასი აღარ ექნება. ეს ძვირფასი ჯილდო საზოგადო მოღვაწისა თავის ძვირფასობას დაჰკარგავს, როცა გაიაფდება და ხომ მოგეხსენებათ: ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად. მე თუ რაიმე ღვაწლი და სამსახური მიმიძღვის, ყოველივე ეგე ისეთი მცირე რამ არის, რომ მაგისთვის ეგ დიდი განძი, ეგ დიდი ჯილდო არ უნდა გაიცემოდეს ხოლმე და თუ დღეს მე ღირს მხდით და მაგ დიდ ჯილდოს იძლევით, ეგ უნდა თქვენს ქართველურს გულუხვობას მივაწერო და არა ჩემის მცირის ღვაწლის სიდიდეს. ჩემი მცირეოდენი ღვაწლი უკვე საკმაოდ დაჯილდოებულია მით, რომ თქვენა გხედავთ და თქვენში ვმხიარულობ“.

მიუხედავად ილია ჭავჭავაძის ამგვარი მიმართვისა ნადიმის მონაწილეებისადმი, ლხინი მაინც ქართული ტრადიციის მიხედვით გრძელდებოდა; მლსპინძლები კვლავ თავს ევლებოდნენ სასურველ სტუმარს. ნადიმი საღამომდე გაგრძელდა და „შემდეგ სადილისა მთლად დამსწრე საზოგადოება თან გამოჰყვა სტუმარს და მაყრულით მიაცილა სადგომამდის“[1].

თელავში მოწყობილ შეხვედრაზე საინტერესო მოგონება დაგვიტოვა მწერალმა ილია ზურაბიშვილმა. ინტერესს მოკლებული არაა ვიცოდეთ, რომ ილია ზურაბიშვილი თვითონაც ამ საზეიმო შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე იყო. მან ნადიმზე ახალგაზრდობის სახელით ილია ჭავჭავაძეს სიტყვით მიმართა და იქვე ზეპირად წარმოთქვა ილიასავე ლექსი „პოეტი“. ზურაბიშვილის მოგონება საგრძნობლად აფართოებს ჩვენს წარმოდგენას აღნიშნული ნადიმის შინაარსსა და ხასიათზე. იგი მოგვითხრობს:

„ქახური სუფრა... ქახური ნადიმი... ბევრს ამ სიტყვებზე თავაწყვეტილი მადის გახელება, ღრეობა და „დუბე-დუბე“ სმა წარმოუდგება, როდესაც ქაცს ავიწყდება დრო და სივრცე, ზომა და საწყაული...

„ასეთი არ იყო ილიას საპატიოდ გამართული ნადიმი. ჯერ ერთი, ილიას გარშემო დარბაისელი ხალხი ეხვია; მეორე, მოქეიფე ახალგაზრდობა თავშეკავებული იყო. ერთმანეთს თვალყურს ვადევნებდით, რომ არაფრით არ შეგვებღალა პატივისცემა ილიასადმი...

[1] გაზეთი „ივერია“, 1893 წ., № 129.

სიტყვა სიტყვას მისდევდა, სიმღერა სიმღერას. ქახური სუფრის მშვენება სიმღერაა...

„მე პირადად არასდროს — არც წინად, არც შემდეგ — არ მომისმენია ქახური ძველი სიმღერები — გრძელი მრავალჟამიერი, ჩაკრულო და სხვები — ასეთი მშვენებით და მეტყველებით თქმული. სოსიკო კოზმანიშვილი იმ დროს უკვე კარგად მოჭარმაგებული კაცი იყო, მაგრამ მას მაინც უზადოდ შეენარჩუნებინა თავისი შესანიშნავი ხმა და ნამეტნავად-კი საკვირველი კილო სიმღერისა. როდესაც მისმა ხმამ მრავალჟამიერის ასაკიდებელში საზუნტო წერტილს მიაღწია და სიმივით ყღერდა, მისი ბიძაშვილის ხმა — მოძახილი — უსურვაზივით ეხვეოდა მას და საკვირველ გრეხილებს აქეთებდა, თითქო ბგერათა გირლანდებს სწნავსო. ბანმაც გარდიგარდმო გაიწია და გუგუნი იწყო, მოედანი გაუშალა პირველისა და მოძახილის ნავარდს“.

მოგონების ავტორი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ილია პოეტური გრძნობით განიცდიდა ხალხური სიმღერის სინატიფეს. ნათლად ვხედავდიო, — ამბობს ზურაბიშვილი, — რომ ილია „უზომოდ დამტკბარი იყო სიმღერით. მისი მწყაზარი, სიცოცხლით სავსე თვალები აღტაცებით მისჩერებოდნენ მოხუცებული კოზმანიშვილის სახეს და ხანდახან ცრემლით ციალებდნენ. ხოლო მთელი არსება საამო ჟრუანტელაღძრული, თითქო როგორც მზის სხივს, ისე უყურებდა მშვენიერ მელოდიებს“[1].

გაზეთ „ივერიის“ ცნობით, ილია ჭავჭავაძე თბილისში თვრამეტ ივნისს დაბრუნებულა.

* * *

ილია იმავე 1893 წლის შემოდგომაზე ქართლს ეწვია. იგი ძირითადად სტუმრად იმყოფებოდა სოფელ ქვიშხეთში ლუარსაბ ყიფიანის ოჯახში. აქედან მწერალი გადასულა სოფელ საღოლაშენში, წვერში და ახალგორში. მოგზაურობის დროს მას თან ახლდნენ ალექსანდრე და გრიგოლ ყიფშიძეები, დავით მიქელაძე, გიორგი ჟურული, პეტრე ყიფიანი, კოლა ერისთავი, ლევან ჯანდიერი, ნიკო ხიზანიშვილი და ანდრია ღულაძე.

სახელოვანი მწერლის მოგზაურობა ქართლის სოფლებში იმდროინდელ საზოგადოებრივ-იდეურ ცხოვრებაში საგულისხმო მოვ-

[1] ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1939 წ., გვ. 308-309.

ლენა იყო. სხვარიგად შეუძლებელია გაგებულ იქნეს ამ შემთხვევის თაობაზე არსებული მასალები.

ილიას იმდროინდელი მოგზაურობიდან შედარებით მეტი ცნობებია ჩვენამდე მოღწეული ქვიშხეთს სტუმრობაზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა დიმიტრი ყიფიანის რძლის, ნინო ყიფიანის, მოგონება.

ილია და მისი თანმხლებნი ქვიშხეთში სამ დღეს დარჩნენ. სწორედ იმ დღეებში ჩვენი მწერალი მოწმე გახდა ერთი ქართული ქორწილისა. ლუარსაბ ყიფიანის ქალიშვილზე ჯვარი დაიწერა პეტრე მაჭავარიანმა. ქორწილი სამ დღეს გაგრძელდა და ილიამ თავიდან ბოლომდე ნახა ამ შემთხვევასთან დაკავშირებული ხალხური ადათ-წესები. ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ სიძე დასავლეთ საქართველოდან იყო და მას თან ახლდა საუკეთესო ვაჟკაცებისაგან შემდგარი მაყრიონი.

ვისაც ქართული ქორწილი არ უნახავს, მან ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე ბევრი რამ არ იცის. რაღა თქმა უნდა, ილიას ქართული ქორწილი სხვა დროსაც უნახავს. კონკრეტულ შემთხვევაში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამიჯნო სოფელში მწერალმა ტრადიციული ქართული ქორწილი მთელი სისრულით ნახა და განიცადა.

ამ ქორწილის დროსაც დიდი მწერალი ხალხის საერთო ყურადღებით იყო გარემოცული. აქაც ისევე, როგორც სხვა შეხვედრების დროს, ილიამ მოისმინა თავისი ლექსი და მის შინაარსზე აგებული სიტყვა ქართველი მანდილოსნისა. ეს მანდილოსანი იყო ნინო ყიფიანი, რომელმაც ჩვენი მწერლის ქვიშხეთს სტუმრობაზე საინტერესო მოგონება დაგვიტოვა. იგი ამ ეპიზოდს ასე გადმოგვცემს:

„მე ვიჯექი ილიას პირდაპირ. ერთ გვერდზე მიჯდა ალ. ჩოლოყაშვილი, მეორეზე — ლევან ჯანდიერი. უცებ ყურში ჩამილაპარაკა ალ. ჩოლოყაშვილმა:

„— ნუთუ თქვენ არას ეტყვით ილიას?

„მე შეეკრთი და შეშინებულმა ვუპასუხე:

„— არაფერს, ბატონო ალექსანდრე, არაფერს. მე ეგ აზრადაც არ მომსვლია!

„ჩვენს ლაპარაკს მოჰკრა ყური ჯანდიერმა და იმანაც თხოვნა დამიწყო. ეტყობოდათ, უხერხულად მიაჩნდათ, რომ მარტო იმათ უხდებოდათ ლაპარაკი და დანარჩენ სტუმრებში არავინ აღმოჩნდა, რომ ორიოდე სიტყვა ეთქვა ილიასათვის.

„გაგვიჩნდა ერთმანეთში ჩუმი დავა თხოვნა-უარისა და ამასო-

ბაში არ გასულა ათი წუთი, რომ უცებ წამოდგა ჯანდიერი და ხმამაღლა დაიძახა:

„— სიტყვა ეკუთვნის ქალბატონ ნინოს.

„რაღა ვქნა? პირველად იყო ეს, რომ საჯაროდ მეთქვა რამე და ადვილად წარმოსადგენია ჩემი ყოფა. ავდექი მაინც, შევხედე ილიას, ღიმილით შემომცქერის, თითქო მამხნევებს. აბა, ხომ უნდა ვასიამოვნო ჩემი სიტყვით?.. და ამ გაჭირვებაში თითონ ილია მეხმარება: უცებ მაგონდება მისი ლექსი ქართველის დედისადმი და ვიწყებ იმით:

ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა,
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა!

„და ვაშენებ იმ ლექსზე პატარა სიტყვას, გამარუსებელი პოლიტიკის მიზეზით ქართველი ქალის გადაგვარების გზაზე შედგომის გარშემო. და ლექსის ბოლო სიტყვებში, თუ როგორი შვილი უნდა აღზარდოს ქართველმა ქალმა, გამოვსთქვამ ჩემს დიდს წუხილს, რომ უშვილო ქართველი ქალი ვერ ვუსრულებ ილიას ამ დავალებას, ასეთს მის სურვილს.

„ქალის მიერ საჯაროდ წარმოთქმულმა სიტყვამ იმოქმედა, გაისმა მხურვალე ტაში, აქეთ-იქიდან დამიწყეს ხელზე კოცნა. მაგრამ ჩემი ყურადღება ილიასაკენ იყო. აქამდე თავდახრილმა, პირველად იმას შევხედე... ის მოშტერებით მიყურებდა, თითქოს ფიქრობდა იმ ქართველის დედაზე, რომელსაც იმან მიჰმართა და რომლისაგანაც ის მოელოდა, კირთებ ქვეშ მგმინავი, ქართველი ხალხის გამომხსნელი გმირების აღზრდას“[1].

ასეთი გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა ის დღეები, რომელნიც ილიამ და მისმა თანამგზავრებმა ქვიშხეთში, ლუარსაბ ყიფიანის ოჯახში გაატარეს. მაგრამ ყველაფერი არც ამით დამთავრებულა. იმავე დღეებში ილია ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის ოჯახს ესტუმრა; დიმიტრის ქვრივი ინახულა და მასთან გულთბილი საუბარი ჰქონდა.

* * *

ილიას ეს სტუმრობა დიმიტრი ყიფიანის ოჯახში თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამით ქართველი ხალხის აღიარე-

[1] ლიტერატურის მატიანე, წიგნი I-II, 1940 წ., გვ. 143-144.

ბულმა მეთაურმა ერთხელ კიდევ საჯაროდ გამოხატა თავისი პატივისცემა მშობლიური ერის წინაშე ისეთი ღვაწლმოსილი ადამიანისადმი, როგორადაც დ. ყიფიანის პიროვნება წარმოგვიდგება.

ილია დიმიტრი ყიფიანის საზოგადოებრივ მოღვაწეობას დიდად აფასებდა. ეს ორი სახელოვანი ქართველი ერთმანეთს ყოველთვის პატივისცემით ეკიდებოდა. ისინი ერთად მოღვაწეობდნენ ეროვნული მნიშვნელობის მთელ რიგ წამოწყებაში. ამ მხრივ სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების ეპოქიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი ერთობლივი მონაწილეობა აღმოსავლეთ საქართველოს საადგილმამულო ბანკის დაარსებაში, პროფესიული ქართული თეატრის აღდგენასა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში.

კონკრეტულ შემთხვევაში რამდენიმე დამახასიათებელი ფაქტის ხსენება მაინც აუცილებელია. დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის პირადი დაახლოება სამოცდაათიანი წლებიდან იწყება. მათი საქმიანი მეგობრობა განსაკუთრებით საგრძნობი ხდება 1879 წლიდან, როდესაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელთა კრებამ დ. ყიფიანი გამგეობის თავმჯდომარედ, ხოლო ილია მის მოადგილედ აირჩია. იმ ღღიდან დაწყებული თითქმის შვიდი წლის განმავლობაში ისინი ერთად იღვწოდნენ იმ სიძნელეთა გადასალახავად, რომელნიც ახალდაარსებულ საზოგადოებას დღენიადაგ წინ ეღობებოდა.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში საქმიანობა მხოლოდ ერთი ნაწილია დ. ყიფიანის მრავალმხრივი მოღვაწეობისა. სავსებით მართალი იყო აკაკი წერეთელი, როდესაც თავის ცნობილ ავტობიოგრაფიულ თხზულებაში ამბობდა: „არც ერთი ქართული დაწესებულება არ არის ჩვენში, რომ მეთაურობა ყიფიანს არ ეკუთვნოდეს; ბანკი, ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრი და სხვანი, სულ მისის ინიციატორობით არის დაწყებული“[1].

იმავე წლებში დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე აგრეთვე ერთად მოღვაწეობდნენ განახლებულ ქართულ თეატრში. ისინი, აკაკი წერეთელთან, ვასო აბაშიძესთან, ნიკო ავალიშვილთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად, ოთხმოციანი წლების თეატრის საკეთილღეოდ ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდნენ.

დიმიტრი ყიფიანი ქართულ თეატრთან არა მარტო იდეურად იყო დაკავშირებული, მხარს უჭერდა და ამხნევებდა მის მოღვაწეებს,

[1] აკაკი წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, ნაწილი II.

არამედ იგი თვით წარმოდგენებში პრაქტიკულად მონაწილეობაზეც უარს არ ამბობდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი ერთი წერილი ილიასადმი. წერილი გამოგზავნილია სოფელ ქვიშხეთიდან და 1879 წლის 31 ოქტომბრით არის დათარიღებული.

1879 წლის შემოდგომაზე განახლებულ ქართულ თეატრს ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი შექსპირის ტრაგედიის „მეფე ლირის“ დადგმა განუზრახავს. ამ შემთხვევის გამო ილიას დიმიტრი ყიფიანისათვის ლირის როლის შესრულება უთხოვია. სწორედ ამ თხოვნის პასუხად არის დაწერილი დ. ყიფიანის ის პირადი ბარათი, რომელზეც ახლა ვლაპარაკობთ.

დიმიტრი ყიფიანის წერილი დიდი ადამიანებისათვის დამახასიათებელი სისადავისა და ადრესატისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ნიშნით არის აღბეჭდილი. იგი შემოკლებით ასე იკითხება:

„უძვირფასესო ჩემო კოლეგა კნიაზო ილია გრიგოლისძევ! თქვენ რომ (20 ამ თვეს) ლირის როლი შემომაძლიეთ, მე მოგახსენეთ, გადავიკითხავ და მაშინ გეტყვით, ვიკისრებ თუ ვერა მეთქი. გადავიკითხე და როგორ?“

მომდევნო სტრიქონებში დიმიტრი ყიფიანი წერს, რომ მან „მეფე ლირის“ ქართული თარგმანი შეაჯერა ინგლისურ ენაზე არსებულ ავტორიტეტულ გამოცემებს (ორ გამოცემას) და იმავე თბზულების ფრანგულ ენაზე, ფრანგი მწერლების მიერ სხვადასხვა დროს თარგმანთა გამოცემებს. ჩვენი მოღვაწე ილიას სწერდა:

„შემოვიწყე ეს წიგნები და მივუჯექ თქვენს ნათარგმნს; კვალში ჩავუდექ მედგრად, შეუპოვრად, დაუღალავად; 23-ს ვიწყე და გუშინ ისევ დავჰკეცე წიგნები... მაგრამ — თქვენმა თარგმანმა სასიქადულოდ გადივლო თავს ამისთანა კრიტიკა, კრიტიკა მიუკარებელი, შეუბრალებელი. შრომა გაგიწევიათ დიდი; ნიჭი გამოგიჩენიათ შესანიშნავი“[1].

როგორც ვხედავთ, დიმიტრი ყიფიანი „მეფე ლირის“ ქართული თარგმანით სავსებით კმაყოფილი გამხდარა. იგივე დადებითი აზრი ილიასადმი გაგზავნილ პირად წერილში მრავალგზის მეორდება. გამოჩენილი მოღვაწის ამ მაღალ შეფასებას დამაჯერებლობას მატებს მისივე ერთი შენიშვნა მთარგმნელებისადმი, რომელიც იმავე პირად წერილშია მოწოდებული.

„ერთი შეცთომაა, — წერს დ. ყიფიანი, — ერთადერთი: კილო —

[1] დიმიტრი ყიფიანს, როგორც თვითონ ამბობს, შედარებისათვის ხელთ ჰქონია „მეფე ლირი“, ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნი, რომელიც 1877 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა.

შექსპირის თხზულებაში, რომელიც კარგა ძველია, ლექსიც ბევრი იპოვება დაძველებული, რომელსაც დიდი ხანია აღარ ხმარობენ; მაგრამ კილო არის სასაუბრო; კილო, რომლითაც საპატიო ყრილობაში ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ.

„თქვენ — უფრო სამწიგნობრო კილოს გაჰყოლიხართ. მშვენიერება არის თქვენი თარგმანი, — ეს ყოველად უეჭველია, მაგრამ ამ კილოზედ არც სად ულაპარაკნიათ, არც სად ლაპარაკობენ".

ასე შეაფასა დიმიტრი ყიფიანმა შექსპირის „მეფე ლირის" ქართული თარგმანი, რომელიც ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის შესრულებული იყო.

დაბოლოს, წერილის უკანასკნელ სტრიქონებში დიმიტრი ყიფიანი პასუხობდა კითხვას: ქართული თეატრის სცენაზე „მეფე ლირის" წარმოდგენის შემთხვევაში თვითონ იგი ლირის როლში გამოსვლას იკისრებდა თუ არა? ჩვენი ეროვნული გმირის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ კითხვასაც დადებითად უპასუხა. იგი ილიას სწერდა:

„ახლა მე, რადგან ერთიც თვალწინ მიდგია და მეორეცა, იქნება მე უფრო გაფრთხილებული გამოვიდე და გთხოვთ: თუ მაინცა და მაინც გნებავთ, რომ ლირი მე წარმოვადგინო, — ნება მომეცით, რომ ეს როლი თვითონ მე ვსთარგმნო, ჩემებურათ, — მარტო ეს როლი.

„თქვენს ნათარგმნს ამითი სრულებით არა ეწიანებარა. ბევრჯელ მომხდარა, რომ ერთი როლი ერთს ენაზედ უთამაშნიათ და სხვა როლები იმავე პიესაში სულ სხვა ენაზედ.

„აქ ამისთანა არა გამოვარა: მთელი წარმოდგენა ქართულს ენაზედ იქნება, — ზოგი სასაუბროზედ, ზოგი საწიგნობროზედ.

„აგრე იყოსთქო, თუ მეტყვით, საქმეს შევუდგები.

„თქვენი სულით და გულით ერთგული დიმიტრი ყიფიანი"[1].

მოტანილი ამონაწერებიდან კარგად იგრძნობა დ. ყიფიანისა და ილიას პირადი ურთიერთობა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მუშაობის პირველსავე წელს. ამის შემდეგ მათ ერთად, ერთ ჰერქვეშ კიდევ ექვსი წელი იმოღვაწეეს. ამიტომაც საკვირველი არაა, რომ ისინი ბოლომდე ჰეშმარიტ გულითად მეგობრებად დარჩენ.

დიმიტრი ყიფიანი 1885 წლის ზაფხულში ქუთაისის გუბერნიის

---

[1] დიმიტრი ყიფიანის არქივი, შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შალვა გოზალიშვილმა, პროფ. შ. ჩხეტიას რედაქციით, 1951 წ., გვ. VIII-XIV.

თავადაზნაურობის წინამძღოლად აირჩიეს. ამ შემთხვევის გამო მას ილიამ მილოცვის წერილი გაუგზავნა. იგი დ. ყიფიანს სწერდა:

„სიხარულით მომილოცნია თქვენი მარშლად დამტკიცება. მომილოცნია მარტო თქვენთვის კი არა, იმერეთისათვის ცალკე და ჩვენის ქვეყნისათვის საერთოდ. ღმერთმა მოგიმართოს ხელი, რომ თქვენი სურვილნი ისე აღსრულდნენ, როგორც თქვენ და ჩვენც თქვენთან ერთად ვსასოებთ და ვნატრულობთ. თქვენი არჩევანი იმერეთში დიდი იმედია საზოგადოდ ჩვენთვის“.

იმავე წერილში ილია ადრესატს ატყობინებდა მისი (დიმიტრი ყიფიანის) მამულების საკითხზე სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ლაპარაკობდა დ. ყიფიანის მევალე ერთ თბილისელ მოქალაქეზე და, ბოლოს, ისევ თავის მეგობარ მოღვაწეს სწერდა:

„დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ გავკადნიერდი და თქვენის შინაურის საქმეების გამო გაგიბეზღეთ სიტყვა. ამ შემთხვევაში მე მამოქმედებს ჯერ ის, ჩემთვის სასიქადულო, ნდობა თქვენი, რომლითაც მე ღირს მყავით არა ერთხელ ფორაქოვის საქმის გამო; მეორე ის, რომ ყოველთვის ჩემი გულითადი სურვილი ყოფილა თქვენი საკუთარი საქმეები კეთილად მოეწყოს და მით მოგეცესთ უფრო მეტი მოცალეობა და მოსვენება, რომ თქვენი დრო და მზრუნველობა დაუბრკოლებლივ და მთლად მოხმარდეს ჩვენს ქვეყანას, რომლის სიყვარულიც თქვენ არა ერთხელ დაგიმტკიცებიათ.

„თქვენი მარადის პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე“[1].

მოულოდნელი არაა, რომ ილიას მილოცვით დიმიტრი ყიფიანი სავსებით კმაყოფილი გამხდარა. მხცოვან მოღვაწეს პირველ სექტემბერს უკვე ილიასადმი საპასუხო წერილიც დაუწერია. წერილში ვკითხულობთ:

„უძვირფასესო თავადო ილია გრიგოლის ძევ! ჩვენი საზოგადოების ყოველი წევრისათვის სასიქადულოა წიგნის მიღება თქვენებრი წევრისაგან, და რაც თქვენგან მე გუშინ წიგნი მივიღე, ამისთანა წერილისათვის მადლობა ხომ სწორედ გულის სიღრმიდგან არის ამოსაღები და შემოსაწევარი. გამამხნევა, გამაცოცხლა ამ წერილმა“ [2].

მოტანილი მიმოწერიდან ერთხელ კიდევ ნათლად იგრძნობა ის ჰეშმარიტად გულითადი მეგობრობა და ურთიერთის მიმართ ადა-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 107. წერილს თარიღად უზის 1885 წლის 28 აგვისტო.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 506.

მიანური მზრუნველობა, რომელიც დიმიტრი ყიფიანსა და ილია ჭავჭავაძეს შორის საზოგადოდ არსებობდა.

1886 წლის 24 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლემ იოსებ ლაღიაშვილმა იმავე სემინარის რექტორი ჩუდეცკი მოკლა. მკვლელობის ერთადერთი მიზეზი თვით სემინარიაში შექმნილი უწესრიგობა იყო. მასწავლებლის საპატიო სახელს ამოფარებული ავი მოხელე მოსწავლე ახალგაზრდობას უკიდურესად ავიწროებდა. თანამედროვეთა გადმოცემით, ჩუდეცკის სრულიად უმიზეზოდ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩაუყენებია მოსწავლე ი. ლაღიაშვილი. მხოლოდ რექტორის ვულქვაობა გახდა მიზეზი იმისა, რომ ცხრამეტი წლის ჰაბუკი კაცის მკვლელად იქცა და ნორმალურ ადამიანური ცხოვრების გზას ასცდა. მკვლელობის ერთ-ერთი მომსწრე, ლაღიაშვილის თანამოსწავლე, შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია მოგვითხრობს:

„მაისის 24 ი. ლაღიაშვილი მოდის რექტორთან უკანასკნელად ბედის საცდელად. ყოველისავე შემთხვევისათვის პალტოს ჯიბეში სატევარი აქვს დამალული. რექტორი ჩვეულებრივ უკმეხად უხვდება, 19 წლის ჰაბუკს ფიალა მოთმინებისა აღევსო და... სატევარი შიგ მუცელში გაუყარა მტარვალს.

„სემინარიის მოწაფეთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა დაინახეს ჩუდეცკი მკვდარი... არავის, სრულიად არავის შეჰბრალებია ეს ჯალათი, რომელსაც ქრისტეს მცნების მოძღვრის სამოსელი ეშოსა... და რომელსაც მოყვასის სიყვარულისა, შებრალებისა და შენდობის წილ გულში ედო მარტოოდენ მტრობა, წაწყმენდა და შვიდგზის შეჩვენება“ [1].

ინტერესს მოკლებული არაა თედო სახოკიას მიერ იქვე მოწოდებული ცნობა, რომ ლაღიაშვილის განზრახვა ჩუდეცკის მოკვლაზე მის ახლობლებსაგან არავინ იცოდა.

ჩუდეცკის მოკვლის გამო მეფის თვითმპყრობელობის მეორე მოხელემ, საქართველოს ეგზარხოსმა პავლემ, იმავე დღეებში მთელი ქართველი ერი, როგორც ი. ლაღიაშვილის მშობელი ერი, საჯაროდ დაწყევლა და შეაჩვენა.

როგორც მოსალოდნელი იყო ეგზარხოსის საქციელმა ქართველი ხალხის საერთო უკმაყოფილება გამოიწვია. ერის ეს გულისწყრომა გამოხატა დიმიტრი ყიფიანმა, რომელმაც ეგზარხოსს სასტიკად მაშხილებელი წერილით მიმართა. ქართველი მოღვაწისა და

---

[1] საისტორიო მოამბე, ტ. III, 1947 წ., გვ. 539. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე.

შავრაზმელი ეგზარხოსის დაპირისპირება იმით დამთავრდა, რომ კავკასიის მთავარმართებელმა დ. ყიფიანი თანამღებობიდან მოხსნა და სტავროპოლში გადაასახლა.

ეს მოხდა 1886 წლის ოქტომბერში, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1887 წლის 24 ოქტომბერს, იმავე სტავროპოლში თვითმპყრობელობის მოხელეებმა დიმიტრი ყიფიანი მუხანათურად მოკლეს. ქართველებმა თავიანთი ეროვნული გმირის ნეშტი სამშობლოში მოასვენეს და თბილისში მთაწმინდის პანთეონში დიდის დიდებით ღაასაფლავეს.

დიმიტრი ყიფიანის მკვლელობას პირველი ილია გამოეხმაურა. 31 ოქტომბრის „ივერიის“ მოწინავეში იგი წერდა:

„ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს, ყველა მისტირის უკან დიმიტრი ყიფიანსა: დიდი თუ პატარა, ყრმა თუ ხნიერი, სწავლული თუ უსწავლელი, მაღალი თუ მდაბალი, ნაცნობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული, — ყველანი ერთად და თვითოეული ცალკე ჰგრძნობს, რომ რაღაც დააკლდა, რაღაც დაკარგა, რაღაც ძარღვი ჩასწყდა გულში“.

ბრძენი ილია დ. ყიფიანის პიროვნების დასახასიათებლად ამბობდა, რომ იგი „იყო გულთასრული კაცი... კაცი ხასიათისა“ და იქვე მშობლიური ერის წინაშე მის დამსახურებაზე წერდა:

„მძლედ მობურთალნი ქვეყნიერობის მოედანზედ მარტო დიდხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა-სრულობა, დიდ-ხასიათობა, იმისდა მიუხედავად, — ტრიალი ემარჯვებათ, თუ ემარცხნათ. ყოველივე დიდებული საქმე, რითაც-კი კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათიან კაცის წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრის მოწონებით და სასოებითა; ამიტომაც ყველა, დიდი და პატარა, უკან მისტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკან დაუბრუნებლად და საწუდამოდ“[1].

ასე წერდა ილია ჭავჭავაძე 1887 წელს, დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალების დღეებში. დრო გადის და, აი, გარდაცვალებიდან ექვსი წლის შემდეგ, 1893 წლის ოქტომბერში ილია იმავე დ. ყიფიანის ოჯახს ქვიშხეთში სტუმრად ეწვევა. ნინო ყიფიანი მოგვითხრობს:

„საათის თორმეტზე გეეწვია ილია თავისი თანამხლებლებით. შემოვიდა დარბაზში, შემოანათა თავისი ნათელი, მშვენიერი შუბლითა და მოცინარი ლამაზი თვალებით, მივეგებე, როგორც შეჰფე-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 223.

როდა ისეთს დიდს სტუმარს. პირველად იყო ჩვენთან ქვიშხეთში. აათვალიერა-ჩაათვალიერა იქაურობა, მკითხა კოტეზე, გაევედით აივანზე, რომელიც გადაჰყურებს ბუნების დიდი სილამაზის სურათს.

„დიდხანს სჭვრეტდა ილია ამ სურათს. ვინ იცის, რას ფიქრობდა ილია დიმიტრიზე, მისი აივნიდან გადამყურე?..

„უკვე ღრმა მოხუცებულობაში შესული ჩემი დედამთილი ნინო, სადილობამდე არავისთან აღარ გამოდიოდა თავის ოთახიდან, აქ კი ილიას პატივსაცემად გამოვიდა ისიც.

„საინტერესოს ალბათ მოიგონებდნენ რასმე წარსულიდან თბილისში, მაგრამ მე უკვე გავეშურე სასადილოსაკენ. საუზმე მზად იყო და სტუმრები აივნიდან სასადილოში მივიწვიე. შემოუსხდნენ სუფრას და მადიანად მიესივნენ საჭმელსა. მერე გაჰყვნენ სადღეგრძელოებს, მით უფრო ხალისით, რომ სახლში დაყენებული შუშხუნა ღვინო ძალიან მოეწონათ. ტოლუმბაშობას აქაც ლევან ჯანდიერი განაგრძობდა. პირველი ხსენება, რა თქმა უნდა, დიმიტრისა იყო. ამ სახელზე პირველი წამოდგა ფეხზე ილია და დიდი შთაბეჭდილების სიტყვა წარმოთქვა, რომლითაც მიჰმართა დიმიტრის მეუღლეს და მწარედ აატირა. ჩემდა სავალალოდ აღარ მახსოვს მთელი მისი შინაარსი, ხსოვნაში ჩამრჩა მხოლოდ უკანასკნელი სიტყვები.

„ამნაირად დიმიტრი იყო ჩვენი ხუროთ-მოძღვარი და ჩვენ კი მისი კალატოზებიო“ [1].

ასეთი იყო ილიას ერთი სტუმრობა ქვიშხეთში.

ქვიშხეთიდან ილია და მისი მხლებელნი სარდიონ ამირეჯიბმა სოფელ საღოლაშენში გაიწვია. ძვირფასი სტუმარი ქვიშხეთიდან მთელმა სოფელმა გამოაცილა, ხოლო ასამდე ქალი და კაცი ლიხის სადგურამდე მიჰყვა. სახელოვანმა მოღვაწემ საღოლაშენსა და მის მახლობელ სოფლებში რამდენიმე დღე გაატარა; მოინახულა ახალგორი, წვერი, ოძისი და სხვა სოფლები.

ქართლის სოფლებში ილიას მოგზაურობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმდროინდელი ქართველი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ყიფშიძის პირადი მიმოწერა, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია. ალექსანდრე ყიფშიძე 1893 წლის 23 ოქტომბერს თავის ერთ-ერთ ძმას მოსკოვში წერდა:

„...ახლა აქაური ამბავი: ამ თვეში ილიამ დაიწყო მოგზაურობა ქართლში. მე ილიას ვადარებ ადმირალ აველანს და ჩვენ წვრილმანობას მის შტაბს. ვიყავით ს. ახალგორში ნ. ერისთავთან (ლექსე-

[1] ლიტერატურის მატიანე, წიგნი I-II, 1940 წ., გვ. 140-141.

ბის მკითხველთან) ილია, მეველე, ალ. ჩოლოყაშვილი, ლ. ჯანდიერი, გიგა, ან. ღულაძე და სხვანი. დიდის ამბით მიგვიღეს. ეზოში სკოლის შეგირდებმა უმღერეს „ტყეს ესხმება ფოთოლი“ (ნუ დაივიწყებ, რომ ახალგორში სულ სომხები არიან) და „ქართველო ხელი ხმალს იკარ“. ვიდრე სახლში შეველით, მიგვიწვიეს პატარა ტურფა კარის ეკლესიაში, სადაც ადგილობრივმა ღვდელმა (წარმოიდგინე ჩემი ამხანაგი აღმოჩნდა) „რეჩი“ უთხრა და აკურთხა ილია და მისი შტაბი.

„მდგომარეობა ნ. ერისთავისა ნამდვილი ფეოდალურია, ეზოს ქვის გალავანი არტყია და შიგ ხუთი ციხეა. ვნახეთ აგრეთვე გზაში ოძისი, შეწირული მეორე ერისთავის მიერ სათავადაზნაურო სკოლისათვის. აქ უშველებელი დარბაზია. საზოგადოდ ქსნის ხეობა ტურფაა, როგორც ჩვენი სამშობლო. ვნახე აგრეთვე მდგომარეობა შუხრან-ბატონისა, მისი შესანიშნავი მარანი, ორ ეტაჟად ჩაშვებული დედამიწაში, სადაც დაცულია 400.000 მანეთად ღირებული ღვინო. სადილად ვიგემე ღვინო, დაყენებული 1874 წელსა“ [1].

ილია ქართლის სოფლებს კვლავ ეწვია 1894 წლის დამდეგს. ამ დროს მასთან ერთად იყვნენ ალექსანდრე და გრიგოლ ყიფშიძეები, დავით მიქელაძე, გრიგოლ აბაშიძე და სხვები. ილია და მისი თანმხლებნი საახალწლოდ საღოლაშენში ეწვივნენ ზემოთ ნახსენებ სარდიონ ამირეჯიბს, ხოლო იქიდან სოფელ ხვედურეთს გადავიდნენ, ციციშვილების ოჯახში.

იგივე ალ. ყიფშიძე 1894 წლის 22 იანვარს თავის ძმას სწერდა: „პირველ იანვარს საღოლაშენში ვიყავით. ილიაც წამოვიდა. იქიდან ხვედურეთს გავედით. ქეიფი და „რეჩობა“ ძალიანი იყო. ილიამ მოახდინა იქაურ საზოგადოებაზე „Неотразимое впечатление“[2].

ილია ჭავჭავაძის მოგზაურობას ქართლის სოფლებში ზოგიერთები ბანკის მომავალ არჩევნებს უკავშირებდნენ. სწორედ 1894 წლის მაისში თბილისის ბანკში ხელმძღვანელობის არჩევნები უნდა მომხდარიყო. მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობდნენ ბანკში ილიასთან დაპირისპირებული ადამიანები, დიდი მწერლის ეს სტუმრობაც მნიშვნელოვანი ფაქტია ხალხთან მისი კავშირის თვალსაზრისით.

ქართლის სოფლებში ილიას სტუმრობაზე ჩვენამდე მოღწეულია ერთი ლიტერატურული დოკუმენტი. ეს არის ცნობილი მწერლის

---

[1] ლიტერატურის მატიანე, წიგნი I-II, 1940 წ., გვ. 185.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 186.

ნიკო ლომოურის სიტყვა, რომლითაც მას ილია ჭავჭავაძისათვის მიუმართავს. ნიკო ლომოური ამ დროს ქალაქ გორში მოღვაწეობდა. იგი, ჩანს, ილიას სტუმრობის დროს საღოლაშენში სხვებთან ერთად ყოფილა და ძვირფასი სტუმრის მისამართით მგრძნობიარე სიტყვა წარმოუთქვამს. ნიკო ლომოურის სიტყვის ავტოგრაფული ტექსტი ხელმოწერით „ნ. ლ.“ დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში. განსაკუთრებით საინტერესოა სიტყვის დასასრული ნაწილი. იგი ასე იკითხება:

„მე ფიქრადაც არ გავიტარებ იმ კითხვას, თუ რა განზრახვით ბრძანდები დღეს ჩვენ შორის ბატონო ილია! მე უცქერი მხოლოდ თქვენს მოქმედებას და გულწრფელად დავხარი მის კეთილ და სასარგებლო ნაყოფსა. იარეთ, იარეთ ჩვენო ძვირფასო, საერთო მასწავლებელო, იარეთ თქვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებში!.. რაღა თქმა უნდა, სანამ საქართველოს სახელი იქნება დედამიწის ზურგზე, თქვენი ზეგარდმო მადლით ცხებული თხზულებანიც იქნებიან შვენება ჩვენის მწერლობისა; მაგრამ ისიც კი ცხადია, რომ ვერც ერთი თხზულება ვერ მოახდენს თავის მკითხველზედ ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას, როგორსაც ახდენს ხოლმე ცხოველი, პირდაპირი სიტყვა მსმენელზედ. იარეთ, ბატონო ილია, აქეთ-იქით და თქვენი ბრძნული სიტყვებით, თქვენი მჭერმეტყველი ენით, თქვენი შორგამჭვრეტი ჭკუა-გონებით გააცოცხლეთ, ფეხზე წამოაყენეთ, მხნეობის სული შთაბერეთ თქვენს დღევანდელ დაცემულ და დავრდომილ თანამოძმეთა! ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს და სულით და გულით ვინატრი, რომ სიცოცხლე თქვენი გაგრძელებულიყვეს იქამომდე, ვიდრე თქვენგან დაწყობილ დიდებულ მოღვაწეობას ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდებოდეს“[1].

* * *

ილია მთელი სიცოცხლის მანძილზე დაკავშირებული იყო თავის მშობლიურ ყვარელთან. დიდი მწერალი ჯერ კიდევ ჭაბუკობის-დროინდელ ლექსში ასე მიმართავდა ყვარლის მთებს:

თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!

დიახ, ყვარლის მთების ძირში „გრიგალთა, მეხთა, ქუხილთა შორის ქართველად გაზრდილი“ მწერალი დროგამოშვებით ესტუმ-

[1] გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი, № 1785.

რებოდა ხოლმე ყვარელს და რამდენიმე დღეს თანასოფლელთა შორის ატარებდა.

ილიას მოურავი ნოშრევან ჯაფარიძე მოგვითხრობს:

„ილიას სახლ-კარი სოფელ ყვარელში შესდგებოდა სამი ოთახისაგან, ძველებური კუხნისაგან, ბეღლისაგან და ერთი უწინდელი კოშკი-ციხისაგან, რომელშიაც დაიბადა ილია. იმ კოშკში იყო ორი პატარა ოთახი, ერთი მაღლა, მეორე დაბლა. მარანი იყო ვენახის წალმით დახურული, რადგან წალმით დახურული ზაფხულში ღვინოს ინახავდა ძალიან ცივად. ილიამ მიამბო, რომ ამ კოშკში ვარ დაბადებულიო, რომელშიაც ვცხოვრობდი მე, დედა, მამაჩემი და გამზრდელიო. შემდეგში კი ავაშენეთ მეორე სახლიო. ჩამოსვლისას უმეტეს შემთხვევაში ცხოვრობდა იმ ძველებურ კოშკში, რომლიდანაც მშვენივრად მოსჩანს ყვარლის მთები“.

მოულოდნელი არაა, რომ ბრძენ მწერალს მშობლიურ სოფელში საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ გლეხობასთან; ყოველი ჩასვლის დროს ხვდებოდა ბევრ მათგანს, ისმენდა მათს ჰირ-ვარამს და ეხმარებოდა მთელი შესაძლებლობით. ნოშრევან ჯაფარიძე მოგვითხრობს:

„მთელი იქ ყოფნის დროს ილიასთან სოფლელები ყოველდღე მოდიოდნენ, ზოგი სანახავად, ზოგი კი სთხოვდა რაიმე დახმარებას. ილია სიამოვნებით იღებდა მათ და ყველა მათ მიერ ნაამბობ ჰირ-ვარამს ყურადღებით უსმენდა... ილიას უყვარდა გლეხები, განსაკუთრებით სიმპატიით ექცეოდა თემურა ზაუტაშვილს, ალექსი იმერლიშვილს, ნიკო ზურიაშვილს, იასე კოკორაშვილს, ადამი ქარენაშვილს, ფიდო ჯიბოშვილს, ლევან ღვინიაშვილს, ლევან მაისურაძეს. ესენი იყვნენ ის გლეხები, რომლებიც მთავრობას კრიჭაში უდგებოდნენ“[1].

იმავე ნოშრევან ჯაფარიძეს გადმოცემული აქვს ერთი ეპიზოდი, რომლითაც კიდევ უფრო ნათელი ხდება ილიასათვის დამახასიათებელი თავგამოდება მეფის ხელისუფლებისაგან შევიწროებული გლეხობის დასაცავად. მის მოგონებაში მოთხრობილია ის ფაქტი, როდესაც ჩვენმა მწერალმა ეგზეკუციისაგან გაათავისუფლა ყვარლის მახლობელი სოფლები საბუე და გრემი. მოგონებაში ვკითხულობთ:

„მახსოვს 1905 წ. რომ ჩამოვიდა, მეორე დღესვე შეაბმევინა ეტლი და მოემზადა სადღაც წასასვლელად. მე ძალიან გამიკვირდა და ვკითხე: „ნუთუ თბილისში ასე მალე მიხვალთ?“ მან მიპასუხა:

---

1 ლიტერატურის მატიანე, წიგნი I-II, 1940 წ., გვ. 152-153.

„ჩემო ნოშრევან! მე თბილისში არ მივალ, მაგრამ, სადაც მივდივარ ჯერ არც იმას გეტყვიო“. გაიღიმა და მითხრა: „ჩემმა გამზრდელმა მასწავლა, რომ კაცი დილით რომ მიდიოდეს სადმე, მას ამის შესახებ არაფერი არ უნდა ჰკითხოვო“. მხოლოდ მითხრა, რომ სადილად აქ ვიქნებიო. როგორც შემდეგში აღმოჩნდა, ის წავიდა საბუეში და გრეშში. ამ სოფლებში იმ ხანად მოხდა გლეხთა გამოსვლები, რომლის დროს მოჰკლეს ერთი გლეხის ქალი, გვარად ხეჩიაშვილი ეთერი და სოფლელებს ზეკუციად ჩაუყენეს ყაზახები. როგორც ვფიქრობ, ილიამ თბილისშივე გაიგო ეს ამბავი და ამიტომ მოსვლისთანავე გაემგზავრა ამ სოფლებში, და მოახსნევინა ზეკუცია. შემდეგში იაკობმა [1] მიამბო: „როდესაც მივედით სოფელში, ილიამ მაშინვე გამოაძახებინა უფროსი და ნახევარი საათით ელაპარაკაო, რაღაცა ქაღალდი უჩვენა, რის შემდეგ უფროსმა მოწიწებით სალამი მისცა და წავიდა, იმავე დღეს ზეკუციაც მოხსნილი იყო სოფელზეო. მე თვითონ კი ვნახე, რომ მოკლული ქალის გვარი და სახელი ილიას უბის წიგნაკში ეწერა“ [2].

ასეთია ჩვენი მწერლის მიერ მეფის ხელისუფლების დამსჯელი ეგზეკუციისაგან ხალხის განთავისუფლების ერთი ფაქტი.

დაბოლოს, ყვარელთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არაა, რომ იქ ილია ერთხელ ვაჟა-ფშაველასაც შეხვედრია სანდრო მაყაშვილის ოჯახში, რომელიც ილიას ენათესავებოდა. ოჯახის დიასახლისი ბარბარე მაყაშვილი მოგვითხრობს:

„ერთს დღეს ჩვენსას იალაღიდან ჩამოვიდა ვაჟა-ფშაველა. ილიამ რომ დაინახა, ძალიან იამა და მიესალმა: ოო, ვაჟა! ვაჟა! სალამ-ქალამი, რასა იქ, როგორ სუფევ ოჯახით, ოთხ-ფეხით? ვაჟას სიამოვნების ალმა აჰკრა სახეზედ, დასხდნენ და ხანგრძლივ იმუსაიფეს. ვაჟას „ვეფხისტყაოსანი“ აკითხეს“ [3].

* * *

ილია ჭავჭავაძე, როგორც დიდი ეროვნული მოღვაწე, საქართველოს ყველა კუთხის ცხოვრებით ერთნაირად დაინტერესებული იყო; ყველა მათგანს იცნობდა და საჭიროების შემთხვევაში ყველა მათგანზე მზრუნველობდა.

სახელოვანი მწერალი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თვალყურს ადევნებდა საქართველოს ერთი ულამაზესი კუთხის

[1] იგულისხმება იაკობ ბითარიშვილი.

[2] ლიტერატურის მატიანე, წიგნი I-II, 1940 წ., გვ. 154.

[3] იქვე, გვ. 150.

აფხაზეთის ყოფა-ცხოვრებას. აფხაზეთის მოწინავე ინტელიგენცია ილიას განსაკუთრებულ პატივს სცემდა. დამახასიათებელია ერთი კონკრეტული ფაქტი.

1899 წელს სოხუმის ქალაქის თავის არჩევა უნდა მომხდარიყო. არსებობდა მთელი რიგი წინააღმდეგობანი, როგორც საზოგადოდ ასეთ არჩევნებს თან ახლდა ხოლმე. სოხუმის მოწინავე ინტელიგენცია დაინტერესებული იყო ქალაქის სათავეში პატიოსანი და მშრომელი ქართველი პატრიოტი დაეყენებინა, ხოლო სხვა წრეები (მოხელეები და ვაჭრები), საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარენი, მათთვის ხელსაყრელი კანდიდატისათვის ცდილობდნენ.

თუ რაოდენ რთული იყო ქალაქის თავის არჩევის წინა პერიოდში სოხუმში შექმნილი ვითარება, ამას ნათლად გვაგრძნობინებს ჩვენამდე მოღწეული ერთი მიმოწერა. სოხუმში მოღვაწე მასწავლებელი ანთიმოზ ჯუღელი 1899 წლის აპრილში ილიას სწერდა:

„თქვენო ბრწყინვალებავ, დიდად პატივცემულო, ბატონო ილია გრიგოლის ძევ!.. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ რა ცუდ პირობებშია ჩაყენებული ქ. სოხუმი და აქ მცხოვრები ქართველნი. დღეს ღმერთმა ინება და როგორც იყო თვით-მმართველობის შემოღების ღირსი გავხდით. ხმოსნებათ უმეტესობა ჩვენები არიან, მაგრამ ესენი რის მაქნისი იქნებიან, თუ ქალაქის თავი ჩვენებური რიგიანი კაცი არ იქნა. ამის გულისათვის ჩვენ გვსურს თავად გვყავდეს კარგი, როგორც ჭკუა-გონებით, ისე მოქმედებით, მხნე და გამოცდილი კაცი. ამას აქ ბევრი საქმეც ექნება. ბევრის თათბირის შემდეგ ჩვენ, აქაური ქართველობა, შევჩერდით ალექსანდრე სარაჯიშვილზე, რომელიც ამჟამად განჯის საგუბერნიო სამმართველოში მსახურობს და გადავწყვიტეთ დაგეკითხოთ თქვენც ამ კაცის შესახებ, რამდენად სასარგებლო იქნება იგი ჩვენთვის აქ. უკეთუ მიიღებთ შრომას ჩვენ საპასუხოდ, იმ შემთხვევაში გთხოვთ ბარათი ჩემს სახელზე გამოგზავნოთ სოხუმში. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამ ჩვენს თხოვნას უყურადღებოდ არ დააგდებთ და რაც შეიძლება დაჩქარებით გვაცნობებთ ყველაფერს, რადგანაც თავის სარჩევლად ძლიერ ცოტა ხანიღა დაგვრჩა. ამ მცირე ბარათში მეტისმეტად ძნელია სოხუმის აწმყო და მომავალი დაგისურათოთ. ამიტომ ამ ბარათს ამით ვასრულებ და იმედოვნილიც ვარ გულახდით გვირჩევ ჩვენი თხოვნის შესახებ“[1].

[1] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილიას ფონდი, № 228. იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 528.

მოტანილი სტრიქონებიდან აშკარად იგრძნობა სოხუმში შექმნილი ვითარება იმ დროს, როდესაც ქალაქის თავის არჩევა უნდა მომხდარიყო. რაც მთავარია, წერილიდან ნათლად ჩანს ამ ქალაქში მოღვაწე ქართველობის ნდობა და სიყვარული ილია ჭავჭავაძისადმი, რომელსაც ისინი რჩევასა და დახმარებას სთხოვდნენ. საპასუხო წერილიდან ჩანს, რომ ილია პირადად ესაუბრა ალექსანდრე სარაჯიშვილს და მისგანაც თანხმობა მიიღო. იგი სოხუმის ქართველობას ატყობინებდა თავის აზრს სარაჯიშვილზე და თანაც რჩევას აძლევდა, რომ ეს „ჭეშმარიტი და თავდადებული ქართველი“ აუცილებლად აერჩიათ. ილია ადრესატს წერდა:

„დიდად პატივცემულო ბატონო ანთიმოზ ივანისავ! მადლობელი ვარ, რომ პატივი მომანიჭეთ და ჩემს აზრს ჰთხოულობთ შესახებ ალექსანდრე სარაჯიშვილისა. ჩემის ფიქრით, უკეთეს კაცს ვერ იშოვით სოხუმის მოურავად. კაცი დარბაისელია, ჭკვიანი და ძალიან გამოცდილი. ყოველ ამასთან ჭეშმარიტი და თავდადებული ქართველია, მოჭირნახულე და მხნე გამრჯელი. ხოლო უნდა ეცადნეთ, რომ უსათუოდ ამორჩეულ იქნას და ტყუილ-უბრალოდ არ გააბიაბრუონ პატიოსანი კაცი. მე სწორედ დღევანდელს დღეს მჭონდა იმასთან ლაპარაკი და ძალიან გამიხარდა, რომ არ უარობს და თანახმაა სოხუმს ემსახუროს. ეხლა ყველაფერი თქვენზე არის დამოკიდებული, ვინძლო არ შეგვარცხვინოთ და არ გაგვიშაოთ. თუ ალექსანდრე სარაჯიშვილის არჩევანი მოხერხდა, მე წინადვე მომილოცნია სოხუმისათვის ცალკე და ქართველებისათვის საერთოდ, რომ ამისთანა კაცს ერთი ჩვენი უდიდესი საქმეთაგანი ებარება. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, სწორედ შესაფერისი კაცისათვის მიგიგნიათ.

თქვენი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე“ [1].

მიმოწერიდან სრულიად ნათლად იგრძნობა სოხუმის მოწინავე ინტელიგენციისა და ილია ჭავჭავაძის ურთიერთნდობა და გულისხმიერი დამოკიდებულება. ამ მიმოწერის შემდეგ, ჩანს, სოხუმის ქალაქის თავად ალექსანდრე სარაჯიშვილის წამოყენება საბოლოოდ გადაწყდა. 1899 წლის მაისის დამდეგს ჟურნალი „კვალი“ წერდა:

„როგორც იუწყებიან, სოხუმელთ განუზრახავთ ქალაქის თავად გაიწვიონ ჩვენი ცნობილი მოღვაწე ალ. სარაჯიშვილი, რომელიც ამჟამად განჯაში მსახურობს. ალ. სარაჯიშვილი ცნობილია როგორც მხნე, გამოცდილი და პირუთვნელი კაცი და გვგონია სოხუმსაც ასეთი კაცი ესაჭიროება“[2].

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961, წ., გვ. 149.

[2] ჟურნალი „კვალი“, 1899 წ., № 18.

ალ. სარაჯიშვილი 1899 წლის 26 ივნისს ხმის დიდი უმრავლესობით სოხუმის ქალაქის თავად აირჩიეს. გაზეთი „ივერია“ თავის ახალ ამბებში იტყობინებოდა:

„ქ. სოხუმი. 26 ივნისს, საღამოს ექვს საათზე, დანიშნული იყო არჩევნები ქალაქის მოურავისა და მისი თანაშემწესი. მოურავის კანდიდატად დასახელებულნი იყვნენ: მრავალის ხმით ა. ი. სარაჯიშვილი და თითო ხმით — გენერალი ლამაკინი და ლ. მ. ბერენსი. ყუთი დაუდგეს მარტო ა. ი. სარაჯიშვილს, რომელიც არჩეულ იქნა 26 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 3 ხმისა“ [1].

არჩევნები სავსებით წესიერად და ნორმალურად ჩატარდა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ ალ. სარაჯიშვილი სოხუმის ქალაქის თავად არ დაამტკიცა როგორც თვითმპყრობელობისათვის არასასურველი პიროვნება [2].

ილია ჭავჭავაძეს აფხაზეთის მოწინავე ინტელიგენციასთან მომდევნო პერიოდშიც ყოველთვის გულითადი საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. ამის დამადასტურებელია მისი ერთი პირადი სტუმრობა სოხუმში, რაც 1903 წელს მოხდა.

ილია სოხუმში ჩავიდა 1903 წლის 22 მაისს, ხოლო იქიდან 24 მაისს გამოემგზავრა. მწერალმა სოხუმში გზად გამოიარა გაგრიდან, სადაც იგი თბილისის თავადაზნაურობის მიერ წარგზავნილი ერთი დელეგაციის მონაწილე იყო. გაზეთი „ივერია“ 1903 წლის 19 მაისის ახალ ამბებში წერდა:

„როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, მისმა უმაღლესობამ პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკიმ კეთილ ინება დაეკითხოს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, სურს თუ არა მიიღოს მონაწილეობა სამეურნეო ქალ-ვაჟთა სასწავლებლის წარმოებაში, რომელიც უნდა დაარსდეს გაგრაში. თავად-აზნაურობამ სიმხიარულით მიიღო ეს ამბავი, დაადგინა დეპუტაცია გაგზავნოს, რომელიც მადლობას მოახსენებს მის უმაღლესობას ყურადღებისათვის და ამასთანავე გამოარკვევს, რა მონაწილეობა შეიძლება მიიღოს თავად-აზნაურობამ ახალ სასწავლებლის დაარსებამსვლელობაში. ეს დეპუტაცია უკვე გაემგზავრა გაგრისკენ“.

ილია დელეგაციის მონაწილე იყო და ამის გამო 19-21 მაისს გაგრაში იმყოფებოდა. 22 მაისს იგი გაგრიდან ქალაქ სოხუმში გად-

[1] გაზეთი „ივერია“, 1899 წ., № 139.

[2] ჟურნალი „კვალი“, 1900 წ., № 52. აგრეთვე ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. IV, 1914-1915 წ., გვ. 3.

მოვიდა, ხოლო სოხუმიდან, ფოთზე გამოვლით, თბილისს უნდა გამომგზავრებულიყო.

ილია ჭავჭავაძის მიერ სოხუმში გამოვლა შემთხვევით არ მომხდარა. ამ დროს დასავლეთ საქართველოს ქალაქებში მოგზაურობდა ქართველ მსახიობთა ერთი ჯგუფი. მოგზაურ ჯგუფში შედიოდნენ ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა-აბაშიძე, ნატო გაბუნია-ცაგარელი, კოტე მესხი, ვ. ნებიერიძე და სხვები. მსახიობთა ჯგუფს, წინასწარი ცნობის მიხედვით, საღამო-წარმოდგენები უნდა გაემართა სოხუმში, ფოთში, ოზურგეთში, ბათუმსა და ქუთაისში[1].

სწორედ იმ დღეებში, როცა ილია გაგრიდან ბრუნდებოდა, მსახიობთა ჯგუფი სოხუმში იმყოფებოდა. ბუნებრივია, რომ მან სოხუმში ქართველი მსახიობების სანახავად გამოიარა, მაგრამ, ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, მწერალი სოხუმის ინტელიგენციის სტუმრის მდგომარეობაში აღმოჩნდა. მოულოდნელი არაა, რომ პურადმა მასპინძლებმა ილიასთან ერთად ნადიმზე გაგრის დელეგაციის დანარჩენი მონაწილეები და აგრეთვე სოხუმში საგასტროლოდ მყოფი თბილისელი მსახიობებიც მიიწვიეს.

გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი მოგვითხრობს:

„22 მაისს საღამოზე სოხუმის „ბულვარში“ სასეირნოდ გამოსულს ხალხში გაისმა მხიარული ჩურჩული „ილია ჩამოსულა, ილია გვეწვიაო“. და თითით უჩვენებდნენ ერთმანეთს ბაღში მოსეირნეს ჩვენს სახელოვანს მგოსანს ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც გაგრიდან სოხუმში გამოევლო.

„ყველას უნდოდა ახლოს დაენახა ეს სასიქადულო მამულიშვილი საქართველოსი. ყველა ნატრობდა მის ხმის გაგონებას და ფეხაკრეფით მისდევდნენ უკან. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ბატონი ილია დასასვენებლად წავიდა. მაშინვე გადასწყვიტა საზოგადოებამ სადილი გაემართნა მის პატივსაცემად... ორს თუ სამს საათში დიდძალმა საზოგადოებამ გამოაცხადა სურვილი სადილის გამართვაში მონაწილეობის მიღებისა და 24 მაისს კიდეც გამართეს სადილი თავად შერვაშიძეთა ბაღში. სადილზე მოწვეული იყო აგრეთვე თბილისის დრამატული დასი, რომელიც ამჟამად სოხუმში იმყოფება“.

ნადიმზე ილია ჭავჭავაძის მისვლას და იქ შექმნილ საზეიმო ვითარებას „ივერიის“ კორესპონდენტი ასე აგვიწერს:

„ოთხი საათი იქნებოდა, რომ ბაღთან გაჩერდა ეტლი, რომელშიაც იმყოფებოდა ბატონი ილია და მისი თანამგზავრი — გაგრაში გაგზავნილი თბილისის თავადაზნაურთა მიერ დეპუტაციის წევრნი.

[1] გაზეთი „ივერია“, 1903 წ., № 105.

ამ დროს საგანგებოდ მოწვეულმა სამხედრო მუსიკამ დაუკრა ფრანგული მარში და აღტაცებული საზოგადოება მიესალმა და გაეცნო ბატონს ილიას და მის თანამგზავრთ".

ილია ჭავჭავაძემ სადილის დასაწყისშივე მასპინძლებს მგრძნობიარე სიტყვით მიმართა. მან ნადიმის მონაწილეებს მადლობა გადაუხადა გულითადი მიღებისათვის. სადილი საღამოს რვა საათამდე გაგრძელდა. სადილის შემდეგაო, — ამბობს იგივე კორესპონდენტი: — „ილია ხელში აყვანილი მიაცილეს ეტლამდე, ჩასვეს შიგ და აღტაცებულის ვაშას ძახილითა და სიმღერით გამოჰყვნენ უკან და მიაცილეს გემამდე. აქ საზოგადოება გამოეთხოვა და დიდხანს უყურებდა მიმავალ გემს და გზას ულოცავდა ძვირფას სტუმარს, რომელსაც ფოთისაკენ მიაქროლებდა გემი"[1].

რაღა თქმა უნდა, სახელოვან მწერალთან ამგვარ შეხვედრას სოხუმის მოწინავე ინტელიგენციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

* * *

ილია ჭავჭავაძესთან ხალხის სიახლოვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სოფელი საგურამო. ჩვენმა მწერალმა ოთხმოციან წლებში საგურამოში, თბილისიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით, თავისი მეუღლის მამულში, აგარაკი გაიჩინა. ოთხმოცდაათიან წლებში მწერალმა იქვე საკუთარი გემოვნებით კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლიც აიშენა. თანამედროვეთა გადმოცემით, ილიას საგურამო განსაკუთრებით უყვარდა. იგი მთელ თავისუფალ დროს იქ ატარებდა. საგურამო მას სულიერ სიმშვიდესა და კმაყოფილებას ანიჭებდა.

საგურამო ქართული კულტურის ერთ-ერთ კერად წარმოგვიდგება. იქ ხშირად თავს იყრიდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, რომელთა სჯა-ბაასის საგანი კვლავ ქართული ლიტერატურის აქტუალური საკითხები იყო. სხვარიგად შეუძლებელიცაა წარმოვიდგინოთ, რადგანაც საგურამოში ილიას ჩვეულებრივი სტუმრები იყვნენ რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, არტურ ლაისტი, პეტრე უმიკაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ავქსენტი ცაგარელი, ალექსანდრე ყიფშიძე, დიმიტრი ბაქრაძე, გრიგოლ ყიფშიძე, ილია ბახტაძე, ვალერიან გუნია, იაკობ მანსვეტაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, ნიკო ხიზანიშვილი, ვლადიმერ მიქელაძე და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

[1] გაზეთი „ივერია", 1903 წ., № 118.

არტურ ლაისტი მოგვითხრობს:

„ყოველ ზაფხულს, კვირა-უქმე დღეს და სამსახურიდან თავისუფალ დროს ილია საგურამოში ატარებდა. აქვე იყრიდნენ თავს სხვადასხვა ადგილებიდან მოსული სტუმრები. ძველი ქართული სტუმართმოყვარეობა მტკიცედ იყო დაცული; სტუმარს აქ გულუხვი მასპინძელი უხვდებოდა და საგურამოდან უკმაყოფილო არასოდეს ბრუნდებოდა. ეს პურადობა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ილიას და მის მეუღლეს უწმინდეს მოვალეობად მიაჩნდათ, თუმცა იგი ხშირად ძვირად უჯდებოდათ, მაგრამ მისი უარყოფა და ხარჯების შემცირება მაინც არ სურდათ“[1].

შემთხვევითი სრულიადაც არაა თუდო სახოკიას სიტყვები, რომ ილია ჭავჭავაძისათვის „სტუმრების დახვედრა, მათი ამება და საერთოდ სტუმართმოყვარეობა ერთგვარი კულტი იყო“[2].

ილია ჭავჭავაძეს დაწესებული ჰქონდა წელიწადში ერთი დღე, ოცი ივლისი, ილიაობა. ილიაობაზე საგურამოში ათობით ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იკრიბებოდა. იქვე იყო საგურამოელი გლეხობა, რომელთანაც სახელოვან მწერალს ყოველთვის გულითადი ურთიერთობა ჰქონდა. საგურამოში შეკრებათა თაობაზე გრიგოლ ყიფშიძე წერდა:

„პირველში უფრო მახლობელნი, მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი ულოცავდნენ ილიას ამ დღეს. მხოლოდ თითო-ოროლა სახელოვანი ჩვენი მწერალი მოღვაწე თუ არა ყოფილა როდისმე ამ დროს საგურამოში, თორემ დანარჩენთა შორის ბევრს არ მოისაკლისებდით“[3].

დიდი მწერლის თანამედროვეები ერთხმად ადასტურებენ, რომ იგი გულწრფელად ეხმარებოდა როგორც საგურამოს, ისე მისი მახლობელი სოფლების გლეხკაცობას; ეხმარებოდა როგორც სიტყვიერი რჩევა-დარიგებებით, ისე მატერიალურად — პურითა და ღვინით. ყველამ იცოდა, რომ იმ დღეებში, როდესაც ილია საგურამოში იმყოფებოდა, მის მაღალ სახლზე გრძელტარიანი დროშა აღიმართებოდა. „ეს იმის ნიშანი იყო, რომ, ვისაც ილიასთან საქმე ჰქონდა, იმას გაეგო, ვისაც უნდოდა მისულიყო საქმის გასაკეთებლადო“, — გადმოგვცემს ერთ-ერთი საგურამოელი გლეხი[4].

---

[1] არტურ ლაისტი, საქართველოს გული, 1963 წ., გვ. 35.

[2] ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1939 წ., გვ. 328.

[3] ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, მ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914 წ., გვ. LXIX.

[4] ლიტერატურის მატიანე, წიგნი I-II, 1940 წ., გვ. 210.

გლეხობის მიმართ ილია ჭავჭავაძის გულითად, მზრუნველ დამოკიდებულებაზე მთელი რიგი ცნობებია ჩვენამდე მოღწეული. კონკრეტულ შემთხვევაში ერთ-ორიოდე ფაქტზე ყურადღების შეჩერება მაინც აუცილებელია.

გლეხებზე პრაქტიკული დახმარების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ილიას ცხოვრების დუშეთის პერიოდი. ჩვენი მწერალი უშუალო მოწმე იყო ბატონყმური ურთიერთობის მოსპობისა და ნაბატონართა მიწების გლეხობაზე გადაცემისა. მწერლის ერთი თანამედროვის ტ. პაპიაშვილის გადმოცემით, ნაბატონართაგან მიწების ჩაბარების დროს „ათ საჟნიანი თოკი გვეჭირა ხელში და ილია გლეხებს მხარდამხარ მოგვდევდაო". იქვე ისიცაა ნათქვამი, რომ გლეხებისათვის მიწების მიზომვას ესწრებოდნენ „თავადები, აზნაურები, მათი ქალბატონები და მღვდლებიც კი. თავად-აზნაურობა ყოველ ბიჯზე ილიას აყალმაყალს უტეხდა. კბილების ღრჭენით მოგვიბრუნდებოდნენ და გვეტყოდნენ: „ო-ი, და-და-და-და თქვე ბუგრიანებო, რა დღეს ვეღირსეთ, რო თქვენ ჩვენს მიწებს ზომავთო!"

აქვე ერთი კონკრეტული ფაქტის აღნიშვნაც საჭირო და აუცილებელია. იმ დროს, როდესაც ილია ახალგანთავისუფლებულ გლეხებს ნაბატონართა მიწებს უზომავდა და აბარებდა, მისი მხარდაჭერით აღტაცებულმა გლეხებმა ჩვენს მწერალს საალერსო სახელად „გადახტი ბატონი" უწოდეს. ტ. პაპიაშვილი მოგვითხრობს:

„აყაყანდებოდნენ მებატონენი, ილია თვალს ჩაგვიკრავდა და გვანიშნებდა, გასწით ბიჭებო თოკსაო, თავს მაღლა აიღებდა, ჩუმათ ჩაიცინებდა გადახტითო. ასე რო ილიამ იცოდა, დღიურს ორი კაბადო ემატებოდა და საზღვარიც იქ ჩავარდებოდა".

ამ გულმართალ მონათხრობში არის კიდევ ერთი ეპიზოდი ილიას ცხოვრებიდან, რომელსაც დაინტერესებული მკითხველი გვერდს ვერ აუვლის. საკითხი შეეხება მწერლის ინციდენტს დუშეთის რაიონის ერთ ნაბატონარ თავადთან, რომელმაც განთავისუფლებულ გლეხებს ერთხელ მიზომილი მიწა ხელახლა გაუზომა და ამ ნიადაგზე ილია ჭავჭავაძეს დაუპირისპირდა. იგივე პაპიაშვილი ამბობს:

„ერთხელ ალექსანდრე ჩრდილელმა გაუზომა თავის მოყმეს მიწა, — და თითქმის ნახევარ დღისა მეტი აღმოაჩნდა ყმას. გაეხარდა და საზღვრების ამოგდება ეწადა, მაგრამ „გადახტი ბატონისა" ცოტა დასტურიც უნდოდა. გაიქცა დუშეთში თავის შავი ტაიჭით და დორბლებმორეულმა მათრახის ტუნტურით უთხრა „გადახტი ბატონს":

„— თავადიშვილო! რაშია საქმე, რო ის რაც კანონიერი ზომაა,

იმაზე შეტი მოგიზომავს და დაგიკორღნია კიდეცო? აბა მე გიცხადებ, აი მივდივარ და ერთი კარგადაც გაგიწკეპლავ იმ ძაღლის ლეკვებს და კორღნებსაც თავიანთი ბარებით ამოვაგდებინებო! გაიცინა ილიამ და უთხრა:

„— ამოაგდებ და შენც ამოვარდები შენი სახლკარიდანო! იქ იყვნენ ამ კაბათის დროს: არჯევანა უნდილაშვილი, სიმონ გელიშვილი და ომარა ქურციკიძე [1].

ასეთია ჩვენი მწერლის მიერ გლეხობაზე მზრუნველობის ერთი დამახასიათებელი ფაქტი დუშეთში ცხოვრების პერიოდიდან. ილიასაგან გლეხობაზე მზრუნველობის ფაქტები გაცილებით მეტი მოჩანს საგურამოში. საგურამოელ გლეხთა მოგონებებში ილია ჩვეულებრივად იხსენიება როგორც გულისხმიერი, გლეხობის ჭირ-ვარამის გამგები და გამკითხავი ადამიანი. საგურამოელი გლეხის დანამღერია ის ლექსიც, რომელიც ასე იწყება:

შამკობილო ვარდის კონა — თავადებში ხარ ნაქები —
ილია ჭავჭავაძეო, გლეხებისა მოწყალეო...

ილია ჭავჭავაძის არქივში დაცულია სოფელ მცხეთის მოსახლეობისაგან გაგზავნილი ორი წერილი, რომლითაც მწერალს სახელწოდების დღეს (ილიაობას) ულოცავდნენ. პირველი ასეთი წერილი ჩვენს მოღვაწეს 1888 წლის ივლისში მიუღია და მას ხელს აწერს მცხეთის საზოგადოება. მილოცვაში ვკითხულობთ:

„ქართველთ იშედო, ბატონო ილიავ! მოგვილოცავს შენი სახელწოდების დღე. უმაღლეს გამგებელსა ვთხოვთ შენს ჯანმრთელად და სულნათლად სიცოცხლეს მრავალჟამიერ. იმედი გვაქვს, რომ, როგორც შენმა სეხნიამ, წმინდა ილიამ არ დატოვა ხალხი თავისი უნუგეშოდ და დაუტოვა მას გამაკურნებელი სამოსელი თვისი, ეგრე შენ არ გაუშვებ უნუგეშოდ დაჩაგრულ ქართველებსა.

„შენგან და შენისთანა რწმუნე კაცებისაგან მოველით საქართველოს კეთილდღეობას... მაშ გაუმარჯოს საყვარელ საქართველოს! გაუმარჯოს სანატრელ ქართველს ილიას!!!“.

ილია ჭავჭავაძე 1890 წლის ივლისში იმავე მცხეთის საზოგადოებისაგან კვლავ იღებს ანალოგიური მილოცვის წერილს. ახლა უკვე საზოგადოების სახელით მიმართვას ხელს აწერენ სოფლის თავკაცები. წერილი ასე იკითხება:

„მოაზროვნე წევრნი მცხეთის სოფლის საზოგადოებისა, აღჭურვილნი იმ აზრით, რომ ზეციური ნიჭით მიმადლებულნი პირნი

[1] ლიტერატურის მატიანე, წიგნი I-II, 1940 წ., გვ. 175-176.

აცისკროვნებენ ხალხის უფერულ ცხოვრებას, მოილტვიან თქვენდამი, უძვირფასესო მამულიშვილო, რათა განუსაზღვრელის პატივისცემით მოგილოცონ თქვენი სახელწოდების დღე, დღე ძვირფასი, როდესაც ჩვენს ქვეყანას მოევლინა ის ზეციური ნიჭით და დიდის სიყვარულით მამულისადმი აღბეჭდილი პირი, რომელმაც ჩვენ უკუქცეულ ცხოვრებას მისცა აზრი და წინ მსვლელობა. ის გრძნობა, რომ სიცოცხლე და მოღვაწეობა თქვენი არის ჩვენი ერის სიცოცხლე და კეთილ-მომავლის საფუძველი, გულით და სულით გვათქმევინებთ: გაუმარჯოს ჩვენ ძვირფას და ყოვლად საყვარელ ილიას სასახელოთ და სასარგებლოთ ჩვენგან საერთოთ საყვარელ მამულისათვის!".

მილოცვას ხელს აწერს ცამეტი კაცი. ვაკვირდებით მათს ნათელ და გარკვეულ ხელწერას ცალ-ცალკე და ჩვენს წარმოდგენაში ბუნებრივად ცოცხლდებიან ილიას ნაწერებიდან ცნობილ გმირთა უკვდავი სახეები. მილოცვას ხელს აწერენ მცხეთის მკვიდრნი: ივანე მაჩხანელი, ზაქარია იმერლიშვილი, იაკო ბერიევი, რომანოზა თათარაშვილი, რომანოზა გიუტაშვილი, მიხაკა კობიაშვილი, იაგორა მაისურაძე, ანტონა გიუტაშვილი, ზაქარა კაპანაძე, ალექსა კაპანაძე, იოსება მრევლიშვილი, ზაქარა გარსევანიშვილი და გიორგი მრევლიშვილი[1].

ძნელი არაა წარმოვიდგინოთ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ადამიანური განცდა დიდი პოეტისა იმ წუთებში, როდესაც იგი ქართველი გლეხებისაგან გაგზავნილი მილოცვის გულწრფელ სტრიქონებს კითხულობდა.

* * *

ილია ჭავჭავაძე პირველი მასპინძელი იყო ყველა უცხოელი მეცნიერისა და მწერლისა, რომელიც საქართველოში კეთილი განზრახვით ჩამოდიოდა. იაკობ გოგებაშვილი ი. მეუნარგიას წინააღმდეგ დაწერილ ერთ წერილში სავსებით სამართლიანად ამბობდა:

„ილიასაგან ხარჯს ითხოვდა აგრეთვე უცხოელების დახვედრა. მოვიდოდა თუ არა ჩვენში რომელიმე ევროპელი და ქართველებს ჰკითხავდა, ჰყავთ ქართველებს დიდი ადამიანიო, ყველა ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა: როგორ არა, გვყავს დიდი ილია ჭავჭავაძეო. და ილიასაც უნდა მიეწვია თბილისში, წაეყვანა საგურამოშიაც.

[1] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის ფონდი № 553, № 554.

გაეყოლებინა თან მთელი კამპანია სტუმრებისა და ხელგაშლით გამასპინძლებოდა, ხარჯი ბლომად გაეწია"[1].

ილია საქართველოში უცხოელთა სტუმრობას მნიშვნელობას ანიჭებდა სავსებით პატრიოტული მოსაზრებით. იგი გულითადად იღებდა და მზრუნველობას უწევდა ყველა უცხოელს, რომელიც აქ იმისათვის ჩამოდიოდა, რათა ქართველი ერის კულტურულ წარსულს გაცნობოდა და ჩვენი ისტორიული ქველობის ამბავი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაეტანა. ჩვენს მწერალს ასეთი საპატიო სტუმრები საგურამოში არა ერთხელ ჰყოლია. არტურ ლაისტი მოგვითხრობს:

„1897 წელს ივლისში საგურამოში ილიასთან სტუმრად იყვნენ ცნობილი ექიმი-პროფესორი ბერტელიონი პარიზიდან, პროფესორი ბოსკო რომიდან და რუსი მწერალი ვასილ ველიჩკო. სტუმრებისთვის რომ ესიამოვნებინა, ილიამ მოაწყო ურმით მოგზაურობა ზედაზნის მონასტერში...

„1898 წელს საგურამოში ილიას ეწვია ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ ლემან-ჰაუპტი, ავტორი სერიოზული გამოკვლევებისა წინა აზიის წარსულიდან. ქართველ პოეტთან ყოფნა მან დაწვრილებითა და საინტერესოდ გადმოგვცა ჯერ გერმანულ ჟურნალში და შემდეგ კავკასიიდან სპარსეთ-მესოპოტამიაში მისი მოგზაურობის ვრცელ აღწერაში. როცა ილია 1900 წელს ბერლინში იყო, მან ინახულა პროფესორი ლემან-ჰაუპტი, რომელიც ილიასადმი წრფელი გრძნობით იყო გამსჭვალული. ილიას ტრაგიკული სიკვდილის გამო მან ბერლინის ერთ დიდ გაზეთში ნეკროლოგი მოათავსა ილიას პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის შესახებ. მანვე დაბეჭდა ცნობები ერთ თავის წიგნში"[2].

ამჟამად ქართველი მკითხველისათვის უკვე ხელმისაწვდომია კარლ ლემან-ჰაუპტის ერთი წერილი ილია ჭავჭავაძეზე, რომელიც 1910 წელს გერმანულ ჟურნალში გამოუქვეყნებია. წერილი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც სახელოვანი მეცნიერი თავის მკითხველებს დიდი ქართველი მოღვაწის პიროვნებას აცნობდა.

შეუძლებელია გულგრილი ვიყოთ იმ ფაქტის მიმართ, რომ მოგზაურ მეცნიერს ჩვენს მწერალთან საქმიანი საუბრები ჰქონია საქართველოს შორეული ისტორიის საკითხებზე. ლემან-ჰაუპტი პირდაპირ ამბობს: „ქართველთა ზნე-ჩვეულებებსა და მათი ისტორიის

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 216.

[2] არტურ ლაისტი, საქართველოს გული, 1963 წ., გვ. 40.

მრავალ სხვა საკითხზე ცნობების შეგროვება შეძელი ილია ჭავჭავაძესთან ნაცნობობის წყალობითო".

გერმანელი პროფესორის ზემოდასახელებული წერილი თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება. კონკრეტულ შემთხვევაში მისი ერთი ნაწილის გადმოღება მაინც საჭირო და აუცილებელია. კარლ ლემან-ჰაუპტის სტატიაში ვკითხულობთ:

„ილია ჭავჭავაძე ჰეშმარიტად ითვლებოდა თავის ერის ბელადად და წინამძღოლად. მაგრამ მისი ასეთი წარჩინება, რა თქმა უნდა, თავადობით არ იყო გამოწვეული; ასეთი წოდებით მრავალნი არიან საქართველოში. ილია ჭავჭავაძე იყო ერთ პიროვნებაში განსახიერებული მწერალი, პოლიტიკოსი და ფინანსისტი. ამასთან, იგი გახლდათ ბანკის თავმჯდომარე, სათავეში ედგა ეროვნული შეგნების გამაძლიერებელ ჟურნალ „ივერიას"; მისი ერთი პოემა „განდეგილი", რომელიც ინგლისურად არის თარგმნილი, მოგვითხრობს ყაზბეგის მიდამოებში, გამოქვაბულში მცხოვრები ბერის განცდებზე. ის ღრმა ფსიქოლოგიურობა, გრანდიოზული ბუნების აღწერა, წარმტაცი სურათები, ენის მოქნილობა, თარგმანიდანაც რომ გამოსჭვივის, ცხადჰყოფენ, რომ ავტორი წარმოშობილი იყო ქართველი ხალხის წიაღიდან, იყო ბრწყინვალე გამომხატველი თავისი ხალხის სულიერი შინაარსის, მისი აზრების და შეხედულებებისა.

„ილია ჭავჭავაძეს ვესტუმრე, როგორც ქალაქის ბინაში, ისე მის მამულშიც, თბილისის მახლობლად. 1900 წელს კი ბედნიერება მქონდა მას ბერლინშიც მივსალმებოდი, აქაურ მანდილოსნებთან ერთად გამეტარებინა მასთან მდიდარი მოგონებით აღსავსე ლამაზი საათები. მისი ჯმუხი აღნაგობა, მისი ღია, ინტელიგენტური სახის ნაკვთები და მიმზიდველი ბუნება ჩემთვის სამუდამოდ დაუვიწყარია...

„როდესაც არტურ ლაისტი და მე ჭავჭავაძეს ვახლდით და არაგვის მარცხენა ნაპირზე მდებარე მის მამულში მივემგზავრებოდით, წიწამურის მახლობლად (სტრაბონით—სევსამორა) ყველა შემხვედრი მას ღრმა პატივისცემით ესალმებოდა; ქართულ სალამზე — „გამარჯვება" უპასუხებენ: „შენც გაგიმარჯოს"!..[1]

ასეთი მგრძნობიარე სტრიქონები უძღვნა ლემან-ჰაუპტმა ილია ჭავჭავაძეს იმ დროს, როდესაც სახელოვანი ქართველი მწერალი უკვე ცოცხალი აღარ იყო. გასაგებია, რომ ამ უანგარო გრძნობას საფუძველი იმ დღეებში ჩაეყარა, როდესაც გერმანელი პროფესო-

[1] ჟურნალი „დროშა", 1967 წ., № 10, გვ. 9.

რი საქართველოში იმყოფებოდა, მწერლის ყურადღებითა და მზრუნველობით გარემოცული.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძეს მასპინძლობა გაუწევია ბევრი უცხოელი მეცნიერისა და მწერლისათვის, რომელიც საქართველოში ჩვენი ეროვნული ღირსების პატივსაცემად ჩამოსულა. ამგვარ სტუმრობათა მნიშვნელობა ნათელი გახდება, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ყველა მათგანი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავის თანამემამულეებს აცნობდა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მის ისტორიულ და კულტურულ წარსულს.

ილია ჭავჭავაძე საგურამოში კიდევ უფრო ხშირად იყო სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. როგორც გრ. ყიფშიძე ამბობს, „ილიამ ბანკს თავი დაანება 1905 წელს და, დიდის პენსიით უზრუნველყოფილს, უნდოდა თვისნი დანარჩენი დღენი თავის საყვარელს საგურამოში გაეტარებინა დამშვიდებითა“ [1].

იგივე გრ. ყიფშიძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ილიას მოსვენებით ცხოვრება არც იმის შემდეგ ჰქონია, რაც ოფიციალური სამსახურიდან (ბანკიდან) გამოვიდა. იგი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როგორც შემდგომ ვნახეთ, კვლავ დიდი მოვლენების მომსწრე და მონაწილე გახდა.

* * *

ინტერესს მოკლებული არაა ვიცოდეთ, რომ ბრძენი მწერალი პირად ცხოვრებაში მატერიალურად მაინცდამაინც უზრუნველი არ ყოფილა. იაკობ გოგებაშვილი სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ილიას კარგი ჯამაგირი ჰქონდა ამასთან უბრალოდ იცვამდა, უბრალოდ ცხოვრობდა. სიკვდილის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ვალი აღემატებოდა მთელს მის ქონებას. როგორ მოხდა ესა?“.

იაკობ გოგებაშვილი ჩამოთვლიდა უმთავრეს ხარჯებს, რომელთა მიზეზით ილია ასეთ ვალებში აღმოჩნდა. კრიტიკოსი სავსებით მართებულად ამბობდა, რომ ჩვენს მწერალს განსაკუთრებით ძვირად უჯდებოდა ყოველდღიური გაზეთის „ივერიის“ შენახვა. იაკობის სიტყვით, „წელიწადში ილია რამდენსამე ასს თუმანს ადებდა „ივერიას“ თავის ჯიბიდან“.

იაკობ გოგებაშვილის გადმოცემით, ილიასაგან მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვდა აგრეთვე ხშირი სტუმრიანობა, რაც მისი ოჯა-

[1] ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, მ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914 წ., გვ. LXI.

ხისათვის დამახასიათებელი იყო. ჩვენი მწერალი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ყოველთვის გულუხვი მასპინძელი იყო როგორც ადგილობრივი მოღვაწეებისა, ისე უცხოელი საპატიო სტუმრებისა. დაბოლოს, იაკობი დაჯერებული ამბობდა, რომ „მილიონერებს არ შისდით იმდენი მთხოვნელი, რამდენიც ილიას მიუდიოდა“.

ზემოთქმული იმას როდი ნიშნავს, თითქოს ილიას ცხოვრება უჭირდა. არა, მას ცხოვრებისათვის აუცილებელი მატერიალური პირობები ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ აქვე იმისი აღნიშვნაც საჭიროა, რომ იგი ზედმეტად გალაღებული არასოდეს არ ყოფილა. ილიას და მის მეუღლეს ოთხმოციანი წლებიდან საგურამოს მამულები უკვე დაგირავებული ჰქონდათ თბილისის საადგილმამულო ბანკში, რომლის თავმჯდომარე თვითონ იგი იყო.

გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის 10 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულია ბანკის ოფიციალური განცხადება გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა საჯარო ვაჭრობით გაყიდვის თაობაზე დადგენილი გადასახადის შეუტანლობის გამო. აქ სხვებთან ერთად ოლღა ჭავჭავაძის მამულიცაა დასახელებული[1].

იგულისხმება, რომ ამ დროს ილია ჭავჭავაძის ოჯახმა სავალდებულო თანხა დაფარა და მამული შეინარჩუნა.

ასევე განმეორდა ცხრაასიან წლებშიც. იგივე საგურამოს მამული დასახელებულია თბილისის ბანკის განცხადებაში, რომელიც 1903 წლის 19 მაისის „ივერიაში“ არის გამოქვეყნებული. ამ განცხადებაში უკვე ცალ-ცალკე მოხსენიებული არიან ოლღა ჭავჭავაძე და ილია ჭავჭავაძე. ეს იმას ნიშნავს, რომ საჯარო ვაჭრობით უნდა გაყიდულიყო მათი ოჯახის მთელი მამული, რომელიც სოფელ საგურამოს ტერიტორიაზე მდებარეობდა.

როგორც ჩანს, საგურამოს მამულის გაყიდვის მუქარა ილია ჭავჭავაძის ოჯახმა ამჯერადაც მოიგერია, მაგრამ ვალებიდან საბოლოოდ თავის დაღწევა ვერც ამის შემდეგ მოხერხდა. ამას ნათლად ადასტურებს 1907 წლის იმავე ბანკის ოფიციალური მიმოწერა (გაფრთხილების ფურცლები), რომელნიც მწერლის პირად არქივშია შემონახული[2].

იაკობ გოგებაშვილი ამბობდა: ილიას გარდაცვალების შემდეგ გამოირკვა, რომ ვალი აღემატებოდა მთელს მის ქონებასაო. გოგე-

---

[1] გაზეთი „ივერია“, 1886 წ., № 218.

[2] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის ფონდი № 258.

ბაშვილის მიერ მოწოდებული ცნობა ამჟამად უკვე მეცნიერული კვლევა-ძიებით სავსებით დადასტურებულია [1].

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში შემდგომი აღმავლობის გზით მიდიოდა. დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე თვითმპყრობელური სახელმწიფოებრივი რეჟიმისადმი ამ დროს კიდევ უფრო აშკარად დაპირისპირებული მოჩანს.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა

ილია ჭავჭავაძე, რომელიც მშობლიური ხალხის საერთო აღიარებით ქართველი ერის მამად ითვლებოდა, თავისსავე ქვეყანაში დღისით, მზისით შარაგზაზე ყაჩაღურად მოკლეს. ეს შემთხვევა ქართველთა ეროვნული ცხოვრებისათვის ნამდვილად ტრაგედია იყო.

მწერლის პიროვნების სისრულით გათვალისწინებისათვის მისი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდიდან რამდენიმე დამახასიათებელი მოვლენის გახსენება მაინც აუცილებელია.

ილიას ცხოვრების ბოლო წლებიდან განსაკუთრებული ინტერესის შემცველია მისი მიმართება 1905 წლის რევოლუციისადმი. ჯერ კიდევ გრიგოლ ყიფშიძეს აღნიშნული აქვს რამდენიმე კონკრეტული ფაქტი, რომლითაც გარკვევით იგრძნობა სახელოვანი მწერლის გულითადი მზრუნველობა მეფის თვითმპყრობელობის მიერ შევიწროებული ქართველი გლეხობის დასაცავად. ჩვენი მწერლისაგან გლეხობაზე ამგვარი მზრუნველობის საერთო მნიშვნელობას ვერ ამცირებს ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეულ მასალებში მეტწილად ლაპარაკია საგურამოელ და ყვარლელ გლეხებზე, რომლებთანაც უშუალო მეზობლურ ურთიერთობაში სახელოვანი მწერალი ხანგრძლივად ცხოვრობდა. გრიგოლ ყიფშიძე მოგვითხრობს:

„როცა ერთობის ყიჟინას მთავრობა წინ გადაუდგა და ჯარები მიუსია სოფლებს აგრარულ უწესოების მოსასპობად, საგურამოსაც ეწვივნენ ყაზახები. ილია სწერს ამ დროს (მარტი, 1905 წ.) თავის მოურავს:

„მოსე, თუ ვინიცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია, ჩემ მაგიერ ხთხოვე, ხალხი არ დაწიოკონ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებით-თქო. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალოს, მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე, მე თვითონ

[1] იხილეთ პროფესორ ტ. ხუნდაძის ნაშრომი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", 1960 წ., გვ. 137-141.

აწოვალ და თვითონ ეთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ-რა და ხალხი ტყუილ-უბრალოდ არ გააფუჭონ".

გრიგოლ ყიფშიძე თხრობას განაგრძობს: „როცა მეტად გამწვავდა საქმე და გლეხკაცობამ ცივი უარი სთქვა, მამულის პატრონს არას მიეცემთო, მამული ჩვენიაო, ადმინისტრაცია ახდევინებდა ძალით გლეხებს ღალა-კულუხსა და აბარებდა მემამულეებს. ილიასთვისაც ბოქაულს უნდა ჩაებარებინა თავისი კუთვნილი. ილია ამ დროს სწერს მოურავს:

„მოსე, აცნობე ბოქაულს, რომ მე ნახევარი ვაპატიე და ნახევარი-კი უთუოდ აზღვევინოს და შენის თანადასწრებით და სოფლელების თანდასწრებით ღარიბსა და ობოლ-ქვრივს დაურიგოს. სთხოვე ბოქაულს, ვისაც რას დაურიგებს, იმათი სახელი და გვარი შემატყობინოს"[1].

1905 წლის რევოლუციასთან ილია ჭავჭავაძის მიმართებაზე მდიდარი მასალები გამოვლინდა უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში, განსაკუთრებით ილიას ასი წლისთავის საიუბილეო დღეებში. ამ მასალებით ცხადი ხდება, რომ მწერალი რევოლუციის დასაწყისიდანვე თვალყურს ადევნებდა მის განვითარებას. იგი მხოლოდ ოფიციალური და საგაზეთო მასალებით კი არ კმაყოფილდებოდა, არამედ უშუალოდ პირადი მეგობრებისაგან მიღებული ცნობებით ყოველდღიურად საქმის კურსში იყო, იცოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შექმნილი ვითარება[2].

აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი მოგვითხრობს:

„1905 წლის მანიფესტის გამოცხადების წინ, როგორც ცნობილია, გურიის საქმე დიდად გართულდა. მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ალიხანოვის ჯარი გაგზავნა გურიის დასასჯელად. ეგ რომ ჩვენ შევიტყვეთ, თავზარი დაგვეცა, რადგანაც გურიას განადგურება ელოდა. შეიკრიბა მთელი ინტელიგენცია, ყველა პარტიების წარმომადგენლები, სამღვდელოება და გადასწყვიტეს დეპუტაცია გაეგზავნათ ვორონცოვთან და ეთხოვათ მისთვის, რომ დამსჯელი რაზმი უკან დაებრუნებია. დეპუტატები ამოირჩიეს ილიას მეთაურობით, რომელსაც უნდა ვორონცოვი დაერწმუნებია, რომ გურია დამშვიდდება და აღარავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევს მთავრობას. წავიდა ილია დეპუტაციით, დიდი მოლაპარაკებისა და

---

[1] ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, მ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914 წ., გვ. XXVI.

[2] ეს მასალები პირველად გამოიყენა ქრ. რაჭველიშვილმა თავის საინტერესო ნაშრომში. იხილეთ მისი წიგნი „ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული ნარკვევი", 1937 წ., გვ. 93-104.

თხოვნის შემდეგ დაითანხმეს ეორონცოვი. მან ალიხანოვი სამტრედიიდან დააბრუნა უკან“ [1].

ასეთია ერთი შემთხვევა ილია ჭავჭავაძისაგან ხალხის გადასარჩენად მზრუნველობისა. მაგრამ ეს მაინც ერთი შემთხვევაა და ამით ყველაფერი როდი მთავრდება. ილია ზურაბიშვილს თავის მოგონებაში გადმოცემული აქვს ჩვენი მწერლის გამოსვლა ერთ-ერთ საჯარო შეკრებაზე, რომელიც ნასაკირალის ამბებთან იყო დაკავშირებული. იგი წერს:

„ილიას საჯარო გამოსვლებიდან, ბანკის კრებების გარდა, მაგონდება ერთი შემთხვევა. ეს იყო 1905 წლის დამლევს, ნასაკირალის ამბების გამო. დასავლეთ საქართველოში დამსჯელი რაზმი იგზავნებოდა ალიხანოვ-ავარსკის უფროსობით. უეჭველი იყო ხალხის რბევა და ყლეტა-ხოცვა, რაც მოხდა კიდეც. ქართველი საზოგადოების წარმომადგენელნი შეიკრიბნენ სათათბიროდ, რომ ამ საქმისათვის ეშველნათ როგორმე. ამ თათბირს ილიაც დაესწრო და შესანიშნავი ენერგიული სიტყვა წარმოსთქვა. ამ გრძნობით და აზრით სავსე სიტყვის აღდგენას ვერ ვახერხებ, მეხსიერება მღალატობს. მაგრამ მახსენდება სიტყვის დასასრული. ილია წინადადებას იძლეოდა მეფისნაცვალს დელეგაცია მიუგზავნოთ და მოვთხოვოთ, დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა გადათქვასო, თანაც უნდა განუცხადოთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ყველანი იქ წავალთ და ჩვენ ძმებთან ერთად „костьми ляжем“ (სიტყვა ილიამ რუსულად წარმოთქვა).

„როდესაც ვიღაცამ შენიშნა, რომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არავინ ჩვენთაგანი არ წავა და „костьми не ляжет“-ო, ილიამ უპასუხა: „მაშინ სირცხვილი ჩვენ“ და, რამდენადაც მაგონდება, დაუმატა ერთ-ერთი შემდეგი ფრაზა: „ამ სირცხვილს ხალხი არ გვაპატიებს“ ან „თორემ ხალხი თითონ წავაო“ [2].

მოტანილი მასალებით სრულიად ნათელი ხდება ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობასთან. გარდა ამისა, ჩვენამდე მოღწეულია ისეთი ცნობებიც, რომელთა გათვალისწინება სახელოვანი მწერლის პიროვნებას კიდევ უფრო ამაღლებულად წარმოგვიდგენს. შეუძლებელია გულგრილი ვიყოთ იმ ფაქტის მიმართ, რომ ილიამ პირველმა მთელი თავისი ენერგიით გაილაშქრა მეფის თვითმპყრობელობის ერთი მკაცრი ღონის-

---

1 ლიტერატურის მატიანე, წიგნი VI, ნაკვეთი პირველი, 1952 წ., გვ. 36.

2 ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1939 წ., გვ. 323-324.

ძიების წინააღმდეგ. იგი წინ აღუდგა სამზადისს, რომ საქართველოს სოფლებში გაგზავნილი ყოფილიყო ქართველი თავადაზნაურობისაგან შემდგარი დამსჯელი რაზმები.

1906 წლის დამდეგს ერთი ასეთი რაზმი უკვე შედგენილი იყო და გამგზავრების წინ მისი მონაწილეები სათათბიროდ შეიკრიბნენ. თათბირს სხვა დაინტერესებული პირებიც ესწრებოდნენ. თათბირზე სიტყვით გამოვიდა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ამხილა რაზმის მიზანდასახულობათა სიავე და მისი დაშლისაკენ მოუწოდა. მოულოდნელი არაა, რომ დიდი მწერლის მოწოდებამ შედეგიც გამოიღო: „შავი რაზმი“ დაიშალა.

ამ შემთხვევაზე ვრცლად მოგვითხრობს დასახელებული თათბირის ერთ-ერთი დამსწრე არჩილ ჯაჯანაშვილი. წარმოდგენის სისრულისათვის აუცილებელია, რომ მოგონების ერთი ნაწილი მაინც გადმოვიტანოთ. ჯაჯანაშვილი წერს:

„1905 წელს თბილისში ჩამოხიზნული თავადაზნაურობა უმწეო ხროვას წარმოადგენდა. 1906 წელს-კი პოლიტიკური ატმოსფეროს შეცვლა იმათაც იგრძნეს და კონტრიერიშისთვის დარაზმვა დაიწყეს. თავადაზნაურობას, რასაკვირველია, თავისი მამულ-დედული და ფიზიკური არსებობის საკითხი აინტერესებდა. მაგრამ გამოჩნდნენ იდეებიც, რომლებსაც სურდათ გაშიშვლებული კლასიურ-წოდებრივი ზრახვები რაიმე თვალებასახვევი სამოსელით დაეფარათ.

„ამ საკითხის შესახებ დიდი თათბირი გაიმართა თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში. თავმჯდომარეობდა თავადაზნაურთა წინამძღოლი კამერ-იუნკერი გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი. მიხეილ მაჩაბელმა ის იყო დაამთავრა შავი რაზმის აპოლოგია, რომ უკანა რიგებში, სადაც „უცენზო“ საზოგადოება შეჯგუფულიყო, ჩოჩქოლი დაიწყო. ხალხი ორად გაიყო და გზა დაუთმო ილია ჭავჭავაძეს, რომელიც დინჯად პირველ რიგებისკენ გაემართა და მძიმედ სავარძელში ჩაეშვა. ეხლაც დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. თავმჯდომარემ სიტყვა მისცა მორიგ ორატორს. „უარს ვამბობ“, გაისმა კუნჭულიდან. მიუბრუნდა მეორეს — უარს ვაცხადებ, იყო პასუხი. ლაპარაკი აღარავინ მოისურვა. მაშინ სიტყვა ილია ჭავჭავაძემ ითხოვა“.

ამის შემდეგ მოგონების ავტორი ცდილობს ერთგვარი სიზუსტით გადმოსცეს ილიას სიტყვის შინაარსი. საგულისხმოა მისი განცხადება: „სიტყვის სტენოგრაფიული სისწორით აღდგენა, რასაკვირველია, აღარ შემიძლიან, მაგრამ აზრისა და ზოგ შემთხვევაში ცალკე წინადადებათა სისწორეშიც სრულს პასუხს ვაგებო“.

არჩილ ჯაჯანაშვილის გადმოცემით, ილია ჭავჭავაძეს თათბირის მონაწილეებისათვის შემდეგი სიტყვებით მიუმართავს:

„ბატონებო! რაც ჩვენში ხდება, ყველგან მომხდარა. არ არის მსოფლიოში არც ერთი ერი, არც ერთი სახელმწიფო, ასეთი რევოლუციები რომ არ მომხდარიყოს. ქარტეხილი გაივლის და ცხოვრება ისევ კალაპოტში ჩადგება. თავადაზნაურობას ბევრი აქვს მოცემული; ვისაც მეტი აქვს, იმას მეტი მოეთხოვება. რაც სხვას ეპატიება, თქვენ არ გეპატიებათ, მე ვხედავ თქვენს გაჭირვებას. მაგრამ — რას იზამთ, — უნდა მოითმინოთ. ისეთს ნურაფერს ჩაიდენთ, რომ, როდესაც ეს ამბავი გადაივლის და თქვენ სახლში დაბრუნდებით, მეზობლებთან პირი გქონდეთ შერცხვენილი და თვალებში შეხედვას ვეღარ უბედავდეთ. უნდა მოითმინოთ, მეტი გზა არა გაქვთ. ვისაც მოთმინება ვერ შეუძლიან და ვისაც გულისთქმა იმორჩილებს, სჯობს სოფელს დროებით თავი გააცილოს. ცოტა ხნით გაჭირვება სჯობიან სამუდამოდ დაღუპვასა და საშვილიშვილო მტრობის ჩამოგდებას თავადაზნაურობასა და გლეხებს შორის. რად გინდათ ეგ იარაღი რომ აგისხამთ! ვისთვის ამზადებთ თოფებს? გლეხებისათვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეს იარაღი მათ, ვინც დაგირიგათ“!

დასასრულ მოგონების ავტორი მოკლედ იმ შედეგებსაც გვაუწყებს, რაც ილიას ამ გამოსვლას მოჰყვა. იგი ამბობს: „უცენზო“ საზოგადოება სიტყვას ტაშით შეხვდა. „ცენზიანებს“ გული გაუფუჭდათ. შავი რაზმის „იდეოლოგი“ მიხეილ მაჩაბელი, ილია ჭავჭავაძის ძველი მეტოქე, სკამზე მოუსვენრად ტოკავდა, მაგრამ განაჩენი უკვე გამოტანილი იყო: ილია ჭავჭავაძის სიტყვის შემდეგ ამბუშელაშვილის რაზმმა ვეღარ იბოგინა“[1].

იმავე 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ილია ერთხელ მღვდლების კრებასაც დაესწრო და იქაც სიტყვა წარმოთქვა. ამ დროს განზრახული იყო სრულიად საქართველოს სამღვდელოების ყრილობის მოწვევა. ყრილობას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი უნდა განეხილა. ყრილობისათვის წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას ეწეოდა ქალაქ თბილისის სამღვდელოება. ბუნებრივია, რომ ასეთი ყრილობა მეფის ხელისუფლებისათვის სრულიად არასასურველი იყო და იგი მისი მოწვევის ნებართვას არ იძლეოდა.

ილიას ერთ-ერთი თანამედროვე ივ. ბუქურაული წერს:

[1] გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1936 წ., № 7.

„1906-7 წლებში უნდა ყოფილიყო დაახლოებით. საღამოა. შემხვდა მეგობარი.

„— არ მოხვალ? მომიბრუნდა მეგობარი, — დღეს 8 საათზე ნიკოლოზის ეკლესიის სამრევლო სკოლის შენობაში ქართველ ღვდლებს კრება აქვთ. ღვდლებს უნდათ გამართონ სრულიად საქართველოს სამღვდელოების კრება. მთავრობა ამის ნებას არ აძლევს და ამაზე იქნება სჯა-ბაასი. საინტერესოა, წავიდეთ.

„— წავიდეთ, — ვუთხარი მე და გავსწიეთ.

„სკოლის დარბაზი სავსე იყო ხალხით. ვინ გინდა, რომ აქ არ იყო. იყვნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირნი".

ილია ჭავჭავაძე სწორედ ამ წინასწარი კრების მონაწილე იყო. იგივე ივ. ბუქურაული მოგვითხრობს:

„ილია იჯდა დინჯად. თითებში პენსნეს ატრიალებდა და გულმოდგინედ ყურს უგდებდა ყოველ ლაპარაკს. მისი გაშლილი მაღალი შუბლი არც იშლებოდა, არც იკუმშებოდა, მისი დიდრონი ჭკვიანი და გამომეტყველი თვალები უყურებდნენ მოლაპარაკეს ისე, თითქო უნდა ჩაძვრეს მის გულში და ამოიკითხოს იმის გულის ნადებიო.

„სიჩუმე ჩამოვარდა, აღარავინ ლაპარაკობს. წამოდგა თავმჯდომარე ტყემალაძე და მიმართა ილიას:

„— ბატონო ილიავ, მოგეხსენებათ, როგორ დიდად გვიღირს თქვენი სიტყვა, დაგვარიგეთ, გვითხარით როგორ მოვიქცეთ?

„ილიამ დასდო პენსნე მაგიდაზე და სთქვა:

„— გული სუსტი მაქვს, ბევრს ვერ ვილაპარაკებ, აქ ბევრი კარგი აზრი იყო გამოთქმული, ჯერ კანონიერად მოიქეცით, მიმართეთ ეგზარხოსს, მეფის მოადგილეს, მიმართეთ თვით მეფეს და, თუ არაფერი გამოვა, არა უშავს-რა, ერთი-ორი მათრახი თქვენ ანაფორებსაც მოხვდესო.

„ბევრმა ხანმა არ გაიარა, სულ რამდენიმე დღემ — მღვდლები შეიკრიბნენ თბილისის სასულიერო სემინარიაში, მისცვივდნენ ყაზახები და ერთი-ორი მათრახი-კი არა, სულ ბურტყლი აადინეს მათ ანაფორებს"[1].

მღვდლების ამ კრებაზე ილია ჭავჭავაძის დასწრება შემთხვევითი არ ყოფილა. „მგზავრის წერილების" ავტორის ეროვნულ პროგრამაში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი თავისთავად იგულისხმება. ეს საკითხი მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებ-

[1] ლიტერატურის მატიანე, წიგნი I—II, 1940 წ., გვ. 182-184.

ში განსაკუთრებით მწვავედ იდგა. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი მოგვითხრობს:

„როდესაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი დაისვა, დიდი ხნის განმავლობაში იგი მსჯელობის საგნად იყო გამხდარი და ქართულ-რუსულ ენებზე მის შესახებ ბევრი წიგნები და სტატიებიც იბეჭდებოდა. ამ საქმეში ჩვენ მედგრად გვეხმარებოდნენ რუსი სლავიანოფილები დურნოვოს მეთაურობით. მათ არა სწამდათ სინოდი და ცდილობდნენ პატრიარქობის აღდგენას როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. დურნოვო ამბობდა: — „საქართველო უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოა. ქართველებმა ქრისტიანობა მაშინ მიიღეს, როდესაც რუსეთის სახელმწიფო არ არსებობდა და რუსები არც ქრისტიანები იყვნენ. ისტორიულად მათ თავიანთი კათალიკოს–პატრიარქი ჰყავდათ და ახლაც ისე უნდა იყოსო“.

ექვთიმე თაყაიშვილის გადმოცემით, ქართველობამ ილიას დაავალა ამ საკითხზე მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვთან მოლაპარაკება ეწარმოებინა. ილიამ დავალება შეასრულა; მეფისნაცვალი ინახულა და მასთან ხანგრძლივი საუბარიც ჰქონდა, მაგრამ ცბიერი ბოხელე მაინც ვერ დაიყაბულა. ბოლოს გადავწყვიტეთო, — ამბობს შოგონების ავტორი: — „მთავრობის წინააღმდეგ დიდი მანიფესტაცია მოგვეხდინა და დემონსტრატიულად მოგვეთხოვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია“. იგი წერს:

„როდესაც წამოიჭრა საკითხი, ვინ გაუძღვება წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას, ილიამ თქვა: „თუ საჭიროა, მე წაგიძღვებითო“. მაგრამ შემდეგ ისე წავიდა თვითმპყრობელური რუსეთის საქმე, რომ ამ დემონსტრაციის მოწყობა აღარ დაგვჭირდა“. დასასრულ ექვთიმე თაყაიშვილი ამბობს:

„ილიასაგან არავინ არ მოელოდა, თუ ის დემონსტრაციის მეთაური გახდებოდა და თავის ჩვეულებრივ სიფრთხილეს გადალახავდა. მაშინ ღრმად დავრწმუნდი, რომ ილია თავს არ დაზოგავდა და არც უკან დაიხევდა საზოგადო საქმეში, თუ კი ეს საჭირო იქნებოდა საქართველოს კეთილდღეობისათვის“[1].

ასეთია უმთავრესი დამახასიათებელი ფაქტები, რომლებშიც გამოხატულებას პოულობს ილიას მიმართება 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობასთან. აქვე გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ ისეთი მოვლენებია, რომელნიც ჩვენი მწერლის თანამედროვეთა ხსოვნაში განსაკუთრებით აღბეჭდილან. ბუნებრივია, რომ

[1] ლიტერატურის მატიანე, წიგნი VI, ნაკეთი პირველი, 1952 წ., გვ. 7-9.

სამი ათეული წლის შემდეგ დაწერილ მოგონებებში ფიქსირებულია მხოლოდ ის ფაქტები, რომელნიც სხვებზე უფრო ძლიერი და დასამახსოვრებელი აღმოჩნდნენ. მაშასადამე, მსგავსი მოვლენები ილიას ცხოვრებაში სავსებით შესაძლებელია სხვაც ყოფილიყო.

არსებული მასალის საფუძველზე მხოლოდ იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ჩვენი მწერალი 1905 წლის რევოლუციას თავიდანვე გულითადად შეხვდა. იგი მისთვის ჩვეული სიფხიზლით თვალყურს ადევნებდა მოვლენათა განვითარებას და დროდადრო თვითონ პირადად ერეოდა მომენტის მიერ წამოჭრილ საჭირბოროტო კითხვებში. ილია ჭავჭავაძე 1905 წლის რევოლუციის უპოქაში ყოველთვის ხალხის ინტერესების გამომხატველად, რეაქციის ძალთა შემოტევისაგან ფართო მასების აშკარა დამცველად გამოდიოდა.

მომდევნო პერიოდში მწერლის პრაქტიკული საზოგადოებრივი საქმიანობის არე კიდევ უფრო ფართოვდებოდა. ამასთანავე, მისი შეურიგებელი დამოკიდებულება მეფის თვითმპყრობელური წესწყობილებისადმი წინანდებურად გრძელდებოდა და ახალ პოლიტიკურ სიტუაციაში კიდევ უფრო მკვეთრ ხასიათს იღებდა.

* * *

1906 წლის აპრილში რუსეთის იმპერიის თავადაზნაურთა ყრილობამ ილია ჭავჭავაძე უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულების, სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია. ამ დროს მწერალი უკვე ფართოდ ცნობილი პიროვნება იყო როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაში. გრიგოლ ყიფშიძე მოგვითხრობს:

„1906 წელს, 28 მარტს, თუმცა დიდ უარზეა, მაგრამ ილია კვლავ იგზავნება პეტერბურგს, ახლა თავადაზნაურობის დავალებით, რათა მონაწილეობა მიიღოს, როგორც ამომრჩეველმა, სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში. 6-8 აპრილს სწარმოებს არჩევნები და სრულიად რუსეთის თავადაზნაურობა ილიასაც ირჩევს სახელმწიფო საბჭოს წევრად, როგორც მთელ საქართველოს თავადაზნაურობის ერთადერთს წარმომადგენელს“[1].

ილია ჭავჭავაძემ საბჭოში არჩევის პირველსავე დღეებში პრესის წარმომადგენლებთან ოფიციალურ საუბარში განაცხადა:

„სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურობამ. ეს

---

1 ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, მ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914 წ., გვ. LXXXI.

იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო აზნაურ-თავადთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობენ ზოგნი ჩემი ამომრჩეველნი აქაური რუსთა აზნაურები — ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავად-აზნაურთა სახელით შევდივარ — ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ღონეს"[1].

მწერლის ამ განცხადებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი გარემოებანი: 1. — ილია ჭავჭავაძე, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი, თავის თავს ვალდებულად თვლის მნიშვნელოვანი დრო და ენერგია მოახმაროს საერთო კითხვებს, ე. ი. იმდროინდელი რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისათვის ერთნაირად საინტერესო და საჭირბოროტო კითხვებს. 2. — ილიას მიაჩნია, რომ იგი სახელმწიფო საბჭოში საქართველოს წარმომადგენულია და, მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა ამ ქვეყნისა და ხალხის საქმეს უნდა ემსახუროს. ამასთანავე მწერალი სრულიად გარკვევით მიუთითებს, რომ მართალია, სახელმწიფო საბჭოში თავადაზნაურობის სახელით შედის, მაგრამ იგი „მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი" იქნება.

ასეთია ილია ჭავჭავაძის განცხადების ძირითადი აზრი. ეს განცხადება ნამდვილი პროგრამაა დიდი მწერლის მოღვაწეობისა ერთ პერიოდში. როგორც თვითონ მწერალი ამბობს, ამ პროგრამაში მთავარია ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად შეუნელებელი ზრუნვა. ეს საზრუნავი დიდმა მამულიშვილმა სამშობლოდან შორეულ ჩრდილოეთში ჩაიტანა. სწორედ პეტერბურგს გამგზავრების წინა პერიოდში ხდებოდა ის ფაქტები, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, ხოლო სახელმწიფო საბჭოში არჩევის შემდეგ იგივე საქმიანობა ბუნებრივად გრძელდება.

იმავე საუბარში ილია საგანგებოდ შეჩერდა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში საქართველოში შექმნილ ვითარებაზე. მან რუსეთის ფართო საზოგადოებრიობის გასაგონად განაცხადა: ის, რაც რუსულ გაზეთებში საქართველოს მდგომარეობაზე იწერება, მეასედია იმისა, რაც სინამდვილეში ხდებაო.

„ჩვენი ხალხის ცხოვრება ჯოჯოხეთად გარდაქმნეს, — ამბობდა ილია, — მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი დეპუტატები სათათბიროში ამ საგანზე აღძრავენ კითხვას. თუ სახელმწიფო საბჭოში მოხერხდა,

---

[1] მალაქია ბოლქვაძე, „ახლო წარსულიდან, ილია ჭავჭავაძე რუსეთში", იხილეთ ჟურნალი „განათლება", 1908 წ., № 3-4, გვ. 108.

იქ ვეცდები დაუფარავად დავხატო სრული და უტყუარი სურათი ქვეყნის ვაებისა".

ჩვენი მწერალი სახელმწიფო საბჭოში თავიდანვე შეუერთდა გამოჩენილ რუს მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მოწინავე წრეს, რომელიც მეფის თვითმპყრობელობას ოპოზიციაში ედგა. ილია ხშირად ესწრებოდა აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს სხდომებს, რომლის ტრიბუნიდან ჩვეულებრივად თვითმპყრობელური წესწყობილების გამკიცხავი სიტყვები გაისმოდა. თანამედროვეთა გადმოცემით, სახელოვანი ქართველი მოღვაწე ასეთ მძიმე სიტყვებს სიამოვნებით ისმენდა და ხშირად თავის კმაყოფილებას სრულიად დაუფარავად გამოხატავდა.

ჟურნალისტი მალაქია ბოლქვაძე მოგვითხრობს, რომ ერთი ასეთი სიტყვის მოსმენის შემდეგ ილია ჭავჭავაძე „წამოდგა, ჩამოუარა ჩვენს (ჟურნალისტების — ა. მ.) ლოჟას და ნელის ფეხის ნაბიჯით გასწია კულუარებისაკენ. მაშინდელი მისი სახის გამომეტყველება არასდროს არ დამავიწყდება. აქ იხატებოდა უსაზღვრო კმაყოფილება, სიამოვნება, ნეტარება მტრის დამარცხებაზე აშენებული. ილიას სული და გული ღელავდა, მთელს სახეს ალმური მოსდებოდა, ზღვა-თვალნი ბრწყინავდნენ.

„მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა... ნეტავ რა გუნებაზე არიან მინისტრები? ძლიერი მათრახია, ურყევ საფუძველზე აშენებული", — ამბობდა ილია[1].

დასასრულ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ფაქტი, რომლითაც საბოლოოდ ნათელი ხდება მწერლის აშკარად მტრული დამოკიდებულება მეფის რუსეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილებისადმი. საქმე ასე იყო.

სახელმწიფო საბჭოს 1907 წლის გაზაფხულის სესიაზე დღის წესრიგში იდგა საკითხი სიკვდილით სასჯელის თაობაზე. საბჭოს წევრთაგან შემდგარი მოწინავე ჯგუფი, რომელსაც ჩვენი მწერალი ეკუთვნოდა, იბრძოდა იმისათვის, რომ რუსეთის იმპერიაში მოქალაქეთა სიკვდილით დასჯის პრაქტიკა მოსპობილიყო. ილიას განზრახული ჰქონდა ამ საკითხზე სახელმწიფო საბჭოში სიტყვით გამოსულიყო.

უტყუარი დოკუმენტური მასალებით დადასტურებულია, რომ დიდი მგოსანი ასეთი სიტყვისათვის მისთვის ჩვეული გულმოდგინებით ემზადებოდა. ჩვენამდე მოღწეულია ილიას ხელით დაწერილი თეზისები, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა მის სიტყ-

[1] ჟურნალი „განათლება", 1908 წ., № 3-4, გვ. 115.

ვას. ამასთანავე მწერლის თანამედროვეები გადმოგვცემენ, რომ იგი თავის სიტყვის შინაარსს წინასწარ აცნობდა მასთან დაახლოებულ ადამიანებს[1].

ილია ჭავჭავაძეს სიტყვა, რომლისთვისაც იგი ემზადებოდა, საჯაროდ არ წარმოუთქვამს. სახელმწიფო საბჭოს ოფიციალურ მასალებში ასეთი ფაქტი ფიქსირებული არაა. აქვე უნდა ითქვას, რომ მწერალმა სახელმწიფო საბჭოში განზრახული სიტყვის წარმოთქმა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ შეძლო. მიზეზი არსებითად ის იყო, რომ სიკვდილით დასჯის მოსპობის საკითხი სახელმწიფო საბჭოს დღის წესრიგიდან საერთოდ მოიხსნა. სავსებით მართალი იყო მკვლევარი ქრ. რაჭველიშვილი, რომელიც წერდა:

„ილია ჭავჭავაძემ ვერ მოასწრო ამ სიტყვის წარმოთქმა პლენუმზე, რადგან 1907 წლის ზაფხულს მეორე სახელმწიფო სათათბიროც დაითხოვეს. სახელმწიფო საბჭომ შესწყვიტა მუშაობა ოქტომბრამდე და ილიაც სამშობლოსაკენ გამოემგზავრა“[2].

ჟურნალისტ მ. ბოლქვაძის მოგონებაში არის კიდევ ერთი მითითება, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. იგი მოგვითხრობს კონკრეტულად იმ მომენტზე, როდესაც ილია პეტერბურგიდან სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო. მოგონების ეს ნაწილი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აქ უკვე სავსებით აშკარად იგრძნობა ნაცნობთა და ძეგობართა ერთგვარი შიში დიდი მწერლის მიმართ მოსალოდნელი საფრთხის გამო. მალაქია ბოლქვაძე წერდა:

„ნაცნობ-მეგობრები არ ურჩევდნენ ილიას საქართველოში წასვლას. დარჩი აქ. ცარსკოე სელოში ან სხვაგან ქალაქის გარე დაბინავდი, — ეუბნებოდნენ. ჩვენში გამწვავებული ცხოვრებით აშინებდნენ. ილიას მეუღლესაც არ სურდა კავკასიაში გამგზავრება, ისიც წინააღმდეგი იყო.

„როგორ შეიძლება?! ამდენი ხანია არ ვყოფილვარ საქართველოში!.. ზაფხული თუ იქ არ გავატარე, ჩვენს ქვეყანას არ გადავხედე — ზამთარში აქ რა გამაძლებინებს?! განა დიდი ხანი დამრჩენია? უთუოდ წავალ, — გადაწყვეტით ამბობდა ილია“[3].

მოტანილი სტრიქონებიდან ყოველგვარი გაზვიადების გარეშე იგრძნობა აშკარა საფრთხე და ამ საფრთხით აღძრული შიში ილია

---

[1] გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 17513. იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 465-467.

[2] ქ. რაჭველიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული ნარკვევი, 1937 წ., გვ. 112.

[3] ჟურნალი „განათლება“, 1908 წ. № 3—4, გვ. 135.

ჭავჭავაძის სიცოცხლეზე. ამგვარ გრძნობას კიდევ უფრო აძლიერებს მისი საპასუხო სიტყვები გულშემატკივარი მეგობრების მიმართ: „მე იქ რა უნდა მაშინებდეს? მე არავინ არას მიზამს საქართველოში. შიშით განა აქ უფრო არ უნდა მეშინოდესო“.

* * *

ილია ჭავჭავაძე 1907 წლის ივლისში სამშობლოში ჩამოვიდა. იგი ზაფხულს თბილისსა და საგურამოში ატარებდა. დიდი მწერლის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებზე საინტერესო მოგონებას იძლევა არტურ ლაისტი. ლაისტი უკანასკნელ დღეებში უშუალოდ მასთან იყო. იგი ილიასთან საგურამოში მივიდა 21 აგვისტოს და მასთან გაატარა თითქმის ერთი კვირა. მისი მოკლე, მაგრამ მრავალისმეტყველი მოგონება უდავოდ მძიმე განცდებს აღუძრავს ყველა მგრძნობიარე მკითხველს, რომელსაც ილიას ცხოვრებაში ჩაუხედავს და მისი პიროვნება განუცდია. არტურ ლაისტი მოგვითხრობს:

„მეგობრული ღიმილით მომეგება ილია და ჩვეულებრივად მკითხა, რამდენი ხნით მეწვიეო. ხანმოკლე სტუმრობა არ უყვარდა და ხშირად მომიხდებოდა ხოლმე მეტის ხნით დარჩენა, ვიდრე ვფიქრობდი.

„დაღონებული იყო, ემდუროდა სხეულის სისუსტეს და აწუხებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცუდი ამბები, მაგრამ არ უყვარდა ამის შესახებ ლაპარაკი და ამჯობინებდა რასმე წაკითხვას ან ისეთ საგნებზე ლაპარაკს, რომელთაც შეეძლოთ დაევიწყებინათ არევ-დარეულობის სამწუხარო სურათები...

„საზოგადოდ შევნიშნე ენერგიის სისუსტე და ის სიფიცხე, რომელიც სჩვევია მოხუცებულობას. აღარ ჰქონდა, როგორც შევამჩნიე, წინანდებური სიყვარული სხვასთან ყოფნისა და ლაპარაკისა...

„დიაღ, ველარ ვიცანი ილია. აღარ იტაცებდა ბუნება, არ აოთობდა საუბარი და თითქმის ერთხელაც არ ამოუღია ხმა მწერლობის შესახებ. მისი სულიერი მდგომარეობის ზედგავლენით, მეც დავკარგე მხიარულობა და ვიგონებდი წინანდელს დროს და მასთან ერთად ძველი მეგობრის მაშინდელ სიცოცხლეს“[1].

27 აგვისტოს ილია, ოლღა და არტურ ლაისტი საგურამოდან თბილისში ჩამოვიდნენ. სამი დღის განმავლობაში ილია და ოლღა თბილისში იმყოფებოდნენ.

1907 წლის 30 აგვისტო ხუთშაბათი დღე იყო.

[1] კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 86.

ილია და ოლღა საგურამოსაკენ მიემგზავრებოდნენ. მათთან ერთად იყო იაკობ ბითარიშვილი. ეტლი მიჰყავდა თედო ლაბაურს, რომელიც მკვლელობის სამზადისს განდობილი იყო. იმ ადგილას, საიდანაც საგურამომდე ოთხიოდე კილომეტრი რჩებოდა, ეტლს თავს დაესხნენ და მკვლელობა მოხდა.

პირველ სექტემბერს გაზეთი „ისარი“ წერდა: „საზარელი ამბავი ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ თბილისში 30 აგვისტოს საღამოს 6 საათზე მოვიდა: „ისრის“ რედაქციამ-კი დეპეშა მიიღო მეცხრე საათზე, როცა გაზეთი უკვე დაბეჭდილი იყო და პროვინციაში წასაღებად უკვე სადგურზე გაგზავნილი. ამიტომ თვით სტამბაში მოესწროთ ორი სტრიქონის ჩამატება და ისიც თბილისის ხელის მოწერლებისათვის. აღსანიშნავია, რომ „ისრის“ თანამშრომელს, შემთხვევით იმ დღეს მცხეთაში მყოფს, რედაქციისათვის დეპეშა ნაშუადღევის 4 საათზე გამოუგზავნია, რედაქციაში-კი საღამოს მეცხრე საათზე მიიღეს! დაუჯერებელი ამბავი იმ საღამოსვე მსწრაფლ მოედო მთელ თბილისის ქართველობას და თავზარი დასცა ყველას“.

ქართველი ერის მამის მკვლელობის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა. საგურამოში, სადაც მწერლის ცხედარი შვიდ სექტემბრამდე ესვენა, ყოველდღიურად უამრავი მნახველი მიდიოდა როგორც თბილისიდან, ისე მახლობელი რაიონებიდან. მთელს საქართველოში უჩვეულოდ მძიმე ატმოსფერო იყო შექმნილი. ყველა კუთხიდან გლოვისა და პროტესტების ხმები ისმოდა.

ილიას ცხედარი შვიდ სექტემბერს საგურამოდან თბილისში გადმოასვენეს. იმ მომენტში, როდესაც ცხედარი შენობიდან ეზოში გამოიტანეს, „სწორედ ამ დროს განსვენებულის სახლზე, რომელიც მთელ საგურამოს, არაგვის ხეობასა და მუხრანის ველს ზევიდან დასცქერის, უშველებელი შავი დროშა აიფრიალეს“. იმ დროს, როდესაც მწერლის ცხედარი თბილისისაკენ მიმავალ გზაზე გამოასვენეს, „პროცესია მთელ ვერსზე გაიჭიმა“.

სამგლოვიარო პროცესიას, რომელიც დამკრძალავი კომისიის მიერ წინასწარ გამოცხადებული წესისამებრ მოდიოდა, გზადაგზა უამრავი ხალხი უერთდებოდა, სამ საათზე პროცესია თბილისში ვერის ჯვართან იყო. აქ მას თბილისელებიც შეუერთდნენ. ამ დროს უკვე „სულ ცოტა სამოცი ათასი კაცი და ქალი იქნებოდა“[1].

შვიდ და რვა სექტემბერს ილიას ცხედართან გამოსათხოვებლად მივიდა ათიათასობით ადამიანი. მათ შორის ბევრი საქართველოს

[1] კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 149.

შორეული კუთხეებიდან იყო ჩამოსული. 9 სექტემბერს დილის შვიდი საათიდანვე დაიწყო ხალხის დენა სიონის ტაძრისაკენ. „მოწესრიგეებმა დილა-ადრიანვე გაინაწილეს საქმე და მაშინვე შეუდგნენ გვირგვინების და დეპუტაციების დამწკრივებას".

თერთმეტ საათსა და ოცდაათ წუთზე სიონის ტაძრიდან პროცესია მთაწმინდის პანთეონისაკენ გაემართა. მოედნიდან რუსთაველის პროსპექტით მომდინარე ზღვა ხალხი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შენობასთან შეჩერდა. შენობა სამგლოვიარო ძაძებით იყო შემოსილი.

რუსთაველის პროსპექტისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის გავლით პროცესია მთაწმინდაზე ავიდა. „პროცესიაში ასიათას ქალსა და კაცზე მეტი იღებდა მონაწილეობას". მრავალრიცხოვანი დელეგაციები იყო ჩამოსული კახეთიდან, იმერეთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, სვანეთიდან, რაჭიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან, სამცხე-ჯავახეთიდან და სხვა რაიონებიდან.

პროცესია ერთხელ კიდევ მცირე ხნით მამადავითის მოედანზე შეჩერდა. აქაც რამდენიმე სამგლოვიარო სიტყვა წარმოითქვა. სწორედ ამ დროს სიტყვით გამოვიდა ვაჟა-ფშაველა, რომელიც ქართველი მწერლების სახელით ბრძენი მოღვაწის ცხედარს ასე გამოეთხოვა:

„დიადო მგოსანო! ყველანი ერთად ვსდებთ ფიცს წინაშე შენის დიდებულის ნეშტისა, რომ შენ მიერ აფრიალებული დროშა არ დავსწიოთ დაბლა, არამედ იგი გვეჭიროს მაღლა, თვალსაჩინოდ და ვემსახუროთ შენს მიერ ნაანდერძევ იდეალებს — ძმობის, ერთობის, თავისუფლების და სიყვარულისას მტკიცედ, შეუდრეკელად" [1].

როგორც მიმომხილველი წერდა, „სიტყვების შემდეგ განსვენებულის გვამი ეტლიდან გადმოასვენეს და მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ ხელით აასვენეს აღმართზე"[2].

ნაშუადღევის ხუთ საათზე საქართველოს სულიერი მამის ძვირფასი ნეშტი საბოლოოდ მთაწმინდის მიწამ მიიბარა.

* * *

ბოლოდნელი სრულიადაც არაა, რომ ილიას მკვლელობა ქართველი ხალხის საერთო გულისწყრომას იწვევდა. მთელი ერი ფეხ-

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ტ. IX, 1964 წ., გვ. 273.

[2] კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", 1907 წ., გვ. 157.

ზე იდგა და ბობოქრობდა. ასეთ ვითარებაში სიტყვა ისევ ქართულ მწერლობას უნდა ეთქვა, მის წინაშე ორი უმთავრესი ამოცანა იყო: ერთი — მხილება იმ შავ-ბნელი ძალებისა, რომლებმაც ქართველ ხალხს ილია მოუკლეს და მეორე — იმავე ქართველი ერის დარაზმვა და გაშხნევება, გამოყვანა იმ სასოწარკვეთილებიდან, რომელსაც საზარელი მკვლელობა იწვევდა. ეს ორი მომენტი, რაც არსებითად მთელს იმდროინდელ ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ აზრს აღელვებდა, მკაფიოდ იგრძნობა ყველა წერილში, სიტყვასა და ლექსში, რომელიც მწერლის სამგლოვიარო დღეებში თბილისურ პრესაში გამოქვეყნდა.

ბუნებრივია, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ ტრაგედიას პირველი აკაკი წერეთელი გამოეხმაურა. აკაკიმ ილიას მკვლელობას საქართველოს ბედისწერის გადაწყვეტა უწოდა. სახელოვანი მგოსანი მრავალმნიშვნელოვნად ამბობდა:

ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას — ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა
და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა... — საქართველოს ბედისწერა?

აკაკის ლექსს თავისებური გამამხნევებელი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხისათვის. იმ დროს, როდესაც მთელ საქართველოში ჯუმშარიტად მძიმე ვითარება იყო შექმნილი, კვლავ გაისმა მისი იმედიანი ძახილი ილიას მშობელი ერის ძალასა და უკვდავებაზე. მხცოვანი მგოსანი წერდა:

არა, არა!.. მითქმა-მოთქმა — ის მშობელი არ ბოკვდება,
ეს, მშიშარა ტყუილია... — წარმოშობა ვინც ილიას!!

აკაკიმ ილიას, როგორც მშობლიური ხალხისათვის სწორუპოვარ შოღვაწეს, სამარადისო უკვდავება უწინასწარმეტყველა. მან ილიას უწოდა ლამპარი, რომელიც ქართველ ერს მომავალშიც გზას გაუნათებს. იგი ამბობდა:

და ილიაც არ მომკვდარა...
მამულისთვის რჩება ლამპრად.

აკაკიმ ვერაგულად მოკლული მწერლის დასაფლავებამდე კიდევ ერთი წერილი გამოაქვეყნა სათაურით „ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!“ აქაც გამოხატულებას პოულობს იგივე განწყობილებანი, რაც ზემოგანხილულ ლექსში იყო გამოსახული.

1907 წლის 9 სექტემბერს, ილიას დასაფლავების დღეს, როდესაც პროცესია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შენობასთან შეჩერდა, აკაკი მგრძნობიარე სიტყვით გამოეთხოვა თავის ნახევარსაუკუნოვან მეგობარს. მგოსანმა ასიათასიანი პროცე-

სიის მონაწილეთა წინაშე ვერაგულად მოკლული დიდი მწერლისა და მამულიშვილის დასახასიათებლად თქვა:

„ახალ მოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძევს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო“? გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!.. და მეც, როგორც ქართველს, მწუხარების გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ვეღარას ვამბობ და გადავდივარ საპირადოზე: მშვიდობით ძმაო! — გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ურთს უღელს ვეწეოდით; ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტო დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ ეჰ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!..

„შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად იღაღადებენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ვეღარც არას დააკლებს და ვეღარც რაიმეს მიუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰა საქართველოს ყოველ კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს!.. და, ვინ იცის, ეგებ სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობასა და სიყვარულს! მშვიდობით, ძმაო! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!“[1].

ასე გამოეთხოვა აკაკი წერეთელი ვერაგულად მოკლულ მწერალს და თავის პირად მეგობარს. ილიასადმი განსაკუთრებული პატივისცემა აკაკის წიწამურის ტრაგედიის შემდეგაც არაერთგზის გამოუთქვამს. კონკრეტულ შემთხვევაში ორიოდე ფაქტის დასახელება მაინც აუცილებელია. ერთი ის არის, რომ სახელოვანი მგოსანი მგრძნობიარე სიტყვით გამოვიდა ილია ჭავჭავაძის სამოქალაქო პანაშვიდზე 1910 წლის 29 აგვისტოს[2].

ამავე თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ილიას ძეგლის გახსნაზე აკაკი წერეთლის გამოსვლის ფაქტი.

[1] აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. XIV, 1961 წ., გვ. 321.

[2] იქვე, გვ. 361.

საქმე ასე იყო. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც მკვლელობის პირველი დღეებიდანვე ილიას ჭირისუფლად გამოდიოდა, მის საფლავზე ძეგლის ასაგებად საქმიანობას 1908 წლიდან შეუდგა. 1913 წლის აპრილის ბოლოს ძეგლი უკვე მზად იყო, ხოლო 5 მაისს იგი ოფიციალურად გაიხსნა. ჩვენამდე მოღწეულია ძეგლის გახსნის წინ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაგზავნილი მოსაწვევი ბარათის ტექსტი. იგი ასე იკითხება:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა პატივისცემით გაუწყებთ, რომ კვირას, 5 მაისს, მთაწმინდის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის მგოსნის და საზოგადო მოღვაწის ი ლ ი ა გ რ ი გ ო ლ ის ძ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის გათავებისთანავე მოხდება ძეგლის კურთხევა ი ლ ი ას საფლავზე. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე“ [1].

1913 წლის 4 მაისს „სახალხო გაზეთი“ თავის ახალ ამბებში ფართო საზოგადოებრიობას ატყობინებდა:

„ილიას ძეგლის კურთხევის დღეს, 5 მაისს, მამა დავითის ეკლესიაში მწირველი იქნება ყოვლად სამღვდლო ანტონი, ეპისკოპოსი გორისა, ქალაქის ქართველ სამღვდელოების უმაღლეს წარმომადგენელთა თანამწირველობით. წირვასა და პანაშვიდზე იგალობებს ქართულ ფილანმონიულ საზოგადოების გუნდი. ძეგლის გახსნა იკისრა მხცოვანმა მგოსანმა აკაკიმ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ საგანგებო მისაწვევი ბარათები დაუგზავნა სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებასა და წერა-კითხვის საზოგადოების ყველა განყოფილებას“.

„სახალხო გაზეთის“ 5 მაისის ნომერი მეტწილად ილია ჭავჭავაძის ძეგლის გახსნისადმია მიძღვნილი. ნომერში დაბეჭდილია კიტა აბაშიძის, გერონტი ქიქოძის, იაკობ ფანცხავას, სამსონ ფირცხალავას წერილები და ამ შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა ცნობები. იქვე დაბეჭდილია იროდიონ უვდოშვილის ლექსი „ილია ჭავჭავაძის ძეგლს“.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ილიას ძეგლის გახსნა თავისთავად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. ძეგლის გახსნას ათასობით ადამიანი ესწრებოდა. გარდა თბილისელებისა, ამ შემთხვევის გამო ხალხი საქართველოს შორეული კუთხეებიდანაც იყო ჩა-

[1] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის ფონდი, № 103.

მოსული. 1913 წლის 5 მაისს მთაწმინდის პანთეონში შექმნილ ვითარებაზე საკმარისი სისრულით მოგვითხრობს ერთი მიმოხილვითი ხასიათის წერილი, რომელიც „სახალხო გაზეთის“ 7 მაისის ნომერში გამოქვეყნდა. მიმოხილვა შემდეგი სიტყვებით იწყება.

„იშვიათს დიდებულ სურათს წარმოადგენდა მთაწმინდა კვირას, 5 მაისს. ეკლესიასა, გალავანსა და გალავანს გარეთ მრავალ ხალხს მოეყარა თავი და ერთი აზრით, ერთის ფიქრით გამსჭვალულიყო. მთაწმინდის გრძელსა და ძნელად ასასვლელ გზაზე დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე ხალხის დენა არ შემწყდარა“.

მიმომხილველის სიტყვით, დილის 9 საათზე წირვა უკვე დაიწყო. როგორც წინასწარ იტყობინებოდნენ, მწირველი იყო გორის ეპისკოპოსი ანტონი, ხოლო თანამწირველები იყვნენ თბილისის იმდროინდელი სამღვდელოების თვალსაჩინო წარმომადგენლები: არქიმანდრიტი ნაზარი, მამადავითის ეკლესიის წინამძღვარი ნ. მაჭარაშვილი, ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვარი კ. ცინცაძე, დეკანოზი გ. ასათიანი, ტარასი ბერი, მღვდელი ვ. ხახიშვილი და სხვები.

პანაშვიდის დაწყებამდე ეპისკოპოსმა ანტონმა ილიას დასახასიათებლად „წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა“. იქვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრმა დავით კარიჭაშვილმა დამსწრეებს ილიას ძეგლის მშენებლობის ისტორია გააცნო.

პანაშვიდის შემდეგ ილიას ძეგლთან აკაკი წერეთელი გამოჩნდა. მხცოვანმა მგოსანმა ჯერ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ხოლო შემდეგ ძეგლს საბურველი მოხსნა. იმ დღეს როგორც პანთეონში, ისე თეატრში გამართულ საღამოზე ილია ჭავჭავაძის მისამართით ბევრი შინაარსიანი და მგრძნობიარე სიტყვა ითქვა, მაგრამ აკაკის გამოსვლა მაინც განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო. მან ილიას ძეგლის გახსნაზე დამსწრე საზოგადოებას ასე მიმართა:

„ბატონებო! მრავალმეტყველება და ბევრი მითითება არ არის საჭირო იმისათვის, ვინც სიცოცხლეშივე ძალ-უნებურად ჩაესახა თვალსა და გულში მის თანამედროვობას.— ამისთანას ეკუთვნოდა ისიც, ვის პატივსაცემლად დღეს აქ შეკრებილვართ. თვალწინ გვიდგია მისი ვერაგული სიკვდილი და გვიკვირს, თუმცა კი გასაკირი არ არის-რა: ქრისტე მაცხოვარმა თორმეტი მოციქული აირჩია მთელს კაცობრიობაში და იმათთაგანი ერთი იუდა გამოდგა.— სადაც ვარდი იფურჩქნება, იქ ეკალიც ჰმოდის. ადამიანებშიც ასეა: შეგნებულებს შეუგნებლები უდგიან გვერდში და აი, სწორედ ამისთანებმაც ჩაიდინეს უსამართლობა.— დიახ, ჩაიდინეს, მაგრამ მათ-და უნებურად შესძინეს კიდევ ერთი გვირგვინი მწუხარებისა

და გულდაწყვეტისა. მთელი შეგნებული ქართველობა იგლოვს და სტირის თავის დაუვიწყარ შვილის დაკარგვას. იდეის მხრით დიდია ეს ჭანდაკება და ამას ახლავ თქვენის თვალითაც ნახავთ"[1].

ასეთი იყო აკაკის უკანასკნელი გამოსვლა ფართო საზოგადოების წინაშე ილიას სადიდებლად. ძნელი არაა წარმოვიდგინოთ ადამიანური განცდა დიდი მგოსნისა იმ წუთებში, როდესაც იგი ილიას ძეგლს საბურველს ხსნიდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ აკაკი ამ დროს უკვე სამოცდაცამეტი წლისა იყო და ამის შემდეგ შან მხოლოდ წელიწადნახევარი იცხოვრა.

აკაკის შემდეგ პანაშვიდზე სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, კულტურულ და საგანმანათლებლო საზოგადოებათა წარმომადგენლები. პანაშვიდის დასასრულ ნაწილში სიტყვა წარმოთქვა დავით კლდიაშვილმა. საყვარული ბელეტრისტი დამსწრეთა წინაშე ჰიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სახელით წარსდგა. მიმომხილველის თქმით, დავით კლდიაშვილმა „მუხლი მოიდრიკა დიდებული ადამიანის ძეგლის წინ" და სიტყვა ისე თქვა. მისი სიტყვის ტექსტი „სახალხო გაზეთის" ფურცლებზე ასე იკითხება:

„დიდებულო ქართველო, ქაცთმოყვარეობით გულ-აღსილო ადამიანო! როცა შენი ძვირფასი სამშობლოს ბეჩავი მდგომარეობით დამწუხრებული ეკითხებოდი მას „მამულო საყვარელო შენ როსღა აყვავდები?" რას წარმოიდგენდი, რომ შენი მამულის ასაყვავებლად. თურმე, შენ უნდა შეწირულყოფილიყავი მსხვერპლად. და კიდეც შეგიწირა მამულმა... შენი უცნაური სიკვდილით შეძრწუნებული ქართველი, გონს მოსული, გამოფხიზლებული ასაყვავებლადაა გამზადებული და იგი კიდეც აყვავდება. და იმ ბედნიერ დღეს ქართველობა მოვა შენთან, მოგახარებს შენი საყვარელი მამულის აყვავებას. მაგრამ იმ ჟამს მისი გული მწუხარებით იქნება აღსავსე, რომ შენ მსხვერპლად შეგიწირა, შენი სისხლით მოიპოვა თავისი ბედნიერება და იმ ბედნიერ ჟამსაც, როგორც ახლა, ვედრებით მოგმართავთ გვაპატიო სულგრძელად, მოგვიტევო ჩვენგან შენი ასეთი საშინელი მსხვერპლად შეწირვა, ჩვენო დიდებულო, ჩვენთვის სისხლდანთხეულო, მწუხარებაშიაც და ბედნიერებაშიაც ყოველი ქართველისათვის დაუვიწყარო, ძვირფასო ილია!" [2].

იმავე 5 მაისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გა-

[1] აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. XIV, 1961 წ., გვ. 556.
[2] „სახალხო გაზეთი", 1913 წ., № 888.

მართა. აქაც დამსწრეთა შორის პროვინციიდან ჩამოსული სხვადასხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა ბევრი წარმომადგენელი ესწრებოდა. მიმომხილველის სიტყვით, „თეატრი გაჭედილი იყო ხალხით და ბევრიც უკან დაბრუნდა უადგილობის გამო“.

საღამოზე იროდიონ ევდოშვილმა წაიკითხა საკუთარი ლექსი „ილია ჭავჭავაძის ძეგლს“, რომელიც იმავე „სახალხო გაზეთის“ 5 მაისის ნომერში დაიბეჭდა. ვერაგულად მოკლული მწერლისადმი მიმართული ეს ლექსი შემდეგი სტრიქონებით იწყებოდა:

ერთხელ კიდევ გადახედე გადახედე ამ გრძნობის ზღვას,
აქ შეკრებილ ქართველებსა, მოაფინე შენი სული,
შენებრ უთხარ გადაბან და დარაჯად შემოარტყი
მკერდი მკერდსა, ხელი ხელსა! საქართველოს მათი გული!

საღამოზე წაიკითხეს ილიას ლექსები და პოემათა ნაწყვეტები. იქვე აჩვენეს ცოცხალი სურათები პოემა „განდეგილიდან“. საღამოს დასასრულს წარმოდგენილი იყო ილიას დრამატული პოემა „ქართვლის დედა“.

* * *

ილიას მკვლელობას მყისვე გამოეხმაურა დიდი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი. მოულოდნელი არაა, რომ „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ ავტორმა, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე ილიასთან ერთად ქართული ეროვნული კულტურის დასაცავად იღვწოდა, წიწამურის ტრაგედია მაღალადამიანური გრძნობით განიცადა. ქართველი ახალგაზრდობის საყვარელმა მოძღვარმა ამ ჭეშმარიტად მძიმე დღეებში ილიას შშობელ ერს კვლავ მხნეობისა და ახალი საქმეებისაკენ მოუწოდა.

იაკობ გოგებაშვილი შთამაგონებლად წინასწარმეტყველებდა: ილია ჭავჭავაძის მკვლელებიო, „თავისისავე უგუნურის და წყეულის თვალებით იხილავენ სრულიად წინააღმდეგს ნაყოფს თავიანთ საზიზღარ მკვლელობისას. ამ ვერაგულის მოკვლის შემდეგ ილიას სახელი მოიცვის დიდებულ მოწამის შარავანდედით, ერთი ასად იმატებს ის ღრმა პატივისცემა, ის თაყვანება, რომლითაც ყოველი ჭკუათა მყოფელი ქართველი გამსჭვალული იყო მისდამი; ერთი ასად გაიზრდება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც იმის ქმნილებებს ჰქონდა და ქართველობა ამ მის ქმნილებებს დაეწაფება

სრულის გაუმაძღრობით. რაც ილიას დიდებას აკლდა სიცოცხლის ჟამსა, მის მკვლელობის შემდეგ უკლებლად შეივსება და იგი იწყებს ბრწყინვას, როგორც უდიდესი მნათობი საქართველოსი. მოკლე ხნის განმავლობაში მთელს საქართველოში აღარ დარჩება არც ერთი ოჯახი, რომელსაც არ ამშვენებდეს ილიას სურათი, როგორც უძვირფასესის და სათაყვანო ხატისა"[1].

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა მთელი სიმწვავით განიცადა გენიალურმა ქართველმა მწერალმა ვაჟა-ფშაველამ. ეს შემთხვევითი არაა. ილიას და ვაჟას შორის თავიდანვე გულისხმიერი დამოკიდებულება არსებობდა. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში, როდესაც ვაჟა ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდიოდა, ილიამ პირველმა იწინასწარმეტყველა მისი დიდი მომავალი ლიტერატურული მოღვაწეობის გზაზე. აქედან მოყოლებული ისინი ბოლომდე ერთმანეთის უაღრესად პატივისმცემელნი იყვნენ. ილია დიდად აფასებდა ვაჟა-ფშაველას, როგორც მწერალს, პოეტური სიტყვის უნიჭიერეს ოსტატს, ხოლო ვაჟა თაყვანს სცემდა ილია ჭავჭავაძეს, როგორც სახელოვან მწერალსა და სწორუპოვარ ეროვნულ მოღვაწეს.

ვაჟა, რომელიც თავის მშობლიურ ჩარგალში ცხოვრობდა, ილიას მკვლელობაზე ცნობის მიღებისთანავე თბილისში გაჩნდა. სამგლოვიარო დღეებში მან ჯერ წერილი გამოაქვეყნა, შემდეგ ლექსი, ხოლო დაკრძალვის დღეს გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა.

წერილში „ვერ მოჰკლეს" ვაჟა-ფშაველა მთელი ქვეყნის გასაგონად ამბობდა: „ილია ჭავჭავაძის მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოს მოკლავენო". ვაჟა ერთხელ კიდევ ხაზს უსვამდა ილიას განსაკუთრებულ გავლენას მთელ ქართველ ხალხზე. იგი, ისევე როგორც აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი, ამბობდა, რომ ილიას მკვლელობა ამ გავლენის მოსასპობად იყო გამიზნული. მაგრამაო, — მტკიცედ აცხადებდა ჩვენი მგოსანი, — ბნელი ძალები მიზანს ვერ მიაღწევენ; ილია ჭავჭავაძის სახელი და დიდება არ შემცირდებაო მანამ, „ვიდრე საქართველო იქნება" [2].

ვაჟამ თავის ზემოთ უკვე დასახელებულ სიტყვაში სამგლოვიარო პროცესის მონაწილე ქართველობის წინაშე საგანგებოდ განაცხადა, რომ ილია ჭავჭავაძეს მოკვლას უპირებდნენ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში, როდესაც იგი ბატონყმობასა და თვითმპყრობელობას პირველად დაუპირისპირდა. ამით

---

[1] კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", 1907 წ., გვ. 134.

[2] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებანი, ტ. IX, 1964 წ., გვ. 270.

დიდმა მგოსანმა დამსწრეთა ყურადღება მიაქცია კონკრეტულ ფაქტს, რომ იმ დროიდან მოყოლებული მთელი სიცოცხლის მანძილზე ილია სათავეში ედგა ქართველი ხალხის ბრძოლას ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

ვაჟა-ფშაველამ თავის პირველ წერილში ილიას ქართველი ერის მამა უწოდა. დასაფლავების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში მან თქვა: „მთელი ორმოცდაათი წელი განსვენებულმა საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი; როგორც დედა ერთადერთს ჩვილს შვილსა, ისე დასძრწოდა და დაჰკანკალებდა, ან არ შემიცივდეს, ან არ მოშივდესო. მოსეულს მტერს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, პირველი აგებებდა თავის მკერდს, შემოქნეულს ხმალს პირველი უფარებდა ფარსა“[1].

ასე დაახასიათა ვაჟა-ფშაველამ ილიას პიროვნება, მისი ღვაწლი მშობლიური ხალხის წინაშე. სახელოვანმა პოეტმა იმავე სამგლოვიარო დღეებში გამოაქვეყნა ვერაგულად მოკლული მწერლისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელშიც იგივე მაღალი აზრია პოეტურ სტრიქონებში ხორცშესხმული. მთიელ მგოსანს თავისი გულითადი დამოკიდებულება ბრძენი მოღვაწისადმი შემდგომშიც არავრთგზის გამოუთქვამს, მაგრამ ლექსი, რომელიც წიწამურის ტრაგედიის პირველი შთაბეჭდილებითაა დაწერილი, დიდი მწერლისა და მოაზროვნის ცხოვრების მატიანეს ყოველთვის დაამშვენებს. ვაჟამ ილიას მიმართა:

საძირკვლად აზრი ჩააგდე,
ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი,
მან გააბრწყინა სხივებით
ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი.

ილიას დასაფლავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოქვეყნდა იაკობ გოგებაშვილის წერილი „დიდი მწუხარების დიდი ნაყოფი“. იაკობმა ილია ჭავჭავაძის სამგლოვიარო დღეები დიდი ქართველი მეფეების, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გლოვის დღეებს შეადარა. ბრძენი კრიტიკოსი შთამბეჭდავად ამბობდა:

„დავმარხეთ დიდი ილია. მის სათაყვანო კუბოს გარშემო შეიკრიბენ საუკეთესო წარმომადგენელნი მთელის საქართველოისა, შავი ზღვიდან დაწყებული დაღესტნის მთებამდე და კავკასიონის ქედიდან მოკიდებული ოსმალეთის საზღვრამდე. საქართველომ შავს მიწას მიაბარა თავისი სახელოვანი და უკვდავი შვილი ისეთი ღრმა და გულწრფელი საყოველთაო მგლოვიარობით, ისეთის ცრემლის ნაკადულებით და ისე დიდებულად, როგორც უგლოვნია

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. IX, 1964 წ., გვ. 272.

და დაუმარხნია თავისი დამოუკიდებლობის და ძლიერების დროს სახელოვანნი და დიდნი მეფენი: დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე“ [1].

რაღა თქმა უნდა, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ამ გამოსვლებში გამოხატულებას პოულობდა მთელი ქართველი ხალხის აზრი და განწყობილება ილიას სამგლოვიარო დღეებში.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება

ილია ჭავჭავაძის სახით ჩვენ გვყავს მწერალი და მოაზროვნე, რომელიც მიმართულებას აძლევდა თავისი ეპოქის მთელ ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ აზრს. ამასთანავე იგი თავისი პრაქტიკული საქმიანობით სათავეში ედგა ქართველი ხალხის მთელს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ამ მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან ბუნებრივად გამომდინარეობს მისი ლიტერატურული შემკვიდრეობის მრავალფეროვნება. გარდა მხატვრულისა ილიას კალამს ეკუთვნის მთელი რიგი პუბლიცისტური და საპოლემიკო თხზულებები, რომლებშიც გამოხატულებას პოულობს ქართველი ერის მთელი იმდროინდელი მდგომარეობა, მისი ყოველდღიური ცხოვრებიდან მომდინარე საჭირბოროტო კითხვები.

ილიას მხატვრული მემკვიდრეობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი ის არის, რომ მისი ყველა თხზულება ღრმა სოციალური შინაარსის შემცველია. მისი ყოველი მოთხრობა, პოემა და თვით მცირე მოცულობის ლექსიც რაიმე საზოგადოებრივი მოვლენის გამომხატველია და იქვე ყოველთვის მკაფიოდ იგრძნობა ავტორის მიმართება ნაწარმოებში ასახული მოვლენისადმი.

საპროგრამო სტატიაში „საქართველოს მოამბეზედ“ მწერალი ამბობდა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“[2].

მოტანილ სიტყვებში საბოლოოდ ჩამოყალიბებულია ის აზრი, რაც უკვე გამოთქმული იყო აქამდე დაწერილ ბევრ თხზულებაში და რაც მოქმედების პროგრამად იქცა ილიას მთელი შემდეგდროინდელი მოღვაწეობისათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ილიამ სტუდენტობის დროს გაიარა

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 178.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 66.

ერთგვარი ლიტერატურული ძიების ხანა, რომელიც ჩქარა ფართო სოციალური მოტივების გამარჯვებით დამთავრდა. სწორედ ამ პერიოდში, ჯერ კიდევ სტუდენტის მერხზე, დაიწერა მისი ბევრი ლექსი. იმავე პერიოდში შეიქმნა პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ და პირველი რედაქციები პოემებისა „აჩრდილი“ და „ქართვლის დედა“. იმავე ხანებში მუშავდებოდა ვარიანტები, რომელთაგანაც შემდგომში ჩამოყალიბდა „კაცია, ადამიანი“ და „გლახის ნაამბობი“.

ამ ნაწარმოებებიდან ნათლად იგრძნობა ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფხიზელი თვალით ჩახედული მწერალი და მოაზროვნე. „აჩრდილის“ და „კაკო ყაჩაღის“ დაწერის შემდეგ (1859-1860 წწ.) ილია უკვე წარმოგვიდგება როგორც ბატონყმობის წინააღმდეგ თანამიმდევრულად მებრძოლი მწერალი.

როგორც ვიცით, ჯერ კიდევ ადრინდელ ლექსებში გარკვევით ისმოდა ახალგაზრდა მწერლის ერთგვარი ფიცი მშობლიური ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებაზე. ასეთი იყო მისი ლექსები: „დაე თუნდ მოვკვდე“, „ჩემი თარიარალი“, „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ და სხვები. 1860 წელს დაიწერა ილიას ალ უკვე საყოველთაოდ ცნობილი ლექსი „პოეტი“, რომელშიც საბოლოოდ გაფორმებულია მოჰავალი დიდი ეროვნული მოღვაწის პოეტური მრწამსი:

დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმე ვიყო
ჰმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული.

ასე ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მგოსანმა საზოგადოდ პოეტის კეთილშობილური დანიშნულება მშობლიური ერის წინაშე. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ილიას ამ ლექსით მოხიბლული იყო აკაკი წერეთელი.

როგორც ვხედავთ, ილიამ ქვეყნის წყლული საკუთარ წყლულად აღიარა და მოღვაწეობის უმთავრეს ამოცანად ერისათვის ტანჯვის ცრემლის მოწმენდა დაისახა. ეს მიზანდასახულობა პოეტისა იმდენად ღრმა და შთამბეჭდავია, რომ აქ თითქმის ყველაფერია ნათქვამი იმ დიდ საქმეებზე, რომელნიც შემდგომში მის ავტორს პრაქტიკულად უნდა განეხორციელებინა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ილიასთან სიტყვა ე რ ი, რაც ამ ლექსში მრავალგზის მეორდება, იმავე დროს ხ ა ლ ხ ი ს მნიშვნელობით უნდა გვესმოდეს. ჩვენი მწერალი ერის ცნებაში ყოველთვის მთელ ქართველ ხალხს

ვულისხმობდა. 1861 წელს დაწერილ ლექსში „ჩემო კალამო“ ბგოსანი კონკრეტულად ხალხზე ლაპარაკობდა. იგი თავის კალამს შთამბეჭდავად მოუწოდებდა:

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში
ბოროტთ საკლავად. — მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ.

ილია ჭავჭავაძე „საქართველოს მოამბის“ გამოცემის დღიდან საბოლოოდ ჩამოყალიბებულია როგორც დიდი დემოკრატი-განმანათლებელი, რომელიც სათავეში უდგას ქართველი ხალხის ბრძოლას ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. იგი საოციანი წლებიდან მოყოლებული უშუალო გავლენას ახდენს მთელს განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, რომელსაც ადგილი აქვს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში გამოხატულებას პოულობს წწერლისდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება მთელი თავისი სისრულით. ამ მრავალფეროვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლისათვის აუცილებელია მოიძებნოს ძირითადი და განმსაზღვრელი მოტივები, რომელთა გარშემო იგი თავს იყრის. ასეთი წამყვანი და განმსაზღვრელი მოტივი ილიას მხატვრულ შემოქმედებაში ორია: ერთი არის ეროვნული თავისუფლების მოტივი და მეორე — სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივი. ეს ორი მოტივი, ცალ-ცალკე აღებული, ერთი მთლიანი სოციალური თემატიკის კონკრეტიზაციას წარმოადგენს.

* * *

ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედებისათვის ძირითადი და დამახასიათებელია ეროვნულ-პატრიოტული მოტივი. მრავალმხრივი მოღვაწის პოეტური ნიჭი პირველად სწორედ სამშობლოს თემაზე დაწერილ ლექსებში გამოჩნდა. სტუდენტობის პერიოდში ასეთი ლექსები ჭარბობენ. ამის მიზეზი, გარდა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობისა, ისიცაა, რომ მწერალი უნივერსიტეტში სწავლის დროს საფუძვლიანად გაეცნო დავით გურამიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის პატრიოტულ პოეზიას.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან ცნობილია, რომ იგი დაუცხრომლად ებრძოდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, რომელიც არარუსი ხალხების ეროვნულ კულტურას სასტიკად

ავიწროებდა. ჩვენი მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ამ ბრძოლაში ეიწრო ნაციონალისტურ ნაჭუჭში არასოდეს არ ჩაკეტილა და ყოველთვის ხალხთა თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის მქადაგებლად გამოდიოდა. ამიტომაცაა, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავეში ილია ედგა, ისტორიაში შედის როგორც პროგრესული მოვლენა.

ამ გარემოების მივიწყება შეუძლებელია, რადგან სწორედ ხალხთა თანასწორუფლებიანობის იდეურ ფონზე ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედებისათვის დამახასიათებელი პატრიოტიზმი უფრო ფართო მნიშვნელობით წარმოგვიდგება.

ლექსებში: „ქართვლის დედას“, „ჩემი თარიარალი“, „გავსწორდეთ ბედო“, „ქართველ სტუდენტების სიმღერა“, „ნანა“, „ელეგია“ და „შესმის, შესმის სანატრელი“ პოეტის მიერ სამშობლო ქვეყნის მდგომარეობა მძიმედაა წარმოდგენილი. ქვეყნად უმოქმედობა და ძლამღუპველი ძილია გაბატონებული. იმავე ლექსებიდან ნათლად იგრძნობა ავტორის მტკიცე შეგნება, რომ ძილისა და უმოქმედობისაგან ქვეყნის გადასარჩენად საჭიროა ხალხის მასებში მოძრაობის სულისკვეთების შეტანა. დაბოლოს, ლექსებიდან გარკვევით ისმის მოწოდება, რომ ქვეყნისა და ხალხის ამოძრავება, თავისუფლების მოსაპოვებლად ყოველი პატიოსანი მოქალაქის მოვალეობაა. ამგვარ საქმიანობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ ერის საუკეთესო შვილები, რომელთაც პოეტმა ასეთი კეთილშობილური ამოცანა დაუსახა: „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

ასეთია უმთავრესი განწყობილებანი, რომელნიც ილიას სტუდენტობისდროინდელი ლექსებიდან აშკარად იგრძნობა. ახალგაზრდა პოეტის მაღალი შეგნება სამშობლო ქვეყნის წინაშე მოვალეობისა მომდევნო პერიოდშიც კვლავ აღმავლობის გზით მიდის და ავტორის ზრდა-ამაღლებასთან ერთად თანდათანობით სისტემის ხასიათს იღებს. 1861 წლის გაზაფხულზე, როდესაც ილია ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე უკვე გამოსულია როგორც ახალი იდეების მქადაგებელი პოეტი, იგი მშობლიურ ქვეყანას მიმართავს:

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამული, გამიკრთა მე ძილი და შვებაი
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.

ეროვნული თავისუფლების მოტივზე დაწერილ თხზულებებში ილია ერთნაირად დაუნდობლად ებრძვის როგორც გარეშე ძალას,

რომელიც ქართველ ხალხს „მოყვარულად" მტერობს, ისე იმ ქართველობას, რომელიც, საკუთარ ეროვნულ თავმოყვარეობაზე ხელჩაქნეული, რუს ხელმწიფეს ეხვეწება „Наплечо"-ბა გვასწავლეო". ეს უბრალო გარემოება როდია. ეს ნიშანი ილიას შემოქმედებისათვის დამახასიათებელია „აჩრდილიდან" დაწყებული თვით ოთხმოციან წლებში დაწერილი ლექსების ჩათვლით.

მწერლის თანამედროვეობის მძაფრი კრიტიკა მოცემულია აგრეთვე ლექსში „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა". ნაწარმოებში გადმოცემულია ქართველი თავადაზნაურობის მდგომარეობა და საქმეები მეთვრამეტე საუკუნის მიწურულიდან ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე. აქაც ერთხელ კიდევ მხილებულია ვერაგობა რეაქციული თავადაზნაურობისა, რომელიც ყმა გლეხობას ტვინსა და სისხლს სწოვდა. ნაჩვენებია მისი ავი საქმეები მშობლიური ქვეყნისა და ერის წინაშე. ამის საილუსტრაციოდ თხზულებაში მოხსენიებულია რიგი კონკრეტული ისტორიული მოვლენები. ეს ისტორიული მოვლენებია: საქართველოს შეერთება რუსეთთან, 1832 წლის შეთქმულება, ბატონყმობის გაუქმება, საადგილმამულო ბანკის დაარსებისათვის მზადება და სხვები.

ასევე მამხილებელი ხასიათისაა ლექსები „ბედნიერი ერი", „გამოცანები" და „კიდევ გამოცანები". ამ მკაცრ კრიტიკულ ნაწარმოებებში გამთარახებულია მთელი წრე იმდროინდელი ადამიანებისა, რომელთაც ქართველი ხალხის მდგომარეობა არ აწუხებდათ; მისი აწმყოცა და მომავალიც „ფეხებზე ეკიდათ".

ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელია, რომ იგი არა მარტო მისდროინდელ სინამდვილეს ხატავს, არამედ ამასთანავე მომავლის პერსპექტივებსაც სახავს. მთავარი სწორედ ესაა. მწერალი, ამხელს რა თავის ეპოქის მკაცრ სინამდვილეს, თანამემამულეებს ბრძოლისაკენ მოუწოდებს და იმავე დროს შთააგონებს კიდეც, რომ მათი სამართლიანი ბრძოლა აუცილებელი გამარჯვებით დამთავრდება. ეს კეთილშობილური ოპტიმიზმი კიდევ უფრო ფართოდ წარმოგვიდგენს მგოსნის მიერ ეროვნული თავისუფლების მოტივზე დაწერილ თხზულებათა საერთო-საზოგადოებრივ მნიშვნელობას.

1872 წლის სექტემბერში დაიწერა ილიას აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილი ლექსი „ჩემო კარგო ქვეყანავ", რომელიც ჩქარა ხალხის ფართო მასებში გავრცელდა. იგი ზეპირად იცოდა ყველა ქართველმა, უმცირესი ასაკიდან მოყოლებული უკიდურესი მოხუცის ჩათვლით. ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებული ავტორი მრავალჯერნახულ სამშობლოს შთამაგონებლად მიმართავდა:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგვშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
მათ ახლად აღადგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

ასევე ძომავლისადმი რწმენის შთამაგონებელია ილიას ლექსი „ბაზალეთის ტბა". ეს პატარა ლექსი სამი არსებითი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ლაპარაკია იმაზე, რომ ბაზალეთის ტბის ძირას დგას ოქროს აკვანი და მის გარშემო, წყლის ქვეშ, საუცხოო წალკოტი ჰყვავის. ადამიანისაგან უხილავი წალკოტი იმდენად წარმტაცად არის დახატული, რომ იგი ერთგვარ ზღაპრულ იერს იღებს. პოეტი გვეუბნება, რომ ამ წალკოტში შესვლა კაცთაგანს ჯერჯერობით ვერავის გაუბედნია:

მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,
მარტო იგინი გრძნეულნი
დასტრფიან და დამღერიან...

ავტორი ამ წარმტაცი, მაგრამ კაცთაგან ჯერ მიუწვდომელი და უნახავი ადგილის პოეტურ ისტორიასაც გვიდგენს. მწერალი გვაგებინებს, რომ

ამბობენ — თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.

ამ სტრიქონებიდან მკითხველისათვის უკვე ნათელი ხდება, რომ ლექსის პირველ ნაწილში დახატული სანახაობა პოეტის მიერ ნაგები „ოცნების ქვეყანა" კი არაა, არამედ იგი რეალური, საქართველოს მიწა-წყალზე არსებული ადგილია. მკითხველი იგებს, რომ ამ ადგილას ჩვენს სახელოვან დედას, თამარ მეფეს, აკვანი დაუდგამს და შიგ ჯერ უცნობი ყრმა ჩაუწვენია. მის გარშემო ქართველ ხალხს თავისი საუკუნოებრივი ცრემლებით ტბა შეუქმნია და აკვანისათვის გადაუფარებია.

იმის შემდეგ, რაც ეს პოეტური ისტორია ესოდენ დამაჯერებლად წარმოადგინა, ავტორს საშუალება ეძლევა, რათა ყოველი გულსრული ქართველის წინაშე კონკრეტული მიზანი დასახოს. ასეთ მიზნად მიჩნეულია, რომ ქართველი ბაზალეთის ტბის „უცხო წალკოტში" შევიდეს, აკვანს დასწვდეს და შიგ მწოლიარე ყრმა ამოიყვანოს. სწორედ ამ სასახელო საქმისაკენ მოწოდებას წარმოადგენს ლექსის უკანასკნელი ნაწილი და ამ მოწოდებაშიც მომავლისადმი რწმენის ხმა ისმის:

თუ ესე არის, ნეტა მას
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!

ასეთია „ბაზალეთის ტბის“ იდეურ-თემატიკური ჩანაფიქრი.

დაბოლოს, ინტერესს მოკლებული არაა ვიცოდეთ, რომ ავტორს ბაზალეთის ტბის წარმოშობაზე მასალა მიუღია ხალხური სიტყვიერებიდან. როგორც ცნობილია, ილიას დუშეთში სამსახურის დროს ჩაწერილი აქვს ზეპირსიტყვიერების მრავალი ნიმუში. ახლა უტყუარი მასალებით დადასტურებულია, რომ სწორედ დუშეთში ყოფნის დროს მწერალს ადგილობრივ მკვიდრთაგან მოუსმენია თქმულება ბაზალეთის ტბაზე.

როგორც ჩანს, ერთ დღეს, რაღაც საქმეზე ბაზალეთის ტბასთან ყოფილან ილია ჭავჭავაძე და რამდენიმე დუშელი გლეხი: დათა პაპიაშვილი, ივანე შუშიაშვილი, არჯევანა უნდილაშვილი, სიმონა გელიშვილი და ომანა ქურციკიძე. ილიას გლეხებისათვის მიუმართავს, რათა ეამბნათ ტბის გარშემო არსებული თქმულება-გადმოცემები. ამ შემთხვევის ერთ-ერთი მონაწილე დათა პაპიაშვილი მოგვითხრობს:

„ერთხელ ბაზალეთის ტბისპირზე ვიყავით. ტბა მშვენიერ გაშლილ მინდორზე ლურჯად იდგა და წყნარ-წყნარად ტალღებს თავის ბორცვიან ნაპირებს ზვირთებს აღვრიდა. ილია იქ იყო და დაფიქრებული ტბას მიჩერებოდა. ბოლოს ამოიღო ქაღალდი და ხელში დაიჭირა, ადგა ფეხზე და მყინვარს დაუწყო ცქერა. უცქირა, და ბოლოს-კი მოგვიბრუნდა და გვითხრა: — „ივანე, აბა, ერთი მითხარი, ამ ტბის შესახებ თქვენი მამა-პაპანი, რას იტყოდნენ ხოლმე? ან როგორ დადგა ამოდენა წყალი იმ ტრიალ მინდორზეო“. შერე მოუყევით ჩვენც, როგორც გაგვეგონა და ილია-კი ღიმილით გვისმენდა. მოჰყვა არჯევანა: — იქ, ბატონო, როგორც ჩემი ბაბუასაგან გამიგონია. აი ვიტყვი:

„ილიამ ჩაახველა და ჩვენთან მარჯვედ დაგვიჯდა.

„— ჰო, აბა, მომიყევით, როგორ იტყოდნენ, რა ანდაზები გაგიგონიათ ან თუ იცით რამე: ლექსი, ზღაპარი, ყველაფერი მოიგონეთ და მითხარით...

„...იტყოდა ივანე: მე ესე გამიგონია, რომ აქ ყოფილა სოფელი. მდგარა ერთი მაღალი კოშკი და ჰქონიათ ღრმა ჭა. ვინც იმ ჭიდან წყალს ამოიღებდა, აუცილებლივ მაგრა უნდა დეეფარებინა სარქმელი, თორე წყალი გამოდიოდა და კოშკში მყოფ ხალხს დაახრჩობდა. ამ კოშკში ერთ პატარძალს ჰყოლია ოქროს ქოჩრიანი ვაჟიშვილი, ოქროს აკვანში თურმე ზდიდა და გარს იმ ციხეს ჯარი იცავდაო. გამოსულა პატარძალი, აუვსია ვერცხლის კოკა და ჭა დაუწყებია პირ-ახდილი... უცებ ამოვარდნილა ძლიერი წყალი, გავსილა კოშკში და ჩაძირულა, შიგ ჩაუტანია კოშკიც და სოფე-

ლიც. ამბობენ ეს ტბა უძიროაო და მართალია თუ არა არ ვიცი, აი ეგრე გამიგონია, მეტი არაფერი ვიცი... ყველანი ივანეს თქმაზე იცინიან და იტყვიან: ჩვენც ეგრე გაგვიგონია"[1].

ამ მარტივ ხალხურ თქმულებას ბიძგი მიუცია, რომ შექმნილიყო იმგვარი იდეური ლექსი, როგორიცაა „ბაზალეთის ტბა".

ილიას პატრიოტულ ლირიკას გვირგვინს ადგამს ლექსი „კითხვა-პასუხი", რომელიც 1894 წელს დაიწერა. „კითხვა-პასუხი" ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში სამშობლოზე სიკვდილ-სიცოცხლით შეყვარებული, იმავე სამშობლო ქვეყნის საერთო მდგომარეობით გულდაკოდილი მწერლის ადამიანური წუხილი ისმის, ხოლო მეორეში — სამშობლო ქვეყნის პასუხია გადმოცემული. პოეტი თავის ქვეყანას გრძნობით მიმართავს:

კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული;
მაგრამ რამდენადც მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.
გიმზერ და მზერა კვლავ სწყურიან თვალს,
გისმენ და სმენით ყური ვერ ჰძღება;
მაგრამ რამდენადც საყვარელი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.

მომდევნო სტრიქონებში გრძელდება ავტორის გულითადობით აღსავსე სიტყვები მშობელი ქვეყნის სილამაზე-სიმდიდრე-სიუხვეზე, მაგრამ იქვე გაისმის მისი გულის ტკივილით აღსავსე შეკითხვა მრავალჭირნახულ სამშობლოსადმი:

და რამდენადც შენ ცხოველმყოფელ ხარ
იმდენად უფრო რად კვდება გული?

ლექსის მეორე ნაწილი აშკარად კრიტიკულია. ნაწარმოების იდეაც სწორედ ამ ნაწილშია. აქ სავსებით ნათლადაა ნათქვამი, რომ ცხოვრებაში არსებული უსასრულო კირთების წყალობით ავტორის სამშობლო ქვეყანაში ცოდვას მადლი დაუძლეგია და „აქ თვით სამოთხეც ჯოჯოხეთია". პოეტმა თავისი თანამედროვე ქართველობის წინააღმდეგ მრავალჭირნახული მშობლიური მიწა აალაპარაკა:

მე მდიდარი ვარ და თქვენ კი, თქვენ კი...
ლუკმა-ნატრულნი ერთმანეთსა სჴამთ.

[1] ლიტერატურის მატიანე, წიგნი I-II, 1940 წ., გვ. 176.

* * *

კეთილშობილური პატრიოტიზმის იდეით არის შთაგონებული ილია ჭავჭავაძის პოემები „ქართველის დედა“ და „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

პოემა „ქართველის დედა“ ბუნებრივ კავშირშია ილიასავე ლექსთან „ქართლის დედას“, რომელიც პოემაზე რამდენიმე წლით ადრე დაიწერა. ლექსი ერთგვარი წინასიტყვაობაა პოემისა „ქართველის დედა“ არა მარტო იმით, რომ იგი წინაა დაწერილი, არამედ მთელი თავისი შინაარსით. პოემაში პრაქტიკულად ხორცშესხმულია სამშობლოსათვის თავგანწირვის ის მაღალი იდეა, რომელიც ლექსში დედისადმი მოწოდების სახით იყო გამოსახული.

ლექსში ლაპარაკია იმაზე, რომ ჟამთა ვითარებამ ქართველის დედა უკვე შეცვალა. პოეტი დედას მიმართავს: დიდმა ნაღველმა და კირთების ქვეშე დაჩაგრულმა ბედმაო, „სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა, თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა“. დაბოლოს, ლექსის დასასრულ სტრიქონებში, მგოსანი იმავე ქართველის დედას შთამაგონებლად მოუწოდებს:

დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.

სწორედ ისეთი შვილი, როგორსაც აქ მოტანილი სალექსო სტრიქონები გულისხმობს, ჩვენმა მგოსანმა დაგვიხატა პოემაში „ქართველის დედა“. ილიას ამ პოემის წერა სტუდენტობის დროს დაუწყია. პოემის პირველი ვარიანტი 1860 წლის 14 ივლისით არის დათარიღებული. „ქართველის დედა“ პირველად 1871 წელს ჟურნალ „კრებულის“ მესამე ნომერში დაიბეჭდა. იმ დროს ნაწარმოების ტექსტში, საცენზურო პირობების გამო, მოქმედება წარსულში იყო გადატანილი. პოემას სათაურის ქვეშ მიწერილი ჰქონდა: „დრამული ეპიზოდი თამარ მეფის დროებიდამ ოსმალებთან ომის წინ“.

„ქართველის დედა“ მეორედ 1879 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ (№ 7-8). აქაც სათაურის ქვეშ იმავე ხასიათის მინაწერი მეორდება, ოღონდ ამჯერად მოქმედება დავით აღმაშენებლის ეპოქაშია გადატანილი. აქ მინაწერის ტექსტი ასე იკითხება: „ეპიზოდი დავით აღმაშენებულის დროთაგან, როცა არაბთაგან ანთავისუფლებდა საქართველოს“.

ილიას თხზულებათა აკადემიური გამოცემის კომენტარში მართებულად არის აღნიშნული, რომ ზემომოტანილი მინაწერები მხოლოდ „კრებულში“ და „ივერიაში“ დაბეჭდილ ტექსტებში გვხვდება. ეს მინაწერები 1892 წლის გამოცემაში და არც მომდევნო გამოცემებში აღარ გაწეორებულა.

„კრებულსა“ და „ივერიაში“ დაბეჭდილ ამ პოემის ტექსტებს სათაურად აქვს „დედა და შვილი“. ასეე დაიბეჭდა იგი ილიას თხზულებათა 1892 წლისა და 1914 წლის გამოცემებში. მხოლოდ ჩვენს დროში მკვლევარმა პავლე ინგოროყვამ, ავტოგრაფებზე დამყარებით, პოემის სათაურად დაადგინა „ქართველის დედა (სცენა მომავალ ცხოვრებიდან)“. თხზულება ამ სათაურით პირველად 1925 წელს დაიბეჭდა[1].

„ქართველის დედა“ უშუალოდ მწერლის ეპოქის ფონზე იშლება. აქ გამოყვანილი გმირები მწერლის თანამედროვე ადამიანები არიან. ამ ადამიანების აქტიური ცხოვრება, მათი მდგომარეობა და საქმეები აწმყოში, არსებითად მომავლის დიდი მიზნებით არის შთაგონებული. შემთხვევითი სრულიადაც არ არის ავტორის მიერ ნაწარმოებისათვის დართული მეორე სათაური: „სცენა მომავალ ცხოვრებიდან“.

რაღა თქმა უნდა, მეორე სათაურით პოემაში ჩვენი მწერლის იდეური ჩანაფიქრი კიდევ უფრო მკაფიოდ და მთელი სისრულით იგრძნობა. პავლე ინგოროყვა საკვებით სამართლიანად აღნიშნავდა:

„ამ სათაურით გახსნილია პოემის დედააზრი. ილია ამ პოემით მომავლისაკენ იხედება და არა წარსულისაკენ. პოეტს ამ „სცენაში მომავალი ცხოვრებიდან“ ესახება საქართველოს მომავალი განთავისუფლების გზები. იდეა „ქართველის დედისა“ ეს არის მოწოდება ბრძოლისაკენ საქართველოს თავისუფლებისათვის და არა წარსულის რომანტიკა“[2].

„ქართველის დედა“, როგორც ხალხურობით აღბეჭდილი საგმირო პატრიოტული ნაწარმოები, მკითხველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ოთხმოციანი წლების დამდეგიდან იგი ქართული თეატრის სცენაზეც გამოჩნდა.

ილია ჭავჭავაძის „ქართველის დედა“ პირველად 1882 წლის შემოდგომაზე წარმოადგინეს. ჩვენამდე მოღწეული ცნობის მიხედ-

[1] ილია ჭავჭავაძე, ტ. I, ლექსები და პოემები, შედარებული პირველწყაროებთან და შევსებული ახალი ტექსტებით, პავლე ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით, 1925 წ.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1951 წ., გვ. 362. ილიას ნაწარმოებთა კომენტარი.

ვით, 26 სექტემბერს ქართულ თეატრს თავისი ახალი სეზონი სწორედ ამ დრამატული პოემით დაუწყია. იმავე საღამოს, გარდა ილიას თხზულებისა, ალექსი ჭიჭინაძის სამმოქმედებიანი კომედიაც წარმოუდგენიათ.

კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა „ქართველის დედის“ წარმოდგენაზე იმდროინდელი პრესის გამოხმაურება. 29 სექტემბრის გაზეთი „დროება“ წერდა:

„თქმა არ უნდა, ილია ჭავჭავაძის სცენა, დაწერილი ნიჭიერის და გრძნობით სავსე ავტორისაგან, აღტაცებაში მოიყვანდა საზოგადოებას, მით უფრო, რომ დედამ (ნატო გაბუნიამ) და შვილმა (კოტე მესხმა) ყოველი საშუალება იხმარეს და ეს საშუალება, კი თუ მოიწადინეს, ორთავ საკმაო აქვსთ, ღირსეულად ეთამაშნათ ამ საღამოს“.

რეცენზენტი განსაკუთრებით კმაყოფილი გამხდარა ნატო გაბუნიასა და კოტე მესხის მიერ როლების შესრულებით. ჩვენ პირველად ვნახეთ ქართული წარმოდგენა, როდესაც მსახიობები როლებს ბოკარნახის გარეშე ასრულებდნენო, — წერდა იგი. რეცენზიაში ნათქვამია, რომ მსახიობებს „ლექსები ჰქონდათ ჩინებულად დასწავლილი, იმათი წარმოთქმა მოაზრებული და მოანგარიშებული და თამაში შესაფერი. იმათ ისე კარგად მოემზადებინათ ეს სცენა, რომ ჩვენს თეატრში ქართულს წარმოდგენაზე პირველათა ვნახეთ უსუფლიოროდ თამაში, რომელმაც საკმაოდ გაგვაკვირვა და ნებაუნებლივ წარმოგვათქმევინა: ჩვენს მოთამაშეთაც შესძლებიათ როლების დასწავლა და უსუფლიოროდ თამაში!“

ამის შემდეგ რეცენზიაში „ქართველის დედის“ მოკლე შინაარსი იყო გადმოცემული. დაბოლოს, რეცენზენტი დაჯერებული ამბობდა: „ბევრი დაკარგეს იმ პირთ, ვინც ამ სცენას არ დაესწრენო“[1].

ვიდრე ამ თხზულების იდეურ-თემატიკურ განხილვას შევუდგებოდეთ, ერთი ლიტერატურული ფაქტის გახსენება მაინც აუცილებელია: ილია ჭავჭავაძემ 1890 წლის დეკემბერში გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილი „ახალი დრამების გამო“. წერილში გაკრიტიკებული იყო ავქსენტი ცაგარლის ისტორიული დრამა „ქართველი დედა“ და იაკობ ლაზარაშვილის ისტორიული დრამა „მტარვალი“.

პირველი შენიშვნა, რომელსაც სახელოვანი მწერალი ორივე ავტორის მისამართით აკეთებდა ის იყო, რომ მათი დრამები ისტორიულ თხზულებებად ვერ ჩაითვლებოდნენ. „აქ ისტორიული მარ-

[1] გაზეთი „დროება“, 1882 წ., № 203.

ტო ის არის, — წერდა ილია, — რომ ავტორები გვეუბნებიან: საქართველოს თავს წარმოსდგომია მტერი და ყოველგან მუსრს ავლებსო. ეს მტრისაგან ქლეტა-მუსვრა დღეს ჩვენთვის ქარგა ხნის წარსულია და ის დრამები ამით თუ არიან ისტორიულნი, თორემ სხვა თვისება მართლა ისტორიულისა, ჩვენის ფიქრით, არ მოეპოვება არც ერთს მათგანს".

მომდევნო სტრიქონებში ილია ერთგვარად აკონკრეტებს თავის შენიშვნას დასახელებული ავტორების მიმართ და ამგვარი კონკრეტიზაციის შემდეგ მისი კრიტიკული აზრი კიდევ უფრო შთამბეჭდავი ხდება. იგი ამბობს:

„ჩვენ წუნად არ ვსდებთ ავტორებს, რომ დრამის ამბავი, არაკი (ფაბულა) მოგონილია მათ მიერ. დრამატურგი ისტორიკოსი ხომ არ არის, რომ ისტორია გვასწავლოს, ისტორიული ქრონიკა გვიწეროს. დეე თუნდა ამბავი, არაკი დრამისა თავის საკუთარის ფანტაზიით შექმნას, ხოლო თუ სურს ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა ამ ამბავში ჩანასკვოს, ჩაჰსახოს და დრამის სვლაში გადაგვიხსნას, გადაგვიშალოს საგრძნობლად დასანახავად"[1].

ასეთია ილია ჭავჭავაძის ერთი ძირითადი შენიშვნა „ქართველი დედისა" და „მტარვალის" ავტორებისადმი. იგი იმავე ავტორების მისამართით სხვა საგულისხმო შენიშვნებსაც აკეთებდა, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის მოსაზრებანი ავქსენტი ცაგარლის თხზულებაზე იმდენად, რამდენადაც ქართულ მწერლობაში დედის თემაზე არსებულ თხზულებათაგან ილიას „ქართვლის დედას" ყველაზე მეტად ა. ცაგარლის „ქართველი დედა" უახლოვდება.

ავქსენტი ცაგარლის „ქართველი დედა" იმ დროს შეიქმნა, როდესაც ილიას დრამატულ პოემას უკვე ფართო პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა დრამატურგს მისი გავლენა განეცადა. ამ გავლენის საწინააღმდეგო მტკიცებისათვის ვერ გამოდგება ის ფაქტი, რომ ამჟამად უკვე ცნობილია ის ავტორიც, რომლის თხზულებიდანაც ა. ცაგარლის „ქართველი დედა" არის გადმოკეთებული.

მოულოდნელი არც ისაა, რომ ავქსენტი ცაგარლის დრამის პირველწყაროს საკითხით თვითონ ილიაც დაინტერესებული იყო. ჩანს, იმ დროს უკვე იცოდნენ, რომ „ქართველი დედა" გადმოკეთებული ან

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 186.

რომელიმე მწერლისადმი მიბაძვით შექმნილი თხზულება იყო. წერილში „ახალი დრამის გამო“ ეკითხულობთ:

„არ ვიცით, — რამოდენად ჰგავს ეს დრამა მის პირველ დედანს, საიდანაც ავტორს იგი აუღია და გადმოუკეთებია, ხოლო თითონ გადმოკეთებულზე-კი ვიტყვით, რომ მთელს ოთხს მოქმედებაში, ჩვენის ფიქრით, დრამა თითქმის არსად არის“ [1].

ავქსენტი ცაგარლის დრამის პირველი წყაროს საკითხი ჩვენს დროში გაარკვია ცნობილმა პოეტმა და მკვლევარმა იოსებ გრიშაშვილმა. გრიშაშვილის მიხედვით, ცაგარლის დრამა „გადმოკეთებულია ფრანგი მწერლის ა რ ნ ო ს პიესიდან, რომელიც რუსულად დაიბეჭდა 1889 წელს“[2].

ილია ჭავჭავაძე, რომელიც ავქსენტი ცაგარლის მხატვრულ შემოქმედებაზე. საერთოდ, კარგი წარმოდგენისა იყო, მის დრამას „ქართველი დედა“ გარკვევით იწუნებდა. მისი აზრით, ა. ცაგარლის დრამას აკლია ის, რაც საზოგადოდ მხატვრული ნაწარმოებისათვის მთავარია — ბუნებრიობა და დამაჯერებლობა. შეუძლებელია დედამ შვილები ისე იოლად გაწიროს, როგორც ამას ა. ცაგარლის დრამაში გამოყვანილი ქართველი დედა სჩადის.

„ეს „ქართველი დედა“, — წერს ილია, — რაღაც უგრძნობელი და გულქვავი რამ არის. დედა–შვილურს გრძნობას, აგრე მოსაღონებელს, აგრე სასურველსა და საპატიოს, მის გულში არავითარი ადგილი არ უჭირავს. ამიტომაც მის მიერ შვილთა მამულისათვის გაწირვას არაფერი ფასი არა აქვს. გაწირვა მაშინ არის დიდსულოვნობის საქმე, როცა გამწირველი თითონ დიდს რასმე ჰკარგავს ამით, როცა ეხედავთ, რომ ამ გაწირვამ გულში ერთი უმთავრესი ძარღვი ჩასწყვიტა გამწირველსა“ [3].

ილია ჭავჭავაძე სავსებით მართებულად აღნიშნავდა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დედის არსებაში ერთმანეთს უნდა შეჯიდებოდა დედაშვილური და მამულიშვილური სიყვარული. იმდენად რამდენადაც დრამაში ეს ორი ბუნებრივი გრძნობა ერთმანეთს შეხვდა. მათ შორის ბრძოლა უნდა გამართულიყო და მხოლოდ ამგვარი ჭიდილის შემდეგ ერთი მათგანი უნდა გაწირულიყო. როგორც ჩვენი ავტორი ამბობს, „ორივე სიყვარული კანონიერია, ბუნებრივია. და მით ორივე დიდს გრძნობას წარმოადგენს ადამიანის ბუნებაში. ძნელად გასაწირს, ძნელად გასამეტებელს და, რამოდენად

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 190.

[2] ავქსენტი ცაგარელი, კომედიები ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით, 1936 წ., გვ. 502.

[3] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 191.

ან ერთი, ან მეორე ძნელად გასაწირია, ძნელად გასამეტებელი, იმოდენად თვით განწირვა დიდია, საპატიო და სახელოვანი".

ავქსენტი ცაგარლის მიერ დახატული დედა, ილიას აზრით, ასე არ იქცევა და ამიტომაც იგი, როგორც ქართველი დედის ტიპი, დამაჯერებელი არაა. თხზულების გაცნობისას ბუნებრივად იქმნება შთაბეჭდილება, რომ დედას თავისი შვილებისათვის სხვა არავითარი სურვილი არა აქვს გარდა იმისა, რომ ისინი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაიხოცონ.

შეუძლებელია მკითხველმა დაიჯეროს, რომ დედა, რომელსაც ჰგონია ოთხი ვაჟიშვილი ბრძოლაში უკვე დაღუპული ჰყავს, მეხუთე შვილსაც თვითონვე სასიკვდილოდ იმეტებს. დამპყრობელი მმართველი უსუფ-ფაშა ქალს არჩევანის წინაშე აყენებს: დაეთანხმოს თავისი უმცროსი ვაჟიშვილის კახეთზე გამეფებას ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმასაც წამებით მოუკლავენ. რაღა თქმა უნდა, სრულიად მოულოდნელია, რომ დრამაში გამოყვანილი ქართველი დედა მეორეს ირჩევს.

ამიტომაცაა, რომ ილია ჭავჭავაძემ ავქსენტი ცაგარლის დრამაშიც გამოყვანილ ქართველ დედას „უგრძნობელი და გულქვავი" უწოდა. შემთხვევითი არც ისაა, რომ ჩვენი კრიტიკოსი იმავე დედის დასახასიათებლად ამბობდა: „არც ის მოქმედობს მაყურებელზე სასიამოვნოდ, რომ „დედა" საცა გინდა და არ გინდა „წამ-და-უწუმ გაიძახის — მე ჩემი შვილები ჩემის მამულისათვის გამიზრდიაო".

ილია ჭავჭავაძე თავის წერილში ავქსენტი ცაგარლის „ქართველი დედის" შეფასებისათვის დასკვნის სახით ამბობდა:

„ავტორი „ქართველის დედისა" დღეს-აქამომდე გვაჩუქებდა ხოლმე პიესებს, ცოცხლად ამოღებულს აწმყოფის ცხოვრებიდამ. ამ პიესებს საგნადა ჰქონდა სურათები დღევანდელის ცხოვრებისა და ამ გზაზედ ბატონს ცაგარელს ჩვენში ჯერ წინ ვერავინ წასწრებია. აქ ბატონ ცაგარელს უცილობელი სახელი აქვს მოპოვებული და, ცოტად თუ ბევრად, ღირსეულადაც. ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ მისმა დრამა „ქართველის დედამ" ამ სახელს შეჰმატოს რამ"[1].

ილიას მიერ ავქსენტი ცაგარლის თხზულებაზე დაწერილი რეცენზიის აქ გახსენება აუცილებელი იყო იმდენად, რამდენადაც ამ კრიტიკულ წერილში გამოთქმული მოსაზრებანი ჩვენი ავტორის დრამატული პოემის განხილვაში ერთგვარ სამსახურს გაგვიწევს.

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 190.

* * *

ილია ჭავჭავაძემ პოემა „ქართველის დედა“ თავის ერთ-ერთ უახლოეს მეგობარს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს პეტრე ნაკაშიძეს მიუძღვნა. პოემას უპიგრაფად წამძღვარებული აქვს ცნობილი ქართული ხალხური ლექსი:

გაგვიძეღ, ბერო მინდიავ, მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო.

მოტანილ სტრიქონებში ერთგვარად წინასწარ მინიშნებულია თხზულების ძირითადი ტენდენცია: გვაჩვენოს ქართველი ხალხის ბრძოლა თავისი ეროვნული ღირსების დასაცავად. იმავე სტრიქონებიდან დამპყრობელი ძალის წინააღმდეგ გმირული საბრძოლო მოწოდებაც ბუნებრივად ისმის.

ნაწარმოების ეს ძირითადი ტენდენცია უფრო სრულად და მთელი სიცხადით ჩამოყალიბებულია პეტრე ნაკაშიძისადმი მიძღვნილ ლექსში, რომელიც არსებითად პოემის შესავალს წარმოადგენს. აქ ილია თავის მეგობარს პირდაპირ მიმართავს, რომ თხზულებაში მან დახატა სამშობლოსათვის თავდადებული გმირის ისეთი სახე, როგორიც მათ სამშობლოს გარეთ ცხოვრების დროს მრავალგზის უნატრიათ. იქვე პოეტი თანამემამულეს იმასაც ეუბნება, ეს ხატი ერთ-ერთი იმათგანიაო, „რომელთ იმედი, ღვთიურ სხივით გაბრწყინებული, დღესაც გულში გვაქვს მტკიცე რჯულად, ძმაო, მე და შენ“.

მომდევნო სტრიქონებში პოეტი მიძღვნის ადრესატს ეუბნება, რომ ამ თხზულებით თავისი ეპოქის ცხოვრების სინამდვილეს (მყობადს) „დიდი ფარდის“ ერთი კუთხე ახადა. დაბოლოს მასვე ერთხელ კიდევ შთამბეჭდავად მიმართავს:

ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა, —
ამით მამართლე, მიიღე და ნუ გამკიცხავ მე.

ასეთია „ქართველის დედის“ შესავალი ნაწილი.

პოემის ძირითად ტექსტში მოქმედებაში პირველი გამოჩნდება „ძალიან მისუსტებული და მოხუცებული“ დედა, რომელიც ლოგინში წევს. მკითხველისათვის დასაწყისიდანვე ცნობილი ხდება, რომ ავადმყოფ ქართველ დედას რაღაც განსაკუთრებით სასიხარულო ამბავი შეუტყვია. იგი, მიღებული ცნობით დაჯერებული, სრული კმაყოფილებით ამბობს:

თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის წვალება არი,
მაგრამ, ჰე, ღმერთო, გმადლობ, ამ დღეს რომ შემასწარი.

სასიამოვნო ცნობით კმაყოფილი დედა მომდევნო სტრიქონებში თავისი ამგვარი აღტაცების მიზეზს კონკრეტულად ასახელებს. „ხალხი აზვირთდა, — ამბობს იგი, — ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს, კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს".

ბუნებრივია, როდესაც დედამ გაიგო, რომ სამშობლოს გასათავისუფლებლად მთელი ქართველი ხალხი აღდგა და მოქმედებს, ისიც იცის, რომ თვითონაც, როგორც ქართველმა მანდილოსანმა, გარკვეული როლი უნდა შეასრულოს. თავისთავად იგულისხმება, რომ თავისუფლებისათვის დაწყებული ბრძოლის ავანგარდში ახალგაზრდობა დგას. იმავე დროს მკითხველისათვის ისიც ცნობილი ხდება, რომ დედას ერთადერთი „საყვარელი და სანატრელი" ვაჟიშვილი ჰყავს და, როგორც იქვეა ნათქვამი, „იგია მარტო თავის დედის ნუგეშმცემელი".

ქართველის დედა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ შვილისათვის და შვილით ცხოვრობს, პირველსავე მონოლოგში ამბობს, რომ იგი თანახმაა თავისი დედისერთა მამულისათვის ბრძოლის ველზე გაგზავნოს. მკითხველს გულის საძირკვლამდე წვდება დედის სიტყვები მონოლოგის ერთ ნაწილში:

ჩემის სიბერის მისაყრდნობად ისღა მშთენია, —
მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია...

მოტანილი სიტყვებიდან უდავოდ იგრძნობა ქართველის დედის სანაქებო პატრიოტული შემართება; მისი მზად ყოფნა, რომ მამულის გადასარჩენად საკუთარი ერთადერთი ვაჟიშვილი გაიმეტოს. მაგრამ ეს გამეტება ჯერ მხოლოდ ოცნებაშია და ამ ოცნებიდან პრაქტიკულ საქმეზე გადასვლა იოლად არ ხდება. მკითხველი უკვე გრძნობს, რომ გმირი ქალის პიროვნებაში მამულიშვილური სიყვარულის გრძნობას დედაშვილური სიყვარულის გრძნობა უკვე უპირისპირდება. მწერალი, ზემომოტანილი პოეტური სტრიქონების შემდეგ, მკითხველის საყურადღებოდ შენიშნავს, რომ ქართველის დედა „შეწუხებული ჩაფიქრდება და მცირე ხანს შემდეგ იტყვის":

ის დღეა დღეს, რომ მამულს ვუძღვნა ძის სიყვარული,
ან ძეს შეეწირო საყვარელი დიდი მამული...

აქ, ქართველის დედის ამ სიტყვებში, უკვე ერთმანეთს უპირისპირდებიან, ერთი მხრივ, გრძნობა მამულიშვილური სიყვარულისა და, მეორე მხრივ, გრძნობა დედაშვილური სიყვარულისა. გრძნობათა ეს დაპირისპირება, მათი ჰიდილი კიდევ უფრო შთამბეჭდავი ხდება მომდევნო სტრიქონებიდან. აქ ბრძენი ავტორი იმავე ქართველის დედის პირით გვეუბნება:

ამ ორის გრძნობის ბრძოლა გულმა ვით გადიხადოს?
ძის სიყვარული, თუ მამულის, — რომელი დასთმოს?

ამ დროსაც ქართველის დედისაგან კვლავ გვესმის მისი მგზნებარე პატრიოტული მიმართვა სამშობლო ქვეყნისადმი: „ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი, სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი“... მაგრამ იმავე დროს მამულიშვილურ სიყვარულს დედაშვილობის გრძნობა მთელი ძალით უპირისპირდება. მშობელს წარმოუდგება, რომ თავისი დედისერთა უკვე ბრძოლის ველზე გასულია. ქალი ოცნებაში შვილს ბრძოლაში დაჭრილსაც ხედავს, მაგრამ დასახმარებლად ხელი ვერ მიუწვდენია. ქალის ოცნება იქამდე მიდის, რომ დედა მტრის მახვილით განგმირულ შვილს მშობლისაგან დაუტირებელსაც წარმოიდგენს.

სწორედ იმ დროს, როდესაც დედა ასე მძიმე ადამიანურ განცდებშია, მოქმედებაში შვილიც გამოჩნდება. იგი, თავისი ერის გამოღვიძებით აღტაცებული, მშობელ დედას მიმართავს:

მოვიდა დიდ ხნის სანატრელი, დედავ, ამბავი:
ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა...

სანატრელი და ნუგეშმცემელი შვილის ამ მიმართვას ქართველის დედა აგრეთვე გატაცებით უპასუხებს და ამ პასუხიდან კვლავ იგრძნობა იგივე სანაქებო პატრიოტული თავდადება, როგორითაც დედა მოქმედებაში პირველი გამოჩენისთანავე წარმოგვიდგება. „მე ვწუხვარ მასზედ, — ამბობს იგი, — რომ ჩემს მამულს ამ ნეტარ დღესა მხოლოდღა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი“. მოსმენილი პასუხით გახარებული შვილი დედასვე ეკითხება:

როგორ? მეც მგზავნი საომრადა, დედისერთასა,
რომ თავი დავსდო მამულისა ჩვენის სახსნელად?

ჩვენი მწერლის მიერ დახატული დედა ამ დროსაც თავის პატრიოტულ შემართებას ერთხელ კიდევ გვაგრძნობინებს. იგი თავის შვილს ახლაც შთამაგონებლად ეუბნება:

სულზედა დიდი ცოდვა უნდა ედგას დედასა,
რომ შვილი ამ დროს არ გაჰგზავნოს ძმათა საშველად.

შვილი ქართველის დედის ამ შეგონებასაც გულითადად ღებულობს და მშობლის წინაშე ერთგვარ ფიცსა დებს, რომ მისი დავალება მშობლიური ქვეყნისათვის თავდადებაზე პირნათლად შეასრულოს. სწორედ იმავე წუთებში ქუჩიდან აჯანყებულთა ჯარების მოძრაობის ხმაური ისმის. ცოტა კიდევ და სამშობლოს დასახსნე-

ლად გამოსული ლაშქრის სიმღერას დედა-შვილი ერთად ისმენს. სიმღერის ტექსტი ასე იკითხება:

ქართველო ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.

მამულის დამხსნელს — ვაჟკაცის
ხმალი და გული სდომია,
ვაჟკაცის გამომჩენელიც
მტერთან გელდაგულ ომია.

მამულის დახსნის დღე არის,
ქვეყანა გვნუკავს შველასა,
თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა.

თავისუფლების მშოვნელი
ამ ქვეყნად მარტო თოფია,
შინ უღლით გაქნილს მშვიდობას
ომში სისხლის ღვრა სჯობია!

„ქართვლის დედის“ ეს ნაწილი მთელს პოემაში ერთი უპირველესია. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი, ცალკე აღებულიც, სამშობლოს თემაზე დაწერილი ბრწყინვალე ლექსია, რომელიც ჩვენი ავტორის პატრიოტულ ლირიკას ყოველთვის დაამშვენებს. შემთხვევითი არაა, რომ პოემის ეს ნაწილი თვითონ ილია ჭავჭავაძესაც განსაკუთრებით მოსწონდა. ბრძენი მგოსანი პეტრე ნაკაშიძეს სწერდა:

„გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს შენდამი ნაძღვნევს ჩემს „ქართვლის დედას“. თუ მოგეწონოს, მიეცი ნიკოლაძეს დასაბეჭდად. გთხოვ შენი პირმოურიდებელი აზრი მაცნობო ამ პატარა თხზულებაზედა. კარგად კი წაიკითხე. მე ყველაზედ უფრო ჯარის სიმღერა მოწყინს, გლეხურ კილოზედ მოწყობილია. თუ მოგეწონოს დასაბეჭდათ, შენთან მოწერილი ძღვნობის ლექსიც დაბეჭდინე ამასთან ერთად. კორექტურა შენთვის მომინდვია“[1].

ქართველთა ლაშქრის ზემომოტანილი სიმღერის შემდეგ თხზულებაში მოქმედების განვითარება კვლავ აღმავლობის გზით მიდის. დედისა და შვილის პატრიოტულ შემართებას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის ის სცენა, როდესაც მათ დიალოგს ქუჩიდან ხალხის საერთო ჟრიამულის ხმა უერთდება. გულთამხილავი მწერალი ხალხისა და სამშობლოს მხსნელთა ლაშქრის იდეური ერთიანობის ჯეშმარიტად შთამბეჭდავ სურათებს ქმნის. თვით უძლური დედაკაცები და სოფლის პატარა ბიჭებიც კი სამშობლოს გასათავისუფლებლად მიმავალ ლაშქარს გამამხნევებელი შეძახილებით აცილებენ. ამით მკითხველისათვის ეროვნული მოძრაობის საყოველთაო-სახალხო ხასიათი სავსებით ნათელი ხდება და ნაწარმოების საერთო შთაბეჭდაობაც კიდევ უფრო ძლიერდება.

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 32.

იმ დროს, როდესაც დედა და შვილი ქუჩაში გამოსულ ხალხსა და საომრად გამზადებულ ლაშქარს ფანჯრიდან გაჰყურებენ, დედა ჯარის დანახვაზე „ცრემლს ვერ იმაგრებს და სტირის“. ატირებულ დედას შვილი კითხვით მიმართავს: „შეხედე, ხალხი რა რიგ ლოცვით ჯარსა აცილებს, დიდი, პატარა მხიარულობს, შენ რა გატირებს?“

შვილის ამგვარი კითხვის საპასუხოდ ქართველის დედა კვლავ თავისი მოწოდების სიმაღლეზე დგება. იგი თავის პირმშოს და მასთან ერთად მამულის გამოსახსნელად ამხედრებულ ქართველ ახალგაზრდობას გზას შემდეგი სიტყვებით ულოცავს: „ღმერთმა კურთხევა დიდ საქმეში წინ წაგიძღვაროთ! ჩვენ კი, დედებმა, ღვთის წინ უნდა ცრემლები ვღვაროთ“.

მოტანილი სიტყვებიდან კვლავ ნათლად იგრძნობა ქართველის დედის მზადყოფნა იმისათვის, რომ მშობლიური ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ საკუთარი შვილი გაწიროს. მაგრამ ეს გაწირვა იოლად არასოდეს არ ხდება. მკითხველი პოემის მთელ მანძილზე გრძნობს, რომ დედის პიროვნებაში მამულიშვილური სიყვარულის გრძნობას დედაშვილობის გრძნობაც განუყრელად თან სდევს.

ქართველის დედის პიროვნებაში მამულიშვილური და დედაშვილური სიყვარულის გრძნობათა ჰიდილი ერთხელ კიდევ თავს იჩენს იმ მომენტში, როდესაც ქართველთა ლაშქარი ბრძოლის ველისაკენ უნდა გაემგზავროს და, მაშასადამე, დედა–შვილი დროებით ერთმანეთს უნდა დაშორდნენ. მწერალი გვეუბნება, რომ შვილის განშორების მოლოდინში დედა უკვე „სტირის და უფრო მაგრად გულზედ მიიკრავს შვილს. მერე უეცრად ხელს ანებებს და ზარდაცემულსავით თვალში თვალს უყრის და მცირეს ხანს ამ ყოფით არის“.

დედა-შვილის საუბარი გრძელდება. ქართველის დედა გასამგზავრებლად გამზადებულ შვილს ეკითხება: „დედა არ გიყვარს, დედა შენი მოხუცებული“? დედის კითხვას შვილი კითხვითვე უპასუხებს: „მერე, რომ მიყვარს?“ შვილის ამ სიტყვებს ქართველის დედა, მართალია, ფრთხილად და გაუბედავად, მაგრამ გასაგებად უპასუხებს. იგი თავის ერთადერთ შვილს დედასთან დარჩენას სთხოვს.

თხზულების ამ ნაწილში მამულიშვილური და დედაშვილური სიყვარულის გრძნობათა ბრძოლა-ჰიდილი კულმინაციურ წერტილს აღწევს. აქ უკვე დედის პიროვნებაში გრძნობათა ჰიდილი იმგვარია, რომ მკითხველის მოლოდინი მეტწილად დედაშვილური სიყვარულის გამარჯვებისაკენ იხრება. მწერლის მიერ დედის ადამიანური ღანცდები იმგვარადაა გამოსახული, ბუნებრივად გვაფიქრებინებს,

რომ მისგან შვილის გაწირვა ძნელია, შეუძლებელია. მაგრამ იქვე, მომდევნო სტრიქონში შვილი მშობელს კვლავ ეკითხება: „მერე მამული?“ და წამსვე მდგომარეობა არსებითად იცვლება. დედა, რომელსაც „თითქო ეხლა გაახსენდაო“ თავისი პატრიოტული მოვალეობა, შვილს შთამაგონებლად მიმართავს:

მართლა, მამული!... იგი უფრო საყვარელია,
მაშ წადი, შვილო!.. ღმერთი იყოს შენი მხსნელია.

მოტანილი სტრიქონებიდან აშკარად იგრძნობა, რომ ქართვლის დედამ რაღაც დიდი გაწირა, ძნელად გასაწირი, ძნელად გასამეტებელი. სწორედ ამითაა გაპირობებული ის ფაქტი, რომ ქართველი მანდილოსნის ეს გმირული შემართება ესოდენ დამაჯერებელი და გულში ჩამწვდომია.

ქართვლის დედის საქციელის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. იგი მშობლიური ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ თავის ერთადერთ ვაჟიშვილს იმეტებს. ნაწარმოებში მოქმედება იმგვარად ვითარდება, ბუნებრივად ვგრძნობთ, რომ ქართვლის დედის სანაქებო საქციელი მისივე კეთილშობილური პატრიოტიზმით არის ნასაზრდოები. ახლა კი ავტორის აზრის გამომხატველია შვილის სიტყვები დედასთან გამოთხოვების დროს. აქ უკვე მამულიშვილური სიყვარულის გრძნობა ღვთიური ტრფობის ძალად არის აღიარებული. დედის პასუხით აღტაცებული შვილი ამბობს:

ეჰა, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიერსა
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა...
ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში.

დაბოლოს გრძნობა მამულიშვილობისა მთელი სიდიადით წარმოგვიდგება იმ მომენტშიც, როცა ბრძოლის ველზე მიმავალი შვილი დედას მგრძნობიარედ ეთხოვება. „მშვიდობით, დედი, — მიმართავს იგი, — მეძნელება შენი დათმობა, მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გმობა“.

ამ სიტყვების შემდეგ შვილი სახლიდან გადის, სამშობლოს დასახსნელად მიმავალ ქართველთა ლაშქარს უერთდება, ხოლო დედა „ღონემიხდილი გადიქცევა ლოგინზედ და სულთმობრძავი ამბობს: ვაიმე, შვილო!.. შენს წასვლასთან მიჰქრება ძალი“.

მკითხველის მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდება ქართვლის დედის მიერ სიკვდილის წინა წუთებში წარმოთქმული სიტყვები. აქ ერთხელ კიდევ განმეორებულია ის ძირითადი აზრი, რომ დედის პიროვნებაში მამულიშვილური და დედაშვილური სიყვარულის

გრძნობათა ხანგრძლივი ჭიდილი საბოლოოდ მაინც პირველის გამარჯვებით დამთავრდა. დედა თვითონვე გვეუბნება:

დიდ ხანს ებრძოდა შვილის ტრფობას მამულის ვალი.
ვალმა აჯობა, მაგრამ ძვირად დამიჯდა ჯობნა.

რაღა თქმა უნდა, ქართველის დედის მიერ სამშობლოსათვის ამგვარი თავდადება და თავგანწირვა პატრიოტულ გრძნობას აღძრავს ყველა დროის გულსრულ ადამიანში.

დასასრულ ისიც უნდა ითქვას, რომ პოემის იდეური ჩანაფიქრი მხოლოდ ქართული სინამდვილით არ იზღუდება. „ქართველის დედის“ ავტორი არა მარტო ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის იღვწის, არამედ იმავე დროს საზოგადოდ კავკასიის ხალხების ბედზე ზრუნვის ტენდენციასაც სავსებით ნათლად ამჟღავნებს. დედის პირველსავე მონოლოგში ვკითხულობთ:

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს,—
და ეგ ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლებაა!..
ვიცი, ხალხი, რომ ეს გრძნობა წინ წარუძღვებაა!

საზოგადოებრივი ვითარების ამგვარად გამოსახვის წყალობით ჩვენი მწერალი ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად დაწყებული მოძრაობის საყოველთაო-სახალხო შინაარსს მთელი სისრულით გვაგრძნობინებს. ეგეც სტრიქონები ერთგვარი მოსამზადებელი საფეხურიცაა იმისათვის, რომ შემდგომ მოვისმინოთ საზოგადოდ თავისუფლებისა და კაცთა შორის თანასწორობის ის დიდებული ჰიმნი, რომელიც სახელოვანმა მგოსანმა კონკრეტულ შემთხვევაში ქართველის დედას ათქმევინა:

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის დრამატული პოემა „ქართლის დედა“ მწერლის ეპოქის ფონზე იშლება. იგი ქართველი ერის მომავალი თავისუფლების იდეით შთაგონებული საგმირო-პატრიოტული ხასიათის ნაწარმოებია. ილია თავის თანამედროვე ადამიანთაგან ქმნის მშობლიური ქვეყნისა და ერის თავისუფლებისათვის მებრძოლ ტიპებს. ნაწარმოებში დედასთან ერთად არიან, როგორც დამხმარე პერსონაჟები, გმირი დედის ღირსეული შვილი კიაზო და მისი მეგობარი ახალგაზრდა ცხენოსანი. მოქმედებაში მოჩანს აგრეთვე სამშობლოს მხსნელთა ლაშქარი და ხალხი.

ილიას პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“

ცნობილი ქართველი მეფის დიმიტრი თავდადებულის ამბავი ილია ჭავჭავაძეს ჯერ კიდევ ბავშვობის დროს მოუსმენია, როდესაც იგი სოფლის მთავართან სწავლობდა. როგორც თვითონვე ავტობიოგრაფიაში ამბობს, მომავალ მგოსანს მთავრის მონათხრობი გულში ღრმად ჩარჩენია და მრავალი წლის შემდეგ პოემის თემად გამოუყენებია.

ბწერლის თანამედროვეები სწორედ ამ პოემასთან დაკავშირებით მიუთითებდნენ, რომ „ქართლის ცხოვრება“ მისი ნიადაგ საკითხავი წიგნი ყოფილა. გრიგოლ ყიფშიძე წერდა: „დიმიტრი თავდადებულის“ შექმნა აიხსნება მით, რომ ილია ერთხანად დიდად გაიტაცა ჩვენმა ისტორიულ ქრონიკის „ქართლის ცხოვრების“ კითხვამ“[1].

ილია ჭავჭავაძეს მეფე დიმიტრი თავდადებული პირველად მოხსენიებული ჰყავს პოემა „აჩრდილის“ იმ ვარიანტში, რომელიც 1859 წლის 26 იანვრით არის დათარიღებული. ნაწარმოებში გამოყვანილი მოხუცი მრავალჯერნახულ საქართველოს შთამბეჭდავად მიმართავს:

სისხლი, სულ სისხლი ჰფარავს და ჰფარავს
შენს წარსულ ჟამსა, შენს ბედის ვარსკვლავსა!
თვით მეფენიც კი თვის ცხებულ თავსა
მსხვერპლად აძლევდნენ მშობლიურ ხალხსა.
განა დიმიტრი თავდადებული
იქნება როსმე დავიწყებული?![2]

ილიამ 1860 წელს დაწერა ლექსი „მეფანტურე“, რომლის ორი ვარიანტია ჩვენამდე მოღწეული. ეს ლექსი შემდეგში ავტორმა პოემის დასაწყის ნაწილში გამოიყენა. „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ ძირითადი ტექსტი 1877-1878 წლებში იწერებოდა, ხოლო საბოლოო სახით პოემა ჟურნალ „ივერიის“ 1879 წლის იანვრის ნომერში გამოქვეყნდა. პოემაში ქართველი მეფის დიმიტრი მეორის მიერ სამშობლოსათვის თავგანწირვის კონკრეტული ფაქტია მხატვრულად განზოგადებული.

სახელოვანი მგოსნის მხატვრულ მემკვიდრეობაში „მეფე დიმი-

---

[1] კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 98.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1951 წ., გვ. 317. იხ. პ. ინგოროყვას სარედაქციო შენიშვნები იმავე ტომში, გვ. 376—378.

ტრი თავდადებული“ ერთადერთი ისტორიული პოემაა. ამიტომაც ზედმეტი არ იქნება, რომ აქ გავიხსენოთ თვითონ ავტორის აზრი საზოგადოდ ისტორიული თემისადმი მწერლის მიდგომაზე. თავის ცნობილ წერილში „ახალი დრამების გამო“, როდესაც ისტორიულ დრამებზე მსჯელობდა, ილია ამბობდა:

„ამისთანა დრამის დამწერს წინ უნდა უძღოდეს დიდი ცოდნა ისტორიისა, დიდი გონება-გახსნილობა, დიდი განათლება, ღვთივმიმადლებულ ნიჭის გარდა და, ჩვენის ფიქრით, ამაოდ ირჯებიან ისინი, ვინც ამისთანა დრამის დაწერას მოუმზადებლად და, მაშასადამე, კადნიერად ეტანებიან“[1].

ვისაც გულდასმით გადაუკითხავს ილიას წერილები „ოსმალოს საქართველო“, „აი ისტორია“, „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, „დავით აღმაშენებელი“, „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“, „ერი და ისტორია“ და „ქვათა ღაღადი“ მისთვის სრულიად უეჭველია, რომ ჩვენი მგოსანი ნამდვილად აღჭურვილი იყო იმ მონაცემებით, რომელნიც, მისივე თქმით, ისტორიულ თემებზე მომუშავე მწერლისათვის საჭირო და აუცილებელია.

ისტორიის სფეროში ჩვენი მწერლის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდა აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. მისი სიტყვით, ილია ჭავჭავაძეს „არა ერთხელ თავისი პირდაპირი მოვალეობისათვის თავი დაუნებებია და ისტორიული კვლევა-ძიების საკითხებში ჩარეულა“[2].

პოემის განხილვა დაგვარწმუნებს, რომ ილია დიმიტრი თავდადებულის ცხოვრებასაც აგრეთვე ზედმიწევნით გაცნობილი იყო.

მეფე დიმიტრი თავდადებული მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრის კაცია. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით დიმიტრი დაბადებულია 1259 წელს. იგი თოთხმეტი წლისა უნდა ყოფილიყო, როდესაც მონღოლთა ყაენმა აბაღამ საქართველოს სამეფო ტახტზე დაამტკიცა[3].

ილია ჭავჭავაძის პოემის, როგორც ხელოვნების ნაწარმოების, გაგებისათვის უწინარეს ყოვლისა ისტორიული წყაროს საკითხი უნდა გაირკვეს. წინასწარ რომ ითქვას, დიმიტრი თავდადებულზე მაინცდამაინც მდიდარი ლიტერატურა არ არსებობს. ამ თვალსაზრისით ძველი ისტორიკოსებიდან მხოლოდ ორიოდე ავტორის და-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 186.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956 წ., გვ. 78.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, 1966 წ., გვ. 212.

სახელება შეიძლება. ესენი არიან ჟამთააღმწერელი და ვახუშტი ბაგრატიონი. ჟამთააღმწერლის თხზულება, რომელიც პოპულარობით სარგებლობდა და სარგებლობს, მეთოთხმეტე საუკუნეში შეიქმნა, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონმა დიმიტრი თავდადებულს კუთვნილი ადგილი მიუჩინა თავის ცნობილ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დაიწერა.

ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების ის ნაწილი, რომელშიც მეფე დიმიტრი მეორის ცხოვრებაა გაშუქებული, პირველად დიმიტრი ბაქრაძემ 1885 წელს გამოსცა და ამდენად ბუნებრივია, რომ ამ წიგნს ილია ჭავჭავაძე „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ წერის დროს ვერ გამოიყენებდა[1].

როგორც ცნობილია, ჟამთააღმწერლის ნაშრომი 1849 წელს მარი ბროსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“ დაიბეჭდა. ილიას პოეტური სტრიქონებიდან რიგ შემთხვევებში მთელი სისრულით შეიცნობა ისტორიკოსის თხზულებაში ფიქსირებული მეფე დიმიტრის პიროვნებასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენები.

ჩვენს მწერალს დიმიტრი თავდადებულის ცხოვრების მთლიანად გადმოცემა მიზნად არ დაუსახავს. მან პოემის თემად აიღო დიმიტრის ცხოვრების მხოლოდ ის ნაწილი, რომელშიც სახელოვანმა მეფემ საკუთარი სიცოცხლის გაწირვით მშობლიური ქვეყანა და ხალხი გამანადგურებელ ომს გადაარჩინა.

ილიას ეს პოემა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველია შესავალი და დასაწყისი თავები, რომლებშიც მკითხველი დიმიტრის პიროვნებას მშვიდობიანი მეფური ცხოვრების პირობებში ზოგადად ეცნობა და მეორე, ძირითადი ნაწილი, რომელშიც მეფე დიმიტრის მიერ სამშობლოსათვის თავდადების ამბავია გადმოცემული.

პოემის შინაარსის სიახლოვე ჟამთააღმწერლის საისტორიო ნაშრომთან მთელ რიგ დეტალებში იგრძნობა. კონკრეტულ შემთხვევაში უმთავრესი დამახასიათებელი ფაქტების აღნიშვნა მაინც აუცილებელია. ფაქტები შემდეგია:

ჟამთააღმწერლის თხზულებაში მშობლიური ერისათვის თავდადებული მეფის პორტრეტი ასეა გადმოცემული:

„იყო ესე დიმიტრი ტანითა ახოვანი, ფერითა ჰაეროვანი, შესახედავად ტურფა, თმითა და წვერითა მწყაზარ და მშვენიერ, თვალი-

[1] გამორიცხული არაა, რომ ილიას ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების ხელნაწერიც ნანახი ჰქონდეს. მაგრამ ჩვენი მწერალი მაინც პოემის ისტორიულ ნაწილში არსებითად ჟამთააღმწერლის საისტორიო ნაშრომს ემყარება.

თა გრემან, ბეჭ-ბრტყელ და შეწყობილ სამხედროთა წესითა, სრული ცხენოსანი და მშვილდოსანი რჩეული“ [1].

მოტანილი ამონაწერის შესაბამისი ადგილი ილია ჭავჭავაძის პოემაში ასე იკითხება:

დიმიტრი ერქვა სახელად, არავინ ჰყავდა ბადალი.
მხარ-ბეჭ-პრტყელი, ტანმაღალი, კაცი იყო, მეფე-კაცი,
ჯირითში თუ შვილდ-ისარში თვალად, ტანად, მშვენიერი [2].

ყამთააღმწერლის ნაშრომში მეფე დიმიტრი დახასიათებულია როგორც ღარიბ-ღატაკთა და ქვრივ-ობოლთა მწყალობელი. იქ ნათქვამია, რომ დიმიტრი იყო „უხვი, მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქურივთა და დავრდომილთა მოწყალე, რომელ არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა გინა სხვათა კაცთა. რამეთუ აქუნდა ჩვეულებაჲ, აღიღის საფასე და აღდგის ღამე, და მოვლის ქალაქი, და მოიხილნის გლახაკნი და დავრდომილნი, და ობოლნი, და თჳსითა ხელითა მისცემდის ყოველთა“ [3].

ილიას პოემაშიც ზემომოტანილ ნაწყვეტს პირდაპირ მისდევს შემდეგი სალექსო სტრიქონები:

ღამით თურმე ჩაიცვამდა მოივლიდა ქვრივს და ობერს,
უბრალო კაბა-ჯუბასა, დავრდომილსა და ობოლსა.
წავა და ინახულებდა თავის ხელით ურიგებდა
საწყალის ხალხის უბანსა. მოწყალებას და საზრდოსა.

ყამთააღმწერლის თხზულებაში ნათქვამია, რომ ყაენისა და განდგომილის ბრძოლა უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. მცირე ხნის შემდეგ არღუნ ყაენის ბრძანებით „წარავლინეს ყოველგან კაცი, საბერძნეთს, შამს და ხვარასანს, და მრავალნი დიდნი ნოინნი მოსწყვიდნენ, და ესრეთ შეიქმნა კლვა და მოსრვა ნოინთა“ [4].

ახალი ყაენის არღუნის მიერ ჩატარებული ხოცვა-ჟლეტის ამბავი ილიას პოემაში ასეა გადმოცემული:

დამარცხდა ბოლოს ყეინი, ის ხომ მოკლა, მის ცოლ-შვილიც
გამდგარმა აკი აღობა, ცხენსა კუდით ათრევინა,
ის მოკლა და თვით დაიპყრო საცა კი მის მომხრე იყო,
სათათრეთის ბატონობა. თავები დააყრევინა [5].

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, მარი ბროსეს გამოცემა, 1849 წ., გვ. 411.
[2] ილია ჭავჭავაძე, მეფე დიმიტრი თავდადებული, თავი III.
[3] ქართლის ცხოვრება, I, მარი ბროსეს გამოცემა, 1849 წ., გვ. 411-412.
[4] იქვე, გვ. 421.
[5] ილია ჭავჭავაძე, მეფე დიმიტრი თავდადებული, თავი IV.

აბის შემდეგ როგორც საისტორიო ნაშრომში, ისე პოემაში ახალი ყაენის მიერ მონღოლთა ურდოში მეფე დიმიტრის გამოძახების ამბავია გადმოცემული. „ქართლის ცხოვრებიდან“ ზემომოტანილ ამონაწერს ყაენისაგან ჩატარებულ ნოინთა ხოცვა-ჟლეტაზე პირდაპირ მოსდევს პირველი ცნობა ქართველი მეფის ურდოში დაბარებაზე. ისტორიკოსი ამბობს, რომ არღუნ ყაენმა „წარმოავლინა ელჩი მეფისად, მხმობელმან ყაინმან, და აწვია ურდოსა მეფე“[1].

იგივე ამბავი მონღოლთა ურდოში მეფე დიმიტრის გაწვევისა პოემის მეხუთე თავში ასეა გადმოცემული:

გაუგზავნა მოციქული — „გამოცხადდი ჩემთან შენო,
თუ არ მოხვალ, შენს ქვეყანას ნაცარ-ქუქას ავადენო“.

ჟამთააღმწერლის მიხედვით ქართველმა მეფემ ყაენის მიერ გამოძახებისთანავე სახელმწიფო დარბაზი შეკრიბა. ისტორიკოსი წერს:

„მოუწოდა მეფემან კათალიკოზსა აბრაჰამს და ეპისკოპოსთა, მონასტერთა და უდაბნოთა გარესჯისა, მღუდელ-მონაზონთა, და ყოველთა მთავართა სამეფოთა მისისათა. შემოკრბეს მის წინაშე“[2].

ილია ჭავჭავაძის პოემაშიც საქმის საერთო ვითარება ასეა გადმოცემული. აქაც ნათქვამია, რომ დიმიტრი მეფემ ღრმა ადამიანური ფიქრისა და მწვავე შინაგანი განცდების შემდეგ,

ბრძანა და მსწრაფლ შეიყარნენ დიდებულნი, მღვდელმთავარნი,
ვეზირნი და ნაზირები, ბჭე-მდივნები სპასალარნი[3].

ამის შემდეგ როგორც ჟამთააღმწერლის ნაშრომში, ისე ილიას პოემაში გადმოცემულია სახელმწიფო დარბაზში მიმდინარე მსჯელობა მონღოლთა ურდოში მეფე დიმიტრის გამოცხადების საკითხზე.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ საისტორიო ნაშრომსა და პოემის ამ ნაწილში საერთო შინაარსობრივი სიახლოვე აგრეთვე თვალსაჩინოა. ამდენად კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელი ფაქტის აღნიშვნით შეიძლება დავკმაყოფილდეთ. ასეთი ფაქტები შემდეგია:

ორივე თხზულებაში დიმიტრი თვითონ მოითხოვს ურდოში გამგზავრებას. აგრეთვე მეფის მიერ დარბაზისათვის შეთავაზებული

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, მარი ბროსეს გამოცემა, 1849 წ., გვ. 421.

[2] იქვე.

[3] ილია ჭავჭავაძე, მეფე დიმიტრი თავდადებული, თავი VI.

წინადადების დასაბუთებაც აზრობრივად ორივე ავტორთან ერთი და იგივეა.

ჟამთააღმწერლის მიხედვით მეფე დიმიტრი სასახლეში შეკრებილ ერის თავკაცებს მიმართავს:

„რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკუდეს, და მე ტვირთმძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს რათა წარვიდე ყაინს წინაშე, და იყოს ნება ღვთისა. უკეთუ მე მომკლან, ვჰგონებ ქვეყანაჲ უვნებლად დარჩეს“... დაბოლოს, მეფე თავის ერთგულ ქართველობას დასკვნის სახით ეუბნება: „მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისთავის ჩემისა, და არ დავიშლი ურდოს წასვლასა“[1].

დიმიტრი მეფის ეს მიმართვა სახელმწიფო დარბაზისადმი პოემის მეათე თავშია გადმოცემული. იგი ილია ჭავჭავაძის პოეტურ სტრიქონებში ასე იკითხება:

თუ სიკვდილი სახელად გაქვთ — არას წავალ, არ დავდგები,
მაგდენს ჩემთვის — ერთისათვის, — დე ასრულდეს ნება ღვთისა,
მაშ რად მიშლით თავდადებას — ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს
მე ერთს — მთელის ერისათვის!.. — მეფის თქვენის დიმიტრისა.

როგორც საისტორიო ნაშრომიდან, ისე პოემიდან ნათლად ჩანს, რომ მეფეს სახელმწიფო დარბაზის თანხმობა მონღოლთა ურდოში გამგზავრებაზე იოლად არ მიუღია. თათბირის მონაწილენი მოითხოვდნენ, რომ დიმიტრის ყაენთან გამოცხადებაზე უარი ეთქვა და თავდაცვითი ომისათვის თადარიგს შედგომოდა. მეფისა და დარბაზის ეს დაპირისპირება უბრალო გარემოება სრულიადაც არ ყოფილა. ამ დროს როგორც დიმიტრიმ, ისე მის გარშემო მყოფმა ქართველობამ უკვე იცოდა, რომ მეფე მონღოლთა ურდოდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებოდა.

მეფის მიმართვაში დარბაზისადმი სავსებით ნათლად არის ნათქვამი: „უკეთუ წარვიდე ყაინს წინაშე, დასტურობით ვუწყი მომკლავს“. ილიას პოემაშიც დიმიტრი ამბობს: „წავალ — მომკლავს, და არ წავალ — ამოხრებს ქვეყანასა“.

მეფესა და სახელმწიფო დარბაზს შორის აზრთა სხვადასხვაობას ბოლო მხოლოდ იმის შემდეგ მოეღო, როცა მსჯელობაში ქართული ეკლესიის წინამძღოლი ჩაერია.

ჟამთააღმწერლის მიხედვით, აბრაჰამ კათალიკოსმა მშობლიური ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებულ მეფეს ერის საკეთილდღეოდ თვითგანწირვის განზრახვა მოუწონა. მღვდელმთავრისაგან ამგვარი მხარდაჭერა თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რო-

[1] ქართლის ცხოვრება, I, მარი ბროსეს გამოცემა, 1849 წ., გვ. 422.

მელიც მეფეს გმირული თადადებისათვის ახალ ბიძგს აძლევდა.

იქვე, მომდევნო სტრიქონებში ისტორიკოსი უკვე ამბობს: „ვითარცა ესმნეს მეფესა კათალიკოსისაგან, განიხარა და დაასკუნა წარსვლა ურდოსა, დიდითა დიდებითა და საჭურველითა, და თანა წარჰყვა კათალიკოზი აბრაჰამ“.

ილია ჭავჭავაძის პოემაში მოხსენიებული მღვდელმთავარიც მეფე დიმიტრის აგრეთვე მოუწოდებს:

ვსტირ და გირჩევ თავგანწირვას, მოყვასისთვის თავდადება
რაკი რომ ეს დღე გვეწია,— ქრისტე-ღმერთის ანდერძია[1].

აქაც მომდევნო სტრიქონებში ნათქვამია, რომ „მეფეს ძლიერ მოეწონა მღვდელმთავრისა სიტყვა ბრძნული“.

იმ დროს, როდესაც მეფე დიმიტრი თავისი მხლებლებით მონღოლთა ურდოს უახლოვდებოდა, მას წინ შემოხვდა ყაენის მიერ გამოგზავნილი ნოინი, რომელსაც მრავალრიცხოვანი ლაშქარიც თან ახლდა. ჟამთააღმწერელი ამბობს: როცა ქართველი მეფე და მისი მხლებელნი „მიეახლნეს ურდოსა, ჰგონა ყაინმან მეფისა არ მისლვა. წარმოავლინა ნოინი ერთი, სახელით სიუქოლ,— რათა მოიყვანოს მეფე. მგზავრ მიმავალსა მეფესა წინა დაემთხვია, რომელმან მყის აღიღო ყოველი ბარგი და სიმდიდრე მისი, და მეფე პყრობილ ჰყო და მიიყუანა არღუნს წინაშე“[2].

ისტორიკოსის ეს მონათხრობი ილიას პოემაში ასე იკითხება:

მისცვივდნენ უკადრისადა, შეჰკრეს, შეჰბაწრეს ტყვესავით
ვით ძეს ღვთისას ურიანი, მეფე, ხელმწიფე სვიანი[3].

ჟამთააღმწერლის საისტორიო ნაშრომისა და ილიას პოემის მსგავსების თვალსაზრისით საინტერესოა ქართველების მიერ ურდოდან დიმიტრის გამოხსნის განზრახვის ეპიზოდი. ორივე თხზულებაში საკმარისად ვრცლად არის ლაპარაკი იმაზე, რომ თანამემამულეებმა, მონღოლთა რამდენიმე მოხელის მოსყიდვით, შეძლეს თავდადებული მეფის სამშობლოში მალულად წამოყვანის ორგანიზება, მაგრამ იგი ამაზე ვერ დაითანხმეს.

ჟამთააღმწერლის მიხედვით დიმიტრი მეფეს მისმა ერთგულმა ქართველებმა უთხრეს: „აჰა თავი შენი ხელთა შინა შენთა არს. ღამით მოიდგინენ ცხენნი მორბედნი და წარვედ, და განერე ხელთაგან ამათთა. არა არს ნაცვალი სულისა“. ამ წინადადებაზეო,—

[1] ილია ჭავჭავაძე, მეფე დიმიტრი თავდადებული, თავი XI.

[2] ქართლის ცხოვრება, I, მარი ბროსეს გამოცემა, 1849 წ., გვ. 422.

[3] ილია ჭავჭავაძე, მეფე დიმიტრი თავდადებული, თავი XXIV.

ამბობს ისტორიკოსი, — ერისათვის თავდადებულმა მეფემ უპასუხა: „ისმინეთ ჩემი. პირველვე ვუწყოდი სიკუდილი ჩემი, გარნა დავსდევ თავი და სული ჩემი ერისათვის ჩემისა. ხოლო აწ, თუ წარვიდე, უბრალო ერი მოისრას. რა სარგებელ არს, უკეთუ ყოველი სოფელი შევიძინო და სული წარვიწყმიდო". არა ისმინა განზრახვა მთავართა მისთა"[1].

ჟამთააღმწერლის მიერ მოთხრობილი ეს ეპიზოდი პოემაშიც აგრეთვე ვრცლად არის გადმოცემული. მისი ერთგული ქართველებიო, — ამბობს პოეტი, — „მოვიდნენ და თაყვანი სცეს მეფესა გაოცებულსა... მერე იცნა, მისნი იყვნენ და ჩაიკრა ორივ გულსა. მოახსენეს: — „შევისყიდეთ და გავტეხეთ ქრთამით კარი... ყველა მზაა!.. თავს უშველე, აწ შენი ხსნა შენს ხელთ არი". იქვე დიმიტრი თავდადებულის პასუხი ასეა გადმოცემული:

უბრძანა თუ: — „ადრეც მითქვამს, ჩემს გაქცევას ხომ ზედ მოჰყვა
არ გადვირჩენ სხვისით თავსა, ხალხის სრვა და ქვეყნის რბევა!
ჩემ-მაგიერ არ დავღუპავ არა, არ ვიქ!.. ტყუილია
ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხსა. თათბირი და ყველა რჩევა!" [2]

დაბოლოს გულთამხილავი ავტორი გმირ მეფეზე მრავალმნიშვნელოვნად ამბობს: „ბევრს ევედრნენ და არ გაჰყვა მეფე თავის ერთგულ ყმათა... ნეტა რა გულმა გაუძლო მათ ხვეწნას და მუდარათა".

დასასრულ როგორც ჟამთააღმწერლის ნაშრომში, ისე ილიას პოემაში შთამბეჭდავად არის გადმოცემული დიმიტრი მეფის სიკვდილით დასჯის ამბავი.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს:

„მოიწივნეს ათორმეტნი მხედარნი ყაინისანი, რათა წარიყვანონ და სიკუდილსა მისცენ, ხოლო ვითარ ცნა მეფემან სიკუდილი თავისა თჳსისა, მხიარულითა პირითა მოიკითხვიდა მთავართა საქართველოსათა. რამეთუ ყოველნი მუნ მოსრულ იყუნეს, ნუგეშინისცემად მეფისა, და ხუტლუბუღაც მდგომარე იყო მუნ. ჰრქუა მეფემან: „უკეთუ ძალ-გიძს, ყაინს წინაშე შემეწიე სიკუდილსა ამას შინა. და თუ არა გნებავს, ძე ჩემი მცირე დავით იღვაწე, რათა არა მოიკლას გულისწყრომითა აღსავსითა ყაინისგან".. ხოლო მან და ყოველთა მთავართა იწყეს ტირილად, და განიდეს გარე. ილოცა და ეზიარა ხორცსა და სისხლსა მეუფისა ჩვენისა ქრისტეს ღვთისასა. ეგრეთ აღსვეს ცხენსა და წარიყვანეს ვითარ მილიონ ერთ, და

[1] ქართლის ცხოვრება, I, მარი ბროსეს გამოცემა, 1849 წ., გვ. 423.
[2] ილია ჭავჭავაძე, მეფე დიმიტრი თავდადებული, თავი XXVII.

ევედრა მტარვალთა, რათა ილოცოს მცირედ. და ილოცვიდა ცრემლთა მოდინებითა ქვეყანასა ზედა. მერმე წარუპყრა ქედი. აჰა დღე საშინელი, ზარის აღსახდელი, რომელი იკადრეს ბილწთა ცხებულსა ზედა, ღვთისასა, და წარკვეთეს მეფეს დიმიტრის თავი“[1].

ესევე აშბავი მეფე დიმიტრის სიკვდილით დასჯისა პოემის უკანასკნელ თავშია გადმოცემული. აქ, ჟამთააღმწერლის თხზულებისაგან განსხვავებით, თხრობა იწყება იმ მომენტიდან, როცა ქართველი მეფე თავთსაკვეთ მოედანზე უკვე მიყვანილია. ამ ნაწილის დასაწყისში ნათქვამია:

გათენდა დღე ზართ-ამხდელი — ტყვე მეფე გამოიყვანეს
ვაი იმა დღის დამსწრესა! — მოედანსა თავთ-საკვეთსა.

როგორც ჟამთააღმწერლის ნაშრომში, ისე ილიას პოემაში გადმოცემულია თავის წარკვეთის წინ მეფის ერთგვარი შეკრთომა, შიში მოსალოდნელი სასჯელის წინაშე. იმდენად, რამდენადაც ეს პასაჟი ორივე თხზულებისათვის საერთოა, აქვე უნდა ითქვას, რომ დიმიტრის ამგვარი „შიში“ მისთვის საერთოდ დამახასიათებელ გმირულ შემართებას დამაჯერებლობას ჰმატებს.

ინტერესს მოკლებული არ იქნება ითქვას, რომ სიკვდილის წინაშე გმირი მეფის ნებისყოფის წამიერი გატეხა, ორი ავტორის მიერ დახატული, განსხვავებულ სიტუაციებში არის წარმოდგენილი. ჟამთააღმწერლის მიხედვით, ეს ხდება ქართველი მეფისათვის განკუთვნილ ბინაზე, სადაც „ათორმეტნი მხედარნი ყაინისანი“ დიმიტრის თავთსაკვეთ მოედანზე წასაყვანად არიან მისულნი. ამ დროს მეფე ყაენთან შუამდგომლობას სთხოვს ყაენისავე მოხელეს (ხუტლუბუღას), რომელიც მკითხველისათვის უკვე ცნობილია როგორც დიმიტრის მიმართ მტრულად განწყობილი პიროვნება.

ილიას პოემაში დიმიტრი თავდადებული ამგვარ სისუსტეს იჩენს მხოლოდ იმ დროს, როდესაც იგი თავთსაკვეთ მოედანზე უკვე მიყვანილია, დამკლავებული ჯალათი გვერდით უდგას და რამდენიმე წუთში მისი სიცოცხლე უნდა დამთავრდეს.

იმ დროს, როდესაც საზარელი შესახედაობის ჯალათი „ძარღვიანი ტლანჭი ხელით“ დიმიტრის გვერდით ამოუდგა, მწერლის სიტყვები რომ გავიმეოროთ, მეფე „შეკრთა როგორც ხორციელი“. გმირის სიკვდილისწინა სიტყვები და ქცევა ჰეშმარიტად დიდი ოსტატობით არის ჩვენი მწერლის მიერ შესრულებული. იგი გვეუბნება, რომ მეფეს „ის ყოფა და ის ჯალათი სანახავად შეეზარა“. სწო-

[1] ქართლის ცხოვრება, I, მარი ბროსეს გამოცემა, 1849 წ., გვ. 424.

რედ ამ მომენტში მან „ორსავ თვალზე კვნესით ხელი მიიფარა... ვეზირს უთხრა: — „დამიხსენი!.. რაც გადამხდა, ისიც კმარა".

მოულოდნელი ჩრულიადაც არაა, რომ ერისათვის თავდადებული მეფის სიკვდილით დასჯის ეპიზოდი ილიას პოეტურ სტრიქონებში უფრო შთამბეჭდავად არის გადმოცემული, ვიდრე მეცნიერი ისტორიკოსის მონათხრობში. მწერლის ზემომოტანილ სტრიქონებს უშუალოდ მოსდევს მისივე სიტყვები იმის თაობაზე, რომ დიმიტრი მეფე ბოლომდე თავის გმირულ გადაწყვეტილებაზე დარჩა. პოემის დასასრულ ნაწილში ვკითხულობთ:

სთქვა და თქმული თვით შეზარდა...	მანც აიღო ხელთ ნაჯახი,
სახელი არ წაიხდინა...	ერთ წამს კისერს დაუსწორა,
—„ ჰა, ჯალათო!" — დაიძახა	დასცა და ერთის დაკვრითა
და კისერი გაიწვდინა.	თავი ტანსა მოაშორა.

ხაისტორიო ნაშრომისა და ილია ჭავჭავაძის პოემის შინაარსობრივი მსგავსება-განსხვავების ზემოგანხილული მონაცემების საფუძველზე მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მწერალს ამ პოემაზე მუშაობის დროს ხელთ ჰქონდა უამთააღმწერლის თხზულება.

ილია საისტორიო მასალასთან მიდის როგორც მოაზროვნე ხელოვანი და მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი, რომელიც მეცნიერი ისტორიკოსის მონათხრობს პატრიოტიზმის იდეით შთაგონებულ ნაწარმოებში გეგმაზომიერად იყენებს. სახელოვანი ავტორის მიერ ისტორიულ პიროვნებათა თავგადასავლის ამგვარად გამოყენება საკვლევით კანონზომიერია. სტატიაში „ერი და ისტორია" მწერალი ამბობდა:

„დიდბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებდნენ, ამხნევებდნენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარის ისტორიისანი არიან"[1].

ინტერესს მოკლებული არ იქნება აქაც გავიხსენოთ ილიას ცნობილი პუბლიცისტური წერილი „ოსმალოს საქართველო", რომელიც „მეფე დიმიტრი თავდადებულთან" თითქმის ერთდროულად იწერებოდა. სტატია განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ იგი ვრცლად მოგვითხრობს სამხრეთ საქართველოს მკვიდრთა ისტორიული ქველობის ამბავს ქართველი ერის ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. ბრძენი მოღვაწე სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაზე შთამაგონებლად ამბობს:

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 203.

„გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალო ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალოს ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინებისათვის და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძლევითაც მოსილ იქმნა“ [1].

იქვე, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ნათქვამია:

„ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს“.

ილია ჭავჭავაძეს ძველ ქართველ გმირთა სასახელო საქმეები არც ერთ ნაწარმოებში ისე ვრცლად არ გამოუყენებია, როგორც ამ შემთხვევაში. ეს ბუნებრივიცაა იმდენად, რამდენადაც „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ისტორიული პოემაა.

აქვე ერთი გარემოების აღნიშვნაც აუცილებელია. ჟამთააღმწერლის თხზულებაში მეფე დიმიტრის ცხოვრება თავიდან ბოლომდეა გადმოცემული. სავსებით ბუნებრივია, რომ ისტორიკოსის ნაშრომში მკითხველი ერისათვის თავდადებული მეფის ცხოვრებას უმცირესი ასაკიდან სიცოცხლის დასასრულამდე ეცნობა. ბოლოს იმასაც ვიგებთ, რომ სიკვდილით დასჯიდან რამდენიმე დღის შემდეგ, პირადად კათალიკოს აბრაჰამის ინიციატივით იქ მყოფმა ქართველებმა „მრიპარეს გვამი დიმიტრი მეფისა... მოიღეს მცხეთას და დამარხეს [illegible]“[2].

ილია ჭავჭავაძეს პოემის თემად აღებული აქვს დიმიტრი მეორის ცხოვრების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ქართველი მეფის მონღოლთა ურდოში გაწვევისა და იქ სიკვდილით დასჯის ამბავს მოიცავს. სწორედ პოემის თემის კონკრეტულობით არის გაპირობებული ის ფაქტი, რომ თხრობა მწერლისა ვრცელია და დამაჯერებელი. ნაწარმოების პასაჟები სრულყოფილია და შთამბეჭდავი.

მეფე დიმიტრი თავდადებული სიკვდილით ყაენ არღუნის პირადი სურვილით დაისაჯა. ამიტომაც ინტერესს მოკლებული არ

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 9.

[2] ქართლის ცხოვრება, I, მარი ბროსეს გამოცემა, 1849 წ., გვ. 424.

იქნება, რომ მათი ურთიერთობის ისტორიიდან ორიოდე ეპიზოდი აქაც გავითვალისწინოთ.

დიმიტრი თავდადებული არღუნს პირველად დაუპირისპირდა შეცამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგს (1283-1284 წწ.), როცა ეს უკანასკნელი ყაენის ტახტის მოსაპოვებლად იბრძოდა. იმ დროს ქართველი მეფისაგან არღუნისადმი დაპირისპირება იმაში გამოიხატა, რომ იგი აჰმადა ყაენს ტახტის მოცილე ძმისწულის წინააღმდეგ ლაშქრობაში თან ახლდა.

ბიძისა და ძმისწულის ბრძოლა ტახტისათვის იმით დამთავრდა, რომ არღუნი გაყაენდა, ხოლო 1284 წლის 10 აგვისტოს უკვე მის მიერ ძლეული აჰმადა ყაენი სიკვდილით დასაჯა.

ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, არღუნის გაყაენებისთანავე, მეფე დიმიტრი თავდადებული მის წინაშე მივიდა და არღუნმა იგი „კეთილად შეიწყნარა". ყამთააღმწერლის გადმოცემით არღუნ ყაენისა და მეფე დიმიტრის შერიგებას, მათ შორის კეთილი ურთიერთობის დამყარებას აგრეთვე ხელს უმართავდა არღუნის უახლოესი ადამიანი ნოინი ბუღა, რომელიც იმავდროულად დიმიტრი მეფის მზახალი იყო. „ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ:

„მეფესა დიმიტრის პირველვე მიუმცნეს, რათა განეყენოს აჰმადას და ყოცა მეფემან, და მობრუნდა და მოვიდა ყაინს არღუნს წინაშე. ხოლო მან კეთილად შეიწყნარა და მოსცა ყოველი სამეფო თჯსი და სახლი ავაგ ათაბაგისა, რომელ აქუნდა სიფდივანს. რამეთუ ყაინი ხელთა შინა ბუღასათა იყო, და ბუღა მოყუარეცა იყო და მზახალი მეფისა"[1].

ამის შემდეგ დიდი ხანიც არ გასულა, რომ არღუნ ყაენს დარუბანდელნი გაუდგნენ. არღუნმა განდგომილთა წინააღმდეგ სასწრაფოდ გაილაშქრა. დიმიტრი მეფე ქართველთა ჯარით ამ ლაშქრობის დროს არღუნთან იყო. მომდევნო პერიოდშიც, წლების მანძილზე, მონღოლთა ყაენსა და მეფე დიმიტრის შორის ასე თუ ისე მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდა.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ არღუნ ყაენი ქართველი მეფისადმი სრულიად ნდობით არასოდეს არ ყოფილა. პირიქით, მონღოლთა ეს მბრძანებელი დიმიტრი თავდადებულის მიმართ უნდობლობასა და ზოგჯერ აშკარა მტრობასაც დაუფარავად ამჟღავნებდა. ყამთააღმწერლის თხზულებაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ არღუნ ყაენმა ქართველი მეფისადმი თავისი მტრული მიმართება იმ დროსაც კი ვერ დაფარა, როდესაც დიმიტრიმ და მისმა ლაშქარმა განდგომილ

[1] ქართლის ცხოვრება, I, მარი ბროსეს გამოცემა, 1849 წ., გვ. 420.

დარუბანდელთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გამოიჩინა. ისტორიკოსის გადმოცემით, ქართველთა ამ სანაქებო შემართებას „ყოველსა ჰხედვითა ყაინი. თვით მეფისა აქუნდა მტერობაჲ. სთხოვა ჯაჭვი სახელოვანი და მსწრაფლ მიანიჭა მეფემან, და წარმოვიდეს შინა“[1].

არღუნ ყაენსა და დიმიტრი თავდადებულს შორის წინააღმდეგობამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია 1288 წლის მიწურულს, როდესაც ნოინ ბუღას (დიდი ბუღას) შეთქმულება გამომჟღავნდა. მოულოდნელი არაა, რომ დიმიტრი თავდადებული, რომელიც ბუღას მზახალი იყო, ამ შეთქმულების მონაწილე აღმოჩნდა.

არღუნ ყაენმა ჯერ ბუღა და მისი მახლობლები მოსპო, ხოლო შემდგომ შეთქმულების თანამზრახველებს დაერია. როგორც ილია ამბობს, „ჯერი მიდგა ჩვენს მეფეზეც... „რატომ მე არ მომიდგაო“ და მეფე დიმიტრი თავისთან გაიწვია.

ბუღას შეთქმულებასთან ქართველი მეფის კავშირზე ივანე ჯავახიშვილი წერს: „დიმიტრი მეფის მდგომარეობა ბუღა ჩინგ'სანგთან მჭიდრო კავშირის გამო, ბუღას შეთქმულების გამომჟღავნებისა და სიკვდილად დასჯის შემდგომ, მეტად სახიფათო შეიქმნა: ვითარცა ბუღას მომხრე, ის ბუნებრივად ამ შეთქმულების თანამგრძნობად და მონაწილედაც იქმნებოდა მიჩნეული“[2].

სწორედ ამ დროს, არღუნთან პირველი დაპირისპირებიდან ხუთი წლის შემდეგ, 1289 წლის 12 მარტს ყაენის ბრძანებით დიმიტრი თავდადებული სიკვდილით დასაჯეს. სახელოვანი ქართველი მეფის ცხოვრების ტრაგიკული დასასრულიც ილია ჭავჭავაძის პოემაში ჰეშმარიტი პოეზიის შთამბეჭდაობით არის გამოსახული.

მოტანილი ფაქტების გათვალისწინება ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ პოემის ავტორი საისტორიო წყაროებს სიტყვასიტყვით კი არ მისდევს, არამედ მისთვის მთავარია იდეური ჩანაფიქრი და ამგვარი ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად ისტორიკოსის მონათხრობს, როგორც მასალას, გეგმაზომიერად იყენებს.

* * *

წარმოდგენის სისრულისათვის ზედმეტი არ იქნება გათვალისწინება იმ გამოხმაურებისაც, რომლითაც „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ გამოქვეყნება აღინიშნა. როგორც უკვე ითქვა, პოემა

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, მარი ბროსეს გამოცემა, 1849 წ., გვ. 421.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, 1966 წ., გვ. 224.

სრული სახით 1879 წელს ჟურნალ „ივერიის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა.

იმავე 1879 წლის დამდეგს კრიტიკოსმა გიორგი თუმანიშვილმა მის მიერ შედგენილი ალმანახის მეორე წიგნი გამოსცა. ალმანახში დაბეჭდილი იყო თვითონ გ. თუმანიშვილის ვრცელი წერილი სათაურით „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“.

გ. თუმანიშვილი თავის წერილში იმ აზრს ავითარებდა, თითქოს, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობა სამოცდაათიან წლებში უკვე აღარ ხასიათდებოდეს ისეთი ნაყოფიერებით, როგორიც ადრე, სამოციან წლებში იყო. კრიტიკოსის აზრით, ილია მკითხველთა ფართო მასებზე სამოცდაათიან წლებში იმის მეათედ გავლენასაც ვეღარ ახდენდა, რასაც სამოციანი წლების ეპოქაში. თუმანიშვილი წერდა:

„მოიგონეთ ის მწერალი, რომელიც ყველაზე მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა ქართველ მკითხველებზე ამ ათიოდ-თხუთმეტიოდ წლის წინათ: ილ. ჭავჭავაძე. იმის მაგიერობა ამ უკანასკნელ სამიოდ-ოთხიოდ წელს არავის არ უკისრნია, ისევე პოეტი მოქმედობს ქართული ლიტერატურის ასპარეზზე, თუმც იმის მეათედი გავლენა არა აქვს, რაც ადრე ჰქონდა. რატომ? ამას გაიგებთ ადვილად, რომ შეადაროთ იმის ძველი და ახალი ლექსები“.

სამოციანი და სამოცდაათიანი წლების ეპოქებში ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მოღვაწეობაში განსხვავების დამტკიცების მიზნით გ. თუმანიშვილი წერდა:

„აიღეთ გინდ „მუშა“ და „პოეტი“, რომელნიც იყვნენ დაბეჭდილნი „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომრებში და ისე ძრიელ მოსწონდნენ უკეთეს ახალგაზრდობას, რომ იზეპირებდნენ კიდეც იმათ. შეადარეთ ახლა ეს ლექსები შარშანდელ პოემას იგივე პოეტისას: „დიმიტრი თავდადებული“, რომელიც მოიწონა ერთმა, ორმა მწერალმა, წაიკითხეს „ივერიის“ მკითხველებმა და ჩქარა დაივიწყეს“[1].

მოტანილი ამონაწერიდან უკვე იგრძნობა ავტორის უარყოფითი აზრი ილიას პოემაზე, მაგრამ იგივე აზრი კიდევ უფრო ნათლად წერილის მომდევნო ნაწილშია ჩამოყალიბებული. აქ უკვე კრიტიკოსი ერთმანეთს ადარებს ილიას ცნობილ ლექსს „პოეტს“ და მის მიერ დაწუნებულ პოემას. გ. თუმანიშვილის აზრით, „ილია ჭავჭავაძის ლექსმა „პოეტი“ გვითხრა ახალი სიტყვა, კაცთმოყვარეობით სავსე, მქებელი ძმობის და თანასწორობის“.

---

[1] ალმანახი შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან, II, 1879 წ., გვ. 45-46.

წერილის მომდევნო სტრიქონების კითხვისას უნებლიეთ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ლექსი „პოეტი“ კრიტიკოსის მიერ შექებულია იმისათვის, რათა შემდეგ მანვე „მეფე დიმიტრი თავდადებული“ უფრო თამამად დაიწუნოს. ზემომოტანილ ქების სიტყვებს „პოეტზე“ პირდაპირ მოსდევს მისივე სტრიქონები:

„ახლა გადიკითხეთ „დიმიტრი თავდადებული“ და მიბრძანეთ, რაა ის ახალი აზრი, რომელსაც ის გამოგვითქვამს. იქ პოეტი დამღერის მეფეს რომელმაც თავის დაღუპვა ირჩივნა, თავისა და თავის ქვეყნის დაღუპვას ერთად. აქ ძლიერი გმირობა არაფერია, მაგრამ რაც უნდა დიდი გმირობა იყოს, ის არაფერს ახალს არ გვეუბნება“[1].

ასე შეაფასა გიორგი თუმანიშვილმა ილია ჭავჭავაძის პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“. თუმანიშვილის კრიტიკულ წერილს პირველი ალექსანდრე სარაჯიშვილი გამოეხმაურა. მისი სტატია „მეფე დიმიტრი თავდადებულზე“ 1878 წლის 9 თებერვლის „დროებაში“ გამოქვეყნდა. სარაჯიშვილის წერილიდან აშკარად იგრძნობა ავტორის აზრი ილია ჭავჭავაძეზე, როგორც მგოსანზე, პოეტური სიტყვის დიდოსტატზე. კრიტიკოსი თავისი სტატიის ერთ ნაწილში პირდაპირ ამბობს:

„რაც შეეხება ლექსთა-წყობას, ილ. ჭავჭავაძე ამ საქმეში განვითარებული და გამოცდილი მოლექსეა. მისი ლექსი დაემსგავსება რიგზე წყობილს და გაწვრთნილ ჯარსა. პოეტური სურათებითაც მდიდარია ეს პოემა“. ამ სტრიქონებში ჩამოყალიბებული დებულების საილუსტრაციოდ ალ. სარაჯიშვილს მოტანილი აქვს რვასტრიქონიანი ნაწყვეტი პოემის მეთხუთმეტე თავიდან:

მეფეს ახლდა მხარმარჯვნივა გულმწუხარე მღვდელმთავარი
და მხარმარცხნივ შუბლშეკრული ჯავრით სავსე სპასალარი.

მღვდელმთავარი სწუხს და ვაებს მეფის თავგადადებასა,
სპასალარი კი ჰთაკილობს უომრად დამარცხებასა.

ალექსანდრე სარაჯიშვილი მოტანილი სალექსო სტრიქონების შემდეგ დასკვნის სახით ამბობდა: „მგონია რუსთაველიც არ დაიწუნებდა ამ ლექსსა და ყველა პოეტი დიდი სიხარულით დაიჩემებდა“.

ასე შეაფასა ალ. სარაჯიშვილმა ილიას პოეტური შესაძლებლობა, მაგრამ დიმიტრი მეფე, როგორც სამშობლოსათვის თავდადებული გმირის ტიპი, მაინც დაიწუნა. კრიტიკოსი წერდა: „შეცოდების ღირსია ეს უბედური მეფე და არა თაყვანისცემისა. მისი საქ-

[1] ალმანახი შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან, ტ. II, 1879 წ., გვ. 48.

ციელი უფრო გულშემატკივარ ხუცესის საქციელსა ჰგავს, ვინემც მამულიშვილისას და გმირისას".

ალ. სარაჯიშვილი ამბობდა, მეფე დიმიტრის, როგორც ტიპის, არასრულყოფილად წარმოდგენა იმით აიხსნებაო, რომ პოემაში მეფის თავგადასავალს ჰყვება ბრმა მეფანდურე და არა ილია ჭავჭავაძე. „მეფე დიმიტრი, — წერდა კრიტიკოსი, — დიახაც გმირი და დიდი კაცი გაბოვიდოდა, თუ თვითონ პოეტს ილია ჭავჭავაძეს ეამბნა მეფის თავდადება, მაშინ შეეძლო გამოეთქვა და აეხსნა ყველა, რაც დიმიტრის გულში უცნობი და მიუწვდომელია, მაშინ მეფის საქციელი ცხადი და გასაგები იქნებოდა ჩვენთვის, რადგანაც პოეტი თვით გმირის გულთმისანია".

ალ. სარაჯიშვილის აზრით, ბრმა მეფანდურეს არ შეეძლო დიმიტრის პიროვნება სრულყოფილად დაეხატა, რადგან „მეფე უბრალო კაცისთვის მეტად მიუწვდომელი და მაღალი ტანისაა, მისი გულის ჩვილობა, მამაცობა ვერა თავსდება მეფანდურეს გონებაში და ამიტომაც, იმის ნაამბობით დიმიტრი გმირად კი არ მოჩანს, არამედ მხდალ, გაუბედავ კაცად. ამაში მდგომარეობს პოემის ნაკლულევანება"[1].

მოტანილი ამონაწერების აზრი იმდენად ნათელია, რომ იგი დამატებით კომენტარს აღარ საჭიროებს.

ალ. სარაჯიშვილის წერილიდან ხუთიოდე დღის შემდეგ იმავე გაზეთში დაიბეჭდა ალექსანდრე ჭყონიას წერილი „ორიოდე სიტყვა გ. თუმანიშვილს". წერილის ავტორი გიორგი თუმანიშვილს მკაცრად დაუპირისპირდა როგორც საზოგადოდ იმდროინდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულების საკითხებზე, ისე ილია ჭავჭავაძის პოემის გმირის მეფე დიმიტრი თავდადებულის პიროვნების შეფასებაში.

კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა ალ. ჭყონიას დაპირისპირება გ. თუმანიშვილთან დიმიტრი თავდადებულის საქმეთა შეფასების საკითხში. კრიტიკოსი წერდა:

„გ. თუმანიშვილი, ჩემის ფიქრით, დიდად შემცდარია მაშინაც, როცა ამბობს, რომ დიმიტრი თავდადებულის მოქმედება არ არის გმირობა, რომ ძველ და დამჭკნარ ამბების (როგორც ავტორი ეძახის ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და სამეცნიერო სტატიებს) ბეჭდვა დაღუპავსო ჟურნალს, მაგრამ ამ აზრების შეცდომილება და უსაფუძვლობა არ თხოულობს განმარტებას და დამტკიცებას"[2].

---

[1] გაზეთი „დროება", 1879 წ., № 31.

[2] გაზეთი „დროება", 1879 წ., № 33.

ასეთია კრიტიკოს გ. თუმანიშვილის წინააღმდეგ მიმართული ერთი წერილის ძირითადი შინაარსი.

გაზეთ „დროების“ 1879 წლის 10 და 11 მარტის ნომრებში გამოქვეყნდა ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის წერილი, რომელიც ალექსანდრე სარაჯიშვილის ზემოგანხილული სტატიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

როგორც ვნახეთ, ალ. სარაჯიშვილი თავის წერილში მეფე დიმიტრი თავდადებულის მოქმედებას გმირობად არ თვლიდა. მისი აზრით, შეფანდურის ნაამბობით დიმიტრი გმირად კი არა, პირიქით, მხდლად და გაუბედავ კაცად წარმოგვიდგება.

დიმიტრის პიროვნების ამგვარი შეფასებით ალ. სარაჯიშვილი, ნებსით თუ უნებლიეთ, სოლიდარობას უცხადებდა გ. თუმანიშვილს, რომელმაც პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“, როგორც ხელოვნების ნაწარმოები, არსებითად დაიწუნა. გასაგებია, რომ გრიგოლ ვოლსკი თავისი კრიტიკული წერილით ალ. სარაჯიშვილთან ერთად გ. თუმანიშვილსაც დაუპირისპირდა. მან ალ. სარაჯიშვილს ასე მიმართა:

„თქვენ სრულიად ვერ გიცვნიათ და დაამახინჯეთ პოეტისაგან გამოხატული დიმიტრი. დიმიტრი არ იყო ერთი იმ დესპოტთაგანი, რომელსაც შეეყარა კრება ოღონდ თავის ნების გამოსაცხადებლად იმის დაუკითხავად, თუ რა აზრისანი არიან დიდებულნი და მღვდელმთავარნი. ის იხმობს წარჩინებულ დიდკაცობას, უხსნის გარემოებას და ეკითხება რჩევას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის არ დაემორჩილება რჩევას... . მეფე ცხადად, გარკვევით აღიარებს თავის აზრს, და ყრილობაც დაღონებით ემორჩილება. რა არი აქ გაუგებარი, რაშია ხასიათის სისუსტე, მხდალობა, გაუბედაობა?!“

რა თქმა უნდა, გრიგოლ ვოლსკი ათასჯერ მართალი იყო, როცა ალ. სარაჯიშვილის საყურადღებოდ ამბობდა: „რაც შეეხება იმას, რომ პოეტი მეფანდურეს უთმობს სიტყვას, ეს ერთი იმ ხერხთაგანია, რომელსაც ხმარობენ პოეტები პოეზიის გაჩენიდანვე“.

გრ. ვოლსკი თავის მსჯელობას ასე აგრძელებდა: „პოეზიის იმგვარ დარგში, რომელსაც ეკუთვნის პოემა, რაც უფრო უჩინარია პოეტი, რაც უფრო ნაკლებადაა მისი პირადი ახსნა და გამოთქმა, მით უფრო დიდი ღვაწლი მიუძღვის პოეტობის წინაშე“. დაბოლოს, კრიტიკოსი, ალბათ „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ საერთო შთაბეჭდაობის გასახაზავად წერდა: „თქვენი არ ვიცი და მე

დარწმუნებული ვარ, ამ პოემის კითხვაზე არა ერთს და არა ორს მკითხველს აებუძგა თმა და რჟოლამ გაურბინა ტანში“[1].

ასეთი იყო პირველი გამოხმაურებანი „მეფე დიმიტრი თავდადებულზე“. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ გამოხმაურებას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა იმავე თხზულების მკითხველთა ფართო წრეებში გავრცელებისათვის.

* * *

„მეფე დიმიტრი თავდადებული“ ისტორიულ-საგმირო ჟანრის პოემათა წყებას მიეკუთვნება. ისტორიულია ნაწარმოების მთავარი გმირი მეფე დიმიტრი თავდადებული. დიმიტრის მიერ საკუთარი სიცოცხლის გაწირვამ მისი მშობლიური ქვეყანა და ერი დამანგრეველ ომს გადაარჩინა. ეს საქციელი ქართველი მეფისა თავისთავად ისეთი გმირობაა, რომელიც ისტორიაში საუკუნეების მანძილზე არ მეორდება. დიმიტრის გმირულ შემართებაზე მკითხველის რწმენას პოემის სხვადასხვა ნაწილში გამოსახული ეპიზოდებიც განამტკიცებს. ასეთია უწინარეს ყოვლისა მისი უკომპრომისო პაექრობა ყაენთან, როცა შეპყრობილი დიმიტრი მის წინაშე პირველად წარდგება. იმ დროს, როდესაც ადამიანის სისხლსმოწყურებული ყაენი სასტიკად ემუქრება, ქართველი მეფე მას მტკიცედ და გაუტეხლად უპასუხებს:

ჰქმენ რაც გინდა!.. მე არ გკითხავ,— სვავს ვინ ჰკითხავს, სისხლს
რად გწადს მომკვეთო თავიო... რადა ჰსვამ,
სვავო, რადა ხარ სვავიო?..

გმირული პატრიოტული შემართების გამოხატულებაა აგრეთვე ის ეპიზოდი, როდესაც სასტიკად ნაწამებ მეფესთან ორი თანამემამულე საპყრობილეში შედის, რათა იგი სამშობლოში მალულად წაიყვანონ, მაგრამ დიმიტრი არც ამ წინადადებას თანხმდება. თანამემამულენი მას სავსებით ნათლად ეუბნებიან: „ნუღარ იცდი... თუ არ ეხლავ, მერე გვიანღა იქნება: ხვალ თავს გჭრიან,— ასეაო ყეინისა თურმე ნება“.

მიუხედავად თანამემამულეთა მრავალგზის რჩევისა და ხვეწნა-მუდარისა დიმიტრი მაინც თავის გადაწყვეტილებაზე რჩება. სამშობლოსათვის თავდადებული მეფე მის გამოსახსნელად მისულ თავისიანებს უარით ისტუმრებს მხოლოდ იმ მოტივით, რომ მის

[1] გაზეთი „დროება“, 1879 წ., № 53, 54.

გაქცევას ქართველი ერისათვის საზიანო შედეგი მოყვება. პოემაში ნათქვამია, რომ დიმიტრიმ მის გადასარჩენად საპყრობილეში შესულ მამულიშვილებს,

უბრძანა თუ: — „ადრეც მითქვამს, ჩემ-მაგრერ არ დაეღუპავ
არ გადვირჩენ სხვისით თავსა, ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხსა.“[1]

რაღა თქმა უნდა, მოტანილ სტრიქონებში ერთხელ კიდევ ხაზგასმულია ის მგზნებარე პატრიოტული მოტივი, რომელიც „მეფე დიმიტრი თავდადებულს“ თავიდან ბოლომდე გასდევს.

ილიას პოემაში, გარდა დიმიტრი თავდადებულისა, ისტორიული პიროვნებაა აგრეთვე ნაწარმოებში გამოყვანილი მღვდელმთავარი. ეს არის ცნობილი აბრაჰამ კათალიკოსი, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ დიმიტრი თავდადებულთან ერთად მრავალგზის იხსენიება. აბრაჰამი ადრე დიმიტრი მეფის ჯვარისმტვირთველი იყო, ხოლო კათალიკოს ნიკოლოზის გადადგომის შემდეგ იგი კათალიკოსის თანამდებობაზე გაფორმდა.

ჟამთააღმწერლის საისტორიო თხზულებაში ნათქვამია, რომ ნიკოლოზმა კათალიკოსობა დაუტევა და „ხელითა თჳსითა აკურთხა ჯვარისმტვირთველი მეფისაჲ აბრაჰამ კათალიკოსად და თჳთ წარვიდა მამულად თჳსად, მოხუცებული და მუნ იყოფოდა“[2].

ეს მოხდა 1280 წელს და ამის შემდეგ დაახლოებით ცხრა წლის მანძილზე, ვიდრე დიმიტრის სიკვდილით დასჯამდე, აბრაჰამი მეფესთან სხვებზე მეტად დაახლოებულ პიროვნებად წარმოგვიდგება. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით აბრაჰამ კათალიკოსი დარბაისელთაგან პირველი იყო, რომელმაც დიმიტრი მეფის განზრახვას მონღოლთა ურდოში გამგზავრებაზე მხარი აუბა. პატრიოტმა მღვდელმთავარმა სახელმწიფო დარბაზის წევრთა თანდასწრებით თვითგანწირვისათვის განწყობილ მამულიშვილს ერთგვარი ბიძგიც მისცა. მან დიმიტრი თავდადებულს იქვე აღუთქვა:

„აწ თუ შენ დასდებ სულსა შენსა ერისათვის, ჩვენ ყოველნი ეპისკოპოსნი ვიტვირთავთ ცოდუათა შენთა, არამედ წინაშე ღუთისა ვწამებთ, მოწამეთა თანა შერაცხილ იქმნე, ვითარცა უფალი სახარებისა შინა ბრძანებს“[3].

აბრაჰამ კათალიკოსის ამ სიტყვების შინაარსი აგრეთვე შთამბეჭდავად მეორდება ილიას პოეტურ სტრიქონებში. პოემაში გამო-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, მეფე დიმიტრი თავდადებული, თავი XXVII.

[2] ქართლის ცხოვრება, I, მარი ბროსეს გამოცემა, 1849 წ., გვ. 418.

[3] იქვე, გვ. 422.

ყვანილი მღვდელმთავარიც მეფე დიმიტრის ასეთი მგრძნობიარე სიტყვებით მიმართავს:

ვსტირ და გირჩევ ღვთის სახელით — უკვდავება არ დაჰკარგო
ხორცი დასთმო სულისათვის, — წუთის-სოფლის გულისათვის [1].

ილია ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ეროვნული თავისუფლების იდეით შთაგონებული ისტორიულ თემაზე გაშლილი პოემაა. ბრძენმა მგოსანმა ისტორიულად ცნობილი ფაქტები მხატვრულად განაზოგადა და ამით დიმიტრი თავდადებულის პიროვნება ფართო მკითხველისათვის კიდევ უფრო მიმზიდველად აქცია. ნაწარმოების ტენდენცია მკითხველისათვის დასაწყისიდანვე საგრძნობია. ერთ უქმე დღეს სოფლის საყდართან შეკრებილი ხალხიდან ერთ-ერთი ახალგაზრდა იქვე მყოფ ბრმა მეფანდურეს სთხოვს, რომ დამსწრეებს რაიმე საინტერესო ამბავი მოუთხროს. მეფანდურეც თავის მგრძნობიარე დასაკრავს მოიმარჯვებს და მასთან შემოკრებილ ახალგაზრდებს მიმართავს:

მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით, — ვინ ვიყავით, რა ვიყავით
გეტყვით გულის გასათბობსა, — ჩვენ ქართველნი წინა დროსა.

ბრმა მეფანდურე მის ირგვლივ შემოკრებილ ახალგაზრდებს გასართობად კი არ უმღერის, არამედ გულის გასათბობად. ეს სიმღერა კი არა, მოწოდებაა მშობლიური ქვეყნისა და ერისათვის თავდადებისაკენ. იგი ახალგაზრდებს მოაგონებს ჩვენი წინაპრების თავდადებას სამშობლოსათვის; მოაგონებს, რომ „უწინ ქართველს უხაროდა მამულისთვის მტერთან ომი“. მისივე გადმოცემით, უწინდელი ქართველი დედა შვილს ძუძუს იმ აზრით აწოვებდა, რომ მისგან შობილი „სიცოცხლით ან სიკვდილით ის მამულს ასახელებდა“, ჩვენი წინაპრების დროსაო, — ამბობს მეფანდურე:

მამულისთვის ვის ახსოვდა — ტრფობა გვქონდა გულში აბჯრად
განსაცდელი განსაცდელში! — და სატევრად — ხმალი ხელში.

იქვე მეფანდურე ახასიათებს ეპოქას, რომელშიც თვითონ ისა და მისი მსმენელები ცხოვრობენ. ამ დახასიათებაში თავს იჩენს თანამედროვეობისადმი იგივე კრიტიკული დამოკიდებულება, რაც ილიას ნაწერებში ჩვეულებრივად გვხვდება. ისევე როგორც პოემა „აჩრდილში“ გამოყვანილი მოხუცი, ბრმა მეფანდურეც საყვედურის კილოთი ამბობს:

ეხლა რა ვართ? საწველ ფურად — ის სახელი, ის დიდება,
თავი ჩვენი გადვიქციეთ. — ის ოჯახი დავიქციეთ.

[1] ილია ჭავჭავაძე, მეფე დიმიტრი თავდადებული, თავი XI.

მეფანდურე სრულიად გარკვევით არსებული უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებს. მისი სიტყვით, „ტყუილია სულთქმა, უში, კაცი უნდა კაცად იყვეს, სანთელსავის თვით დაიწვას და სხვას კი გზას უნათვიდეს“. ასეთი საბრძოლო მოწოდებით მთავრდება შესავალი ნაწილი, რომელშიც არსებითად ნაწარმოების ძირითადი იდეაა ჩამოყალიბებული.

პოემის მესამე თავში უკვე დასახელებულია, როგორც ერთერთი სახელოვანი წინაპარი, მეფე დიმიტრი თავდადებული. იქვე გადმოცემულია მეფის პორტრეტი და შექებულია მისი მზრუნველობა ქვრივ-ობლებსა და ღარიბ-ღატაკებზე, რაზედაც ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი.

მეოთხე თავში მკითხველი დიმიტრის სამეფოს საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას ეცნობა. ამ თავის დასაწყისშივე ნათქვამია, რომ „მის დროს იყო ყეინობა, მეფე ყეინს ჰმორჩილობდა“. იმავე თავში გადმოცემულია მონღოლთა მპყრობელის მიერ ადამიანთა განუკითხავად ხოცვა-ჟლეტის რიგი ფაქტები და ამით უკვე მისი დაუნდობელი პიროვნება მკითხველის მეხსიერებაში საბოლოოდ აღიბეჭდება.

პოემის მეხუთე თავიდან ვიგებთ, რომ მეფე დიმიტრი მონღოლთა ყაენს თავისთან დაუბარებია. იმავე დროს თავისთავად იგულისხმება, რომ ქართველი მეფის მონღოლთა ურდოში გამოძახება შეუძლებელია კეთილის მომასწავებელი იყოს. დიმიტრი ორ ცეცხლს შუა დგას: გაემგზავროს ურდოში, მოსალოდნელია წამება და სიკვდილი, ხოლო გაუმგზავრებლობის შემთხვევაში საქართველოს თავს დაატყდება ომი და მასთან დაკავშირებული საშინელებანი.

შეუძლებელია გულგრილნი ვიყოთ დიმიტრის ადამიანური განცდებისადმი იმ წუთებში, როდესაც იგი მის გარშემო შექმნილ მდგომარეობას ითვალისწინებს და ამბობს: „ის დღეა დღეს, — ან მე ვიყო, ან ჩვენი ტურფა ქვეყანა“.

მკითხველზე თავისებურად მოქმედებს დიმიტრის პირველი სიტყვები მიმართული სახელმწიფო დარბაზისადმი იმ დროს, როდესაც იქ შეკრებილმა ერის თავკაცებმა ქველი მეფის მონღოლთა ურდოში გამგზავრების საკითხი, არსებითად მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი უნდა გადაწყვიტონ. იგი თანამემამულეებს შთამაგონებლად მიმართავს:

თუ წავედი, თქვენც ხომ იცით, მე სიკვდილი არ ამცდება...
თქვენ რას მირჩევთ, მართალი სთქვით, მართლის თქმაა ერთგულება.

აღძრულ საკითხზე დარბაისელთა მსჯელობა, მეფისა და დიდებულთა პირველი შეუთანხმებლობა და საბოლოოდ მაინც ურდოში გაშგზავრებაზე გადაწყვეტილების მიღება, ნაწარმოებს დამაჯერებლობისა და შთამბეჭდაობის ძალას მატებს. სწორედ ამ ნაწილში, მეფისა და დარბაზის ერთობლივ გადაწყვეტილებაში (თავი XII), პოემის ძირითადი კვანძი საბოლოოდ ინასკვება.

აქედან მოყოლებული პოემაში მოქმედება კვლავ აღმავლობის გზით მიდის. მეფანდურის მიერ დიმიტრი მეფის გმირული თავგადასავლის თხრობაში შემდეგი უმთავრესი საფეხურები უნდა განვასხვავოთ: პირველია ურდოში გამგზავრება, როცა ერისათვის თავდადებულ მეფეს თანამემამულენი მძიმე განცდებით ეთხოვებიან; როცა მეფე, როგორც მწერალი ამბობს, „წაბძანდა და თან იახლა ის ამალა და მხედრობა, უკან მისტირს ერი, ბერი, გლეხობა თუ დიდკაცობა“[1].

მოქმედების განვითარების შემდეგი საფეხური მოცემულია პოემის იმ ნაწილში, რომელშიც მოთხრობილია ქართველი მეფის შეპყრობა გზაში; როდესაც ყაენის მიერ გამოგზავნილი მონღოლები დიმიტრის „მისცვივდნენ უკადრისადა, ვით ძეს ღვთისას ურიანი, შეჰკრეს, შეჰბაწრეს ტყვესავით მეფე, ხელმწიფე სჯიანი“[2].

„მეფე დიმიტრი თავდადებულში“ მოქმედების განვითარება კულმინაციურ წერტილს აღწევს ოცდამეხუთე თავში. აქ გადმოცემულია ტყვესავით შებაწრული დიმიტრის წარდგენა ურდოში და ყაენისა და ქართველი მეფის პირველი დაპირისპირება. ყაენი, რომელიც ნაწარმოებში ჩვეულებრივად იხსენიება როგორც ღვთის მგმობელი და სისხლისმსმელი მმართველი, დიმიტრის მიმართავს: „მინამ მოგკლავ, მსურს აქ ჩემ-წინ შეინანო ბრალი შენიო“. აქვე ყაენი ტყვე მეფეს იმასაც აგებინებს, რომ მას დიმიტრისათვის თავის მოკვეთა უკვე გადაწყვეტილი აქვს და ამ გადაწყვეტილებას ღმერთიც კი ვერ შეაცვლევინებს.

ყაენის ამ მიმართვას დიმიტრი მეფე იმდენად მტკიცედ და წარბშეუხრელად ხვდება, რომ ეს სიმტკიცე ჩვეულებრივი მომაკვდავის ძალღონეს ჭეშმარიტად აღემატება. იგი სახელმწიფოებრივი ძლიერებით გამედიდურებულ ყაენს ნამდვილად გმირული შემპრთებით წინ აღუდგება. მისი პასუხი მონღოლთა მბრძანებლისადმი პოემაში ასეა გადმოცემული:

მეფემ უთხრა: — „შენისთანა ნუ მოგაქვს თავი იმით, რომ
ჩემი რა გამკითხველია! ძალა აღმართის მხვნელია.

[1] ილია ჭავჭავაძე, მეფე დიმიტრი თავდადებული, თავი XXII.
[2] იქვე, თავი XXIV.

შენ-წინ მოთქმა რას მიქვიან? ჩემი გამკითხველი არი
რას მიქვიან შენანება? ნამუსი და ჩემი ნება“.

მწერალი გვეუბნება, რომ მეფის ამ შეუპოვარი პასუხით გაცეცხლებული ყაენი სასტიკად გაწყრა „ეს როგორ გამიბედაო!“ და ხელქვეითებს უბრძანა: „ჰგვემეთ და სცემეთ, ბნელეთს ჩააგდეთ ეგაო“. გასაგებია, რომ ყაენისა და დიმიტრის ამგვარი დაპირისპირება შეუძლებელია მეფისათვის კეთილის მომასწავებელი იყოს. ახლა უკვე მკითხველისათვის იოლი მისახვედრია, რომ ქართველი მეფე სიკვდილს ვერ აცდება, მაგრამ დროის ერთ მონაკვეთში სისხლისმსმელი ყაენი განზრახულის სისრულეში მოყვანას არ ჩქარობს. ილია სწორედ ამაზე ამბობს, ჩვენს მეფესაო

სასჯელი დაუგვიანა სანამ მოაკვლევინებდა,
იმ ღვთისმგმობელმა თათარმა სცემა, გვემა და აწამა.

ყაენი დიმიტრი მეფის დასჯას აგვიანებდა იმ მიზეზით, რომ იგი საქართველოს სამეფო ტახტზე დასასმელად თავისთვის უფრო სასურველ ქართველს დაეძებდა. ბოლოს ასეთიც გამოჩნდა და იმავე ყაენის ბრძანებით დიმიტრი მეფეს თავი წარკვეთეს.

* * *

ილია ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ხალხურობით აღბეჭდილი ისტორიული პოემაა. მკაფიოდ გამოხატული ხალხურობით ხასიათდება ამ ნაწარმოების როგორც იდეური ჩანაფიქრი, ისე პოეტური ინვენტარი. ქართველი ხალხისათვის, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე საკუთარ ეროვნულ თვითმყოფობას ნაირნაირ დამპყრობლებთან ბრძოლაში ინარჩუნებდა, შეუძლებელია მშობლიური ქვეყნისათვის თავდადების იდეა საყოველთაო და სახალხო არ ყოფილიყო. შემთხვევითი სრულიადაც არაა, რომ დიმიტრი მეფეს თავისმა ხალხმა ურისათვის თავგანწირული ადამიანის საპატიო სახელი უწოდა და, როგორც ივანე ჯავახიშვილი ამბობდა, „ისტორიამაც ხალხის ამ მსჯავრს თავისი დასტური მისცა და ერთადერთს მეფეს საქართველოში თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი ს წოდებულება შეუნარჩუნა“[1].

„მეფე დიმიტრი თავდადებულის“ ხალხურობა მისი ენობრივ-სტილისტური თავისებურებითაც დასტურდება. ნაწარმოები თავი-

1 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, 1966 წ., გვ. 231.

დან ბოლომდე სადა, ხალხისათვის ადვილად გასაგები ენითაა დაწერილი. პოემა მთლიანად, გარდა თექვსმეტსტრიქონიანი შესავლისა, ქართული ხალხური შაირით არის გამართული. დაბოლოს, ნაწარმოების ენის ხალხურობა ჩვენმა მწერალმა თავიდანვე განაპირობა იმით, რომ ერში ესოდენ პოპულარული მეფის გმირული თავგადასავლის მთხრობლად ხალხის წიაღიდან გამოსული ბრმა მეფანდურე გამოიყვანა.

ილიას მიერ დიმიტრი თავდადებულის თემის დამუშავება შემთხვევითი არ ყოფილა. ჯერ კიდევ 1861 წლის აპრილის სტატიაში იგი წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას“[1].

სამოციანელთა თაობამ, როგორც ცნობილია, ჟამთა ვითარებაში დავიწყებული სიტყვა „მამული“ თავისი ნამდვილი მნიშვნელობით აღადგინა და ეროვნული თავისუფლების იდეა ქართული მწერლობისათვის სასიცოცხლო იდეად აქცია. ეპოქის მიერ მოტანილ საკითხს ყველა მოწინავე მწერალი გარს შემოეჯარა და, როგორც ილია ამბობს, „ზოგი წარსულით გვინათებდა ამ საკითხს, ზოგი აწმყოს განკითხვითა, ზოგი მერმისის გამოსახვითა“[2].

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან მოყოლებული ქართულ ლიტერატურაში ბევრი ისტორიული პოემა, მოთხრობა, რომანი და დრამატული ნაწარმოები შეიქმნა. მათ შორის ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ერთ-ერთი პირველთაგანია.

სახელოვანმა მწერალმა, რომელსაც ერისათვის თავდადებული ხელმწიფის ამბავი ბავშვობიდან, სოფლის მთავრის ნაამბობით ახსოვდა, სრული სიმწიფის პერიოდში კეთილშობილი პატრიოტიზმით აღბეჭდილი ისტორიული პოემის სახით ჩამოაყალიბა.

„მეფე დიმიტრი თავდადებული“ ჩქარა მკითხველთა ფართო მასებში შევიდა. იგი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. პოემის გმირის სახე სამშობლოსათვის თავგანწირვის სიმბოლოდ იქცა. შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ილიას ეს პოემა მომდევნო თაობის მწერლებისათვისაც არაერთგზის შთაგონების წყარო გამხდარა.

დამახასიათებელია ვაჟა-ფშაველას ნათქვამი იმის თაობაზე, რომ „მეფე დიმიტრი თავდადებულს“ თავისებური გავლენა მოუხდენია მასზე იმ დროს, როდესაც პოემა „მოხუცის ნათქვამზე“ მუშაობდა. წერილში „Pro domo sua“ ვაჟა ამბობს:

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 26.

[2] იქვე, გვ. 226.

„უნდა გატეხილი მოგახსენოთ, რომ თუმც არავითარი მზგავსება არ არსებობს, და იქნება ვერცა ვის შეუნიშნოს, „მოხუცის ნათქვამსა“ და ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულს“ შორის, მაგრამ ამ პოემის წერის დროს „დიმიტრი თავდადებულს“ ჰქონდა ჩემზე გავლენა, ვიდრე სხვა რომელიმე მშობელ ლიტერატურის ნაწარმოებს, უფრო კი მის ფორმას“[1].

„მეფე დიმიტრი თავდადებული“ ფართო მოსახლეობაშიც ჩქარა გავრცელებულა. შეუძლებელია გულგრილნი ვიყოთ იმ ფაქტის მიმართ, რომ ქართველმა მეცხვარეებმა ამ პოემის ნაწყვეტები ზეპირად იცოდნენ და მის სტრიქონებს ფანდურზე ამღერებდნენ.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ცნობილი ქართველი პედაგოგის ივანე გომელაურის ერთი წერილი, რომელიც 1892 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა. წერილში ძირითადად იაფფასიანი წიგნების გამოცემის საკითხზეა ლაპარაკი. ამგვარ გამოცემათა საჭიროების საილუსტრაციოდ ავტორს მოთხრობილი აქვს აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში თავის მოგზაურობაზე და იქ ხალხთან პირად შეხვედრა-საუბრებზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა ივანე გომელაურის მონათხრობი ერთ ოჯახში თავის სტუმრობაზე და იქ თუში მეცხვარის მიერ ფანდურზე „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ დამღერების ამბავი. იგი წერს:

„შემდეგ ერთ თუშთან ვიყავი სადილად, სხვა სოფელში. სადილზე მალე გაიმართა სიმღერა. მშვენივრად უკრავდა ფანდურს და დასძახოდა ერთი ბრმა მეფანდურე. მაგრამ ბრმას მალე შეაწყვეტინეს სიმღერა და სთხოვეს იქვე მყოფს მეცხვარეს — ივანე ბიდოიძეს, რომ „დიმიტრის ლექსი“ დაემღერა ფანდურზე. ივანე ჯერ უარზე იყო, მერე-კი ჩამოართვა ფანდური და დასძახა:

ყური მიგდეთ, ამბავს გეტყვით
უტყუარსა და მართალსა,
ერთი „ნეფე“ თურმე ჰყავდა
უწინ ჩვენს მამა-პაპასა.

სახელად ერქვა დიმიტრი,
მხარ ბრტყელი, ტანად მაღალი,
ჯირითში თუ შვილდ-ისარში
ბიჭი არ ჰყავდა ბადალი...

„ამნაირად თავისებურად გადასხვაფერებული პოემა ნახევარზე მეტი გვითხრა... ამ ლექსმა აღტაცებაში მოიყვანა იქ მყოფი ყველა. მე გამიკვირდა ეს ამბავი და მაშინათვე ვკითხე: სად ისწავლე-მეთქი. მან მითხრა: ერთი პატარა წიგნი ჰქონდა ჩემს ამხანაგს; იმაში ვისწავლეო და თანაც სინანულით დაუმატა: ის წიგნი დაგვეხივა და

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. IX, 1964 წ., გვ. 181.

ბოლომდის ვერ ვისწავლეო. ნეტავი ერთი ის წიგნი მაშოვნინა და თუნდა ერთ მანეთს მივცემო“[1].

ასეთია ჩვენამდე მოღწეული ცნობები „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ გავრცელებასა და ფართო მასებში მისი პოპულარობის თაობაზე. ასევე ვრცელდებოდა და გავლენას ახდენდა პატრიოტიზმის მოტივზე დაწერილი ილიას ყოველი ნაწარმოები. ჩვენი მწერლის თხზულებათა ამგვარი პოპულარობის საფუძველი იმაშია, რომ თვით ეს თხზულებანი ჭეშმარიტად ხალხური იდეების გამომხატველია.

სოციალური თემატიკა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

ილიას მხატვრულ შემოქმედებაში ფართო ადგილს იკავებს სოციალური მოტივი, კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივი. მას, როგორც დიდ მწერალს, პოპულარობა მოუხვეჭეს სწორედ იმ თხზულებებმა, რომლებშიც გამოხატულია ადამიანთა თანასწორუფლებიანობისა და შრომის თავისუფლების კეთილშობილური იდეები. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში არ ყოფილა თითქმის არც ერთი ქართველი, რომელსაც ილიას „გუთნისდედა“, „შუშა“, „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“ და „ოთარაანთ ქვრივი“ არ სცოდნოდა.

1857 წელს დაიწერა ილია ჭავჭავაძის ლექსი „ხმა სამარიდამ“, რომელშიც სასტიკად არის გამათრახებული ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიური „წვრილმანები“. ამ ლექსიდან უკვე შეიცნობა ავტორი, რომელმაც შემდგომში სამარცხვინო ბოძზე უნდა გააკრას მთელი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სისტემა, რომელიც ადამიანის მიერ ადამიანთა ჩაგვრას ემყარება. ლექსში გამოყვანილი დიამბეგი ტიპური წარმომადგენელია იმდროინდელი გულქვა მოხელეებისა, რომელთა ბნელი საქმეები ხალხის მასებს მძიმე ტვირთად აწვა.

დიამბეგი თვითონვე აღიარებს, რომ იგი იყო „მეხი გლეხებისა, ერთგული ყმა ფულებისა“ და მთელი სიცოცხლის მანძილზე ხალხს უმოწყალოდ ყვლეფდა. იგი ყველას, ვისაც მასთან საქმე გაუჩნდებოდა, უნამუსოდ ტყავს აძრობდა და მათგან მიღებული ქრთამებით ჯიბეებს ისქელებდა. „სამართალს ფულითა ვსჭრიდი, გროშისათვის კაცს გავყიდდიო“, — უტიფრად აცხადებს იგი.

ამ ადამიანმა მთელი თავისი ცხოვრება ძარცვა-გლეჯაში გაატა-

[1] გაზეთი „ივერია“, 1892 წ., № 253.

რა და იმ დროსაც, როცა უკვე სამარეში წევს, კვლავ ქრთამების აღებაზე ფიქრობს. იგი მნახველებს საფლავიდან ვედრებით ამოსძახის:

შეიბრალეთ ჩემი გვამის..
თუ ოდესმე ვინმე მნახეთ,
საქიოს თუა ქრთამი,
გამახარეთ, ჩამომძახეთ.

ასეთია მწერლის მიერ დახატული ტიპური მოხელე იმდროინდელი სახელმწიფო აპარატისა. გასაგებია, რომ მწერლის მიზანია ამხილოს ის სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც ასეთი გულქვა და ვერაგი მოხელეების თავშესაფრად არის ქცეული.

ასევე საინტერესოა ილიას ლექსი „ჩემი თარიარალი“, რომელიც იმავე ხანებში დაიწერა და რომელიც იდეურ-თემატიკური თვალსაზრისით ერთგვარად ავსებს ზემოგანხილულ ლექსს.

„ჩემი თარიარალი“ დაწერილია ცნობილი ქართველი რომანტიკოსის ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთ-ერთი ლექსის („მუხამბაზი ლათაიური“) მიბაძვით, მაგრამ მიბაძვა მხოლოდ და მხოლოდ სალექსო ფორმის მხრივ იგულისხმება. ამ სატირული ლექსისათვის დამახასიათებელია მკაფიოდ გამოხატული სოციალური მოტივი, სახელდობრ, მუფის თვითმპყრობელობის სახელმწიფო აპარატის მხილების, მის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის მოტივი.

პოეტი ამ ლექსით საგანგებოდ მიმართავს ქართველ ახალგაზრდობას, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას. ილია მათ ხალხის საკეთილდღეო საქმეებისაკენ მოუწოდებს. ლექსში ნათქვამია:

დაეხსნათ ჩინის ძებნასა,
ემაგ ფუჭსა დიდებასა;
ჩინოვნიკი სულ ძილს ფიქრობს
და ჩვენ კი — გამარჯვებასა.

ასეთია ილიას პირველი ლექსები, რომლებშიც იგი მისდროინდელი უსამართლობის უმკაცრეს მამხილებლად გვევლინება. ახალგაზრდა პოეტი არა მხოლოდ უბრალო მოხელეებს აკრიტიკებდა, არამედ მისი მათრახები თვითმპყრობელ იმპერატორამდე აღწევდა („ჩემი თარიარალი“).

იმავე პერიოდიდან ილიას პოეზიაში თავს იჩენს გლეხობის, საზოგადოდ, მშრომელთა მასების მძიმე ყოფისა და მდგომარეობის გამომხატველი ლექსები. 1858 წლის 4 ივნისს პეტერბურგში, სტუდენტის მერხზე დაიწერა მისი ლექსი „გუთნისდედა“. ამ ნაწარმოებში პირველად ამეტყველდა ადამიანი, რომელსაც „ზეცა წაართვეს ძალით“. მწერალმა დაგვიხატა სრულიად დამაჯერებელი სახე გლეხკაცისა, რომელიც ბატონყმური ჩაგვრის შედეგად უფლებრივად

იმდენად დაქვეითებულია, რომ თავის თავს ლაბა ხარის დონეზე გრძნობს. იგი ხარს ასე მიმართავს:

ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ...
შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?

ეს ლექსი ერთგვარი შესავალია ბატონყმური ურთიერთობის მხილებისა, რომელიც მწერალმა იმავე ხანებში ფართოდ გაშალა თავის ცნობილ თხზულებებში: „აჩრდილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ და „გლახის ნაამბობი“. 1860 წელს დაიწერა მისი ღრმა სოციალური შინაარსის შემცველი ლექსი „მუშა“. თხზულებაში წარმოდგენილია ყოფა ერთი ჭირვარამ ტვირთმძიმე მშრომელისა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელია. „მუშა“ პირველი ნაწარმოებია, რომელშიც გამოხატულებას პოულობს მდგომარეობა და საქმეები ბატონის მათრახს გამოქცეული მშრომელისა.

ლექსის პირველი სტრიქონებიდანვე მკითხველს თვალწინ წარმოუდგება ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში ქუჩაში მხურვალე მზის ქვეშ კედელთან მწოლი ადამიანი. მკითხველისათვის თავიდანვე ცნობილი ხდება, რომ ეს მუშაკაცი ყოფილი ყმაა, ბატონყმობის უღელს გამოქცეული. მწერალი მას ასე მიმართავს:

ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო? სიდამ მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ.

ლექსის მომდევნო ნაწილებში გადმოცემულია მუშის მძიმე მდგომარეობა ქალაქურ ყოფაში. იგი დღენიადაგ შრომობს, სხვათა ტვირთს ეზიდება და სიმწრის ოფლს ღვრის, რათა დღიური ლუკმა იშოვოს. ერთ შემთხვევაში იგი ჩვეულებრივად ეზიდება მძიმე ბარგს და ჩვეულებრივად ოფლში იწურება. იმ დროს, როდესაც აკიდებული ტვირთის სიმძიმისაგან მუხლები ეკეცება, მას რომელიღაც დიდკაცის ეტლი ჩამოუქროლებს, უმოწყალოდ დაეჯახება და წააქცევს.

შენ გარდიქეცი ტომარითურთ და გამვლელ ხალხმა
მაგ შენ ყოფაზედ იწყო უგრძნოდ მაღლა ხარხარი...
რასც მაშინ ჰგრძნობდი, ყოველი სთქვა მწუხარმა თვალმა:
შენს დუმილშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი!

უსასტიკეს დამცირებას გამოვლილი მუშა კვლავ ტვირთს ეჭიდება, ვაივაგლახით აიკიდებს და პატრონის კარზე მიიტანს,. მაგრამ იგი კვლავ ახალი უბედურების წინაშე აღმოჩნდება: ტვირთის პატრონი გასამრჯელოსაც მთლიანად არ აძლევს, შემცირებაზე ევაჭრება. პოეტი დაჩაგრულ და დაბრიყვებულ მშრომელს თანაგრძნობით მიმართავს:

შენ უღონო ხარ... და უღონოს კაცი იბრიყვებს,
მდიდარს მეტს მისცემს, შენ კი გროშზედ შეგევაჭრება,
ვისაც არ უქირს, მას გააძღობს, — და შენ კი გიკლებს,
შენ, რომელსაცა ერთის გროშით დღე გემატება.

ასეთია ყოველდღიური მდგომარეობა მუშისა. ასე გაატარა მან გუშინდელი დღე. ასე აღამებს დღევანდელ დღეს და ასეთივე იქნება. მისი შრომისა და ცხოვრების პირობები ხვალ, ასევე უსიხარულოდ გაატარებს იგი მთელს სიცოცხლეს. დაბოლოს, უპატრონოდ მკვდარს, დაუტირებლად მიაბარებენ ცივ სამარეს.

ასე დაახასიათა მწერალმა მუშის, მშრომელის მდგომარეობა XIX საუკუნის სამოციან წლებში. ეს ლექსი ჰეშმარიტად ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენაა იმდენად, რამდენადაც მასში პირველად მთელი სისრულით გამოჩნდა ადამიანი, რომელიც ქართული მწერლობისათვის აქამდე შეუმჩნეველი იყო. ილიას „მუშა“ სათავეს უდებს მშრომელთა მდგომარეობაზე ფიქრსა და ზრუნვას, რომელიც ფართოდ გაიშლება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში.

1871 წელს ჩვენი მწერალი პარიზის კომუნას გამოეხმაურა. ამის გამო არის დაწერილი ლექსი „1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“. ჩვენმა მწერალმა პარიზის კომუნის დაცემას „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი“ დროშის დაცემა უწოდა. ლექსი შემდეგი სტრიქონებით მთავრდება:

კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება, კვლავ შეფერხდა ისტორია,
ქვეყნის ხსნად მოვლინებული, განახლების შესდგნენ ძალნი,
რომლისთვისა თითონ ღმერთი და კვლავ დღესასწაულობენ
იყო ტანჯულ და ჯვარცმული. გამარჯვებულნი მტარვალნი.

მოტანილი სტრიქონები ილიას სოციალური ლირიკის ერთგვარ გვირგვინს წარმოადგენს. ფართო მასების ბედისადმი ის გულსრული მზრუნველი დამოკიდებულება, რაც ამ ლექსიდან მთელი სიცხადით იგრძნობა, ყველა დროის კეთილგონიერ ადამიანს მიიმხრობს.

* * *

სოციალური თემატიკის თვალსაზრისით უწინარეს ყოვლისა საყურადღებოა პოემა „აჩრდილი“. ამ თხზულებას საინტერესო შემოქმედებითი ისტორია აქვს. მისი წერა ილიამ 1858 წელს დაიწყო, ხოლო საბოლოო სახით იგი 1881 წლის დამდეგს გამოქვეყნდა.

პოემა სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველია დასაწყისიდან მეათე თავის ჩათვლით, რომელიც მეტწილად ეროვნული თავისუფლების მოტივის გამომხატველია. მეორე — მეთერთმეტე-მეჩვიდმეტე თავები არსებითად სოციალურ მოტივზე იშლება, ხოლო მესამეა ისტორიული ნაწილი, რომელიც მეთვრამეტე თავიდან იწყება.

„აჩრდილი“ ერთ პერიოდში თავისებური პროგრამა იყო ახალგაზრდა ილიასი, რომელიც ფართო სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ემზადებოდა. ნაწარმოების ძირითადი ტექსტიდან მოყოლებული, ავტორის პროგრესული იდეები დროთა განმავლობაში თანდათან მწყობრი და თანამიმდევრული სახით ყალიბდებოდა. ის მწყობრი პროგრესული იდეები, რომელიც 1858 წელს „აჩრდილით“ დაიწყო, სამოციან წლებში უკვე საბოლოოდ „მგზავრის წერილებში“ ფორმდება. ამდენად „აჩრდილი“ და „მგზავრის წერილები“ ფართო ეროვნული და სოციალური თავისუფლების იდეებით შთაგონებული თხზულებებია. დასახელებული ნაწარმოებები არა მხოლოდ ავტორისათვის, არამედ საზოგადოდ მთელი ქართული მწერლობისათვის საპროგრამოდ იქცა.

იმდენად, რამდენადაც მწერლის ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელია ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ბუნებრივია, რომ ეპოქის ეს სატკივარი პოემა „აჩრდილს“ თავიდან ბოლომდე გასდევს.

მწერალს თავისი სამშობლო ქვეყნის მდგომარეობა ძალზე მძიმედ აქვს წარმოდგენილი. მისი სიტყვით, საქართველო, რომელიც არის „ხმელეთის თვალი, დიდის სამოთხის კუთხე პატარა“, დროთა ვითარებაში იმდენად დაბეჩავებული გამოიყურება, რომ „უცხოს ქალთის ქვეშ, ვითა ობოლი, შეფარებულა“.

ილიას აზრით, ოდესღაც „ხმელეთის თვალი“ ჩვენი ქვეყანა იმდენად დაქვეითებულია, რომ აქ „გმირის დამბადი დიდი საგანი“ მოსპობილა და წაწყმედილა; ძველი გმირობის მოედანიც უკვე „ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა“.

მწერალი მშობლიური ქვეყნის დაცემის ერთ-ერთ მიზეზად თვით ქართველობის გულგატეხილობასა და უმოქმედობას თვლის.

მყინვარზე მდგომი მოხუცი სწორედ ამის გამო მრავალ ჭირნახულ საქართველოს მიმართავს:

და იგი ცრემლი ურწმუნობის, ეჭვის და ტანჯვის,
ჰღალადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.

იმავე უმოქმედო ქართველობის კრიტიკა პოემის მომდევნო ნაწილებშიც გრძელდება. მერვე თავის დასაწყისში ვკითხულობთ:

აქ არვის — დიდსა თუ პატარასა, —
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტოდ მამული.

ასე აკრიტიკებდა ჩვენი მწერალი ქართველობის ერთი ნაწილისათვის ჩვეულ უსასოებას. ანალოგიურ კრიტიკას მის სხვა მთელ რიგ ნაწარმოებებში ვხვდებით და ყველა შემთხვევაში ამგვარ სასოწარკვეთილებას ავტორის სანაქებო ოპტიმიზმი უპირისპირდება. ილიას შემოქმედებისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი ეს ნიშან-თვისება „აჩრდილშიც“ მთელი სიცხადით გამოჩნდა. ნათქვამში დარწმუნებისათვის პოემის მესამე თავის გულდასმით გადაკითხვა საკმარისია.

დაბოლოს, პოემის მერვე თავიდან მნიშვნელოვანია მოწოდება თანამემამულეებისადმი დაბეჩავებული სამშობლოს განთავისუფლებისა და განახლებისათვის საბრძოლველად. გულთამხილავი მგოსანი მყინვარზე მდგომ იმავე მოხუცს შთამაგონებლად ათქმევინებს, რომ ღვთისა წინაშე დიდი ცხოვრება მხოლოდ იმას შეიძლება ეწოდოს, რომელიც „ქვეყნის წვითა დამწვარი ქვეყანასაც შეეწირება“. იქვე, მომდევნო სტრიქონებში სწორედ ამ იდეალურ გმირზეა ნათქვამი:

წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება!..
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოკვდება[1].

„აჩრდილის“ მეორე ძირითადი ნაწილი, რომელიც XI-XVII თავებს მოიცავს, სოციალურ მოტივზე იშლება. პოემის მეთერთმეტე თავი იმით იწყება, რომ ყმა ბატონს სავალდებულო ხარჯს სასწორზე უწყობს. იმ დროს, როდესაც წონა სწორდება, მებატონე პინას ფეხს ადგამს და „მით მის ხარჯსა ერთსა — ორად ჰხდის...“

მწერალი გვეუბნება, რომ დაჩაგრული ყმის თვალთაგან მწუხარების ცრემლმა უკვე იწვიმა, „მაგრამ ქვა არის ბატონის გული,

[1] ილია ჭავჭავაძე, აჩრდილი, თავი VIII.

ვერ დაარბილებს მას შებრალება". ბატონის მიერ უმოწყალოდ გაძარცულ გლეხს სხვა აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ ღმერთს შესტიროს:

ვაიმე, ბედკრულს რაღა დამრჩება,
რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი?..
ვინა შრომობდა და ვინა ჰძღება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!

პოემის მომდევნო ნაწილში ლაპარაკია ქვეყანაში არსებულ ცხოვრების წესზე, რომელიც სინამდვილეში ყოველგვარ უსამართლობას გზას უხსნის. მწერლის თქმით, ცხოვრების ამგვარი წესის წყალობითაა, რომ კაცში კაცისას გრძნობას არ ხედავენ, „დედას ძუძუდგან შვილსა აჰგლეჯენ, ვინ იცის, სიდამ სად გაჰყიდიან..."

იმავე ცხოვრების წესის პირობებში მამას საკუთარი ქალიშვილის სილამაზე-მშვენიერება არ უხარია, რადგანაც სავსებით მოსალოდნელია, რომ ეს სილამაზე მათი უბედურების მიზეზად იქცეს. გამორიცხული არაა, რომ ერთ დღეს მამას, კანონის სახელითა, ქალს წაართმევენ, „ქალს გაჰყიდიან, ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად"[1].

პოემის მეცამეტე თავი მშრომელისა და ტყვედპყრობილი შრომის განთავისუფლების საკითხებს მოიცავს. პირველი სალექსო სტრიქონიდანვე მკითხველის ყურადღების ცენტრში დგება შრომის შვილი, რომელსაც კისრად აწევს „მძიმე უღელი ქვეყნისა ცოდვისა". იქვე ისიც სავსებით ნათლად არის ნათქვამი, რომ მომავალი ყოვლის უწინარეს სწორედ ამ მუშაკაცს ეკუთვნის.

მომდევნო სტრიქონებში ტყვედ ქმნილ შრომაზეა ლაპარაკი. პოეტის სიტყვით, „შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი, მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა", მაგრამ ახლა ის ბორკილი, რომელსაც ტყვედ ქმნილი შრომა ჰყავდა თავის მარწუხებში გამოჭერილი, უკვე რღვეულა და „დასამსხვრევად გამზადებულა". იქვე ისიცაა ნათქვამი, რომ „შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის".

მოტანილ სტრიქონებს მოსდევს ტყვედ პყრობილი შრომის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დიდებული ჰიმნი, რომელიც ამ თავის უკანასკნელ ნაწილშია გადმოცემული. აქ ვკითხულობთ:

ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას.
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჰეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას.

[1] ილია ჭავჭავაძე, აჩრდილი, თავი XII.

პოემის მეთოთხმეტე თავში ლაპარაკია იმაზე, რომ კაცთა ცხოვრების შემფერხებელი ბორკილის დამსხვრევის შემდეგ, ახალ ნერგზე აყვავებულ ქვეყანაში ნანატრი შრომის სუფევაც დამყარდება. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში უქმ სიტყვებად აღარ იქნებიან „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ და არც „ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცთმოყვარება და სათნოება“. ამგვარი იდეალური ცხოვრების შესაქმნელად მგოსნის მიერ სავსებით რეალური შესაძლებლობაა დანახული. იგი შთაგონებული ამბობს:

ალღო აიღო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე-და-დღე მის წყობა ირღვევა,
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.

ავტორი აქვე იხსენებს წინა თავში დასახელებულ შრომის შვილს და მას შთამაგონებლად მიმართავს:

მაწინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიშთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონავი და არც იმონებ.

ასე ესახებოდა ჩვენს მოაზროვნეს ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში მშრომელისა და ტყვედ პყრობილი შრომის განთავისუფლების საზოგადო მნიშვნელობის კითხვები. სოციალური პრობლემისადმი ავტორის დამოკიდებულებაზე მკითხველის წარმოდგენას აძლევს „აჩრდილის“ მეთხუთმეტე თავში მოცემული დიდკაცის, ვაჭრისა და მღვდლის სახეები ცალ-ცალკე.

მწერლის სიტყვით, განცხრომაში მყოფი დიდკაცი (სახელმწიფო მოხელე) სრულიადაც არ წუხს თავის მოძმეზე, რომელიც „სასოწარკვეთილ მონებაშია“. ასევე გულქვაა ვაჭარი, რომელიც თანამემამულეებს ყოველთვის ატყუებს და „ძმა მისი მოკვდეს თუნდა შიმშილით, უნაღვლოდ განვლის ცხოვრების ხიდსა“.

აქვე მოხსენიებული არიან მღვდლები, რომელთაც „ქრისტესაგან ვალად სდებიათ ამა ერისა სულის აღზრდანი“. მწარალი მათ აკრიტიკებს იმის გამო, რომ სამშობლოს კირთების მძიმე დღეებში ისინი გულხელდაკრეფილნი დგანან და დაცემული ერის აღსადგენად ჯეროვნად არ იღვწიან.

პოემის მეთექვსმეტე თავში თბილისზეა ლაპარაკი. მყინვარზე მდგომ მოხუცს აწინდელი საქართველოს დედაქალაქის ცხოვრება მეტად მძიმედ აქვს წარმოდგენილი. მართალია, — ამბობს იგი — „ერთგზით შეჰხედავ და იქ ცხოვრება მართალ ცხოვრებად მო-

ეჩვენება", მაგრამ სინამდვილეში აქ „არც სიცოცხლეა, არც გემოვნება, არცა საგანი გულწარმტაცველი".

პოემაში ახალი თბილისის ცხოვრების დასახასიათებლად ყოველგვარი შეფარვის გარეშე არის ნათქვამი:

> იქ დღე რბის დღესა, ვით ჰრბოდა გუშინ,
> ერთნაირად და უფერულადა,
> რისთვისც მამანი იღწვოდნენ უწინ —
> დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა.

„აჩრდილის" მეჩვიდმეტე თავში იგივე მოხუცი მცხეთაზე ლაპარაკობს. იგი ძველი ივერიის დედაქალაქის თავისდროინდელ მდგომარეობას მეტისმეტად მძიმედ აღიქვამს. მისი სიტყვით, მცხეთა, სადაც უწინ „ჰყვაოდა ხე ცხოვრებისა ქართვლის გულიდან აღმოცენილი", ახლა უკვე უმოწყალოდ დაქვეითებულია. პოემაში ნათქვამია, რომ მცხეთაში

> აწ აღარა სჩქეფს წყაროთ ცხოველი,
> ხე ცხოვრებისაც იგი დამშკნარა
> და იგი დედა-ქალაქი ვრცელი
> აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა.

„აჩრდილის" მესამე ძირითადი ნაწილი მეთვრამეტე თავიდან იწყება და ქართველი ერის ისტორიული ქველობის ამბავს მოიცავს.

მეთვრამეტე თავი ქართველი ხალხის თავდაცვითი ომების საერთო დახასიათებას გვაწვდის. აქ დასაწყისიდანვე საქართველო იხსენიება როგორც მრავალჭირნახული ქვეყანა, რომელიც ჯვარცმული ღვთისათვის თვითონაც ჯვარცმულა და წამებულა. მწერალი თავის მშობლიურ ქვეყანას მიმართავს კითხვით: ეკლიან გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია? და ამ კითხვას თვითონვე უპასუხებს:

> შენ ხარ, მარტო შენ!.. მაგალითი სხვა არსად არი,
> რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შეძლებიყოს.

თხზულების მიხედვით ქვეყნის ამგვარი სიმტკიცე-გაუტეხობა განპირობებული იყო იმით, რომ ძენი მისნი საუკუნეების მანძილზე ქედმოუხრელად იბრძოდნენ. პოემაში ნათქვამია, რომ ქართველმა ხალხმა ამგვარ ბრძოლებში ბევრი რამ დაკარგა, მაგრამ მამული და სარწმუნოება შეინარჩუნა. მთავარი კი ერის გადასარჩენად სწორედ ეს იყო.

პოემის მეცხრამეტე-მეოცე თავებში ჩვენს ავტორს მტერთაგან თავდასხმებისა და რბევის წინააღმდეგ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ისტორიიდან ერთი ტიპური შემთხვევა

აქვს შემოტანილი. სახელდობრ, აქ ლაპარაკია ალექსანდრე მაკედონელის მიერ საქართველოს დაპყრობაზე, ბერძენ-მაკედონელთა სიმკაცრეზე დაპყრობილი ქართველი ხალხის მიმართ და, ბოლოს, ფარნავაზ მეფის მიერ უცხოელთა ბატონობიდან სამშობლო ქვეყნის გამოხსნაზე.

„აჩრდილის“ ისტორიული ნაწილის გაცნობისას დაინტერესებული მკითხველის წინაშე უწინარეს ყოვლისა თხზულების საისტორიო წყაროს საკითხი დგება. ამგვარი ინტერესი მით უფრო ბუნებრივია, რომ ჩვენამდე მოღწეულია პოემის ავტორის საგულისხმო გამონათქვამი ამ საკითხზე. ილია თავის მეგობარ მწერალს დავით ერისთავს 1872 წლის ივლისში სწერდა:

„მე არაფერს არ ვწერ. ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ვეღარ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ ამ „აჩრდილს“ თავი დავანებო მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა სჩანს, მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე, საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს“[1].

„აჩრდილში“ მხატვრულად განზოგადებული ამბავი ავტორს აღებული აქვს ცნობილ ისტორიკოსის ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებიდან. ლეონტი მროველის ნაშრომი მოთავსებული იყო მარი ბროსეს მიერ 1849 წელს გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“. ილია „აჩრდილის“ ისტორიულ ნაწილზე მუშაობის დროს მხოლოდ ამ გამოცემას ემყარება. რა თქმა უნდა, მოულოდნელი არაფერია იმაში, რომ ჩვენი მწერალი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს სრული ნდობით, ყოველგვარი კრიტიკული მიდგომის გარეშე ემყარება.

ალექსანდრე მაკედონელის მიერ საქართველოს დაპყრობაზე ლეონტი მროველი თავის ნაშრომში ამბობს:

„დაიპყრნა ალექსანდრე ყოველი ქართლი, და ამა ალექსანდრემ მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი, ქართლს მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყევნა, და დედანი და ყმანი უცებნი, თხუთმეტის წლისა უმცირესნი, და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი, და დაუტევა მათ ზედა პატრიკად, სახელით აზონ ძე იარედოსისი, ნათესავი მისი, ქვეყნით მაკედონიით. და ჰრისცა ასი ათასი კაცი ქუეყანათ რომით, რომელსაც ჰქვიან ფროტათოს. ეს ფროტათოსელნი იყუნეს კაცნი ძლიერნი და მხნენი, და

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 34.

უკირთებოდეს ქვეყანასა რომისასა, და მოიყვანნა ქართლად, მისცა აზონს პატრიკსა. და დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ პატრიკსა, და ამისა თანა სპანი იგი მპყრობელად ქართლისა"[1].

„აჩრდილის" მეცხრამეტე თავის დასაწყისში მყინვარზე მდგომი მოხუცი საქართველოს მიმართავს:

> თვალ-წინა მიდგას ის კირთების ბედშავნი დღენი,
> როს შენ დაგიპყრო მაკედონის გმირის ლაშქარმა,
> და შეგირყია დიდ ცხოვრების სამკვიდრო ბჭენი.
> შენმა მოძულემ და მოლალემ უცხო მთავარმა.

მომდევნო სტრიქონებში მწერალი ნათლად გვაგრძნობინებს დამპყრობთა განსაკუთრებულ სიმკაცრეს ქართველი ხალხის მიმართ. ამიტომაც საჭიროა წინასწარ ითქვას, რომ ამ პოეტურ სტრიქონებში არავითარ გაზვიადებას ადგილი არა აქვს. ბერძენ-მაკედონელთა სიმკაცრეზე დაპყრობილი ქართველი ხალხის მიმართ ილიასეული სტრიქონები სავსებით შეესიტყვება ისტორიკოსის მონათხრობს იმდროინდელ საქართველოში შექმნილ საზოგადოებრივ ვითარებაზე.

ლეონტი მროველის სიტყვით, ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაპყრობილ საქართველოს მმართველად დანიშნული მოხელე მეტისმეტად ავი პიროვნება იყო. ისტორიკოსი პირდაპირ ამბობს, რომ ერისთავად დატოვებული აზონი „იყო კაცი ძნელი და მრისხანე, ესე დააწესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: „ყოველთა ქართველთაგანმან რომელმან პოვოს საჭურჭელი, მოკალთ იგი. და ყოფდეს ჰრომნი იგი ესრეთ ქართველთა ზედა. და ვინცა-ვინ გამოჩნდის ქართველთაგან ქმნილ კეთილ ჰასაკოვანი, მოკლიან იგი. და იყო ჭირი დიდი ქართველთა ზედა"[2].

ბერძენ-მაკედონელთა ბატონობის ეპოქის სახელმწიფო მმართველობის კრიტიკა, რომელიც „აჩრდილის" მეცხრამეტე თავშია მოწოდებული, უმთავრესად სწორედ ამ ავი მოხელის წინააღმდეგაა მიმართული. პოემაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მმართველს, რომელსაც ქართველი ხალხის ცხოვრება ებარა, „სძულდა ქვეყანა, რომელიცა მას ეპყრა ხელთა, სძულდა თვით ერიც, მის სიკეთე, ნიჭიერება"... ავტორმა იმდროინდელ საქართველოს მმართველს უწოდა ერის მჩაგვრელი და ქვეყნის მთხრელი, რომელიც „მთელს საქართველოს თვის ფერხთა ქვეშ მჩვარებრ ჰქნელავდა".

მოულოდნელი არაა, რომ ჩვენი მწერალი მკითხველის ყურად-

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, მ. ბროსეს გამოცემა, 1849 წ., გვ. 27.
[2] იქვე, გვ. 28.

ღებას ამახვილებს გულქვა მმართველის მიერ ქართული ენისა და საზოგადოდ ქართული კულტურის დევნა-შევიწროებაზე. იგი ამბობს, რომ მმართველი, რომელიც იყო დაპყრობილი ერის სასოებისა და ნიჭის მმუსვრელი, „თვით ერის ენას — მაგ ერის განძს — იგი სდევნიდა“. იქვე საესებით ნათლადაა ნათქვამი, რომ იმავე მმართველს

სძაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება,
რაშიაც ერი თვისთა ნიჭთა იყო მსახველი,
რაშიაც იყო მის დიდება, პატიოსნება,
რისთვისაც დაშერა მამა-პაპის გული და ხელი.

მეცხრამეტე თავის დასასრულ სტრიქონებში ლაპარაკია იმაზე, რომ დაპყრობილი ქართველი ერი კირთების ქვეშ ქედს იხრიდა მძულვარებითა, მაგრამ იმავდროულად „ზღვევისა წადილს გულდაკეტით დღე-და-ღამ ჰზრდიდა“.

პოემის მეოცე თავში უკვე ლაპარაკია იმაზე, რომ „მოვიდა ის დღეც შურისგებისა“ და ქართველი ხალხი დამპყრობთა წინააღმდეგ აღდგა. თავისუფლებისათვის მებრძოლ ერს სათავეში ჩაუდგა „გულმტკივნეული შვილი ქვეყნისა“ ფარნავაზი. ჭაბუკმა გმირმა მტერს თავზარი დასცა, დამპყრობელთადმი მონობა პირქვე დაამხო და „ქართვლის სახელი დამცირებული კვლავ შეჰმოსა მან პატიოსნებით“.

„აჩრდილის“ ისტორიული ნაწილი ამით მთავრდება. მომდევნო ოცდამეერთე თავის დასაწყისში კი ნათქვამია, რომ ფარნავაზის მიერ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართველს ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია. მყინვარზე მდგომი მოხუცი საქართველოს მიმართავს: „მას აქეთია ოთხ-კუთხივ მტერნი შენს თავსა შენვე გეცილებოდნენ, მაგრამ ვაჟკაცნი შვილები შენნი გულდაგულ მტერსა წინ უდგებოდნენ“. მაგრამაო, — განაგრძობს იგივე მოხუცი: —

ეხლა რაღაა.. გაჰქრენ ის დღენი,
გაჰქრა იგიცა ძალ-გულოვნება,
და საკვირველნი მამათ საქმენი
ეხლანდელ შენს შვილს არც აგონდება.

პოემის ოცდამეოთხე თავი კვლავ მწერლის თანამედროვე ცხოვრების სურათებს გვიდგენს. ბუნებრივია, რომ ავტორის მიერ ქვეყნის საერთო მდგომარეობა მძიმედაა წარმოსახული. ამ თავის დასაწყისშივე ნათქვამია:

წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება,
მტერად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება.

ილია ძალზე მძიმედ განიცდის, რომ წარსული ცხოვრების ერთიანი „ძლიერი ზვირთნი“ ახლა უკვე საერთო კალაპოტიდან „სხვადასხვა ტოტად გადმოსულან, გადაგდებულან“. მწერლის გულითადი ნატვრა ისაა, რომ მრავალტოტად დანაწევრებული ცხოვრების მდინარება კვლავ გაერთიანებული და გაძლიერებული იხილოს. იგი გულწრფელად ამბობს, როდის ვნახავო,

როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ-არსებისა,
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?

დასასრულ, „აჩრდილის“ იდეა ერთხელ კიდევ გამოხატულია იმავე მოხუცის უკანასკნელ ლოცვაში. იგი ყოვლის შემძლე ღვთისმშობელს გულმხურვალედ ევედრება:

დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!

მოხუცის ლოცვის შემდეგ, როდესაც შვიდფეროვანი ცისარტყელა ქვეყანას იმედის მახარობლად გადეფინება, მომავლის რწმენით საზოგადოდ აღჭურვილი ავტორი პოემას საბოლოოდაც აგრეთვე იმედიანი ფინალით აგვირგვინებს.

* * *

სოციალური მოტივების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო მასალას იძლევა ილიას მხატვრული პროზა. მწერალმა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენისთანავე საზოგადოების ყურადღება მიიქცია სწორედ ფართო მხატვრული ტილოებით. ეს გასაგებიცაა. ეპოქის აქტუალური პრობლემების მხატვრული განზოგადებისათვის ყველაზე ეფექტიანი სწორედ ასეთი ტილოებია. „მგზავრის წერილები“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია, ადამიანი“, „სარჩობელაზედ“ და „ოთარაანთ ქვრივი“ ის ქმნილებანია, რომლებშიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მთელი ეპოქაა მხატვრულ სიტყვაში გაცოცხლებული.

„მგზავრის წერილებში“ გამოხატულებას პოულობს სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივები. ეროვნული მოტივის თვალსაზრისით ნაწარმოებში ორი მომენტია საყურადღებო: პირველია ოფიცრისა და „იამშჩიკის“ მახინჯი სახეები,

---

[1] ილია ჭავჭავაძე, აჩრდილი, თავი XXVI.

რომელთაც მწერალი მეფის თვითმპყრობელობის გასაკილავად იყენებს. მეორე — საუბარი მოხევე ლელთ ღუნიასთან, რომელშიც არსებითად მწერლის შეგნებაა გადმოცემული. ეპოქის მთელი შინაგანი წინააღმდეგობის მამხილებელია საუბრის მწერლისეული დასკვნა, რომელიც იმავდროს თხზულების დასასრულიცაა. იგი წერს:

„ჩემმა მოხევემ მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება, შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისის სიტყვით თავისს გულის-ტკივილს მიმახვედრა.

„მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენავე გვეყუდნესო“, — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა, როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი!“.

„მგზავრის წერილებში“ ეროვნული თავისუფლების მოტივთან სავსებით ბუნებრივად არის შერწყმული საზოგადოდ სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივი. ასეთია მოძრაობისა და უძრაობის, დღისა და ღამის დაპირისპირება, რომელზეც ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი. იმავე თხზულებაში ილიამ ნამდვილი მნიშვნელობით პირველად გამოიყენა სიტყვა რ ე ვ ო ლ უ ც ი ა. ამ სიტყვის ხსენებაზე მწერალი თავის მკითხველს ღრმააზროვნად მიმართავდა: „სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა აღუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზე“.

სამოციან წლებში შექმნილი მხატვრული პროზაული ნაწარმოებებიდან სოციალური მოტივის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „გლახის ნაამბობი“ და „კაცია, ადამიანი“. ეს თხზულებები, უწინარეს ყოვლისა ბატონყმობის წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ იმავე მოთხრობებში მეფის თვითმპყრობელობის ვერაგობაც მკაცრად არის მხილებული და გაკიცხული. ჩვენი ავტორი ერთნაირად დაუნდობელია როგორც თათქარიძეების, ისე სახელმწიფოებრივი სისტემისა, რომელიც ხალხის მჩაგვრელებს ნიადაგ იცავს და ამაგრებს.

ეს გარემოება განსაკუთრებით საგრძნობია „გლახის ნაამბობში“. დათიკო გაბრიელის მიმართ თავისი ვერაგობის განხორციელებას სწორედ თვითმპყრობელობის სახელმწიფო მოხელეთა აშკარა

მხარდაჭერით ახერხებს. როგორც თხზულებიდან ვიცით, დათიკომ გაბრიელი შეპყრობისთანავე დიამბეგს გაუგზავნა.

გაბრიელის თავგადასავლიდან მკითხველზე განსაკუთრებით ძძიმე შთაბეჭდილებას ახდენს მონათხრობი იმ დღეებზე, რომელნიც მან საპატიმროში ყოფნის დროს მეფის მოხელეების — გამომძიებლებისა და მოსამართლეების — ხელში გამოიარა. გაბრიელი თვითონვე მოგვითხრობს:

„პირველ ხანებში რომ მამგონებია ჩემი უბრალოება და ის ტანჯვა, რომელსაც მე მიმცეს, დავცემულვარ იატაკზე და უილაჯობით მიწა მიღრღნია, კბილით ხორცი მიგლეჯია, თითებიდან ჩემი სისხლი მიწოვნია. ასეთი დღე დამდგომია, დრო ყოფილა, რომ შხამს გამოვაჟენთებდი, შხამს, ჩემის დაშხამულის გულიდამ და წვეთ-წვეთად ჩავაწურებდი ჩემს დამღუპველსა, რომ იქ შემხვედროდა, მაგრამ ის სად იყო? ღმერთო მაღალო, ნურა ქრისტიან კაცს, ნურა ადამიანს ნუ მიაყენებ იმ დღეს, რაც მე ხანდისხან იმ სატუსაღოში დამდგომია!.. შენი ჯოჯოხეთი იმასთან სამოთხეა“[1].

გაბრიელმა დაახლოებით სამი წელიწადი საპატიმროში გაატარა და იგი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ მეფე და მისი მოხელეები დათიკოს იცავენ, რომ მშრომელი გლეხობისათვის სამართალი არ არსებობს. სწორედ ამ მიზეზით გაბრიელმა არსებული სახელმწიფოებრივი წყობილება მთელი არსებით შეიძულა.

სახელმწიფო აპარატის სიმკაცრეზე მკითხველის წარმოდგენას ავსებს და აფართოებს ის სცენა, რომელშიც გადმოცემულია საპატიმროდან „დამნაშავეების“ გამოყვანა, რომლებიც გაბრიელთან ერთად სასჯელის მოსახდელად იგზავნებიან. გაბრიელის, პეპიასა და მათ ბედში მყოფთა მდგომარეობა, მათი მწვავე ადამიანური განცდები მკითხველში ბუნებრივად იწვევს ზიზღსა და უნდობლობას მთელი იმ სახელმწიფოებრივი სისტემის მიმართ, რომელშიც ეს უდანაშაულო ადამიანები ასე სასტიკად ისჯებოდნენ.

პატრიოტული გრძნობის გამოხატვის თვალსაზრისით საინტერესოა ერთი ეპიზოდი გაბრიელის თავგადასავალიდან. მრავალ ჭირს გამოვლილი ყმა გულწრფელად გვაგებინებს თავის ადამიანურ განცდებს იმ მომენტში, როდესაც საციმბიროდ გამგზავრებულნი საქართველოს საზღვრებს უნდა გაშორებოდნენ. იგი მოგვითხრობს:

„შვიდს დღეზედ მყინვარის მთას დავუახლოვდით. საღამო ხანი იყო და ის სოფელი, სადაც იმ ღამეს ჩვენ უნდა შეგვესვენა, ჯერ კიდევ შორს იყო. ჩამობინდდა. მეურმემ დაიძახა, ურემი გატყდაო.

[1] ილია ჭავჭავაძე, გლახის ნაამბობი, თავი IX.

ყველანი შეგვაყენეს. სალდათები გარს შემოგვისხდნენ, ზოგმა ჩიბუხის კეთება დაიწყო, ზოგმა პურის ჭამა, ზოგი წამოწვა. ჩვენც დავსხედით. ტუსაღები ამბობდნენ, რომ ხვალ საქართველოს მიჯნას გავცილდებითო.

„გული მომიკვდა, ეს რომ გავიგონე, და დავღონდი. ჩემისთანა უთვისტომო ადამიანისათვის ქვეყანა ყველგან ერთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართველისათვის საქართველო დიდი რამა ყოფილა. რაც უნდა იყოს, შენი ჭირიმე, ჩვენი აკვანი საქართველოა, ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველოა, ჩვენი ერის ქვეყანა ეს არის, ჩვენი სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის, ჩვენი მზე აქ არის და ჩვენი მთვარე, და თუ გული გაქვს — გულიც აქ არის, თუ სიყვარული გაქვს — სიყვარულიც აქ თუ იქნება, თორემ სხვაგან სადა? სადაური სად მივყევართ, — ვკითხავდი ჩემს თავს ტკივილითა და წუხილითა, — ეს ქვეყანა აღარ უნდა ვინახულო, აქაურმა მზემ აღარ უნდა გამათბოს, აქაურმა მთვარემ შუქი აღარ უნდა მომფინოს!.. სიტყვა-პასუხის გამგონი აღარ უნდა მყვანდეს!.. აქაურმა წყალმა წყურვილი აღარ უნდა მომიკლას!.. აქაური სალოცავი აღარ უნდა ვილოცო!..“[1].

„კაცია, ადამიანში“ ამ თვალსაზრისით საინტერესო ფაქტები შედარებით მცირეა. მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თვით ლუარსაბიც კი, გონებრივად უკიდურესად ჩლუნგი ადამიანი, თავის ყმებს რუსთა ხელმწიფის სახელით აშინებს. ერთ შემთხვევაში, როდესაც მას უნდა ყმებზე გავლენა მოახდინოს, გააფრთხილოს, რათა ბატონყმობის გაუქმებაზე ფიქრი გუნებაშიც არ გაიტარონ, ლუარსაბი დათოს მიმართავს: „ყმები ჩამოგვერთმევაო რომ ამბობენ, ტყუილია. გესმის თუ არა? ყველას უთხარი, რომ ტყუილია. ხელმწიფეს მოუწერია, რომ დავარჩობ, ვინც იტყვის, რომ ეს მართალიაო, ვინც გუნებაში მაგას გაიტარებსო, გაიგე?“[2].

„კაცია, ადამიანი“ მთლიანად ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე დაიბეჭდა. მთავარი, რამაც ნაწარმოების არაჩვეულებრივი გავრცელება განაპირობა, იყო ბატონყმობის უმძაფრესი კრიტიკა, რომელიც მოთხრობაში არის გამოსახული. გარდა ამისა, თხზულებაში თავს იჩენს ჩვენი მწერლის მემკვიდრეობისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი პატრიოტული მოტივი.

ამ მხრივ „კაცია, ადამიანში“ ორი მომენტია განსაკუთრებით საყურადღებო. ერთია ის შემთხვევა, როდესაც ილია მოკლედ,

---

[1] ილია ჭავჭავაძე, გლახის ნაამბობი, თავი X.

[2] ილია ჭავჭავაძე, კაცია, ადამიანი, თავი IV.

თითქოს სხვათა შორის, მაგრამ მკაცრი სატირული ტონით ამათრახებს თვითმპყრობელობის სახელმწიფო აპარატის უსულგულო მოხელეებს. იმ მომენტში, როდესაც ლუარსაბის სახლ-კარის აღწერას იძლევა, როდესაც მკითხველმა უკვე იცის, რომ ეს კარმიდამო რაღაც განსაკუთრებით მოუვლელი და უსუფთაოა, სწორედ ამ დროს მწერალი ამბობს, რომ თათქარიძის „ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული“.

შეუძლებელია განსაკუთრებულ ინტერესს არ იწვევდეს ის ეპიზოდი, როდესაც მწერალი მთელი სისასტიკით ამათრახებს ლუარსაბისა და მისი ყაიდის ქართველი თავადაზნაურობის ეგრეთ წოდებულ „პატრიოტიზმს“. როგორც ვიცით, ლუარსაბ თათქარიძე ახალ ვითარებას იწუნებს. დროების შეცვლაზე ჩივის. სწორედ ამ მომენტში მწერალი მკაცრად ამხილებს ძველის დიდებაზე „გულშემატკივარ“ მებატონეს.

„ეჰ, ჩემო ლუარსაბ! — მიმართავს იგი თათქარიძეს, — ვიცი, გულწრფელი კი ხარ, როგორც ყველა ძველი ქართველი, მაგრამ ძველს დროს ტყუილად შეჰნატრი, რომ არც კი იცი, რა იყო სანატრელი ძველს დროში? ცხენი განა ეხლა კი არ არის? თოფი განა ეხლა კი ნიშანში ვერ მივა? მარჯვე მკლავი ცოტაა? ეხლაც არის ეს ყველაფერი, მაგრამ ის გული აღარ არის, ის გულის სიმხურვალე, ის თავგამოდება მამულისათვის, რომელიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახმარებდა“[1].

ამ სტრიქონებიდან გარკვევით ისმის იგივე ხმა, რაც არა ერთგზის გვსმენია ილიას თხზულებებიდან „აჩრდილი“, „ქართლის დედა“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და სხვები[2].

* * *

კონკრეტული ეპოქის ფონზეა გაშლილი ილიას დრამატული ნაწარმოები „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“. ეს თხზულება 1865 წელს დაიწერა, ხოლო 1867 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა. ნაწარმოებმა თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. იგი ხშირად იდგმებოდა როგორც ოფიციალური თეატრის სცენებზე, ისე შინაურ წარმოდგენებზე. აქ ერთი მათგანის გათვალისწინება მაინც საჭირო და აუცილებელია.

---

[1] ილია ჭავჭავაძე, კაცია, ადამიანი. თავი II.

[2] „გლახის ნაამბობსა“ და „კაცია, ადამიანს“ ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით შრომის მომდევნო თავში, რომელშიც შედარებით ვრცლად იქნება მიმოხილული ბატონყმური ურთიერთობის ასახვა ილიას მხატვრულ შემოქმედებაში.

„გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“ პირველად 1870 წლის 23 ნოემბერს თბილისში ერთ კერძო ბინაზე წარმოადგინეს. საღამოზე სამი პიესა იყო წარმოდგენილი: გიორგი ერისთავის „ძუნწი“, რაფიელ ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და ილიას „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“.

23 ნოემბრის შინაურ წარმოდგენას რეცენზია უძღვნა გაზეთმა „დროებამ“. რეცენზია იმის აღნიშვნით იწყება, რომ თბილისში არ არსებობს პროფესიული ქართული თეატრი, და, მაშასადამე, საზოგადოება მოკლებულია „ერთ საუკეთესო დროს გატარებას, ის მოკლებულია ქართულ თეატრს“.

ამ ფაქტის ხაზგასმით აღნიშვნა მიმომხილველს ალბათ იმისათვის ესაჭიროება, რომ მკითხველს კიდევ უფრო ნათლად აგრძნობინოს შინაური საღამო-წარმოდგენების როლი და მნიშვნელობა; აგრძნობინოს, რომ ამგვარ ვითარებაში „შინაური წარმოდგენები ცოტათი მაინც ასრულებენ იმის (თეატრის) მაგიერობას“.

მიმოხილვის ძირითად ნაწილში ავტორი წარმოდგენიდან მიღებულ საკუთარ შთაბეჭდილებებს გადმოსცემს. რაც ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა, იგი ვრცლად ლაპარაკობს ილიას „სცენებზე“. მიმოხილველი წერს:

„ძუნწი“ და „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდნენ“ რამდენჯერმე უნახავს სცენაზე ჩვენს საზოგადოებას. ილია ჭავჭავაძის „სცენების“ ნახვა კი პირველი იყო და, მართალი გითხრათ, მე არ მეგონა თუ წარმოსადგენად ივარგებდნენ ეს მშვენიერი „სცენები“, რადგანაც თეატრისათვის არ არიან დაწერილნი. მაგრამ, ჩემდა სასიამოვნოდ, მე მოვტყუვდი. თითქმის ყველა პიესებზე მომეტებული ყურადღება იმას მიაქცია საზოგადოებამ და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამის მიზეზი მარტო ის კი არ იყო, რომ „სცენებს“ პირველად ხედავდა ჩვენი საზოგადოება. „სცენებს“ არა აქვს, მართალია, სცენური მოძრაობა, სასცენო ეფექტი, მაგრამ მის ნაცვლად ყოველი სიტყვა მომქმედი პირებისა და ყოველი მათი მიხვრა-მოხვრა თვით ნამდვილი ცხოვრებიდან გამშრიახე თვალით არის შენიშნული და ხელოვნური კალმით დაწერილი. აი ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ „სცენები“ ასე მოეწონა საზოგადოებას“[1].

ასეთი იყო გამოხმაურება ჩვენი მწერლის „სცენების“ პირველ წარმოდგენაზე. ამის შემდეგ ეს ნაწარმოები ხშირად იდგმებოდა

---

1 გაზეთი „დროება“, 1870 წ., № 47.

და იგი ყოველთვის დიდი წარმატებით სარგებლობდა. თხზულებაში ასახულია ბატონყმობის გაუქმების მომდევნო ხანა, ძველიდან ახალ ურთიერთობაზე გადასვლის პერიოდი. მოქმედებაში ჩრიან ნაყმევი გლეხები, ნაბატონარი თავადაზნაურობის წარმომადგენლები და სახელმწიფო მოხელე — მომრიგებელი შუამავალი, რომელსაც ამ ადამიანთა შორის ახალი, რეფორმის შემდეგდროინდელი დამოკიდებულების მოწესრიგება ევალება.

რეალურ ცხოვრებაში გაჩენილი ეს ახალი ტიპები ქართულ მწერლობაში პირველად ილია ჭავჭავაძემ შემოიყვანა. ეს უბრალო მნიშვნელობის მოვლენა როდია.

ნაყმევი გლეხებისაგან განსაკუთრებით ძლიერადაა დახატული გლახა ჭრიაშვილის სახე. მისი გაცნობა საგრძნობლად ავსებს და აფართოებს ჩვენს წარმოდგენას ბატონყმური ურთიერთობის მძიმე შედეგებზე. ჭრიაშვილი ბატონყმობის მიერ დაბეჩავებული გლეხობის ტიპური წარმომადგენელია. ეს კაცი მოსამართლესთან ჩრის მისული; უნდა რაღაც შესჩივლოს, სთხოვოს, მაგრამ გაგებინებას ვერ ახერხებს. იგი სიტყვის ყოველი შეწყვეტის შემთხვევაში თხრობას თავიდან იწყებს და ბოლომდე ვერასოდეს ვერ გადის. საბოლოოდ მაინც გაუგებარი რჩება, ნაყმევ გლეხს მომრიგებელი შუამავლისათვის რა უნდა ეთხოვა, რის თქმა უნდოდა.

ნაბატონარი თავადაზნაურობისაგან საინტერესოა ქვრივი ქალისა და მისი მაზლის სახეები. ქვრივი ვერაფრით ვერ შერიგებია იმ სინამდვილეს, რომ ადრინდელი უპირატესობით ვეღარ სარგებლობს; მომრიგებელი მოსამართლე მისგანაც მოითხოვს, რომ რიგს დაელოდოს და რიგგარეშე კი მის საჩივარს არ ისმენს. თავის მხრივ ქვრივი მომრიგებელ შუამავალთან იმის საჩივლელად არის მისული, რომ ახალდაქორწინებულ ნაყმევს გადაახდევინოს ეგრეთ წოდებული „საჩექმე“, რომელიც ბატონყმობასთან ერთად კანონით უკვე მოსპობილია.

ქვრივის მაზლს განზრახული აქვს ბატონყმობის გაუქმების კანონს არ დაემორჩილოს მხოლოდ იმ „საბუთით“, რომ იგი პირადად არ დასწრებია სამაზრო თავყრილობას, რომელზეც ბატონყმობის გაუქმებაზე მანიფესტი წაიკითხეს.

* * *

ღრმა სოციალური შინაარსის შემცველია ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „სარჩობელაზედ“. ნაწარმოებში გამოხატულებას პოულობს მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების ეპოქის აქტუალური

საზოგადოებრივი მოვლენები. აქ გამოყვანილი ახალგაზრდა ძმების მკაცრი თავგადასავალი ახალი ურთიერთობის ბუნებრივი გამომხატველია. ნაწარმოებში განსაკუთრებით მიმზიდველად გამოიყურება გლეხი პეტრე. ამ კაცის სახე მოთხრობაში აღწერილ მოვლენათა შეფასება-განზოგადების ამოცანას ემსახურება.

თხზულების პირველი სტრიქონებიდანვე მოქმედებაში გამოჩნდებიან ჯარისკაცის „კურტკებში“ გამოწყობილი ახალგაზრდა ძმები. მათგან უფროსი თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისაა, ხოლო უმცროსი თოთხმეტ-თხუთმეტისა. „უფროსის სახე არ იყო ძალიან მარილიანი: იმისი სხარტე და ფირფიტა ნიკაპი, იმისი წვრილი, სწრაფი და მოუსვენარი თვალი, ჩქარ-ჩქარი თვალთა ხამხამი ცხადად ამბობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უცხო გულია დამალული. მეორე, უმცროსი, — უფროსსა ჰგავდა კიდეც და არც ჰგავდა: ჰგვანდა ზოგიერთ სახის ასოს მოყვანილობაში, მაგრამ უფრო მარილიანი იყო. ამისი შავი და ღრმა თვალები მკვახედ გამოიყურებოდნენ. წარბშეკრული და გულდახურული, თითქო რაღაცას ითმენსო და თავისთავს ძალას ატანსო, შინაგანი ამღვრეულობა არავის ამცნოსო“.

ძმები გზაში შეხვდებიან მეურმე გლეხებს, რომლებიც თბილისისაკენ მოემგზავრებიან. უფროსი ძმა გლეხებს შესჩივის, თითქოს ეს ახალგაზრდა „თავადიშვილები“, რომლებიც სასწავლებლიდან მოდიან, ლოთმა მეეტლემ გზაში მიატოვა მშიერ-მწყურვალნი. მოხუცი მეურმე პეტრე ახალგაზრდებს განსაკუთრებით შეიბრალებს; აჭმევს, ასმევს, დაბოლოს, თავის ნაბადსაც მათ გაუშლის და თვითონ კი ტიტველ მიწაზე იძინებს.

მეორე დილით გამოირკვევა, რომ ეს ახალგაზრდები ავაზაკები ყოფილან. მათ პეტრესათვის ჯიბე მოუჭრიათ და გაპარულან.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა პეტრეს მდგომარეობა, მისი ადამიანური განცდები. სწორედ ამ მომენტში მწერალი ერთხელ კიდევ გამოავლენს თავის სათნო და გულისხმიერ დამოკიდებულებას ქართველი გლეხისადმი. პეტრე ჩვენს წინაშე წარმოდგება როგორც ზნემაღალი და კეთილშობილური თვისებების მქონე ადამიანი. კაცს, რომელსაც ჯიბე მოაჭრეს და უკანასკნელი მანეთები ამოაცალეს, ამ საქმის ჩამდენი ახალგაზრდებისადმი სამაგიეროს გადახდევინების აზრიც არ მოსდის თავში. მას მხოლოდ სცხვენია, რომ „უსუსურმა ბავშვებმა“ გაქურდეს და ამის იქით არც ერთი განზრახვა მათი დასჯისა გუნებაში არ გაუელის. პირიქით, იგი ერთგვარად ლოცავს კიდეც მძარცველ ახალგაზრდებს: „აი ტაი, ტაი, ტაი! ღმერთმა იმათ კი შეარგოს და მე კი ეს სირცხვილადაც მეყოფა და სიცილადაც“.

პეტრეს გაქურდვის შემდეგ ავაზაკი ძმები კარგა ხნის განმავლობაში მოქმედებაში აღარ მოჩანან. მათი მდგომარეობა მკითხველისათვის ცნობილი ხდება ცოტა მოგვიანებით და ისევ ამ კეთილ გლეხთან დაკავშირებით.

პეტრე იმ შემთხვევიდან ოთხი წლის შემდეგ ოჯახური საქმეების გამო კვლავ თბილისში ჩამოდის. იგი მოულოდნელად ყურს მოჰკრავს: დღეს მახათას მთაზე ვიღაცას ჩამოახრჩობენო. ბუნებრივია, რომ ისეთ სათნო და გულუბრყვილო ადამიანს, როგორადაც ჩვენ პეტრეს უკვე ვიცნობთ, არა სჯერა, რომ კაცის ასეთნაირად დასჯა შესაძლებელი იყოს. იგი ფიქრობს, რომ ჩამოხრჩობის ამბავი ტყუილია; რომ იგი „ეშმაკი ქალაქელებისაგან“ მოგონილი თვალთმაქცობაა, რათა სოფლელი კაცი მოატყუონ, გაამასხარაონ. დიახ, პეტრე ამაში დარწმუნებულია, მაგრამ სანახაობისაგან მაინც უკან არ იხევს.

ჰეშმარიტად გულწრფელი და შთამბეჭდავია პეტრეს ადამიანური განცდები ამ დროს. ეს ყოვლად უბოროტო გლეხი თავისთვის ჩუმად ფიქრობს და მსჯელობს: „ახლა იმ სომეხმა რომ მომატყუა, კაცს არჩობენო, რა გაიტანა? აქაო და სოფლელია, მალე მოტყუვდებაო, ვთქვათ, რომ მოვტყუვდი, მაგრამ რაო? თამაშას ხომ ვნახავ... ღვთის წინაშე კი, იქავ რომ მცოდნოდა თვალთმაქცობას ითამაშებდნენ, იქნებ არც წამოვსულიყავ, აი! ჰაი, ჰაი, კაცის გული მალია, მალი ცოდვის საქმეზედ. კაცის დარჩობის სანახავად გამოუქნელ მოზვერსავით კი გამომიწია და!.. ამ პატარა გულში რამოდენა ცოდვა და მადლი ტრიალებს“.

დრო გადის. პეტრე საკუთარი თვალით უყურებს ჩამოხრჩობის პროცესს, მაგრამ მაინც არ სჯერა და არა. იგი მაინც შინაგანად დარწმუნებულია, რომ „ეშმაკმა ქალაქელებმა“ რაღაც თვალთმაქცობა გაითამაშეს. ალალ-მართალი კაცის ეს დაუჯერებლობა საკუთარი თვალით ნახული ფაქტისადმი და მისი გულწრფელი ადამიანური განცდები მოთხრობას განსაკუთრებული მიმზიდველობის ძალას ანიჭებს.

პეტრეს განცდებს ცვლის ღრმა შინაარსის მქონე წერილი, რომელსაც იგი ჩამოხრჩობილის ძმისაგან იღებს. წერილით მკითხველისათვის ცნობილი ხდება როგორც იმდღევანდელი კონკრეტული შემთხვევა, ისე ავაზაკი ძმების მთელი თავგადასავალი. თხზულების თემაც არსებითად სწორედ ამ ნაწილშია (თავი IV). მკითხველს ერთი წუთითაც ეჭვი არ ეპარება, რომ ახალგაზრდა ძმების მდგომარეობა და საქმეები, მათი ყოფა დაობლების შემდეგ, ჩამოსვლა თბილისში, აქ ყოველდღიური ძარცვა-გლეჯით ცხოვრება, მამინაც-

ვლის მოკვლა და ამის გამო უფროსი ძმის ჩამოხრჩობა, უშუალოდ უპოქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში შექმნილი საერთო ვითარების ნაყოფია. ამ შთაბეჭდილებას ერთხელ კიდევ განამტკიცებს უმცროსი ძმის სიტყვები იმის თაობაზე, რომ თვითონაც თვრამეტ-ცხრამეტი წლის ახალგაზრდა, მომავალ მწარე ხვედრს წინასწარ უკვე შეგუებულია. იგი პეტრეს პირდაპირ და არაორაზროვნად სწერს: „თუ როდისმე ჩემი ნახვა მოიწადინო, მოდი და მეც ჩემ ძმასავით სარჩობელაზედ მნახე. ჩემი ბოლო ეს არის".

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული წერილის დასასრული სტრიქონები. საზოგადოებრივ ცხოვრებაზე საბოლოოდ გულგატეხილი და თითქმის ყველა ადამიანის მიმართ სასტიკი შურისძიების გრძნობით შეპყრობილი ახალგაზრდა კეთილ გლეხკაცს ერთი ათად უბრუნებს ოთხი წლის წინათ მოპარულ თანხას და თანაც მასვე სწერს:

„შენს სამსა და ათ შაურს ერთი ათად გიბრუნებ. შენმა გულკეთილობამ რომ ტკბილი ნაღველი ჩამისახა გულში და კინაღამ არ. დამიმორჩილა, აქამდის კიდევ გულში მიღვივის, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი, ისიც გაქრება ვიცი. განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემი მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთადერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!"

ნაწარმოებიდან ვგებულობთ, რომ ამ სიტყვების მოსმენაზე პეტრეს ცივმა ოფლმა დაასხა. მე რა შუაში ვარო! — დაიძახა კვნესით და თრთოლვით შეშინებულმა პეტრემ. პეტრე მთლად ცახცახებდა". მოთხრობა მთავრდება მწერლის სიტყვებით: „მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს!"

გულმართალი გლეხის წამოძახილი: „მე რა შუაში ვარო" ერთხელ კიდევ მის ზნეობრივ სიფაქიზეზე მიუთითებს, ხოლო სიმართლე იმ გულამღერეული ახალგაზრდის მხარეზეა, რომელმაც ღვიძლი ძმის ჩამოხრჩობა საკუთარი თვალით ნახა. ეს ძმები ავაზაკებად კი არ დაბადებულან, არამედ ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებმა აქციეს ასეთებად. პეტრეც ერთგვარად „შუაში არის" იმდენად, რამდენადაც იგი წევრია იმ საზოგადოებისა, რომელზედაც ეს ახალგაზრდა ასე სასტიკად გაბოროტებულია.

მოთხრობაში მწერლის მიზანია აჩვენოს ახალ ვითარებაში რეალურ ცხოვრებაში ჩამოყალიბებული სოციალური უკუღმართობა. სავსებით მართალი იყო პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელიც წერდა:

„ამბავი „სარჩობელაზედ" ახასიათებს თვით ავტორის კაცთმო-

ყვარეობით აღსავსე შეხედულებას, იმის განათლებულის გონების მიდრეკილებას. აქაც საუცხოოდ ჰყავს დახატული გულუბრყვილო, კეთილი გლეხის ტიპი — პეტრე. ილია დაბალს ხალხს ყოველთვის სიმპათიით ეპყრობა. საცა კი გლეხი არის ჩარეული მის ნაწერებში, ყოველთვის იგი ადამიანობით მაღლა დგას დაპირისპირებულ აზნაურს ან თავადზედ"[1].

ილიას პიროვნების სიდიადე იმაშია, რომ იგი, როგორც მწერალი და მოაზროვნე, თავიდან ბოლომდე თანამიმდევრული, მთლიანი და გაუბზარავია. იგი გვევლინება როგორც ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის მედროშე. მწერალი სრულიად გარკვევით წარმოგვიდგება როგორც მშრომელთა ძალების ინტერესთა დამცველი, მათი იდეოლოგი. სოციალური პრობლემის ამგვარად გაშუქების ისტორიულ მნიშვნელობას ვერ ამცირებს ეროვნული ერთობის იდეა, რომელიც ჩვენი ავტორისათვის საზოგადოდ დამახასიათებელია. მისთვის ეროვნული თავისუფლება სოციალური თავისუფლების გარეშე არ არსებობს.

ბატონყმობის საკითხი ილიას მხატვრულ მემკვიდრეობაში

ილიას საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და მხატვრულ შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ბრძოლა ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ. ბატონყმობის ინსტიტუტის მოსპობისათვის ბრძოლა ერთი უმთავრესი საქმე იყო მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების მოღვაწეებისათვის როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. რუსმა სამოციანელებმა გადამწყვეტი ბრძოლა გაუჩაღეს კაცობრიობის ამ დამამცირებელი და ისტორიულად დრომოჭმული ურთიერთობის წინააღმდეგ. ბატონყმობის მოსპობისათვის ბრძოლა დიდების შარავანდედით მოსავს აგრეთვე ქართველ სამოციანელებს.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა ხალხური „არსენას ლექსი". ამ თხზულებაში ხალხის გენიამ მზის სინათლეზე გამოიტანა ბატონყმობის მთელი საშინელება. პოემაში ქართველმა ხალხმა წყევლა-კრულვით აავსო ვერაგი მებატონე, ხოლო მის წინააღმდეგ მებრძოლ გლეხს თავს უკვდავების გვირგვინი დაადგა. ბატონყმობის წინააღმდეგ ხალხუ-

[1] ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე), 1913 წ., გვ. 109.

რი ლექსები იქნებოდნენ ამაზე აღრე და ამის შემდეგაც, მაგრამ „არსენას ლექსი“ მაინც რჩება როგორც ერთი ყველაზე სრულყოფილი ხალხური თხზულება ამ თემაზე.

ილია ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი მწერალია როგორც პრაქტიკული საქმიანობით, ისე მხატვრული შემოქმედებით. ზემოთ, პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით აღნიშნული იყო რამდენიმე ეპიზოდი, როდესაც იგი იბრძოდა ბატონყმობის მოსპობისათვის და გლეხობის მიწიანად განთავისუფლებისათვის. მწერლის პირადი, პრაქტიკული საქმიანობა განუყრელ კავშირშია მის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან. ილიას აზროვნებაში ერთსა და იმავე დროს მწიფდება „კაკო ყაჩაღი“, „აჩრდილი“ და „გლახის ნაამბობი“ ერთი მხრივ და მისივე მებრძოლი პუბლიცისტური წერილები — მეორე მხრივ.

საკმარისია მოვიგონოთ, რომ „გუთნისდედა“, „მუშა“, „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, აგრეთვე „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია, ადამიანის“ პირველი ვარიანტები შექმნილია სწორედ იმ დროს, როდესაც ილია ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. ამ ფაქტებიდან სავსებით ბუნებრივად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მათი ავტორი ბატონყმობის წინააღმდეგ ილაშქრებდა იმ დროიდან, როდესაც ეს ურთიერთობა ოფიციალურად ჯერ კიდევ ხელუხლებელი იყო. ამ თხზულებათა მნიშვნელობას, მათ ცხოველმყოფელობას ოდნავადაც არ ამცირებს ის გარემოება, რომ ზოგიერთი მათგანი საბოლოო სახით სამოცდაათიან წლებში ფორმდება. ჯერ ერთი, ამ თხზულებათა ძირითადი ნაწილები გამოქვეყნდა სწორედ სამოციან წლებში და მეორეც — სამოცდაათიან წლებშიც ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ აქტუალური იყო.

1860 წელს დაიწერა ილიას ცნობილი თხზულება „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“. ძნელია დავასახელოთ სხვა ნაწარმოები ბატონყმობის თემაზე, რომელიც ფართო მასებში ისე გავრცელებული ყოფილიყო, როგორც ეს პოემა. მკითხველმა იგი გამოქვეყნებისთანავე აიტაცა, შეითვისა და შეიყვარა. შემთხვევით არც ის მომხდარა, რომ ხალხმა ამ ნაწარმოებს მისი ერთი მთავარი გმირის სახელი უწოდა („კაკო ყაჩაღი“).

პროფესორი სიმონ ხუნდაძე სამართლიანად ამბობდა: „ისე, როგორც არსენას სახელი იწვევდა გლეხობაში წამბაძველობას, კაკოს საქმიანობა და მისი გმირობა წამახალისებელი გახდა გლეხობისათვის“[1].

[1] სიმონ ხუნდაძე, ნარკვევები, 1941 წ., გვ. 400.

თხზულების პირველი სტრიქონებიდანვე მკითხველს თვალწინ წარმოუდგება მძიმე ტვირთის ქვეშ სულშეხუთული მშრომელი გლეხობის ცხოვრება. ქვეყანას საღამოს ზეწარი გადაეფარა და „ყველას ეძინა, დღით ჰფეთქავს რაცა, თითქოს დაღლილა მიწაც და ცაცა". საერთო მყუდროებას შეხამებულია და ამ უსიამოვნო სიჩუმის შთაბეჭდილებას აღრმავებს მეურმის ნაღვლიანი ღუღუნი, რომელიც „მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი".

ქვეყნად გამეფებულ სამარისებულ დუმილს არღვევს მხედარი, იგივე ზაქრო, რომელმაც ტყიდან ცხენი ასკუპა და „მჭმუნვარე სახის ამაყად მჩენი" პირდაპირ ურემთან მიიჭრა. მხედარმა მეურმეს კუდიგორის გზის სწავლება სთხოვა. მეურმემ თხოვნა გულწრფელად შეუსრულა, მაგრამ იმავე დროს გააფრთხილა, რომ იქ ყაჩაღი ბღაჭიაშვილი ბინადრობს და მასთან მტრულად მისვლა სახიფათოა. მეურმემ როდესაც გაიგო, რომ მხედარი სწორედ ბღაჭიაშვილს დაეძებს და მასთან შეერთება სწადია, მას თითქოს შეშურდა კიდეც უცნობი მხედრის ბედი. მაშინ, როდესაც ბღაჭიაშვილისაკენ მიმავალმა ზაქრომ ცხენი გაქუსლა, მეურმემ თან გააყოლა ნატვრის სიტყვები: „ახ ნეტავი შენ!"... რაღა თქმა უნდა, მეურმის ნატვრაში გამოსახულია გულისნადები მის ბედში მყოფი მთელი ყმა გლეხობისა.

ამის შემდეგ პოემაში გადმოცემულია ზაქროს მისვლა „ბღაჭიაშვილის სამეფოში" და კაკოსა და ზაქროს ურთიერთ გაცნობა-დაძმობილება. ზაქრო ახალგაცნობილ კაკოს უყვება თავის თავგადასავალს; მოუთხრობს იმ მდგომარეობაზე, რომელმაც პატიოსან შრომას მოწყურებული ახალგაზრდა ცხოვრების კალაპოტიდან ამოაგდო, კაცისმკელელად აქცია და ყაჩაღობის სახიფათო გზაზე დააყენა. ზაქროს თავგადასავალში მწერალმა მოხდენილად ჩააქსოვა ბატონყმური ურთიერთობის მთელი საშინელება: გლეხკაცის_აუტანელი მდგომარეობა ბატონყმობის უღლის ქვეშ და მებატონეთა აშკარად არაადამიანური დამოკიდებულება ყმების მიმართ.

ჩვენმა მწერალმა, ზაქროს ბატონის სახეში გამოაქანდაკა სავსებით დამაჯერებელი ზოგადი ტიპი გულქვა და რეგვენი მებატონისა. ჰეშმარიტად დიდებული, გულის სიღრმემდე ჩამწვდომია ზაქროს სიტყვები:

რა გავაგრძელო, თავადის-შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!

მოხუცი ბევრს ეევდრა ბატონს, მაგრამ გული მაინც ვერ მოულბო. ბატონი გულგრილად იმეორებდა: „თუნდ სულიც გაგძვრეს,

არ მენაღვლება, თავში ქვა იეც და ისა ჰქენი". ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ყმამ იმავე ბატონს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

მე ჩემს ღვიძლ შვილსა აღარ მანებებ,
რომ შემინახოს სიბერის დროსა,
მართალს სიტყვასაც არ მათქმევინებ,
ფუ, შენს სამართალს, შენს სამსჯავროსა!..

გლეხისაგან ეს სამართლიანი მხილება საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ბატონი მის ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადასულიყო, ხოლო როცა გლეხმა ბატონს ხელი შეუბრუნა, ამ უკანასკნელმა გაროზგვის ბრძანება გასცა. ზაქრო თვით გახდა მოწმე იმისა, როცა ანგარიში არ გაუწიეს მოხუცის არც თეთრ თმა-წვერს, არც სიგამხდრეს, არც უღონობას და თავმოყვარე ახალგაზრდას საკუთარი მამა თვალწინ გაუროზგეს. ამით ყმის მოთმინების უკანასკნელი ძაფი გაწყდა და ზაქროს მარჯვენაც ამოქმედდა საკუთარი ადამიანური ღირსების დასაცავად. ამის შემდეგ კი ზაქრო, რომელმაც თავისი ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები ბატონის სამსახურს შეალია, ბოლოს მაინც კაცის მკვლელად იქცა და ყაჩაღობის საბედისწერო გზას დაადგა.

ნაწარმოები არავითარ საბუთს არ იძლევა იმისათვის, რომ ზაქროზე, როგორც „ურჩ ყმაზე" ვილაპარაკოთ. პირიქით, ზაქრო ძალიან ბევრსაც ითმენდა და მისმა თოფმა მხოლოდ მაშინ იჭექა, როდესაც ბატონმა თავისი ნამდვილად არაადამიანური საქციელით ყველა საზღვარს გადააჭარბა.

ნაწარმოებიდან სავსებით ნათლად ჩანს, რომ იგივე საფუძველი ბატონყმური ურთიერთობისა იყო მიზეზი კაკო ბღაჭიაშვილის გაყაჩაღებისა. კაკოსთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის მწერლური ხერხი, რომელიც ავტორმა ამ გმირის დახატვისას გამოიყენა. პოემაში მოცემული არაა კაკოს ყმობისდროინდელი თავგადასავალი. მას მხოლოდ ყაჩაღურ ცხოვრებაში ვეცნობით და ისიც მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, ეს ეპიზოდები სრულიად საკმარისია იმისათვის, რათა ბღაჭიაშვილის გმირული სახე მკითხველის მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდოს.

კაკოს ხსენება პირველად ზაქროსა და მეურმის საუბარში გაისმის. მისი ვაჟკაცური ფიგურა მკითხველის წინაშე მკაფიოდ წარმოსდგება განსაკუთრებით იმ მომენტში, როდესაც მას, უცნობი მხედრის დანახვის გამო, თავისი ცხენი გამოაღვიძებს. თხზულებაში ნათქვამია, რომ

„წამოხტა კაკო ლომივით ზეზე,
თოფი მოზიდა და შეაყენა

და, რა იხილა მხედარი ველზე,
შეჰკივლა: „მითხარ, ვინა ხარ შენა?
რისთვის მოსულხარ, — მოყვრად თუ მტრადა?"

კაკო და ზაქრო ერთმანეთს ეცნობიან, რაც შემდეგ მათი დაძმობილებით მთავრდება. ზაქროს ნაამბობი მწერალს ათავისუფლებს კაკოს ბატონყმობისდროინდელი ცხოვრების აღწერისაგან. ბუნებრივად იგულისხმება, რომ მისი ცხოვრებაც ბატონის კარზე ისევე მძიმე და აუტანელი იყო, როგორც ცხოვრება ზაქროსი და სხვა ყმა გლეხებისა. ახლა მწერალს რჩება ერთი უმთავრესი ამოცანა: მკითხველს აგრძნობინოს ბლაჟიაშვილის პიროვნება როგორც გმირი ვაჟკაცისა, რომელიც ბატონყმურ უსამართლობას გამოქცევია.

კაკოს დახასიათება მოცემულია, ერთი მხრივ, ზაქროს მონათხრობში, ხოლო მეორე მხრივ — თვითონ კაკოს მიმართებაში ახალდამეგობრებულ ვაჟკაცისადმი.

ზაქროს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი ვერაგ ბატონს ბეჯითად ემსახურებოდა, ესმოდა და იზიდავდა კაკოს სახელი. „ჯერ არ შენახე, მაგრამ გიცნობდი, შენი ცხოვრება მენატრებოდაო", — მიმართავს იგი ახალგაცნობილ ყაჩაღს.

რა არის ის ანდამანტი, რომელიც ბლაჟიაშვილისაკენ ასე იზიდავს ზაქროს ბედში მყოფ ადამიანებს? ეს არის მისი ვაჟკაცური ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ. ზაქრომ პირველსავე შეხვედრაზე უთხრა კაკოს:

შენზედ მოუბნობს კაცი და ქალი,
ვისაც ენა აქვს, შენ ყველა გაქებს;
შენი ამბავი, ეხლა მართალი,
ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს.

ბატონყმობის მონურ უღელში მყოფი გლეხობისათვის იდეალად იყო ქცეული თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანთა სახეები. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა ხალხური „არსენას ლექსი". ილიას „კაკო ყაჩაღის" ერთ ნაწილში მოცემული საუბარი არსენას პიროვნებაზე ცხადყოფს ამ სახალხო გმირის საყოველთაო პოპულარობას გლეხთა ფართო მასებში.

ზაქრო, ლაპარაკობს რა თავის ყმობისდროინდელ მძიმე მდგომარეობაზე, აღნიშნავს, რომ მან „ღვიძლ დედასავით" შეითვისა არსენას გმირობის ამბავი. ეს ამბავი ზაქროს ესმოდა როგორც თავისი ტოლებისაგან, ისე უფროსი თაობის ყმებისაგან. მას ძვალსა და რბილში გამჯდარი აქვს არსენას ვაჟკაცური სახე, როგორც ბა-

ტონის წინააღმდეგ მებრძოლი გმირისა. რაოდენი სითბო და სიყვარული ხალხისა იგრძნობა იმ დახასიათებაში, რომელსაც ზაქრო კაკოსთან საუბარში იძლევა. იგი ბღაჭიაშვილს პირდაპირ მიმართავს:

მარტო არსენა, თუ გახსოვს შენა,
გლეხკაცი როგორც ძმა ჰყვარებია,
გლეხკაცის ბედი, ჭირი და ლხენა,
შვილსავით კალთით უტარებია.

არსენას ეს დახასიათება ზაქრომ ხალხისაგან, უშუალოდ ყმა გლეხობისაგან მოიტანა. არსენა ოძელაშვილის ამბავი ზაქროსათვის ჯაჭრი და ლხენა, გული და სულია. მას ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში არსენას სახელი ხიბლავდა და მასაც არსენობა ენატრებოდა.

ზაქროს საუბრიდან ცნობილი ხდება, რომ ხალხმა არსენას სახელს კაკოს სახელიც შეუერთა. მისი გმირობის ამბავიც „შორს გავარდნილა“ და ეს ამბავი, ახლა მართალი, ზღაპრად მიუვა შთამომავლობას.

ბღაჭიაშვილის ეს დახასიათება სრულიად საკმარისია, რომ მის პიროვნებაში ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანი შევიცნოთ. კაკოს გმირული სახე კიდევ უფრო სრულად წარმოდგება იმ მომენტში, როდესაც იგი ზაქროს საუბარში ჩაერევა და თავგადასავლის თხრობას შეაწყვეტინებს. როდესაც ზაქრო ამბობს, რომ თვითონ იქ იდგა, როცა მის მოხუცსა და ჯანგატეხილ მამას ბატონი როზგის ქვეშ წამებით სულსა ჰხდიდა, კაკო წონასწორობიდან გამოდის.

გულფიცხმა კაკომ ჯერ კიდევ არ იცის, რომ ვერაგი ბატონი უკვე დამიწებულია. ამიტომაც არის, როცა იგი ზაქროსაგან მოისმენს: „მაშინ იქ ვიდექ მე საცოდავი“... კაკო განრისხებული წამოხტება და მოლაპარაკეს შეუტევს:

— შენ იქ იდექი, ამბობ, იმ დროსა
და იქამდინა მიუშვი მტერი,
რომ აცემინე მამა ბებერი?!

კაკოს მიმართვას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: ამით იგი ზაქროს საყვედურობს, მაგრამ ამ სიტყვებიდანვე ბუნებრივად გამოდის თვითონ კაკოს დახასიათებაც. ეს მისთვის სიტყვა კი არა, მოქმედებაა, მისი გულფიცხობისა და მღელვარების გამომხატველი. ამგვარ ბუნებრივ აფეთქებაში, ერთგვარ უნებლიეთ მოქმედებაში, მოჩანს მისი გმირული შემართება. ბღაჭიაშვილის გულწრფელობაში კიდევ უფრო გვარწმუნებს მისივე მობოდიშება ზაქროს მიმართ

იმ დროს, როდესაც იგი გაიგებს, რომ გულქვა და რეგვენი ბატონი უკვე ჩაძაღლებულია.

ბღაჭიაშვილის იმავე გულფიცხობისა და გულწრფელობის შედეგია მისი კმაყოფილების გრძნობით ნათქვამი სიტყვები: „ძმაო, გამჩენის შენის ჭირიმე, რაც წელან გითხარ, ყველა დამტომე; ლამის დამადნოს ჩემმა სირცხვილმა“.

მხატვრულობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „კაკო ყაჩაღის“ დასასრული. ამბავი მთავრდება ზაქროს მიერ თავგადასავლის მოთხრობით. პოემის უკანასკნელი სტრიქონები ასეთია:

და, რა სთქვა ესა, ზაქრო მწუხარედ
პირქვე დაეცა დადუმებული;
დიდხანსა ეგდო ეგრე მდუმარედ
გულში ვაების ცეცხლმოდებული.
ამ საწყალს შვილზედ კაკოც შეწუხდა,
ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა.

ზაქრომ კაკოს გააცნო თავისი ცხოვრების ნარეკლიანი გზა. ზაქროს ვაჟკაცობით მოხიბლულმა ბღაჭიაშვილმა იგი მიიღო და შეითვისა. მათ — როგორც კაკომ, ისე ზაქრომ — კარგად იციან, რომ ყაჩაღის ბედი მძიმეა. ძნელია ტყეში ნადირივით მიწაზე გდება, უძილობა, შიში და შიმშილი, მაგრამ ისინი მაინც თავს ბედნიერად თვლიან, რადგან თავიანთი თავის ბატონ-პატრონი თვითონვე არიან.

ზაქროს თავგადასავალი, არსენა ოძელაშვილისა და კაკო ბღაჭიაშვილის შორს გატყორცნილი სახელები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს ბატონყმურ ურთიერთობაზე. ამ გმირთა თავგადასავლით, ერთი მხრივ, მზის სინათლეზეა გამოტანილი ბატონყმური უღლის სიმძიმე, ხოლო მეორე მხრივ — დიდების შარავანდედით იმოსებიან ადამიანები, რომლებიც ამგვარი ურთიერთობის წინააღმდეგ შეუპოვრად იბრძვიან.

მწერლის მიზანი იყო გადმოეცა რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან. რაღა თქმა უნდა, პოემაში მოთხრობილი ამბებით თხზულების სათაურისათვის პასუხი მთლიანად და აშომწურავად არის გაცემული. გარდა ამისა, მწერალმა გმირები კვლავ მოქმედების ასპარეზზე დატოვა. ეს თავზეხელაღებული ადამიანები, „გულში ვაების ცეცხლმოდებულნი“, უკვე ძმადშეფიცულნი, „ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა“. მაინც რაზე ფიქრობდნენ ისინი? ამის პასუხი მწერალმა მკითხველს მიანდო, მაგრამ ისე, რომ მათი ფიქრის გამოცნობაც ძნელი არ ყოფილიყო. ჩვენი ავტორი გულში ჩამწვდომად ამბობს:

ამ ორს გულში რა ბალღამიც დუღდა,
წარმოიდგინოს თითონ მკითხველმა.

დასასრულ, ამ პოემასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი გარემოებაც. მწერლის თანამედროვეთა გადმოცემით, ილია ჭავჭავაძეს შემთხვევა ჰქონია პირადად ენახა ერთი გაყაჩაღებული ყმა გლეხი, რომელმაც ბატონს თოფი ესროლა. ეს ყაჩაღი ყოფილა კარდანახელი გაუხარაშვილი, რომელსაც, როგორც ბატონყმური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ გლეხს, „ხმა და სახელი დიდი ჰქონდა გავარდნილი“.

როგორც ირკვევა, 1959 წლის ზაფხულში ილია შემთხვევით შეხვედრია დასახელებულ ყაჩაღს. გაუხარაშვილს ილია შეუჩერებია, ტყის სიღრმეში შეუყვანია და მასთან ხანგრძლივი საუბარი გაუმართავს. ბოლოს ყაჩაღი კარგადაც გამასპინძლებია მწერალს: დაუთვრია და ისე გამოუსტუმრებია იგი. მოულოდნელი არაა, რომ ამ შემთხვევას ილიაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. კოხტა აფხაზი მოგვითხრობს:

„რაც შეეხება მის შემოქმედებას და მის ნაწარმოებების ისტორიას, მე მხოლოდ „კაკო ყაჩაღის“ შესახებ მახსოვს კარგად, რომ კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გახლამთ ერთი კარდანახელი გლეხი ვინმე გაუხარაშვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიღაც ვაჩნაძეს) და ყაჩაღად გავარდა. იმალებოდა კარდანახის ტყეში და გამვლელ-გამომვლელს სცარცვავდა. ხმა და სახელი დიდი ჰქონდა გავარდნილი.

„ერთხელ ილია სწორედ იმ გზით ჩვენსა მოდიოდა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი. უცებ ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი. უკითხამს: ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო. ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აბხაზიანთსა მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე, რომ როდესაც ილია ჩვენსა მოვიდა, ბარბაცებდა და მარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიკით: „დამაძინეთ, დამაძინეთო!“ მეორე დღეს კი გვიამბო თავის თავგადასავალი, ხოლო დაუმატა, რომ გაუხარაშვილი [illegible] ბატონებს სწყევლის და აგინებსო“[1].

ასეთი იყო ილია ჭავჭავაძის პირადი შეხვედრა გაყაჩაღებულ გლეხთან. ახალგაზრდა მწერალმა, რომელიც ბატონყმობის ინსტიტუტისადმი აქამდისაც მტრულად იყო განწყობილი, საკუთარი თვა-

[1] ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1935 წ., გვ. 565.

ლით ნახა ბატონთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ადამიანი. ბუნებრივია, რომ მწერალს შეეძლო ეს კონკრეტული მაგალითი გამოეყენებინა და კიდეც გამოიყენა იგი.

* * *

ბატონყმური ურთიერთობის მძაფრი სურათები წარმოგვიდგინა ილიამ მოთხრობაში „გლახის ნაამბობი". იგი ერთ-ერთი დამახასიათებელი თხზულებაა ჩვენი მწერლის შემოქმედებაში როგორც მოტივების, ისე მხატვრულობის თვალსაზრისით. მთავარი ნაწარმოებში ბატონყმობის საკითხია. აქ უფრო ფართოდაა გადმოცემული ბატონყმური ურთიერთობის საშინელებანი, მზის სინათლეზეა გამოტანილი ბატონსა და ყმას შორის არსებული წინააღმდეგობა, ბრძოლა.

მწერალი თხზულების დასაწყისში წარმოგვიდგენს მისი გაცნობის ისტორიას ცხოვრებისაგან დაბეჩავებულ, უკვე სასიკვდილოდ განწირულ გლახასთან. „ის იყო, — მოგვითხრობს მწერალი, — სრულიად დათენთილი სნეულებისაგან. ყვითელი სახე, შიგა-და-შიგ ტყლაპსავით ჩაჩნეული, შეშუპებული ჰქონდა, როგორც წყალმანკის მქონეს, თმა და მოზრდილი ჭაღარა წვერი ჭუჭყისაგან ისე გასქელებოდა, თითქო იმის თმას თავის დღეში არც წყალი მოხვედრიაო და არც სავარცხელი".

გლახა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ იგი ხანგრძლივ ცხოვრებას გამოვლილი და ამის გამო ჯანგატეხილი მოხუცი გვეგონება. მოვლენებზე საგანგებო დაკვირვებაა საჭირო იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ სინამდვილეში იგი მხოლოდ ოცდარვა-ოცდაცხრა წლის კაცია და მეტისა კი არა.

გლახას თავის თავზე განაჩენი გამოტანილი აქვს. მას სააქაო ცხოვრებაზე საბოლოოდ ხელი ჩაუქნევია; თვლის, რომ ცალი ფეხი უკვე სამარეში უდგას. მას ახლა სამართალი ვერავითარ პასუხს ვეღარ მოსთხოვს და ისიც დამშვიდებით ყვება თავის მძიმე თავგადასავალს.

პირველი ცნობა, რომელიც გლახაზე მკითხველს ეძლევა, ის არის, რომ იგი ყოფილი ყაჩაღია, მაგრამ ყაჩაღიცაა და ყაჩაღიც. გლახა თავიდანვე გვაფრთხილებს, რომ იგი მთელი არსებით მონდომებული იყო შეექმნა ცხოვრება, რომელიც კეთილსინდისიერ შრომასა და გარჯაზე იქნებოდა დამყარებული, მაგრამ მას განზრახულის შესრულება არ დასცალდა. იგი თავის ნაამბობში არა ერთგზის უბრუნდება ამ საკითხს და ყოველ ასეთ შემთხვევაში გლახას

განსაკუთრებით გულს უთუთქავს მწარე მოგონება, რომ მისი გაყაჩაღება მისგან დამოუკიდებელი მიზეზით მოხდა.

გაბრიელი შვიდი წლისა იყო, როდესაც ბატონის სახლში მიიყვანეს. იქ გაიზარდა და დავაჟკაცდა იგი. გაბრიელი ბავშვობიდან შეეზარდა ბატონის შვილს დათიკოს, რომელიც დაახლოებით მისი ასაკისა იყო. დათიკო და გაბრიელი ბავშვობიდან შეეჩვივნენ ერთმანეთს. გაბრიელი თავის იმდროინდელ დამოკიდებულებაზე დათიკოსთან თვითონვე მოგვითხრობს: „მე, სწორედ მოგახსენოთ, ძალიან შევიჩვიე ჩვენი პატარა ბატონი, იმანაც შემიჩვია, ასე რომ ბოლოს ეს შეჩვევა მე სიყვარულად გადამექცა“.

დათიკო და გაბრიელი ბავშვობიდანვე დაახლოებულნი იყვნენ. იმ დროს, როდესაც ბატონის შვილი თბილისს უნდა წამოეყვანათ სასწავლებელში მისაბარებლად, იგი მანამ არ გამოემგზავრა, სანამ გაბრიელი თან არ წამოიყვანა. თბილისში მათ ხუთი წელი ერთად გაატარეს ერთ პატარა ბინაში. იგულისხმება, რომ ამ დროის განმავლობაში ისინი კვლავ „მეგობრები“ არიან.

დიდი ბატონის გარდაცვალების შემდეგ დათიკო სოფელს დაუბრუნდა. ამ დროსაც მან გაბრიელს თავისი სახლ-კარის მოვლა ჩააბარა და უთხრა: „მეც მაცხოვრე და შენც იცხოვრეო“. ამის შემდეგაც კარგახნის განმავლობაში ისინი კვლავ „მეგობრებად“ რჩებიან. „ორ წელიწადში საქმე ისე მოეწყო, — მოგვითხრობს გაბრიელი, — რომ დათიკო კაი ოჯახის-შვილად ჩაითვლებოდა იმ ახლო-მახლო თავადის-შვილებში. ღვთის წინაშე უნდა სთქვას კაცმა, რომ დათიკოც პირშავად არ იყო ჩემთან, ტოლ-ამხანაგად მინახავდა და ძალიან მადლობელი იყო ჩემი“.

ასე რომ დათიკო და გაბრიელი ბავშვობიდან მოკიდებული დიდი ხნის განმავლობაში, შვიდიდან ოცდაერთი წლის ასაკამდე, ერთად იზრდებოდნენ და ისინი ურთერთს იმდენად შეეჩვივნენ, რომ თითქოს კიდეც შეუყვარდათ ერთმანეთი. მაგრამ გულთამხილავი მწერალი ადრევე მიგვანიშნებს, რომ დათიკოსა და გაბრიელის ეს „მეგობრობა“ და „სიყვარული“ მოჩვენებითია და უნიადაგო.

გაბრიელი თავისი თავგადასავლის დასაწყისშივე გვეუბნება, რომ ბატონსა და ყმას შორის ნამდვილი მეგობრობა და სიყვარული შეუძლებელია; ეს მხოლოდ სიზმარია, ოცნება მიუწვდომელი. გაბრიელი სინანულით იგონებს თავის გულუბრყვილობას, როცა მას დათიკოსთან დაახლოება ნამდვილი მეგობრობა და სიყვარული ეგონა. „დათიკოს ეუყვარდი და მეც მიყვარდა. მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომ ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება?

ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!.. ეს რომ მცოდნოდა, ღმერთსა ვფიცავ და ჩემი მამაპაპის სალოცავსა, გულში ნაღველს ჩავიწურავდი და იმის სიყვარულს კი აქ არ გავიტარებდი. მაშინ რა ციცოდი?“.

შესაძლებელია აღიძრას კითხვა: რისთვის დასჭირდა მწერალს, რა მიზანი ამოქმედებდა მას იმ დროს, როცა დათიკოსა და გაბრიელს შორის ამგვარ „მეგობრობას“ ხატავდა?

ჯერ ერთი. ეს „მეგობრობა“ მხატვრულობის თვალსაზრისით სრულიად დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ილიასათვის საზოგადოდ დამახასიათებელი უშუალობა, ბუნებრიობა და დამაჯერებლობა თხრობაში აქაც მეორდება. მკითხველში არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ასეთი „მეგობრობა და სიყვარული“ ახალგაზრდა ბატონსა და ყმას შორის შესაძლებელია ყოფილიყო. შემდგომ, რაც მთავარია, დათიკოსა და გაბროს შორის მოჩვენებითი „მეგობრობის“ ფონზე კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება ის წინააღმდეგობა და ბრძოლა, რომელიც მათ შორის მომდევნო პერიოდში გაიშლება. მკითხველს ბუნებრივად გამოჰყავს დასკვნა, რომ ბატონსა და ყმას შორის ნამდვილი მეგობრობა და სიყვარული შეუძლებელია ისეთი დაახლოების შემთხვევაშიც კი, როგორიც დათიკოსა და გაბრიელის ცხოვრებაში გვაქვს. ისეთი ერთგული სამსახურის დროსაც, როგორსაც გაბრიელი დათიკოს მიმართ ეწევა, ბატონი მაინც ბატონია — გულქვა და გაუტანელი.

დათიკოს, როგორც ავი მებატონის, პიროვნება აშკარად პირველად გამოჩნდება იმ დროს, როდესაც იგი სწავლას თავს ანებებს. თხზულების ამ ნაწილიდან მკითხველიც იოლად რწმუნდება, რომ დათიკოს მამის სიკვდილის შემდეგაც თბილისში დარჩენა და სწავლის გაგრძელება შეუძლია, თუკი იგი მოიწადინებს. მღვდელი, რომელმაც დათიკოს განზრახვა სასწავლებლისათვის თავის მინებებაზე გაბრიელისაგან გაიგო, იმავე დღეს ბატონის შვილთან ბინაზე მივიდა. როგორც ჩანს, მან დათიკოს ბევრი ურჩია, რომ სწავლისათვის თავი არ მიენებებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

მღვდელმა, რომელიც შთამაგონებელ გავლენას ახდენს უკლებლივ ყველაზე, ვისთანაც მას საქმე გაუჩნდება, დათიკოზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა. დათიკოს ეს საქციელი, რასაკვირველია, საინტერესო მასალას იძლევა მის დასახასიათებლად. აქ უკვე იგრძნობა დათიკოს პიროვნება როგორც რეგვენი მებატონისა, ხოლო შემდგომ მისი გულქვაობა მთელი სისრულით გამოჩნდება გაბრიელთან დამოკიდებულებაში.

დათიკოსა და გაბრიელის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახება შემ-

თხეევით არ მომხდარა. ეს ფაქტი დათიკოს, როგორც ავი მებატონის, უფლებამოსილებიდან ბუნებრივად გამომდინარეობს. „არ ვიშეტებდი, — სინანულით ამბობს გაბრიელი, — თორემ ადრევე იყო ჩემის ხელისაგან გასანიავებელი, ქვეყანა წამურტლა და აქამდისაც მიკვირს, რომ ამ მართლა-და მურტალს ქვეყანაზედ კაცი როგორ არ გამოჩნდა, რომ თოფი ეკრა და მიწასთან გაესწორებინა“.

საუსებით ბუნებრივად აღიძვრის კითხვა: რა არის ეს თვისება მებატონისა, რომელმაც „ქვეყანა წამურტლა“?

გაბრიელი გვიამბობს: დათიკო „ყველაფრით ძალიან ლამაზი და მოხდენილი იყო, მაგრამ ერთი ავი სენი სჭირდა, — და იმ სენმა ისე იმას არ ავნო, როგორც მე: ქალების მუსუსი იყო და ამისთანებში ნამუსგაქნილიცა. რაკი გულში ვისმე ქალის ფიქრს ჩაიდებდა. თავის გულის წადილისათვის არაფერს დაერიდებოდა, არაფერს არ ითაკილებდა, არაფერს და არავის დაზოგავდა: ყველაფერს და ყველას ხიდად გასდებდა დაუნდობლად და თვითონ გაიელიდა. მე მგონია ის უბედური თაეის ნათესავსაც არ დაინდობდა მაგისთანებში — ისეთი თავდაუჭერელი იყო, რაკი პირწყლიან გოგოს დაინახავდა. ბევრ გლეხის გოგოს მოუკლა იმან ნამუსი, ბევრს კაი ოჯახის-შვილს თავზედ ლაფი დაასხა“.

დათიკოს ავხორცობა იქამდისაა მისული, რომ ამის გამო მისი მოკვლა რახანია შესაძლებელია, მაგრამ თავხედ მებატონეს ამგვარი ზნედაცემულობა გაუდის მანამ, სანამ მის წინაშე გაბრიელის ვაჟკაცური ფიგურა არ აღიმართება.

გაბრიელს შეუყვარდება ყმა გლეხის ქალიშვილი თამრო. მისი სიყვარული ცალმხრივი არაა. გაბრიელი გულით შეიყვარა აგრეთვე თამრომაც. ქალ-ვაჟის სიყვარული თამროს მამამ გაიგო და ისიც კმაყოფილებით შეხვდა მათ რომანს. ისინი, სამივენი ერთად, ემზადებიან იმისათვის, რათა თამრომ და გაბრიელმა ოჯახი შექმნან და ნორმალური ადამიანური ცხოვრება მოაწყონ. სწორედ ამ დროს თამრო თვალში მოუვა დათიკოს, რომელიც მას საყდარში შემთხვევით დაინახავს.

დათიკო უტიფრად მიმართავს პეპიას, რომ მას „კაი საპროშტნავი“ ქალიშვილი ჰყოლია. გლეხმა იცის რასაც ნიშნავს ბატონისაგან ქალიშვილის მოწონება. „მომკვდარიყო საწყალი პეპია, რომ გაეგო, რომ იმისი ქალი ბატონს მოეწონა. კარგად იცოდა, რაც იყო ბატონის მოწონება და რასაც მოასწავებდა“. დიახ, გლეხმა კარგად იცის, რომ მის ქალიშვილს დათიკოსაგან მოწონება უბრალოდ არ ჩაუვლის. პეპიას, როგორც ერთადერთი ქალიშვილის მამას, სწორედ ეს საფრთხე აშინებს.

თავის მხრივ გაბრიელმაც გაიგო დათიკოსაგან თამროს მოწონება; გაიგო და თავზარი დაეცა, რადგან მან უკვე იცის, რომ დათიკო „თავის ნათესავსაც არ დაინდობდა მაგისთანაებში“. გაბრიელმა საჭირო ღონისძიებანი მიიღო და საქმე ისე მოაწყო, რომ დათიკომ ვერას გზით თამროს ხელში ჩაგდება ვერ შეძლო.

ნაწარმოებში დამაჯერებლადაა გადმოცემული ბატონსა და ყმას შორის ნამდვილად არსებული წინააღმდეგობის თანდათანობით გამომჟღავნება. გაბრიელი საკუთარი კაცობის ნამუსს იცავს და თავის საცოლეს ბატონს ხელში არ უგდებს. დათიკო, რომელმაც იცის, რომ გაბრიელის მიზეზით თავისი „ჟინიანი და მურტალი წადილი“ ვერ შეუსრულებია, უფრო და უფრო ბოროტი ხდება. გლახა გვიამბობს: „გადიოდნენ დღენი და ღამენი. მე თვალგაფაცებით გულისყურს ვადევნებდი დათიკოს და გოგოს. მე ვატყობდი, რომ რამდენიც მეტი ხანი გადიოდა, იმდენად დათიკომ ჩემზედ გული შეიცვალა. ორ მტერსავით ერთმანეთს ველოდით, — აბა წინ ვინ დაიწყებს ომსო“.

დიახ, გაბრიელმა კარგად იცის, რომ დათიკო თავისი მურტალი წადილის შეუსრულებლობის გამო გააფთრებულია; რომ მათ შორის აშკარა შეტაკება მოახლოებულია, მაგრამ იგი მაინც ცდილობს საქმე სისხლისღვრამდე არ მიიყვანოს. ეს უბრალო გარემოება როდია. გაბრიელი მთელი მონდომებით ცდილობს საქმე ისე მოაგვაროს, რომ კაცის სისხლში ხელი არ გაიბანოს. ამ მიზნით იგი აწყობს გეგმას, რომ დათიკოს დრო შეურჩიოს, სთხოვოს, შეევედროს, შთააგონოს და თამროზე ხელი აღებინოს. როდესაც ვაკვირდებით გაბრიელის კეთილშობილურ სამზადისს, ამ ფონზე უფრო მკაფიოდ მოჩანს დათიკოს, როგორც მებატონის, გაუტანელი ხასიათი.

მოქმედების განვითარებაში მკითხველისათვის ცნობილი ხდება დათიკოს მორიგი ვერაგობა. იმ დროს, როდესაც გაბრიელი მშვიდობიანი მორიგებისათვის ემზადებოდა, დათიკო, თურმე, ეგეგეს აწყობდა, რომ გაბრიელი ხაფანგში გაება და გზიდან ჩამოეშორებინა. ერთ დღეს დათიკომ თვითონ დაიბარა იგი და დამცინავი საუბრით თანდათანობით ბრძოლაში გამოიწვია.

„— ყური დამიგდე. შენ რაღაც ნაღველი გაქვს და მე მიმალავ.

„— იქნება.

„— არა, თუ ღმერთი გწამს.

„— მართალს მოგახსენებ.

„— მოდი, მითხარ, — რა ნაღველი გაქვს“.

გაბრიელი მოტყუედა: მას ეგონა, რომ იშოვა დრო ბატონისათ-

ვის ეთხოვა ის, რაც თვითონ ეწადა. სთხოვა კიდეც, მაგრამ პასუხი?.. სწორედ ამ პასუხით დაინთო დათიკოსა და გაბრიელს შორის უკვე აშკარა ბრძოლის პირველი ცეცხლი. ბატონმა გულგრილად უპასუხა ყმას: „მე არ გიშლი, დაიწერე ჯვარი. მზითევი და შენი დაბინავება ჩემი კისერი იყოს“.

ავი მებატონე ყმას მზითევსა და დაბინავებას ჰპირდება. გაბრიელმა, რა თქმა უნდა, კარგად იცის, რასაც ნიშნავს ბატონის ეს „წყალობა“. მაგრამ იგი მაინც ეკითხება დათიკოს: „შენ რა შუაში ხარ, რომ მზითევს მპირდები?“

ნამუსგარეცხილი თავადი გლეხის ამ კითხვას პირდაპირ და არაორაზროვნად უპასუხებს: „ქალი ჩემია და მზითევსაც იმიტომ გპირდები, რომ ჯერ ჩემი იქნება“.

დათიკოს პასუხი სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ გაბრიელს იგი მაშინვე აეხანჯლა, მაგრამ გლეხი, რომელიც ადამიანის სისხლს ერიდება, კვლავ ცდილობს თავადიშვილის გული მოალბოს. გაბრიელი ისევ ევედრება დათიკოს, რომ თამრო დათმოს, მას აჩუქოს, მაგრამ ბატონი კვლავ გულგრილად უპასუხებს: „მერე შენ გაჩუქებ“. ამ პასუხით ყმის მოთმინებაც ამოიწურება: „მერე და არა ახლა?.. ფუ, მაგ ნამუსს და მაგ კაცობას!..“ შესძახებს გაბრიელი და ხელხანჯლიანი მის მოსაკლავად გაექანება, მაგრამ სწორედ ამ წუთებში დათიკოს მიერ მოწყობილი ხაფანგიც ამოქმედდება: მეორე ოთახიდან ბატონის მიერ წინასწარ მომზადებული ბიჭები გამოცვივდებიან და გაბრიელს შეიპყრობენ.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დათიკოს ვერაგულ საქციელს მხარს უჭერს და ამაგრებს მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლება. უდანაშაულო გაბრიელი და პეპია თითქმის სამი წლის განმავლობაში საპატიმროში იტანჯებოდნენ. ბოლოს უსამართლო მოსამართლემ სცნო, რომ ისინი ერთად ბატონის მოკვლის გეგმებს აწყობდნენ და ამის გამო მათ გაციმბირება მიუსაჯა.

დათიკომ იმის შემდეგ, რაც გაბრიელი და პეპია გზიდან ჩამოიშორა, თავისი წადილი აისრულა. ბატონყმურმა უფლებიანობამ დათიკოს პიროვნებაში ადამიანური კეთილშობილების ნაცვლად მხეცური ინსტინქტები განავითარა. მისი აზრით „ქალი ჟინის საკლავად არის კარგი და არა ზურგზედ ასაკიდებლად“.

დათიკომ თავის ავხორცობას ამსხვერპლა სამი უდანაშაულო ადამიანი და მათ შორის გაბრიელი, რომელთანაც იგი ბავშვობიდან თანშეზრდილი იყო. ბატონის გულქვაობისა და ვერაგობის ამგვარი დახატვით მწერალი უფრო მკაფიოდ გვაგრძნობინებს ყმა გლეხის ბრძოლის სამართლიანობას. როდესაც ვიცნობთ გაბრიელის პიროვ-

ნებას, მის წინდახედულ საქციელს ყველგან და ყველაფერში; ვიცით აგრეთვე, რომ იგი ჯანღონითაც თავის ტოლს არ დაუვარდება, არის ადამიანურად თავმოყვარე, თავმომწონე და შეუდრეკელი ახალგაზრდა, — ჩვენში ბუნებრივად აღიძვრის კითხვა: ნუთუ ყმა ბოლომდე ასე მომთმენი დარჩება?

ამ კითხვას უკვე მწერლის მხატვრულ ოსტატობასთან მივყავართ. დათიკოსა და გაბრიელის მოჩვენებითი „მეგობრობით“ ერთ პერიოდში და გაბრიელის ხანგრძლივი მოთმინებით შემდგომ ურთიერთობაში კიდევ უფრო მკვეთრად გამოვლინებულია ბატონის ნამდვილი შინაგანი ბუნება. დათიკოს გულქვაობა და ვერაგობა საფუძველს ამზადებს იმისათვის, რომ მკითხველმა გაბრიელი კიდევ უფრო შეიყვაროს იმ დროს, როდესაც იგი რეგვენი მებატონის სულთამხუთავად მოგვევლინება.

იმ მომენტში, როდესაც მკითხველმა იცის, რომ ისინი ცალ-ცალკე თავისებურად, ერთმანეთისაგან განსხვავებული განზრახვით ემზადებოდნენ, დათიკომ, გაბრიელი თავისთან იხმო, ბრძოლა ნამდვილად დაიწყო და გაბრიელი უკვე შეიპყრეს. იქმნება ერთგვარი ეჭვი, რომ იგი საბოლოოდ განწირულია. ამგვარ ეჭვს აძლიერებს გლახა მიერ ადრევე ნათქვამი სიტყვები, რომელშიც იგი სინანულით აღნიშნავდა, რომ „გიტო ვერაფერს გახდა, სალაპარაკოდაც არ შევახედრეთ მე და პეპიამ თამრო. ამან უფრო გააფრთხა დათიკოს ჟინიანი და მურტალი წადილი. აშკარაა, ამის მიზეზი მე ვეგონებოდი, ამიტომაც მე დათიკომ ხაფანგი დამიგო და ქვეშ მომიმწყვდია“.

გასაგებია, რომ ეს ხაფანგი იყო დათიკოსაგან გაბრიელის გამოძახება, მისი გამომწვევი საუბარი და გაბრიელის დაპატიმრება. მკითხველს ერთგვარად გული წყდება როდესაც ხედავს, რომ გაბრიელმა ხანჯალი იძრო, ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ ბატონი მაინც ვერ მოკლა. ნუთუ ასე უნდა დამთავრდეს გაბრიელის ვაჟკაცობა?! — ფიქრობს გულდაწყვეტილი მკითხველი, მაგრამ იქვე გაისმის ხელებგაკრული გაბრიელის სიტყვები დათიკოს მიმართ: „მაინც კიდევ გზას გიპოვი და შენს უნამუსობას ქათამსავით ზედ წაგაკლავ!..“

გაბრიელის მუქარა დათიკოსადმი მკითხველს კვლავ ნაწარმოებს მიაჯაჭვავს და იგი შეუნელებელი ინტერესით მისდევს მოვლენათა შემდგომ განვითარებას. ცხადია, გაბრიელის ცხოვრებაში იმაზე მეტი და იმის უარესი, რაც უკვე მოხდა, ნაკლებ მოსალოდნელია. ახლა მკითხველის ინტერესი მეტწილად დათიკოსკენაა. დაისჯება თუ არა მისი ნამუსგაქნილობა, რომელმაც ქვეყანა წამურტ-

ლა? რითი დამთავრდება გაბრიელის მუქარა, რომ ავხორცი მებატონე თავის უნამუსობას ქათამსავით ზედ წააკლას? — ამ ძირითად კითხვებს ემსახურება მთელი ისტორია, რომელიც თხზულების მომდევნო თავებშია მოცემული. ასეთებია გაბრიელისა და პეპიას განთავისუფლება პატიმრობიდან, პეპიას გარდაცვალება გზაში, გაბრიელის უკანასკნელი შეხვედრა თამროსთან და მისი გაყაჩაღება.

გაბრიელის სახელი ჩქარა დაიქუხებს, როგორც ყაჩაღისა. იგი მძარცველი არაა. მართალია, ოთხი თვის განმავლობაში, ე. ი. მთელი თავისი ყაჩაღობის მანძილზე მან შვიდი თუ რვა კაცი გაძარცვა კიდეც, მაგრამ მაინც ყაჩაღი და მძარცველი არაა. თვითონ გაბრიელი გულწრფელად მოგვითხრობს თავის მდგომარეობასა და ადამიანურ განცდებზე იმ პერიოდში, როდესაც იგი ასეთ ცხოვრებას ეწეოდა:

„გამივარდა ყაჩაღობის ხმა და დაიწყეს ჩემი დევნა. დაიწყეს ჩემში სახელით ძარცვა და ავაზაკობა იმ არე-მარეში. კაცის-კვლაც სამჯერ მოხდა, მაგრამ მე ამა ყველაფერში უბრალო ვარ, თუმცა ყველაფერს მე მაბრალებდნენ და მართლა ავაზაკნი კი ამით თავს იმალავდნენ... ვერ მიჰხვდნენ, რომ გაბრო თავისთვის არის და აქაც და იქაც სულ სხვა-და-სხვანი ავაზაკობენ იმის სახელითა“[1].

ნაწარმოებში მკითხველის სიმპათია ყოველთვის გაბრიელისაკენაა, მაგრამ მისდამი მხარდაჭერის გრძნობა კიდევ უფრო იზრდება, როდესაც გვესმის მისი გულითადი აღსარება, რომ ყაჩაღობა მისი ხელობა არასოდეს არ ყოფილა; რომ კაცის კვლას და ძარცვა-გლეჯას მისი ადამიანური ბუნება ვერასოდეს ვერ შეთვისებია. „როცა უილაჯობით კაცს ვძარცვავდი, — მოგვითხრობს გაბრიელი, — ერთს ვაი-ვაგლახს გამოვიკლიდი ხოლმე ჩემ თავად და ჩემს თავს მევე ვძრახავდი. ვერ დაემორჩილა ჩემი გული ავკაცობასა, თუმცა ბევრი ავკაცობა ვქენი“.

დაბოლოს, მკითხველის ფსიქიკაზე განსაკუთრებით მოქმედებს ის გარემოება, რომ გაბრიელი ცხოვრების ძნელ გზაზე თავის გულმართალ ადამიანურ თვისებებს ყოველთვის ინარჩუნებდა. იგი თავისდაუნებურად ჩადენილი მძარცველობის დროსაც ყველას ეუბნებოდა თავის ვინაობას, რათა მისი სახელი „დათიკომდინ მისულიყო, გაფრთხილებულიყო და ყოველთვის მზად ყოფილიყო“.

დამახასიათებელია გაბრიელის მდგომარეობა იმ მომენტში, როცა იგი დათიკოს მოკვლაზე პეპიასადმი მიცემულ ფიცს იხსენებს. იგი ამბობს: „კაცის-კვლის ფიცი იყო! ტანში შემაჟრჟოლა და

[1] ილია ჭავჭავაძე, გლახის ნაამბობი, თავი XI.

ფერი მეცვალა. ბედმა იქამდინაც მიმიყვანა-მეთქი, — ვამბობდი გულში, — რომ კაციც უნდა მომაკვლევინოს. დაილოცა, ღმერთო, შენი საშართალი!.. მე, გაბრიელს, კაცის-მკვლელის ცოდვა უნდა დამდებოდა?! მე კაცის სისხლში უნდა გამესვარა ხელი?!"[1].

გაბრიელის ყაჩაღობას ერთადერთი მიზანი აქვს. მას სწადია დათიკოს პირადად შეხვდეს და გაუსწორდეს. უფლება არა გვაქვს მხედველობიდან გამოვუშვათ ის გარემოება, რომ მას ბევრჯერ შეეძლო დათიკოს მოკვლა მიპარვით, მაგრამ მან ეს არ ჩაიდინა. გაბრიელის ვაჟკაცურ თვისებაზე ბეერის მთქმელია მისი გულწრფელი აღსარება: „ქურდულად ბევრჯერ შემეძლო იმისი მოკვლა, მაგრამ რა კაცობა იქნებოდა? ისიც ძალიან ვაჟკაცი იყო და მინდოდა ერთმანეთს პირდაპირ შევყროდით, რომ ან მოვეკალი და ან მე მომეკლა".

განკითხვის მომენტიც დადგა.

ერთ დღეს დათიკო გამოჩნდა გზაზე, რომელიც სწორედ იმ ტყის პირას გადიოდა, სადაც გაბრიელი იყო ჩასაფრებული. გაბრიელმა იგი ხიდან დაინახა; წამსვე ცხენს მოახტა და შესახვედრად მოემზადა. ცხენზე მჯდომი დათიკო უდარდელად ღიღინებდა. გაბრიელს განსაკუთრებით ის გაეხარდა, რომ მოწინააღმდეგე კარგად იყო შეიარაღებული. გლახა სევდანარევი კმაყოფილებით იგონებს იმდროინდელ ვაჟკაცურ შერკინებას დათიკოსთან: „შევხედე და სრულად იყო იარაღით მოკაზმული, სჩანს, ჩემი ფიქრი ჰქონია-შეთქი, — ვიფიქრე გულში, — რომ ეგრე გამართულია".

გაბრიელმა ცხენი პირდაპირ დათიკოსაკენ გააქანა. „თუ ვაჟკაცი ხარ გამომაგრდი!" — შესძახა მან მოწინააღმდეგეს. დათიკო არ დაბნეულა, ეს თავდასხმა მოულოდნელი არც მისთვის ყოფილა; იმანაც გაბრიელის შეძახილს აგრეთვე გულადად უპასუხა, სასწრაფოდ მხრიდან გადმოიღო ორლულიანი თოფი და თვალის დახამხამებაზე ორივე ლულიდან ერთდროულად დაახალა. გაბრიელი მხოლოდ სწრაფმა მოქმედებამ იხსნა: მან დათიკოს თოფს ხელი აჰკრა და ტყვიამ თავზე ზუზუნით გადაუარა. თავის მხრივ გაბრიელმაც არ დააყოვნა და მებატონეს დამბაჩა მარცხენა ძუძუში დასცა, რათა მისი გული ნაფლეთებად ექცია.

დათიკოს უკანასკნელი ცდაც უშედეგო აღმოჩნდა: მის მიერ მოქნეულმა ხმალმა მოწინააღმდეგეს მხოლოდ ცხენი მოუკლა და კაცს კი ერთი ნიშანიც ვერ დაჰსვა. ეს უბრალო გარემოება როდია. ბატონის და ყმის შერკინების ამგვარი დასასრული დათიკოს

[1] ილია ჭავჭავაძე, გლახის ნაამბობი, თავი XI.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს უწსმავს. იგი გულისტკივილით მიმართავს თავის მძლეველს: „წადი, შვილო! სახელად ჩემი სიკვდილიც გეყოფა. დღეს ჩემი დღე არ იყო; რასაც ვესროლე, ავცდინე, ვაი, რა ცუდად მოვკვდი?! ფუ ჩემს კაცობას! ნიშანიც ვერ დაგასვი“.

გაბრიელმა ამ წუთებში მოაგონა დათიკოს, რომ იგი მის უნამუსობას წააკლა. ამით მკითხველის წინაშე უკვე იხსნება კვანძი იმ მუქარისა, რომელიც სამი წლის წინათ დათიკოს მიმართ იყო თქმული. ეს ერთი. მეორე — იმავე მომენტში, სიკვდილის წინა წუთებში დათიკო თითონვე აფასებს თავის ვერაგობას საერთოდ. იგი ამბობს, რომ მას ბევრი ავი საქმე გაუკეთებია და მისი ცუდად წახდენა იმაში უნდა გაებაროს. დიახ, მხოლოდ საკუთარ ავ საქმეებს გულისხმობს იგი, როდესაც სანთელ-საკმეველისაგან გზის დაუკარგაობაზე ლაპარაკობს. შეუძლებელია სხვარიგად გავიგოთ დათიკოს შემდეგი მიმართვა გაბრიელისადმი:

„ალალი იყო შენზედ ჩემი სისხლი, -კაი ვაჟკაცი ჰყოფილხარ. შეც ბევრი რამ ცუდი მიქნია, არა უშავს რა, — ჩემი ასე ცუდად წახდენა იმაში გამებაროს. აი, დედასა!.. რა ცუდად შეგხვდი!.. მაინც შენის ხელით მოვკვდი! გახსოვს, მაშინ რომ გითხარი: სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს მეთქი, აკი არც დაკარგა“.

დათიკოს ავმა საქმეებმა გზა არ დაკარგეს. მან ამ საქმეების შედეგად ცუდად წახდენა მიიღო. იგი ისე მოკვდა, რომ მოწინააღმდეგეს უბრალო ნიშანიც ვერ დაასვა. ამაშია სანთელ-საკმევილისაგან გზის დაუკარგაობა. ამ გაგების საწინააღმდეგო მტკიცებისათვის ვერ გამოდგება დათიკოსა და გაბრიელის დიალოგი, რომელიც დათიკოს ზემომოტანილ სიტყვებს მოსდევს:

„ — შენ იყავ მყინვართან რომ დაგვიხსენი?

„ — მე ვიყავ თუ არა — შენ რა?

„ — რისთვის დაგვიხსენი?

„ — ვერა ჰხედავ? აი, ამ დღისათვის“.

დათიკო ამ შემთხვევაში საქმეებით სამართლიანად მსჯელობს. რა თქმა უნდა, საქმისათვის სულერთი იქნებოდა გაბრიელი ვისაც უნდა გაეთავისუფლებინა. ამიტომაა, რომ დათიკო სრულიადაც არ ამადლის მას და მოგონებას შესაძლებელია უფრო ის გამართლება ჰქონდეს, რომ ამ გზით პეპიას გარშემო საუბარზე გადასვლა უფრო ბუნებრივად ხდება. მართლაც პეპიას ხსენება უშუალოდ არის დაკავშირებული ამ მოგონებასთან. პეპიას ხსენებასთან ერთი საინტერესო მოვლენაც იჩენს თავს. დათიკო იგებს, რომ პეპიაც ისევე

უზიარებლად მომკვდარა, როგორც ახლა თვითონ კვდება. მან აქაც რაღაც საერთო ხვედრი დაინახა და „ეგეც ბარიბარში“ ჩათვალა. ეს გარემოებაც იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ სანთელ-საკმეველის გზის დაუკარგაობაში მხოლოდ და მხოლოდ დათიკოს ავი საქმეები და მისივე ცხოვრების დასასრული, მისი ცუდად წახდენა და უზიარებლად სიკვდილი იგულისხმება.

ასე მთავრდება ბატონისა და ყმის ურთიერთობა. გაბრიელი, რომელიც მთელი მონდომებით პატიოსანი შრომით ცხოვრებისათვის ემზადებოდა, ბატონის ვერაგობამ ყაჩაღობის გზაზე დააყენა. გაბრიელის ყაჩაღობას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა და ეს ერთი ის იყო, რომ თავისი კაცობის დამამცირებლისათვის სამაგიერო მიეზღო.

შეუძლებელია გულგრილნი ვიყოთ იმ ფაქტის მიმართ, რომ დათიკოს მოკვლასთან ერთად გაბრიელის ყაჩაღობაც მთავრდება. იმ დროს, როდესაც იგი მდინარეს გადადიოდა, მთელი იარაღი წყალში გადაყარა, ნაყაჩაღარ ცხენს თავში დამბაჩის ტყვია დასცა და ისიც წყალს გაატანა. ამით გაბრიელმა საბოლოოდ უარი თქვა ყაჩაღობაზე და მოჯამაგირის მდგომარეობაში გადასული თავს იფარავდა ოფიციალური ხელისუფლებისაგან.

გაბრიელს, როგორც ბატონის მკვლელს, დიდხანს დასაჭერად დასდევდნენ. ერთ პერიოდში მთავრობა წმინდა გიორგის ჯვარსაც ჰპირდებოდა იმას, ვინც გაბრიელს ან ცოცხლად შეიპყრობდა, ან მკვდარს მიიტანდა. დრო გავიდა და ახლა იგი ცხოვრებისაგან ჯანგატეხილი, დავრდომილი, გლახაკის ტანსაცმელში გახვეული, გამცლელ-გამომცლელისაგან მიწოდებული ლუკმაპურით ცხოვრობს. კიდევ ცოტა ხანი და ერთ დროს ლამაზი, მხნე და ჭკვიანი, ნორმალური ცხოვრებისათვის მოწოდებული ადამიანი, თავის მძიმე თავგადასავლის მოთხრობის შემდეგ, მეგობარსა და თავისიანს მოკლებული, უზიარებლად კვდება.

* * *

ბატონყმური ურთიერთობის ასახვის თვალსაზრისით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია, ადამიანი“. თუ „კაკო ყაჩაღსა“ და „გლახის ნაამბობში“ დაბატულია მოწინააღმდეგე ბანაკები და მათ შორის სისხლიანი ბრძოლის სურათები, ამ ნაწარმოებში გადმოცემულია ერთი ტიპური მებატონის ცხოვრების ისტორია. როგორც „კაკო ყაჩაღსა“ და „გლახის ნაამბობში“, ისე აქაც მწერალს ის მიზანი ამოქმედებს, რომ მზის სინათლეზე გამოიტა-

ნოს ბატონყმური ურთიერთობის სიავე და ცხადყოს მისი მოსპობის აუცილებლობა.

„კაცია, ადამიანის“ მთავარი პერსონაჟი არსებითად განსხვავდება „კაკო ყაჩაღსა“ და „გლახის ნაამბობში“ გამოყვანილი მებატონეებისაგან. ზაქროსა და გაბრიელის მებატონეები მკითხველის შეხსიერებაში ღიბეჭდებიან როგორც თანამიმდევრულად ბოროტი, ვერაგი და გაუტანელი არსებანი, რომელთაც ძალუძთ საკუთარ პატივმოყვარეობასა და ავზნეობას ამსხვერპლონ ი.ეთი კეთილი ნების ადამიანები, როგორადაც ზაქროს მამა, პეპია და გაბრიელი წარმოგვიდგებიან.

რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია ამ მრისხანე და ვერაგი მებატონეების გვერდით დავაყენოთ ლუარსაბ თათქარიძე. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ თათქარიძე თვითონაც ბატონყმური ურთიერთობის თავისებური მსხვერპლია. შემთხვევითი არაა, რომ ილია ჭავჭავაძე თავისი ნაწარმოების მთავარ პერსონაჟს არაერთგზის იხსენიებს როგორც გულუბრყვილო და „უბოროტო ლუარსაბსა“.

„კაცია, ადამიანში“ არავითარ ბრძოლას ადგილი არა აქვს. არც თათქარიძეს არავინ ებრძვის და არც თათქარიძე არავისთან დაპირისპირებული არაა. თათქარიძეები თავიანთი ბედით სავსებით კმაყოფილნი არიან. ნაწარმოებში ლუარსაბი ჩვეულებრივად იხსენიება როგორც „ღვთისა და კაცის მადლიერი თავადი“. ეგევე აზრი თხზულების სხვა ნაწილებშიც მეორდება, მაგრამ ერთ შემთხვევაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ლუარსაბსა და დარეჯანს „თავიანთ ცხოვრებაზედ „მჯობნი“ ცხოვრება არ ეგონათ ქვეყანაზედა“.

ლუარსაბ თათქარიძეც თავისებურად ცდილობს თავისი უფლებების შენარჩუნებისათვის, მაგრამ იგი ასე იქცევა მხოლოდ იმ აზრით, რომ მას ბატონყმობა თვითონ ღმერთისაგან გაჩენილი ჰგონია. მას ისიც სჯერა, რომ თათქარიძეების გვარი მითიური ადამისა და ევას დროს უკვე არსებობდა.

ლუარსაბ თათქარიძე ბატონყმური ურთიერთობის მსხვერპლია. სწორედ ბატონყმურმა უფლებიანობამ იგი ადამიანობიდან ძირგავარდნილი ქვევრის მდგომარეობამდე დააქვეითა. თათქარიძე ბატონყმური ურთიერთობის წყალობით იმდენად შეზღუდული და გონებაგაუხსნელია, რომ ნაწარმოებში იგი არა ერთგზის იხსენიება როგორც სულელი. ასევე იხსენიება მისი ქალბატონი დარეჯანი.

თავისთავად იგულისხმება, რომ თათქარიძეთა ამგვარად დაქვე-

ითების მიზეზია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელშიც ისინი დაიბადნენ, აღიზარდნენ და ცხოვრობენ. „კაცია, ადამიანში“ ბატონყმური ურთიერთობის აუცილებელი მოსპობის ტენდენცია სავსებით ნათლად იგრძნობა ისევე როგორც „კაკო ყაჩაღში“ და „გლახის ნაამბობში“. ამ თხზულებაში ავტორისეული ტენდენცია თათქარიძეთა ცხოვრების ისტორიაში არის ჩაქსოვილი. თუ „კაკო ყაჩაღსა“ და „გლახის ნაამბობში“ ბატონყმობის მოსპობისათვის სისხლიანი ბრძოლის გზაა გამოყენებული, „კაცია-ადამიანში“ ავტორი იმავე იდეის განხორციელებას ერთგვარად განსხვავებული, შედარებით მშვიდობიანი გზით აღწევს.

ნაწარმოებში თხრობა იწყება ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარის აღწერით. ვეცნობით მას და თითქოს გვებრალება კიდეც ეს „გულშეუტკივრად თავმინებებული“ კარმიდამო. სწორედ ამიტომ მწერალი იჩქარის გაგვაგებინოს, რომ მისი პატრონი დიდგვაროვანი თავადია. ამის შემდეგ თხზულებაში წარმოდგენილია ცხოვრება იმ ადამიანებისა, რომელთაც ეს სახლ-კარი ეკუთვნის.

თავადი ლუარსაბი ორმოცი წლის კაცია, „კარგად ჩასუქებული“, მრგვალი, როგორც „კარგი ნასუქი კურატი“, თავი ისეთი მსხვილი აქვს „თითქოს იმის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო; წითელი, თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაშა ლოყები; სამკეცად ჩამოსული ტრფიალების ალმგზნები ფაფუკი ღაბაბი; დიდრონი თვალები — ყოველთვის დასისხლიანებული, თითქოს ყელში თოკი წაუჭერიათო!“ თათქარიძის გარეგნობას მთლიანად შეესატყვისება მისი სულიერი სამყარო. თავადიშვილი კიდეც ამაყობს იმით, რომ იგი უსწავლელია: „ეგ ეხლანდელი ჭირიაო: — იტყოდა ხოლმე გულმტკივნეულად, თითქოს ქვეყანა ამ ჭირისაგან ებრალებაო“.

ლუარსაბის „ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანია“ ქალბატონი დარუჯანი. დარეჯანისათვის დამახასიათებელია „იგივე სიმრგვალე, იგივე სიმსუქნე, იგივე ბოცინარი პირი და თითქმის იგივე სისულელე“, რაც ლუარსაბისათვის. ეს „ორი გვრიტი“ ცხოვრობს ტკბილად და უდარდელად. თათქარიძეების „უდარდელი და უზრუნველი“ ცხოვრების გადმოცემით მწერალს მზის სინათლეზე გამოაქვს ბატონყმური ურთიერთობის მთელი სიმახინჯე.

თათქარიძეების ადამიანური შეგნება იმდენად დაქვეითებულია, რომ მათი მთელი ფიქრი მხოლოდ სმა-ჭამაზეა გადასული. მათი ოცნება ამ საგანს ვერ გაშორებია, „ესეც ვახშამი, ღვთის მადლით, გადავაგორეთ, ეხლა ხვალინდელი დღისთვისაც ვიფიქროთ. ხვალაც ჭამა გვინდა, დალოცვილს ღმერთს ეგრე გაუჩენია კაცი. ხვალ რა-

ღა ეშამოთ?“ — მიმართავს ხოლმე ლუარსაბი თავის ქალბატონს. ცოლ-ქმარი ხშირად ხანგრძლივად კამათობენ იმაზე, თუ რომელი უფრო გემრიელია — ჩიხირთმა თუ ბოზბაში. დამახასიათებელია ის მომენტი, როდესაც ლუარსაბი ცოლის გულის მოსაგებად საალერსო სიტყვებს დაეძებს და უკეთესი ვერაფერი უპოვია გარდა იმისა, რომ მას „სულის წიწმატი“ და „გულის ტარხუნა“ უწოდოს.

ქმა-ჭამა ადამიანისათვის აუცილებელია, მაგრამ ჩვეულებრივად ადამიანები ჭამენ და სვამენ იმისათვის, რათა იცხოვრონ, ლუარსაბი კი პირიქით: იგი ცხოვრობს იმისათვის, რომ სვას და ჭამოს. „არა, — მიმართავს მწერალი ლუარსაბ თათქარიძეს, — შენ სცხოვრობ — რომ სვა და ჭამო, და არა იმისათვის სჭამ და სვამ — რომ იცხოვრო, ესე იგი ეცადო, რომ ვითა მამა ზეცის იყო შენც სრული“.

ლუარსაბის ცხოვრების დედააზრი სრულიად ნათელია. მაგრამ მწერალი ამას არ ჯერდება და მკითხველის თვალწინ შლის თათქარიძის ცხოვრების მთელ რიგ ეპიზოდებს, რათა ამ კაცის ცხოვრების შინაარსი სრულად გვაგრძნობინოს.

ბატონყმურმა ცხოვრებამ თათქარიძეები როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად გადააგვარა. საკმარისია, მოვიგონოთ სცენა ბუზების თვლისა, მათი მსჯელობა რუსთ ხელმწიფის ბაღში არსებული ზურმუხტისფოთლებიანი ხის გარშემო, მაშრიყ-მაღრიბის ხელმწიფისა და კუნძულელის ორასწლიანი ომის თაობაზე და სხვა ამგვარი „საქმიანი ბაასი“, რომ ამ ადამიანების გონებრივ ავლადიდებაზე ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ.

ლუარსაბის პიროვნებაში სასაცილოა არა მარტო მისი გონებრივი მდგომარეობა, არამედ ფიზიკურიც. სისულელემდე მისულ გონებრივ სიჩლუნგეს სავსებით შეეფერება მისი ფიზიკური სიმახინჯე. კაცი ტანსაცმელსაც ვერ იცვამს, რადგან იგი მას აწუხებს. ლუარსაბი იმდენად გადაგვარებულია, რომ მას უბრალო ადამიანური სიხარულის გამოხატვაც არ შეუძლია. იგი სიამოვნების გრძნობას სხვარიგად ვერ გამოხატავს, თუ გვერდზე არ გადატრიალდა. დარეჯანთან ერთი საუბრის დროს ტახტზე მწოლარე ლუარსაბი ერთიდან მეორე გვერდზე გადატრიალდა და „ეს გადატრიალება იმის ნიშანი იყო, რომ ლუარსაბს იამა რამე“[1].

ერთ დღეს სახლის მოაჯირზე გადმომდგარმა ლუარსაბმა სადილისათვის მზადების მდგომარეობა შეამოწმა. მოურავმა ბატონს უპასუხა, რომ სადილისათვის მოტანილია ძალიან კარგი ხორცი;

[1] ილია ჭავჭავაძე, კაცია, ადამიანი, თავი I.

ტარხუნა, კიტრი და სხვა მწვანილიც ბლომად არის. ლუარსაბს მოურავის პასუხი ესიამოვნა, მაგრამ ამ სიამოვნებასაც ხომ გამოხატვა უნდა? მწერალი ამის გამო ამბობს: „ლუარსაბს იამა. ტახტი რომ ყოფილიყო, ერთი ორჯერ მაინც გადატრიალ-გადმოტრიალდებოდა“ (თავი III). ისევ დარეჯანთან ერთი საუბრის დროს თათქარიძეს რაღაც იამა და ამ სიამოვნების გამოსახატავად „ურაა! — დაიყვირა ლუარსაბმა და, რადგანაც გულაღმა იწვა, თავისებურად ტახტზედ, ერთი ფეხიც იშვირა მაღლა და მანამ „ურა“ არ გაათავა, ფეხი არ ჩამოუღია“ (თავი XIII).

ასე გადაგვარებულია თავადი თათქარიძე, ბევრი ყმისა და დიდი მამულის მფლობელი. ამის შემდეგ რაღა საკვირველია, რომ ასე ულაზათოდ, თითქმის მახინჯებად გამოიყურებიან მისი ხელქვეითი ადამიანები. თათქარიძეების ოჯახში ლამაზისეული ჰქვია მოახლე გოგოს, რომლის პიროვნებაში ყველაფერია, გარდა სილამაზისა. ასევე „ლამაზად“ გამოიყურება ის ბიჭი, რომელიც ჰუჭყიან სამოვარს უბერავს, თანაც დროდადრო მის მახლობლად მწოლარე ძაღლს გადახედავს და მის ბედს შენატრის: „ნეტავი შენ, რომ ძაღლი ხარ! ნეტავი მეც ძაღლი ვყოფილიყავიო“.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ ლუარსაბ თათქარიძე ერთ-ერთი ტიპური ქართველი მებატონეა. მწერალი საგანგებოდ გვეუბნება, რომ თათქარიძეს „ჰყავს ოცი კარგად გაკეთებული კომლი კაცი, ასე რომ ათ ურმამდინ საბეგრო ებმებოდა. ცხვარი ბლომად და ასიოდეც ცხენი, რომელიც ყმაზედ ნაკლები არ არის განათლებულ მებატონისათვის. ეს სულიერი ქონება. ეხლა უსულო ჩამოვთვალოთ: ორი მოზრდილი ვენახი და ას-ორმოც-და-ათი დღის სახნავ-სათესი. ეს ქონება, ყმებიდან დაწყებული ცხენამდინა და მიწამდინა, იმის ხელში, — ვინც გამოყენება იცის, — კაი ლუკმა არის“[1].

ინტერესს მოკლებული არც ისაა, რომ თათქარიძეები თავიანთი მდგომარეობით სავსებით კმაყოფილნი არიან. ნაწარმოებში ვკითხულობთ, რომ ცოლ-ქმარს „თავიანთ ცხოვრებაზედ „მჯობი“ ცხოვრება არ ეგონათ ქვეყანაზედა. ესენი კმაყოფილნი იყვნენ: ვალი ამათ არ ემართათ და ვახში. დავა არავისთანა ჰქონდათ და დარაბა“.

თათქარიძეები თავიანთი შეძლებით და საერთო მდგომარეობით სრულიად კმაყოფილნი არიან. მათ რაც მოეპოვებათ, იმაზე მეტის მოთხოვნილებაც არა აქვთ. ისინი არავის არ ედავებიან, მაგრამ ეს კია, რაც აქვთ და რითაც ცხოვრობენ, იმის დათმობა,

[1] ილია ჭავჭავაძე, კაცია, ადამიანი, თავი II.

ხელიდან გაშვება არასგზით არ უნდათ. ამ გონებაშეზღუდულ ადამიანებს ბატონყმური ურთიერთობის შენარჩუნების გრძნობა მაინც ძლიერად აქვთ სისხლსა და ხორცში გამჯდარი.

ლუარსაბის თავზე მეხის ტეხად გაისმის მათ სოფლამდე მიღწეული ხმა ბატონყმობის მოსპობაზე. სტუმრად მისული ელისაბედი ცოლ-ქმარ თათქარიძეებს აგებინებს, რომ ამბობენ: „თავადიშვილებს ყმები ჩამოერთმევათო". ამის გაგონებაზეო, — მოგვითხრობს მწერალი: — „ვაი შენს ლუარსაბსა — წამოიძახა ფერწასულმა ლუარსაბმა, — ეგ რა სთქვი, რა? აკი მოგახსენეთ, ბატონებო, რომ წარღვნა უნდა მოვიდეს-მეთქი, აი, ღვთის წყრომა! სულ ჩვენისავე ცოდვებისაგან მოგვეელინა".

მართალია, აღელვებულ ლუარსაბს დარეჯანი ერთგვარად ამშვიდებს: ეს ამბავი სომხების ტერტერას თავიანთი კარაბადინიდან ამოუკითხავს და, მაშასადამე, დასაჯერებელიც არ არისო, მაგრამ ლუარსაბი მაინც საჭიროდ ხედავს ზომების მიღებას, რათა ეს უსიამოვნო ჭორი გლეხობაში არ გავრცელდეს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება თათქარიძის ცნობილი საუბარი მოურავ დათოსთან.

წარმოდგენის სისრულისათვის საუბრის ერთი ნაწილის გახსენება მაინც აუცილებელია. მოთხრობაში ვკითხულობთ:

„ — ყველგან არის დიდი და პატარაცა, ეხლა როგორ იქნება, რომ ჩვენში არ იყოს. ან რა დასაჯერია? — გააგრძელა ლუარსაბმა და ვერ გაიგო კი დათოს აზრი.

„ — ვისაც თავში ტვინი აქვს, აკი არ იჯერებს, შენი ჭირიმე, ვინც უტვინოა — ისინი მოგახსენებენ, რომ მართალიაო.

„ — როგორი მართალია? — დაატანა დარეჯანმა, — ხელმწიფისათვის ან ჩვენ რა დაგვიშავებია, რომ ყმები ჩამოგვერთოს, ან თქვენ რა შეგიმატებიათ, რომ გაგააზატონ. ეს როგორ ვერ მოიფიქრეთ?

„ — მითამ მოგახსენებენ, შენი ჭირიმე, ჭკვიან კაცებს დაუწერიათო, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო, ტყუილი უნდა იყოს.

„ — ტყუილია, მაშ რა არის? — დაიყვირა ლუარსაბმა, — აბა, რომელი ჭკვიანი კაცი იტყოდა მაგას, თუ არ იუდას კერძი?

„ — აი, მეხი კი დავაყარე იმისთანა ჭკვიანსა! — მიაყარა ქოქოლა დარეჯანმა.

„ — თუ ეგ მართალია, გარეჯელ მკითხავს იცი რა უთქვამს? — ჰკითხა ლუარსაბმა.

— „ არა, შენი ჭირიმე, რა მოგახსენოთ?

„ — ისა, რომ ტყუილიაო.

„ — აბა, იმისთანა გულთმისანს მოდი და ნუ დაუჯერებ, — დაუმატა დარეჯანმა.

„— მე ეგ ადრევე ვიცოდი, შენი ჭირიმე, რომ ტყუილია. აბა უბატონოდ რა ხეირი დაგვეყრება? უპატრონო საყდარსაო ეშმაკები დაეპატრონებიანო, გლეხები იტყვიან ხოლმე. ჩვენც ეგრე მოგვივა. ეხლა ამითი გვატყუებენ თავადებსაც და გლეხსაც, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო, თორემ რა დასაჯერია“[1].

მოტანილი ამონაწერი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმდენად, რამდენადაც ბატონყმური ურთიერთობის ყოფნა-არყოფნის საკითხი ყველაზე მეტად თხზულების სწორედ ამ ნაწილშია წარმოდგენილი. დიდი მწერლური ოსტატობით გადმოცემულ გმირთა საუბარში გამოხატულებას პოულობს თხზულების ავტორის დამოკიდებულება კონკრეტულად დასმული საკითხისადმი. საუბარში მთავარია შემდეგი:

ბატონსა და ქალბატონს განზრახული აქვთ, რომ ეს საუბარი თავიანთი მდგომარეობის განმტკიცებისათვის გამოიყენონ. ამ მიზნით ლუარსაბ თათქარიძე გლეხს უმტკიცებს, არწმუნებს, რომ ასეთი ურთიერთობის არსებობა აუცილებელია; ბატონყმური დიდ-პატარაობა ისევე ბუნებრივი და შეუცვლელია, როგორც ადამიანის ხელზე დიდი და პატარა თითების არსებობა.

ბატონის ამ საბუთს გლეხი დათო სრულიად მოფიქრებულად და აშკარა ეშმაკობით პასუხობს. იგი არაფერს ამბობს ბატონყმობაზე. დათო თავადიშვილისაგან დასმულ საჭირბოროტო კითხვებს შორიდან უვლის და ძალზე დაქვირვებულად პასუხობს. გლეხი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ იმაზე, რომ ადამიანის თითებს შორის არსებული დიდ-პატარაობა იმდენად ბუნებრივი და გონივრულია, რომ ეს განსხვავება მათ არსებობას ხელს არ უშლის. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ფიგურულად გამოთქმული აზრი, თითების ბუნებრივობასთან ერთად იმასაც გულისხმობს, რომ ბატონყმური დიდ-პატარაობა არაბუნებრივია და, მაშასადამე, იგი ადამიანთა ურთიერთობას ნამდვილად ხელს უშლის.

იგივე აზრი მეორდება დათოს მომდევნო პასუხებში თათქარიძეების მიმართ. როგორც ვნახეთ, დარეჯანის ერთი „ბრძნული“ საბუთის პასუხად ყმა პირდაპირ მიმართავს ქალბატონს: „მითამ მოგახსენებენ, შენი ჭირიმე, ჭკვიან კაცებს დაუწერიათო, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო, ტყუილი უნდა იყოს“.

შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ, რომ თათქარიძეების მოსაუბრე გლეხი სწორედ იმ ჭკვიანი კაცების მხარეზეა, რომელთაც დაუწერიათ ბატონყმობის მოსპობა ქვეყნისათვის კარგი იქნებაო.

---

[1] ილია ჭავჭავაძე, კაცია, ადამიანი, თავი IV.

დათოს პასუხებში სხვა აზრის ამოკითხვა შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, რომ მისი მთქმელი ერთი ვინმე გულუბრყვილო ადამიანი ყოფილიყო. ეს მით უფრო შეუძლებელია როდესაც ვიცით, რომ ამ სიტყვებს ამბობს გონებანათელი გლეხი, გაცილებით ჭკვიანი და ფხიზელი ადამიანი, ვიდრე მისი მოსაუბრე თავადიშვილები არიან. ნაწარმოებში არა ერთგზისაა მითითებული, რომ დათო საუბრობს „ეშმაკობით“, „ცბიერებით“ და „პირმოთნეობით“. ეს ეპითეტები მწერალს მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის აქვს გამოყენებული, რომ მათი საშუალებით გლეხის გონებრივი სიფხიზლე, თათქარიძეებთან მისი აშკარა უპირატესობა გვაგრძნობინოს.

დასასრულ, ამ საუბართან დაკავშირებით საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა გავლენა მოახდინა თათქარიძეების მოძღვრებამ ყმა დათოზე. ეს საკითხი მით უფრო საინტერესოა, რომ გულუბრყვილო თავადები თავიანთ წარმატებაში დარწმუნებულნი არიან. მათ სერიოზულად ჰგონიათ, რომ გლეხი დააჯერეს.

„არა, გული დააჯერა, რომ ტყუილია, — უთხრა დარეჯანმა, როცა დათო წავიდა.

„ — ჭკვიანი კაცია, დააჯერებდა, — უპასუხა ლუარსაბმა“.

მწერალმა ზემომოტანილი საუბრის საშუალებით მკითხველი უფრო ღრმად ჩაახედა თათქარიძეების გონებრივ სალაროში. საუბრის დასკვნით ნაწილში ავტორმა თავადიშვილებს ურთხელ კიდევ მწარედ დასცინა. მართალია, ძალზე მოკლედაა გამოთქმული, მაგრამ რაოდენ მწვავე და გამანადგურებელია ეს ფრაზა: „დათო წავიდა. ვინ იცის გულში როგორ ეცინებოდა ამ პირმოთნე ყმასა“.

ასეთია თათქარიძეებისა და გლეხის დათოს საუბრის ძირითადი აზრი, რომელიც ბატონყმობისადმი ჩვენი მწერლის დამოკიდებულებიდან, საზოგადოდ, მისი მსოფლმხედველობიდან ბუნებრივად გამომდინარეობს.

ლუარსაბისა და დარეჯანის ცხოვრებაზე მკითხველის წარმოდგენას ავსებს მათი ქორწინების ისტორია (თავები VI, VII, VIII). იგივე ისტორია საყურადღებოა საზოგადოდ იმდროინდელი ქართველი თავადაზნაურობის საერთო ყოფის გათვალისწინების თვალსაზრისით. სუტ-კნეინას, მოსე გძელაძისა და დავით თათქარიძის მდგომარეობა და საქმეები აშკარა მაჩვენებელია თავადაზნაურობის საერთო დაცემისა და დაქვეითებისა.

მოსე გძელაძე არავითარ საშუალებას არ ერიდება, აშკარა ფლიდობა-გაიძვერობიდან დაწყებული ფიზიკური ძალადობით დამთავრებული, რათა თავისი გონჯი ქალიშვილი ლუარსაბ თათ-

ქარიძეზე გაათხოვოს. სუტ-კნეინა ფულის შოვნის მიზნით სოფლიდან სოფელში, კარიდან კარზე დაეხეტება და მაჭანკლობს. დავით თათქარიძე ათ თუმნად ძმას ღალატობს. იგი, მოსე გძელაძისაგან ქრთამის მიღების შემდეგ, თვითონ ეხმარება გძელაძის მომხრეებს, რომლებიც ლუარსაბს დარეჯანზე ჯვარს სწერენ აშკარა ძალდატანებით.

მოსე გძელაძის, სუტ-კნეინასა და დავითის ამგვარი საქციელი, რა თქმა უნდა, მათივე წრის იმდროინდელი საერთო საზოგადოებრივი მდგომარეობითაა განპირობებული.

ლუარსაბ თათქარიძის უშინაარსო ცხოვრებისა და საზოგადოდ მისი ბედისადმი მწერლის დამოკიდებულების თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა თათქარიძეების ოჯახის უმემკვიდრეოდ გადაშენების ფაქტი. როგორც ვიცით, ლუარსაბისა და დარეჯანის ბედნიერებას ერთი უბედურებაც თან ახლავს. უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ შვილი არ უჩნდებათ. ნაწარმოებში ვკითხულობთ: „აი, ლუარსაბი ორმოცი წლისა და დარეჯანი ორმოცდა-ერთისა შესრულდა, რომ ღმერთმა მემკვიდრე არ უბოძათ“.

უშვილობის განცდა იმდენად მწვავე და უსიამოვნოა, რომ იგი თათქარიძეების უზრუნველ ცხოვრებას ყოველდღიურად შხამავს. ისინი ცხადად თუ სიზმრად ამ საგანზე ფიქრობენ, ბჭობენ, ათასგვარ გეგმებს აწყობენ და საბოლოოდ მაინც ხელმოცარულნი რჩებიან.

მწერლის მადლიანმა კალამმა ცოლ-ქმარი თათქარიძეები ბევრ სალოცავში და ბევრ მკითხავთან მიიყვანა, ათასგვარ ვაი-ვაგლახში გამოატარა, მაგრამ შვილი მაინც არ აღირსა და არა. ახალი თათქარიძე არ უნდა დაიბადოს, რომ ლუარსაბისა და დარეჯანის სიკვდილის შემდეგ მათი მსგავსი ცხოვრების გამგრძელებელი ქვეყანაზე აღარავინ იყოს. — ასეთია განაჩენი, რომელიც მწერალს თათქარიძეების მიმართ ადრევე აქვს გამოტანილი.

ნაწარმოებს დამაჯერებლობას მატებს ის გარემოება, რომ მწერალმა დარეჯანის გარდაცვალება, რაც არსებითად თათქარიძეების ოჯახის დასასრულის დასაწყისია, მაინცდამაინც მემკვიდრეზე ზრუნვას დაუკავშირა. უკანასკნელად კიდევ გამოჩნდა ერთი დედაკაცი, რომელმაც ქალბატონს უშვილობაზე მკურნალობა დაუწყო. მან „ერთი რაღაც წამალი მისცა, მთელი ორი კვირა ასმევდა და მესამე კვირას კი დარეჯანს ფეხები გააჭიმინა“.

დარეჯანის სიკვდილი ლუარსაბმა მწვავედ განიცადა. მან „თავისი ბედნიერება სულ დარეჯანთან დამარხა“. იგი დარდმა სრულიად შეცვალა, ერთი სიტყვით, ამ შემთხვევის შემდეგ „წახდა

კაკალი კაცი". ერთადერთი თვისება, რომელსაც ლუარსაბი ბოლომდე ინარჩუნებს, ეს არის ჭამის მადა. ეს შემთხვევითი ფაქტი არაა. ამ კაცმა მთელი სიცოცხლე სმა-ჭამაზე ფიქრსა და ზრუნვაში გაატარა. ეს იყო მისთვის მთავარი. იგივე ნიშანი თავის კაცობისა ლუარსაბს უკიდურესი მწუხარების დროსაც არ დაუკარგავს. ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივია ისიც, რომ მწერალმა ამ მემამულე თავადის სიკვდილიც ჭამას დაუკავშირა. თათქარიძე კუჭის ანთებისაგან გარდაიცვალა. ნაწარმოებში ვკითხულობთ, რომ ლუარსაბს „ფერცვალების დღეს, რაღაც ეშმაკად, ნათლიმამამ ნახევარი ლიტრი კალმახი მოართვა, ჯავრისაგან იმ კალმახს ლაზათიანად მიაძღა, მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაჰბარდა პატრონსა".

ასე მთავრდება თათქარიძეების ცხოვრება. მკითხველის წინაშე სავსებით ბუნებრივად აღიძვრის კითხვა: რა აზრი ჰქონდა ამ ადამიანთა ცხოვრებას? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხია მოსალოდნელი: თათქარიძეების არსებობა თავიდან ბოლომდე არარაობა იყო და ამის შემდეგაც „არაფერი გვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ".

ლუარსაბ თათქარიძის სიცოცხლე უაზრო, უშინაარსო და დაქვეითებული ყოფაა. ამიტომაც მწერალი მას უმოწყალოდ დასცინის და ამათრახებს. თხზულებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ ლუარსაბი ერთეული გამონაკლისი კი არაა, არამედ იგი ერთ-ერთი ტიპური წარმომადგენელია საზოგადოდ თავისდროინდელი ქართული პარაზიტული თავადაზნაურობისა.

ილიამ თათქარიძეების ცხოვრების მხატვრულ ტილოზე გადატანით ამხილა და სასტიკად გაამათრახა მთელი წრე კონსერვატიული თავადაზნაურობისა. მისი დამოკიდებულება ლუარსაბის სოციალური წრისადმი აშკარად კრიტიკულია, მაგრამ კრიტიკაც არის და კრიტიკაც. საჭიროა გაირკვეს მწერლისეული კრიტიკის ხასიათი? ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა საჭირო ხდება იმ მწერლური ხერხის გამო, რომელიც მწერალმა ამ თხზულებაში გამოიყენა.

მწერალმა „კაცია, ადამიანს" უპიგრაფად წაუმძღვარა ცნობილი ხალხური ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო". მოთხრობის შესავალ ნაწილში ილია ამ ანდაზის ერთგვარ კონკრეტიზაციას ახდენს და ამბობს: „ზოგი გულისტკივილს იმით იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმით, რომ ცუდს უწუნებს". ამ სიტყვების აზრს მწერალი ერთხელ კიდევ იმეორებს ნაწარმოების დასასრულში. თხზულების უკანასკნელ სტრიქონებში უკვე ვეცნობით ავტორის მიმართვას შესა-

ვალში დასახელებული მოყვრისადმი: „ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე — თუ გინდა — მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გეჭცევი, — სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?!“

მწერლის აზრი სავსებით გასაგებია. იგი თვითონვე გულღიად ამბობს, რომ მან ამ თხზულებით მოყვარეს უძრახა. აქვე ბუნებრივად აღიძვრის კითხვა: ვინ არის მოყვარე? ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოყვარე თათქარიძეები და მათი წრეა? არა, ასეთი დასკვნისათვის „კაცია, ადამიანი“ არავითარ საფუძველს არ იძლევა. თათქარიძეების უმოწყალო გაკიცხვით მწერალი პირში უძრახავს თავის მოყვარეს და უძრახავს ნამდვილად მოყვრული გრძნობით, მაგრამ მწერლის მოყვარე თათქარიძე არაა. მაშ ვინ არის მოყვარე, რომელსაც მწერალი პირში უძრახავს?

ყველა საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ მკითხველმა მწერლის მოყვარედ ქართველი ხალხი შეიცნოს. ჩვენი ავტორი თავის მშობლიურ ერს მოყვარულად უძრახავს მხოლოდ იმის გამო, რომ თათქარიძე და მისი ქალბატონი ამ ხალხის კალთაში დაბადებულნი და მისივე ძუძუთი გამოზრდილნი არიან. სწორედ ქართველი ერი იგულისხმება მუდამ და ყოველთვის, როდესაც ილია ჭავჭავაძე მოყვრის მისამართით ლაპარაკობს. იგი ხშირად მიმართავს მკითხველს ან ქართველს, მაგრამ ყველა ასეთ შემთხვევაში ივარაუდება ქართველი ერი მთლიანად. რომ მწერლის მოყვარეში მთლიანად ერი უნდა ვიგულისხმოთ, ნაწარმოების დასაწყისიდანვე იგრძნობა, ხოლო შემდეგ, მოქმედების განვითარებაში ესევე აზრი კიდევ უფრო მყარი ხდება.

ნაწარმოების უკანასკნელ თავში ლაპარაკია იმაზე, რომ ამ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ შესაძლებელია როგორც სიცილი, ისე ტირილი. სავსებით ბუნებრივად აღიძვრის კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს ქართველობა, მან იცინოს თუ იტიროს? დასმულ კითხვაზე პასუხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მწერლის მიმართვა იმავე მოყვარე მკითხველისადმი:

„სჩანს, შეიძლება, რომ ერთი და იგივე ამბავი სატირალიც იყოს და საცინარიცა, — ეს იმაზედ არის დამოკიდებული, როგორი აგებულებისა ხარ: თუ იმისთანა გონების ძალა გაქვს, რომ, რაც უნდა მწუხარე ჰეშმარიტება იყოს, გულდაგულ შეხვდები, და თუ იმისთანა გულიცა გაქვს, რომ უბედურს და გზა-კვალარეულს შეი-

ბრალებ, ამისთანა სასაცილო ამბავი უფრო ხშირად უნდა გატარებდეს შენა, თუ არა და იცინე, რამდენიც გენებოს. იცინე და თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზედ და მამიგონე ჭორი — შენ ხომ ჭორების ძოგონება გიყვარს — რომ მე ვითომც ქართველობას ვღალატობ, რადგანაც იმის სასაცილო ამბავს გიამბობ და არა ვმალავ ზოგიერთ გულმოკლე პატრიოტივით. ვიცი, რომ ჩვენდა საუბედუროდ, თქვენში მკითხველო, ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართალს სიტყვას გონება გაუსწოროს. ვიცი ეს და მაინც კიდევ პირში — როგორც მოყვარე — გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი გაზრდილან. გინდა მიწყინე, გინდა არა".

საგანგებო დაკვირვება არაა საჭირო, რომ ამ სიტყვებში მკითხველმა იგივე აზრი ამოიკითხოს, რაც გატარებულია სამოციან წლებში შექმნილ ილია ჭავჭავაძის მთელ რიგ თხზულებებში.

მოტანილი ამონაწერებიდან სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ მწერალს, მზის სინათლეზე გამოაქვს რა ქართველი ხალხის ცხოვრებაში არსებული საზოგადო ჭირი, მისი გამოსწორების საფუძველსაც იმავე ხალხის ულევეელ ძალაში ხედავს.

ილიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი აქაც არ შეჩერებულა და მომდევნო სტრიქონებში ერთხელ კიდევ მიმართა თავის მოყვარე ქართველს: „მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისათვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განწრახვა, დღესა თუ ხვალე„ შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ. ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს — რამოდენადაც შეძლება აქვს — შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე რა გაისწორო".

ლუარსაბ თათქარიძის ცხოვრების უმოწყალო კრიტიკით მწერალმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მთელს იმ სოციალურ წრეს, რომელსაც ეს კაცი ეკუთვნოდა. თათქარიძეების ცხოვრების გაცნობით მკითხველს ბუნებრივად გამოჰყავს დასკვნა ბატონყმური ურთიერთობის მოსპობის აუცილებლობაზე. სოციალური ინსტიტუტი, რომელმაც წარმოშვა ლუარსაბი და მისი მსგავსი ადამიანები, აუცილებლად უნდა მოისპოს. ეს არის ერთადერთი დასკვნა, რომელიც „კაცია ადამიანიდან" სავსებით ბუნებრივად გამომდინარეობს.

ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი"

1887 წლის 6 დეკემბრით არის დათარიღებული ქართული მხატვრული პროზის შესანიშნავი ქმნილება „ოთარაანთ ქვრივი". თხზულება, მწერლის თანამედროვეთა გადმოცემით, ილიას სულ რამდენიმე დღის განმავლობაში დაუწერია. ეს ფაქტი მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ მას წინ უსწრებდა ავტორის ხანგრძლივი სჯა-და ფიქრი იმ რთულ სოციალურ პრობლემებზე, რომელნიც ნაწარმოებშია მხატვრულად განზოგადებული. მწერალთან დაახლოებულმა ადამიანებმა ადრევე იცოდნენ, რომ იგი რაღაც საინტერესო თხზულებას წერდა. მართალია, მათ ჯერ კიდევ არ შეეძლოთ სცოდნოდათ თუ რა იქნებოდა იგი, „ოთარაანთ ქვრივი" თუ სხვა რაიმე, მაგრამ მათ მაინც იცოდნენ, რომ „კაცია, ადამიანის" ავტორი საზოგადოებას ახალ საინტერესო ნაწარმოებს ჰპირდებოდა.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არტურ ლაისტის მოგონება. ამ მოგონებაში გადმოცემული ილია ჭავჭავაძის სიტყვები არსებითი მნიშვნელობისაა „ოთარაანთ ქვრივის" გაგებისათვის. ლაისტი მოგვითხრობს:

„ჟინჟლიანი დღე იყო, როცა ილიასთან შევედი. იგი თავის კაბინეტში იჯდა და როცა ჩემთან საუბარს მორჩა ახალ გერმანულ წიგნების შესახებ, უცებ მითხრა: „საინტერესო იდეა მაქვს მოთხრობისათვის, მან უნდა გადაგვიშალოს ქართველ გლეხებისა და უკანასკნელ დროის ქართველ მემამულეთა ფსიქოლოგია". შემდეგ ილია თითქმის დაწვრილებით მომიყვა ახალი მოთხრობის ფაბულას, თანაც დასძინა, უფრო უკეთესად უნდა მოვიფიქროვო.

„მისი აზრი ძალიან მომეწონა. იგი თითქოს გაგრძელება იყო მისი აზრისა, „კაცია-ადამიანში" და „გლახის ნაამბობში" რომ გამოსთქვა. „ამ მოთხრობით თქვენ დაამტკიცებდით, რომ თქვენი იდეები ქართველ ერის ზნეობრივ სიმაღლისა მეტათ მწყობრად შიმდინარეობს-მეთქი".

„ჰო, პირველ მოთხრობებში მე ვიბრძოდი გლეხების ნივთიერ თავისუფლებისათვის. ამ მოთხრობაში კი მე მინდა გავლენა მოვახდინო მათს ზნეობრივ თავისუფლებაზე", — დასძინა ილიამ და ვრცლად შეეხო მაშინდელ ქართველი გლეხის ყოფა-ცხოვრებას, მის ზნეობის სისპეტაკეს და პატიოსნებასა.

„რაც უფრო ბევრს ლაპარაკობდა ილია, მით უფრო ტკბილი ხდებოდა მისი ნათქვამი. და ჩემთან ლაპარაკში მრავალგზის დაუ-

ყენებია ქართველი გლეხის ზნეობა ეგრეთ წოდებულ განათლებულ ერების ზნეობაზე მაღლა“[1].

ასეთია ერთი მნიშვნელოვანი ცნობა „ოთარაანთ ქვრივის“ შემოქმედებითი ისტორიიდან.

„ოთარაანთ ქვრივი“ გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა 1888 წლის დამდეგს. ამის შემდეგ გახდა იგი ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. მაგრამ მანამ, სანამ თხზულება საყოველთაოდ გასავრცელებლად დაიბეჭდებოდა, მან ერთგვარი წინასწარი შემოწმებაც გაიარა. ავტორმა იგი ხელნაწერის სახით წაიკითხა შინაურ შეკრებაზე, რომელიც დავით სარაჯიშვილის ბინაზე მოეწყო. შეკრების ერთ-ერთი მონაწილის იაკობ მანსვეტაშვილის გადმოცემით, „ოთარაანთ ქვრივის“ წაკითხვას როგორც „ივერიის“ თანამშრომლები, ისე სხვა მწერლები და საზოგადო მოღვაწეებიც ესწრებოდნენ.

თხზულების წაკითხვის შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. დამსწრეებმა ერთხმად აღიარეს „ოთარაანთ ქვრივის“, როგორც ხელოვნების ნაწარმოების, დიდი ღირსება, მისი ღრმა სოციალური შინაარსი და მხატვრული სრულყოფილობა.

დამახასიათებელია შეკრების ერთი მონაწილის განცხადება, რომელსაც ი. მანსვეტაშვილი გადმოგვცემს: „პირველად ხმა ამოიღო გრ. ვოლსკიმ და ასე სთქვა: მაგ მოთხრობას მე „ოთარაანთ ქვრივს“ კი არა, „ობოლ მარგალიტს“ დავარქმევდიო. ქვრივი, როგორც ტიპი, ჩამოსხმულია, გამოქანდაკებული. ენა ხომ ისეთია, რომ აქ ილიამ თვით ილიასაც კი გადაამეტა, გადააჭარბა. ერთი სიტყვით, მოთხრობა მხატვრობით, ფერადების სიუხვით, ნამდვილი ქართული მოსწრებული სიტყვა-პასუხით, მშვენიერია, შეუდარებელი“[2].

გრიგოლ ვოლსკის ეს სიტყვები, შესაძლებელია ითქვას, საერთოა შეკრების ყველა მონაწილისათვის. ამ შეფასების საწინააღმდეგო მოსაზრება მოსალოდნელი არ ყოფილა და არც არავის გამოუთქვამს. ეს ლიტერატურული შეკრებაც დ. სარაჯიშვილის ბინაზე ვახშმით დამთავრდა. თავის მხრივ ვახშამიც პოეტურ ატმოსფეროში ჩატარდა და იგი ინტერესს მოკლებული არაა „ოთარაანთ ქვრივთან“ დაკავშირებით.

იაკობ მანსვეტაშვილი ამის თაობაზე მოგვითხრობს: „შუაღამე გადასული იყო. პურადმა მასპინძელმა, დავით სარაჯიშვილმა, ყვე-

---

[1] არტურ ლაისტი, საქართველოს გული, 1923 წ., გვ. 50.

[2] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936 წ., გვ. 116

ლანი ვახშმად მიგვიწვია. შევედით დიდ სასადილო ოთახში, სადაც დიდებული სუფრა იყო გაშლილი. ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. მეტადრე ლაზათი დასდო სუფრას თამადამ, მოხუცმა რაფ. ერისთავმა, რომელიც განთქმული იყო, როგორც ჩვენი მწერლობის პატრიარქი და გლეხთა მგოსანი. რაფიელი იყო ამასთანავე ენაწყლიანი, ჰკუა-მახვილი, ოხუნჯი, ხოლო ამისი ოხუნჯობა იყო ნამდვილი ძველებური ქართული, დარბაისლური. ვის სადღეგრძელოსაც დაჰლევდა, უსათუოდ შესაფერ სახუმარო სიტყვასაც მიჰმართავდა, ხან ექსპრომტით ლექსსაც ჩააკერებდა"[1].

ბუნებრივია, რომ ვახშამზე დამსწრეთა ყურადღების ცენტრში „ოთარაანთ ქვრივის" ავტორი იდგა. ეჭვი არ არის, რომ იმ საღამოს მწერლის მისამართით ბევრი გულთბილი სიტყვა წარმოითქვა, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც რაფიელ ერისთავის მიმართვა იპყრობს. მგოსანმა ამ შემთხვევაშიც ილიას სადღეგრძელოში პატარა ექსპრომტი „ჩააკერა". რაფიელის სიტყვის მთელი შინაარსი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მკითხველს მაინც შეუძლია წარმოიდგინოს თუ რაოდენ გულთბილი უნდა ყოფილიყო ეს მიმართვა. ჩვენამდე მოღწეული სალექსო სტრიქონებიდან ნათლად იგრძნობა ის კმაყოფილება, რომელიც ქართული მწერლობის პატრიარქმა „ოთარაანთ ქვრივის" მოსმენით მიიღო. რაც მთავარია, რაფიელ ერისთავის თქმით, მოთხრობაში დახატული ქვრივის სახე იმდენად სრულყოფილია, რომ მისი შეყვარება შეიძლება. რაფიელმა ილიას ასე მიმართა:

დღევანდლამდის, ჰეშმარიტად, ქვრივი მე არ მყვარებია, ჩემი ტუჩი ქვრივის ტუჩებს, ვფიცავ არა ჰკარებია.

დღეს კი, — დახე ამ დროებას, — წმინდის გულით შამოგჩივი: შემიყვარდა ი წყეული, შენი „ოთარაანთ ქვრივი"!

ასეთია „ოთარაანთ ქვრივის" შემოქმედებითი ისტორია. ამ ისტორიას, თანამედროვეთა გადმოცემებს და მათში შემონახულ ილიას ცალკეულ გამონათქვამს, არსებითი მნიშვნელობა აქვთ თხზულების იდეურ-შინაარსობრივი საკითხების გარკვევისათვის.

„ოთარაანთ ქვრივი" მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე იშლება. ამ დროს ბატონყმობის გაუქმებიდან თითქმის მეოთხედი საუკუნეა გასული. მართალია, საგლეხო რეფორმით ხალხის მასებს ნამდვილი თავისუფლება ჯერ კიდევ არ მიუღიათ, მაგრამ ოფიციალურად მაინც ბატონყმობა უკვე მოსპობილია, გლეხი უკვე იურიდიულად თავი-

[1] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936 წ., გვ. 118.

სუფალი ადამიანი გახდა. ილიასავე სიტყვები რომ გავიმეოროთ, ბატონყმობის გაუქმებით „მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს“[1].

ილიას გამოსელა სამწერლო ასპარეზზე ბატონყმობის სიწინააღმდეგო თხზულებებით აღინიშნა. სამოციან წლებში მისი შემოქმედებისათვის ბატონყმობის თემა ერთ-ერთი ძირითადი და დამახასიათებელი იყო. რეფორმის შემდგომ პერიოდშიც, წლების მანძილზე ჩვენი ავტორი სამოციან წლებში დაწყებულ თხზულებებზე მუშაობას კვლავ განაგრძობდა. „აჩრდილისა“ და „გლახის ნაამბობის“ საბოლოო რედაქციები ამ პერიოდში მუშავდებოდა. ეს ნაწარმოებები საბოლოო სახით სწორედ სამოცდაათიან წლებში ფორმდებიან. ამის შემდეგ ბატონყმობის თემა ილიას მხატვრულ შემოქმედებაში უკვე ამოწურულია.

დრო გადის. ოთხმოციან წლებში მწერალი გადაწყვეტს მხატვრულად განაზოგადოს მშრომელი გლეხობის მდგომარეობა ახალ ისტორიულ ვითარებაში და ამ გადაწყვეტილების შედეგად „ოთარაანთ ქვრივი“ იწერება.

მწერლის მიზანი ამ თხზულების წერის დროს საკმაოდ ნათელია: მას უნდა დაგვიხატოს ქართველი გლეხის ფსიქოლოგია და ამით გავლენა მოახდინოს საზოგადოდ „მათს ზნეობრივ თავისუფლებაზე“. ისმის კითხვა: ავტორმა ვისთან, რომელი სოციალური წრის ადამიანებთან დაპირისპირებით უნდა აჩვენოს ქართველი გლეხის მაღალი ზნეობა? „ოთარაანთ ქვრივში“ გამოსახულ სოფელში როგორც თავადაზნაურობის, ისე სხვა სოციალური წრეების წარმომადგენლები ცხოვრობენ, მაგრამ მწერალმა გლეხობა მაინცდამაინც თავადაზნაურობასთან მიმართებაში დაგვიხატა. მოთხრობაში მთელი რიგი მითითებანია გლეხობის დამოკიდებულებაზე სხვა სოციალური წრის ადამიანებთან, მაგრამ ქართველი გლეხის მაღალი ზნეობის ჩვენებისათვის მწერალმა იგი მაინც თავადაზნაურობასთან დაპირისპირებით წარმოგვიდგინა. სავსებით ბუნებრივია, რომ ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც ბატონყმობის პირობებში თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის წინააღმდეგობის ასახვას მთელი რიგი თხზულებები უძღვნა, ახალ ვითარებაშიც გლეხის მაღალი ზნეობის საჩვენებლად იგი ისევ თავადაზნაურობას დაუპირისპირა.

ოთხმოციანი წლების ქართულ ლიტერატურაში ფართოდაა ასახული ქართველი ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი ტ. VI, 1956 წ., გვ. 9.

ცვლილებები. გიორგი წერეთლისა და დავით კლდიაშვილის ნაწერებში ფართოდ აისახა ქართველი თავადაზნაურობის ეკონომიკური დაცემა-დაქვეითება. იმავე ოთხმოციან წლებში ეგნატე ნინოშვილმა თავის მოთხრობებში სოფლად წარმოშობილი კლასობრივი წინააღმდეგობისა და ბრძოლის დამაჯერებელი სურათები მოგვცა.

იმავე ეპოქის ფონზე იშლება ილიას „ოთარაანთ ქვრივი". შემთხვევითი სრულიადაც არაა არტურ ლაისტის მოგონებაში გადმოცემული ილიას სიტყვები: „საინტერესო იდეა მაქვს მოთხრობისათვის, მან უნდა გადაგვიშალოს ქართველ გლეხობისა და უკანასკნელ დროის ქართველ მემამულეთა ფსიქოლოგიაო".

„ოთარაანთ ქვრივში" მოქმედების ადგილია ერთი ტიპური ქართული სოფელი წაბლიანი. ეს სოფელი ქართლში მდებარეობს, კერძოდ ქართლის იმ ნაწილში, რომელიც კახეთს ესაზღვრება. მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი გიორგი არჩილთან საუბარში ამბობს:

„აქ ჩვენში ხომ ნამი არ იცის, როგორც კახეთში, და მშრალი მიწაც არის. ჩვენში ვაზს რწყვა უნდა. რაც გინდ მაგრად იდგეს კაცი, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოახვედროს ვენახს წყალი, თორემ ვაზი ვერ მოიხდენს". შემდეგ. გიორგიმ ჯერ კიდევ თავადიშვილების ოჯახში მოჯამაგირედ დადგომამდე გაიგო, რომ ერთ კახელ თავადს ვენახი ახალ წესზე გაუშენებია. „გული არ დამიდგა, — ამბობს იგი, — მინამ არ წავედი და არა ვნახე. ვნახე და მომეწონა".

ამ მონაცემებით სოფელ წაბლიანის ადგილ-მდებარეობის გათვალისწინება საკმაოდ შესაძლებელი ხდება.

* * *

წაბლიანი ტიპური ქართული სოფელია და იგი თავისი მოსახლეობით, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრებით სრულიად დამაჯერებელ წარმოდგენას იძლევა მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების ქართულ სოფელზე საზოგადოდ. მოთხრობაში გამოყვანილი ან დასახელებული არიან განსხვავებული მდგომარეობის ადამიანები, რითაც საშუალება გვეძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ იმდროინდელი ქართული სოფლის მოსახლეობის სოციალურ ფენებსა და ჯგუფებზე.

ნაწარმოების პირველსავე სტრიქონებში მოხსენიებული არიან სოფლის წვრილფეხა მოხელეები — მამასახლისი, ნაცვალი და იასაული. ამ სოფლის ხშირი სტუმარია დიამბეგიც. მისი მოსვლის

გამო სოფელში ქათმებს აგროვებენ. სწორედ დიამბეგის სტუმრობის დროს გზირმა ერთი ქათამი ოთარაანთ ქვრივსაც წაართვა. ამაზე ქვრივმა ერთი ალიაქოთი ატეხა, გუბერნატორამდე იარა და მოურიდებელ გზირს სამაგიერო აზღვევინა. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ „ოთარაანთ ქვრივში“ საკმარისად მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მეფის თვითმპყრობელობის სახელმწიფო აპარატისა და მისი მოხელეების კრიტიკა.

ოთარაანთ ქვრივს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ქვრივ-ობერია, ხუთიდან ერთი ქისა სახელმწიფო გადასახადებისათვის აქვს განკუთვნილი. „მესამე ქისას „საჯანაბო“ ერქვა, ამაში ინახავდა ფოსტის ფულს და საბეგროსას თუ ვინიცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდაო“, — გვეუბნება მწერალი.

მოთხრობაში გადმოცემულია ერთი ეპიზოდი, რომლითაც სამარცხვინო ბოძზეა გაკრული იმდროინდელი სასამართლო და მისი მოხელეები. ერთ შემთხვევაში სასამართლოს მსჯელობის საგანია გიორგის საქმე. როგორც ნაწარმოებიდან ვიცით, გიორგიმ სცემა ომარაშვილის მოჯამაგირე. ამის მიზეზი ის იყო, რომ მოჯამაგირეს მშიერი კამეჩები წნელით ურემზე მიეღრძო და თვითონ კი ჩრდილში წამოწოლილს ეძინა.

სასამართლომ მოისმინა როგორც მომჩივარის პრეტენზია, ისე გიორგის პასუხი. მოსამართლეები გრძნობენ, რომ გიორგი დამნაშავე არაა, მაგრამ მისი გამართლებაც ვერ გაუბედნიათ ომარაშვილის ხათრით. მოსამართლენი ორ ცეცხლს შუა დგანან. მოთხრობაში ვკითხულობთ:

„ჩვენი მტერი იყოს, მოსამართლეებს დღე დაადგათ, ომარაშვილის გულის მოგება უნდოდათ, ერთს სადილს მაინც გვაჭმევსო; ოთარაანთ ქვრივისაც ეშინოდათ, გუბერნატორამდე ივლისო. თუნდ ეგეც არ ყოფილიყო, გული გიორგისაკენ უწევდათ, თუმცა ცემა კი ცემად ედგათ თვალ-წინ. არ იცოდნენ, გულს აჰყოლოდნენ, ოთარაანთ ქვრივის შიშსა, თუ ომარაშვილის ხათრსა“.

დაბოლოს, მეფის თვითმპყრობელობის სახელმწიფო აპარატის კრიტიკა უმაღლეს საფეხურს აღწევს იმ მომენტში, როდესაც სასამართლოს განაჩენს სარკასტულად დასცინის ოთარაანთ ქვრივი. მწერალი გვეუბნება: „გიორგი რომ შინ მოვიდა, ყველაფერი უამბო დედას, ოთარაანთ ქვრივს გაუკვირდა:

„ — დახე, მაგ ვირთაგვებსაც ზოგჯერ სწორე სამართალი სცოდნიათო!“

ასეთები არიან მოთხრობაში დახატული სახელმწიფო აპარატის მოხელეები. რასაკვირველია, ეს დაწესებულებანი და ადამიანები

გავლენას ახდენენ ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის ცხოვრებაზე, საზოგადოდ, გლეხობის ცხოვრებაზე.

წაბლიანის ცხოვრების მაგალითზე ერთგვარი წარმოდგენა გვეძლევა სოფლის საერთო საზოგადოებრივ ვითარებაზე. ოთარაანთ ქვრივის სოფელში არის ბაზარი, არიან ვაჭრები. ამ ბაზარზე იყიდა ქვრივმა ერთი შოლტი საქალამნე ღორის ტყავი მთხოვარა-სათვის. სწორედ აქ გამოელაპარაკა მას ერთი ქოსმანსავით გათხვირული მედუქნე. იგივე ქვრივი თვითონაც ყოველ წელიწადს ჰყიდის ზედმეტ პურსა და ღვინოს. რაც არ უნდა მცირე მოსავალი იყოს, იგი სამ საპალნე ღვინოს მაინც გაჰყიდის. ბუნებრივია, რომ გარდა ოთარაანთ ქვრივისა ამ სოფელში ზედმეტ პურსა და ღვინოს სხვებიც ჰყიდიან.

„ოთარაანთ ქვრივში“ ახალ პირობებში გამდიდრებული სოფლის ბობოლებიც მოჩანან. ასეთებია ომარაშვილისა და ბეჟანაშვილის ოჯახები. მათ, როგორც ერთს, ისე მეორეს მოჯამაგირეები ჰყავს. გიორგიმ ერთხელ ბეჟანაშვილის მოჯამაგირესაც თავში ჩასთხლიშა იმ დროს, როდესაც ბიჭს პატრონის სახლში დაფქული ჭირნახული ურმით მოჰქონდა. თუ როგორია ბეჟანაშვილისა და ომარაშვილის გავლენა სოფელში, ამაზე გარკვევით მიუთითებს ის ეპიზოდი, რომელზეც ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი. ომარაშვილისადმი დამოკიდებულება სახელმწიფო მოხელეების მხრივ აშკარა გამომხატველია ახალწარმოშობილი ბობოლების გავლენისა ოთხმოციანი წლების ქართულ სოფელში. ომარაშვილი და ბეჟანაშვილი ახალი ეპოქის ღვიძლი შვილები არიან. „ოთარაანთ ქვრივის“ დაწერიდან ოთხიოდე წლის შემდეგ სოფლის ბობოლას სრულყოფილი ტიპი შექმნა აგრეთვე ეგნატე ნინოშვილმა. ასეთია „სიმონაში“ დახატული დავით დროიძე.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივში“ გამოყვანილია ოთხმოციან წლებში ქართულ სინამდვილეში წარმოშობილი და გაძლიერებული სოფლის ბობოლები.

შემდეგი ძირითადი სოციალური ფენა, რომელიც მოთხრობის მიხედვით სოფელ წაბლიანის მკვიდრი მცხოვრებია, არის თავადაზნაურობა. ამ წრის ტიპური წარმომადგენლები არიან არჩილი და კესო. აქვე ზედმეტი არაა აღინიშნოს, რომ არჩილის გარდა მოქმედებაში არც ერთი თავადური ოჯახი არ მოჩანს.

სოფელ წაბლიანის მცხოვრებთა ძირითად მასას გლეხობა შეადგენს. „ოთარაანთ ქვრივში“ მცირეა მასობრივი სცენები, ასეთია უმთავრესად ორი შემთხვევა: ერთია გიორგის სიკვდილი და დასაფლავება, ხოლო მეორე — თვითონ ოთარაანთ ქვრივის გარდა-

ცვალება. გლეხობა, სოფელი მთლიანად, სწორედ ამ შემთხვევებში მოჩანს. თხზულების უმთავრეს გმირთა შორის გლეხობიდან არსებითად ერთი ოჯახია გამოყვანილი. ეს არის ოთარაანთ ქვრივის ოჯახი, სახელდობრ, ქვრივი და მისი შვილი გიორგი. გარდა ამისა, მოთხრობაში მოჩანან გლეხთა წრიდან გამოყოფილი, ახალი ეპოქის შვილები — მოჯამაგირეები. ასეთები არიან არჩილის მოახლე-მოსამსახურე გოგოები და ბიჭები, ომარაშვილისა და ბეჟანაშვილის მოჯამაგირეები.

დასასრულ, საინტერესოა წაბლიანის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებიც. უნდა ითქვას, რომ ნაწარმოებში ამ მხრივ მასალა შედარებით ნაკლებადაა მოცემული. ამის მიზეზი ისაა, რომ მწერლის ოცნება ძირითადი თემის გარშემო ტრიალებს და თხრობის დროს შემთხვევა არ ეძლევა სოფელში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ილაპარაკოს. საერთოდ კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი დაწესებულებანი სოფელ წაბლიანში არსებობენ. შეუძლებელია მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში ქართლის „ვეებერთელა სოფელში“ დაწყებითი სკოლა არ არსებულიყო. თუ ნაწარმოებში ასეთი დაწესებულებები არაა ნახსენები, ეს მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ თხრობის განვითარება მწერალს საამისო შემთხვევას არ აძლევს. ის კი უნდა ითქვას, რომ „ოთარაანთ ქვრივში“ მაინც არის ზოგიერთი საგულისხმო მინიშნება, რაც ერთგვარ წარმოდგენას ქმნის სოფლის კულტურულ ცხოვრებაზე საერთოდ.

ამ „ვეებერთელა სოფელში“ არ არის სოფლის მეურნეობის არც ერთი კვალიფიციური სპეციალისტი. ასეთი სპეციალისტები არ მოიპოვებიან არც წაბლიანში და არც მის მახლობელ სოფლებში. არჩილს არ მოსწონს ვენახის გაშენების მამა-პაპური წესი. იგი ცდილობს ახლებურად, გეგმიურად გააშენოს ვაზი. მაგრამ სოფელში ამის მცოდნე კაცი არ მოიპოვება, შორიდან მოსული შებალე საქმეს ვერ შველის და არჩილი იძულებულია თვითონ, თავისიანე კარნახით მოჯამაგირეებს აკეთებინოს. იგი ბევრს ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოუდის. მას ერთი კაციც ვერ უპოვია, რომ ნაკეთები მოუწონოს.

არჩილი ამ საქმით იმდენად გატაცებულია, რომ გიორგის პირველსავე დღეს გაასინჯა თავისი ახალნაშენი ვენახი. გიორგის ჭკუაში დაუჯდა არჩილის მიერ უჯრა-უჯრა ჩარიგებული ვაზი, მაგრამ ნაკეთები, საერთოდ, მაინც დაუწუნა. „ლარი სწორზე კი არ უნდა წაგეღო, ცოტა გეზად უნდა დაგეჭირა, რომ წყალს საქმა-

რისი თავ-თავ-ქვე ჰქონოდა და მიწაც ზევიდან ქვევით არ ეზიდნაო", — შენიშნა მან. არჩილი გიორგისთან საუბარში შეეცადა თავისი გეგმა გაემართლებინა, მაგრამ ეს ვერ შეძლო და საბოლოოდ იძულებული გახდა „უცნაური წკიპურტი" მოჯამაგირისა მოთმინებით მიეღო. მოთხრობიდან ისიც ჩანს, რომ არჩილი ასეთ უხერხულობაში სხვა დროსაც ჩავარდნილა. გასაგებია, იგი ამგვარ მდგომარეობაში თავს არ ჩაიყენებდა, რომ სათანადო სპეციალისტი ახლო-მახლო სოფლებში მოიპოვებოდეს.

წაბლიანსა და მის მახლობელ სოფლებში არ არის აგრეთვე არც ერთი კვალიფიციური ექიმი და ფერშალი. ამათ მაგივრობას სოფლის ექიმბაშები ეწევიან. გიორგის უბედური შემთხვევის გამო არჩილმა სასწრაფოდ კაცები აფრინა მკურნალების მოსაყვანად. სწორედ ამ მომენტში ირკვევა სოფლის უმწეო მდგომარეობა. ჩანს, ნამდვილი კვალიფიციური ექიმი მხოლოდ ქალაქში იმყოფება. არჩილმა „მაშინვე კაცი აფრინა მკურნალის მოსაყვანად მახლობელ ქალაქიდამ". გარდა ამისა, არჩილმა ორი-სამი კაცი სხვადასხვა სოფლებშიც გაგზავნა შინაური ექიმის მოსაყვანად. ერთი ასეთი ჯარა-ექიმი წაბლიანშიც ცხოვრობს. ეს არის ოფოფაანთ დემეტრე. არჩილმა ერთი კაცი დემეტრესთანაც გაგზავნა და ისიც რამდენიმე წუთის შემდეგ გიორგისთან იყო. ასევე იოლად მოიყვანეს წაბლიანის მღვდელი, რომელმაც მომაკვდავი აზიარა.

ასეთია ბრძენი მწერლის მიერ დახატული წაბლიანი. იგი თავისი საზოგადოებრივი და კულტურული მდგომარეობით ერთ-ერთი ტიპური სოფელია მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების საქართველოში. როგორც ჩანს, ავტორი ახალი დროის სოფელს ზედმიწევნით იცნობდა.

„ოთარაანთ ქვრივში" დაპირისპირებული გიორგისა და კესოს ურთიერთდამოკიდებულება არ გულისხმობს ნაბატონარისა და ნაყმევის ურთიერთობას. მათგან არც ერთია ნაყმევი და არც მეორე ნაბატონარი. მოთხრობის დასაწყისში გიორგი ოცდაერთი წლისაა. იგი დაბადებულია ბატონყმობის მოსპობის მომენტში, 1864-1866 წლებს შორის. თვითონ ოთარაანთ ქვრივის ცხოვრებაც მოთხრობაში წარმოდგენილია უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე. იგი დაქვრივდა იმ დროს, როცა გიორგი ერთი წლისა იყო. ქალის ოჯახი მის დაქვრივებამდეც უკვე ყმა აღარ იყო. თევდორე თავისუფალი გლეხის სახით არის წარმოდგენილი. იგი კარგი მშრომელი და კარგი მონადირე იყო, რომელიც ყვირილობის თვეში ნანადირევ ირემს შინ ურმით მოიტანდა ხოლმე. თევდორეს გარდაცვალების შემდეგ მის ოჯახს პირად საკუთრებაში დარჩა „ნახევარ-

გუთნეული საქონელი, ორი ფურ-კამეჩი, სამი ძროხა, ამას გარდა ორი დღის კარგად გაკეთებული და გავსებული ვენახი და ოციოდ დღის სახნავ-სათესი მიწა“.

მოთხრობაში გადმოცემული ეს ცნობა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ოთარაანთ ქვრივის ოჯახი ბატონყმობის გადავარდნის პირველ დროებიდანვე დამოუკიდებელი მშრომელი და საკმარისად ღონიერი ოჯახია. თევდორეს გარდაცვალების შემდეგაც მისი ოჯახი წინ მიდის და არა უკან. მწერალი გვეუბნება, რომ ქვრივმა „ქმრის ანდერძს არ უღალატა. ოჯახიც შეინახა, სარჩო-საბადებელსაც თუ არ მოუმატა, არა დააკლო-რა, იარაღსაც კარგად უვლიდა, მკვდარსაც უურვებდა იმით, რომ ყოველ კვირას კორკოტსა და წანდილს ჰხარშავდა იმის სულის საცხონებლად და ყოველწლივ აწირვინებდა“.

მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ის გარემოება, რომ ეს ოჯახი თავისუფალი იყო ჯერ კიდევ თევდორეს სიცოცხლეში. ქალი დაქვრივდა იმ დროს, როცა ოცდაოთხი წლისა ძლივს იქნებოდა. ახლა, არჩილის ოჯახთან დაპირისპირების მომენტში, იგი უკვე ოცი წლის ქვრივია. ამიტომაც არის, რომ ოთარაანთ ქვრივის პირიდან ბატონყმობის მოგონებაც კი არ ისმის არც ერთხელ. გიორგი ხომ ახალი დროის შვილია და მას ბატონყმურ ურთიერთობაზე შორეული მოგონებაც არ გააჩნია.

თავის მხრივ არჩილი და კესოც არ არიან ნაბატონარი თავადაზნაურობის წარმომადგენლები. ისინი ახალი დროის თავადიშვილები არიან და არა ნაბატონარნი. შემთხვევითი სრულიადაც არაა, რომ ეს ადამიანები მწერლისაგან იხსენიებიან როგორც თავადიშვილები. ასევე თავადიშვილობით იხსენიება კახელი მემამულე, რომელმაც ვენახი ახლებურად გააშენა.

ეს თავადიშვილები, მართალია, თათქარიძეების შთამომავალნი არიან, მაგრამ წინაპრებისაგან არსებითად განსხვავდებიან. „ოთარაანთ ქვრივის“ თავადიშვილები ძველი, მებატონე თავადებისაგან განსხვავდებიან არა მარტო განათლებით, შეგნებით, არამედ მთელი თავიანთი მდგომარეობითა და ყოფაცხოვრებით. პირველნი უსულო საგნებივით უფლებააყრილი ყმების, ხოლო მეორენი დაქირავებული მოახლე-მოჯამაგირეების შრომას ემყარებიან. სად ლუარსაბის ან ზაქროს ბატონის უზრუნველი ცხოვრება და სად არჩილის ან კახელი თავადიშვილის შრომა-გარჯა? რაღა თქმა უნდა, მათ შორის არსებითი განსხვავებაა.

მწერალი არჩილზე ერთ შემთხვევაში ამბობს, რომ ეს თავადიშვილი რუსეთიდან ახალდაბრუნებულია. „სწავლა იქ შეესრულე-

ბინა. ვეღარც დედას მოუსწრო, ვეღარც მამას, ორივენი დაჰხოცოდნენ. მარტო ერთი გასათხოვარი და-ღა ჰყვანდა და და-ძმანი ერთად სცხოვრობდნენ“.

აქ რამდენიმე გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. ჯერ ერთი, არჩილი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანია და, მაშასადამე, ეპოქის კვალობაზე კარგად განათლებული. შემდგომ, არჩილს საქართველოში დაბრუნებისას არც დედა და არც მამა ცოცხალი აღარ დახვედრია.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მართებული არ იქნებოდა გვეთქვა, რომ არჩილს ბატონყმობაზე წარმოდგენა არა აქვს. მან, როგორც გონებაგახსნილმა ადამიანმა, რასაკვირველია, ბევრი რამ იცის ბატონყმურ ურთიერთობაზე, მაგრამ ეს მხოლოდ ცოდნაა და არა პრაქტიკულად განვლილი და განცდილი ფაქტი. არჩილი ახალი დროის თავადიშვილია, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან შეზრდილი და შეთვისებული. აგრეთვე ახალი დროის ადამიანია კესო.

არჩილისა და კესოს ქონებრივ მდგომარეობაზე მწერალი გვეუბნება, რომ მათ „გვარიანი სახლ-კარი და მამულები დარჩათ მამისაგან და იმავე სოფელში ჰქონდათ ბინა, საცა ოთარაანთ ქვრივი იყო“.

„ოთარაანთ ქვრივში“ გამოსახულია მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების ქართული სოფლის ცხოვრება. ამ ეპოქაში სოფლად მომხდარი ცვლილებანი თხზულებაში საკმაო სისრულითა და მთელი დამაჯერებლობით არის გამოსახული. „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორისათვის ცნობილია იმ დროის სოფლად არსებული საზოგადოებრივი დიფერენციაცია-წინააღმდეგობანი, სოფლის კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობები. მწერალი ახალი დროის მრავალფეროვან ცხოვრებას სავსებით კონკრეტული მიზანდასახულებით უდგება. მას სწადია მხატვრულ სიტყვაში გააცოცხლოს უკანასკნელი დროის ქართველი გლეხობისა და თავადაზნაურობის ფსიქოლოგია. ამ კონკრეტული მიზნით მწერალმა მოთხრობაში ერთმანეთს დაუპირისპირა საშუალო შეძლების გლეხთა ტიპიური წარმომადგენელი ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი და ოთხმოციანი წლების თავადიშვილის ქალი კესო.

„ოთარაანთ ქვრივის“ თემაა ოთარაანთ ქვრივის ცხოვრების ისტორია. მწერლის მიზანია აჩვენოს ახალი დროის თავადაზნაურობისა და გლეხობის ურთიერთობა. წოდებათა შორის ხიდჩაუტეხილობა არსებითად გამოხატულებას კესოსა და გიორგის ურთიერთმიმართებაში პოულობს. მოთხრობის გმირთა შორის ორი

ძირითადი ბანაკია: ოთარაანთ ქვრივი და გიორგი ერთი მხრივ, არჩილი და კესო — მეორე მხრივ. მათ შორის სოციალური (ეკონომიური) ხასიათის წინააღმდეგობა მწერლის მიერ მაინცდამაინც გამახვილებული არაა. ნაწარმოებში ვითარება ისე წარმოგვიდგება, რომ ქვრივის ოჯახს თავისი ბეჯითი და გეგმიანი შრომის წყალობით თავისი ოჯახისათვის საკმარისი ყველაფერი აქვს და სხვისა არაფერი შეშურდება. ოთარაანთ ქვრივი და გიორგი თავადიშვილებისას არაფერს ინატრებენ.

გიორგი არჩილსა და კესოს მოჯამაგირედ ისე დაუდგა, რომ პირობებზე არც კი შეთანხმებულან. არჩილის დაბეჯითებით კითხვაზე, თუ ჯამაგირს რამდენს მოითხოვს, გიორგი ყოველთვის ერთსა და იმასვე უპასუხებს: „გინდა იყოს, გინდა არა, მოგახსენეთ, დიდი ბედენა არ არის“.

ეს შემთხვევითი არაა. მწერლის მიერ ამ ადამიანებს შორის არსებული განსხვავება-წინააღმდეგობა ზნეობრივ სფეროშია გადატანილი. ჩვენთვის ცნობილია, რომ ილია საზოგადოდ მაღალი წარმოდგენისა იყო ქართველი გლეხის ზნეობაზე. არტურ ლაისტი პირდაპირ ამბობს, რომ სახელოვან მწერალს მასთან საუბარში „მრავალგზის დაუყენებია ქართველი გლეხის ზნეობა, ეგრეთ წოდებულ, განათლებულ ერების ზნეობაზე მაღლა“.

ილიას მხატვრული მემკვიდრეობიდან ცნობილ გლეხთა სახეებში საერთოდ ორი წყება უნდა განვასხვავოთ. ერთი მებრძოლია და მკითხველის სიმპათიას იმსახურებს სწორედ იმით, რომ თავისი კაცობის უფლებასა და ღირსებას ბრძოლით იცავს, ასეთებია საყოველთაოდ სახელმოხვეჭილი კაკო, ზაქრო და გაბრიელი. მეორე წყება ილიას მხატვრულ ნაწერებში გამოყვანილი გლეხებისა მებრძოლი არაა. ისინი მკითხველის ყურადღებას იქცევენ თავიანთი პატიოსნებით, შრომისმოყვარეობითა და მაღალი ადამიანობით. პეპია, პეტრე, ოთარაანთ ქვრივი და მისი შვილი გიორგი სწორედ ასეთი კეთილშობილური თვისებების ადამიანები არიან. ისინი მშრომელი და კაცთმოყვარე ქართველი გლეხობის საერთო შეგნებისა და ადამიანური კეთილშობილების გამომხატველებად წარმოგვიდგებიან.

ილია ჭავჭავაძის მიერ გლეხთა ტიპების ამგვარად წარმოსახვა შემთხვევითი სრულიადაც არაა. იგი ჩვენი მწერლის შინაგანი მაღალი ბუნებიდან გამომდინარეობს და, საზოგადოდ, მისი მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელია. ილია 1873 წელს პეტერბურგიდან ოლღასადმი გამოგზავნილ პირად ბარათში ერთი ხალ-

ხური ლექსის ხსენების გამო წერდა: „გლეხური სიმღერაა, მაგრამ კარგია. კიდევ დალოცა ღმერთმა გლეხნი: კაცური-კაცობა თუ არის სადმე, კიდევ იმათშია“[1].

მწერლის თანამედროვეთა გადმოცემებში ერთხმად აღიარებულია, რომ ჩვენი მოღვაწე გლეხობის მიმართ განსაკუთრებით სიმპათიურად იყო განწყობილი. გრიგოლ ყიფშიძე მოგვითხრობს:

„რაოდენად პატივსა სცემდა და უყვარდა კიდეც ილიას გლეხკაცი, ეს კარგად იცის ყველამ, ვინც-კი საგურამოში ყოფილა და დაჰკვირვებია ილიასა და იქაურ გლეხთა ურთიერთობას. ვერავითარ ბატონ-კაცობას, უკმეხობასა და უკადრისობას ამ ურთიერთობაში ვერ შეამჩნევდით. პირიქით, თავმოსაწონებლადა ჰყავდა ზოგიერთი გლეხკაცი და, პირველ ყოვლისა, იმათ გააცნობდა ხოლმე თავის ინტელიგენტ სტუმრებს. მოსწონდა იმათი ჭკუა, მოთმინება, ნამუსიანობა, დარბაისლობა, სიტყვა-პასუხი. თვით დიდი ოსტატი ქართულისა, აღტაცებული იყო იმათის ენა-მეტყველებით, ენა-მზეობით და ამის მაგალითად ხშირად მოჰყავდა სხვადასხვა მარგალიტი ხალხურის პოეზიისა. მოთმინება ჩვენებურის გლეხკაცისა, დიდი მისი სულგრძელობა ხომ პირდაპირ საარაკოა, დაუჯერებელი. ერთს შეძლებულს წიწამურელს გლეხკაცს ჭირი შეუდგა და ნახევარ-საქონელი გაუწყვიტაო, გვიამბო ილიამ. როცა შევხვდი, მიუსამძიმრე, მეწყინა შენი ასეთი ზარალი მეთქი. კაცმა გაკვირვებით შემომხედა: რა ზარალსა ბრძანებ, ბატონო? — აი ჭირმა რომ მოგაყენა. — ეჰ, შე დალოცვილო, ეგ რა ზარალია, ღმერთი ძმად გამიხდა და შუაზედ გამიყო საქონელიო.

„ — საგურამოელი მარტია უნდილაშვილი კარგი შეძლებული გლეხკაცია, მამულის პატრონი, საქონლისაო, — გვიამბო კიდევ ილიამ. მოვიდა ჩემთან და ფულსა მთხოვს, მასესხეო.

„ — მარტია, მაგისთანა გაკეთებული, მდიდარი გლეხი კაცი ჩემგან ფულსა სესხულობ? — გაკვირვებითა ვკითხე.

„ — რად გიკვირს, შენი ჭირიმე?

„ — იმიტომ მიკვირს, რომ შენ ჩემზედ მდიდარი ხარ და მე მესესხები ფულს.

„ — მე შენზე მდიდარი ვარ, მაგრამ ფულით — კი არა.

„ — მაშ, რითი?

„ — აი. ამითი — და მარტიამ თავის ქალამანს დაადო ხელი. — შენ რომ ეგ ბრჭყვიალა ფეხსაცმელები მოგაკლდეს, ჯავრით აღარ

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 313.

დაგეძინება. მე-კი ამ ქალამანს, როცა მინდა, მაშინ ამოვისხავ. აი ამითი ვარ შენზედ მდიდარი“[1].

სწორედ ასეთი მარტივი, გულმართალი და პირდაპირი არიან ილიას ნაწარმოებში გამოყვანილი გლეხები.

გლეხობისადმი სათუთი, მზრუნველი და კეთილშობილური დამოკიდებულება ჩვენი მწერლისათვის დამახასიათებელია ყველა მხატვრულ ნაწარმოებში. ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი კაკო, ზაქრო და გაბრიელი მკითხველის სიმპათიას იმსახურებენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კაცისმკვლელებად გვევლინებიან. მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ გამოყვანილი გლეხი პეტრე უმაღლესი ზნეობის კაცია. ასევე სიმპათიურია „გლახის ნაამბობში“ გამოყვანილი პეპია. ილიას მიერ დახატული გლეხები ყველგან და ყოველთვის მაღალადამიანური თვისებისანი არიან, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სახელოვანი მოღვაწე გლეხობის მიმართ რაღაც გულუბრყვილო სიყვარულით იყოს შეპყრობილი. არა, „გლახის ნაამბობისა“ და „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორი გლეხებსაც ჯანსაღი მოაზროვნის თვალით უყურებს, აფასებს და არა „გუშინდელ ბალღსავით“ შეჰხარის. მან მშვენივრად იცის, რომ გლეხობაშიც არის ქაფი და ჭუჭყი „მდუღარე ცხოვრებისა“, მაგრამ იმავდროს მწერალს მიაჩნია, რომ ცხოვრება მაინც გლეხობაშია, „იქა დუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა“.

ეს რეალისტური დამოკიდებულება გლეხობისადმი გამოხატულებას პოულობს ილიას მთელ რიგ პუბლიცისტურ და საპოლემიკო წერილებში. იგივე დამოკიდებულება მთელი სიცხადით გამოისახა მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“. ბრძენი მწერლის ჯანსაღი შეხედულება გლეხობაზე ამ ნაწარმოებში მრავალგზისაა გამოთქმული, განსაკუთრებით არჩილისა და კესოს საუბარში.

გიორგის სიკვდილის შემდეგ სოფელში შექმნილი მითქმა-მოთქმის გამო კესო უკმაყოფილოა და იგი გლეხობას მკაცრად ახასიათებს. კესო ცდილობს დაამტკიცოს, რომ გლეხი თავისი ადამიანობით თავადიშვილზე დაბლა დგას, უარესია. იგი ამბობს: „ადამიანობით ისინი ჩვენზე უარესნი არიან. გლეხიკაცისთანა ხარბს, გლეხიკაცისთანა გაუტანელს. გლეხიკაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ ნახავ სადმე, მაშინაც კი, როცა თავის მოძმე

---

[1] ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, მ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914 წ., გვ. LXXV.

გლეხს ვიწროში მოატანს: დაახრჩობს, მიწასთან გაასწორებს. სხვას ვილა ჩიავის...“

გლეხობის მიმართ კესოსაგან წაყენებულ ბრალდებას არჩილი მისთვის ჩვეული წინდახედული, აზრიანი და დამაჯერებელი პასუხით აბათილებს. იგი კესოს ეუბნება:

„მჯერა, თითო-ოროლა ეგეები შეც ჩემის თვალით მინახავს, ჩემის ყურით გამიგონია, მაგრამ ცხოვრება მაინც იმათშია: იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვიცა, რაც სთქვი, ეგ ჰუჭყია, ქაფია მდუღარე ცხოვრებისა, თავზედ მოდებული. ძირში კი წმინდაა. მაშ რა სწნავს იმისთანა კაცურ-კაცს, როგორც გიორგი იყო, ან იმისთანა დედაკაცს, როგორიც ოთარაანთ ქვრივია? მაგისთანა პური მარტო იმათს თონეშიღა ჰცხვება, ჩვენი თონე კი მარტო ჩვენისთანა კუტ-პურს აცხობს“[1].

ასე მსჯელობს არჩილი. რაღა თქმა უნდა, ნაწარმოების ერთი მთავარი პერსონაჟის ეს მსჯელობა თვითონ მწერლის თვალსაზრისის გამომხატველია. ეგეგე აზრი ილიას თავის ნაწერებში არა ერთგზის გამოუთქვამს. „ოთარაანთ ქვრივში“ მან მიზნად დაისახა ეჩვენებინა გლეხობის ზნეობრივი უპირატესობანი თავადაზნაურობასთან შედარებით. თხზულების უმთავრეს გმირთა შორის დამახასიათებელი ზოგადადამიანურ თვისებათა მსგავსება-განსხვავება ავტორის მიერ ზნეობრივ სფეროშია გადატანილი.

ზემოთქმული იმას არ ნიშნავს თითქოს „ოთარაანთ ქვრივის“ გმირებისათვის სხვა არა მაინცდამაინც ზნეობრივი, არამედ ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრებისეული, წინააღმდეგობანი ლაკნობი იყოს. არა, ისინი თავიანთ ცალკეულ გამოთქმებში ამ მხრივაც საინტერესო მასალას გვაწვდიან. ასე, მაგალითად, თვითონ ოთარაანთ ქვრივი ერთ-ორჯერ მისთვის ჩვეული პირდაპირობით ამხილებს და ამათრახებს თავისი დროის თავადაზნაურობას.

მოთხრობის პირველ თავში, რომელშიც ქვრივი ამბობს, რომ ტკბილი სიტყვა თვალთმაქცობაა და სხვა არაფერი, მაგალითისათვის იგი სწორედ თავადაზნაურობას ასახელებს. იგი შთამბეჭდავად ამბობს: „ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევინებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის“.

იმავე თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა ის მომენტი, როდესაც ქვრივი არჩილთან მიდის, რათა გიორგის მოჯამაგირედ დადგომაზე თანხმობა განუცხადოს. არჩილსა და კესოს ერთგვა-

[1] ილია ჭავჭავაძე, ოთარაანთ ქვრივი, თავი XIX.

რად ებრალებათ ქვრივი იმის გამო, რომ გიორგის წასვლის შემდეგ სრულიად მარტო დარჩება. და-ძმის ამ სანტიმენტალურ მიმართვას ოთარაანთ ქვრივი მისთვის ჩვეული წინდახედულობით და არჩილის სოციალური წრის მამხილებელი პასუხით უმასპინძლდება. იგი და-ძმას მიმართავს: „ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა. წუთისოფელი ვის აცლის მარტოობისათვის? მარტო თქვენისთანას... მარტონი თქვენა ხართ“[1].

ქვრივის ეს მამხილებელი მიმართვები თავადაზნაურობისადმი უბრალო მნიშვნელობისა არაა. ამგვარ მიმართვებში მწერალი ყოველთვის რაღაც შინაარსს სდებს, მაგრამ მოთხრობაში მთლიანად წოდებათა დაპირისპირება უმთავრესად ზნეობრივ, ყოფაცხოვრებით სფეროშია გადატანილი. ერთი მხრივ, არჩილისა და კესოს, ხოლო მეორე მხრივ — ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის კატეგორიული თვისებების დაპირისპირებით ავტორს მზის სინათლეზე გამოაქვს ამ ადამიანებს შორის არსებული განსხვავება-წინააღმდეგობანი. ამიტომაც „ოთარაანთ ქვრივის“ იდეური კვანძის გახსნისათვის უმთავრეს პირობას მოწინააღმდეგე გმირთა შეჯერებული დახასიათება წარმოადგენს.

* * *

ნაწარმოების მთავარი გმირია ოთარაანთ ქვრივი. თხზულება ამ ქალის სახელს ატარებს და ძირითადი ამბავიც მისი ცხოვრების ისტორიაა. ქვრივი მოქმედებაში პირველი სტრიქონებიდან გამოჩნდება და აქედან დაწყებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა მის პიროვნებასთან არის დაკავშირებული. დაბოლოს თხზულების უკანასკნელი ფარდაც მის სიკვდილთან ერთად ეშვება...

მოთხრობის პირველ, მეორე და მესამე თავებში მკითხველს საკმარისი წარმოდგენა ექმნება საზოგადოდ ქვრივის პირად ადამიანურ თვისებებზე, მაგრამ ეს არის მისი ცხოვრება იმ პერიოდში, როდესაც იგი უკვე ქვრივია. მეოთხე თავში („განძი და ანდერძი“) მკითხველი ქალის დაქვრივების ეპიზოდს ეცნობა, რითაც მკითხველს საშუალება ეძლევა მისი ცხოვრების გზა ყოველმხრივ წარმოიდგინოს და განიცადოს.

ქალი ოცდაოთხი წლისა ძლივს იქნებოდა, როცა მისი „ტოლსადები მეუღლე“, პატიოსანი, გამრჯე და „ფანდი ვაჟკაცი“ გარდაიცვალა. ქალმა ქმრისაგან ანდერძად მიიღო: „გაისარჯე და იარჩინე

[1] ილია ჭავჭავაძე, ოთარაანთ ქვრივი, თავი X.

თავიო... ქვეყანა ღონიერია, ნუ გეშისო. ოღონდ ჭირს ნუ გაუტყდები, ნუ გაელახვინებიო... ე ჩემს პატარა გიორგის უპატრონეო, არ გამიღარიბო, არავის დამიჩაგვრინო, არავის არ შემინატვრინოო!“

ოთარაანთ ქვრივის პიროვნების არსებითი დამახასიათებელი თვისებაა შრომისმოყვარეობა. შრომისადმი განსაკუთრებული სიყვარული მის სახეს მიმზიდველად ხდის ყველა ეპოქის ქალისათვის. მან ქმრისაგან დატოვებულ დოვლათს არა თუ დააკლო რამე, პირიქით, მიუმატა კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ იგი მარტოხელა ქალია და დედისერთა გიორგისაც თვითონ ზრდის. იგი „მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებს, იმისი ხელი და ფეხი დილიდან საღამომდე არ დადგებაო“, — ამბობენ ქვრივის მეზობლები.

ოთარაანთ ქვრივი თავისი ხელით ბარავს, თოხნის, თესავს და კრეფს. მას მეზობლებისაგან ხშირად ესმის: დედაკაცის ბარი და თოხი ვის გაუგონიაო, მაგრამ ქვრივი ამ ხმებს არავითარ ანგარიშს არ უწევს. „თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონო, — ამბობდა ხოლმე, — მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმ დამპალ გოგიაზედ! თუ იმასა ჰშვენის ბარი და თოხი, მე რაღა ღვთისაგან შერისხული ვარ. რა ვუყოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი“[1].

ოთარაანთ ქვრივი მკითხველის სიმპათიას იმსახურებს არა მარტო თავისი მხნეობით და შრომაში გადამდები სიხალისით, არამედ ჭკუითა და გეგმიანობითაც ცხოვრების მთელს მანძილზე. ამ გეგმიანობის მაჩვენებელია მისი ცნობილი ხუთი ქისა.

იმავე შრომისმოყვარეობის გამო სოფლის დედაკაცებს ოთარაანთ ქვრივისა ეშინიათ კიდეც. „ვაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწრებდა ხოლმე; ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოთხრიდაო“, — გვეუბნება მწერალი.

ოთარაანთ ქვრივის შრომა, მატერიალურ შედეგებთან ერთად, მიმზიდველია თავისი სილამაზითა და სისპეტაკით. საყოველთაოდ ცნობილია ილია ჭავჭავაძისაგან დახატული თათქარიძეების სახლკარი. „ოთარაანთ ქვრივშიც“ დაგვიხატა მწერალმა ქვრივის სახლკარი, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა.

წინააღმდეგ თათქარიძეებისა, ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამო მნახველს გულს უხარებს. მოთხრობაში ვკითხულობთ: „მისი ეზო, საკმაოდ ფართო გლეხკაცისათვის, გარს შემორტყმულია ტყრუშულის ღობითა. ეზო წმინდაა, ფაქიზად შენახული და დერეფნიდამ მოყოლებული ჰიის კარამდე სიგრძე-სიგანეზედ მწვანით აბი-

[1] ილია ჭავჭავაძე, ოთარაანთ ქვრივი, თავი III.

ბინებული. დერეფნის წინ, ერთ ოციოდ ნაბიჯზედ, უშველებელი კაკალი სდგას, შტოებ-ძირდაშეებული, შემორგვალებული, თითქო განგებ შემოკვეცილიაო. კაცის თვალს ეამებოდა, რომ ეს ეზო ენახა“.

ასევე მიმზიდველად გამოიყურება ოთარაანთ ქვრივის საცხოვრებელი ბინა. „სახლში რომ შესულიყავით, — ამბობს მწერალი,— ყველაზედ უწინარეს თვალში გეცემოდათ სიფაქიზე დაგვილ-დაწმენდილობა იქაურობისა. თარო ჩრდილოს მთლიან კედელზედ თავიდან ბოლომდე გახიდულია და ზედ ჩამომწკრივებულია სუფთა ჭურჭელი ქაშანურისა. ორიოდე ქვაბი, ტაფა, ჩამჩა, ქაფქირი, ძალზედ დაწმენდილ-დარეცხილი, მხიარულად გადმოიცქირებიან მაღლიდამ, თითქო თავს იწონებენ; რომ კარგი მომელელი და პატრონი ასჩენიათ“[1].

ცხოვრების უკუღმართობასთან ბრძოლაში გამოიწრთო და გამოიკაჟა ოთარაანთ ქვრივის ხასიათი. იგი ჩვენს წინაშე დგას, როგორც არაჩვეულებრივად მტკიცე და გაუტეხელი ნებისყოფის ადამიანი. მისთვის არ არსებობს „ტკბილი სიტყვა“. ქვრივის აზრით „ტკბილი სიტყვა“ გულის საფხანადაა მოგონილი. „გულისფხანა რაღა დარდუბალაა, — ამბობს იგი, — ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება“.

ოთარაანთ ქვრივის დამახასიათებელი თვისებები, მოურიდებელი და გულმართალი პირდაპირობა, მისივე ცხოვრების დუღილშია გამოჭედილი. მას ძვალსა და რბილში გამჯდარი აქვს რწმენა, რომ „თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“. ამ შეგნებიდან გამომდინარეობს მისი მუდმივი სიფხიზლე, თვალმოუხუჭავი ცხოვრება, მოვლენებისადმი რეალისტური მიდგომა. კესოს ერთ მიმართვაზე, რომ მან (ქვრივმა) ლაპარაკი მკვახეთ იცის, ოთარაანთ ქვრივი უპასუხებს: „შენც რომ ჩემი დღენი გამოგეცლო, ჩემს ტაფაში დამწვარიყავ, შენც ეგრე ილაპარაკებდი. ან სხვაფრივ ლაპარაკი რა საჭიროა? ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს. ქვეყანაზედ რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა: მეტი ბარგია, ლხინს რა ლაპარაკი უნდა, ძაღლს რომ უხარიან, კუდის ქნევითაც იტყვის ხოლმე“.

ოთარაანთ ქვრივი თავისი მოურიდებელი სიტყვა-პასუხისა და პირდაპირობის გამო სოფლის ზოგიერთ უსაქმურ ადამიანს არ მოსწონს, ზოგს კიდევ ეშინია მისი. მან იცის, რომ მისი ხსენებით დე-

1 ილია ჭავჭავაძე, ოთარაანთ ქვრივი, თავი III.

დები გაჭირვეულებულ მტირალ ბავშვებს აშინებენ, მაგრამ იგი არც ამას ნაღვლობს. მწერალი გვეუბნება, რომ „ოთარაანთ ქვრივმა უს კარგად იცოდა და ბევრს არას ჰნაღვლობდა, რომ ასე ეკრძალებიან, ერიდებიან და უფრთხიან ყველანი“.

ქვრივის პირადი ადამიანური თვისებებიდან კიდევ ერთია საყურადღებო. თავისებური და განსხვავებულია მისი დამოკიდებულება რელიგიისადმი. მას ხშირად მეტად მძიმე მდგომარეობაში ვხედავთ. თითქოს მოსალოდნელია, რომ იგი რელიგიისადმი სხვა ადამიანებზე მეტ ერთგულებას იჩენდეს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ ხდება. რასაკვირველია, ოთარაანთ ქვრივს ღმერთი სწამს, მაგრამ ეს რწმენა იმდენად თავისებური და ორიგინალურია, რომ იგი თითქმის არ ლოცულობს. ადამიანი უნდა პატიოსნად ცხოვრობდეს, იყოს ავკარგიანი, კეთილი და გამგებიანი. ღმერთი ცოცხალი კაცის ყოველდღიური ჭირ-ვარამისაგან „ხელდაბანილია“ იმდენად, რომ მის საქმეებში არც კი ერევა. იგი კაცისაგან მხოლოდ საიქიოში მოითხოვს პასუხს ამ ქვეყნიურ ნამოქმედარზე. — ასეთია ოთარაანთ ქვრივის შეგნება და ამ შეგნებით ცხოვრობს იგი.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის ურთი სატუბარი. გიორგი დედას მიმართავს, რომ იგი წინა ღამეს ძილში ლაპარაკობდა, ღმერთს ევედრებოდა. ქვრივს უკვირს, როგორ უნდა მომხდარიყო ეს ძილში, როცა მას „ტყუილ-უბრალო ღიჭინი“ სინამდვილეშიც ეჯავრება? შვილი არწმუნებს, რომ ქვრივი მართლაც ძილში ღმერთს ევედრებოდა და თავის მხრივ დედის პასუხით გაკვირვებული მასვე ეკითხება:

„ — ღვთის ხვეწნა ტყუილ-უბრალოა?“

„ — მა რა არის, — პასუხობს ქვრივი, — როცა უდრო-უდროა. განა ჩემის მეტი დარდი არა აქვს ღმერთსა?! ვენაცვალე იმის მადლს“...

დედისაგან ამგვარი პასუხით გაოცებული გიორგი ხელმეორედ ეკითხება: „დედი რას ამბობ?“ და ოთარაანთ ქვრივიც შვილს სრულიად დამშვიდებით და ღრმააზროვნად პასუხობს: „იმას, ჩემო კარგო, რომ ღმერთმა ადამიანი გააჩინა, უბრძანა: წადი, შენს თავს შენვე მოუარეო; შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო; რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება, მე ნურას დამაბრალებო; მე ხელი დამიბანიაო; აქ ჩემთან რომ ამოხვალ, მაშინ სხვა არისო. ადუღებულ კუპრის ზღვაზედ ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ, — გაივლიო: მადლი მხრებში შეგიჯდება და გაგატარებსო; კაი კაცს არ ჩაუწყდებაო“.

ეს პასუხი ოთარაანთ ქვრივისა შემთხვევით გამონათქვამი კი

არაა, არამედ მისი ადამიანური ხასიათის ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისებაა. მან თავისი მოვალეობა იცის და ამ მოვალეობას ასრულებს კიდეც ყველას წინაშე, ხოლო იმაზე მეტს, რაც მას ევალება, არ აკეთებს არავის მიმართ. იგი ზედმეტად არავის ეფერება.

ოთარაანთ ქვრივის ამ თვისების ცხადსაყოფად საინტერესოა ერთი დეტალი მისი საუბრიდან კესოსთან. ქვრივმა თავაზიანად მოიკითხა თავადიშვილის ოჯახი და კესომაც უპასუხა, კარგად ვართო „შენის ლოცვითა და კურთ"... მაგრამ ოთარაანთ ქვრივმა თავისი მკვახე მიმართვით, მოსაუბრეს ადრევე მოუჭრა, თითქოს პირში ბურთი ჩასჩარაო, სიტყვაც არ დაამთავრებინა. მან კესოს მტკიცედ მიმართა: „მე ჩემთვისაც არა ვლოცულობ ღმერთი არ შევაწუხო-მეთქი, და თქვენთვის სად ვილოცებდი".

ოთარაანთ ქვრივის ეს ერთი ნიშან-თვისება მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი პიროვნების საერთო დახასიათებისათვის. გარდა იმ თვისებებისა, რომელთაც აქამდე გავეცანით, ქვრივის პიროვნებაში მოცემულია კიდევ მთელი რიგი ნიშნები, რომლითაც იგი წარმოგვიდგება როგორც ზნემაღალი ქართველი დედა.

თხზულებაში ქვრივი დახატულია როგორც მეტისმეტად გამგებიანი, კეთილი, ქვრივ-ობოლთა და ღატაკთა გამკითხავი, სათნო და გულსრული ადამიანი. მართალია, სოფლის გზირს რომ ჰკითხოთ, ოთარაანთ ქვრივის ეზოში ადამიანი ვერ გაიჭაჭანებს; ქვრივის კარმიდამოში, მის უნებართვოთ, მხოლოდ მზის სხივები და წვიმა ჩადის, სხვა ვერაფერი. მაგრამ ასე მსჯელობენ მხოლოდ სოფლის ზარმაცები და ვიგინდარა მოხელეები, რომელთაც ქვრივისაგან ბევრი შავი დღე დასდგომია, სხვების (მეზობელი გლეხობის) მიმართ კი იგი სრულიად კეთილმეზობლურ და გამგებიან დამოკიდებულებას იჩენს. საკმარისია გავიხსენოთ ორიოდე შემთხვევა ნაწარმოებიდან, რომ ქვრივის პიროვნება ამ მხრივაც ცნობილი გახდეს.

სოფელ წაბლიანში ცხოვრობს ერთი წვრილშვილიანი ქვრივი დედაკაცი. ოთარაანთ ქვრივს სრულიად არ მოსწონს ეს ქალი იმის გამო, რომ იგი ზარმაცი, უხეირო და უნდილია. მიუხედავად ამისა, იგი ამ დედაკაცსაც ეხმარება, ყოველ კვირა დღეს ბავშვებისათვის ათიოდ შოთს და ერთ ბოდია კორკოტს თვითონვე უზიდავს.

სხვა შემთხვევაში მწერალი გვეუბნება, რომ „გლახა-მთხოვარა ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა". დიახ, ქვრივის კარიდან ხელცარიელი არც ერთი გლახაკი არ ბრუნდება, მაგრამ იგი ამას სჩადის არა იმისათვის, რომ თავისი

მოვალეობა მოიხადოს, არამედ ამგვარი მოქმედება ორგანულად გამომდინარეობს მისი შინაგანი ადამიანური ბუნებიდან.

სასომიხდილი მათხოვარი, რომელიც მის კარს ერთი ნატეხი პურისათვის მიადგა, ოთარაანთ ქვრივს მარანში შეჰყავს და იქ პურ-ღვინით უმასპინძლდება. ქალისაგან ამგვარი ადამიანური განკითხვის მნიშვნელობას ვერ ამცირებს ის გარემოება, რომ ქვრივი მის მიერ გაკეთებულ სამადლო საქმეებს თავისებურ პილპილსაც მოაყრის ხოლმე. დამახასიათებელია ქვრივის მიმართვა იმავე მათხოვარისადმი: „წამოეთრიე, ერთი მარანში, ღვინოს ჩაგაცეცხლებ, ნუ გეგონოს კი, რომ მადლს გიშვებოდე რასმე. აი, გაქრეს, — ოთარაანთ ქვრივმა შენთვის არა გამოიმეტოს-რა. აქ, ქვევრში რაღაც წუმპე ნაძირალა დარჩა, მაინც გადასაღვრელია, და ბარემ შენ ჩასცეცხლო“. .

იქვე მწერალი გვეუბნება, რომ ქვრივი მთხოვარს მარანში „წაიყვანდა, ერთი ორიოდ ჩარექას კაი ღვინოს გადაახუხებდა და გამოისტუმრებდა თავისებურად ქება-დიდებით“. ერთხელაც ოთარაანთ ქვრივმა თავისებურად განიკითხა ერთი მთხოვარა. გლახა, რომელმაც „უშველებელი შოთი“ მიიღო, კმაყოფილი გამობრუნდა, მაგრამ ქვრივმა ესეც არ აკმარა. მან თვალი შეასწრო, რომ მთხოვარას ფეხები დახეთქოდა ჩაუცმელობისაგან. ქვრივმა იგი შეაჩერა, სოფლის ბაზარზე გაიყვანა, ექვსი პურის ფასად საქალამნე ტყავი უყიდა და ისე გაისტუმრა. სწორედ აქ მას ერთი ვაჭარი გამოელაპარაკა: „რაო, ოთარაანთ ქვრივო, გემართა მაგისი, თუ რა არის? — ჰკითხა ქოსმანსავით გათხვირულმა მედუქნემ.

„ — მაშ არა და, მაგის თავის მზემ, ჩემს თავს პურს დავაკლებდი და მაგის ქალამანში მივცემდი, — იტყუა ოთარაანთ ქვრივმა“.

აღსანიშნავია, რომ ეს ერთადერთი ტყუილია, რომელიც ოთარაანთ ქვრივისაგან გვესმის და რომელიც მან მხოლოდ იმისათვის გამოიგონა, რომ თავის გულჩვილობაში არ გამოტეხილიყო. ასეთია იგი, როგორც გაჭირვებულთა და ქვრივ-ობოლთა გამკითხავი ადამიანი.

ოთარაანთ ქვრივის კეთილშობილი, ზნემაღალი, მგრძნობიარე და სათნო პიროვნება კიდევ უფრო სრულად წარმოგვიდგება დედაშვილურ სიყვარულში. ქალი ოცდაოთხი წლისა დაქვრივდა. გიორგი იმ დროს მხოლოდ ერთი წლისა იყო. იმ დღიდან მოკიდებული მან შვილის მოვლა-პატრონობას „ზედ შეალია თავისი ყმაწვილ-ქალობა“. ახალგაზრდა ქვრივს ბევრი მთხოვნელიც ჰყავდა, „ბევრი ეხარბებოდა, ოთარაანთ ქვრივის ოჯახში შესვლას“, მაგრამ ქალს ყველა ასეთი შემთხვევისათვის ერთი მტკიცე პასუხი ჰქონდა გამ-

ზადებული: „უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრივს, მანამ შამინაცვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა“.

ასეთი გადაწყვეტილებით მოჰკიდა ოთარაანთ ქვრივმა ხელი შვილის აღზრდას და ასე გაატარა ოცი წელიწადი. მოთხრობის დასაწყისში გიორგი უკვე ოცდაერთი წლის ახალგაზრდაა და იგი თავის ტოლებში გამოირჩევა როგორც ჯანსაღი ფიზიკური აგებულებით, ისე თავისი ზრდილობითა და პატიოსნებით. იგი სოფელში ცნობილია როგორც ყოვლად სანდო და საიმედო ახალგაზრდა, რომელსაც სასამართლოში მოწმეც არ სჭირდება. „ოთარაანთ გიორგის რა მოწმე უნდაო“ — ერთხმად აცხადებდნენ სასამართლო პროცესის დამსწრეები და თვით მოსამართლენიც.

ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის დედაშვილური სიყვარული მწერალს განსაკუთრებით სათუთად და მიმზიდველად აქვს გამოსახული. იგი გვეუბნება, რომ „მათს დედაშვილობას ბევრი შეჰნატროდა. დედაც შეჰხაროდა თავმოწონებით შვილსა. დედამიწის ზურგზედ იმის მეტი სიხარული და ლხენა სხვა არა ჰქონდა-რა, რომ შვილისათვის ეცქირნა, შვილისათვის ეცოცხლნა. „შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენთვის დავიცემ დანასაო“, — იტყოდა ხოლმე თავის გულში დედა, როცა შვილს სამუშაოდამ მომავალს დაინახავდა“.

ოთარაანთ ქვრივის, როგორც დედისა და აღმზრდელის, თავისებურებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ იგი თავის უსაზღვრო სიყვარულს ერთადერთი შვილისადმი გარეგნულად არასოდეს არ ამჟღავნებს. დედის უკიდეგანო სიყვარული შვილისადმი თვითონ გიორგისათვისაც თითქოს მთლად ცნობილი არაა.

მწერალი გვეუბნება, რომ ქალს „თავის დღეში არავისთვის შეუტყობინებია, რომ შვილი ასე გაგიჟებით უყვარს, შვილსაც კი უმალავდა თავის გულისნადებსა“. ქვრივს დედამიწის ზურგზე ერთადერთი შვილი ჰყავს და სრულიად ბუნებრივია, რომ იგი ასე უსაზღვროდ უყვარს, მაგრამ გულისნადებს მთლიანად მასთანაც არ ამჟღავნებს. ოთარაანთ ქვრივის დამოკიდებულება შვილისადმი მკითხველს ბუნებრივად მოაგონებს ალექსანდრე ყაზბეგის ცნობილ გმირს ხევისბერ გოჩას. გოჩასაც მზე და მთვარე თავის ერთადერთ შვილზე ონისეზე ამოსდის, მაგრამ გარეგნულად მაინც იგი ძალიან ცოტას ამჟღავნებს. როგორც ოთარაანთ ქვრივი, ისე ხევისბერი გოჩა შვილისათვის ცოცხლობს, მაგრამ მას არასოდეს ზედმეტად არ უალერსებია.

ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებების

გმირთა ქცევის ამგვარი მსგავსება განპირობებულია იმით, რომ ორივე მათგანი აღზრდის ხალხურ პრინციპებს ემყარება.

მხოლოდ უზადო მშობლიური სიყვარულის შედეგად შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ოთარაანთ ქვრივი დათანხმდა გიორგი მოჯამაგირედ დამდგარიყო. ქალი ქვრივ-ოხერი იყო და სხვის კარზე მისვლით თავი არ დაუმცირებია. ახლა, როდესაც გიორგი ვაჟკაცია და, იგულისხმება, ოჯახიც უფრო ღონიერია, ქვრივი იმ დათმობაზე მიდის, რომ შვილს მოჯამაგირედ დადგომაზე თანხმდება. ამ დათმობის ერთადერთი საფუძველი მისი ზღვარდაუდებელი დედაშვილური სიყვარულია.

გიორგის გადასვლა არჩილის სახლში მოჯამაგირედ, მისი წასვლა საკუთარი ოჯახიდან, ერთი უმძიმესი მომენტია ოთარაანთ ქვრივის მთელ ცხოვრებაში. ქალი დამბლადაცემულივით მოწყვეტილი გაჰყურებს სხვათა კარს მიმავალ შვილს. მას თითქოს წინათგრძნობა ეუბნება, რომ გიორგის საქციელი საბედისწეროა... მალე ოთარაანთ ქვრივი ფიქრებში წავა. იგი გონების თვალით აკვირდება მის გარშემო შექმნილ ვითარებას. მას ჰგონია, რომ იგი ძუნწობს, როცა გიორგის სურვილი ჭკუაში არ უჯდება. ქვრივს ისიც არ მოსწონს, რომ დედას, მშობელს ორი თვალი აქვს: ერთი შვილისათვის უჭრის და მეორე — თავისთვის. ხანგრძლივი ფიქრისა და შინაგანი ადამიანური განცდების შემდეგ ქვრივი გადაწყვეტით ამბობს, რომ იგი დაიბრმავებს იმ თვალს, რომელიც თავისთვის უჭრის და იცხოვრებს მხოლოდ ერთი თვალით, რათა გარდა შვილისა ვერავინ და ვეღარაფერი დაინახოს.

მკითხველს გულის საძირკვლამდე სწვდება ოთარაანთ ქვრივის სიტყვები: „არა შვილო... შენ გაიხარე, მე კი... მე კი... მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებელითღა ვიყო და ვიცოცხლებ“.

ოთარაანთ ქვრივმა გიორგის გამოზრდას შეალია თავისი ყმაწვილქალობა. უკანასკნელ მომენტშიც, როდესაც გიორგიმ მოჯამაგირეობა გადაწყვიტა, ქვრივმა თავისთვის მაყურებელი თვალი დაბრმავებულად აღიარა, რათა ზედმეტი მშობლიური „სიძუნწით“ პირნაზოსათვის ხელი არ შეეშალა.

შვილისათვის უსაზღვრო თავდადება იგრძნობა ოთარაანთ ქვრივის ცხოვრების მთელ მანძილზე. მისი დედაშვილური სიყვარული განსაკუთრებული სიდიადით წარმოგვიდგება თხზულების უკანასკნელ ნაწილებში („ეძახის“ და „წყევლა-კრულვიანი საკითხავი“). დაბოლოს, ზამთრის თოვლიან ღამეში ავადმყოფი ოთარაანთ ქვრივი ლოგინიდან წამოდგება, მოშვილელ დედაბერს გაეპარება, სო-

ფულს ვაი-ვაგლახით გაივლის, რათა გიორგის დაბადების დღეს, ოცდახუთ დეკემბერს, თავისი სიცოცხლე შვილის საფლავზე დაამთავროს.

იმავე დღეს სოფლისაკენ მიმავალმა მეცხვარეებმა სასაფლაოზე იპოვეს ოთარაანთ ქვრივი, რომელიც შვილის საფლავზე „გარდიგარდმო გადაქცეულიყო, ფეხები აქეთ პირას მიწაზე ებჯინა თითის წვერებითა და ორივე ხელი იქით პირას გადაეკიდნა, თითქო სდომებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის ხვევნით გულში ჩაეკრაო“.

კიტა აბაშიძე ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ათიან წლებში ილიას პროზაულ თხზულებათა გმირებზე მსჯელობისას ოთარაანთ ქვრივს, როგორც ლიტერატურულ ტიპს, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას ანიჭებდა. კრიტიკოსი წერდა:

„ლუარსაბი და დარეჯანი დიდის სინამდვილითა და ხელოვნებით არის დასურათებული. ბევრია მათში საზოგადო ელემენტი, მაგრამ მაინც უფრო ერთის დროისა და ერთის ხალხის თვისებათა გამომხატველნი არიან. ოთარაანთ ქვრივი კი თავის სასტიკი და მკაცრი გარეგნობით, მაგრამ არსებითად კი გულჩვილი და გულმობიერი და ადამიანურის მოვალეობის მტკიცედ შემგნები, ისეთი ხასიათია, რომელიც ქართულს ნიადაგზედა და ქართულს ტანისამოსშია აღზრდილი, ხოლო ზოგადი ტიპი კია, საზოგადოდ ადამიანისა და არა კერძოდ, მარტო ქართველის თვისებათა გამომხატველი“[1].

ლიტერატურათმცოდნეობის დღევანდელ საფეხურზე უკვე შეუძლებელია საცილობელი იყოს, რომ ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივი, სწორედ იმ ნიშნების მიხედვით, რომელთაც კიტა აბაშიძე ასახელებდა, ჭეშმარიტად ზოგადსაკაცობრიო ტიპია.

* * *

„ოთარაანთ ქვრივის“ ერთი მთავარი გმირთაგანია გიორგი. იგი თავისი კაცადკაცური თვისებებით განსახიერებაა პატიოსანი, შრომისმოყვარე და ზნემაღალი ახალგაზრდა კაცისა. მწერლის ტენდენცია, რომ ამ თხზულებით გვაჩვენოს ქართული გლეხკაცობის მაღალი ზნეობა, უწინარეს ყოვლისა გამოხატულებას სწორედ გიორგის პიროვნებაში პოულობს.

თხზულებაში გიორგი ყოველმხრივ, მთელი თავისი ადამიანური

[1] კიტა აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, 1911 წ., გვ. 249.

თვისებებით არის წარმოდგენილი. იგი ერთი წლისა იყო, როდესაც დაობლდა, ხოლო მოთხრობის ძირითადი ამბის დასაწყისში გიორგი ოცდაერთი წლის ახალგაზრდაა. გიორგი ტანად ბრგე, ჯმუხი, ძარღვიანი და მარჯვედ მოყვანილი ჰაბუკია. მის „შავგვრემანს და მოხდენილად მოყვანილ სახეს“ ამშვენებს კუპრივით შავი და კარგად დაკოკრებული წვერ-ულვაში. მწერალი გვეუბნება, რომ გიორგიმ „იშვიათად იცოდა ღიმილი, მაგრამ როცა კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ, ისე უხდებოდა ღიმილი“.

თავისებურად, ფაქიზად ჩაცმული გიორგი რომ სოფელში გაივლის, ხალხი ამბობს: „ერთი დოინჯის შემოყრა-ღა აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადიშვილიო“. გიორგის კოხტა ჩაცმა-დახურვასთან დაკავშირებით მწერალმა საზოგადოდ ქართველი გლეხის ჩაცმულობის საერთო ქება-მოწონებაც მოგვცა. იგი გვეუბნება, რომ გიორგის „კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა. იმისი ყაითნებით მორთული საცვეთები, ჭრელი წინდები და ლამაზად გაწყობილი ფეხზედ ქალამანი რომ გენახათ, მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სიტურფე და სილამაზე აქვს“.

ოთარაანთ ქვრივის მიერ აღზრდილი გიორგი ტოლ-ამხანაგებისაგან გამოირჩევა შრომისადმი განსაკუთრებული სიყვარულით. მწერლის სიტყვები რომ გავიმეოროთ, მუშაობაში გიორგის მთელ სოფელში თითქმის ბადალი არ ჰყავს. გიორგის ერთი ხელუური მთელ ძნად შეიკვრისო,—ამბობენ მისი მეზობელი გლეხები. „ბარს დაჰკრავს, ბარს, ასე გგონია დედამიწა უნდა შუაგულამდე ჩაანგრიოსო. მარტოხელა ძნას ურემს დაუდებს და შინ მოიტანსო. რაკი საქმეს დაადგება, ზედ შეელევა, მინამ თვითონ საქმეს არ შეჰლევსო. საქმის გულით ამყოლია და ბოლომდე გამტანიო“.— ასე ახასიათებს გიორგის სოფელ წაბლიანის გლეხკაცობა.

გიორგიც, ოთარაანთ ქვრივის მსგავსად, პატიოსანი, გულმართალი და პირდაპირი ადამიანია. მხოლოდ ეს გულმართალი პირდაპირობა ამოქმედებს მას იმ შემთხვევებში, როდესაც იგი სხვათა მოჯამაგირეებს სცემს. გიორგი საქმისადმი პატიოსან და გულისხმიერ დამოკიდებულებას მოითხოვს ყველასაგან, სულერთია,— იქნება იგი თავადიშვილი, გლეხი თუ მოჯამაგირე.

ეს გულსრული ადამიანი, მთელს სოფელში სახელოვანი და შინ დედის უაღრესად პატივისმცემელი ახალგაზრდა, გადაწყვეტს, რომ მოჯამაგირედ დაუდგეს თავადიშვილებს — არჩილსა და კესოს. ბუნებრივია, რომ გიორგისაგან ძნელი იყო ამ გადაწყვეტილების დედის წინაშე გამომჟღავნება. მით უმეტეს, რომ მას, როგორც

ვიცით, თავისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა არაფრით არ აიძულებდა სხვის კარს მოჯამაგირედ მისულიყო. გიორგისაგან მოჯამაგირედ დადგომაზე გადაწყვეტილება, დედა-შვილის ცალ-ცალკე მწვავე შინაგანი განცდები ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და მისი გადასვლა თავადიშვილების სახლში, მწერალს ისეთი ოსტატობით აქვს გადმოცემული, რომ მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, ოთარაანთ ქვრივმა შვილი არჩილის ოჯახში მართლა მოჯამაგირედ გაგზავნა.

თხზულების მეშვიდე თავში („ჯავრი დედისა“) ინასკვება გიორგის რომანის ძირითადი კვანძი. ამ დროს დედა უკვე ხვდება, რომ გიორგის პიროვნებაში რაღაც ცვლილებაა მომხდარი. ქვრივი ამჩნევს, რომ მისი შვილი ფიქრებით სადღაც დაქრის: მუშაობის დროს უცბად შეჩერდება და გაირინდება, ჭამის დროსაც ზოგჯერ შეჩერდება და ფიქრობს, თითქოს რაღაცამ წაიღოო.

ერთ საღამოს პირისპირ საუბრის დროს, მიუხედავად შვილის დიდი სიფრთხილისა, ქვრივისათვის გიორგის ხასიათის შეცვლის მიზეზი ნაწილობრივ უკვე გასაგები ხდება. დედა უკვე გრძნობს, რომ მის შვილს ვიღაც შეჰყვარებია, თუმცა მან ჯერ კიდევ არ იცის, თუ ვინ უყვარს გიორგის. „პაჭიჭს კი, მგონი, წვერი შემოერღვა, — სთქვა თავისთავად ბოლოს, — მგონი, მივკვლიე; დროც ერჩის და ხანიც უწერს. რატომღა არ მეუბნება, ვინ არის? ეხლა ამას სწუხდა, ამას მტკივნეულობდა დედა“.

დედა-შვილის საუბარი შეწყდა, მაგრამ „მიკვლეულით“ დაინტერესებული ქვრივი ვერ ისვენებდა. შუა ღამემ მოატანა და იგი ისევ შვილზე ფიქრობდა. მან ამ დროს იმასაც მიაკვლია, თუ როდის, რა დროიდან უნდა მომხდარიყო გიორგის ხასიათის შეცვლა: მოაგონდა, რომ ეს მოხდა ორი წლის წინათ, როდესაც გიორგი იარაღასხმული წავიდა თითქოს სანადიროდ, მაგრამ სამი დღის შემდეგ ხელცარიელი დაბრუნდა. „მას აქეთ დაიგდო ნაღველმა... მას აქეთ დააწვა რაღაც ლოდი გულზედ და ვეღარ აუხსნია“, — ფიქრობს ოთარაანთ ქვრივი.

მგრძნობიარე დედის გული ხან საით გაიწევს და ხან საით. ზოგჯერ სხვა უფრო მძიმე და არასასიამოვნო ვარაუდიც გაურბენს თავში, მაგრამ ქვრივი მეტწილად მაინც იმ აზრზე ჩერდება, რომ მის შვილს ვიღაც უყვარს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან გიორგის „დროც ერჩის და ხანიც უწერს“.

ასეთია დედისათვის სავარაუდო მონაცემები გიორგის სიყვარულზე მოთხრობის მეშვიდე თავში. მომდევნო ნაწილში („გატეხს ქვასაცა მაგარსა“) ოთარაანთ ქვრივისათვის და აგრეთვე მკით-

ხველისათვის ნათელი ხდება, რომ გიორგი თავადიშვილის ქალზე შეყვარებულია.

თხზულების მომდევნო ნაწილში მკითხველის თვალწინ იშლება ახალი საინტერესო სცენა: დედა-შვილი კვლავ ერთად არიან და საუბრობენ. ქვრივი სასტიკად იტანჯება იმის გამო, რომ გიორგი საკუთარ გულში ჩაკეტილა და თავის საწადელს დედას არ უმჟღავნებს. ოთარაანთ ქვრივის ადამიანური განცდა იმდენად ძლიერია, რომ გიორგიმ დედის თვალში ცრემლი დაინახა. დიახ, გიორგიმ პირველად ამ დღეს დედის თვალზე ცრემლი შენიშნა. თხზულებაში ნათქვამია, რომ „ამის მეტად დედის თვალზედ შვილს ცრემლი არ ენახა — ან იქნება ენახა და არ ახსოვდა; გიორგის ეოცა, გაუკვირდა. რკინის გადნობას ხელში ჭერისაგან დაიჯერებდა და დედის თვალში კი ცრემლს არა, სხვას რომ ეთქვა“.

იმ დროს, როდესაც დედის გული ასე მოჩვილებული ნახა, გიორგი უკვე გამოტყდა, რომ მას მოჯამაგირედ დადგომა სწადია. შვილის აღიარებას ოთარაანთ ქვრივი გაოცებით შეხვდა: — „ეგ რა სთქვი, შვილო? მამის შენის შვილი და ბოგანა-მოჯამაგირეობა? საიდამ სადაო? ხომ საფლავში გადატრიალდა მამა-შენი სირცხვილისაგან“. — შესძახა შვილს დედამ.

ასე ეუცხოვა ოთარაანთ ქვრივს შვილის ნათქვამი პირველად, მაგრამ წინდახედული დედაკაცი არც ახლა დაიბნა და გიორგის მხოლოდ ჰკითხა, თუ ვისთან ფიქრობდა იგი მოჯამაგირედ დადგომას. გიორგიმ დედას პირდაპირ უპასუხა, რომ მას არჩილის ოჯახში მოჯამაგირეობა სწადია: „ერთადერთი სახლია, ან იქ, ან არსად არ“.— მოკლედ მოუჭრა სიტყვა შვილმა.

რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ ქვრივისათვის გიორგის სიყვარულის ობიექტი უკვე ცნობილია და მწერალიც დაასკვნის, რომ „ოთარაანთ ქვრივმა ეხლა კი თითზედ იკბინა. თითქოს რაღაც ენიშნაო. რაღაცას მიაგნო. შვილს გადაწყვეტილი არა უთხრა-რა, ალარც შვილი გამოეკიდა, თითქო დიდმა საგონებელმა ამისთვის ალარ მოიცალაო“.

ამ დროს ჩვენ უკვე წარმოდგენა გვაქვს ოთარაანთ ქვრივზე, როგორც დედაზე. ამიტომაც ალარ გვიკვირს, რომ მაშინ, როდესაც შეყვარებული შვილის გულში ჩაიხედა, იგი დარწმუნდა, რომ გიორგის სურვილის წინააღმდეგ ხმის ამოღება შეუძლებელი იყო. მხოლოდ ამის შემდეგ ქვრივი არჩილთან თვითონვე მივიდა, რათა გიორგის მოჯამაგირედ დადგომაზე თანხმობა ეთქვა.

არჩილი და კესო გრძნობენ, რომ ოთარაანთ ქვრივს გიორგის მოჯამაგირედ დადგომა არ უხარია. არჩილი მას ჰპირდება, რომ გიორგის უარს ეტყვის მიღებაზე, მაგრამ ახლა უკვე ქვრივი თვითონ-

ვე ეუბნება თავადიშვილს: „ნუ, ნუ!.. ნუ ეტყვი უარს, მე დედა ვარ და წამავალი, ის შვილია და მომავალი, მე მივდივარ, ის მოდის. იმისი დღენი გასაველელი მინდორია, მე კი ჩემი მანძილი გამიელია. მე ბოლოში ვარ, ის თავში. წინ ვერ ავეფარები“.

კესოს, რომელიც ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ძალზე გულუბრყვილოდ მსჯელობს, ჰგონია, რომ ქვრივის შვილი მატერიალური დაინტერესებით მოდის მის ოჯახში მოჯამაგირედ. იგი ოთარაანთ ქვრივს ეკითხება: „მითომ რა გაჭირვებაა, თუ შენი საამური არ არის“?

კესოს კითხვას ოთარაანთ ქვრივი მტკიცედ და გარკვევით უპასუხებს, რომ გიორგის მოჯამაგირედ დადგომის მიზეზი გაჭირვება კი არაა, არამედ მისი სურვილია, იღბალია. „გაჭირვება რას მიქვიან? სურვილია, იღბალია, — ამბობს ქვრივი, — ჯერ დაუდუღარი მაჭარია და ბუყბუყებს. დაუდუღარს მაჭარს სარქველი არ დაეხურება, ჭურჭელს გაახეთქს. დეე, თავის ნებაზედ იყოს. მე არ ვუშლი, რაკი თვითონ არ იშლის“.

ამის შემდეგ უკვე გიორგის მოჯამაგირედ დადგომის მიზეზი სრულიად ნათელია როგორც ოთარაანთ ქვრივისათვის, ისე მკითხველისათვის. მას თავადიშვილის ქალი კესო უყვარს და მასთან სიახლოვის მიზნით მის ოჯახში მოჯამაგირედ დგება. გიორგი მთელი თავდადებით ემსახურება თავადიშვილებს. აქაც მისთვის დამახასიათებელია იგივე ბეჯითობა და ნამუსიანობა, როგორც საკუთარ ოჯახში შრომის დროს. მოჯამაგირის ჭკუითა და პატიოსნებით მოხიბლული არჩილი კესოსთან საუბარში ამბობს: მე მაგას შეგირდად მივებარები, დიახ, შეგირდად; ჩვენ რანი ვართ მაგასთან... დეე, მაგან გვასწავლოს და გვწვრთნასო.

თავადიშვილები — როგორც არჩილი, ისე კესო, მოხიბლული არიან გიორგის ერთგულებით, ჭკუით, ბეჯითი შრომითა და პატიოსნებით. თავის მხრივ გიორგიც კმაყოფილია იმით, რომ ამ გარემოში ტრიალებს და ამით საშუალება ეძლევა მიუწვდომელ სატრფოს ხედავდეს, თვალით მაინც წვდებოდეს. გიორგის ამჟამინდელ მდგომარეობაზე თხზულებაში ნათქვამია:

„არც გიორგი ემდუროდა თავის ბედსა. პირიქით, უხაროდა კიდეც თავისი ბედი. — მე მეტი არა მინდა-რაო, — ამბობდა ხოლმე თავის გულში, როცა ამისთანებს ჩაუფიქრდებოდა. — გადამკიდებიან ჯამაგირისა სთქვი რამეო. რა ჯამაგირი მინდა!.. მე ისიც მყოფნის, რომ ყოველ ცის-ამარა დღეს მზეს ვუყურებო“. დაბოლოს გულში ჩამწვდომია გიორგის სიმღერა, რომელსაც იგი შეუცვლე-

ლად, დღენიადაგ, თავისთვის ჩუმად ღიღინებს: ეს სოფელი მიტომ მინდა, შენ გიყურო ჩემო მზეო".

დიახ, ორივე მხარე ცალ-ცალკე სავსებით კმაყოფილია. თავადიშვილები კმაყოფილნი არიან იმით, რომ კარგი მოჯამაგირე იშოვეს, ხოლო გიორგი კმაყოფილია იმით, რომ კესოს — მისთვის საოცნებოს, მაგრამ მიუწვდომელს არსებას, ყოველდღე ხედავს.

დრო გადის. გიორგი შორიდან თავს ევლება კესოს, მაგრამ ქალი იმდენად გულგრილია, რომ ვერ ამჩნევს რა ხდება მის გარშემო. ნაწარმოებში მთელი რიგი ისეთი მომენტებია, რომ მოსალოდნელი იყო კესოს ეს სიყვარული შეემჩნია. გიორგი მასთან ყოველი შეხვედრისა და გასაუბრების დროს საკმარისად ამჟღავნებს თავის გრძნობას, მაგრამ ქალისათვის ეს იმდენად მოულოდნელია, რომ მას ვერც კი ამჩნევს. კესოსაგან ამგვარი გულგრილობა შემთხვევითი არაა. გიორგის მოტრფიალე გულს ხვდება თავადიშვილის ქალის ბრმა გული... გული „გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი". ესაა მთავარი, მწერალს სწორედ ამის თქმა უნდა.

გიორგიმ თავადიშვილების ოჯახში მოჯამაგირედ დაახლოებით რვა თვე გაატარა. იგი ამ ოჯახში მისული უნდა იყოს თებერვლის ბოლოს, ყოველ შემთხვევაში მარტის დამდეგს უკვე გიორგი და კესო ერთმანეთს საქმეზე სასაუბროდ შეხვდნენ: კესომ მას ნახაზები აჩვენა და სახლის წინ ყვავილნარის გაშენება დაავალა.

გიორგი არჩილის ოჯახში შემოდგომამდე ცხოვრობს. იგი იღუპება იმ დროს, როდესაც სოფელში მოსავალი უკვე აღებულია და უკანასკნელად თივასა და ჩალას აბინავებენ (თავები XIV-XV-XVI). როგორც აღინიშნა, ამ ხნის განმავლობაში მთელი რიგი შემთხვევები იყო, რომ მისთვის კესოს სიყვარული შეემჩნია. მაგრამ თავადიშვილის ქალის გული ბოლომდე ბრმად რჩება და საქმის მთელი ვითარება მხოლოდ გიორგის სიკვდილის წინა წუთებში ეჭვდებება.

მკითხველის თვალწინ იშლება შინაარსობრივად მძიმე, მაგრამ მხატვრულობის თვალსაზრისით დიდებული სანახაობა: სასიკვდილოდ დაშავებული გიორგი არჩილმა თავის ოთახში ააყვანინა და თავის საწოლზე მოათავსა. უბედური შემთხვევის გამო თავადიშვილის სახლში ხალხი ბლომად მოგროვდა. ოთარაანთ ქვრივიც ამბის გაგებისთანავე მოვიდა. ბიჭი, რომელმაც ეს შემთხვევა ქვრივს აცნობა, ამბობს რომ ეს „ვეება დედაკაცი" კინაღამ თავზე არ წამოექცა.

თავადიშვილების ოჯახში მისული ოთარაანთ ქვრივი ცეცხლმოკიდებული გულით ცრემლებს იშრობს და შვილს თავს ევლება, რათა მისი უკანასკნელი სიტყვები გაიგონოს. „შვილო, დედის-

ერთავ, მამის ობოლო! ერთი ხმა გამე, ერთი კიდევ მომხედე!.. — შეჰკვნესა დედამ და ტუჩებთან მიუტანა პატარა თასით ღვინო". გიორგიმ ორიოდე წვეთი ჩაყლაპა, იქვე მდგომ კესოს შეხედა და თავისი აღსარებაც თქვა. მწერალი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გიორგისაგან გამომჟღავნება ახალი და მოულოდნელი აღმოჩნდა თავადიშვილებისათვის, ხოლო ოთარაანთ ქვრივისათვის იგი მოულოდნელი სრულიადაც არ ყოფილა.

მწერალი შთამბეჭდავად ამბობს: „არჩილმა გაოცებით შეხედა კესოს. კესოსაც ელდა ეცა, გაფითრდა, გაშრა, გაშტერდა. დედას კი თითქო არ ეუცხოვა ეს ამბავი".

მკითხველის მეხსიერებაში დიდი ხნით რჩება გიორგის სიტყვები სიკვდილის წინ, რომლითაც იგი ემშვიდობება დედას, არჩილსა და კესოს. მის სიტყვებში, ერთი მხრივ, იგრძნობა გულსრული და ზნემაღალი პიროვნება თვითონ გიორგისა, ხოლო მეორე მხრივ, მზის სინათლეზეა გამოტანილი წოდებრივი უთანასწორობა, რომელიც გიორგისა და კესოს ერთმანეთისაგან აშორებს.

სასიკვდილოდ განწირული გიორგი მშობელ დედას უკანასკნელად ასე მიმართავს: „ჰხედავ, დედი!.. ცოცხალი მაგის ღიმს ვერ ვეღირსე, ვკვდები და მაგისი ცრემლი ზედ დამდის. ესეც მეყოფა თან წასატანად ლხენად... არა ვნანობ, არა!... მივდივარ და თან მიმაქვს ამის ცრემლით განედლებული სიხარული. იქ ვახვირებ, იქ... ნუ იწუხებ, დედი!.. შენგან გამიგონია, რასაც არა ეშველებარა, კაცი არ უნდა აეთრევინოსო!.. არჩილ, ნუ მიწყენ, ნუ!"

თხზულების იმავე ნაწილიდან განსაკუთრებით შთამბეჭდავია გიორგის უკანასკნელი მიმართვა კესოსადმი. იგი მას ღრმა ადამიანური გრძნობით ეუბნება, ნუ მიწყენო „ნურც შენ, ნურც შენ!.. განა არ ვიცოდი, — მე ვინ და შენ ვინ!.. სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავს!... გული გწვდებოდა, გული, ხელი კი ვეღარ... ხატსავით გლოცულობდი, მზესავით დამნათოდი.. არც კი იცოდი, — ვის ათბობ, ვის ალხენ, ვის აცოცხლებ!.. მინამ ცოცხალი ვიყავ, ვერ გაგიტყდი, მცხვენოდა..... მერიდებოდა... მეშინოდა.. ვკვდები და გეუბნები.. მკვდარს რაღა მომეკითხება? მკვდარი ყველა თანაბარია!.." [1].

კაცი მიუწვდომელი სიყვარულისათვის კვდება და არც ნანობს. რაოდენ ზნემაღალი და რაოდენ გულსრული უნდა იყოს ადამიანი, რომ სიკვდილის წინ ასე მსჯელობდეს. გიორგიმ კესო შეადარა ცაში მანათობელ ვარსკვლავს, რომელსაც გულით წვდებოდა, მაგრამ

[1] ილია ჭავჭავაძე, ოთარაანთ ქვრივი, თავი XXVIII.

ხელით კი ვერა. ამ სიტყვების შემდეგ მკითხველისათვის ცნობილი ხდება მანძილი, რომლითაც ეს ორი სხვადასხვა წოდების ადამიანი ერთმანეთისაგან არის დაშორებული.

კესო გიორგის აღსარების შემდეგ ადამიანურად განიცდის მოჯამაგირის მდგომარეობას. იგი წუხს მომხდარი შემთხვევის გამო, მაგრამ ეს მაინც სიბრალულის გრძნობაა და არა სიყვარულისა. კესო თვით აღიარებს, რომ მას გიორგისთან შეუღლება არ შეეძლო, თუნდაც მისი სიყვარული ადრევე სცოდნოდა. თხზულების ამ ნაწილში („ჩატეხილი ხიდი“ და „დასაწყისი განთიადისა“) მწერლის მიერ გამომზეურებულია არჩილისა და კესოს სოციალური წრის მთელი შინაგანი სამყარო.

* * *

არჩილისა და კესოს ყველაზე ადამიანური, ყველაზე კეთილშობილური თვისებები მჟღავნდება გიორგის გარდაცვალების შემდეგ. როგორც თხზულებიდან ვიცით, არჩილმა ყველა ღონისძიება მიიღო სასიკვდილოდ დაშავებული გიორგის გადასარჩენად, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. გიორგი გარდაიცვალა. არჩილმა უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ყოველგვარი ხარჯი გაიღო და მიცვალებული „დიდის ყოფითა და ამბით დაამარხვინა“. უმნიშვნელო არც ისაა, რომ „სახლიდამ ეკლესიამდე და მერე ეკლესიიდან სასაფლაომდე კუბო ეჭირა არჩილს და გლეხკაცებთან ერთად ეწეოდა, ასე რომ არავის გამეეცვლევინა“.

კესოც თავის მხრივ, მძიმე შავებში „ჭირისუფალსავით გულხელდაკრეფილი და მგლოვიარე თავ-ჩაკიდებული ხმა-ამოუღებლივ მიჰყვა მიცვალებულს სასაფლაომდე“. იმ დროს, როდესაც მიცვალებული სამარეში ჩაუშვეს, ქალიშვილმა მუხლი მოიყარა, პირჯვარი გადაიწერა და ხმაგაკმენდილი ჰლოცულობდა. „ბოლოს, ერთი პეშვი მიწა მიაყარა და უცბად წამოდგა, გამოტრიალდა, თითქოს შეაშინა რაღაცამაო“.[1]

გიორგის გარდაცვალება და მასთან დაკავშირებული მოვლენები დიდხანს მითქმა-მოთქმის საგნად რჩება სოფელ წაბლიანში. დიდი ნაწილი გლეხკაცობისა კმაყოფილებას გამოთქვამს არჩილისა და კესოს მიერ მიცვალებულის კარგად „გაპატიოსნებაზე“, მაგრამ ზოგნი იმასაც ამბობენ: „კაცი მოიდნეს და ქვეყანას ამით უბმენ თვალსაო“. ეს არასასიამოვნო ხმები არჩილისა და კე-

[1] ილია ჭავჭავაძე, ოთარაანთ ქვრივი, თავი XIX.

სოს ყურამდეც აღწევს. თავის მხრივ ეს შემთხვევა მწერალს გამოყენებული აქვს იმისათვის, რათა და-ძმამ შეფასება მისცენ მათ თვალწინ მომხდარ ფაქტებს.

კესო უკმაყოფილოა იმით, რომ მათ (კესომ და არჩილმა) წმინდა გულით მოიხადეს თავიანთი ვალი გიორგის წინაშე და გლეხობამ კი და-ძმას ცილი დასწამა, ჩირქი მოსცხო. საწინააღმდეგო აზრისაა არჩილი, მას ამგვარი უმადურობა გლეხობისა არ უკვირს, ყოველ შემთხვევაში, იგი მათ არ ადანაშაულებს.

თავადიშვილის ქალის კესოს პიროვნება თავისთავად საინტერესოა. როგორც არ უნდა იყოს, ერთი მაინც ცხადია, შეუძლებელია გავიზიაროთ აზრი კიტა აბაშიძისა, რომელმაც ამ ქალის ადამიანური ღირსება ნულამდე ჩამოაქვეითა. კიტა აბაშიძე წერდა: „ეგ კესო სწორედ ნულია და ავტორს სულაც რომ არა ეთქვა-რა მის შესახებ და ეთქვა მხოლოდ, რომ არჩილსა ჰყვანდა ნულივით უშინაარსო და, რომელიც გიორგის უყვარდაო, ამით არას წავაგებდით“ [1].

კესოს პიროვნების ამგვარი შეფასება ნაწარმოების ძირითადი იდეის მიგნებას გააძნელებდა. გიორგის ზნემაღალი პიროვნება მწერალმა არსებითად სწორედ კესოს დაუპირისპირა და რომ იგი ნულივით უშინაარსო იყო, მაშინ დაპირისპირებასაც არავითარი აზრი აღარ ექნებოდა. პირიქით, კესო ძალიან შინაარსიანი ქალია, განათლებული და კულტურული. არჩილთან მისი საუბრები, და-ძმის კამათი რთულ ცხოვრებისეულ საკითხებზე არავითარ უფლებას არ გვაძლევს, რომ ამ ქალს უშინაარსო ვუწოდოთ. მან გიორგის ვერ გაუგო იმიტომ კი არა, რომ იგი ნულივით უშინაარსოა, არამედ იმიტომ, რომ მას, როგორც თავადიშვილის ქალს, მკერდში უდევს ბრმა გული „გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი“.

კესოს გული ყველა კაცის მიმართ კი არ არის დახშული, არამედ მხოლოდ გლეხის მიმართ. კესოს საქციელის შეფასება მოცემულია არჩილის მიმართვაში დისადმი. კესოს განცხადებას, რომ „სიყვარული ბრძანებით არ მოდის“, არჩილი სრულიად გარკვევით უპასუხებს: „აქ თავისთავად უნდა მოსულიყო, რომ, უკაცრაოდ, ბრმა გული არ დახვედროდა, გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი. აბა, შენი ტოლი კაცი ყოფილიყო და ვინ იცის, იქნება ბრძანებასაც გაეჭრა. სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდი და მაინც, სხვა არა იყოსრა, თუნდა ნაასალი მადლიც გიორგისა არ სცხებოდა. აქ კი გვარიშვილობამ კარი გულისა არ გაუღო. წმინდა შუქი მშვენიერი სულისა ამაოდ და უქმად-ღა ჯავარსავით ეფინებოდა ცივს კე-

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, 1911 წ., გვ. 237.

დელს. შენ ვერც კი მიუხვდი, ვერც! იმან კი იცოდა და არა სჩიოდა. „არა ვნანობო, არაო!".. მოკვდა და ეს უწყინარი სიტყვები ჩვენ დაგვიგდო ჩვენის თავის გასაკითხად" [1].

მაშასადამე, არჩილისავე მხილებით, კესოს გულის გახსნა სრულიად შესაძლებელი იქნებოდა, რომ გიორგი წოდებრივად მისი ტოლი კაცი ყოფილიყო. თავადის ქალის გული ცხრა კლიტით დაკეტილი აღმოჩნდა მაშინ, როცა მასთან ოთარაანთ ქვრივის შვილი მივიდა. სწორედ აქ, კესოსა და გიორგის დაპირისპირებაში, პოულობს გამოხატულებას მწერლის ძირითადი იდეა, რომ გვაჩვენოს წოდებათა შორის არსებული ხიდჩატეხილობა.

კესოს სახით ნაწარმოებში გამოყვანილია ტიპიური მონანიე ახნაური. იგი ოცნებობს დაანგრიოს კედელი, რომელიც წოდებებს ერთმანეთისაგან აშორებს. მან სიტყვა, ლაპარაკი კარგი იცის წოდებათა შორის ზღვარის მოსასპობად, მაგრამ საქმით იმავე ზღუდეს თვითონაც ებლაუჭება და ამაგრებს.

ასეთია კესოს პიროვნება.

კიდევ უფრო საინტერესოა „ოთარაანთ ქვრივში" გამოყვანილი არჩილის სახე. ამ კაცის მდგომარეობა და საქმეები ჩვენთვის ნაწილობრივ უკვე ცნობილია ნაწარმოების სხვა გმირებთან დაკავშირებით. მისი პიროვნება განსაკუთრებით დასრულებული სახით წარმოგვიდგება იმ მომენტში, როცა იგი კესოსთან საუბარში, გიორგის სიკვდილის შემდეგ, საღი გონებითა და დაკვირვებით მსჯელობს მისდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე („ჩატეხილი ხიდი", „დასაწყისი განთიადისა").

არჩილი მკაცრად აკრიტიკებს თავის თავსაც და თავის დასაც იმის გამო, რომ მათ გიორგის ვერ გაუგეს და კესო მას არ შეირთავდა, თუნდაც მისი სიყვარული სცოდნოდა. „იცი რა იყო გიორგი! — მიმართავს არჩილი კესოს, — გიორგი მთელი წიგნი იყო, ხიდგაღმა დაწერილი. გიორგი წიგნია-მეთქი, მთელი წიგნი ცხოვრებისა, სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი. წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ. რას არა ვკითხულობთ მე და შენ და ათასი ჩვენისთანა, მწიგნობრობით დღეს ვის არ მოაქვს თავი და მაგის ანბანი კი თურმე არა გვცოდნია. გიორგი ცოცხალი ხატია ღირსებისა. „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებსო", ნათქვამია, და რამდენჯერ გვითქვამს მე და შენ, — რა კარგად და მართლად არის ნათქვამიო. წიგნში ეს დანახული გვაქვს, ენაზედაც ხომ გვაკერია და გვაკერია. ცხოვრებამ კი რომ ამისი ცოცხალი ხატი წინ დაგვიყენა ვერ ვიცანით: „თვალით ნახული ვერ დავინახეთ. არ შეირთავდი! ვის? „მშვენიერ სულსა". არ გიყვარდა, ვინ? „თაყვან-

[1] ილია ჭავჭავაძე, ოთარაანთ ქვრივი, თავი XX.

საცემი ღირსება“. არ გიყვარდა ის, ვისაც „ცის სხივით აცისკროვნებს მშვენიერება სულისა“.

არჩილი აშკარად აღიარებს, რომ კესოსაგან გიორგის შეურთველობის მიზეზი არის წოდებათა შორის ხიდჩაქტილობა. იგი თავის მსჯელობაში საკმაოდ მკვეთრად ამჟღავნებს თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის არსებულ წინააღმდეგობას. არჩილი მისდროინდელ წოდებათა ურთიერთობაზე ამბობს: „ერთმანეთს უჩირქოდ ვერ გადვურჩებით, როცა ერთმანეთს მოვხვდებით ხოლმეო“.

ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ არჩილის მსჯელობაში ჩამოყალიბებულია ერთგვარი შეხედულება, თვალსაზრისი მოწინააღმდეგე წოდებათა მომავალ მდგომარეობაზე ცალცალკე.

აქ ერთი კონკრეტული ფაქტის გახსენება აუცილებელია. იმ დროს, როდესაც არჩილი კესოს ესაუბრება გლეხობისაგან თავადიშვილების მიმართ უნდობლობასა და უმადურობაზე, საზოგადოების ცოცხალსა და მკვდარ ნახევრებზე, შეშფოთებული კესო მიმართავს ძმას: „მაშ წასულია ჩვენი საქმე, თუ მართლა ეგრეა!“

კესოს ამ სიტყვებს არჩილი სრულიად დამშვიდებით და დამაჯერებელი ტონით უპასუხებს: „ვინ გითხრა? ჩვენისთანისა — იქნება ჰო, მაგრამ იმათი კი არა“.

არჩილის ეს გამონათქვამი მნიშვნელოვანია მით უფრო, რომ სწორედ ამ სიტყვებს პირდაპირ მოსდევს ცნობილი დაპირისპირება გლეხობისა და თავადაზნაურობისა, რომელსაც იგივე არჩილი დასთან საუბარში ახდენს.

„ჩვენ რაცა ვართ, — ამბობს არჩილი, — გაკეთებულნი ვართ, ისინი კი შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება — ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, — ჩვენ დონდლონი, დუნენი. აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია“.

წოდებათა შორის განსხვავების დანახვას ავსებს მათ შორის არსებული ხიდჩატეხილობის აღიარება არჩილის მიერ. იგი არა მარტო ხედავს, აღიარებს, რომ წოდებათა შორის ხიდი ჩატეხილია, არამედ იმავე დროს ცდილობს, რომ ეს ჭეშმარიტება სხვებსაც დაანახოს, გააგებინოს და შეაგნებინოს. არჩილი კესოს მიღწევად უთვლის იმ ფაქტს, რომ თავადის ქალიშვილმა უკვე შეიცნო წოდებათა შორის არსებული ხიდჩატეხილობა. იგი დას მიმართავს: „ეგ მინდა, რომ ყველამ დაინახოს, ეგ მინდა რომ ყველამ ვიცოდეთ“.

ხიდჩატეხილობის ასე ნათლად აღიარება და გლეხობაში არსებული სასიცოცხლო ძალების ამგვარი დახასიათება ბევრის მთქმელია არჩილის სასახელოდ. ამით იგი საგრძნობლად განსხვავდება ჩვეულებრივი მონანიე აზნაურისაგან. არჩილი უფრო რადიკალურია, ვიდრე მისი ეპოქის სხვა რომელიმე მონანიე აზნაური.

ამრიგად, „ოთარაანთ ქვრივში“ ავტორმა მიზნად დაისახა ეჩვენებინა წოდებათა შორის ურთიერთობა მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში. ამ მიზნით მან ერთმანეთს დაუპირისპირა ახალი ეპოქის თავადაზნაურობისა და გლეხობის წარმომადგენლები. მათი ყოველდღიური ცხოვრების, მდგომარეობისა და საქმეთა შეპირისპირებით მწერალმა გლეხობის ზნეობრივ-ადამიანური უპირატესობანი თავადაზნაურობასთან შედარებით სავსებით ნათლად და დამაჯერებლად ცხადყო. ოთხმოციანი წლების გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის არსებული წინააღმდეგობის ამგვარად წარმოსახვა ილია ჭავჭავაძის მიერ სავსებით ბუნებრივია. „გლახის ნაამბობი“, „კაცია, ადამიანი“, და „ოთარაანთ ქვრივი“ ერთი მთლიანი ტრილოგიაა, რომელშიც გამოხატულებას პოულობს მწერლის კეთილშობილური იდეა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისა.

ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“

ილიას შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით ინტერესს იწვევს მისი ფილოსოფიური პოემა „განდეგილი“. „განდეგილის“ სახით ჩვენ საქმე გვაქვს მხატვრულ თხზულებასთან, რომელშიც გაშუქებულია საინტერესო პრობლემა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისა.

სანამ თხზულების იდეურ-თემატიკურ გარჩევას შევუდგებოდეთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ორიოდე სიტყვით მისი შემოქმედებითი ისტორიაც აღვადგინოთ.

1883 წლის 9 იანვარს გაზეთი „დროება“ იტყობინებოდა:

„ჩვენი ნიჭიერი პოეტი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე ამზადებს ახალს პოემას მთიელთ ლეგენდიდგან, რომლის წარმოებაც ხდება ყირვან წვერზედ, ყინულებით შემოზღუდულს გამოქვაბულს კლდეში, სადაც მომქმედ პირად არის გამოყვანილი წმინდა მამა და მეცხვარე ქალი“. [1]

ასეთი იყო პირველი ცნობა. რამდენიმე დღის შემდეგ, 1883

[1] გაზეთი „დროება“ ,1883 წ., № 5.

წლის 8 თებერვალს ილიამ იგი ხელნაწერის სახით დაუთ სარაჯიშვილის ბინაზე მოწყობილ შინაურ შეკრებაზე წაიკითხა. გრიგოლ ყიფშიძის გადმოცემით, ამ ლიტერატურულ შეკრებას ბევრი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დასწრებია.

„განდეგილის“ წაკითხვისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ შეკრებას გამოეხმაურა გაზეთი „დროება“. იგი წერდა:

„ერთ კერძო სახლში, ამ სახლის პატრონის მოწვევით შეიყარნენ გუშინ, 8 თებერვალს, ოცამდინ თანამგრძნობნი და მოყვარულნი ქართულის მწერლობისა და აქ ილია ჭავჭავაძემ წაიკითხა თავის ახალი პოემა „განდეგილი“. ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა ყველა იქ მყოფზე ჩვენი პოეტის ახალმა ნაწარმოებმა. სიამოვნებით დავრწმუნდით, რომ „ყაჩაღის ცხოვრებისა“ და „აჩრდილის“ ავტორს, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ერთობ იშვიათად ემუსაიფება მუზას, არც ძველი ნიჭი დაჰკლებია, არც ძველი ხელოვნება და არც საზოგადოდ ლექსთა თხზვის მოხერხება; დავრწმუნდით, რომ ილია ჭავჭავაძე ჩვენს პოეზიას ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია და შემდეგშიაც უნდა მოველოდეთ ამგვარ იმის კალმის ნაწარმოებსა. პოემა „განდეგილი“ ისეთი ნაწარმოებია, რომელიც ჩვენს პოეტურ ლიტერატურაში უეჭველია საპატიო ადგილს დაიჭერს და რომელიც ავტორის სახელს რამდენიმე ახალ სხივს მიუმატებს“ [1].

ასე შეხვდა ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ილიას ახალ თხზულებას. გაზეთი „დროება“, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ დაბეჭდვამდე, ვიწრო წრეში ხელნაწერის წაკითხვიდან მიღებული შთაბეჭდილების საფუძველზე წინასწარმეტყველებდა, რომ „განდეგილი“ ქართულ ლიტერატურაში საპატიო ადგილს დაიჭერს და „ავტორის სახელს რამდენიმე ახალს სხივს მიუმატებსო“. ეს წინასწარმეტყველება ისტორიამ მთლიანად დაადასტურა.

ამ ლიტერატურულ შეკრებასთან დაკავშირებით ერთი გარემოებაც აღსანიშნავია, სახელდობრ ის, რომ ამ შემთხვევამ ერთგვარი როლი შეასრულა პოემის საბოლოო სრულყოფის საქმეში.

როგორც ზემოთ მოტანილ ცნობიდან ჩანს, „განდეგილის“ წაკითხვამ დამსწრეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ იმავე შეკრებაზე ჩვენს ავტორს მისცეს ერთი შენიშვნა, რომელიც დიდმა მწერალმა გამოიყენა, პოემა კიდევ უფრო დახვეწა და გააშშვენიერა. შენიშვნა ნაწარმოების მთავარი გმირის განდეგილის პორტრეტს შეეხებოდა. „თუ ხსოვნა არ მღალატობს, — გადმოგვცემს გრიგოლ ყიფშიძე, — წამოდგა ი. მ-ა, ცნობილი მოყ-

[1] გაზეთი „დროება“, 1883 წ., № 29.

ვარული ქართულის მწერლობისა და სთქვა აღტაცებით: მშვენიერია, ილია, მშვენიერი, მხოლოდ პოემაში სურათს ვერა ვხედავ, თვით განდეგილის სურათს, მის გარეგნობის აღწერას, მის პორტრეტსაო“[1].

შენიშვნამ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. რამდენიმე დღის შემდეგ პოემაში გაჩნდა ღრმა შინაარსიანი და დიდი პოეტური ოსტატობით შესრულებული პორტრეტი განდეგილისა, რომელიც ამჟამად საყოველთაოდ ცნობილია. ახლა უკვე ძნელია წარმოვიდგინოთ „განდეგილი“ გარეშე იმ ნაწილისა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ აღნიშნული შეკრების შემდეგ გამოაჭანდაკა. მისი ერთი სტროფი ასე იკითხება:

არ იყო ხნიერ, მაგრამ, ვით წმინდანს,
სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა,
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.

განხილული მასალებით ნათელი ხდება ის საყოველთაო მოწონება, რომელიც თხზულებამ თავიდანვე დაიმსახურა. დროთა განმავლობაში „განდეგილის“ პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა. ამჟამად იგი საყოველთაოდ აღიარებულია როგორც ერთ-ერთი შესანიშნავი პოემა მთელს ქართულ მწერლობაში. „განდეგილი“, როგორც ღრმაიდეური ნაწარმოები, დიდი ხანია სასკოლო სახელმძღვანელოებში შევიდა და საბოლოოდ დამკვიდრდა.

„განდეგილის“ პოეტურ ღირსებაზე კიტა აბაშიძე დაჯერებული წერდა: „ეს პოემა იმ შედევრს ეკუთვნის, რომელშიაც ერთი წერტილიც არ არის მეტი, რომელშიაც ერთი სტრიქონი მეორესა სჯობს და ეს მეორე — პირველს. მეორე თავის ადგილს უფრო ძლიერია პირველით, ხოლო პირველი უმეორეოდაც მშვენიერია და წარმტაცი“[2].

პოემის თემაა ერთი ჩვეულებრივი განდეგილის ცხოვრების ისტორია, კერძოდ მისი თავგადასავალი ბეთლემის მონასტერში განდეგილური ყოფის პერიოდში. იდეა, მიზანდასახულობა მწერლისა იმაში მდგომარეობს, რომ აჩვენოს განდეგილობის, ცხოვრებიდან გაქცევის უაზრობა და დაგმოს იგი.

თხზულებაში დაპირისპირებულია ორი შეგნება, ორი სამყარო: ერთია რელიგიური ასკეტიზმი, რომელიც „საიქიო სამარადისო ნეტარებისათვის“ ადამიანს წუთისოფელზე ხელს აღებინებს, ხოლო

[1] ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I. მ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914 წ., გვ. XVIII.

[2] კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, 1911წ., გვ. 267.

მეორე, რომლისთვისაც ბედნიერება მხოლოდ ამქვეყნიურ რეალურ ცხოვრებაშია და რომელიც ადამიანს აქტიური ბრძოლისა და გარჯისაკენ მოუწოდებს. პირველის გამომხატველია განდეგილი, ხოლო მეორისა მწყემსი ქალიშვილი. ეს ორი ადამიანი მწერალმა კონკრეტულ შემთხვევაში ერთმანეთს შეახვედრა და მათი მდგომარეობისა და შეგნების დაპირისპირებით აღებული პრობლემა რეალური ცხოვრების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

პოემაში თხრობა იწყება იმ ადგილის აღწერით, სადაც განდეგილი ცხოვრობს. ეს ადგილი ადამიანთა სამყოფელისაგან დაშორებული ყინულოვანი მთაა, რომელსაც არა თუ კაცი, არამედ თვით „ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან“ და „სად მეუფება ჭექა-ქუხილსა, ყინულს და ქართა მხოლოდ ჰმთენია“. ეს დაახლოებით ის ადგილია, რომლის აღწერა-დახასიათება ილიამ ჯერ კიდევ „მგზავრის წერილებში“ მოგვცა: „მყინვარი მთელი თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს“.

გასაგებია, რომ მწერალმა განდეგილი ასეთ მიუდგომელ ადგილას დააბინავა მხოლოდ და მხოლოდ იმ მოსაზრებით, რათა მას ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრების ქარტეხილი ვერც ერთი მხრიდან ვერ შეხებოდა, თუკი ამგვარი შეუხებლობა საზოგადოდ შესაძლებელია.

ზედმეტი არაა ვიცოდეთ, რომ ბეთლემი, სადაც თავშეფარებულია პოემის მთავარი პერსონაჟი, რეალურად არსებული ადგილია. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი წერდა:

„მყინვარის კლდესა შინა არიან ქუაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გარდმოკიდებული ქუაბიდამ, და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკუანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომსა უსუეტოდ, უსაბლოდ, და სხუათაცა საკვირველთა“ [1].

სწორედ ამ გამოქვაბულში ცხოვრობს განდეგილი.

სავსებით ბუნებრივია, რომ მკითხველი დაინტერესებულია, თუ რატომ და რისთვის უნდა მოსულიყო ეს კაცი ყინულოვან მთის კალთებზე გამოკვეთილ ტაძარში?.. მოქმედების განვითარებაში უკვე ცნობილი ხდება, რომ იგი აქ მოსულია წინასწარი გადაწყვე-

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, 1973 წ., გვ. 357.

ტილებით. განდეგილს სრულიად შეგნებულად ხელი აუღია ამქვეყნიურ ცხოვრებაზე და „საიქიოსათვის ეს სააქაო დაუთმია და განშორებია". ინტერესს მოკლებული არაა ერთი გარემოებაც: განდეგილი არც მოხუცია, რომ ამის გამო სულის გზას შესდგომოდა და არც კაცის მკვლელი, რომ ჩადენილ ცოდვას ინანიებდეს. დიაღ, არც ერთი და არც მეორე. იგი სრულიად ბუნებრივი, ჩვეულებრივი ადამიანია, რომელიც ბეთლემის გამოქვაბულში მიიყვანა მხოლოდ შეგნებამ (რელიგიურმა რწმენამ), რათა სულისათვის ხორცი ეწამებინა. მწერალი გვეუბნება, რომ ამ ადამიანს

განუდევნია გულიდან ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწმენდილ და განბანილი.

ამგვარ ყოფაში განდეგილს რამდენიმე წელი გაუტარებია და, უნდა ითქვას, რომ მის თავდადებას არც უშედეგოდ ჩაუვლია. როგორც ავტორი ამბობს, „წამება მისი ღმერთს შეუწირავს, ვედრება მისი ღმერთს უსმენია". განდეგილს ღმრთისადმი თავის ერთგულების შედეგად თავისებური კმაყოფილებაც მოუპოვებია. იმ მომენტში, როდესაც იგი მკითხველის თვალწინ მოქმედებაში გამოჩნდება, განდეგილი თავის მიზანდასახულებაში ერთგვარად გამარჯვებულიც გვგონია. პოემაში ვკითხულობთ:

ლოცვით და მარხვით ხორც-უძლურ-ქმნილი
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ძლევით-მოსილსა და განდიდებულს.

განდეგილს, რომელსაც ცოდვის ჟურჟელი (საკუთარი სხეული) წლების განმავლობაში ცრემლით უსუფთავებია, ერთ დღეს მოევლინება ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრების წარმომადგენელი მწყემსი ქალიშვილი.

ნაწარმოებში დიდი ოსტატობითაა დახატული სიტუაცია, როცა მოხვედ ქალიშვილი მოქმედებაში უნდა გამოჩნდეს. საღამო ჟამს, როცა ლოცვით დაღლილი მეუდაბნოე ტაძრიდან არე-მარეს გადმოჰყურებს და ბუნების სანახაობით სტკბება, უეცრად ამინდი შეიცვლება და მყინვარიდან შავი ღრუბელი ვეშაპივით დაიძვრის. ამის შემდეგ კი, როგორც პოემაშია ნათქვამი, „შეირყა მთელი ცა და ქვეყანა, იმა ჭექით და იმა ქუხილით".

განდეგილი კვლავ ლოცვას იწყებს: ღვთისმშობლის ხატს ცრემლებით ალბობს და ხელაპყრობილი ღმერთს ევედრება „წარწყმე-

დისაგან ქვეყნისა ხსნასა“. ამ დროს მას ადამიანის ხმაც შემოესმის.

ცხოვრებისაგან განშორებულ განდეგილს ადამიანის ძახილი ეს-ნის, მაგრამ ეუცხოება და უკვირს. იგი იმდენად გადაჩვეულია ადამიანის ხმას, რომ არა მარტო უკვირს, არამედ მას ეშინია კიდეც ამ ხმისა. „მიტომაც იყო, რომ მახ ჯერ უნახავ სტუმარს შორიდან-ვე „ჰკითხა, – „ვინა ხარ? კაცი, თუ მავნე, აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?“.

ამ კითხვის პასუხად განდეგილს კიდევ უფრო გარკვევით მოესმის ხმა იმავე ადამიანისა, რომელიც თავშესაფარს ითხოვს. იგი ზღუდის ძირიდან განდეგილს ასძახის: „კაცი ვარ, კაცი!.. მომეცი ბინა, მიხსენ, ღვთის მადლსა, სიკვდილისაგან“.

განდეგილი მწყემსი ქალიშვილის პირველი ხმის გაგონებისთანავე ერთგვარად წონასწორობას კარგავს. იგი თავიდანვე თრთის და კანკალებს იმის შიშით, რომ მას ღმერთი სასტიკი გამოცდის წინაშე დააყენებს. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქალიშვილი ზღუდის ძირას დგას და ბეთლემში ასასვლელ ჯაჭვს დაეძებს, განდეგილი მას შეშინებული გადმოსძახის: „თუ მაცდური ხარ, სჩანს ღმერთს სწადიან მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს“.

დიახ, ასე აშინებს განდეგილს საზოგადოდ ადამიანის მოლოდინი თავის სენაკში. იგი თავიდანვე შიშის გრძნობითაა შეპყრობილი იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ჯერ არ უნახავს. პოემაში საკმაოდ ნათლად ნათქვამია, რომ იმ დროს, როდესაც მოხევე ქალიშვილი განდეგილის სამყოფელში შევიდა და პირველი სიტყვებიც წარმოსთქვა,

მწირს ხმა ეცა... ქალის ხმას ჰგავდა...
შეკრთა, შეშინდა ამა ხმისაგან.
ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა
განსაცდელი რამ მას მოუვლინა?

იმ დროს, როდესაც განდეგილის ბინაში უკვე შედის ადამიანური ცხოვრების განსახიერება — ახალგაზრდა ქალი, მეუდაბნოე რწმუნდება, რომ მისი გამოცდა სწორედ ახლა უნდა მოხდეს. უბრალო გარემოება არც ისაა, რომ იგი მოსალოდნელ გამოცდას, როგორც ღვთის ნებას, „სასოებით და გულდამშვიდებით“ მიჰყვება. ვნახოთ როგორ ჩააბარებს იგი ამ გამოცდას.

სიცივისაგან გათოშილმა ქალმა შეშა მოითხოვა. ოღონდ ახლა გავთბე და „ხვალ თუნდა მთელს ზურგს მე ამოვიტან“, — მიმართა მან განდეგილს. მასპინძელმა იქავ კუთხიდან შეშა მოზიდა და ცეცხლი გააჩაღა. ცეცხლის შუქზე ბნელი სენაკი განათდა და იქ მყოფნი

ახლა უკვე გარკვევით ხედავენ ერთმანეთს. მკითხველიც ახლა უფრო მკაფიოდ არჩევს სენაკში მყოფ ადამიანთა სახეებს. ორთაგან ერთი — განდეგილი, უკვე ცნობილია. მკითხველმა იცის, რომ იგი არის ხორცუძლურქმნილი. „სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი“, რომელსაც მაღალი და ნაოჭად შეკრული შუბლი „სიწმინდის შადლით დაჰშვენებოდა“.

იმავე ცეცხლის შუქზე პირველად გამოჩნდება სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა მოხევის ქალიშვილი, რომელიც თავისი სილამაზითა და სათნოებით მკითხველსაც აჯადოებს:

უმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით,
ნაზად, ამაყად ცეცხლა-პირს იჯდა,
ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით.

პოემის ამ ნაწილში უკვე მოცემულია მოწინააღმდეგე შეგნების მქონე ორი ადამიანის პირველი დაპირისპირება, რაც თავისთავად ერთგვარი წინასწარი მანიშნებელია შემდგომი უფრო რთული წინააღმდეგობებისა. აქ მკითხველის თვალწინ წარმოდგება, ერთი მხრივ, მეუდაბნოე თავისი „კუშტი და მწყრალი“, საკვირველი, მაგრამ არამიმზიდველი სახით, ხოლო მეორე მხრივ — მწყემსი ქალიშვილი, რომელსაც თვით შური და მტრობაც ვერავითარ ნაკლს ვერ უპოვის, ქალიშვილი, რომელიც ყველა სრულყოფილ ადამიანს მოხიბლავს, მიიმხრობს და მიიზიდავს მშვენიერების ძალით:

ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს
ყოვლად ძლიერი მშვენიერება!..
თქმულა — მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატკბება და დაწყნარდება.

ქალიშვილის მშვენიერებას სრულყოფილად წარმოგვიდგენს მისივე ბუნებრიობა, გულწრფელობა და უშუალობა საკუთარი გრძნობებისა და სურვილების, საზოგადოდ, მთელი თავისი შეგნების გამოხატვაში. იგი თავისი გულუბრყვილო მსჯელობით ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე მუდამ და ყოველთვის დამაჯერებელია. მკითხველს ერთი წუთითაც ეჭვი არ ეპარება, რომ მწყემსი ქალიშვილის სახით მის წინაშე დგას გულმართალი ადამიანი, რომლის პიროვნებაში ყალბი და ნაძალადევი არაფერია. ცეცხლის შუქით განათებულ ბეთლემის ტაძარში ერთიმეორის პირისპირ დგანან ერთი მხრივ ბუნებრივი ადამიანი — მოხევის ქალიშვილი, ხოლო მეორე მხრივ — განდეგილი, რომელსაც მრავალი წლის მოთმინებით ხორცი დაუჭკნია, სახე კუშტი გახდომია, შუბლზე ნაოჭები

გასჩენია და მაინც თავის საქმეში დარწმუნებული ვერაა, ღმრთისა და კაცის ერთნაირად ეშინია.

სიტუაცია თანდათან რთულდება. მეუდაბნოეს ლამაზი მოხვეჭა ქალიშვილისათვის, რომელიც ცეცხლის პირას ზის „ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით“, თვალი ვეღარ მოუშორებია. პოემის ამ ნაწილში ნათქვამია, რომ

და დაუწყნარდა ძალს მშვენებისას
იგი მწირიცა მწყრალი, გულმშრალი,
და უცოდველის გულის-ტკივილით
ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თვალი.

კარგა ხნის შემდეგ განდეგილი ძალას მოიკრებს და ქალს ეკითხება: „ვინა ხარ, შვილო, ამ უდაბნოში რამ მოგიყვანა?“

კითხვის პასუხად ქალიშვილი ყვება იმ შემთხვევას, რომლის გამო იგი ამ მიდამოებში მოხვდა და რამაც საბოლოოდ განდეგილის ბინაში შეიყვანა. მისი თავგადასავალი განსაკუთრებით წარმტაცია იმით, რომ მასში მოჩანს ჩვეულებრივი ადამიანი მთელი თავისი მწარე და ტკბილი განცდებით, ცხოვრებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებით, ბრძოლითა და ხალისით.

ქალი ცხვარს აძოვებდა, ცხვარი ბალახმა გაიტაცა, ქალიშვილი ბუნების სანახაობამ მოაჯადოვა და ასე, თანდათან, ისინი ბეთლემის მიდამოებში აღმოჩნდნენ. ამ დროს ამინდიც შეიცვალა, „სეტყვა ტყვიასებრ წამოუშინა“, მწყემს ქალს ცხვარი გაუფრთხა და თვითონაც გზა აებნა. ახლა იგი ბეთლემის წმინდა ტაძარშია განდეგილთან ერთად და გადარჩენასაც მასვე უმადლის. უდავოდ გულწრფელია მისი მიმართვა განდეგილისადმი:

მაგრამ მიბრალა ჩემმა გამჩენმა
და შენამდე ხმა ამოვაწვდინე...
სხვა ხომ შენც იცი... ღმერთმა გარჩინოს,
როგორც შენ მე დღეს გადამარჩინე.

ასე დაამთავრა მწყემსმა ქალიშვილმა თავისი თავგადასავლის თხრობა. მისი ნაამბობი თავის მხრივ საუბარში იწვევს მეუდაბნოეს. მწერალს მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით აქვს შესრულებული ქალიშვილის თავგადასავლის დასასრული და განდეგილის ჩაბმა საუბარში, რომელიც შემდგომ თანდათან მკაცრი ფილოსოფიური პაექრობის ხასიათს იღებს.

ქალი გადარჩენისათვის მადლობას უხდის განდეგილს, მეუდაბნოე კი უპასუხებს, რომ იგი გადაარჩინა ღმერთმა, რადგან „ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი“. მცირე საუბრის შემდეგ სიტყვა

ნოტანს და მწყემსი ქალიშვილი მეუდაბნოეს განდეგილურ ცხოვრებაზე ეკითხება. სახელდობრ, ქალს აინტერესებს, რამდენი წელიწადია რაც ეს კაცი ადამიანთა საზოგადოებას განშორებია და ჰყავს თუ არა იქ (ჩვეულებრივ ადამიანურ ცხოვრებაში) ვინმე — და, ძმა ან ნათესავი?

განდეგილი მოხევე ქალიშვილს უპასუხებს, რომ მას, როგორც მეუდაბნოეს, დროის ანგარიში აღარ სჭირდება და იგი წელთა სვლას აღარ ანგარიშობს. რაც შეეხება მეორე კითხვას, იგივე განდეგილი ამბობს, რომ მასაც ჰყვანდნენ და, ძმა და ნათესავები, მაგრამ ყველა მიატოვა, ყველას გამოეთხოვა, რათა თავისთავი ღმრთისათვის შეეწირა. მწყემს ქალიშვილს უკვირს, რომ მეუდაბნოეს შეგნებულად მიუტოვებია ნათესავები და წუთისოფელი მთლიანად. იგი განცვიფრებული ეკითხება განდეგილს: „მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?“

განდეგილი უპასუხებს, რომ მან ეს გააკეთა, რადგან „ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა“. განდეგილის საბუთი თავის საქციელის გასამართლებლად მხოლოდ ის არის, რაც ამ ერთ მოკლე წინადადებაში იგულისხმება და ამაზე მეტი კი მას არაფერი გააჩნია. ამიტომაც არის, რომ მწყემსი ქალი ძალიან იოლად არღვევს განდეგილის „მტკიცებას“. იგი მოკლედ, მაგრამ ღრმააზროვნად მოუჭრის თავის მოწინააღმდეგეს, რომ „ნება ღვთისა“ თავისთავად ვერაფერი საბუთია, ღმერთს არაფრად არ ესაჭიროება ადამიანის მიერ თავის ცოცხლად დამარხვა. მოხევე ქალიშვილი მტკიცედ და დამაჯერებლად მიმართავს ცხოვრებისაგან განდგომილ მეუდაბნოეს:

> როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა
> ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?

საჭიროა გადაჭრით ითქვას, რომ მწყემსი ქალიშვილი ღმრთისადმი სამსახურის წინააღმდეგი სრულიადაც არ არის, მაგრამ სამსახურიცაა და სამსახურიც. ეს ქალიშვილიც მორწმუნეა, ქრისტიანია, მაგრამ იგი რელიგიური რწმენისათვის ადრე და მალე თავს კი არ მოიკლავს, არამედ იცოცხლებს, იცხოვრებს, იშრომებს, წუთისოფლის სიამით დატკბება და თავის გულმართალი საქმეებით ღმერთსაც აამებს. მისი დამოკიდებულება რელიგიისადმი დაახლოებით ისეთივეა, როგორიც არის რწმენა ოთარაანთ ქვრივისა, რომელიც მტერსა და მოყვარეს შესაფერის პასუხს აძლევს, თავდადებით შრომობს, იბრძვის და იმავე დროს ღმერთს „ზედმეტი ღიჭინით“ არ აწუხებს.

პოემის მომდევნო ნაწილში (თავი XIX) მწყემსი ქალიშვილი

უკვე იძლევა ფართო მსჯელობით დასაბუთებას იმ აზრისას, რაც მის ზემომოტანილ მოკლე პასუხში იყო. ამ მსჯელობაში გამოთქმულია მისი შეგნება, მთელი მისი ფილოსოფიური მრწამსი. ეს შეგნება ჯანსაღი რეალიზმით ხასიათდება. მოხევის ქალიშვილის ფილოსოფია ის არის, რომ ღმერთს ქვეყანა კაცისათვის გაუჩენია და აღამიანმაც იგი თავისთვის, სიცოცხლისათვის უნდა გამოიყენოს. მისი რეალისტური, პრაქტიკული ცხოვრების ფილოსოფია პოემის მეცხრამეტე თავშია გადმოცემული. ქალიშვილი, სავსებით დაჯერებული, თავის იდეურ მოწინააღმდეგეს მიმართავს:

როცა აქ ცხვარი მიძოებია
და შემიხედავს მყინვარისთვისა,
მომგონებია მამის ნათქვამი, —
იქ, ყინულებში კაცი სცხოვრობსო,
სულისთვის ხორცი გაუწირნია,
უწუთისოფლოდ მარტოკა სძლებსო, —
გამკვირვებია მე ეს ამბავი!..
მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?

ასეთია მწყემსი ქალიშვილის შეხედულება ცხოვრებაზე. მკითხველის წინაშე ახლა კიდევ უფრო მკაფიოდ მოჩანს ნაწარმოებში დაპირის-პირებული ორი ფილოსოფია, ორი ბანაკი ადამიანებისა.

ქალიშვილმა, ჩამოაყალიბა რა ასე მწყობრად თავისი შეხედულება ცხოვრების რაობაზე, ადამიანისაგან წუთისოფლის სიამით დატკბობის აუცილებლობაზე, იმავე დროს გადაჭრით დაიწუნა განდეგილის მიერ არჩეული ცხოვრების გზა. მან მტკიცედ და არა ორაზროვნად განაცხადა, რომ იგი „ადრე და მალე“ გულს ვერ მოიკლავს, სიცოცხლეს ვერ შეიმოკლებს.

როგორც ვიცით, მეუდაბნოემ თავისი საქციელის გასამართლებლად თავიდანვე ისეთი საბუთი წარმოადგინა (ღვთის ნება), რომ ქალიშვილმა ეს „საბუთი“ ძალიან იოლად დაურღვია. განდეგილს რაიმე უფრო მტკიცე და დამაჯერებელი არგუმენტი ვერც ამის შემდეგ მოჰყავს. ამიტომაც არის, რომ თუ აქამდე ქალი მას ერთგვარი მოკრძალების ტონით ეკამათებოდა, ახლა უკვე საუბრის ინიციატივასაც თვითონ იღებს და განდეგილს ერთგვარი გამოცდის კილოთი მიმართავს:

ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია.

მოხევე ქალიშვილი კვლავ განაგრძობს თავის გულუბრყვილო მსჯელობას იმაზე, რომ მას არ მოსწონს განდეგილისაგან დის, ძმის,

ნაცნობების, მეგობრების და, საზოგადოდ, ცხოვრების მიტოვება. იგი კვლავ ეკითხება მეუდაბნოეს: როგორ მოშორდი?.. და განდეგილის მტკიცება თავისი მოქმედების გასამართლებლად, მისი საბუთების ძალა მკითხველის თვალში ახლა კიდევ უფრო მცირდება. განდეგილს სხვა აღარაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ ქალს ასეთი პასუხი გასცეს: „რა გითხრა, შვილო? ყველაზე უფრო სული ტკბილია, იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა და ეგ ყოველი მის ბორკილია“.

განდეგილის მიერ გაცემული პასუხის უძლურობა მწყემს ქალს საშუალებას აძლევს, რომ თავის იდეურ მოწინააღმდეგეს კიდევ უფრო რთული და საჭირბოროტო საკითხი დაუყენოს:

„მაშ ვინც ქვეყნად ვართ ყველა წავწყდებით.
ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“

ეს კითხვა განდეგილს ისეთ ჩიხში ამწყვდევს, საიდანაც მას გამოსავალი გზის პოვნა აღარ შეუძლია. იგი იძულებულია აღიაროს:

„ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა...“

უბედური! ასე უწოდა განდეგილმა თავის თავს. არსებითად საკითხი უკვე გამორკვეულია და ნაწარმოების იდეური კვანძიც გახსნილია. ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრების ტიპური წარმომადგენლის მწყემსი ქალიშვილისა და განდეგილის იდეური ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ მეუდაბნოემ თავი დამარცხებულად აღიარა. მან მისგან არჩეულ გზას უწოდა გზა უბედურებისა. მკაცრი ფილოსოფიური კამათი ცხოვრების რაობაზე და ადამიანის დანიშნულებაზე დამთავრებულია. იდეურ ბრძოლაში გამარჯვებულ ცხოვრების შვილს ცეცხლის პირას მიეძინა „და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს, ვით საყვარელსა ზედ დაჰხაროდა“. რამდენადაც მშვიდია და უდარდელი ძილი მწყემსი ქალიშვილისა, იმდენად მძიმეა, მშფოთვარე და მოუსვენარი მდგომარეობა განდეგილისა. მან თავის თავს უბედური უწოდა.

„უბედურსაო“?! ეგ ხომ სიტყვაა
გულის-ტკენის და სამდურავისა!..
ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკვნესაა
ბედნიერების დამკარგავისა!..

ბუნებრივია, რომ მის მიერ არჩეული გზის ასეთი უარყოფა, წლობით ნაერთგულევი შეგნების ასე კატასტროფულად დამსხვრევა, განდეგილს აშფოთებს და მოსვენებას უკარგავს. წონასწორობი-

დან გამოსული მეუდაბნოე ხან აქეთ და ხან იქით აწყდება. იგი ცდილობს, რომ თავისი შეცოდება (საკუთარი თავის უბედურად აღიარების ფაქტი) გამოასწოროს, მაგრამ საქმით ამის საწინააღმდეგოს აკეთებს. ქალი, რომელმაც იგი იდეურად დაამარცხა, ახლა იმავე განდეგილს ხორციელი ცდუნებისაკენ იწვევს. ცეცხლისპირას მიძინებული ქალიშვილის მშვენებამ განდეგილის პიროვნებაში მივიწყებული კაცური გრძნობები აღძრა და მას თავისკენ იზიდავს.

მწყემსი ქალიშვილის მიმზიდველობა მით უფრო ძლიერია, რომ იგი ამ შემთხვევაშიც ბუნებრივია. მან არც ის იცის რა ხდება მის გარშემო. მას „ნეტარი ძილით“ სძინავს და მისი სილამაზით მოხიბლული მეუდაბნოე კი თანდათან წონასწორობას კარგავს.

უდავოდ მძიმეა განდეგილის მდგომარეობა ამ მომენტში. მან, როგორც განდეგილმა, რომელსაც წლების მანძილზე სულისათვის ხორცი უწამებია, იცის თავისი მოვალეობა; იცის, რომ „რაცა სწყურდა აქამდე მის სულს, იგივე უნდა ბოლომდის სწყურდეს“, მაგრამ ამავე დროს მას მეორე გრძნობაც ვერ დაუმორჩილებია. ეს არის განდეგილის მიერ წლობით შენაკავები, მაგრამ აწ უკვე გამოღვიძებული ბუნებრივი ადამიანური გრძნობა „ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი“. რომელი დასძლევს რომელს, გრძნობა თუ მოვალეობა? — ესაა ახლა მთავარი.

პოემის ამ ნაწილში (თავები XXIII—XXIV) მწერალი, მართალია, ძალიან ფრთხილად, მაგრამ მკითხველისათვის მისაწვდომად, მდგომარეობას ისე ხატავს, რომ განდეგილი აქაც უნდა დამარცხდეს. მწყემს ქალიშვილთან იდეურ კამათში ძლეული მეუდაბნოე ახლა ფიზიკური დაღუპვისაკენ მიექანება. პაექრობაში დამარცხების შემდეგ განდეგილის სულისკვეთება ისეთია, რომ მისთვის სხვა გზა, გარდა სრული დაღუპვისა, უკვე აღარ არსებობს.

მგოსნის მადლიანმა კალამმა ქალის მშვენიერებით მოჯადოებული განდეგილის სულიერი სიმტკიცე საბოლოოდ დაამსხვრია იმ დროს, როდესაც მას მძინარე ქალიშვილის კოცნა გადააწყვეტინა. მართალია, მეუდაბნოეს განზრახვა არ შეუსრულებია, მაგრამ მის დასასჯელად ამგვარი განზრახვაც თავისთავად საკმარისია.

იწყება აგონია განდეგილისა.

იმის გამო, რაც მან გააკეთა, მეუდაბნოეს ეჩვენება, რომ სენაკში არიან რაღაც უხილავი არსებანი, რომლებიც მას ნიშნისგებით ჩასძახიან? „წაწყმდი თუ არა!“ მასვე თითქოს ტაძრის ყოველი კუნჭულიდან ესმის დამცინავი ხარხარი და ბოლოს ღვთისმშობლის ხატიც მწყემსი ქალიშვილის სახედ ეჩვენება. იქვე ნათქვამია, რომ განდეგილს —

პირჯვარი უნდა — ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა — ენა ებმება,
ხატის ხილვა სწყურს და იგივ... იგივ...
ქალი წყეული თვალს ელანდება!..

ასე იტანჯება მეუდაბნოე. ეს ტანჯვა სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველმა მისი ნამდვილად საშინელი მდგომარეობა შეიცნოს, მაგრამ მწერალმა, ალბათ იმ მიზნით, რათა საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ ძლეული ასკეტის ტრაგიკული ხვედრი მთელი სიმწვავით ეჩვენებინა, მეუდაბნოე კიდევ ერთ სიტუაციაში წარმოგვიდგინა.

განდეგილი, რომელიც სულიერი ტანჯვისაგან შეწუხებული იქეთ-აქეთ აწყდება, უკანასკნელ ძალას მოიკრებს და მზის ამოსვლას ელოდება, რათა თავის მდგომარეობაში საბოლოოდ დარწმუნდეს.

როგორც პოემის პირველი ნაწილებიდან ვიცით, განდეგილის ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარი ის იყო, რომ იგი დილის ლოცვის დროს „ლოცვანს“ სარკმელში ჩამოსულ მზის სხივებზე დააყრდნობდა და ისიც („ლოცვანი“) სხივებზე ჩერდებოდა. ახლა, სასოწარკვეთილების მომენტში, მწირი ფიქრობს ამ მხრივაც შეამოწმოს თავისი მდგომარეობა. გარკვეული ლოდინის შემდეგ მზე ამოვიდა და ბეთლემის მონასტრის სარკმელშიც თავისი სხივები ჩაუშვა. მეუდაბნოეს თითქოს ერთგვარი იმედი მიეცა. მწერალი გვეუბნება, რომ განდეგილმა „კვლავ სასოებით დედა-ღვთისასა მიაპყრო თვალი“ და მადლობაც შესწირა. მაგრამ მწირს უკანასკნელი იმედიც არ გაუმართლდა. ნაწარმოების ბოლო თავში ვკითხულობთ:

მივარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ
და, აჰა, სხივმა არ დაიჭირა!..
დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა
და იქავ სხივ-ქვეშ უტევა სული.

ასე დამთავრდა განდეგილის ცხოვრება. მწერალმა საზოგადოებისაგან განდგომილი მეუდაბნოე ჯერ იდეურად დასცა და გაანადგურა ადამიანური ცხოვრების წარმომადგენელთან კამათში, ხოლო შემდეგ ფიზიკურადაც მოსპო იგი. იდეურად ყალბი და საზოგადოებრივი თვალსაზრისით მიუღებელი იყო „გზა ხსნისა“, რომელიც მწირმა აირჩია. ცხოვრება რთული და მრავალფეროვანია; მის გზაზე მოსალოდნელია მთელი რიგი წინააღმდეგობანი, მაგრამ ადამიანმა მათ წინაშე ქედი კი არ უნდა მოიხაროს, თავისი თავი ცოცხლად

კი არ დაიმარხოს, არამედ უნდა იბრძოლოს და იცხოვროს. — ასეთია იდეა ნაწარმოებისა. ავტორის იდეური ჩანაფიქრი პოემას თავიდან ბოლომდე გასდევს. მოქმედების განვითარებაში, მწერლისეული შთამბეჭდავი თხრობის წყალობით, იგივე იდეა მკითხველისათვის ხავსებით სარწმუნო და მისაღები ხდება.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია აღიარებულია, რომ ილიამ განდეგილისა და მწყემსი ქალიშვილის სახით ერთმანეთს დაუპირისპირა, ერთი მხრივ, რელიგიური ფანატიზმის საფუძველზე რეალური ყოფისაგან განდგომილობა და მეორე მხრივ — ადამიანური ცხოვრება მისთვის დამახასიათებელი სიკეთითა და სიავით. ჩვენმა მწერალმა პოემის მთავარი გმირის დამარცხებით ადამიანური ცხოვრებისაგან განდგომილობა, რელიგიური ფანატიზმი საზოგადოდ, გადაჭრით დაგმო.

კიტა აბაშიძე ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დამდეგ წლებში წერდა: „რა უნდოდა ეთქვა „განდეგილში“ პოეტს, თუ არა ის, რომ ყოველი კაცი, რომელიც გაურბის ცხოვრებას, ცხოვრებისგანვე იქმნება დასჯილი ისე, როგორც დაისაჯა განდეგილი. ვერავითარი სენაკი და უდაბნო, ვერავითარი ცდა — „დღე და ღამ ლოცვით, გოდებით, სულისთვის ხორცის წამება“, „ვერც ლოცვის ცრემლი“, რომელიც არ შემწყდარა, „ვითა ღელესა მას გლოვისასა“ — ვერ დასძლევს ბუნების მოთხოვნილებას, ვერ გააქარწყლებს სასტიკ კანონს ბუნებისას“ [1].

კიტა აბაშიძის ამ სტრიქონებში გამოთქმული აზრი განავითარა და გააღრმავა მომდევნო ეპოქის გამოჩენილმა მკვლევარმა ვახტანგ კოტეტიშვილმა. მისი სიტყვით, ილია ჭავჭავაძემ ბეთლემის გამოქვაბულში დაყუდებულ ბერს „განდგომილობა არ აპატია. ცხოვრების უარყოფას როგორ გაამართლებდა ცხოვრების მქადაგებელი, მოძრაობის მაძიებელი. ილიას ხომ მყინვარი არ უყვარდა. იგი ცხოვრებიდგან შორს განდგომილია და ცხოვრების ვაი-ვაგლახი ერთ ხაზსაც არ უთამაშებს მის მოლრუბლულ შუბლსაო. განდეგილიც ხომ ამ მყინვარს დაემსგავსა, მას ესტუმრა და ცხოვრებასა და საკუთარ თავს შუა დავიწყების კედელი აღმართა. მაგრამ ძვირად დაუჯდა მას ეს უარყოფა, ჩვენი ავტორიც ამას გვიჩვენებს. იგი თვალწინ გვიშლის განდგომილობის მთელ ტრაგედიას, ასკეტობის უაზრობას და ზნეობრივ სიღატაკეს“.

იქვე, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, იგივე მკვლევარი „განდეგილის“ ავტორზე დასკვნის სახით ამბობს:

---

[1] კიტა აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I. 1911 წ., გვ. 185.

„მწერალმა შექმნა სიცოცხლის ერთგვარი ფილოსოფია, რომელიც ასე ითქმის: ცხოვრება შეიძლება არ გვაკმაყოფილებდეს, შეიძლება იგი უკუღმართი იყოს, მაგრამ ყველა ამას ბრძოლა უნდა, ბრძოლა, იმავ სიცოცხლის საშუალებით და არა სიკვდილით, უკუქცევით, ანდა სოფლის მიტოვებით“ [1].

მოტანილი ამონაწერების აზრი იმდენად ნათელია, რომ კომენტარი საჭირო აღარაა.

სიცოცხლისა და მოძრაობის უპირატესობის აღიარება არსებითი დამახასიათებელი ნიშანია ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისათვის მთელი მისი ცხოვრების მანძილზე. ამ ნიშნის მატარებელია მისი ნაწერები ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩენის პირველსავე დღეებიდან და იმავე ნიშანს ინარჩუნებს იგი ბოლომდე. რომ აღარაფერი ვთქვათ სამოციან წლებში გამოქვეყნებულ სხვა თხზულებებზე, მარტო ერთი „მგზავრის წერილები“ რადა ღირს. ვის არ ახსოვს თერგისა და მყინვარის ის გენიალური შედარება-დაპირისპირება, რომელიც ჩვენმა მწერალმა ამ თხზულებაში მოგვცა. გარდა ამისა, „მგზავრის წერილებში“ ავტორმა ერთმანეთს დაუპირისპირა დღე და ღამე, რომელშიც ადამიანის ყოველდღიური სიცოცხლის, დრტვინვისა და ვაივაგლახის, პრაქტიკული ცხოვრებისა და ბრძოლის ფილოსოფია ასე მკაფიოდ ჩამოაყალიბა: „წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაივაგლახითა!“.

შეგნება სიცოცხლის, მოქმედების, ადამიანური ცხოვრების უპირატესობისა წითელი ზოლივით გასდევს ილიას მთელ შემოქმედებას. დაბოლოს, იგივე შეგნება აქტიური ადამიანური ცხოვრებისა გამოხატულებას პოულობს „განდეგილში“. ეს პოემა განსაკუთრებით ძვირფასია იმით, რომ იგი განკერძოებით კი არ გამოიყურება ბრძენი ავტორის შემოქმედებით საგანძურში, არამედ მისი ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია, მისი სული და გულია.

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ ილიას მიერ პოემის ფაბულა აღებულია ქართული ზეპირსიტყვიერებიდან. თვითონ მწერალიც მიუთითებს, რომ პოემაში გამოყენებული აქვს ხალხური თქმულება, ლეგენდა.

ქართველ ხალხში ბევრი ლეგენდაა, რომელიც რაღაც ნიშნით „განდეგილს“ ემსგავსება, მაგრამ შინაარსობრივი მსგავსება კიდევ

---

[1] ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.). 1959 წ., გვ. 346-347.

არ იძლევა საფუძველს, რომელიმე მათგანი მის უშუალო პირველწყაროდ ვაღიაროთ. ხალხურ თქმულებებთან შემხვედრი მომენტები მხოლოდ საერთო, ზოგადი ხასიათისაა და არცერთი მათგანი პოემაში განმეორებული არაა. ასეთი კონკრეტული ლეგენდა არ არსებობს. „განდეგილის“ სახით ჩვენ საქმე გვაქვს იდეურად მაღალ და პოეტურად სრულყოფილ ნაწარმოებთან, რომელშიც გამოხატულებას პოულობს ილია ჭავჭავაძის, როგორც მწერლისა და მოაზროვნის, პრაქტიკული ფილოსოფია.

საკუთარ სახელთა საძიებელი*

ა

აბაშიძე გრიგოლ 195, 215, 273, 281
აბაშიძე ვასო 158, 266, 280
აბაშიძე კიტა 215, 219, 306, 433, 441, 446, 457
აბრაჰამ კათალიკოსი 337—339, 343, 351
ავაგ ათაბაგი 344
ავალიშვილი დავით 89
ავალიშვილი ნიკო 89, 152, 266
აზონ პატრიკი 367, 368
ავთანდილი („ვეფხისტყაოსანი") 165
ალექსანდრე მაკედონელი 367, 368
ალექსანდრე მეორე (იმპერატორი) 67, 129
ალიხანოვ-ავარსკი 291, 292
ამირეჯიბი კონსტანტინე 219
ამირეჯიბი სარდიონ 272, 273
ანდრონიკაშვილი ივანე 259
ანტონ ეპისკოპოსი 307
ანტონოვი ზურაბ 168, 175, 179, 246
არდაზიანი ლავრენტი 56—58, 75
არდაზიანი ნიკოლოზ 39
არღუნ ყაენი 336, 337, 343—345
არჩილი („ოთარაანთ ქვრივი") 414, 416—421, 423—425, 432, 434—444
ასათიანი გ. (დეკანოზი) 307
ასათიანი ლუკა 258, 259
აფხაზი კოხტა 16, 17, 19, 387
აღლაძე ილია 247
ახვლედიანი ნ. 84
ახნაზაროვი არტემ 149, 195
აჰმადა ყაენი 344

ბ

ბაგრატიონ-დავითაშვილი გ. 293
ბაგრატიონი ვახუშტი 335, 447
ბაირონი ჯორჯ 156, 181
ბარათაშვილი გიორგი 55, 57
ბარათაშვილი ნიკოლოზ 15—17, 52—54, 57, 61, 62, 134, 170, 173—174, 182, 183, 190, 208, 220, 227, 228, 314
ბარათაშვილი სულხან 36
ბაქრაძე დიმიტრი 56, 57, 75, 157, 281, 335
ბაჩანა 227
ბახტაძე ილია 281
ბებუთაშვილი მ. პ. 135
ბებურიშვილი ეტ. 253
ბებურიშვილი მარიამი (ილიას დედა) 5, 6
ბეთანელი ალექსანდრე 222
ბეთანელი მიხეილ 259
ბეთანიშვილი მ. 64
ბეთანიშვილი სტეფანე 66
ბეკონი 240
ბელინსკი ბესარიონ 21, 36, 37
ბეჟანაშვილი („ოთარაანთ ქვრივი") 416, 417
ბერიევი 30
ბერენსი ლ. მ. 279
ბერტელიონი 286
ბითანიშვილი იაკობ 276, 302
ბოდოიძე ივანე (მეცხვარე) 357
ბოლქვაძე მალაქია 222, 298, 299, 300
ბროსე მარი 335—341, 343—345, 351, 367, 368
ბუვიე 181
ბუქურაული ივანე 294, 295

გ

გაბაშვილი ბესარიონი 227, 228
გაბაშვილი ეკატერინე 40, 42, 44, 132, 215, 223
გაბრიელი („გლახის ნაამბობი") 201, 371, 372, 389—399, 421, 423

---

* შეადგინა გ. საღინაძემ

გაბრიელ ეპისკოპოსი (გერასიმე ქიქოძე) 199, 200, 201, 203
გაბუნია-ცაგარელი ნატო 280, 322
გაგოიძე ვახტანგ 199
„განათლება" (ჟურნალი) 298—300
გარიბალდი ჯუზეპე 18
გაუხარაშვილი (ქაქოს პროტოტიპი) 387
გედევანიშვილი მ. 282
გერცენი ა. ი. 21, 30
გეელესიანი გრიგოლ 222
გიორგი („ოთარაანთ ქვრივი") 414, 415, 417, 418, 420, 421, 423—426, 428, 430—443
გიჟიმყრელი 42
გიუტაშვილი ანტონა 285
გიუტაშვილი რომანოზა 285
გოგებაშვილი იაკობ 3, 81, 88, 104, 107—113, 132, 143, 144, 159, 183, 196, 199, 200, 204, 215, 286, 288, 289, 309—312
გოეთე 156, 181
გოგიჩაიშვილი ფ. 88
გოგოლი 113, 151, 152
გოზალიშვილი შალვა 268
გოლიცინი (კავკასიის მთავარმართებელი) 217, 219, 227, 228
„გოლოსი" (გაზეთი) 142
გომართელი ივანე 222
გომელაური ივანე 357
გრაჩია (სომეხი მსახიობი) 140
გრიშაშვილი იოსებ 324
გრუზინსკი პეტრე 215
გრძელაძე მოსე („კაცია, ადამიანი") 405, 406
გურამიშვილი დავით 314
გურამიშვილი თადეოზ 39
გურამიშვილი ოლღა იხ. ჭავჭავაძე ოლღა
გუნია ვალერიან 88, 225, 226, 246, 281
გურიელი შამია 57

დ

დადიანი ეკატერინე იხ. ჭავჭავაძე ეკატერინე
დადიანი ნიკოლოზ 259, 260
დავით აღმაშენებელი 92, 311, 312, 320
დავითაშვილი იოსებ 157
დათიკო („გლახის ნაამბობი") 371, 372, 389—398
დათო („კაცია, ადამიანი") 373, 403—405
დარეჯანი („კაცია, ადამიანი") 399—406, 433
დიმიტრი მეფე (თავდადებული) 333—341, 343—345, 347—356
დობროლუბოვი ნიკოლოზ 21, 30, 36, 37
დოდე ალფონს 181
დოსტოევსკი თედორ 152
დროიძე დავით (ეგ. ნინოშვილის „სიმონა") 416
„დროება" (გაზეთი) 45, 65, 66, 70, 72, 75, 78, 79, 81, 83—87, 89, 97, 98, 104, 106, 107, 109, 113, 126, 127, 130—133, 135, 137, 145, 163, 252—254, 256, 259, 260, 322, 347—350, 444, 445
„დროშა" (ჟურნალი) 82, 287

ე

ევდოშვილი იროდიონ 309
ეკატერინე (ოლღა ჭავჭავაძის და) 38
ელიაშვილი ივანე 196
ელისაბედი („კაცია, ადამიანი") 403
ერეკლე მეორე 172, 226—230, 235
ერისთავი გიორგი 57, 89, 168, 175, 179, 190, 244, 245, 375
ერისთავი დავით 82, 83, 134, 135, 141, 246, 260, 367
ერისთავი კოლა 263
ერისთავი ნ. 272, 273
ერისთავი რაფიელ 47, 52, 56—58, 75, 82, 84, 89, 130, 134, 146, 159, 160, 169, 175, 176, 180, 190, 196—198, 220, 227, 253, 281, 375, 412
ერისთავი რევაზ 34, 59

ვ

ვაჟა-ფშაველა 159, 227, 228, 276, 303, 310—312, 356, 357

ვახტანგ VI 155
ველიჩკო ვასილ 286
ვოლსკი გრიგოლ 256, 349, 411
ვორონცოვ-დაშკოვი 291, 292, 296

ზ

ზაქრო („კაკო ყაჩაღი") 129, 382—386, 399, 419, 421, 423
ზურაბიშვილი ილია (ელეფთერაძე) 99—101, 215, 262, 263, 292

თ

თავდგირიძე ნიკო 222
თავზიშვილი გიორგი 90
თათქარიძე დავით („კაცია, ადამიანი") 405, 406
თათქარიძე ლუარსაბ („კაცია, ადამიანი") 373, 374, 399—404, 406—409, 419, 463
თამარ მეფე 92, 249, 311, 312, 317
თამრო („გლახის ნაამბობი") 391—395
თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ. 191, 193
თაყაიშვილი ექვთიმე 39, 132, 148, 196, 202, 221, 222, 231, 291, 296
თევდორე („ოთარაანთ ქვრივი") 418, 419
თეიმურაზ მეორე 155
თეიმურაზ პირველი 155
„თემი" (გაზეთი) 10
თულაშვილი ვახტანგ 36, 37, 88
თუმანიშვილი გიორგი 89, 346—349
თუმანიშვილი მიხეილ 57, 68
თუმანიშვილი ნიკოლოზ 39

ი

იანოვსკი 86, 103, 104, 109—112, 114, 126, 144
„ივერია" (გაზეთი) 18, 40—44, 80, 84, 85, 89, 91, 94, 99, 100, 102, 104, 146—148, 150—154, 157, 161, 163, 164, 183—187, 189—191, 194—198, 201, 205—210, 218, 225—228, 231, 234, 239, 246, 247, 250, 255, 258, 261—263, 271, 279, 280, 288 289, 357, 358, 411
„ივერია" (ჟურნალი) 72, 86, 87, 114, 127, 135, 145, 287, 320, 321, 333, 346
„იმედი" (ჟურნალი) 135
იმერლიშვილი ალექსი 275
იმერლიშვილი ზაქარა 285
ინგოროყვა პავლე 23, 63, 68, 185, 205, 217, 223, 321, 333
იოველი ა. 185
იოსელიანი გიორგი 196
„ისკრა" (გაზეთი) 302

კ

„კავკაზი" (გაზეთი) 109, 110
კავური 18
კაკო („კაკო ყაჩაღი") 129, 382—386, 421, 423
კალანდარიშვილი გერასიმე 66
კაპანაძე ალექსა 285
კაპანაძე ზაქარა 283
კარიჭაშვილი დავით 196, 307
კატკოვი 86, 134, 136—139, 141—144
კერესელიძე ივანე 31, 53, 55—60, 74, 75, 214
კესო („ოთარაანთ ქვრივი") 416, 418—421, 423, 424, 427, 429, 436—443
„კვალი" (ჟურნალი) 182, 195, 214, 258, 278, 279
კლდიაშვილი დავით 256—259, 308, 414
კოზლოვი 34
კოზმანაშვილი სოსიკო 263
კოკორაშვილი იასე 275
„კომუნისტი" (გაზეთი) 250
კოტეტიშვილი ვახტანგ 457, 458
„კრებული" (ჟურნალი) 60, 75, 81, 82, 160, 204, 254, 321
კრიჟანოვსკისა ეკატერინე 9

ლ

ლაზარაშვილი იაკობ 322
ლაიბნიცი 23
ლაისტი არტურ 5, 39, 127—133, 247, 248, 281, 282, 286, 287, 301, 410, 411, 414, 421

ლამაზისეული („კაცია, ადამიანი") 402
ლამაკინი (გენერალი) 279
ლანგლუა 159
ლასხიშვილი გიორგი 195
ლაღიაშვილი იოსებ 270
ლელთ ღუნია („მგზავრის წერილები") 371
ლემან ჰაუპტი კარლ 286, 287
ლეონიძე სვიმონ 136
ლერმონტოვი მიხეილ 36, 113, 128, 152, 181
ლიონიძე სოლომონ 227
„ლიტერატურული გაზეთი" 139
„ლიტერატურული საქართველო" (გაზეთი) 224
ლოლაძე სალომე 6
ლომოური ნიკო 274
ლორთქიფანიძე ირაკლი 57
ლორთქიფანიძე კირილე 36, 37, 52, 82, 160
ლორთქიფანიძე ს. 219
ლუკრეციუსი 155

მ

მაისურაძე ლევან 275
მაისურაძე იაგო 285
მამაცაშვილი კონსტანტინე 157, 182
მამაცაშვილი ქრისტეფორე 50, 66, 215
მანსვეტაშვილი იაკობ 99—101, 148, 189, 281, 411, 412
მარმონტელი 34
მაღალაშვილი ლუარსაბ 142, 143
მაყაშვილი ბარბარე 276
მაყაშვილი სანდრო 276
მაჩაბელი დავით 57
მაჩაბელი ვასილ 254, 259, 260
მაჩაბელი ივანე 88, 132, 133, 267, 268
მაჩაბელი მიხეილ 294
მაჩხანელი დიმიტრი 195, 227
მაჩხანელი ივანე 285
მაშაყარიანი პეტრე 264
მგალობლიშვილი სოფრომ 67, 149, 217, 219
მებურიშვილი მარიამ 7
მელიქიშვილი ი. 160
მელიქიშვილი სტეფანე 66
მესხი ივანე 256, 259
მესხი კოტე 215, 246, 280, 322
მესხი ნესტორ 126
მესხი სერგეი 70, 82—87, 113, 126
მესხიშვილი ლადო 135
მესხიშვილი სარდიონ 34, 56, 57
მთვარელაშვილი ნიკოლოზ 196
მირიანაშვილი ალ. 9
მიუნარგია ილია 63, 260, 285
მიქელაძე დავით 132, 263, 273
მიქელაძე ვლადიმერ (მეველე) 186, 187, 231, 273, 281
„მნათობი" (ჟურნალი) 72, 75
მორფილი 189—191
„მოსკოსკი ტელეგრაფი" 137, 138
„მოსკოვის უწყებები" 139—142
მროველი ლეონტი 367, 368
მრეველიშვილი გიორგა 285
მრეველიშვილი იოსება 285
მუხრანსკი ივანე 50, 51

ნ

ნადიკვარელი (ილია ზარაფიშვილი) 218
ნათიევი (ნათიშვილი) 104, 107—109
ნათიშვილი გიორგი 222
ნაკაშიძე პეტრე 36, 204, 329
ნასიძე მიხეილ (მეგახლავარი) 7, 225
ნაცვალაძე დ. 258
ნებიერიძე ვ. 280
ნეკრასოვი 21, 30
ნიკოლაძე ნიკო 13, 33, 67, 81, 82, 217
ნიკოლოზ კათალიკოსი 351
ნინოშვილი ეგნატე 183, 184, 256, 414, 416
ნინოწმინდელი დავით 195
ნიონი ბუღა 344, 345
ნიუტონი 203
„ნობათი" (ჟურნალი) 158

ო

ოთარაანთ ქვრივი („ოთარაანთ ქვრივი") 415—417, 419—421, 424—436, 438, 442, 459
ოლდენბურგსკი ალექსანდრე პეტრეს ძე 279

ომარაშვილი („ოთარაანთ ქვრივი") 415—417
ონისე („ხევისბერი გოჩა") 431
ორბელიანი ალექსანდრე 56, 57, 61, 62
ორბელიანი გრიგოლ 27, 31, 45, 52, 56, 57, 61—64, 68—70, 74—76, 83, 88, 100, 128, 134, 170, 171, 173—175, 178, 180, 227, 314
ორბელიანი ვახტანგ 75, 169, 175, 178, 187, 188, 190, 227
ორბელიანი მარიამ 215
ორბელიანი ნიკოლოზ 186, 187
ორბელიანი ნინო 182
ორბელიანი სულხან-საბა 190
ოქრომჭედლიშვილი ილია 138, 245
ოცხელი იოსებ 219
ოძელაშვილი არსენა 385

პ

პაველ (საქართველოს ეგზარხოსი) 270
პაპიაშვილი დათა 318
პაპიაშვილი ტ. 283
პასილი გულიერმო 248, 249
პატკანოვი 159, 232, 233
პეპია („გლახის ნაამბობი") 372, 391, 393—395, 397, 399, 421, 423
პუშკინი ალექსანდრე 113, 128, 152, 181

ჟ

ჟურული გიორგი 263

რ

რატიშვილი ივანე 202
რაჭველიშვილი ქრისტეფორე 126, 185, 200
რიუერტი 181
რუსთაველი შოთა 83, 113, 134, 164—166, 191, 249, 347
რჩეულიშვილი გრიგოლ 57

ს

სავანელი ალექსანდრე 56
სარაჯიშვილი ალექსანდრე 89, 132, 277—279, 347—349
სარაჯიშვილი დავით 411, 445
საფაროვი-აბაშიძე მაკო 280
„საქართველოს მოამბე" (ჟურნალი) 31, 32, 36—38, 55, 56, 58, 60, 63, 64, 72, 74, 75, 81, 204, 346
„სახალხო გაზეთი" 306—309
სახოკია თედო 270, 282
სიხარულიძე ქს. 163
სოფიო („ბედი ქართლისა") 172
სოლომონ მსაჯული („ბედი ქართლისა") 172
სტაროსელსკი დიმიტრი 38, 97
სულხანიშვილი ალექსანდრე 56, 57
სუნდუკიანი გაბრიელი 83

ტ

ტარასი (ბერი) 307
ტარიელი („ვეფხისტყაოსანი") 165
ტვორჟევსკი 152
ტოლსტოი ლ. ნ. 152
ტურგენევი ი. 152, 181

უ

უთურგაული გიორგი 89
უმიკაშვილი პეტრე 14, 36, 77, 82, 84, 157, 159, 228, 281
უნდილაშვილი არჯევანა 284, 318
უორდროპი მარჯორი 191, 193, 194
უორდროპი ოლივერ 191

ფ

ფალიაშვილი ზაქარია 221
ფარნავაზ მეფე 367, 369
ფანცხავა იაკობ 306
ფირცხალავა სამსონ 306
ფრიდონი („ვეფხისტყაოსანი") 165

ქ

ქანანოვი ნიკო 89
ქარენაშვილი ადამი 275
ქაჩუნაშვილი ივანე 222

ქიქოძე გერასიმე იხ. გაბრიელ ეპისკოპოსი
ქიქოძე გერონტი 306
ქიქოძე მიხეილ 66
ქუთათელაძე გიორგი 222
ქურციკიძე ოთარა 285, 318

ღ

ღვინიაშვილი ლევან 275
ღოღობერიძე ბესარიონ 88
ღოღობერიძე ნიკო 202
ღოღობერიძე სიმონ 260
ღულაძე ანდრია 158, 202, 215, 263, 273

ყ

ყაზბეგი ალექსანდრე 135, 159, 227, 246, 431
ყაზიბეგი დიმიტრი 78, 79
ყაუხჩიშვილი სიმონ 447
ყიფიანი დავით 36, 37, 38, 78
ყიფიანი დიმიტრი 57, 82—84, 88, 89, 264—270
ყიფიანი კოტე 135
ყიფიანი ლუარსაბ 263—265
ყიფიანი მიხეილ 36, 89
ყიფიანი ნინო 264, 265, 271
ყიფიანი პეტრე 263
ყიფიანი სამსონ 260
ყიფშიძე ალექსანდრე 263, 272, 273, 281
ყიფშიძე გრიგოლ 38, 39, 69, 103, 147, 157, 238, 250, 260, 263, 273, 281, 282, 288, 290, 291, 297, 333, 422, 445

შ

შენიე ანდრე 181
შექსპირი უილიამ 14, 83, 156, 242, 253, 267, 268

ჩ

ჩაიკოვსკი (გენერალი) 19
ჩერნიშევსკი ნიკოლოზ 21, 30
ჩინგანგ ბუღა 345
ჩოლოყაშვილი ალექსანდრე 264, 273
ჩოლოყაშვილი ილია 39
ჩრდილელი ალექსანდრე 283
ჩუდეცკი 270
ჩხეტია შ. 268
ჩხიკვაძე ზაქარია 221

ც

ცაგარელი ავქსენტი 246, 281, 323—325
ცინცაძე კ. 307
„ცისკარი“ (ჟურნალი) 30—32, 53, 55—62, 74, 75, 175, 214
„ცნობის ფურცელი“ (გაზეთი) 125, 205, 214—219, 227, 247
ცხვედაძე ნიკო 88, 132, 196, 215, 231, 281

წ

წერეთელი აკაკი 33, 52—54, 56, 61, 69, 82—84, 89, 132, 157—160, 164, 165, 182, 190, 195, 196, 246, 251, 253, 266, 304—308, 312
წერეთელი გიორგი 33, 36, 81, 82, 182, 195, 214, 256, 414
წინამძღვრიშვილი ილია 50, 97, 98, 103

ჯ

ჯავჯავაძე ალექსანდრე 16, 57, 61, 61, 62, 134, 155, 170, 173, 174, 190, 314, 359
ჯავჯავაძე გრიგოლ 5, 7, 9, 10
ჯავჯავაძე თეიმურაზ (ილიას ძმა) 15
ჯავჯავაძე ილია 3—25, 27, 29, 30—39, 46—134, 137—141, 143—148, 150—326, 329, 332—339, 341—343, 345—348, 351, 352, 354—359, 361—364, 367, 370—376, 380, 381, 384, 387, 388, 390, 395, 398, 401, 402, 404, 407—410, 412—414, 416, 421—427, 431, 433, 439, 440, 444—447, 457—459
ჯავჯავაძე ნინო (ილიას და) 19
ჯავჯავაძე ნიკოლოზ 38

ჭავჭავაძე ოლღა 38—44, 79, 289, 301, 302
ჭავჭავაძე-დადიანი ეკატერინე 15—17
ჭავჭავაძე-ერისთავი მაკრინე (ილიას მამიდა) 7
ჭიჭინაძე ალექსი 322
ჭიჭინაძე ზაქარია 182
ჭონქაძე დანიელ 56—58, 75
ჭრელაშვილი სტეფანე 135
ჭრიაშვილი გლახა („გლეხთა განთ. პირველ-დროებითი სცენები") 376
ჭყონია ალექსანდრე 348

ხ

ხახანაშვილი ალექსანდრე 38, 222, 379, 380
ხახიაშვილი ვ. 307
ხეჩიაშვილი ეთერ 276
ხიზანიშვილი ნიკო 231, 263, 281
ხიმშიაშვილი ლევან 135
ხონელი ილია (ბახტაძე) 146
ხუნდაძე სიმონ 13, 381
ხუნდაძე ტ. 290
ხუტლუბუღა („მეფე დიმიტრი თავდადებული") 341

ჯ

ჯავახიშვილი ივანე 237—239, 334, 344, 345, 355
ჯამბაკურ-ორბელიანი ალექსანდრე იხ. ორბელიანი ალექსანდრე
ჯანდიერი ლევან 30, 51, 202, 203, 263—265, 272, 273
ჯანდიერი ნიკოლოზ 246
ჯაფარიძე ნოშრევან 275, 276
ჯაჯანაშვილი არჩილ 293, 294
ჯორჯაძე არჩილ 55
ჯორჯაძე ბარბარე 55, 57
ჯუღელი ანთიმოზ 277, 278

ჰ

ჰაკე 7, 8
ჰეინე 176, 181
ჰიუგო ვიქტორ 36
ჰორაციუსი 155

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
ილია ჭავჭავაძის სამშობლო, ოჯახი და სკოლა . . 5
ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში . . . 11
ილია ჭავჭავაძე სამოციან წლებში 25
ილია და ლიტერატურულ თაობათა პაექრობა . . . 54
ილია ჭავჭავაძე სამოცდაათიან წლებში 76
ილია ჭავჭავაძე ოთხმოციან წლებში 86
ილია ჭავჭავაძე ოთხმოცდაათიან წლებში 166
როგორ ჩაიშალა ილია ჭავჭავაძის იუბილე 214
ილია ჭავჭავაძე ცხრაასიან წლებში 239
ილია ჭავჭავაძე ხალხში 250
ილია ჭავჭავაძის მკვლელობა 290
ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება 312
ილიას პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული" . . . 333
სოციალური თემატიკა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში . 358
ბატონყმობის საკითხი ილიას მხატვრულ მემკვიდრეობაში 380
ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი" 410
ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი" 444
საკუთარ სახელთა საძიებელი 460